მ ა ა მ ი ა
ა ს ა თ ი ა ნ ი



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1968

Г 2
899.962.1—3
ა 871

მამია ასათიანის წიგნი „გეგუთის ძელქვები“ ეხება საქართველოს წარსულსა და თანამედროვეობას. ნაწარმოებთა ცენტრში დგას სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი, ასახულია მისი მაღალი მორალური თვისებები, გმირული შრომა-საქმიანობა, სიყვარული და მეგობრობა, ბრძოლა თაობათა ბედნიერებისათვის.

7—3—2
109—68 ალ.



გეგუთის ძელქვები

კიბეები რომ აათავა ივანე მხარგრძელმა, მაშინ გადმოიხედა ზემოდან და გაოცებისაგან კინაღამ ძირს გადმოვარდა კაცი. ადამიანთაგან თვალუნახავი რამე იხილა — რიონის პირისკენ, ცვრიან კოინდარში დედოფალი თამარი ფეხშიშველი დაიარებოდა. თვალები რომ მოიფშვნიტა, მხოლოდ მაშინ დაიჯერა, ნამდვილად მეფეთმეფე იყო. უბრალო ჩითის კაბა ეცვა, უქამრო, წელში ფარფაშა. გლეხის გოგოს ჰგავდა. ეშხი და სილამაზე კი უფრო მომატებოდა. კოქებს ზევით გვირილის ორი ფურცელი მიჰკვროდა, თეთრი ხალებივით მოჩანდნენ შორიდან.

„ადამიანი მაინც ადამიანია, მეფეც ისაა, რაც გლეხი. მასაც მონატრებია ცვრიან ბალახში ფეხშიშველა სირბილი. განსხვავება ისაა, რომ მეფე ნამალევად სჩადის ამას, გლეხი კი ამქვეყნად არც სიხარულს მალავს და არც დარდს“.

ერთი კიდევ გადახედა მოკრძალებით თამარს და თეატრონის დარბაზისკენ გაუხვია. დღეს იქ სვანებს ელოდნენ. მეფემ ბრძანა, სვანური სიმღერები მომნატრებია, მომასმენინეთო.

მომღერლები ვიწრო აივანზე, დარბაზის წინ შეჯგუფულიყვნენ.

— ივანე მხარგრძელი მობრძანდება, — თითქოს წყნარად თქვა ვიღაცამ, სინამდვილეში კი მისი ხმა გრგვინვით წავიდა რიონის ნაპირისაკენ.

ივანეს ულვაშებში ჩაეღიმა. სვანები უყვარდა ნაცად სარდალს. იცოდა, მათი ვეება ბეჭები უქმად როდი დაენახვებოდ-

ნენ ბრძოლის ველზე მტერს. სადაც ისინი იყვნენ, გამარჯვებაც იქ იყო. თვითონაც მათკენ მიუწევდა ბრძოლის დროს გული. დარბაისლურად მიესალმა მათ. ოჯახებით მოიკითხა, ჯანი და მარილი უსურვა. სვანებმა პატივისცემის ნიშნად თავები მოკრძალებით დახარეს.

— თქვენი ხმა მონატრებია ქვეყნის მანათობელს, ამიტომ გიხმეთ.

— ღმერთმა მისი ხმა ნუ მოუშალოს საქართველოს. ჩვენ სიმღერას როგორ დავამადლით?! სვანეთში ხომ თამარზე იმღერის ყველა!

უცებ იფარელი მურზაყანი წისქვილის დოლაბივით შემოტრიალდა. ანაზდად ყველას ჟრუანტელმა დაუარა და მაშინვე სიცილი წასკდათ. მურზაყანსაც ღიმილი მოერია. მხარზე თვალებბრიალა კაპუეტი შემოჯდომოდა და კიპკიპებდა.

— თამარის კაპუეტია, ალბათ, ბაზიერებს გამოპარვია. შენი ბეჭი მუხის ტოტი თუ ეგონა, — შესცინა ივანემ. მურზაყანი ბავშვივით გაწითლდა.

— მე კი შემაშინა, მეგონა, ეშმაკი შემომჯდა მხარზე-მეთქი! — გამოაჩინა ვეფხვის კბილები, ახლა ენიშნათ მეზობლებს, ხელი ხანჯლისტარზე ჰქონდა დადებული.

„მართლაც, შეშინებია ამ დევივით კაცსო“,—იფიქრა მხარ-გრძელმა და მურზაყანს თვალი აარიდა.

ამ ხორხოცზე კიბეზე შოთამ შემოდგა ფეხი. ყველა გაილურსა. ივანემ სვანების მოკრძალებული სუნთქვით იგრძნო მოსულის სიდარბაისლე. შეხედა თუ არა, თვითონაც მიეგება.

— თქვენი სიცოცხლე, სიტყვის ჯადოქარო. დღეს ჩვენ სმენას დიდი სიამოვნება ელის.

— სვანთა სიმღერა ღვთიური სიმღერაა, აბა, ვის არ გაუხარდება ლილეს მოსმენა, მხედართმთავარო!

— როცა ლილეს ვისმენ, ჩემ თავს არ ვეკუთვნი, ასე მგონია. ყველა წმინდანი ამდგარა, იალბუზზე ხმიადი გაუტეხიათ და ზედაშის წინ ქვეყანას ადამიანის სიცოცხლისა და ვაჟკაცობის ჰიმნს უგალობენ-მეთქი.

— ჭეშმარიტად იქ, მაღალ მთებში არის დაბადებული ეს სიმღერა,—წყნარად თქვა შოთამ და სვანებს მიუბრუნდა:—გა-

მარჯობათ, მეგობრებო, სულს და გულს უხარის თქვენი მობრძანება!

— თქვენი დანახვა ჩვენს სახლის საძირკველს ამაგრებს და თავანს მაღლა სწევს, შოთა ბატონო! — თვითონაც წინ წამოდგა იფარელი.

შოთას თვალები გაუფართოვდა. უხერხულობა რომ დაეძლია, თეატრონის დარბაზის კარისაკენ გადადგა ნაბიჯი და ხელის კვრით შეაღო იგი. უჩვეულო სანახავი გამოჩნდა — ოდნავ ამაღლებულ ადგილზე, აქეთ და იქით, რკინის გალიებში დედალ-მამალი ჯიქი აბრიალებდა თვალებს. სვანები შეიშმუშნენ. შეეტყოთ, ჯიქი მათ თვალებს არ ენახათ.

— ჩვენ, ალბათ, მათ გვერდით უნდა დავდგეთ და ვიმღეროთ ხომ? — ვერ მოითმინა სათქმელი იფარელმა.

— ნუ შიშობ, რკინის გალიაში არიან, თორემ დარბაზშიც რომ იყოთ, მაინც ვერსად გაექცევით უხანჯლოდ.

— თამარის დაზრდილია, ბოკვერები მოჰგვარეს ინდოეთიდან, — თქვა შოთამ და ტკბილისკვერი გაუწოდა ჯიქს. მეორემ ბრდღვინვა დაიწყო.

— მეორესაც უნდა, — ისევ გაიღიმა შოთამ და ახლა მასაც მოუხია დათაფლული კვერი, მერე სვანებისაკენ შემობრუნდა: — ორივე ბოკვერი ივანე მხარგრძელის საჩუქარია. მეტად გაახარა თამარი დიდმა სარდალმა.

— არ მეგონა, ასე თუ ესიამოვნებოდა, თორემ ინდოეთიდან ლომის ბოკვერებს წამოვიყვანდი.

— თამარს ვეფხვი და ჯიქი უყვარს. მათი სილამაზე ხიბლავს. დია, რომ ლამაზია ვეფხვი. უთვალავ ფერს ითვლის მისი ბეწვი!..—შოთას ახლა ხმაში ნაღველი დაეტყო. მხარგრძელმა ერთი კი შეავლო თვალი. მაგრამ სიტყვა არ უთქვამს.

ცოტა ხნის შემდეგ თეატრონს ხალხი მოაწყდა. გლეხები არ იყვნენ მოპატიჟებული, მხოლოდ სამეგრელოს მთავარს მოუვიდა შვიდი ძმა ბოდოკიები. თამარის თხოვნით გეგუთში უნდა დასახლებულიყვნენ. თან პატარა და, ვარდიფინა ჩამოეყვანათ. ძმებს ცალკე გამოუყვეს სამოსახლო, სახლის მასალა, წყვილი ხარი, ძროხა და ცხენიც უსაჩუქრეს. ხვალ დილითვე უნდა მიეღობათ ეზოები ბოდოკიებს.

— დღეს აქ იყავით, სვანების სიმღერას უსმინეთო, — უბრძანა დადიანმა.

ვარდიფინა დაფეთებული შველის თვალებით იყურებოდა. ამდენი თავადი და აზნაური ჯერ არ ენახა ბავშვს. წერა-კითხვა დადიანის ქალიშვილმა ასწავლა. მის საწოლ ოთახში წაიკითხა ორივემ „ვეფხისტყაოსანი". ახლა ერთი სული ჰქონდა, სანამ დედოფალს დაინახავდა. არა ნაკლებ კლავდა შოთას ნახვის სურვილი. მისთვის თამარი ნესტანი იყო, შოთა კი ტარიელი და ავთანდილი ერთად.

დარბაზი თანდათან შეივსო.

— დედოფალი მობრძანდებაო, — გაისმა უცებ და ხალხი ერთი კაცივით წამოდგა, ყველა აღმოსავლეთის კარებს მისჩერებოდა, ის კი ჩრდილოეთიდან, აივნიდან შემოვიდა.

ვარდიფინა თვალს არ აშორებდა დედოფალს, მისი აზრი გამართლდა. თამარი სწორედ ისეთი იყო, ლამაზი კი არა, თვალთუნახავი სილამაზის ქალი, წყნარი, დარბაისელი. არა, ის ადამიანს არ ჰგავდა, ანგელოზი იყო გვირგვინმოსილი და ერის წინამძღოლი. გვერდით დავით სოსლანი მოჰყვებოდა, უკან მთელი ამალა. დადიანი ხელმარჯვნივ ახლდა დედოფალს. ვარდიფინას თვალები დაეწკურა.

„ნეტავი შოთა თუ არის სადმე?" — კითხულობდა თავის ფიქრში. ყველას შეავლო თვალი. მაგრამ მის ოცნებაში ხორცშესხმულ პოეტს ვერავინ მიამგვანა. ალბათ, თბილისში დარჩაო, გაიფიქრა და თითქოს დაწყნარდა კიდეც.

სვანებმა სიმღერა წამოიწყეს. ვარდიფინას პირველად ესმოდა ასეთი მაღალი და მოგუგუნე სიმღერა. ჰაი დედასა! სისატურა მაინც სხვა იყო მისთვის. ანაზდად სარკმელს გააყოლა თვალი და გაოგნდა, ეზოში ორმოცდაათამდე არაბული შავი ცხენი შემორეკეს. ცხენები კი არა, ყელმოღერებული ირმები იყვნენ. ახლა ფეხებს არ იკითხავთ? გეგონებოდათ, კოჭში გადატყდებათო, წვრილი ძარღვები ძაფებივით დასჭიმვოდათ მაღალ წვივებზე. ვარდიფინამ იცოდა ცხენის ფასი. თვალი მოჰკრა თუ არა, სულიც იქით გაექცა. გულმა რეჩხი უყო, ცხენებთან დადიანის მეჯინიბე ტრიალებდა. ახლა გაახსენდა დადიანის ქალწულის ნათქვამი, თამარმა ჩვენი ნაქები მეჯინიბე

შორეულ არაბეთში გაგზავნა ცხენების ჩამოსაყვანადო. ერთი კი გაიხედ-გამოიხედა და კარებში გაძვრა.

სასახლეს დასავლეთით მოზრდილი ღობე მიჰყვებოდა. სწორედ იქ მირეკეს ცხენები. ეტყობოდათ, უნდოდათ თამარს საჯინიბოში შეყვანამდე ენახა სახელდახელოდ.

ვარდიფინა ჩიქოვანს მიუახლოვდა.

— შემსვი, პატენი კიწი, ასეთი ცხენები ჩემ თვალებს არ უნახავს მის დღეშიო, — შეეხვეწა.

ჩიქოვანს სიცილი წასკდა.

— შენ კი არა, ძღაბო, მე არ მინახავს. ვისი ხარ, გოგო?! მარგალი ძღაბი ხარ ხომ?!

— კი პატენი. ბოდოკია ვარ. დადიამ ჩამომიყვანა. თქვენ გიცნობთ. პატარა ქალბატონმა მითხრა, თქვენი დასაკარგავში გამგზავრება.

— ბიჭოს, შენ რა იცი, ძღაბო, მართლაც დასაკარგავში ვიყავი. ამ ცხენებივით შავია იქაური ადამიანები. პირჯვარი ვიწერე, პირველად რომ ვნახე.

— „ვეფხისტყაოსანი“ არ წაგიკითხავს? იქ წერია, ზანგები შავიაო. ქაჯებიც იმ ფერისაა, ალბათ. ცხენზე შემსვამ?!

— უყურე ამას?! შენ რა იცი, ძღაბო, ზანგებისა და ქაჯების?! ცხენზე მაინც ვერ შეგსვამ. მალე დედოფალი გამოვა, მეშინია, არ დაიწუნოს.

— ჰა, არ დაიწუნებს. ასეთი ცხენები დადიანსაც არ ჰყავს. მისანა ცხენოსანი კი აქ არავინ იქნება.

— მისანა ცხენოსანი აქ კი არა, არაბეთშიც ნაკლებად იქნება. ცხენზე ფოთოლივით დააკვდება. ათი დღე-ღამე რომ იჯირითოს, თუ არ უნდა, ნაბდის ყური ბაყვებიდან არ გამოუცურდება.

— შემსვი, პატენი. ორ ნაბიჯს გავარონიებ და ისევ ჩამოვხტები!

— ჰა, არ თქვა, ძღაბო, მეორედ, ოდიში კი არაა, გოგო, აქ, თამარის სასახლეა, მეფეთა მეფის, დედოფალთა დედოფლის!

— მეც ვიქნები დედოფალი. საქართველოში არა, თორემ, სხვაგან კი ვიქნები. ასე მითხრა დადიას მოურავის ბიჭმა. შენისანა ლამაზი ქალიშვილი დედოფალი გახდებაო. ყველას გავაქრისტიანებ და გავამეგრელებ.

ჩიქოვანი ისე ახორხოცდა, რომ ფეხზე ველარ დადგა, უნებლიეთ ჩაიმუხლა.

— ამდენი ქვეყანა მოვიარე და ასეთი გოგო არ მინახავს, — ამოღერღა როგორც იქნა, — მომკალი, გოგო, სიცილით და ის არის.

— რას იცინი, ტყვილი გგონია ხომ?! ცოტა დამაცადე, შოთას წიგნს სულ ზეპირად ვისწავლი, ჭკუისთვის ის მეყოფა. ბერძნული ვიცი. ხუცური ვიცი. მეგრული ხომ ვიცი და ქართულიც კარგად მეხერხება. დედოფალს მეტი რა უნდა?! შემხედე ერთი, ლამაზი არა ვარ თუ?!

ჩიქოვანმა უნებლიეთ შეათვალიერა. თორმეტ-ცამეტი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ მის თხილის წნელივით ტანს ვერც ერთი ვაჟკაცი ვერ აუვლიდა შეუთვალიერებლად. უმცროს ძმას დადიას ნაჩუქარი დარაიას მოსირმული ბაშლაყი წაართვა და თავზე არ იშორებდა, თვალწარმტაცად ლამაზი ჩანდა. დაკვირვებით ააყოლა თვალი და თავისთვის ჩაილაპარაკა: — ნამდვილად არა ერთ დედოფალს სჯობია აი ძღაბიო.

ჩიქოვანს კი დაეჯერებოდა; მიწისპირი ჰქონდა მოვლილი ფეხით.

— ცხენზე შემსვამ ხომ?! — ჩააცივდა ვარდიფინა და თვალი თვალში გაუყარა.

— მომშორდი, შვილო, ხომ გითხარი, დედოფალს ველოდები.

ვარდიფინამ ერთი ისევ გახედა ჩიქოვანს. სიტყვა არ უთხრა, ნელა წაიწია ღობისაკენ, სადაც ორი ცხენი ერთმანეთს ყელგადაბმული ეთამაშებოდა. არც აცია, არც აცხელა, უცებ მოავლო სარს ხელი, ღობეზე შეფრინდა და სანამ ცხენი და ჩიქოვანი რასმეს მოიფიქრებდნენ, უკვე არაბულის ზურგზე იყო მოქცეული. უხედნავ ცხენს ერთი შეაკანკალა და ყალყზე შედგა.

ვარდიფინამ ფაფარში ჩაავლო ხელი. ცხენი გვერდიგვერდ წავიდა თვალების ბრიალით. ჯერ აქეთ ეცა, მერე იქით, ვარდიფინამ ფერდებში ამოკრა ქუსლები, ცხენი უფრო ათრთოლდა, გაგიჟდა, დაფეთდა, ერთი შეხტა და ჭიშკარს მიაშურა.

— მოკლავს ამ ოჯახდაქცეულსო! — ხმამაღლა იყვირა ჩიქოვანმა. ყვირილმა დარბაზამდე მიაღწია და იქ დატრიალდა, ყველა გარეთ გამოვარდა.

— ვაიმეო! — ერთი კი დაიძახა უმცროსმა ძმამ და აივნიდან ისკუპა. ცხენმა რომ მისკენ გამოქცეული ჩაბალახიანი კაცი დაინახა, უფრო გადაირია, ჰაერს შეეპოტინა, მერე ადგილს მოწყდა და ღობეს მწერივით გადაევლო.

თამარმა შეჰკივლა.

ღობის გადაღმა დიდი მინდორი იწყებოდა. სწორედ იქით მიუშვა ვარდიფინამ არაბული კვიცი. ყელიდან ბაშლაყი შეიხსნა, ტოტებმა ჰაერში გაიფრიალეს. მერე ყველამ დაინახა, როგორ მოახვია ყელზე ერთი ბოლო და მეორე ცხვირის ნესტოებთან აღვირივით შემოასალტა არაბულს.

— ძღაბი კი არა ქაჯია! — ბუტბუტებდა ჩიქოვანი.

ექვსი ძმა არ განძრეულა. ღიმილით გასცქეროდნენ მხედარს.

— ტყეში არ შეუხვიოს იმ ოხერმა, — ჩაილაპარაკა ერთმა და დოინჯი შემოირტყა. უმცროსმა ჭიშკარს გადააბიჯა და მინდორზე გავიდა.

ვარდიფინა ცხენს მიაგელვებდა. ქუსლებს დეზებივით სცემდა გვერდებზე და ისე მიერეკებოდა. თვალუწვდენი მინდორი უკვე გადაიარა და თანდათან დაუახლოვდა ძელქვის ტყეს. გვერდით ჩაუქროლა ახალ აგებულ პატარა ეკლესიას და ისევ მინდვრისაკენ შემოაბრუნა ცხენი. მესამედ უვლიდა წრეს. ეტყობოდა, ცხენსაც მოეწონა მხედარი. ერთი ისე შესჭიხვინა თითქოს ეუბნებოდა, მაგრად იჯექი, არ გადმოვარდეო. უეცრად ვარდიფინამ ეკლესიასთან, ძელქვების ძირში მდგარი ჭაბუკი შეამჩნია, იგი გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა ქალიშვილს. ასეთი ლამაზი ყმაწვილი ჯერ არ ენახა. მეტად ჭაბუკი ჩანდა, თორემ მას რომ ჰყავდა წარმოდგენილი, სწორედ იმ შოთას ჰგავდა. ტანსაცმელი კი ცოტა უცნაური ეცვა, ხალათზე სირმები ჰქონდა შემოვლებული, ბაშლაყი მასაც მეგრულად ჰქონდა გაკრული. სამი წყრთა ბეჭები უჩანდა. მის სახეს რომ შეხედა, ვარდიფინა სიმღერის ხასიათზე დადგა. გალობა მოუნდა, — სისატურას თქმა მოუნდა. არა, უნდა გაიგოს, ვინ არის. მოულოდნელად მოსწია სადავე გაქანებულ ცხენს და უცებვე წუნარი ნაბიჯით შეიყვანა ძელქვებში. ყველა გაოცდა.

„არაბულ ცხენებს კეთილშობილი სისხლი აქვთ, კარგ ყმასა და მხედარს მაშინვე იგრძნობენო“, — გაიფიქრა ჩიქოვანმა.

— სადაური ხარ შენ? — ჰკითხა ვარდიფინამ ჭაბუკს.

ეტყობა, ახალგაზრდას გაუკვირდა გოგონას სითამამე, გაოცებით ახედა, სიტყვა კი არ უთხრა.

— მუნჯი ხარ თუ რატომ არაფერს მეტყვი?!

— მუნჯი როდი ვარ, მაგრამ ჩემი ენა ჩემს გონებას ემორჩილება, ასე სჯობია.

ვარდიფინას ფერმა გადაჰკრა. ეს რომ სხვას ეთქვა, არაფრად ჩააგდებდა. ამ ჭაბუკისაგან კი მეტად ეწყინა.

— კარგი ბიჭი მეგონე, შენ კი მლანძღავ, არ გრცხვენია?

ჭაბუკი შეკრთა. ასეთ რამეს არ ელოდა, თითქოს დაიბნა კიდეც.

— რა ვთქვი გასალანძღავი! ვიხუმრე.

ვარდიფინამ უცებ ისკუპა ცხენიდან და მის წინ დაესო.

— იცოდე, შეჯდომის დროს მიშველე, წელან ღობიდან შევახტი. თქმით კი მითხარი ვინ ხარ, საიდან ხარ?!

— გონიოდან ვარ, ლაზი, გვარად გოდუაძე. ხომალდების წაყვანას ვსწავლობ. სახელად ვაშლია მქვია, ვაშლია გოდუაძე.

— გეგუთში ხომალდებს რა უნდა, ვაშლია?!

— სტუმრად ჩამოვედი. ბიძისშვილი მყავს აქ, წმინდა გიორგის ხატავს ამ ეკლესიაში, დედოფალმა იხმო.

— უთხარი მეც დამხატოს!

— ის ხატებს ხატავს და წმინდანებს. დედოფლის დახატვასურს ძალიან.

— ჰოდა, მეც მალე გავხდები დედოფალი. ასე მითხრეს მთავრის სასახლეში.

— შენ ვინა ხარ? — წინ წამოიწია ჭაბუკი.

— მე ვინ ვარ და ვარდიფინა ვარ, გვარად ბოდოკია. თამარ დედოფალმა გეგუთში გვიბრძანა დასახლება. რაც შენ გნახე, აღარ მინდა გეგუთის ეზო-კარი. გონიოში წამოვალ, შენს ახლოს, მეც ვისწავლი ხომალდების წაყვანას.

ვაშლიამ გაოცებით შეხედა — „ჭკუაზე არ უნდა იყოსო“, — გაიფიქრა. ხმამაღლა კი შეეპასუხა:

— ქალებს ხომალდზე ვინ აუშვებს, გოგო?!

— ვითომდა რატომ! განა მე ვერ ვისწავლი ხომალდის წაყვანას?

სწორედ ამ დროს ვარდიფინას უმცროსი ძმა გამოჩნდა.

— ჩემი ძმა მოდის, იცოდე, არ წაეჩხუბო!

— მე ჩხუბი არ მიყვარს, — გაიღიმა ვაშლიამ, — ან რას ვერჩი, რისთვის უნდა ვეჩხუბოთ ერთმანეთს?!

— სად დაიკარგე, ძლაბო, მთელი სასახლე გააგიჟე. ყოველთვის შენ უნდა შეგვარცხვინო, დედოფალი გამწყრალია შენზე!

— დედოფალს მე რა დავუშავე. ცხენი გავუხედნე. ამისთვის ჯილდო მეკუთვნის. მატყუილებ, გაძწყრალი ჩიქოვანი იქნება, დედოფალს გული არადროს არ მოსდის თურმე.

— ასე გგონია. შენს თავქარიანობას ვინ მოითმენს? ჩიქოვანი გამათრახებას გპირდება!

— ენა გააჩუმე, ბიჭო! შენ ეს გაიცანი, ხომალდების წამყვანია, ვაშლია გოდუაძე. ხომ კარგი ბიჭია? გონიოში მივყვები. იქაურია. როგორც კი დედოფალი გავხდები, ზღვების და ხომალდების სარდლად დავნიშნავ.

ვაშლიამ სიცილი ვერ შეიკავა. ვარდიფინას ძმა კი სირცხვილისაგან გაშრა.

— თუ ძმა ხარ, სულელი არ გეგონოს, ასეთი უკულმართი ენა აქვს. ისე კი, რასაც ჩაიფიქრებს, უსათუოდ შეისრულებს.

— იღბლიანი ყოფილა, — ისევ გაიღიმა ვაშლიამ.

— იღბლიანი რომ არ ვიყო, შენ შემხვდებოდი?! — გაუცინა ვარდიფინამ.

— წამოდი, გოგო, მთელი სასახლე გელის.

— ვაშლია, არ დამივიწყო. მე ყოველთვის მემახსოვრები, უჩემოდ არ წახვიდე.

ჭაბუკმა არაფერი უპასუხა. მხოლოდ მის ძმას შეხედა და მხრები აიჩეჩა. ბოდოკიამ ერთი წუთით დას ხელი გაუშვა.

— შენ ხომ არ გგონია, მართლა უკან გამოგეკიდება ჩემი დაიკო? ასეთი გოგო დუნიაზე არ არის, იცოდე!

— არ იჩხუბოთ! — გაწყრა ვარდიფინა. — ვაშლიას კი, ჩემო ძმაო, ვერავის დავანებებ. ეს იცოდეს ყველამ! — მეტი არაფერი უთქვამს, ცხენი კუნძიან ძელქვას მიუახლოვა და თვალის დახამხამებაში ისევ ზურგზე მოექცა.

— აბა, გავსწიოთ სასახლისაკენ, ბოდოკიას ბიჭო!

ვაშლია გაშტერებული შესცქეროდა ცხენზე ამხედრებულ ქალიშვილს.

— ასეთი გოგო მართლაც არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში, — თავისთვის ჩაიჩურჩულა, — ასეთი ცოლი რომ შემხვდებოდეს, ყველა ზღვის ქარიშხალს დავჯაბნი.

— ქაჯი ხარ თუ ძღაბი ხარ?! — შემოხვდა ჩიქოვანი ჭიშკართან და თან მალულად ცხენს დაუწყო თვალიერება.

— მეგრელი კაცი ცხენს როგორ დაუკავებს ცხენის მოყვარულ მხედარს! — იქით შეედავა ვარდიფინა ჭარმაგ კაცს.

— ეს ცხენი სადედოფლოა, ძღაბო, ჩემი კი არაა.

— ჰოდა მეც დედოფალს გავუხედნე. ქალია და ქალის მხედრობას მიეჩვევა.

თამარმა ყური მოჰკრა მის ნათქვამს და გაიღიმა.

— კარგი ქალი ყოფილხარ, — შეაგება სიტყვა, — ცხენოსნობაც დიდებული გვაჩვენე. ნამდვილი მხედარი ყოფილხარ.

ვარდიფინას სახეზე სინათლე გადაეფინა, ძმას მიუბრუნდა:

— ხომ გითხარი, ბიჭო, თამარმა გაბრაზება არ იცის-მეთქი.

— გააჩუმე ეგ ენა! — ჩაუჩურჩულა ძმამ.

ივანე მხარგრძელი და შოთა ერთად ჩავიდნენ კიბეზე. ცხენების რემას დაუწყეს თვალიერება.

— ყველა უხედარია? — იკითხა ივანემ.

— არა, ბატონო, ერთი უკვე ბოდოკიას ქალმა დაგვავალა დღეს, — გაეღიმა ჩიქოვანს.

— ჩინებული ცხენოსანი ყოფილა, — ჩაფიქრებით თქვა შოთამ.

— შოთა ბატონო, ნამდვილი მეგრელი ძღაბია! უშიშარი და თამამი. — ვარდიფინას სიყვითლემ გადაუარა სახეზე.

— ბიჭო, შოთა რუსთაველი ეს არის? — მივარდა ძმას.

— მე რა ვიცი, ძღაბო! — თავი გააქნია ბიჭმა, მაგრამ შოთას თვალი ვერ მოაშორა.

ვარდიფინა ახლა ჩიქოვანს მივარდა.

— შენი ჭირიმე, პატენი, ნამდვილად მითხარი, ეს კაცი შოთა რუსთაველია?

— შოთაა, აბა, ვინ გეგონა.

— ღმერთო, მიშველე! — ბალახებში ჩაჯდა აკანკალებული გოგო.

— რა იყო, ძღაბო, ფერი რამ დაგიკარგა?

— მართალი მითხარი, პატენი, ამან დაწერა „ვეფხისტყაოსანი“?

— აბა, ვინ დაწერა, ძღაბო, რას გეუბარ, რამ შეგიშალა სახე?

— მე რომ მეგონა, ისეთი არ ყოფილა.

თამარს ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია.

- როგორი გეგონა, ქალწულო?! — ჰკითხა ვარდიფინას.

— წმიდა გიორგივით კაცი მეგონა, დედოფალო, მე უბედურს, ის კი ჩვეულებრივი ყოფილა! — უპასუხა და თვალებიდან ცრცხლები გადმოსცვივდა.

შოთა ჯერ იღიმებოდა, მერე მოიღუშა.

— უბედური რად ხარ, ქალწულო? მოდი, გემთხვიო, ჩემო დაიკო, ჯერ პატარა ხარ. ხანში რომ შეხვალ, უფრო ჩახვდები ოფლის იდუმალებას.

ვარდიფინამ თვალები მოიწმინდა, თამარს მოკრძალებით შეხედა და თავისთვის წყნარად ჩაილაპარაკა: — დედოფალი კი ისეთივეა, როგორც სიზმარში მინახავსო.

— მართალია, დედოფალი სულ სხვაა, — მტკიცედ თქვა შოთამ, — რა კარგი ხარ, რომ ქვეყნის სათქმელი თქვი. ნეტავი შენს ძმებს, ასეთი იდუმალთმხილველი დაი რომ ჰყოლიხარ!

— დღეიდან სასახლეში იცხოვრებ, — ღიმილით უთხრა თამარმა.

— ღმერთო მომკალი! — წამოიკივლა ვარდიფინამ, — სასახლეში მე რა მინდა?! ჩემი შემხედვარე, დიდ დედოფალს გულს ეჭმოეყრება. ჩემი უმცროსი ძმის გარდა კაცისშვილი ჯერ არ ეცოობს.

ვიანი ქალი ჩანხარ. შეეჩვევი და მოგეწონება. სწავლით კი ბევრი უნდა ისწავლო.

— ყველაფერი ვიცი, დედოფალო, ბერძნული ვიცი, ჩვენმა მღვდელმა ხუცურიც მასწავლა. მეგრული ხომ ვიცი და ვიცი. მხედრული ყველას მირჩევნია. სწავლა ჩემს ძმებს უნდათ. მეგრულის გარდა არაფერი იციან.

— ძმებიც ისწავლიან, — ისევ გაეღიმა დედოფალს.

ამ დროს ივანზე სახლთუხუცესი გამოვიდა. მოკრძალებით მიუახლოვდა თამარს და წყნარად რაღაც მოახსენა. თამარი ოდ-

ნავ გაფითრდა, ცოტა ხანი ჩაფიქრებული იყო, მერე დავითს და ივანეს მიუბრუნდა:

— დარბაზის ერნი შეყარეთ, მტერს პასუხი უნდა გავცეთ.

— უი ჩემ დღეს, კიდევ ჩხუბი იქნება?! — ცრემლნარევი ხმით ჩაილაპარაკა ვარდიფინამ.

სხვას არავის გაუღია ხმა. თავდახრილი გაჰყვნენ დედოფალს და მის ამალას.

* * *

გეგუთის წმიდა გიორგის ეკლესია ცამდე აწვდილ ძელქვების ტყეში იყო ჩადგმული. პატარა ეკლესია ლამაზად მოეხატათ. ჭაბუკი მხატვარი ახლა წმიდა გიორგის ხატავდა. ვეშაპი შავი უნდა ყოფილიყო და მის მოქნეულ კუდს ყალმით ჭარბად უსვამდა შავ საღებავს.

— ვეშაპი გინახავს? — მესამედ ეკითხებოდა ვაშლია ბიძაშვილს.

— დახატული მინახავს, ისე არა.

— მე კი მინახავს. დიდ ზღვაში ვნახე, ზურგიდან წყალი ისე ამოქუხს, გეგონება ცას შესწვდებაო.

— არ შემოგიტიათ? ადამიანებს ერჩისო?

— ჩვენი გემის შეეშინდა. ზღვა ააღელვა, ისე გულმოსული გაიქცა.

— შენ გული მაგარი გაქვს, მე ზღვის მეშინია.

— ზღვა არაა საშიში. ამ ვეშაპს კი რომ ვუყურებ, ტანში მბურძგლავს.

— კარგია გეგუთი, მაგრამ სახლში წასვლამდე ერთი სული მაქვს.

— მე კი სამიდღემჩიოდ მინდა აქ დავრჩე.

— ვითომდა რა უნდა გააკეთო, ვაშლია, აქ?

— იმ გოგონამ მომკლა. მისი ნახვის შემდეგ ძილი არ მეკარება.

— ეტყობა, დამთხვეულია.

— ჭკუით დამთხვეულია, მაგრამ სახით, რომ ნახო, ანგელოზი გეგონება.

— ასეთი ანგელოზები ჯოჯოხეთში უფრო სახლობენ, ბიძაშვილო!

— ერთი შენ გენახა, ასე არ იტყოდი.

— შეგყვარებია და ეგ არის.

— ჰო, ალბათ, შემიყვარდა. სულ მელანდება ძილშიაც და ცხადშიც.

— ძილში რა ეშმაკად გინდა, ვაშლია, გოგო, ჰა!

— ნუ ხუმრობ, წასვლამდე თუ არ ვნახე, გული გამისკდება.

— მე კი არავინ მომივიდა თვალში, მხოლოდ ანგელოზები მიღიმიან, როცა ვხატავ.

— ანგელოზი შეგყვარებია. ეს არის სვანები მომიყვნენ — ნადირობის ქალღმერთი ჰყოლიათ, ჭაბუკს შეიყვარებს და არ გამოუშვებს თურმე ყინულეთიდან.

— ჰოდა, მეც მიტომ ვერ ვშორდები ამ ეკლესიებს. სულ მინდა ანგელოზები ვხატო.

— ახლა წმიდა გიორგის რომ ხატავ?

— წმიდა გიორგიც ანგელოზია. მხოლოდ მამაკაცია, ვაჟკაცი იყო, ვეშაპი დაამარცხა, მთელი სოფლის ლამაზი ქალები დაიხსნა დაღუპვისაგან, ამიტომ ვხატავ.

— მეც მინდა ვარდიფინა გადავარჩინო. მას უჩემოდ სიცოცხლე არ შეუძლია, მე უნდა წავიყვანო.

— შენ სულ ზღვაზე დაცურავ და ქალი სად უნდა წაიყვანო, ბიჭო!

— ჯერ გონიოში მივიყვან, როცა გემის უფროსი გავხდები, მაშინ თან წავიყვან. იცი, როგორი გულადია? არაფრის არ ეშინია.

— ზღვაზე შეეშინდება.

— არ შეეშინდება.

— გაიხედე, ვიღაც ცხენს მოაგელვებს აქეთ.

— მისი ძმაა, იცოდე არაფერი წამოგცდეს.

— მე ენა პირში მაქვს, გარეთ კი არა.

— კარგი ვაჟკაცი ჩანს, ძელქვებში გადმოუხვია.

— რატომ მოდის? ნუთუ ავადაა ვარდიფინა!

ცხენოსანმა ეკლესიის ეზოში შემოაგელვა ცხენი.

— გამარჯობათ თქვენი! — შემოსძახა შორიდან.

— გაგიმარჯოს! — მიესალმნენ ბიძაშვილები.

— ვაშლია გოდუაძე რომელია?

— მე ვარ, რამ შეგაწუხათ?

ძუკუმ ელვასავით მიანათა თვალები. კარგა ხანს ჩუმად ითვალიერა, მერე თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ცუდი ჭაბუკი არ ჩანხარ. მე და შენ ან მოსისხლე მტრები ვიქნებით, ან უღალატო ძმები. შენ რომელი გირჩევნია?

ვაშლიამ ფეხი შეინაცვლა.

— ერთსაც და მეორესაც მიზეზი უნდა. შენ ჯერ არც ერთის მიზეზი არ მოგიცია.

— ვარდიფინამ მითხრა, ვაშლიას უძმეო. ის ისეთი მაკვარანცხი გოგოა, შენში სიკეთე რომ არ შეენიშნა, ამას არ მეტყოდა.

ვაშლიამ მხრები აიჩეჩა. ძუკუს ფერმა გადაჰკრა.

— ვარდიფინა ჯერ ბავშვია, მაგრამ ის რომ იტყვის, მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდება. ტყუილი მის დღეში არ წამოცდენია.

— სხვა რა გითხრა ვარდიფინამ?

— ვაშლია გოდუაძე, ბოდოკიებთან თამაში წმიდა გიორგის არ გაუბედნია, იცოდე!

— სათამაშო რა მაქვს. ვარდიფინა მიყვარს, თუმცა ჯერ ბავშვი კია.

— თქვი, შე კაი კაცო! ორ-სამ წელიწადს კი არა, ტრფიალი კაცი ას წელს მოიცდის.

— მე კი მოვიცდი, ის თუ მომიცდის.

— ახლა ძმა ხარ ჩემი. მისი თავდები მე ვიქნები. არც მე ვიზამ მის გარდუვალს და არც ის იზამს ჩემს უკითხავად რამეს.

— ჩემი ბიძაშვილის ბედი შენს ხელში ყოფილა და ეს არის, — წამოიძახა მხატვარმა ანაზდად.

— ჩვენ შვიდი ძმა ვართ. შვიდივეს ბედი ვაშლიას უნდა ჩავაბაროთ. ვარდიფინა ჩვენი მზეც არის და მთვარეც, უმისოდ ღმერთმა ნუ გვაცოცხლოს.

— მანახეთ ერთი! — შეეხვეწა მხატვარი ძუკუს.

— ორი დღეა ავად არის. დღეს დაგვიძახა და ვაშლიას ამბავი გვითხრა. მეც ამიტომ გამოვიქეცი აქეთ.

— ვაიმე უბედურს! — წამოიყვირა ვაშლიამ. — რაღა მეშველება აწი?!

— წამოდი, შენი თვალით ნახე, გაუხარდება!

— დედოფლის მესირცხვილება.

— დედოფალს ვინ გააგებინებს?! ვიჩუმათოთ!

— შენ ხომ არ წამოხვალ? — შეეკითხა ბიძაშვილს ვაშლია.

— მე მინდა ვნახო, თორემ შენ ქე ნახე და ის არის.

* *

ჯვრის მონასტერში მას არავინ ელოდა. როცა გაიგეს, ვინ იყო, გაოცდნენ.

ღრმად მოხუცი შოთა რუსთაველი იერუსალიმში ჩამოსულიყო.

— პიიტიკოს კაცს ნეტავი რა ცოდვა დაედო ამსიმძიმე, ამხელა გზა რომ გამოუვლია?! — კითხულობდნენ ბერები.

— მასზე ცოდვილი ქვეყნად ადამიანი არ დაიბადება. „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი პწკარი ცოდვით არ არის სავსე?

— ვითომდა რათაო?!

— მკრეხელობაა, ღვთის უარყოფაა თავიდან ბოლომდე.

— სიბრძნით და მუსიკობით არის სავსე, ღვთის უარყოფა მე იქ ვერ ვნახე!

— თვითონ ნახა, ალბათ, და მიტომ მოაშურა წმიდა ჯვარს. თუ აპატია უფალმა ჩვენმა, ბედნიერი ყოფილა.

— ტაძრის გამშვენიერება განუზრახავს, მოხატვა და გამდიდრება შესამკობელით.

— კათალიკოსის ნებაცაა უთუოდ.

— დიდი თამარის სიცოცხლეში ძლიერნი ვიყავით. ახლა ურჯულოებიც მოგვეძალნენ და ბერძნებიც გვექიშპებიან.

— შოთას ჩამოსვლა განაახლებს ქართველთა ამ ხატსაყუდელს.

— ჭეშმარიტად დიდია მისი განზრახვა. იერუსალიმი ქრისტიანთა სასულისთქმო ადგილია.

— ღმერთმა უშველოს, ერის კაცი იყო. უკვდავება დაიმკვიდრა ერსა შინა, აქ კი, ჯვრის წმიდა ტაძარში, იმქვეყნიერ შვებას მოიპოვებს, ალბათ.

— მეეჭვება, ამისათვის იყოს ჩამოსული. იქნება, ქართლის

გამაგრება და განმტკიცება ჩვენი საყუდელიდან ისურვა დიდმა შოთამ?!

— ვინ იცის, რას ფიქრობს ღვთის ტოლი ბრძენი?!

— ცას ვარსკვლავი არ დააკლდება, ასეთ ადამიანს — ფიქრი და ზრახვა კეთილი.

— ჩვენ მისი კეთილისმსურველნი ვართ. მის ახლოს ყოფნა ძალასა და ღონეს გვმატებს უბრალო მოკვდავთ.

— ვითომ მარტო მობრძანდა ქართლიდან საუნჯე კაცი?

— არა, ორი მხლებელი მოჰყოლია, მოუცილებიათ და უკან გაბრუნებულან.

— ვინ იყვნენ ნეტავ?

— ერთი ამირბარი ყოფილა, მეორე ამირბარის ცოლისძმა. როგორც ამბობენ, ტაძრის მომხატავი უნდა ჩამოუყვანონ საქართველოდან.

— ძალიან იჩქარის რუსთაველი. ეტყობა, მოახლოებული განგების ეშინია.

— ამბობენ, შიში არ იცისო. სინამდვილეს ეკრძალვის, ალბათ.

ამ საუბარში იყვნენ ჯვრის მონასტრის ბერები, როცა შოთა, თავის სენაკში ხის ტახტზე წამოწოლილი, ფიქრს მისცემოდა. მხოლოდ ჭილობი ეფინა ნაჯახით ბლაგვად ნათალ თხმელის ფიცარს. რა არ იხილა თავისი ცხოვრების მანძილზე, სად არ იარა?! ბოლოს მაინც ბერობის გზას მიენდო ამ ქვეყნიდან უშფოთველად გასაშორებლად! განა არ ერჩია ვარძიის ქვაბებში დაყუდებულიყო — მამა-პაპის საფლავთა ახლოს?! არა, არ ჯობდა. იქ ისევ აუშფოთებდა სულს მამულის ბედი. ახლა ხომ აღარ იყო თამარი?! ქართლის ხმალი მოიღალა, პატრონი დაუსუსტდა, ისე ვეღარ ელავს და ჭრის. ქვეყანას კი მხოლოდ და მხოლოდ პატრონი აღამაღლებს და განამდიდრებს. სუსტი და ცუდი წინამძღოლი ერის დოვლათს დასცემს, დააკნინებს, ძალღონეს წაართმევს, დააჩაჩანაკებს. ასე ყოფილა და ასე იქნება. მე უბედურს რა შემეძლო, მარტო გონიერებას რა შეუძლია ამქვეყნად?! არაფერი! მონა ვიყავ და მონადვე მივდივარ ამა ქვეყნიდან. მწამდა თამარი, მისი სიტურფე და მისი მაღალი გონიერება. ის წავიდა სურვილდაუწყურებელი. ბევრი რამ შეძლო და მაინც გულნაკლული განშორდა თავის ქვეყანას. წავიდა

სულნათელი და ჩვენც დავძაბუნდით, სხვა ჰაერმა დაბერა, ცხოვრების სხვა ტალღები შემოახეთქა ჩვენს ხომალდს. დიდ დავითთან ერთად თამარი უდარებელი პატრონი ჰყავდა საქართველოს. ისეთები ასში ერთი თუ გამოერევა ქვეყნის მმართველთა შორის. მან ჩაუდგა უძლეველობის ღონე ჩემს მამულს, მან გასტყორცნა მისი სახელი და დიდება ამ მიწის კიდითკიდემდე. მისი სახელი შიშის ზარს სცემდა სამშობლოს მტრებს, იმედს აძლევდა მეგობარსა და მოყვარეს. ახლა აღზევებული აღმოსავლეთი წალეკვას უქადის მიწის პირს. ვინ შეძლებს მის მოთრგუნვას? ძეხორციელი ვერ შეაკავებს მათ გრიგალისებურ ლტოლვას. ბნელეთი უახლოვდება ჩემს მიწა-წყალს. ახლა უნდა ძლიერი ხელმწიფე ჩემს ხალხს; გონიერი, შორსგამჭვრეტი და სამხედრო საქმეში დიდად გაწვრთნილი.

ამ ფიქრში იყო შოთა, როცა სენაკის კარი მოკრძალებით შეაღო ჭაბუკმა მსახურმა.

— წინამძღვარმა შემოგითვალათ, მალე გეახლებითო.

— კრძალვით დაველოდები მის მობრძანებას. შენ ვინა ხარ, შვილო ჩემო, საიდან ხარ?

— მე, დიდო ბრძენო, გონიოდან ვარ, ათაბაგის ყმა გახლავართ. წიგნებს ვწერ.

— განგება შეგეწიოს, დიდი საქმისთვის მოგიკიდნია ხელი. ჯერ თუ რამე გიწერია ყრმაკაცს?!

— სახარებანი დამიწერია წინამძღვრის ბრძანებით, თქვენი თხზულებაც მინდოდა, მაგრამ... — ენა დაება ჭაბუკს. გაჩერდა, ფერიც დაეკარგა.

— შეგეშინდა თუ ნება არ მოგცეს? — თითქოს გაეღიმა შოთას, თვალებში კი უნებლიე წყენა ჩაუდგა.

— არ შემშინებია, მაგრამ ტყავი არ მეყო. წინამძღვარს კი ვერ გავუბედე.

— შენ თუ წაგიკითხავს?

— ზეპირად ვიცი. გონიოში ყველამ ისწავლა, თუმცა წერაკითხვა ბევრმა როდი იცოდა?!

— ჩემი მოსვლის ჟამს თქვენ აქ იყავით?

— აქ ვიყავი. ორი მხლებელი მოგყვათ.

— ისინი გამოჩენილი ადამიანები არიან. ერთი ამირბარია,

მეორე უბადლო მეომარი. ამირბარი გონიოდანაა, თქვენებური.

— ჩემებურია? ნუთუ ვაშლია გოდუაძე გახლდათ, შოთაკ ბატონო?!

— სწორედ ის იყო, შვილო. დღედღეზე ისევ ველი. ტაძრის მომხატავი უნდა მომიყვანონ. ჯვარი შელანძღულა, ხელახლა უნდა გავამშვენიეროთ.

— თამარის შემდეგ ხარჯი არ მოგვსვლია საქართველოდან, აბა, თვითონ რა უნდა იღონოს წინამძღვარმა?

— თუ არ დაიგვიანეს, სხვაც ბევრი რამ უნდა ჩამოიტანონ.

— რახან შეგპირდნენ, სიტყვას არ გატეხენ. ვაშლიას მეუღლეს უქებენ — ბრძენი და ლამაზი ქალიაო.

— ახლა ისიც ხანში შევიდა. თოთხმეტი შვილის დედაა, ძალზე ლამაზი კი იყო. თამარსაც მოსწონდა.

— მამაჩემისაგან გამიგონია, თვითონაც მართავდა თურმე ხომალდს.

— კი, ნამდვილად მართავდა. ფიცხელ ომებშიაც ყოფილა. ვაჟკაცებზე ნაკლებ არ უბრძოლია. ვაშლიას რომ თან მოჰყვება, ისიც გონიოდანაა.

— მომხატველია?

— დიდი მხატვარია. თამარს უყვარდა მისი ნიჭიერებით.

— აბა, თქვენს სურათს დახატავს. „ვეფხისტყაოსანს“ მე გადავწერ, მან თქვენი სახე დახატოს.

— წიგნი თან არა მაქვს, ისე ძნელია.

— სულ ზეპირად ვიცი. თუ შემეშალა, გამისწორე, შოთა ბატონო.

— გაიხედე, ვიღაც მოდის, შვილო.

— წინამძღვარია, თქვენთან მობრძანდება.

• • •

— მე მხოლოდ ასოებს ვხატავ, შენ კი — ადამიანის სახეებს.

— მეტად ზუსტია შენი ხაზი, დიდი ნიჭი გაქვს.

— საღებავის კი არაფერი ვიცი. მხოლოდ ოთხ ფერს ვარჩევ: შავს, თეთრს, წითელს და ლურჯს. მწვანე რომ მწვანეა, ისიც მერევა ლურჯ ფერში.

— მე ფერები მიყვარს. უიმათოდ ცხოვრება არ შემიძლია. გახსოვს, გონიო, ზღვის პირი?! დილით თუ დაღამების ჟამს რამდენი ფერი ღვივის იმ დალოცვილში. სიმღერა მოგინდება, გალობა მოგეწყურვილება.

— ნუ გამახსენებ, თუ ძმა ხარ. რამდენი ხანია მენატრება მისი ველ-მინდორი, მისი ციხის გოდოლებზე პოტინი.

— არა, ჯერ ვერ წავალთ. ხატების წერას რომ მოვათავებ, წინამძღვარს ვთხოვოთ, დროებით გამოგიშვებს.

— ვაშლია არ ჩამოვა აწი?!

— ვინ იცის, რა ამბავია საქართველოში. ახლა შოთაც ძალზე მოტყდა, გუშინ სენაკიდან გარეთ ვერ გამოვიდა. უცებ მოითენთა, ეტყობა, ამ წელს ვერ გადაიტანს.

— ქართლში წასვლა არ სურს. ვარდიფინაც გაიხსენა. მოიგონა, „ვეფხისტყაოსანი" შორეული ზღვაოსნობის ჟამს თავისი ხელით რომ გადაწერა. თამარს უყვარდა თურმე ძალიან.

— ვარდიფინა სხვა ქალი ყოფილა. თამარის აღზრდილი სხვანაირი არც შეიძლება ყოფილიყო.

— განა რუსუდან დედოფალი თამარის აღზრდილი არ არის?

— ვარდიფინა წმინდანია. ცხრა ვაჟი და ხუთი ქალი გაუზრდია. კარგი საქმეა. ისეთი ქალ-ვაჟები მტერსაც შეენატრება. ამბობენ, დედის ხათრიც დიდი აქვთო.

— ალბათ, ამიტომ უყვარს შოთას. ვის არ ეყვარება ასეთი ქართველი ქალი.

— ყველაზე მეტად ის უხარია ვარდიფინას, შოთამ რომ თქვა ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო. მეც ვაჟკაცების სწორი ვარ, ასეთი რამ სხვას ჯერ არავის უთქვამს მიწის პირზეო.

— ქმარი ძლიერ ყვარებია.

— ბევრჯერ თავი გაუწირავს მისთვის. ერთხელ, ფიცხელ ომში მძიმედ დაჭრეს ვაშლია. თერთმეტი ისარი გაუყარეს გულმკერდში. უთვალავ დაჭრილთა და მოკლულთა შორის თვალმოუხუჭავად ეძია სამი დღე-ღამე. იპოვა, უმკურნალა და ფეხზე დააყენა. როცა ჰკითხეს, რომ მომკვდარიყო რას იზამდიო, უპასუხა: არაფერს არ ვიზამდი, გვერდით მივუწვებოდი, მასთან ერთად დავიმარხებოდიო!

— ვაშლიასაც ძალზე უყვარს თურმე.

— რა დღესაც მას ვერ ნახავს, იმ დღეს მზე მისთვის აღარ ანათებს.

— აი, ბედნიერები ისინი ყოფილან.

— კი, ბედნიერები არიან. ვაშლია, ალბათ, მალე ჩამოვა, შოთას ასე მარტო არ მიატოვებს; ახლა ბოდოკიები?!

— ესენი ვინ არიან?

— ვარდიფინას ძმები, გლეხკაცები, ოდესღაც გეგუთში დაასახლეს თამარის ბრძანებით. ყოველი მათგანი თითო ლომია. მუჭს რომ გაშლიან, მათ ხელის გულზე ლელობურთს ითამაშებს ერთი სოფელი. მიწა უყვართ, შრომის ხალხია. შოთაზე მზე ამოსდით.

— ალბათ, უზომოდ უყვართ ერთადერთი და.

— ერთი ჰყოლიათ და ისიც ერთი ქვეყნის ფასია. ეყვარებათ, აბა, რა იქნება.

— ხედავ, შოთას სენაკის კარი გაიღო, ერთი წავიდეთ, ვნახოთ მეფეთა სწორი.

— წავიდეთ, მგონი სტუმრები მოსულან კიდეც.

— აქედან არავინ ჩანს.

— ნაბადია კართან მიყუდებული. ეტყობა, ჩვენებურია.

ორივენი ზემო სენაკებისაკენ გაემართნენ. მზე ჩადიოდა. მისი სხივები მონასტერს ისე შემოხვეოდა, თითქოს ქვეყნის დატოვება ენანებაო. აქედან კარგად მოჩანდა გეთსიმანიის ბაღიც. ზეთისხილის რტოები მზეზე ისე ირხეოდნენ, გეგონებოდათ სხივებს იხვევენ ტანზეო.

სენაკის წინ, მართლაც, ნაბადი იყო მიყუდებული. კარის ზღურბლს მათი ლანდი დაეცა.

— ვინა ხართ, მოგვეშველეთ! — მოესმათ შიგნიდან უცნობის ხმა. სენაკში შეცვივდნენ და უცებ მეხდაკრულივით გაშეშდნენ. შოთა სკამლოგინზე იწვა, თვალები დაეხუჭა, მიცვალებულს ჰგავდა. თავთით არქიმანდრიტი უჯდა, იქვე უცნობი ვაჟკაცი იდგა.

— ნუთუ ავად არის! — წამოცდა ერთს.

არქიმანდრიტმა თვალით ანიშნა, გაჩუმდითო.

შოთამ ამ ხმაზე თვალები გაახილა. ორივეს შეხედა და გაიღიმა.

— აკი ვაშლია მოდისო?! — ჰკითხა ვიღაცას მოხუცის მიმქრალი ხმით.

— სულ მალე აქ გაჩნდებიან, მე წინ გამომიშვეს, — უპასუხა უცნობმა ჭაბუკმა.

— ვითომ მომისწრებენ?

— საცაა მოატანენ, — მტკიცედ თქვა უცნობმა და მონასტრის მძიმე ხის კარს გახედა. მართლაც, ვიღაცამ ჭიშკრის ზარს ჩამოჰკრა. წყნარად აღუღუნდა პატარა ზარი. მერე კარის ჭრიალს ცხენების თქარათქური მოჰყვა.

— ნუთუ მოვიდნენ? — ისევ წყნარად იკითხა შოთამ.

— უთუოდ ისინი არიან.

მონასტრის დიდი ეკლესიის წინ სამი ცხენოსანი გამოჩნდა. ძალზე დაღლილები ჩანდნენ. ტანსაცმელი სულ დამტვერილი ჰქონდათ. მოაღწიეს თუ არა კარიბჭეს, ჩამოქვეითდნენ და ფეხით წამოვიდნენ. ჭაბუკი წინ შეეგება.

— დაიგვიანეთ, — უჩურჩულა მოსულებს.

სამივეს მუხლი მოეკვეთა, ერთ ადგილას გაიყინენ.

— კიდევ კარგი, ცოცხალს რომ მოუსწარით, საღამომდე შეიძლება ვერც კი მიაწიოს. სულ თქვენ სახელს ახსენებდა, ამირბარო, წუხს — ეტყობა, გრძნობს სიკვდილის სიახლოვეს და შენს მოსვლას ელოდება.

ვაშლიას ხმა არ ამოუღია, სენაკისაკენ წავიდნენ.

ფეხის ხმა გაიგონა თუ არა, შოთა ისევ გამოფხიზლდა, შემოსულებს მიაჩერდა და გაიღიმა. საამო იყო მისი ღიმილი, ნათელი და ბედნიერი.

— ვარდიფინა ხომ კარგადაა, ჩემი ნათლულები როგორ არიან?

მოსულთაგან ყველაზე ახალგაზრდა შოთას ფეხებთან ჩაემხო.

— აქა ვარ, ნათლია ბატონო, შენთან. დედამ კოცნით მოგიკითხა, — ჩაილუღლუღა ცრემლმორეულმა.

შოთა შეკრთა. ოდნავ წამოიწია. დაჩერდა და იცნო.

— ამ სიშორეს არც უნდა წამოსულიყავი, შვილო. თუმცა... თუმცა მე მეტად მასიამოვნე. ბედნიერი იყავ შენ ხალხთან ერთად! — ისევ მილულა თვალები. ეტყობა, დაიღალა, მოითენ-

თა. სუნთქვას მოუხშირა. მერე ანაზდად ღონე მოიკრიბა, წამოიწია.

— არ დამიმალოთ, რას იქს მამული ჩვენი. ვაითუ მტერთა სანავარდოდ იქცა ქართლის მიწა-წყალი?!

ამირბარს და მის მბლებლებს თვალები აუგიზგიზდათ.

— მამულს რა უჭირს. ვაი, რომ თქვენ ბრძანდებით სუსტად. წაყვანა გვინდოდა თქვენი, ვარდიფინამ გვიბრძანა — ვარძია. ელის თავის შვილსა და მამასო, — მოკრძალებით უპასუხა ვაშლიამ.

— გვიანღაა. მე თეითონ განვაგე ბედი ჩემი ასეთი ბოლო წუთისათვის. ამ ტაძარში ქართული სურნელოვანი ზედაშე და მირონი იშოვნება.

ვარდიფინას ვაჟი, შოთას ნათლული დემნა-ჭაბუკი წინ წამოდგა.

— ჩვენო ნათლია, დედამ ეს ყუთი მოგართვათ! — მოხუცი წელში გაიმართა, ყუთს ხელის კანკალით ახადა თავი. შიგ წიგნად შეკრული „ვეფხისტყაოსანი" იდო.

— თამარისეული ჩემი წიგნი!.. — ჩაიჩურჩულა, გადახსნა და ალმური მოედო, თამარის ხელწერა იცნო. ამ წიგნს ვარდიფინას უტოვებდა, როგორც უძვირფასეს განძს ძვირფასთა შორის.

მიიხედ-მოიხედა, თითქოს შველას სთხოვდა ყველას. მერე ისევ მიეყრდნო სასთუმალს. ღონე გამოელია. თვალი არ გაუხელია, ისე ჩაილაპარაკა:

— როცა წმიდა მამების სახეებს დაასრულებ, მე, მონა-მონაფე, მუხლმოდრეკით მიმახატე მათ ფერხთით. თვალები თქვენ დამიხუჭეთ, გონიოდან ხართ. ბედნიერ კაცს ყოველთვის ახლობელი დაუხუჭავს თვალებს. თქვენზე ახლობელი ვინ მყავს ახლა მე?! იბედნიერეთ!.. როცა იქ ჩახვალთ, ჩემს მიწას ემთხვიეთ. დამილოცნია მართალი გულით მისი ველ-მინდორი, მისი ბაღ-ვენახი, მისი მიწა-წყალი!

ყველამ დაინახა, როგორ გადმოუვარდა დიდ მოხუცს ორი კურცხალი და სასთუმალს დაეცა.

არწივები ცაზე აფრენილი კვდებიან

ლეგენდა რიონზე

ქართული ლექსის განუმეორებელ
დიდოსტატსა და ლომკაცს
გ ი ო რ გ ი ლ ე ო ნ ი ძ ე ს

ყველა ქვეყანას თავისი გული აქვსო ამბობს ეს თქმულება. სწორედ ამ გულით გრძნობს ქვეყანა თურმე მამულის ტკივილსა და სიხარულს, თავისი ხალხის ბედნიერებას და უბედობას.

ეს გული არავის არ ენახვება, არავის არ ეჩვენება, არავის დაელანდება. იგი ქვეყნის ისეთ ადგილას დევს, სადაც ერის სასიცოცხლო ფესვები ჩაკირულა, მისი სუნთქვის პირველი ნატამალი დაბუდებულა. დევს იქ, ქვეყნის შუაგულში, ცის ლაჟვარდოვან გუმბათსა და ქვესკნელთა შორის, ადამიანებისაგან თვალმიუკვლეველ ადგილას და ფეთქავს. ფეთქავს ზომიერად, ძალუმად, შეუჩერებლივ. მისი ფეთქვის ჯანზეა დამყარებული ერის სიკეთე და ფათერაკი, ხალხის ღონე და კარგადყოფნა, ამ ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება.

კავკასიონის მაღალმწვერვალების ქვეშ, ფასის მთის კალთების ქვესკნელში, კლდის უტეხ ქანების კვართიან ძარღვებშუა, ლაჟვარდისფერი ტბა ყოფილა.

ამ ტბაში ნაკვერჩხალდაყრილი კალმახები დანავარდობენ, მაღალყელიანი გედები დასცურავენ, ნისლშებურვილი, მარგალიტით სავსე ნიჟარები სახლობენ.

მის ნაპირზე საკვირველი ფერის ვარდები ყვავილობენ, უცნაური ხეები ხარობენ. მათ ტოტებზე უთვალავი იადონი თუ ბულბული გალობს.

ტბის ფსკერი ალმასის კენჭებითაა მოფენილი. მისი კიდენაპირი მთვარის ოქროს სხივებით მოვარაყებულია.

თქმულება ამასაც ამბობს: ამ ტბის კრიალა ტალღებში მხოლოდ ღმერთები ბანაობენო.

გათენების ჟამს, სწორედ მაშინ, როცა დღისა და ღამის გათიშვის წამი შეგუბთება, როცა, როგორც იტყვიან — მდინარეები და ზღვები ერთი წუთით მიიძინებენ და გაინაბებიან, მაშინ ცის კარი ნელა იხსნება, მისი გუმბათიდან ტბის ზედაპირამდე ლაჟვარდის კიბე ჩამოცურდება და ღმერთებიც დიდებით, ამაყი სიდარბაისლით ჩამოეშვებიან ძირს. ჰო, როგორ ლივლივებს იმ დროს უხილავი ტბის ზედაპირი?! გარემოს ია-იის ფურცლის სურნელება მოედება, ტბის ფრინველები და თევზები გაილურსებიან, ხეები ტოტების რხევას შეაჩერებენ. წყნარად ბანაობენ ისინი და თან ტბის ქვესკნელში ალმასის ხუფს ახდიან და უხილავ მოალმასებულსავე ორმოში ჩაყურსულ ქვეყნის გულს ჩააკვირდებიან. ალმასთა ელვარებას გასინჯავენ, თუ რამე ლექი შენიშნეს ახლომახლო, წამსვე გადაწმენდენ და მის ფეთქვას ყურს დაუგდებენ. იგრძნობენ რა მის ზომიერ და ჯანით სავსე მოძრაობას, ერთხელ კიდევ ტალღებში გაეხვევიან, განიბანებიან და იმავე ლაჟვარდის კიბით ზეცაში ამაღლდებიან.

ხალხს არც ის დავიწყებია ეთქვა: ქვეყნის გულს თავისი საკონი ძარღვები სჭირდება, თავისი სისხლსადენი მილები აქვსო. რიონის პირველი წყაროც სწორედ იმ ადგილიდან გამოდის, სადაც ქვეყნის გული დევს. მაშასადამე, მისი საკონი ძარღვიც ის არის, მისი ლექის გამტანიც რიონის ტალღებია, მისი წუხილის შემნელებელიც უთუოდ იგი იქნება. ამიტომ არის რიონი თითქმის მუდამ მღვრიე თუ ღრუბლოვანი, დარდდაკრული და ტალღამშფოთავი. მას დამდორებულს ვერასდროს ვერ ნახავთ, მის შხეფსა და წვეთს სუფთას ვერ მოიგულებთ. აბა, ქვეყნის გულის გამრეცხს რა შეაჩერებს, ან სუფთას და უტალახოს ვინ გახდის?! მისი შხეფი ხომ ყოველი ქართველი კაცის გულის ნაბანია, მისი დარდის შემნელებელია, მისი შფოთიანი ნაფიქრალით არის შეფერილი, მისი აზრის ავ-კარგით არის შემღვრეული.

ჰოღა, გაუტეხელი კაცი ყოფილა ვამეხ გულბანი. მისი სახელი დასალიერიდან დასალიერამდე ყოველმა მოსახლემ იცო-

და. თვალი სინათლესავით გამჭვალავი და გამჭრიახი ჰქონია ვამეხს. მისი ნასროლი ისარი დღე-ღამის სავალ მანძილზე ხარირემს წააქცევდა. ჩრდილში თვალითუმჩნევ მზის სხივის ბეწვს გამოითვლიდა და აგიზგიზებულ ცეცხლში ნამის ნატამალს შეამჩნევდა. მკლავიც მაგარი ჰქონია გულბანს. მისი დაკრული ხმალი შეტოტებულ ვეფხვს სულის მოთქმამდე შუაზე გაჰკვეთდა. ძარღვი რა არის, ერთ ძარღვსაც არ დაუტოვებდა ჩაუსხეპელს, ისე სუფთად გაუვლიდა ხმალი ნადირის მთელ სხეულს. ნათელფენილ ქვეყანასაც იცნობდა და იდუმალებით სავსე სამყაროს ნისლშებურვილ მოვლენებს გონებით წვდებოდა, სხვისთვის მიუწვდომელს მიწვდებოდა, გამოუცნობს შეიცნობდა.

ასეთ ძლიერ ვაჟკაცს ერთი რამ აწუხებდა, ჯერ კიდევ თავისი გულისტოლი ვერ მოენახა. თავისი ცხოვრების მეუღლისთვის ვერ მიეკვლია.

იგი ყველა ჩვენგანივით ადამიანი იყო და, აბა, უიმისობა ხომ ცხოვრებას ანახევრებს, აძაბუნებს, უხალისოს ხდის და შთამომავლობას ხვალინდელ დღეს უკვეთავს.

უფრო დიდი დარდიც ჰქონია ვამეხს. თავისი მიწა-წყალი, თავისი მამული უზომოდ ყვარებია.

დილიდან დაღამებამდე მის ალერსში იყო, მის მთა-ველს ეფერებოდა, მის ტყესა და წყალს ელოლიავებოდა.

მამულის ცვარ-ნამი გულზე ეპკურებოდა, მისი მზის სხივი ბეჭებზე ეფინა. მისი სუნთქვით სუნთქავდა, მისი თვალის სინათლით იხედებოდა. აყვებოდა თურმე ფასის მთის ფესვკალთამდე მიუვალ ბილიკებს, გორაკებს გადავიდოდა, წყაროებს შესვამდა, ჯიხვს მოინადირებდა და მერმე ისევ თავდაღმა დაეშვებოდა.

ერთ საღამოს კლდის თავზე, ყველაზე ცივ წყაროსთან, სწორედ იმ აშხეფებულ წყაროსთან, მარგალიტივით რომ ცვივა, ვამეხმა უცხო ქალწული შენიშნა.

ქალს პირი დაებანა და თმებს იეარცხნიდა. უცხოდ ნაქსოვი სამოსი ეფინა ტანზე, ფეხზე ძელქვისაგან ტურფად ნათალი ქოშები ეცვა, თავზე მინდვრის ყვავილებისაგან დაწნული ცისარტყელა ეხურა.

ღამეს თავისი ძალღონე დაემკვიდრებინა გარშემო და ირგ-

ელივ ბნელოდა. მხოლოდ უცხო ქალწულის ახლოს საოცარი სინათლე მოქშუოდა.

ვამეხმა მისკენ გაიხედა, თვალს ძალა დაატანა და გაოცდა. ქალწულს ხელში ცოცხალი თევზი ეჭირა. ცივი მდინარის ბინადარს ნაკვერცხალდაყრილ ფარფლებიდან ჟრუანტელმომგვრელი ნაზი სინათლე მოქშუოდა.

— კალმახი ჰყოლია პირფარეშად, — გაიფიქრა ვამეხმა და ახლო მიიწია.

ქალმა იგრძნო თუ არა უცხო ადამიანის სიახლოვე, თევზი წყაროს თვალში ჩაუშვა და უცებ თითქოს სანთელი ჩაეწოთ მდინარეში, ყველაფერი სიბნელემ მოიცვა. ამავე დროს გორაკგადაღმიდან მოისმა ყმაწვილის ჭირვეული ხმა:

— დუნიადარ, დუნიადარ, ვეღარაფერს ვხედავ, სანთელი მომინათე, საყვარელო, სანთელი!

— უიმე, სულ დამავიწყდა, — მოესმა ქალის შიშნარევი ჩურჩული ვამეხს. — ამ წუთში შენკენ მოვრბივარ, ძამიკო გულბააზ, — გასძახა ახლა ხმამაღლა ქალწულმა.

„ქალს დუნიადარი რქმევია, ვაჟს კი გულბააზი", — გაიფიქრა ვამეხმა.

მოისმა ფეხის ხმა და ვამეხმა სულ ახლოს იგრძნო ქალის ტანის სითბო და სურნელება. ჰაერის გარხევაც არ გამოეპარა ვაჟს. ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი მიჩუმდა, მხოლოდ გაღმიდან მოისმა ჩურჩული.

— იქ ვიღაც უცხო კაცია, ბიჭო!

— უცხოს აქ რა უნდა?! — გაიკვირვა ყმაწვილმა.

— ჩემი თვალით დავინახე, — ისევ წყნარად თქვა ქალწულმა.

— აქ ვერავინ ამოვიდოდა, ვამეხის გარდა.

— სწორედ ის უნდა იყოს!

— მართლა?! — გაუკვირდა და გაეხარდა ყმაწვილს. — დუნიადარ, შენი ჭირიმე, ვნახოთ და გავეცნოთ!

— სსს, — გააჩუმა ქალმა, — არ გაიმეორო, იქნებ ესმის კიდეც!

— შენი ჭირიმე, გავეცნოთ, ჰო, როგორ მინდა ვამეხის გაცნობა?! ხომ გახსოვს რა სთქვეს, მისი გაკეთებული ისარი იალბუზს ჰოსტეხს წვერსო.

ვამეხს გაეღიმა.

— მე წავალ, შენ დარჩი, — გაჯიუტდა ქალი.

— რას ამბობ, აქ მიმატოვებ?!

— აბა, წავიდეთ!

მოისმა მათი ფეხის ხმა და ვამეხი მიხვდა, რომ ისინი ფერდობებს აყვნენ ზემოთ.

„მართლაც წავიდნენ, — გაიფიქრა მან, — უნდა დავეწიო, გავიგო მათი ბინა და ვინაობა“.

იგი სწრაფად გაიჭრა მათკენ.

მაგარი მუხლი და სწრაფი ნაბიჯი ჰქონია ვამეხს, არც ისინი აღმოჩნდნენ ბეჩავნი. იქ, სადაც მაღალი მწვერვალები მუდამ თოვლით არიან დაფიფქულნი და გაყინულნი, მხოლოდ იქ წამოეწია ვამეხი დუნიადარს და გულბააზს.

თოვლის ელვარებისაგან გარშემო თეთრი სინათლე იდგა.

— ვაიმე!.. — წამოიძახა დუნიადარმა, ვამეხის შავი და გონიერი, ირმისხელა თვალები რომ დაინახა. იგი ყმაწვილს გადაეფარა.

— რა დამიშავებია, ასე რომ გარბიხარ, დუნიადარ?! ან ყმაწვილს რას ვერჩი, რომ გადაეფოფრე! — ბიჭი მკლავებში გამოუძვრა დას და ვამეხს წინ გადაუდგა.

— ვამეხი ხარ, ხომ? — შეაგება სიტყვა ყმაწვილმა, — ჰოი, როგორ ვნატრობდი შენთან შეხვედრას!

— დუნიადარს რა დავუშავე, ასე რომ გამირბის?

— მამაკაცის გეშინოდესო, — უთხრა პაპამ.

— შენი პაპა ვინ არის?

— ჩემს პაპას მამამზე ჰქვია, გივარგიანთა გვარისა ვარ.

— ჰოო, მამამზე ნახევრად ღმერთკაცია. ხალხის საყვარელი მოხუცია.

— ჰოდა, დუნიადარიც და მეც მისი შვილიშვილები ვართ. მამა არა გვყავს, დიდმა ზვავმა ჩაიტანა.

— ვიცი, გამიგონია. გონებას და მკლავს უქებდნენ. მისმა ქალიშვილმა მე რისთვის უნდა ამარიდოს პირი?!

— უპასუხე, დუნიადარ, უპასუხე. მე კი მშვილდისარს ხომ გამიკეთებ?! — შეეკითხა ახლა ყმაწვილი ვამეხს.

— გაგიკეთებ, — დარწმუნებით უთხრა გულბააზს ვამეხმა, — უსათუოდ გაგიკეთებ. ჯიხვის ძარღვისგან ლარს დაგიგ-

რეხ, ძელქვის ტოტს თაფლში მოგიხარშავ და შვილდს გაგიკოპიტებ, ისრის წვერს ალმასით მოგიკალავ.

— ოლოლი მე, — ტაში შემოჰკრა ბიჭმა, — იმით შავ ურჩხულს გულს გავუპობ.

— დუნიადარ, ხმა გამეც, უბრად ნუ გამიშვებ!

— ჩემი სიტყვა თუ რამეთ მოგეხმარება?!

— მომეხმარება კი არა, თვალში სინათლეს მომმატებს, ტანში ცხრა ვეფხის ძალას ჩამიდგამს. დუნიადარ, შენი ხმა ამიერიდან ჩემი სიცოცხლის ხმაა, ჩემი მზის ამოსვლის ეჟვნებია. უიმისოდ დღე არ მინდა გამითენდეს!

ქალიშვილს სახეზე ფერმა გადაჰკრა, ტანი შეუტოკდა.

— მეჩქარება, პაპა დაგვიანებისთვის გაგვიწყრება.

— შინ რათ არ მეპატიჟები, დუნიადარ?! განა ჩემი სტუმრობა გერცხვინება?!

— როგორ გეკადრებათ, მობრძანდით, პაპას გაეხარდება.

— იცოდე ჭიშკართან დაგხვდები, — ატიკტიკდა ისევ გულბააზი, — როდის მოხვალთ, დამითქვით!

— მთვარე რომ დაილევა, სწორედ მაშინ მელოდეთ. მანამდე ზღვისპირეთი უნდა მოვიარო, ჩემი თვალია იქ საჭირო.

* *

ბაბუა მამამზეს ცხრაფად დაეკვართა შუბლზე ძარღვები, როცა გულბააზმა ვამეხთან შეხვედრა არ დაუმალა. ეტყობა, არ მოეწონა მოხუცს შვილიშვილებთან ვამეხის შეჩხება და საუბარი.

— კეთილი ვაჟკაცი უცხო ქალწულს ასე არ შეესიტყვებოდაო! — იწყინა კიდეც.

ვამეხს სტუმრობაზე მაინც უარი არ უთხრა.

კიბის თავზე შემოეგება უცხო ჭაბუკს.

— ჩემი შვილიშვილის მთხოვნელი პირობით უნდა შემეკრას, ისე ჩემი სახლიდან ქალწული ფეხს ვერ გადაადგამსო, — განაცხადა მამამზემ.

ვამეხი ჩაფიქრდა. რა უნდა ყოფილიყო ისეთი, ჭაბუკს უარი ეთქვა მის შესრულებაზე?! დუნიადარ ხომ მისი სიცოცხლე იყო?!

— ნუთუ ასე სუსტ კაცად მიგაჩნივარ, თქვენი სიტყვის გარდაუვალი ვქნაო?! — გაოცდა ჭაბუკი.

— ეგ არ მიკადრებია, შვილო! — გაეხსნა შუბლი მოხუცს. ეტყობა, თანდათან მოეწონა სასიძო. — მხოლოდ გეტყვი, ჯერ კიდევ ჩემი მამა-პაპანი არიან ღმერთებთან შეფიცულნი, ქვეყნის გული უნდა მონახონ, მიაკვლიონ, დაეპატრონონ და ჩვენს მიწაწყალზე შესაფერი ადგილი მოუნახონ.

ვამეხს ტანში გაცრა. ჯერ კიდევ პატარაობის ჟამს მისი პაპაც უბარებდა შთამომავალს, სანამ ქვეყნის გულს ჩვენს მამულში არ მოვიგულებთ, ჩვენს მიწაწყალს მყარი ბალავარი არ ექნება და ცის თავანიც ყოველთვის ღრუბლიანი გვეხურებაო.

— ნუთუ ყველა პაპა-კაცი ამას უბარებს თავის მომავალსო! — გაიფიქრა ვამეხ გულბანმა.

— თქვენი სიტყვა ქვეყნის ხმაა, მამამზე ბატონო, მეცა და ჩემი შთამომავალიც მის აღსრულებას გადავეგებით. ჩვენთვის ჩვენი სამშობლოს ავ-კარგი ჩვენივე სიკვდილ-სიცოცხლე არ არის განა?!

— მაშინ ჩემსკენ მოიწი, მოგეხვევი, შვილო ჩემო, შენს ბეჭებს მოვუალერსებ და დავლოცავ. მალე გულბააზიც დაბწიფდება, დავაჟკაცდება, ისიც წამოგვეწევა!

ვამეხმა ორივე მუხლით ჩაიჩოქა მამამზის წინ.

— უიმე! — მოისმა გაოცებული და შეშინებული დუნიადარის ხმა ყვავილნარიდან.

ვამეხს და ბაბუა მამამზეს ორივეს ღიმილი მოუვიდათ სახეზე, ორივე მიხვდნენ, როგორ გასთქვა თავისმა შიშმა დუნიადარი. ქალწული, მართლაც, შეაშინა ვამეხის დაჩოქებამ. დუნიადარს ეგონა, პაპამ უარი უთხრა ვამეხს და მანაც სახეეწნელად ჩაიჩოქა.

ვამეხმა თავი დახარა და ისე შეეკითხა მამამზეს:

— გამიგონია, ქვეყნის გულს ღმერთები დარაჯობენ. ნუთუ ისინი ასე იოლად დაგვანებებენ მისი თავისახლის გადაადგილებას?

მამამზე ჩაფიქრდა.

— დიახ, ძნელია, შვილო. გაგონილი მაქვს, სამი ვაეკაცის მამა უნდა გახდეს თავის შვილებთან ერთად ამ ზღაპრული საქმის გამკეთებელი, ისიც უთქვამთ, მოხუცი გაუძღვეს მამასთან ერთად ბიძა-დისშვილებსო!

— დისშვილებსო?! — გაოცდა ვამეხი.

— ჰო, შვილო, ალბათ, გულბაზის ბედიც იქვენთან არის.

— კი მაგრამ, მამამზე ბატონო, შვილები ჯერ სადღა არის.

— ღმერთი მოგცემთ, შვილო, ნუ გეშინია, მოესწრებით! ეტყობა, ღმერთები მეც თქვენთან სამყოფელ დღეს მიგრძელებენ.

ვამეხი გაჩუმდა. თვალებში ღიმილი და ცეცხლის კვესი ერთად ჩაუდგა.

— გახსოვდეს, შვილო, — დაასრულა მამამზემ, — მაღალი მწვერვალები აქვს კავკასიონს, მასზე დაბალი როდია ის მთები, რომელნიც ჩვენ უნდა გადავკვალოთ და მინიშნებულ ადგილას მივიდეთ. უსათუოდ უნდა მივიდეთ კი. გუმანით ვგრძნობ, ჩემმა შთამომავლობამ უნდა მოიტანოს ჩვენს მხარეში ალმასის ბუდეში ჩაბუდებული საგანძური. მისი ადგილი ჩვენი მაღალი მწვერვალების ფესვებქვეშ უნდა გაშენდეს. იცოდე, მის ბუდეს ღმერთებიც თან წამოყვებიან, განა უკეთეს ადგილსამყოფელს მონახავენ მიწის პირზე?! ჰოდა, ასეა. სიტყვა სიტყვაა. ვაქკაცი სიტყვას ვერ გატეხავ. სამი ვაჟი გეყოლება, დამწიფდებიან, დაქორწინდებიან. მეგზურად მე გამოგყვები, წინამძღოლი შენ იქნები. გულბაზიც უნდა იახლო, ჩემი სისხლისაა.

• •

დუნიადარი სულ გამოიცვალა. ვერც ბაბუა სცნობდა და ვერც ოჯახის სხვა წევრი.

დილიდან უხედნავ და გაველურებულ კვიცებს ამოარჩევდა ჯოგში, მოიმიზეზებდა მე გავხედნიო და დილიდან საღამომდე აღარ ჩანდა. გულბაზი ეხვეწებოდა წამიყვანეო, მაგრამ სანამ მას დილის ტკბილი ძილი დაუფლებოდა, დუნიადარი უკვე ცხენზე იჯდა და ცას და მიწას მოედებოდა.

ორხელ მოაკითხა საცოლეს ვამეხმა და გაოცდა, როცა ორივეხელ შინ არ დახვდა.

— კვიცებს ხედნისო, — თავშეკავებით უთხრა საცოლის ძმამ, თუმცა თითონაც ძალზე გაბრაზებული იყო დის საქციელზე.

ვამეხს უსიამოვნო ეჭვმა გაჰკრა.

მამამზეს ცხენის ჯოგები ძელქვის ტყისპირის მინდვრებზე ბყაევდა გაშვებული. სწორედ ძელქვების ტყიდან დაუწყო თვალთვალი ვამეხმა.

დუნიადარმა, მართლაც, მის თვალწინ შეარჩია ჯოგში უხედნავი კვიცი. ნიგვზის ზეთში ახლად მოზელილი და გამოყვანილი ხარის ტყავის ლეკვერთხით ქვედა დრუნჩი ამოუაფშარა და, სანამ კვიცი გონს მოვიდოდა, ქალიშვილი ზურგზე მოეკლო. ეს ისე სწრაფად გააკეთა, ვამეხს შურმაც კი გაჰკრა.

ძელქვებს ამოფარებულმა ვამეხმა კარგად შეხედა, რომ დუნიადარმა ჯერ მინდორს შემოუარა, მერმე ჩრდილოეთისკენ დაუკავა სადავე გაგიჟებულ კვიცს.

— აქეთ საით მიდის, მთებში ჩაიჩეხება! — გაიფიქრა ვამეხმა და თავისი ცხენიც იქით გააფრინა, საითკენაც დუნიადარი მიაგელვებდა თავის მერანს.

თვალის მანძილზე მიყვება საქმრო საცოლეს. თითონ ხედავს და დუნიადარი კი აინუნშიაც არ არის, თუ ვამეხი მისი მდევარია დღეს. ქალწულის ხელში მორჩილი გახდა კვიცი. იგი თანდათან ნაგზურ ცხენივით დაემონა დუნიადარის ხელს.

ცივი მწვერვალების ძირამდე იფრინა ქალიშვილმა. ტყეები კარგა ხანია აღარ მოჩანდნენ, ბალახების შრიალიც უკან მოიტოვა. თეთრი ყინულის მწვერვალების საბრძანებელში მიჰქროდა ახლა დუნიადარის კვიცი.

მხოლოდ აქა-იქ ჟანგისფრად მოჩანდნენ ცისკენ ატოტებული მწვერვალები, ვეება კლდის ჩამოჩეხილი ფერდები. დანარჩენი გარემო კი სულ ყინულებით იყო დაფარული. ერთი მწვერვალის ძირში შეაჩერა კვიცი დუნიადარმა. ხელისგულისოდენა მინდორზე შხუილით ამოქშუოდა ყინულა წყლების გემრიელი ბოყინა შადრევნები. ერთი მათგანი ყველაზე უფრო ზევით ისროდა შხეფებს, მზის სხივთა შულოებად გადმოღვრილი ფარდების რხევაში ცაში შეტყორცნილი შხეფები იყინებოდნენ და ძირს მარგალიტის მძივებად ეშვებოდნენ. სწორედ ამ წყაროს ფესვთან ჩაიმუხლა დუნიადარმა. კლდეს მოფარებულმა ვამეხმა კარგად შეამჩნია, თუ როგორ აივსო მარგალიტის მძივებით დუნიადარმა პეშვი და ბაშლაყის კალთაში ჩააბნია.

— ბათ უნდა ნეტავ?! ეშმაკეულს ხომ არ დადობილებია

ჩემი მეუღლე?!. — ახლა სულ სხვა ეპვმა გაუცხელა შუბლი ვამეხს.

ვამეხი საფარიდან გამოვიდა. მისმა ფეხის ხმამ დუნიადარს ერეოლით დაუარა ტანში.

— შენ შემოგევლეო! — უნებლიეთ წამოცდა ქალს.

ამ სიტყვებზე ვამეხს ტანზე ცეცხლი მოეკიდა. მიხვდა ბრძენი დევგმირი, რაოდენ დიდი სიყვარული ჩაფესვოდა ქალწულს გულში.

— აქეთ რა ძალამ ამოგიყვანა, თვალისჩინო! — მოეფერა ვამეხი საცოლეს.

დუნიადარს სახეზე ალმური მოსდებოდა. ეტყობოდა, მისი იდუმლად აქ ამოსვლის გამეღავნება სირცხვილად დასწოლოდა მის ფიქრს.

— არ გამიწყრე, ჩემო მეუფევ, — წყნარად თქვა მან, — ძველთაგან ვაეთა დედები სიქალწულეშივე ამოიძევენ აქ ალმასის კენჭებს, რათა მათ შთამომავლობას ალმასივით მჭრელი კბილი და მაგარი მკლავი გამოყვეს.

ვამეხს ღიმილი მოერია. ახლა გაახსენდა დედის ნათქვამი: „შენი კბილის კენჭებიც აილამას ფესვთან ამონაყარ წყაროს შხეფების ძიძისშვილებიაო.

დევკაცი ღიმილითვე მოადგა ხელისგულისოდენა მინდორს და დახედა. ამ პატარა ვაკეზე უთვალავი ფესვი გაეხსნა მჩქეფარე წყაროსთვლებს. ისინი ანთებული სანთლებივით შეღაღადებდნენ ცას, შხეფებს კვამლივით აბოლებდნენ კრიალა ლურჯ ცის გუმბათს, ყოველ წყაროსთვალს გარშემო ზოგან ჟანგი შემორკალოდა. ზოგან კი ალმასის მთრთოლვარე ლიბრი დაფერილიყო. ვამეხი დაიხარა და პეშვში წვეთები დაიგროვა. თითქოს ჩხრიალი მოესმა დევკაცს. შხეფების სიცივემ ხელისგული სულ ბოლად გაულიგვა, გაუყინა. „ალმასიც ცივიაო“ — გაიფიქრა ვამეხმა.

— აბა, ჩვენ ბიუებს ალმასის კბილი დაყვება ხომ?! — გაეშალა სახე ჭაბუკს.

— პაპამ თქვა, კბილის სიმაგრე ჯანის ტოლიაო.

— მართალი უთქვამს მოხუც მამამზეს. ასეა, კბილი სხეულის რძით იკვებება, რამდენად თეთრია კბილი და მაგარი, იმოდენად ჯანმრთელია ადამიანი.

— ჰოდა, ალმასზე მაგარი, აბა, რა არის! მეც იმიტომ ამოვ-ფონე აქეთ, — მორცხვად ჩაიჩურჩულა დუნიადარმა, — ჩემს ბიჭებს ალმასის კბილმა მინდა ამოჭრას.

— ჩვენს ბიჭებს კბილიც ალმასის ექნებათ და ძვალიც, — გაიღიმა ვამეხმა.

* * *

ქორწილი გადაიხადეს. ცხრა თვის თავზე ბიჭი ეყოლათ. მე-ორე წელს მეორე ვაჟი მოემატათ, ხოლო მესამე თორმეტი თვის თავზე ისევ ვაჟის ახალი შიბაქი გამოთალა ვამეხმა თავი-სი ხელით.

უფროსს აია დაარქვეს, შუათანას ია და სულ ნაბოლარას ისაიას სახელი დაანათლეს.

იზრდებოდნენ ბიჭები, ყოველდღე მთვარესავით ივსებოდ-ნენ, ძვალს იმაგრებდნენ, სიმაღლეს იმატებდნენ, ბეჭებს იფარ-თოებდნენ.

დილით და საღამოს ენგურის ცივსა და ნაკვერცხლებიან ტალღებში ბანაობდენ. კალმახს ბადითა და ფაცერით იჭერდ-ნენ, ჯიხვსა და ირემს ფეხდაფეხ მისდევდნენ. დრო გადიოდა და ბაბუასა და მამის სიბერძნე მათს თვალებში მწიფდებოდა. გრძნობდა ვამეხ გულბანი, მის ვაჟებს მამულის დიდი საქმე დააკისრა განგებამ. პაპა თითქოს უფრო ახალგაზრდავდებოდა. მოხუც კაცს არც ბეჭის სისქე შეუმცირდა ჯერ და არც ძვლები გამოეფიტა. იდგა როგორც კავკასიონის მუხა. იდგა და არწი-ვის თვალით შეჰყურებდა შვილიშვილების ზრდას.

გულბააზი უკვე თავისუფლად და მარტოდმარტო დაეხეტე-ბოდა მთა-ველად. ხანდახან დისწულები თუ გაჰყვებოდნენ ქვეყნების სანახავად. ისიც დინჯად და გონიერად მიუძღოდა მათ. სანახავს ანახვებდა, მთსავლელს მოავლევინებდა, ზღვას გადააცურებდა, მთებს გადაკვალავდა და შინ უხიფათოდ და-აბრუნებდა.

დუნიადარს მზე ამოსდიოდა მამა-ძმაზე და ქმარ-შვილზე. ოჯახის შინა ძარღვი ის იყო.

დაუმწიფდათ ბიჭებს ბეჭები, ულვაში შეუწაბლისფერდათ, ხმა დაუბოხდათ, მკლავში დაგრეხილი ბაწრის გორგლები გა-

უმრავლდათ, მუხლი მგლისტოლი გაუხდათ. გონიერებას კი ვერ აუწონიდით.

ამღვრეულ მდინარეში თვალით თევზს დაითვლიდნენ, მოღრუბლულ ცაზე ვარსკვლავთა სიმრავლეს გეტყოდნენ. მიწის წვენის ნოყიერების ძალაც იცოდნენ და ცის ნამისაგან სიცოცხლის თვალის გახელის ღონის საიდუმლოებასაც გეტყოდნენ. დედ-მამასთან ერთად ბრძენი პაპაც გონების თვალის მანძილს და სიღრმეს უწვრთნიდათ, უმახვილებდათ.

აია მაღალი იყო, ბეჭფართე და არწივთვალება, სარმით მუხას მოსტეხდა. მისი ნასროლი ისარი კავკასიონის მწვერვალებს სათითაოდ ყინულის მთისოდენ ქერქს ჩამოამსხვრევდა, ხმლის ერთი მოქნევით იალბუზს ფესვებს გადაუსხეპდა. ია თითქოა უფრო ნაზი ბიჭი იყო, ტანწერწეტი და მათრახივით მოქნილი. ერთი ფეხის დაკვრით ცხრანაბადს გადაევლებოდა. თვალის ბეწვისაგან ნაგრეხ ძაფზე სირბილით გადაფრინდებოდა, იორღა ცხენს ფეხდაფეხ დაეწეოდა. ისაია კი მუხის ფესვივით ცხრაფად იყო ნაქსოვი, მუჭით შეტოტებულ დათვს შუბლის ძვალს ჩაუმტვრევდა, მკლავებში მოქცეულ ვეფხვს მოუვერავდა, მოასიკვდილებდა ძალღონით, მიწის ბურთს ბეჭით შეაბრუნებდა.

ასეთი იყვნენ სამივე ძმები და ასეთივენი დარჩნენ ბოლომდე.

გულბააზი ცხენოსნობას და გულადობას ასწავლიდათ, წყალში ცურვას და მთის წრიახებზე მსუბუქად სირბილს აჩვევდათ. სიცივეში და სიცხეში. თანდათან აწრთობდა მათ სხეულს.

ერთ დილით მამამზემ ვამეხი მოიხმო. იმ წუთშივე გუმანით იგრძნო გულბააზმა, რისთვისაც იხმობდა სიძეს სიმამრი.

— დაჯექიო, — უბრძანა მოხუცმა.

ვამეხი მოკრძალებით ჩამოჯდა სავარძელზე.

— დრო დადგა, შვილო, სათქმელი გითხრა.

— უთქმელად მიგიხვდი, მამამზე ბატონო!

— არა, მე სხვა მინდა გითხრა. ხომ იცი, შვილო, არწივები ყოველთვის ცის გუმბათში შეფრენილი კვდებიან, ადამიანები მამულის სიკეთისათვის უნდა იღვწოდნენ. თუ საჭიროა, უნდა სიკვდილს ერკინებოდნენ.

ვამეხმა დინჯად, მაგრამ გაოცებით ასწია თავი და თვალები მოხუცს მიაპყრო.

— კი, შვილო, ასეა. მურთხი და მუდო მიწის ბნელ სოროებში უცდიან თავის სიკვდილის დღეს. არწივთა მოდგმა კი ცის ლურჯ გუმბათში ამჯობინებს სულის ამოსვლის ჟამს. მიმიხვდი ხომ, რაც გითხარი, შვილო?

— მიგიხვდი, მამამზე ბატონო,—მოკრძალებით ისევ დახარა თავი ვამეხმა.

— დუნიადარს მოეფერე, დედაა, ცოლია, შვილია და დაც არის. ხომ იცი, შეიძლება არც ერთი არ დაუბრუნდეს უკან. ცოდოა, მძიმეა მისი ადგილი ამ მიწის პირზე.

— დუნიადარი ქართველი ქალია. მამულს თუ დაუთქვამს, ცრემლსაც კი შეიშრობს თვალზე.

— ჩემი შვილია! — ამაყად თქვა მოხუცმა.

— ჩემი მეუღლეა! — თავი აწია ისევ ვამეხმა და სიმამრს თვალი-თვალ შეხედა.

მამამზემ თითქოს ვერც კი გაიგონა, ისე განაგრძო:

— დიდ სათქმელს კი წასვლის წინ გეტყვი, იცოდე!

მეტი სიტყვა მოხუცმა არ თქვა. მხოლოდ ცას შეხედა და დარბაისლური ნაბიჯით მიაშურა თავის სადგომს. არც ვამეხმა შეუბრუნა სათქმელი. ისიც დაფიქრებით და წყნარად წავიდა ეზოს ბოლოსაკენ.

* * *

ცხრა თვეს ამზადებდა დუნიადარი ქმარ-შვილს და მამა-ძმას სამგზავროდ. თითოს შვიდ-შვიდი წინდა-პაიჭი მოუქსოვა, შვიდ-შვიდი ჩოხა-ახალუხი შეუკერა, შვიდ-შვიდი სხვადასხვა ფერის ჩაბალახი დაუქარგა.

აილამას ფესვებთან ამოხეთქილ ყინულ-წყალში აწრთობდნენ და ალმასით უკალავდნენ წვერს შუბსა და ისრებს, თაფლში ხარშავდნენ ჩრდილში წლობით გამომშრალ სამშვილდე მკლავებს. ყველანი უკვე მგზავრის ეჭვიანი თვალით უმზერდნენ ბილიკებსა და გზებს, მთებსა და ველებს.

წასვლის დროც დადგა.

გათენების ჟამს დუნიადარი მამის საძინებელს მიადგა. მოხუცი უკვე ფეხზე დახვდა.

— მამა ბატონო, შენი ფიქრის წინააღმდეგ არ წავსულვარ არასოდეს. ახლა კი უთუოდ სათქმელი უნდა გკადრო. სახლში მარტო არ დამედგომება, ან რა ჯანდაბა გამაჩერებს უთქვენოდ! მეც უნდა მიმგზავროთ, მეც უნდა წამიყვანოთ!

— ვიფიქრე, შვილო, ბევრი ვიფიქრე და ვერ გადავწყვიტე. ძნელია, უსაშველოდ ძნელია. ქმარს შეეკითხე, თქვენთვის მომინდვია. ვამეხი საზრიანი მამაკაცია. შენც მისი მეუღლე ხარ, რაც გიბრძანოს, ისა ჰქენი.

მთელი ოჯახი შეკრიბა ვამეხმა. ცოლისძმაც მოიხმო. დუნიადარის წაყვანა ეძნელებოდათ. დიდი დავა ატყდა.

ბოლო სიტყვა უმცროს ვაჟს ისაიას ერგო.

— დედის სურვილი ჩვენთვის კანონია, წამობრძანდეს და ჩვენს გამარჯვებაში მაგანაც წილი დაიდოსო.

ცრემლმორეული მოეხვია დუნიადარი ისაიას. თითონაც კინაღამ ცრემლი წამოცვივდა, დედის მტირალ სახეს რომ შეხედა დევგმირმა ვაჟკაცმა, შერცხვა, გაწითლდა და უცებ გაშორდა ყველას.

• • •

ცას თავანი როდი აქვს, მიწას კი კიდე. იარეს და იარეს ჩვენებურებმა. იარეს მთები, იარეს ველები, ასი ზღვა გასცურეს, ათასჯერ ასი ტბა მოინახულეს. მაღალი მწვერვალები აქვს კავკასიონს, მაგრამ თურმე უფრო მაღალი მთებიც ყოფილა ამ მიწის პირზე ფესვდადგმული. იქაც მუხლი შედგეს, თავისი ფეხის კვალი დატოვეს, სასურველ საგანძურს ჯერ მაინც ვერ მიაგნეს.

საოცარი ის იყო, მამამზე ბატონი არ იღლებოდა, ტოლს არ უდებდა შთამომავალს. ერთ გაუვალ უდაბნოში ერთადერთი წყარო იხილეს. იქვე პატარა ქოხში ადამის ჟამის მოხუცი დახვდათ. წვერ-ულვაში კოჭებამდე წვდებოდა. ხშირ, თოვლივით თეთრ წამწამ ქვეშ თვალები მაინც ორი ნაკვერცხალივით უღვიოდა.

— ადამიანებს დიდი ნახია გადავეჩვიე, თქვენი წუხილი მითხარითო, — შემოაგებათ სიტყვა დამხდურმა.

მამამზემ ჯერ ვინაობა ჰკითხა, ჯანმრთელობა უქო და მხოლოდ მერმე შეეხმიანა თავის წუხილზე.

მოხუცმა შუბლი შეიკრა, თითქოს ვერ გაიგონაო, ყური ახლოს მოწია და სათქმელი ისევ გაამეორებინა.

— დიდი საქმე გაგიზრახავთ, — დინჯად თქვა მან, — ეტყობა, თქვენი მამული ძვირფას შვილებს ზრდის, შეისვენეთ, ცივი წყლით გული გაიგრილეთ, დილით გეტყვით ჩემს სათქმელსო.

დილით კარგად გათენებული არ იყო, მზის სხივები ჯერ კიდევ ცის გუმბათზე იყო შეტოტებული, როცა მოხუცი ამ სხივებში ამაღლდა. ოქროსფრად დაღვრილ მბრწყინავ შულოებში გაეხვია, მამამზე თავისთან მოიხმო და უთხრა:

— ბედნიერი კაცი ხარ და ბედნიერი ერის შვილი იქნები. იცოდე, ყოველ ქვეყანას თავისი ბუდე და გული აქვს. აი, იქ, აქედან ასი დღის სავალზე, უცხო ტბის ნაპირს უცხო წალკოტია, სამყაროს გული იქა დევს, ყოველი ქვეყნის გულები მის გარშემო ხარობენ, წყნარად ფეთქავენ და თავისი ხალხის ჯანღონეს გამოხატავენ. დიდი განგების მეუფეთა პატრონი თუ ღირსად ჩაგთვლით, შეიძლება წაღების ნებაც მოგცეთ. თუ არ მოეწონეთ, უკან ცოცხალი ვერც ერთი ვერ დაბრუნდებით! — დაასკვნა მან და უჩინარი გახდა კიდეც.

გაოცდნენ მგზავრები. ცოტა შეიმუხლეს და ნაჩვენები გზით გაემგზავრნენ. ოთხმოცდაათი დღე რომ იარეს უდაბნოში, უკვე მოჰბერა გრილმა და ნაზმა სიომ. ეტყობა, ნანატრ ადგილს მიუახლოვდნენ. თანდათან სხვა ფერი დაედო გარემოს. მიწას ზურმუხტის ფერი მოეძალა, ცას — ფირუზის. ას დღეს რომ ერთი დღე აკლდა, უზარმაზარ ორ მთას მიადგნენ. შუაში ვეება მქუხარე მდინარე ლურჯად მოლივლივებდა. მდინარის ორივე მხარეს, მარცხნივაც და მარჯვნივაც ბილიკი მიჰყვებოდა. კლდესა და წყალსშუა შუბმომარჯვებული პირტიტველა ვაჟები იდგნენ დარაჯებად.

როგორც კი იმ ადგილს მიუახლოვდნენ, ნისლმა სქლად დაყარა მთელ ხევს. ორ ბიჯზე კვალი აღარ ჩანდა.

— წინ ვინ ბრძანდებით? — შეეხმიანა მამამზე მცველებს, —

ჩვენ მგზავრები ვართ, ჩვენი ქვეყნის გულის სამყოფელი მიგვასწავლეთ!

უცებ ისევ დაიწმინდა ნისლეთი. ამ მქუხარე მდინარეზე ადამიანთა თვალთა გასაკვირად ფირუზის ნავი გაუნძრეველად იდგა, თითქოს ტალღებს არც კი ეხებოდა, ზედ უწვერულვაშო ვაჟი შუბით ხელში გაყინულიყო.

— დიდი ხანია გელით, — წყნარად თქვა მან და მგზავრები ნავში მიიპატიჟა.

ნავი შეინძრა და მგზავრები კიდევ უფრო გაოცდნენ. იგი ამ ვეება და ბობოქარ ტალღებს ზემოთკენ მიარღვევდა. კი არ მიჰქროდა, მიფრინავდა. აიას, იას და ისაიას გულები უტოკავდათ თავის ტოლ ვაჟკაცებს რომ უყურებდნენ, ისინი კი ხმას არ იღებდნენ. ბოლოს ისაიამ ვერ მოითმინა:

— მუნჯები ხომ არ ცხოვრობენ ამ წალკოტში, გამარჯობასაც კი არ გვეუბნებიან!

ვამეხმა წარბი შემართა, ეტყობა, არ მოეწონა ვაჟის თავშეუკავებლობა. დუნიადარი შეწუხდა. მამამზემ კი გაიღიმა.

— ალბათ, აქ ასეთი წესი და ადათი აქვთ! — ჩაილაპარაკა წყნარად მოხუცმა.

პირტიტველ შუბოსანსაც გაეღიმა.

— უდროოდ ნათქვამ სიტყვას, უთქმელობა სჯობია! — წყნარად თქვა მან.

მოულოდნელად გაიშალა მდინარე, გაიშალა და ტბად იქცა. გარშემო თვალსანეტარო ყვავილნარი და ხეების ტევრი გადაიშალა. ფრინველთა გუნდები სტვენა-გალობით და ჭიკჭიკით ავსებდენ იქაურობას. ხის ტოტები ნაყოფისაგან მიწას ეფინა. მზის საოცარი შუოლები ელოლიავებოდა ხესა და ბალახს. ათასფერ ყვავილებს ათი ათასი ფერის ნაზი პეპლები და ფუტკარი ესეოდა. ტბის შუაგულში ვეება ალმასის კოშკი იდგა. გარშემო უამრავი მომცრო ალმასისავე კოშკები ეხვია. არც ერთს კარი არ უჩანდა.

ფირუზის ნავმა დიდ კოშკს სამჯერ შემოუარა. კოშკს მრავალწახნაგოვანი ოქროს ზოდის წიბოები აყვებოდა თავანამდე.

— ამ კოშკში სამყაროს დედო-გულია, — დარბაისლურად დაიწყო შუბოსანმა, — ჯერ იგი ადამიანთა თვალს არ უნახავს და არც ენახება. იმ მომცრო ალმასისავე კოშკებში ყოველი ქვე-

ყნის, ცალ-ცალკე ხალხების გული დევს, სანამ ერი სიკვდილის პირს მივიდოდეს, სანამ გული დაჭიავდება და ავად გახდება. თურმე მისი სიჯანმრთელე მისი ხალხის მამულიშვილობაზეა სასთუმალმიდებული. თუ ხალხს თავისი ქვეყანა ძალუმად უყვარს, ფხიზელი თვალით და გონებით მართავს ქვეყანას, მაშინ მისი გულიც ჯანსაღად ფეთქავს, უმტკივნეულოდ ცემს, მაშინ ჭირი და სნება ვეღარ ჯაბნის. თუ მამულიშვილებმა მიწა-წყალზე გული აიყარეს, თავისას სხვისი ამჯობინეს, თავისი ქვეყნის მიწა-წყალი სხვას ანაცვალეს, მაშინ მისი გულიც დუნდება, მის სისხლის ძარღვებს ჰკე ეკიდება, ჭიავდება და ავად ხდება. ასეთ ხალხს გადაშენება ელის. სიკვდილი არ ასცდება.

აი, დაუკვირდით, რამდენი კოშკია ცარიელი და შიგ მხოლოდ წყლის ტალღები ტლაშუნობენ. ისინი დროგადასულ ხალხთა გულების ადგილსამყოფელია. დაიღუპა ერი, სიკვდილმა მოუსწრაფა სიცოცხლე გულსაც. დაცარიელდა ის კოშკიც. ახლა ფარღალალად დგას საცოდავად ამ უძირო და უნაპირო ტბაზე...

ეტყობა, მათმა მამულიშვილებმა თავის მიწა-წყალზე გული აიგდეს, ერთმანეთში სიყვარულის მაგიერ მტრობა თესეს, თავისი მამული სხვა ხალხის ქვეყანაზე გადაცვალეს. აი, მათი საფასურიც. ყველაფერი დასრულდა მათთვის. ყველაფერი დამთავრდა. აღარც მიწა, აღარც წყალი, აღარც შთამომავლობა.

თქვენმა ქცევამ განგება და ღმერთები გააოცა, მოხიბლა. ვისაც თქვენსავით უყვარს მამული, ღირსია ქვეყნის გულიც ახლოს ჰქონდეს.

მხოლოდ იცოდეთ, ჭირიც ბევრი შეგხვდებთ და ლხინიც, გადაეცით თაობიდან თაობას, რამდენი ორგული და მოღალატე შემცირდება, იმდენი გამაგრდება და ჯანღონე გაუმრავლდება ქვეყნის გულსა და ხალხს. ისიც დაიხსომეთ, გულს თავის ლექის გამტანი მდინარის ფესვი უნდა მიუგდო. იმ მდინარეს სათავეცა და ჩასართავიც თქვენს მამულში უნდა ექნეს, იგი შეინახავს, ასაზრდოებს და გაწმინდავს მას.

დაასრულა სიტყვა შუბოსანმა ვაჟკაცმა და ნავი მეტად ლამაზ კოშკისაკენ გააფრინა.

ამ კოშკსაც არც კარები უჩანდა და არც სხვა შესასვლელი ნიშანი ჰქონდა.

ნავი მიადგა თუ არა, ყველა კედელი შეირხა, ნელ-ნელა ცისკენ აიწია და ლურჯად მოლივლივე ტალღებზე ალმასის მოციმციმე ზანდუკი გამოცურდა.

ექესივემ კარგად დალანდა ცისფერ ნისლში გახვეული მფეთქავი გული.

ყველანი მუხლებზე დაეცნენ.

შუბოსანმა ცისკენ ამართა თავისუფალი მარჯვენა.

* * *

ენით გამოუთქმელი წვალება და შრომა გადახდათ ჩვენებურებს. იარეს და იარეს. სიხარული, სიცოცხლე, გამარჯვება მიუძღოდათ წინ. ამიტომ ყველაფერი აიტანეს, ყველა ღობე გადალახეს. უდაბნოში ცხელ გრიგალებს აოკებდა და აგრილებდა მათი მამულისადმი ესოდენ განუზომელი სიყვარული, ზღვებზე ქარიშხალს აწყნარებდა, ცაში აზიდულ მწვერვალებს ადაბლებდა, მუხლმისაწვდომს ხდიდა, ყინულს ადნობდა და ათბობდა სიარულის გასაადვილებლად, გაუვალ ტყეებს და ჭაობებს გაუჭირვებლად გადუვლიდნენ ხოლმე. ტანიც მთელი მოიტანეს და სულიც ამაღლებული დაურჩათ.

მოხუც მამამზეს მაინც დაეტყო სისუსტე, სიხალისე და ნირი დაეკარგა მოხუცს.

რამდენადაც უახლოვდებოდნენ თავის მიწა-წყალს, იმდენად დაღლა დაეტყო მის მუხლსა და თვალს. დუნიადარმა შეატყო მამას სისუსტე.

„განგება მშობელ მიწამდე დაგვაცლისო“, — გაიფიქრა მან და ამის შემდეგ ნაბიჯი არ მოუნაცვლებია მამამზეს ცხენს იქით.

შვილიშვილებმაც იგრძნეს მოხუცის დაღლა და ბედაურები პაპის ლურჯას ამოუყენეს გვერდიგვერდ.

საღამო ჟამი იყო, როცა თავისი ქვეყნის საზღვარს მიადგნენ. მამამზემ შესვენება ინება.

ვეება ძელქვის ხის ჩრდილში ჩაიმუხლა მოხუცმა. დუნიადარმა თავსასთუმალი შეუმზადა.

— აღარ მინდა, შვილო, ქვეყანა მოვიარეთ, ხომ ნახეთ, ძელქვის ხე ჩვენსავით მხოლოდ ჩვენს მიწაზე ხარობს. მე მინ-

და მის ფესვზე მივდო თავი, მამაჩემის მკლავივითაა იგი მიწაზე გართხმული. აი იქით შეხედეთ! ეს რა ამბავია?! — მოულოდნელად ისევ გაუბოხდა ხმა მამამზეს.

ყველამ იქით გაიხედა და თვითონაც გაოცდნენ: მაღლა გორაკიდან საზეიმოდ მორთული ხალხი მოდიოდა.

ვამეხმა მიმოიხედა.

— ვინ იყო ნეტავ ჩვენი მოსვლის მახარობელიო?! — შეეკითხა იგი მეუღლეს.

დუნიადარმა მხრები აიჩეჩა. ბიჭებიც აიწურენ. მარტო გულბაზმა ჩაილაპარაკა:

— განა განგება არ მიგვიძღოდა იქით წასვლისას, ალბათ, დაბრუნებაც მან აცნობა ხალხსო!

ულამაზესი ქალ-ვაჟები ჩამოდიოდნენ გორაკებიდან, ვაჟებს მკერდზე ჩალისფერი ყაჭის ძაფით არწივები ეხატათ, სატევრის თავებზე ლომისთავები ესახებოდათ. ქალწულებს მტრედები ამოექარგათ კაბაზე ოქროსფერი ყაითანით.

მოდიოდნენ დინჯად, სიცოცხლით, ღიმილით სახეგაბადრულნი.

მამამზე მისჩერებოდა მათ და თითონაც იღიმებოდა.

— მაინც მოვაღწიე აქამდე, აწი კი ჩემი სამუდამო მიძინების დრო არისო, — თითქმის ჩურჩულით თქვა მან.

ვამეხის ყურს არ გამოპარვია მოხუცის ნათქვამი.

— ყველა სიკვდილის შვილი ვართ, მამამზე-ბატონო, — დაიბუხუნა მან, — მაგრამ თქვენთვის ჯერ ადრეა. განგებამ რაც დაგვავალა, ჯერ ის უნდა შევასრულოთ.

მოხუცმა ისევ გაიღიმა, გულბაზი მამას გვერდით დაუდგა.

— გივარგიანთა გვარის ადამიანო, აკი თვითონ შენგან გამიგონია — მამულის სიყვარული სიკვდილს მოაცდევინებსო!

შვილიშვილებს შუბლი გაეშალათ.

მოხუცმა მხრები აწურა.

თანდათან მთელი ქვეყანა გამოეფინა კავკასიონის კალთებზე. ყოველ მოსულს მკლავის სისხო ანთებული კერასხები ეჭირა-ხელში. საკმეველისა და თაფლის სურნელი ეფინებოდა ველ-მინდვრებს, მთების კალთებს და მწვერვალთა წვეროებს ბოლში ახვევდა. ცხრა წყვილი მოზვერი შეაბეს ძელქვის ხის-

გან გაკოპიტებულ ჰაეროვან ურემში. ყოველ მათგანს რქებზე წყვილი კელაპტარი აუნთეს.

ალმასის ზანდუკი ალმასითვე ნაქსოვ ფარდაგზე დადგეს, ძელქვის სამფეხა სკამი გააკოპიტეს და ურემზე ქვეყნის გულთან ერთად მხოლოდ მამამზე გივარგიანი დააბრძანეს.

შთამომავლობა ცხენდაცხენ ამოუდგა გვერდით მოხუცს.

ნელა დაიძრა პროცესია ზემოთკენ, კავკასიის მწვერვალთა საბინადროში. რაც უფრო ზემოთ მიიწევდნენ, მით უფრო მეტი ხალხი ეფინებოდა კავკასიონის კალთებზე. მიიწევდნენ ზურმუხტისფერ ნისლეთში, არწივთა სამფლობელოში. როცა ფასის მთის კალთებს მიაღწიეს, ხალხი შეჩერდა, შედგა. ყველამ შეამჩნია, თუ როგორ ჩაიმუხლა ცხრა წყვილმა მოზვერმა. ჩაიმუხლეს და ყველამ დაინახა, როგორ გაიხსნა მიწის პირი, როგორ ამოიქუხა მტრედის ფრთის ფერმა მდინარემ, იგი ჯერ ნელინელ გაიშალა და ვეება ტბად იქცა, მერმე მის ზემოთ მიწის პირი თითქოს ისევ შეიკრა, ისევ დაიხურა, ტბა მის ქვემოთ მოექცა. მხოლოდ მცირე მდინარის ფესვწყარომ დაიწყო დინება. მან ხალხის თვალწინ გაიკვლია გზა და ქვემოთ დაეშვა. როცა ხალხმა თვალი გააყოლა მდინარეს, კარგად დაინახა თუ როგორ შეუერთდა სხვები ამ პატარა ნაკადულს და როგორ იქცა იგი დიდ, მღელვარე და მშფოთვარე მდინარედ.

გაკვირვებული ხალხი ახლა ისევ ზემოთ ამობრუნდა.

ზემოთ კი აღარაფერი აღარ ჩანდა. აღარც მოზვრები და ურემი იყო, აღარც ალმასის ზანდუკი იდგა ახლომახლო. ისინი თვალით უნახავნი შეიქმნენ, გაუჩინარდნენ, ზესამყაროს მიეფარნენ. გარშემო მხოლოდ მაღალი და ცივი მწვერვალები გაყინულიყვნენ ცის ლურჯ ტატნობში.

ვერც მამამზე გივარგიანთა ოჯახი დაინახეს ადამიანებმა. თუმცა მათ ან კი რად უნდოდათ გამოჩენა. მათი შთამომავლობა ხომ მთელი საქართველოა, მთელი ჩვენი ხალხია, ჩვენი ერია. განა ყოველი ქართველი კაცის გულიც იქ არ ფეთქავს, თავისი ქვეყნის გულთან არ არის შეხორცებული?!

ლეგენდა მაინც ასე ბოლოვდება:

ცივია ალმასის ბუდე, ცივია ალმასის ტბა, მაგრამ გული მაინც თურმე თბილად ძევს და ფეთქავს შიგ, ფეთქავს წყნარად, ზომიერად, გაუჩერებლად.

მერე არ იტყვით რა ათბობს მას ამ ციცსა და მიუვალ მწვერვალთა ქვეშ?! ყოველი ქართველი კაცის ძმობა და სიმტკიცე, შუბლის სინათლე და კარგი ადამიანობა; ყოველი ქართველი ვაჟკაცის და ქალწულის მამულისადმი დიდი, განუზომელი სიყვარული. ამიტომ არის, რომ მისი სითბო მწვერვალთა ყინულის წვერებს ათბობს და ალხობს. ისინიც წვეთ-წვეთად ჩამოდინდებიან ქვემოთ, რიონის ტალღებს ერთვიან და მთელი კოლხეთის დაბლობს ალბობენ და რწყავენ სასიცოცხლოდ.

აი, რატომ არის თურმე რიონი მუდამ ღრუბლისფერი და მშფოთვარე, მუდამ დაუდეგარი და ბობოქარი!

მიაგულის სიყვარული

უშიშარი და გამჭრიახი კაცი ყოფილა მონადირე ბექნუ პირველი. ყველაზე მაღალ საჯიხვეებს მისი მუხლი სწვდებოდა. ქარაფების ბინადარ ნადირს მისი ნასროლი ტყვია არ ასცდებოდა. სახლში გამოულეველად ჰქონდა მარილი და ქერის ფქვილი, არჩვისა და ჯიხვის ხორცი. ხევში მობალახე მისი ხარების რქები მთის წვერებზე შემორჩენილ ნისლს არ ხევდა თურმე. ადრე დაქვრივებულ ბექნუს ერთი ქალიშვილი ჰყოლია, სახელად მიაგულ. მისი თვალები სვანეთის კამკამაცის ფერი ყოფილა, წამწამები ჩამოღრუბლულ ენგურის ხევზე უფრო შავი. მიაგულის სილამაზეზე სვანი ვაჟკაცები ლექსებს მღეროდნენ.

ხომ მოგეხსენებათ სიმღერის ძალა და ამიტომ მთელ ზემო სვანეთში გასულიყო იმ ქალის ქება.

ბევრი ლამაზი და ბრგე ვაჟკაცია სვანეთში, მაგრამ მიაგულს გულის ტოლი ჯერ კიდევ ვერ მოენახა.

კვირიკედღეს უნახავს ოტიას მიაგულ. თეთნულდის თოვლზე თეთრი კანი ჰქონდა და ნაძვის ხესავით აშოლტილი ტანი. დევის ბეჭებიანი ოტია თოფის ლულაზე დაყრდნობილი იდგა. ახალგაზრდა კაცი ანთებული თვალებით მისჩერებოდა ბექნუ პირველის ასულს. ნანადირევი მოეტანა ვაჟკაცს. ვეება ხარჯიხვი გაუტყავებლად ეგდო მის ფეხებთან. სამ-სამი წყრთა დაგრეხილი რქები ქარისაგან დალეწილი მუხის ტოტებივით ეყარა მიწაზე. მონადირეები გაოცებით ათვალიერებდნენ ნანადირევს.

— ჰაუ!.. — გაიკვირვა მიაგულმაც ჯიხვის სიდიდე. მისი თითები ისე შეეხო ჯიხვის რქებს, რომ პატრონისათვის არც შე-

უხედავს. როცა წამოდგა და ზევით აიხედა, ქალიშვილს ტანში გააჟრჟოლა.

სიტყვა არ უთქვამს მიაგულს, თრთოლვით გამობრუნდა და ნისლეთში აზიდულ ყინულოვან მთებს გასცქეროდა. ამ ცქერამ მონადირეს გულში ადუღებული ტყვია ჩაასხა. იგი არც ნანადირევის ქებას უგდებდა ყურსა და არც მისი სილამაზით გაოცებული სხვა ქალების ჩურჩულს.

ხანგამოშვებით ოტია გრძნობდა მიაგულის მზერას და ბავშვივით წითლდებოდა.

გათენებისას ფერხული გააბეს, მერე სავაჟკაცო ლოდი ასწიეს. შუბლგახურებული ოტია მარგველანი ძნელად ასაღებ ვეებერთელა მრგვალ ქვებს ბურთივით ათამაშებდა.

ხალხში აღტაცების ხმები ისმოდა. როცა „ლილე" დააგუგუნეს, ოტიამ ისეთი ბანი თქვა, ხმამ ხალდეშურას სათავეს უწია.

გულდაკოდილი წამოვიდა მიაგულ სოფელში, ხალისი დაეკარგა, მის სახეს ღიმილი მოშორდა.

მშობელს უკვირდა აქამდე დაუდეგარი ქალიშვილის თვინიერება. ჯიხვივით ლაღი მიაგულ საბელჩაბმული ცხვარივით მიჰყვებოდა ახლა მამას. გუმანი აიღო ბექნუ პირველმა; მისი ქალიშვილის გული სხვა ბუდეში გადაფრენილიყო.

— რა მოგივიდა, გოგო? — ყრუდ ჰკითხა ქალიშვილს.

ბექნუს ეგონა მიაგულ მოკრძალების გამო მაინც დაუმალავდა მეხზე უფრო საშიშ სიტყვას. ქალიშვილმა პირდაპირ შეხედა მშობელს.

— მამას ვერ მოატყუებს მიაგულ. ოტიას თვალებმა და ვაჟკაცობამ მომხიბლა! — ჩაიჩურჩულა ქალიშვილმა.

ბექნუ პირველს თავზარი დაეცა.

იგი ნაღვლიანად მიაჩერდა მიაგულს, სიტყვა კი მაინც არ უთხრა და სატკივარი გულში ჩაიხვია. მამა-შვილი უბრად ჩავიდა სოფელში. ძველმა მონადირემ მიაგული შინ დატოვა, თვითონ საქმე მოიმიზეზა და ისევ უკან დაბრუნდა.

გულბოღმიანი მიდიოდა ბექნუ ხალდესკენ. ისე იყო დარდისაგან შეკრული, რომ დანა კბილს არ უხსნიდა. იცოდა იფარელმა მონადირემ, ოტია მარგველანი ცოლშვილიანი კაცი იყო, ცოლის მოღალატე კაცი კი მისი სიძე ვერ გახდებოდა.

ისიც სწამდა ძველ მონადირეს: ვაკაციის თვალი ჯიხვსა და ქალის გულს ერთნაირად სჭრიდა და ნუსხავდა.

„მოვკლავ, როგორ გაბედა და მიაგულ მომინუსხა ცოლშვილიანმა კაცმა?!“ — ფიქრობდა გზადაგზა.

შხარას და აილამას წვეროებზე ჯერ კიდევ სინათლე არ ჩანდა, ხავერდოვან ცაზე ვარსკვლავები კრთოდა. ამ სიბნელეში ხევები უფრო ცივად და პირქუშად ჩანდნენ. ცაში აზიდული ყინულის მწვერვალები თეთრ ნაბადწამოხურული დევებივით იდგა. ხანდახან ცაში მოწყვეტილი ვარსკვლავი გაიელვებდა და ბექნუს ეჩვენებოდა, თითქოს იგი მწვერვალებს ეცემოდა.

სოფელ ხალდეს მისასვლელებთან ბექნუმ მინდორზე მიშვებული შეკაზმული ცხენი დაინახა. ახლოს მივიდა. ცხენიდან ჩამომხტარი ოტია მარგველანი გულმკერდით მიწას დამხობოდა და ოხრავდა. დამხვდურმა მიმსვლელი ვერ შენიშნა.

სხვა საშველი არ იყო, ბექნუს გამარჯობა უნდა ეთქვა.

ძველ მონადირეს მის სიცოცხლეში პირველად გაუძნელდა გამარჯობის თქმა, რამდენჯერაც სიტყვის თქმა დააპირა, იმდენჯერ ენა დაება. იგრძნო, თუ გამარჯობას ეტყოდა, ნათქვამს გულმოსულობაც გადაჰყვებოდა, გაცხელებული გული გაცივდებოდა, ბოღმა გაუქრებოდა.

რა უნდა ექნა ბექნუს?! მწოლარე კაცს ქურდულად თოფს ხომ ვერ დაახლიდა?!

მართალი რომ თქვას კაცმა, რა დამნაშავე იყო ოტია მარგველანი?! სიტყვაც არ უთქვამს მიაგულისათვის. ლამაზი ვაკაცი იყო და ქალიშვილს მოეწონა. რა მოხდა ასეთი? დღეობაზე მისმა ნანადირევმა მთელი სვანეთი გააკვირვა, მისმა ძალ-ღონემ ქვეყანა მოხიბლა. ვითომ მიაგულ მოუნუსხავს?! მიაგულ კი არა, ბექნუც გააოცა ოტიას ვაკაცურმა სილამაზემ.

ამ ფიქრში იყო ძველი მონადირე, რომ ოტიამ ისე ამოიხვნეშა, ხევმა ხმიანად გაიმეორა მისი ოხვრა... ბექნუ გამოფხიზლდა, გულში ისევ შხამი ჩაუდგა. მწოლარეს ფეხი წაჰკრა.

ოტია გადმობრუნდა და მთასავით წამოდგა. იგი გაოცდა, როცა მოსული იცნო. უნებლიეთ გარემოს დაუწყო თვალიერება.

„მიაგულს ეძებსო!“ — მიუხვდა ბექნუ.

— შენ აქ სხვას ნუ ეძებ, მარგველანო, მართალი მითხარი, ოჯახი რად დამიქციე, ქალიშვილი რატომ მომიჯადოვე?!

ოტია, თითქოს მკერდში ხანჯალი ეტაკებინოს ვინმეს, შეინძრა.

— რა თქვი, ბექნუ ბატონო?!

— მიაგულ რატომ მომინუსხე-მეთქი!

ოტიამ ორი ნაბიჯი წინ წამოდგა, ბექნუს სახეზე დააკვირდა, მერე სივრცეს გახედა და წყნარად თქვა:

— მკითხავი და კუდიანი კი არ ვარ! მონუსხვით კი თვითონ მომნუსხა მიაგულმა. ხომ ხედავ, ეზოში მისული კაცი შინ ვერ შევსულვარ. მისმა თვალებმა საყვარელი ცოლის სახე მოსარიდებელი გამიხადა. ვერ მომიფიქრებია, საით წავიდე, ბექნუ! ჭკვიან კაცს გეძახიან და რამე მიშველე, რამე მასწავლე. რა ვუთხრა ცოლ-შვილს, არ ვიცი!

ძველი მონადირე მოალბო ოტიას გულწრფელმა ჩივილმა. სირბილე მაინც არ დაიმჩნია და ყრუდ წაილაპარაკა:

— ჰოდა, ცოლშვილიან კაცს გასათხოვარი ქალისათვის ავად არ უნდა შეგეხედა. ხომ იცი, ვაჟკაცის თვალზე ჯიხვიც ინუსხება და თოფის სროლის მანძილზე მოდის.

— რას ამბობ, ბექნუ, მე მიაგულს ავად შევხედე?! მისი ავი თვალით შემხედავს ქარაფზე ყინული გაუცურდება და უფსკრულში ჩაიჩეხება!

ბექნუმ მთის წვერებს გახედა. არ იცოდა, რა ეთქვა ძველ მონადირეს. უკვე თენდებოდა, მზე არ ჩანდა, მაგრამ მისი სხივები ოქროსფერ მდინარესავით მოედინებოდა აღმოსავლეთის კიდიდან. ნისლი მთების კალთებზე დაბერტყილიყო. უკვე ისმოდა შურთხების შორეული სტვენა და ჯიხვების ფრუტუნი. სადღაც ყინულის ზვავები სკდებოდა და გრიალით ეშვებოდა ქვესკნელში.

— იცი, რა გითხრა, მარგველანო, მიაგულ გულიდან უნდა ამოიღო. ვაჟკაცი ცოლ-შვილს ვერ უღალატებს. ქვეყნის ფუძე ოჯახია და იმას მიხედე, თუ ის შეგერყა, სიცოცხლე ჩაგიმწარდება, ხალხის ყბაში თავი არ ჩაიგდო!

ბექნუმ ეს ნელა და მტკიცე ხმით უთხრა ოტია მარგვე-

ლანს, მერე ცხენს მოახტა და ხალდეშურას ნაპირზე მიყოლებულ ბილიკს გაჰყვა.

საბალახოებზე უკვე ნახირი ბღაოდა. მწყემსები ძაღლებს უსტვენდნენ. ტყიდან გარეული ქათმების კაკანი ისმოდა. ოტია მარგველანი გაშტერებული უყურებდა იფარისაკენ მიმავალ ბექნუს.

■ ■ ■

ორი წელიწადი იტანჯებოდა ოტია მარგველანი და მიაგულის სახე მაინც ვერ მოიშორა. ოჯახი გაღარიბდა, ჯიხვის და არჩვის ხორცი შემოაკლდა, ეზოში თივის ზვინები შემცირდა. განთქმულ მონადირეს ნადირობაც დაავიწყდა, ძროხა-ხარის მოვლაც.

გამოშტერდა კაცი.

სადაც უნდა გაევლო, მიაგულის ლანდი თან დასდევდა. ჯიხვს რომ თოფს დაუმიზნებდა, მისი თვალები მიაგულის თვალებივით უყურებდნენ, მკლავი უდუნდებოდა ამ დროს, ხელი უკანკალებდა, თოფის სასხლეტი თითებიდან უცდებოდა.

სათიბებში გავიდოდა, ცელს მოიქნევდა თუ არა, შეცბუნდებოდა, მოსათიბი ბალახი მიაგულის ნაწნავებად ეჩვენებოდა. შინ შემოვიდოდა და ცოლ-შვილის მზერა უძნელდებოდა.

ოტია მარგველანს ყველაზე უფრო მაინც ის კლავდა, რომ ცოლი არაფერს ეუბნებოდა. არყის ხესავით თეთრი ტანი ჰქონდა ოტიას მეუღლეს. სანამ მიაგულს ნახავდა, ცოლის შემხედვარე ოტია მარგველანს ღამეც მზე ეგულებოდა შინ. ცოლის სიძულვილი გულში არც ახლა შეუშვია ოტიას. იშვიათი რამ მოხდა, თითქოს დარინე უფრო შეუყვარდა, თითქოს მისი სახე და ტანი უფრო მიმზიდველი გახდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მიაგულ და დარინე ერთი და იგივე ქალი იყო. ელანდებოდა კიდეც, რომ მისი შვილების დედა მიაგულ იყო და არა დარინე. ფიქრში შესულს ნამდვილად ეგონა დღეობაზე დარინე ნახა და არა მიაგულ. გაორებული იყო ახალგაზრდა მონადირე, დარინეს და მიაგულს ერთმანეთისაგან ვეღარ არჩევდა, თვითონ გაორებულს ცოლი და მიაგულ ერთ არსებად ეხატებოდა.

მოითენთებოდა ფიქრით, ხალდეშურას მინდვრებზე გაწვებოდა, რძიან სამყურა ბალახს ხელს ისე უსვამდა, თითქოს მიაგულის და დარინეს წარბ-წამწამს ეფერებოდა.

ერთი კი იძალა ოტიამ, ორი წელი იფარისკენ არ გაუხედავს. არც დღეობაში ჩავიდა კალაში. მიაგულის მეორედ ნახვას ერიდებოდა.

მიაგული კი ყოველ დღეობაზე კვირიკეს მთაზე ადიოდა. ამ ხნის მანძილზე ცას იმდენი ნამი არ დასცვენია, რამდენიც მიაგულს ცრემლი მოსწყდა თვალებიდან. ავიდოდა საყდარზე, ოტიას ნადგომ ადგილზე დადგებოდა, მის ხელმონაკიდ სავაკაცო ლოდს მოეფერებოდა და ხალდესაკენ ყურებით თვალებს ჩაიღამებდა. წავიდოდნენ ყველანი, ის კი ისევ გასცქეროდა ქედებს. იცოდა ქალიშვილმა, მისი გულისმკვლელი იქ იმყოფებოდა. გულმოშხამული მამა ვერ მოითმენდა ბოლოს და დაიბუხუნებდა:

— ადექი, გოგო. მეც ნუ მომკალ და შენი თავიც ნუ დაიტანჯე!

ლასლასით წამოვიდოდა მიაგულ იფარისაკენ.

ასე გადიოდა დრო.

ოტია მარგველანის სოფლიდან ავი ამბები ესმოდა მიაგულს, ყველაზე ცუდი და შხამიანი ამბავი მაინც ერთ დღეს გაიგო მონადირის ქალიშვილმა.

სანადიროდ წასული ოტია მარგველანი ჯიხვს გამოჰკიდებოდა. ქარაფ ყინულზე დასწევია ოტია და თვალი თოფის ნიშანზე გაუმართავს. რქადაგრეხილი ჯიხვი ციცაბოზე მდგარა. თავი ნისლეთისაკენ მოეღირა. ქვევით თვალგაუზომავი ყინულის ზვავები ჩანდა, მის ქვემოთ ქვესკნელში ხალდეშურას წყაროების ბუდე-ფესვი ჩხრიალებდა.

ნისლი მთის კალთიდან კალთაზე გადადიოდა თურმე. სიჩქარე იყო საჭირო, მალე ენგურის ქაფისფერი ნისლი დაფარავდა ჯიხვის ტანს, უცებ ისევ თვალი გაშტერებია ოტიას. თოფის ნიშნის გასწვრივ ჯიხვის დაგრეხილ რქებს კანკალი დაუწყიათ. რამდენი დააკვირდა ნიშანში ამოღებულ ჯიხვს, იმდენად თვითონაც ათრთოლდა თურმე. ბოლოს, როცა ჩახმახისათვის თითი ამოუდვია, გაოცებულა ვაჟკაცი! ჯიხვის თვალების მაგივრად მიაგულის თუ დარინეს თვალები მოლანდე-

ბია. ვეღარ გაუძლია მონადირეს: „აჰუ, ჩემს დღესო“, — აღმოხეთქია გულიდან. თოფი ხელიდან გაუგდია, მკლავები გაუშლია და მიაგულ-დარინესაკენ წასულა მოსახვევნად. უნდო და ბოროტი ყინულის უფსკრულებია შხარასა და აილამას კალთებზე. ისინი ცივი არიან და არ იციან სიყვარული. დაუსაბამოში დაბადებულებს არასოდეს მზისაგან გული არ გალხობიათ... ჰოდა, მარგველანს ყინულზე ფეხი დასხლტომია და უფსკრულში გადაჩეხილა.

მონადირეებს მხოლოდ მისი უკანასკნელი ძახილი გაუგონიათ, დარინეს და მიაგულს უხმობდა თურმე.

ქმრის სიკვდილი დარინეს მალე გაუგია. ფეხშიშველს ურბენია ციცაბომდე. ფეხის გულები დაუსისხლავს ყინულის წვეტებზე და გახელებულ ქალს იმ ადგილამდე მიუღწევია, სადაც მხოლოდ თოფი უნახავს და სხვა არაფერი.

უფსკრულში გასარკული ყინული ჩანდა, ქვევით კი ხალდეშურა ლუღლუღებდა.

— ჰაუ, ოტიავ! — ეძახდა ქალი ქმარს, — რად მიმატოვე ასე უცებ, ჩემო სიცოცხლევ! დარინე ვერ გაძლებს უშენოდ! ვაი ჩემს დღეს, შენს მკლავზე ღამენათევს მხოლოდ შენთან მაქვს ბინა!

ბარბაცით ძირს ჩამოსულა, ყინულის ზვავს ქვემოთ. იქ, სადაც ხალდეშურა ქვესკნელიდან გამოდის და მზეს პირველად შეხედავს, ახლაც დიდი ლოდი ძევს. იქამდე ფორთხვით მისულა, თოფის ლულა შუბლზე მიუდვია, ჩახმახი გამოუსხლეტია და თვითონაც ხალდეშურას შხეფებით აბოლებულ ტალღებში ჩავარდნილა. იმ ლოდს ქვემოთ ახლა ორი მჩქეფარე მყავე წყარო ამოჩუხჩუხებს მიწის გულიდან. ქვებზე სისხლის კვალივით აჩნია წვეთების ჟანგი. ამბობენ, დარინეს ცრემლებიაო.

გულმდუღარედ მოუსმენია ეს ამბავი მიაგულს, ძაძა ჩაუცვამს, თმა გაუშლია. ყოველ საღამოს იგი იფარიდან გაიპარებოდა თურმე, ენგურის პირს აჰყვებოდა და მის ღრიალა ტალღებს ცრემლებს აფრქვევდა.

მდინარის მარჯვენა კიდეზე ჯდებოდა, სწორედ იქ, სადაც უზარმაზარი კლდე არის ენგურში ჩაგორებული, ეგონა — ოტიასა და დარინეს ტანზე ნასხურები ხალდეშურას წვეთები აქ ჩამოივლიდნენ. ეს, მართლაც, ასე იყო. მისი აფორიაქებული

ფხეფები სწორედ ამ კლდესთან მოედინება. მის კალთებზე შედგებოდა მიაგულ, თლილ თითებს მდინარეში ჩაჰყოფდა და ისე ეალერსებოდა მის ტალღებს, თითქოს ოტიას მკერდს ეფერებოდა.

მიაგულმა ახლა მთელი გულით შეიყვარა დარინე, დარინე, რომელიც მასზე უწინ შეიტკბო ოტია მარგველანმა. დიდხანს რჩებოდა ენგურის პირას მიაგულ.

ჯავრში ჩავარდა ბექნუ პირველი. მიხვდა ძველი მონადირე, მისი ქალიშვილი უკურნებელი სენით რომ იყო შეპყრობილი.

— თავი ნუ მოიკალ, გოგო! — შეელაპარაკა ერთხელ მიაგულს მამა. — ოტია სატირელი არ არის. ფიქრგაურკვეველი კაცი იყო, ცოლ-შვილის მოღალატე. პატიოსანი ვაჟკაცის გულში ერთი ქალის სიყვარულის გარდა სხვა თვალმა არ უნდა ჩაიხედოს. ის კი...

მიაგულმა სიტყვა არ დააცალა მამას:

— მე მას კი არ ვგლოვობ, მამა, მე ჩემსავით ბედკრულ დარინეს დავტირი.

— როგორ თუ დარინეს?! — გაოცდა მონადირე.

— დიახ, დარინეს ვგლოვობ, ოტია მარგველანის ცოლს.

— მერე შენ ხომ ოტია გიყვარდა?

— კი მამაჩემო, ოტია მიყვარდა. იმ ბეჩავსაც ხომ ოტია უყვარდა. მე და დარინე ერთმა გრძნობამ შეგვაერთა, ერთფერი აღმოვჩნდით, ერთი კაცის სიყვარულმა დაგვღუპა. მისი გულიც მხოლოდ ერთი სიყვარულის დამტევი იყო, მეორე არ ეტეოდა.

— შენ საიდან იცი, ქალო, დარინე ხომ არც კი გინახავს?!

მიაგულს თვალზე ცრემლი მოადგა.

— არა, არ მინახავს, ნეტავი ერთხელ მაინც შემეხედა. ამბობენ, ძალიან ლამაზი იყოო. ისე კი ვიცნობ, მისმა გულმა გამაცნო, მისმა ფიქრმა და ტანჯვამ უხილავად დამაახლოვა, მისი გუნების სიმთელემ მის ღვიძლ დად გამხადა. რა ვუყოთ, რომ მასაც ის კაცი უყვარდა, ვინც მეც დამღუპა. ორივენი ერთი ფიქრისა და ერთი გულისა აღმოვჩნდით, ოტიას კი ამქვეყნად არც ფეხის დასადგმელი ადგილი ჰქონდა და არც

წმინდა ცა ეხურა თავზე. ორი სატრფო ერთ გულში არ დაეტევა, არ მოთავსდება. დაიღუპა კაცი და ჩვენც დაგვღუპა.

გარინდებული უსმენდა მამა მიაგულს.

— შენ რადა ხარ, შვილო, დაღუპული, შენ შენი ბედი წინ გიდევს.

— არა, მამა, ჩემი ბედი ოტიასთან ერთად ხალდეშურას ტალღებს შეერია.

— მეც დაგიღუპივარ, შვილო, და ეს არის! ნუთუ მამა არ გებრალება?!

მიაგულს ცრემლებმა ღვარივით გადმოხეთქა, იგი მამას მკერდზე მიეკრა.

— მებრალები, მამა, მებრალები, ვიცი, რომ ჩემს გარდა არავინ გყავს. მარტო მე ვარ შენი ნუგეში. იმიტომ უნდა ვიცოცხლო, შენთან უნდა დავრჩე! — ქალიშვილმა ცოტა უკან დაიხია, ბექნუს თვალებში ჩახედა და ჩურჩულით განაგრძო:— მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს, მამავ, იცოდე, უარი არ მითხრა.

— თქვი, შვილო, თუკი შევიძელ...

— შესძლებ, მამა... თუ მე გიყვარვარ, ამ კლდეზე, აი, ამ ენგურში ჩამოგორებულ ლოდზე კოშკი უნდა ამიშენო. მეც მოგეხმარები; ქვებს მოვზიდავ, კირს მოვზელ, ქვიშას მოვაგროვებ. ხომ ხედავ ამ კლდის კალთას, ყოველ წუთს მათი ნაბანი წყლით რომ ირეცხება. მეც ყოველ დილით ამ შხეფებით დაეიბან ხელ-პირს: ხალდეშურას წვეთები შეგვაერთებს ორ დაღუპულსა და ერთ ტანჯულ ადამიანს. ასე სჯობს, მამა, ასე კარგი იქნება!

ბექნუ გაშტერებული უყურებდა ენგურის აქაფებულ ტალღებს, აბობოქრებულნი რომ ასკდებოდნენ კლდეს და ისევ უკან იჩქაროდნენ.

— კარგი, შვილო, იყოს შენი ნება! — ოხვრით თქვა ბექნუ პირველმა. მონადირემ მიაგულს მკლავზე ხელი მოჰკიდა. — მხოლოდ იცოდე, ჩემო სიცოცხლევ, — ნელა განაგრძო მან, — ცრემლს მოერიდე, ხომ იცი, ცრემლი ადამიანის გულის მჭამელია.

ერთხელ კიდევ ჩამოთოვა ხევებში და ერთხელ კიდევ ამწვანდა გორაკების კალთები, ოცა ბექნუ პირველმა მაღალ-

ქონგურებიანი კოშკი ააშენა, კლდეკალთაზე შემდგარ მის ფუძეს ბალავერი არ დასჭირვებია. ჩრდილოეთიდან სახლიც მოუდგა ბექნუმ. ალბათ, თვითონაც უნდოდა ქალიშვილის ახლო ყოფილიყო.

მშვენიერი დილა-საღამო იცის ენგურის ხევმა. დილით ნაზი და თხელი ნისლი დაეყრება შფოთიან მდინარეს. კლდეებზე და ერთმანეთზე შეხლილი ტალღები ცას შხეფებს ლაღად ესვრიან. მის ცივ გიჟმაჟ ჩქერებზე ტანზე ბროწეულდაყრილი თევზები ნავარდობენ. ამწვანებული მთები დილას და საღამოს მზის სხივით ივსება. ჩრდილოეთით კი ყინულოვანი მწვერვალებია. გორაკებზე არყის ხეები, წიფელები და ფიჭვ-ნაძვები ცაში შეტყორცნილან.

ყოველ დილა-საღამოს ჩამოდიოდა კოშკის კალთებთან მიაგულ, ბროლის თითებს ენგურის ტალღებში ჩაჰყოფდა და ფიქრს მიეცემოდა. მდინარის სიღრმეში ხანდახან კალმახები გაიელვებდნენ. თვალი უშტერდებოდა მაშინ მიაგულს. ენგურის აქოჩრილ ტალღებზე ჯერ თითქოს ჩრდილივით გაჩნდებოდა რაღაც, მერე ეს ჩრდილი შედედდებოდა და ოტიად იქცეოდა. ერთი შეტრიალდებოდა წყლის ზედაპირზე ოტიას აჩრდილი და მერე მისკენ ხელგაშვერილი წამოვიდოდა. მიაგულ წუხდა, მაგრამ მკლავს არ მიაშველებდა. ვაჟკაცს ნაპირზე არ ამოიყვანდა, გვერდით არ მოისვამდა.

— ცოდვიანი კაცი ხარ, ორი ქალის სახე ჩაიდე გულში და ორივე დაგვღუპე, — ჩურჩულებდა მიაგულ.

მაშინ კოშკის ქონგურზე მიყუდებულ ბექნუს ესმოდა, თუ როგორ ესაუბრებოდა უხილავ დარინეს მისი ქალიშვილი...

აფხაზური თქმულება

ჩემს მეგობარს შოთა ძიძიგურს

— შუაღამე თუ გადავიდა, დედი?!

— ჯერ ადრეა, ასტამურ! — უპასუხა დედის მაგიერ უფროსმა ძმამ და ქალამნების თასმებს დაუწყო შეკვრა.

ჭაღარა დედა ნელა წამოდგა, კარი გამოაღო, ხელი სახეზე მოიჩრდილა, ძირს გაწოლილ წკვარამ ღამეს გახედა, დიდხანს უყურა, მერე ზევით ასწია თავი და ცას მიაპყრო თვალები.

— რამდენი ვარსკვლავია ამ ჩვენს დალოცვილ ცაზე, არსად ამდენი არ იქნება. დედა ენაცვალოთ! ჩემი ბიჭების თვალებივით ციმციმებენ. ალბათ, ეს ვეებერთელა ცის გუმბათი დედის კალთაა, ვარსკვლავები კი ჩვენი შვილების გამოხედვაა. აი, ორი წვრილი კიაფა ვარსკვლავი რომ ციმციმებს ცის კიდეზე, ჩემი შვილიშვილის თვალებია, — გამოეპასუხა თავის თავს დაჯილი.

— ეჰ, ქმარი რომ ცოცხალი მყოლოდა, რაღა მიჭირდა ბედშავს, ჩემზე ბედნიერი ქალი ამ ვარსკვლავეთის ქვეშ მართლაც არ იქნებოდა!.. — კვლავ ჩაილაპარაკა და, გულისპირზე ისე მოისვა ხელი, თითქოს ოდესღაც ქმრის ხელით მიბნეულ ქინძისთავს იმაგრებდა სამოსელზე. მერე ისევ ცას გახედა, თვალი მოავლო და შინ შებრუნდა.

— გათენებას ერთი ძილისპირი აკლია, შვილებო, წასვლის დროა, დამილოცნიხართ!

— სანამ ყაბალახებს დავიხურავდეთ, ძაღლი გამოუშვი, დედი! — შეეხვეწა უფროსი შვილი.

— კი, შვილო, კი, კიხალაჲ დაძავიწყდა, აბა, უძაღლოდ მონადირე ვინ გაიგონა?! — დაჯილმა ისევ გამოაღო კარი, გარეთ გავიდა.

ძმებმა ყაბალახით თავი გაიკრეს, თოფი გადაიკიდეს და წასასვლელად მოემზადნენ.

— შუქზიარას არ დაემშვიდობები? აკვანში ბავშვი არ გაღვიძო, ასტამურ, — წყნარად, მზრუნველად უთხრა უფროსმა.

— ბარემ მინდოდა, მაგრამ.. — ასტამური გამოღებული კარის ზღურბლზე კრძალვით შეაჩერდა ძმას, მერე ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა: — თვითონ შემეხვეწა, ბავშვს რომ აძინებდა, უჩემოდ არ წახვიდეო.

უფროსმა ძმამ კარი ცხვირწინ სიცილით მიუხურა.

— არ დაიგვიანო, დედა ჭიშკრამდე გაგვაცილებს.

დიდ ნიგვზის ძირში მათეს დედაზე წინ ძაღლი შემოეგება, ღამეზე შავი ვეფხო სიბნელეში უფრო დიდი მოჩანდა. იგი წინა ფეხებგართხმული შეაჩერდა პატრონის თვალებს და, რაკი მათში ალერსი შენიშნა, საკინძეზე შეეტოტინა.

— ჰატ! — შეუწყრა მათე. ძაღლიც უხასიათოდ ჩამოხტა მიწაზე და აქეთ-იქით მიიხედა. ბალახის ფხოჭნა დაიწყო და ნიგვზის ტოტებს შეუყეფა.

— ასტამური მალე დაგვეწევა, — ჩაუჩურჩულა მათემ ძაღლს. პატარა ბიჭს აკოცებს, ვეფხო, ხომ უნდა დაემშვიდობოს ცოლ-შვილს.

მოახლოებულმა დედამ ჩურჩული გაიგონა.

— თქვენ კი გენაცვალეთ, რომ ასე გიყვართ ძმებს ერთმანეთი! — ახლა დედამ ჩაიჩურჩულა და ცისკენ ხელები აღაპყრო: — ვაი შენს მეუღლეს, მათეს და ასტამურის მამავ, მათ დავაქკაცებას რომ ვერ მოესწარ, შე უბედურო!

— ვის ელაპარაკები, დედი?

— თქვენს ლოცვას ვამბობ, შვილო. ხომ იცი, ბიჭო, დედის გულს შვილებზე ფიქრი და ლოცვა ამაგრებს.

— შუქზიარას და ბიჭს მიხედე, დედი. ჩვენ რა გაგვიჭირდება, პირველად ხომ არ მივდივართ საჯიხვედ!

— პირველად არა, მაგრამ რაღაც გული მიკვნესის, შვილო, — თითქოს ენა მოკვნეტოდეს, უცებ დედა ისე შეჩერდა. — ეს რა წამომცდაო, — გაიფიქრა და უნებლიეთ კინა-

ღამ ხმამაღლა დააყოლა — ვაი, რომ ძუძუს თავებიც ამეწვა, ბიჭო.

მათე თვალების ბრიალით მიუახლოვდა დედას.

— დედა, თუ გული ცუდს გეუბნება, აღარ წავალთ.

დედა ისევ შეჩერდა. სახლის კარს გახედა და წყნარად თქვა:

— ასტამურ არ იზამს, შვილო, ხომ იცი, ფიცხი ბიჭია, მერე შენი ბედი მაწუხებს და ბევრი რამე მედარდება.

— მე რა მაქვს საწუხებელი?!

— სად გაგონილა, ბიჭო, უმცროსმა ქალი შეირთოს, უფროსი კი უქალოდ დარჩეს.

— ჰე, დედი, ნუ ჭკარობ, არ დავრჩები, ხომ იცი, თავს არ დავიჩაგრავ.

— ნუ გერიდება, შვილო, ძმისა, განა მას არ გაუხარდება შენი ქორწილი?!

მათეს გაეღიმა, მერე ოდნავ შეჩერდა და დაფიქრებით თქვა:

— დედი, ხომ იცი, ბევრი ხარჯია საჭირო. ახლახან ერთი ქორწილი გადავიხადეთ, მეორე ასე უცებ გაგვიძნელდება. ცოტა ხანი კიდევ და — ბედიც მოფრინდება ორივე ფრთით.

— ვიცი, შვილო, ვინც გიდევს გულში. მისი ტოლი ქალწული აფხაზეთში არ არის.

— მე სხვა მინდა, დედი, — გაიღიმა მათემ.

— ვიცი, შვილო, ვინც შენს გულს უნდა. დედის გულღვიძლი შვილის გულ-ღვიძლთან უშორებელია, ვერ მომატყუებ, შვილო, ვერა.

— კარგი, დედაჩემო, ასტამურმა არ გაიგონოს. იდარდებს. აქაო და, ხელი შევუშალეო.

— კი, შვილო. ხელი მართლაც შეგიშალა. თუმცა მისი რა ბრალია, შენ დაიჯინე, საქვეყნო წესი დაარღვიე. უმცროს ძმას ქალი უმალ მოაყვანინე.

— ასტამურის მეტი ვინ გვყავს, დედი, ამქვეყნად. მისი ერთი დღის დარდი მეც დამადნობდა და შენც.

— ახლა, ბიჭო, შენ რომ დნები იმ ქალის სიყვარულით?

— ჩემი მოითმენს. — ჩაფიქრებით თქვა მათემ და სახლისკენ გაიხედა. ისევ სიწყნარე იყო, ჯერ არავინ ჩანდა.

— მარულაზე ვნახე, ცხენზე იჯდა, დალალები უზანგამდე უწევდა, თეთრი დარაიას ყაბალახით თავი აფხაზურად ებურა, თვალი ვერ მოვაშორე, ბიჭო!

მათე გაილურსა.

— ჩვენი პატარა ბიჭივით სხივნათელი თვალები აქვს.

— კარგი, დედი!

— დოღშიაც ყველას აჯობა, შვილო!

— გაჩერდი, დედი, გაჩერდი! — ბავშვივით მოეხვია მათე დედას და შუბლზე აკოცა.

— კარგია ჩვენი შუქზიარა, მაგრამ იმ შენი რჩეულის ჩვენ სახლში დაგულება მეჩქარება, დედის გული მეუბნება, შვილო.

სახლის კარი გაიღო და ასტამურთან ერთად შუქზიარა სანათით ხელში გამოჩნდა. სინათლე სიბნელეში ფარშავანგის ფრთასავით გაიშალა და მწვანე ბალახში აკანკალდა.

— არაფერი თქვა, დედი, შუქზიარამ ეჭვი არ აიღოს, — ჩაიჩურჩულა მათემ და დედას ლოყაზე აკოცა.

* * *

თენდებოდა. კავკასიონის ცადაზიდული ყინულოვანი მწვერვალები ღრუბლებს ზემოდან დასცქეროდნენ ქვეყანას. ნისლი თანდათან ქვემოთ იწევდა. კრიალა ცის გუმბათის დიდებულ სილურჯეში მთათა თეთრი წვერები თვალისმომჭრელად ქათქათებდნენ. ჯერ კიდევ ბინდით მოცული ხევები ნისლში გარუჯულიყვნენ. ქვესკნელში შხეფაბოლებული მდინარეები კლდეებს ასკდებოდნენ. ცასა და ჩაბნელებულ ხევებს შორის ფერდობებზე შეფენილი ტყე შრიალებდა.

— ჰამ, ჰამ, — მოისმოდა ხევის პირზე ძაღლის ხმა და ყეფას იმეორებდნენ მთის კალთებზე აშოლტილი ტყეები.

— გაჩუმდი, ვეფხო, ახლა ხმამაღლა ყეფა აღარ შეიძლება, საჯიხვეებს ვუახლოვდებით, — უტევდნენ ძმები ძაღლს.

ვეფხო აქელებული შორდებოდა ხევის პირებს და სიჩქარით გარბოდა აღმადაკიდებულ ბილიკებზე.

ზევით და ზევით თეთრი სამყარო იწყებოდა. ჯერ აქა-იქ

თოვლის და მოხეთქილი ზვავების გუნდები გამოჩნდა, შემდეგ კი წრიახებზე დაკიდებული ყინულის უდნობი კლდეები. მზე ნელ-ნელა ამოიწია მწვერვალებგადაღმიდან. თვალისმომჭრელი სინათლის ბუღი დაიბნა ყინულის კალთებზე. ძმებმა სასაუზმოდ შეისვენეს.

— თითო არაყი დავლიოთ, ასტამურ, — ბრძანა უფროსმა.

— დავლიოთ, — ჩაფიქრებით თქვა უმცროსმა ძმამ.

მათე ასტამურს დააცქერდა.

— რამ ჩაგაფიქრა, შენი ბიჭი გაგახსენდა?!

— ოჰ, გამახსენდა, — გაიღიმა ასტამურმა, — რომ მოვდიოდი, პატარა ხელებით ულვაში დამაწიწკნა, — მოკრძალებით შეხედა უმცროსმა უფროსს.

— თუ კარგი ნადირობა გვექნა, ჩამოსვლისთანავე ნათლობა უნდა გადავიხადოთ.

— არა, ჯერ შენი ქორწილი უნდა მოვათავოთ, ხალხის უბაში ვართ ჩავარდნილი. ამბობენ: უმცროსმა ქალი მოიყვანა, უფროსმა კი არაო.

— სხვას ყურს ნუ უგდებ, ჩემო ძმაო, ჩვენი ოჯახის საქმე ჩვენ ვიცით.

— დედასაც, ილბათ, გული ეთანაღრება, თვალი ვერ გამისწორებია მისთვის. შენიც მრცხვენია, მათე! ვიცი, ჩემს სულწასულობასაც აპატიეთ ყველაფერი.

— რას ამბობ, ბიჭო, სულწასულობა კი არა, ასე იყო საჭირო. მე ჯერ არავინ მიდევს გულში.

— ვითომ?!

— გეუბნები და დამიჯერე.

— მე კი მგონია, შენ ჩვენს ძმობას მოეფერე და ჩემი სულმოკლეობა სოფელს დაუმალე.

— გაგიჟდი, ძმაო?! — მათემ ძმას ბეჭებზე მოხვია ხელი. — ასეთი რამ გულში არ ჩაიდო. მე ჯერ თვალში არავინ ამომიჩემებია.

ასტამურმა ღიმილით და ოდნავ დაცინვით მოჭუტა თვალი:

— არც ხიმური მოგწონს, თარკილის ქალიშვილი?!

მათეს ალმურმა გადაუარა სახეზე. შუბლზე ოფლის ცვარმა გამოჟონა.

— ლამაზი ქალიაო, ხიმურზე ითქმის. ნაწნავები ბაშლა-

ყის ფრთებზე გრძელი აქვს. მისი ტანი სიარულის დროს ფშანში ამოსულ ლერწამივით ირხევა. ჩემმა შუქზიარამ გუშინწინ თვითონ მითხრა, მათეს შესაციცინებს თვალებშიო. ხომ იცი, ქალმა ქალისა იცის.

— ჰაუ, შუქზიარას თვალი დაცდენია. სად მე და სად ხიმური?!

ასტამური გააკვირვა ძმის წამოძახილმა.

— ვითომ რატომაო?!

მათემ უცებ ვერაფერი მოისაზრა და გაწითლებულმა ისეთი რამ წამოროშა, მერე თვითონაც ინანა.

— ხიმურს ჩვენი ძუძუმტე უნდა უყვარდეს.

გაოცებული ასტამური ქარივით წამოიჭრა.

— რომელი ძუძუმტე?!

— ხირიფს თარბა.

ასტამურს თითქოს ქვა მოხვედროდეს შუბლში, ისე შეტოკდა.

— შეუძლებელია, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და მერე გულწრფელად დაატანა: — აბა, რაღა გვეშველება?!.

მათეს სახეზე ღიმილი მოერია.

— რას ჩააცივდი თარკილების ქალიშვილს?! ჯერ შენი ბიჭის ნათლობა გვიძევს წინ. მერე კი, ვნახოთ.

უმცროსმა ისევ ახედა უფროსს, შუბლზე ნამი შეამჩნია.

— არა, მათე, ნუ მატყუებ ასტამურს, ხირიფს თარბა შენ ამორჩეულს თვალს არ გაუმართავს.

— არც მე გავუმართავ მის საცოლეს თვალს.

ასტამურმა არაფერი უთხრა ძმას. ცოტა ხანს იყუჩა, მერე მთებს გახედა და წყნარად თქვა:

— მე კი სხვანაირად მეგონა. უკვე რძლად ვიგულებდი ხიმურს.

მზემ ქვეყანას მთელი ძალით დააცხუნა სხივები. ყინულის გარეკანს ცრემლი დაეტყო, მათემ თვალი შეავლო კალთებს; ნელ-ნელა წყდებოდნენ წვეთები სხივებით გამთბარ ყინულეთს და ვერცხლისწყლის ცვარებად ძირს ცვიოდნენ. ზოგან ისინი ერთმანეთს უერთდებოდნენ და პატარა ღარებს ქმნიდნენ. მზის სხივთა საოცარ ლივლივში ეს მარგალიტის შხეფები ბეწვისხელა ნაკადულად მიჩხრიალებდა ყინულის კედლებზე.

— ასტამურ, თოფებს ჩოხა გავაძროთ, — თქვა უფროსმა ძმამ.

— ჯერ ადრე არ არის, ვითომ? — იკითხა უმცროსმა.

— საჯიხვეთი უკვე იწყება. რა იცი, სად წავაწყდებით ჯოგს.

— კარგი, — არ შეედავა ასტამური, — შენი ნება იყოს.

ყანწები და ნარჩენი შოთები ხურჯინში ჩაალაგეს, თასმები გაიკრეს, თოფებს ჩოხა გააძრეს და ზევით გასწიეს.

შუადღემდე იარეს ძმებმა და „თეთრ ხევს“ მიაღწიეს. გაღმა-გამოღმა ყინულის კალთები იყო აზიდული. ქვემოთ, ყინულის სქელ კედლებს ქვეშ მდინარე მიჩხრიალებდა. გადასასვლელზე გადახტომის დროს მათეს მოულოდნელად ფეხი დაუცდა და კოჭი შეუბრუნდა.

„ამიხდა, დედაჩემის ნათქვამიო“, — გაიფიქრა უფროსმა ძმამ, თქმით კი არაფერი უთქვამს.

ჯერ არ დაიმჩნია მათემ ეს ფათერაკი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კოჭლობა დაიწყო.

— ფეხთ გაიხადე, ვნახოთ, რა გაქვს, — წამოიძახა ასტამურმა.

მათემ ქალამანი გაიხადა და კოჭს დახედა. ფეხი ორივე მხარეს შესიებული ჩანდა.

— ცუდი ნადირობა მოგვიხდა, მათე, უკან უნდა დავბრუნდეთ.

— არაფერია, სიარულს როგორმე შევძლებ, ასტამურ. მხოლოდ ვიჩქაროთ.

ფეხი გისივდება, მათე, ამ წრიახებს უნდა გავშორდეთ.

— თითო ჯიხვი თუ არ მოვინადირეთ, სოფელში ჩასვლა სირცხვილია, ბიჭო.

— უფეხოდ ჯიხვზე ნადირობა ვინ გაიგონა, ძმაო, ფათერაკის მეშინია.

— ასტამურ! ნათლობა მალე უნდა გადავიხადოთ, უიმისობა არ იქნება.

უმცროს ძმას თითქოს მუხლებში გააკანკალა, ისეთმა ფერმა გადაუარა სახეზე.

„ნათლობა ეჩქარება“, — გაიფიქრა მან და კინაღამ ხმამაღ-

ლა წამოიძახა — აბა, მიგიხვდი, უფროსო ძმაო, ჯერ ამას მოვილევთ, მერე კი შენს ქორწილსაც გადავიხდით.

— კარგი, შენი ნება იყოს. მხოლოდ მეშინია, არ დავარდე! — ეს სიტყვები კი ხმამაღლა თქვა ასტამურმა.

ორივემ შემოიხვია ყაბალახები და ნელა დაიწყეს ციცაბოებზე სვლა.

წინ ახლა უმცროსი მიდიოდა. უკან მათე მიჰყვებოდა. უჭირდა სიარული. სიმსივნე თანდათან მატულობდა, ფეხი უხურდა. ასტამურის ნამალავად ჯერ პაჭიჭი გაიძრო, მერე ორივ წინდიდან ერთი გაიხადა.

ვეფხო ისევ წინ გარბოდა, ახლა იგი უგუნებოდ იყო. არ ყეფდა, კუდდაშვებული მიჰყვებოდა ბილიკებს. ხანდახან მობრუნდებოდა, დაიცდიდა და მათეს შეხედავდა თვალებში, თითქოს წუხილს მიუხვდაო, ფეხით ყინულს მოფხაჭნიდა და ისევ წინ გაიქცეოდა.

მზე გადაიხარა. ბინდდებოდა. ძმებს განზრახული ჰქონდათ ღამე საჯიხვე მთების მისასვლელზე გაეთიათ და ალიონს დაეწყოთ ნადირობა. საღამო ხანს ნისლებმა ქვევიდან ზევით იწყეს სვლა. მხოლოდ მთის თეთრი წვერები იყო მზის სხივებში გახვეული. ნისლი თანდათან სქლად ეხვეოდა კალთებს, ქვევით ალარაფერი ჩანდა. უცებ, თითქოს მიწა გაირღვაო, ისეთი ხმაური მოისმა. გაღმა მთის მწვერვალს ვეება ყინულის კლდე მოსწყდა და ქვემოთ წამოვიდა. დაქანებული ზვავი გზაზე ყველაფერს ხვეტავდა, იხვევდა და საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. ძმებმა გახედეს მომსკდარ კლდეს და ფერი ეცვალათ, გრგვინვით და ზათქით მოხეთქილი ყინულეთი თითქოს პირდაპირ გამოღმა მწვერვალისაკენ მოექანებოდა.

— გვერდით კალთაზე უნდა გადავინაცვლოთ, ასტამურ! — დასძახა მათემ და იქით გაიწია.

ასტამური მიხვდა უფროსი ძმის განზრახვას. თვითონაც იმ კალთისაკენ წავიდა, საითაც ზვავი ვერ მისწვდებოდა. მთელი დღის მზის სიმხურვალით ყინულის ქერქი შემლხვალი ჩანდა.

ორი ნაბიჯი ძლივს გადადგეს ძმებმა, რომ ასტამურს მათეს კვნესა მოესმა.

უკან მოიხედა.

მათე ყინულზე გაშხლართულიყო.

ჯიხვივით გადმოხტა ასტამურ ძმისაკენ და მხრებში დასწვდა.

— ისევ ფეხი გადამიბრუნდა! — დაიკვნესა ძმამ.

— ეაი ჩვენს უბედურებას! — წამოიძახა ასტამურმა.

სიტყვა ვერ დაასრულა, რომ გაღმა მწვერვალიდან მომსკდარმა ზვავმა გამოღმა მთის კალთას ჩამოურბინა. თითქოს დედამიწა სკდებოდა და იფშვნებოდა, ყინულის კედლები მეხის სისწრაფით და გრიალით მიექანებოდა უფსკრულისაკენ. ვეება ნამსხვრევები აქეთ-იქით ცვიოდა.

ძმები უნებლიეთ ჩაეკრნენ ერთიმეორეს და ყინულზე გაწვნენ. ზვავთან ერთად საოცარმა სიცივემ ჩაიქროლა უფსკრულისაკენ; როცა ძმებმა თვალი გაახილეს, დაინახეს, რომ აზვირთებული თოვლის მდინარე შხუილით მიჰყვებოდა ზვავის ნაკვალევს.

— გადავრჩით! — წყნარად თქვა მათემ.

— გადავრჩით! — ლოცვასავით გაიმეორა ასტამურმა.

მწვერვალის ჩრდილო კალთაზე მინდორივით გაშლილი პატარა ფლატე მოჩანდა. მათემ იქით გაიწია, მაგრამ ისევ დაიკვნესა, ფეხის გადადგმაც ვერ შეძლო.

— მაჩვენე, ვნახო რა დაგემართა! — წყნარად უთხრა ასტამურმა.

მათემ წინდის ყელი ჩაიწია და დახედა. სიმსივნე წვივზე ასულიყო, ფეხი მუხლისთავამდე აფუებულ პურის ცომივით მოჩანდა.

— ახლავე ქვევით უნდა, დავეშვათ! — დაასკვნა უმცროსმა ძმამ.

— ხელცარიელი უკან წასვლა ვერაფერი ბედენაა, ძმაო.

უცებ ორივე ძმას თვალები გაუშტერდა. სწორედ მათ ზემოთ, ვიწრო მწვერვალის თხემზე ჯიხვების ჯოგი გადმომდგარიყო, ერთ ადგილზე გაშეშებულიყვნენ, წინ ვეება ყოჩი იდგა. მისი რქები მზის ჩამავალ სხივქვეშ ნასისხლარ ხმლებივით ელავდა. ქვევიდან ისე მოჩანდა, თითქოს ცის თაღის გასამაგრებლად შებჯენოდა სამყაროს.

— რა ვიღონოთ? — აღმოხდა მათეს გულიდან.

ასტამურს თვალები გაუფართოვდა.

— წავალ, წამოვეპარები, — ჩაუჩურჩულა უფროს ძმას.

— უკვე ღამდება, — ბოღმით თქვა მათემ, — ასვლასაც ვერ მოვასწრებთ.

— მარტო წავალ! — შეეხვეწა ძმას ასტამური.

— მარტო?! — თითქოს ბურანში იყო, ისე გაიმეორა უფროსმა და თან დასძინა: — არა, არ შეიძლება!

— მათე, გამიშვი, თორემ, არ ვიცი, რა მომივა!

— ღამდება-მეთქი! — გაჯავრდა მათე.

— მოვასწრებ, ბიჭო, მოვასწრებ! — ასტამურსაც გაჯავრება დაეტყო ხმაში.

— ვერ მოასწრებ, ძმაო, — მტკიცედ თქვა უფროსმა.

— ნათლობა დაგავიწყდა?!

მათე გაჩუმდა. პასუხი არ გასცა.

— შენი ქორწილი?!

— ღამდება, ასტამურ. ხედავ, მზე უკვე ჩავიდა.

ასტამურმა ჯიხვებს გახედა. ისევ იმ ადგილზე იდგნენ.

— გავგიჟდები, თუ არ წავედი! — თქვა გადაწყვეტით მან და ყინულზე ხოხვით გასცურა.

— დაიღუპები, ბიჭო, ოჯახს დამიქცევ! — აღმოხდა მათეს.

ასტამურს ეს სიტყვები არ გაუგონია. იგი უკვე ზევიდან ბეწვივით დაკიდებულ ყინულის ღარს მიჰყვებოდა, რომელშიც კრიალა წყალი ყინულის ნატეხებს ქვევით მოარბენინებდა. ციცაბო ყინულის კედელი ძნელად სავლელი იყო. ასტამური ნელა, ფორთხვით მიიწევდა ზევით. მათე შიშით გაჰყურებდა მის მოძრაობას.

— ყინულზე ბზარს დაუკვირდი, ასტამურ, თვალმა არ მოგატყუოს! — ისევ გასძახა უფროსმა უმცროსს.

ასტამურმა ღარს დახედა და გააჟრჟოლა. ადგილ-ადგილ მკლავი ჩაეტეოდა, ისეთი ბზარები ჩანდა; ზევით გახედა ჯიხვებს და უცებ ყველაფერი გადაავიწყდა. აქედან მთელი ჯოგი უკლებლივ მოჩანდა. ეტყობოდა, ადამიანის სუნი ვერ აეღოთ, პატარები ერთიმეორეს ხტომაში ეჯიბრებოდნენ.

— ან დავიღუპები, ან მამალ ჯიხვს მოვკლავ. ძირს ჩავიტან და მათეს გულს გავუხარებ.

ასტამურმა ისევ შეუპოვრად დაიწყო ზევით სვლა.

მათე ყინულის მინდორზე იწვა და ჯიხვებსაც და ძმასაც ჯერჯერობით კარგად ხედავდა. ფეხი ისე სტეხდა, ეგონა, ძვა-

ლი გამტეხიაო. უფროსი ძმის თვალი მაინც ზემოთ იყო მიჯაჭ-ვული. მათემ კარგად შენიშნა, როგორ აფორთხდა ასტამური მწვერვალის ყინულოვან თხემზე და მუცლით გახოხდა ზევით. სიბნელე მატულობდა. გარშემო ნელ-ნელა უჩინარდებოდნენ პატარა საგნები, ცის თაღზე ვარსკვლავები უფრო და უფრო მკაფიოდ ისახებოდნენ. ბინდბუნდში მთების ცადაღმართუ-ლი უზარმაზარი მწვერვალები კიდევ უფრო დიდად მოჩანდ-ნენ.

— ნეტავ მოასწრებდეს ქვევით ჩამოსვლას! — გმინავდა მათე.

ზევიდან ისევ ხრიალი მოისმა, მათეს ტკივილი დაავიწყდა და ძმას გახედა. სწორედ ის ღარი, რომელსაც ასტამური მიჰყ-ვებოდა, მის ფეხებთან შუაზე გატყდა და ძირს ხრიალით წა-მოვიდა. მათემ სიბნელეში თვალი მოჰკრა უმცროსი ძმის ლანდს. ასტამურმა არაადამიანური ნახტომი გააკეთა და გვერ-დის კალთას ჩაებღაუჭა. რიბირაბოში ისიც გამოჩნდა, როგორ ჩაიმუხლა პატარა ყინულის მინდორზე ჯიუტმა მონადირემ.

— გადარჩა, დაღუპვას გადარჩა! — გამშრალ ყელში ჩაიხ-რიალა მათემ. ცოტა ხნის შემდეგ ვეფხოს ლანდიც შენიშნა ქვევით მწოლარემ. ძაღლი ასტამურისკენ მიხოხავდა.

„უკან ვეღარ დაბრუნდებიან!“ — ელვასავით გაჰკრა ამ ფიქრმა მათეს. „ჰაი, რომ მართალი გამოდგა დედის ეპვი!“ — ახლა თითქოს სხვამ დაუდასტურა ბოღმით სავსე კაცს ნაფიქ-რალი. გაღმა მწვერვალები ახლა მუქ, ვეება ლანდებივით აღი-მართნენ. იქ, სადაც ჯიხვები იდგნენ, უფროსი მონადირის გამჭ-რიახმა თვალმა მაინც შენიშნა, რომ ახლა სიცარიელე იყო. ისინი სადღაც გაუჩინარდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ვეფხოს ყეფა მოესმა.

„გადაიკარგნენ, ძაღლი ისე ახლა არ დაჰყეფდა“ — ისევ შხამი ჩაეწვეთა გონებაში.

კვლავ ძაღლის ყეფა მოესმა. ამჯერად ხმა აშკარად იქიდან მოდიოდა, სადაც წეღან ჯიხვები იდგნენ.

— ჰაუუ, ასტამურ! — გასძახა ბნელ სივრცეს.

— ჰაუუ, — ზედ მის თავს ზემოთ მოესმა ასტამურის ხმა. ყინულის თეთრ, პატარა მინდორზე ძაღლიც და მონადირეც

აჩრდილებად მოჩანდნენ. ცის თაღზე კი უთვალავი ვარსკვლავი ციმციმებდა.

— ჩამოსვლა არ გაბედო! — გასძახა უფროსმა ძმამ.

— ყინულის ერთ მტკაველზე ვდგევარ, გზა უნდა მოვძებნო.

— არ გაბედო-მეთქი! დაიღუპები, უსათუოდ დაიღუპები!

— გავიყინებით, ბილიკი უნდა ვიპოვნო!

მათემ კარგად იცოდა, ზვავმომსკდარ მწვერვალზე ამ სიბნელეში ბილიკის ძებნა უცილობლად სიკვდილს ნიშნავდა.

— ასტამურ, დამიჯერე, ბიჭო, ქვესკნელში გადაიჩეხები!

პასუხის ნაცვლად ზემოდან ხვნეშა მოისმა. უფროსი ძმა მიხვდა, ყინულზე თითებჩაფრენილი ასტამური ფეხებით ეძებდა ბილიკს და ამიტომ ამოიხვნეშა.

— ვერ იპოვნე, ხომ?!

— ირგვლივ ყველგან უფსკრულის პირია.

— არ გაინძრე, გეხვეწები, ასტამურ, არ გაინძრე!

სივრცეში ისევ ხვნეშა გაისმა.

ვეფხომ ახლა გაბმით დაიწყო ყეფა.

„ყმუილი დაიწყო — გაიოცა მათემ, — ეს ცუდი ნიშანია“.

— ასტამურ! — თითქოს თვითონაც დაიყმუილა, ახლა ისე გასძახა უმცროს ძმას.

— რა გინდა, კაცო?! — ბრაზით ჩამოსძახა ასტამურმა და მათეს მოეჩვენა, რომ ძმა კი არა, სხვა კაცი ეხმიანებოდა.

— აბ დაიძრა, ბიჭო, შუქზიარა მაინც შეიცოდე!

— სწორედ ამიტომ უნდა მოვნახო ბილიკი, — ჩამოსძახა ზემოდან.

— შვილიც დაგავიწყდა?! დაიღუპები, ბიჭო!

— უნდა ჩამოვიდე-მეთქი!

— გადაითენე, ასტამურ, როგორმე გადაითენე.

— არ შემიძლია, ვიყინები.

— ხელები ისრისე, ვეფხოს ჩაეხუტე, ხომ იცი, ძაღლის ბალანს ნაპერწკალი აქვს და გაგათბობს.

— ეჰ, — ისევ ხვნეშა მოესმა მათეს პასუხის ნაცვლად.

— დილა ბილიკს მოგანახვინებს, ძმაო, ახლა კი...

ვეფხო ახლა გაბმით ყმუოდა. მათემ იგრძნო, რომ თრთო-

და, კანკალებდა. ძაღლის ხმა შემაზრზენად გაისმოდა ამ ცივი მწვერვალების სამეფოში.

— გაჩუმდი! — მოისმა ასტამურის ხმა.

ვეფხო მაინც განაგრძობდა ყმუილს. უცებ დარტყმის ხმა მოისმა და მათემ ყურთან ქშუილი იგრძნო, მერე უფსკრულში ჩაქანებული ძაღლის წკავწკავი გაიგონა.

„ფეხი ჰკრა და გადაჩეხა!" — ერუანტელივით დაუარა ტანში ქვევით მწოლს. ცოტა ხნის შემდეგ ქვესკნელიდან ბრაგეანის ხმა მოისმა, მერმე ყველაფერი დაჩუმდა.

„გაგიჟდა, ახლავე დაეშვება და დაიღუპება!" — გაიფიქრა უფროსმა და ცალ მუხლზე წამოდგა.

ცის ტატნობზე მთვარე ამოვიდა. გარემო მთლად გაირინდა და გაცივდა. მხოლოდ ორი ადამიანის ხვნეშა-სუნთქვა ისმოდა ამ ყინულეთში. ცალ მუხლზე დაყრდნობილი მათე ახლა ისე იცქირებოდა ზევით, თითქოს თოფს უმიზნებდა ძმას. თვალები ველურივით უელავდა, სახე გვერდზე მოღრეცილი ჰქონდა.

— ასტამურ, ჰა ასტამურ! — გასძახა ისევ უფროსმა სივრცეს. მის ხმას ახლა სიმტკიცე დაეტყო. ეტყობოდა, უმცროსმა ვერ იცნო მათეს ხმა, ისე მოულოდნელად და გაკვირვებით ჩამოსძახა:

— რა გინდა, კაცო?!

— სათქმელი უნდა გითხრა.

— რა სათქმელი?! — კიდევ უფრო გაიკვირვა ასტამურმა.

— ვიცი, შენი წუთები დათვლილია.

— მეც ვიცი, — თითქოს უდარდელი ხმა მოისმა ზემოდან.

— ჰოდა, ჩემი გაიგონე.

— მესმის, ძმაო, — ახლა ასტამურის ხმას ნაღველი დაეტყო.

— ძმა კი არა, მტერი ხარ ჩემი.

— ჰა?!

— მტერი ხარ-მეთქი, მოსისხლე მტერი.

— მათე, რას ამბობ?!

— ამ ქვეყნად მე და შენ ერთად არ გვედგომებოდა.

ზემოთ ყინულის ჩხრიალი გაისმა. მათე მიხვდა, ასტამური თითებით მაგრად ჩაებღაუჭა ყინულის კლდეცხვირს.

„მით უკეთესი“, — გაიფიქრა მან და ხმაში რკინა და ფოლადი ჩაისხა.

— ასტამურ-მეთქი, კარგად გამიგონე, სანამ შუქზიარას ჩემი თვალები დაინახავდა, შენი ძმა ვიყავ...

ზევიდან უფრო ხმამაღალი ქშინვა გაისმა.

— გესმის თუ არა? — დაიგრგვინა მათემ.

— თქვი!

— იცი, ქალს რატომ არ ვირთავდი?!

— თქვი-მეთქი?

— შენი ცოლი მიყვარდა!

— არა, ტყუილია! ვაი ჩემ დღეს, მათე შეიშალა, ღმერთო-მიშველე! — აბღავლდა ასტამური.

მათე ცოტა ხნით გაირინდა. მისი თვალები ახლა, მართლაც, ნადირის თვალებივით ელავდა ამ თეთრად ჩაბნელებულ სამყაროში.

— ეს ტყუილი არ არის, მართალია! — მათეს ხმამ ისევ შეაზანზარა ყინულეთი.

— რას ამბობ, მათე, რას?!

— სიმართლეს ვამბობ. მე შენი ცოლი მიყვარდა.

— გაგიჟდა, ნამდვილად გაგიჟდა! — ისევ თავისთვის ჩაიხმიენა.

— მე კი-არა, შენ იყავ გიჟი! შუქზიარა შემიყვარდა, შენ კი-ველერ მიხვდი. მორჩა და გათავდა!

— ამას რას მოვესწარი?!

— გათავდა, დღეიდან ვეღარაფერს ვეღარ შეესწრები.

— რა თქვი?

— გათავდა-მეთქი შენი დღეები.

— როგორ თუ გათავდა?!

— ამაღამ შენ დაიღუპები.

— ჰა!

— დაიღუპები, შენს გარშემო უფსკრული იზრდება.

— მერე?! — ახლა სხვანაირი შხამი ჩაეწვეთა ასტამურს-ხმაში.

— შენ კი ერთ მტკაველ ყინულზე დგახარ, უფსკრულიდან სიკვდილი გიწვდის ხელს.

— შენ რა ეშმაკი გახარებს?!

— შუქზიარა დამრჩება, ასტამურ.

— რას ამბობ, წყეულო?!

— მიხარია, როგორც იქნა, გზიდან ჩამოგიცილე. შენი ქონებაც მე დამრჩება, შენ ხომ ჩქმე მონახევრე ხარ.

„ნამდვილად შეიშალა!" — ისევ დაეჭვდა უმცროსი ძმა.

— არა გჯერა?

— გაჩუმდი, შეშლილო გველო!

— არ გაჩუმდები, შენს გარშემო ყინულეთის ქვესკნელია, ასტამურ, შენ კი დაუოკებელი კაცი ხარ. ერთ ადგილს, ვიცი, ვერ გაძლებ. გაინძრევი და დაიღუპები.

— ასე ფიქრობ?!

— კი არ ვფიქრობ, მჯერა. შუქზიარა მე დამრჩება. ისე კი ვერ მოგკლავდი, ძმა იყავ, ქვეყანა დამცინებდა, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ესროდა ახლა მათე ასტამურს სიტყვებს.

— ვაი, ჩემს დღეს, ძმა კი არა, გველი მყოლია სახლში!

— ჩქარა, ნუ აყოვნებ, ცოტა გაინძერ, რომ უფსკრულში გადაიჩეხო.

— მაშ, ჩემი სიკვდილი გინდა?!

— მინდა და ასეც მოხდება.

— ასე ფიქრობ? — ისევ შეეკითხა ასტამური.

— გაინძერ-მეთქი! — შებღავლა მათემ.

— არა, რახან ასე გინდა, შეიძლება სხვა რამ ვიღონო, — მოისმა ხმა.

ორივენი წუთითი დაჩუმდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მათეს ყინულზე თოფის დუგლუგის დარტყმის ხმა მოესმა.

„ალბათ, მუხლის ჩასადგამ ორმოს იღრმავებს", — გაიფიქრა მან და ცას გახედა. ზევით ვარსკვლავები თანდათან ფერს ჰკარგავდნენ. აღმოსავლეთით გუმბათი შეთეთრებული ჩანდა. ნისლში გახვეული ყინული კი ისევ ჩუმად და გარინდებით სუნთქავდა.

„მალე გათენდება და შეიძლება მეშველოს!" — ხელახლა გაიფიქრა მათემ.

* * *

დაჯილ შამფრიანის ქალი სვანეთიდან მოიყვანა მათეს და ასტამურის მამამ. აფხაზმა მონადირემ ღამე გაათია სვანეთში, მონადირისავე ოჯახში და მის ქალიშვილს თვალი დაადგა.

სვანეთიდან ქალის წამოყვანა არც ისე ადვილი საქმე იყო, მით უმეტეს, ლამაზი ქალისა. დაჯილის დღეობაზე გამოსვლა კი სვან ვაჟკაცებს ნათელს უმატებდა თვალებში.

საკრავზე დაამღვრებდა დაჯილ და მის ხმას და სიმის კვნესას თითქოს ერთი სიტკბო დაჰყოლოდათ ადამიანების საამებლად... იცეკვებდა და სვან ვაჟკაცებს აჯადოებდა მისი ტანის რხევა, მისი დალალები ნადირობის ღმერთქალს შეშურდებოდა, სწორედ ამიტომ იყო ძნელი დაჯილის სვანეთიდან მოყვანა. აფხაზმა მონადირემ თვალი მოავლო ქალს თუ არა, დაიფიცა: — ჩემი ცოლი მარტო შენ იქნები ამქვეყნად!

ფიცი ფიცად დარჩებოდა, სვან მამაკაცებს რომ გაეგოთ მისი ფიქრი.

ვერც ის გაიხსენეს სვანმა ახალგაზრდებმა, გული რომ თვალის სინათლესთან აქვს ქალს შეერთებული.

შეხედა თუ არა დაჯილმი აფხაზ მონადირეს, გულმა უთხრა — აი შენი ბედი და იღბალიო.

არც შეიძლებოდა ქალწულს თემჰვა არ მოსწონებოდა. მის თეთრ, მაგრამ მზით გარუჯულ სახეზე გრძელწამწამიანი შავი თვალები იმდენ ცეცხლს აფრქვევდა, რომ დაჯილს ეგონა, სვანეთის ყველა ყინულის წვერიც კი დადნებოდა მისი სითბოთი. ოდნავ კეხიან ცხვირს ქვემოთ ულვაშის შავი ზოლი ბიბინებდა. სწორი ნიკაპი და ფართო შუბლი მეტად ვაჟკაცურ იერს აძლევდა მის სახეს. კოხტად შეკოპილი თეთრი ბაშილაყის ქვემოთ შავი თმის ერთი კონა თითქოს ნიავსაგრილებლად ჰქონდა გადმოშლილი. ნაცრისფერი შალის ჩოხა ტანზე ისე დასდგომოდა, გეგონებოდათ, ისიც მასთან ერთად დაბადებულიყოს. მის ბეჭებს ვაჟკაცის მკლავი ვერ შემოსწვდებოდა, წელს კი მუჭშიაც მოიქცევდა ქალწულის ხელი. შავი ყაითნით პირმოქობილი პაიჭები ეცვა, ამოკოპილი ქალამანი თეთრი თასმით ჰქონდა ამოკრული.

ვარსკვლავებივით ციმციმა თვალები შეანათა თემჰვას დაჯილმა, ვეფხვივით ჩამოხედა ზევიდან ქალწულს მონადირემ. ორივე მიხვდა ერთმეორის გულისნადებს და ორივეს ერთი აზრი გაუჩნდა ფიქრად.

მხოლოდ სახლიდან გაპარვით შეიძლებოდა მათი დაქორწინება.

ორი კვირა იარა მთებზე თემჰვამ, ვითომდა სანადიროდ. ამ ხნის მანძილზე ხუთი ღამე საპატარძლოს ქონგურმაღალ კოშკიან ქვიტკირის სახლში გაათენა და მეექვსე ღამეს სვანების ნამალევად დაჯილ ქალი აფხაზეთისაკენ გაიტაცა. განრისხებული შამფრიანები მუჭით კლდეებს ამტვრევდნენ. ორი წელი უტრიალებდნენ სიძის კარ-მიდამოს გარშემო სამტროდ, მაგრამ დაჯილმა მამა-ძმას ხელაკვრით შეუთვალა: — თემჰვას რომ ერთი თმაც ჩამოუვარდეს, მეც თავს მოვიკლავო.

ძალზე უყვარდათ ოჯახში დაჯილი. იგრძნეს შამფრიანებმა, მათ ქალიშვილს სვანი ქალის ჩვეული სიყვარულით შეჰყვარებოდა აფხაზი მონადირე.

აბა, სვან ქალს ვინ ამოუგდებდა გულიდან ქმრის სიყვარულს?! სიკვდილის მომტან მტრობას მშვიდობიანი სიყვარული არჩიეს გონიერმა შამფრიანებმა.

ერთ დილას დაჯილის მამა ქალიშვილის ჭიშკარს მიადგა. თავდახრილი სიძე სახლის ზღურბლზე შეეგება სიმამრს. დაჯილი აკვანში ჩაკრულ მოღუღუნე მათე-ბიჭს ურწევდა. შვილიშვილი გაღებულ კარში შემოსულ მზის სხივსა და პაპას ღიმილით შესციცინებდა. ყველა წყენა ერთად დაავიწყდა დაჯილის მამას.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ შამფრიანები გულდაგულ უვლიდნენ სიძის ეზო-გარემოს, რათა ვინმეს შიგ სამტრო თვალით არ გადაეხედა.

ადამიანის ბედიც ვარსკვლავებით მოჭედილ მოკამკამე ცასა ჰგავს. ერთი წამი და ყველაზე დიდი ვარსკვლავი მოსწყდება ამ კრიალა ზეცას, სივრცეში გაიელვებს და მის კვალსაც მერე ვერავინ დაინახავს. ასე დაემართა დაჯილსაც: ორი ჩვილი ბიჭის პატრონ ქალს თემჰვა უცაბედად დაეკარგა. დარჩა ახალგაზრდა ქვრივი და წყვილად გასაზრდელი მემკვიდრეები.

მას შემდეგ კარგა დრომ გაიარა. ძმისშვილი ივაკი შამფრიანი თვალსა და მკლავს არ აცილებდა ადრე დაქვრივებულ მამიდას, ბიჭები დამწიფდნენ და დავაჟკაცდნენ, განთქმული მონადირენი დადგნენ. დედა ახლა ყოველთვის გულისფანცქალით ელოდა თავისი ვაჟკაცების ნადირობიდან დაბრუნებას.

ჯიხვის ხორცს სვანის ქალი აღტაცებაში მოჰყავდა.

— იმას სხვა გემო აქვს, შინ გაზრდილი ოთხფეხი, აბა, რა საქმელია? — იტყოდა დაჯილ.

დედის მორჩილად გაზრდილმა შვილებმა იცოდნენ მისი ხასიათი და ოჯახში მარილდაყრილი და კვამლში გამომშრალი ჯიხვის ბეჭები გამოუულეველად ინახებოდა.

შვილებს რომ არ მოეტანათ, ივაკი შამფრიანი დაჯილ მამიდას ჯიხვის ხორცს შემოაკლებდა?!

სვანმა კაცმა თავგადადებული და უღალატო ნათესაობა იცის. ძმები რომ ჰყოლოდა ივაკის, ისე არ ეყვარებოდა, როგორც მათე და ასტამური.

მართალია, აფხაზი მამიდაშვილებივით სხარტი და ლამაზი არ იყო ივაკი, მაგრამ მისი ბეჭების ჩრდილში ხუთი კაცი მოიგრილებდა. სამწყურთიან სატევარს არ იშორებდა. ატოტებულ დათვს შუაზე კვეთდა ერთი მოქნევით. მისგან ნასროლი ტყვია უცილოდ ხვდებოდა მიზანს. ამ ვეება ვაჟკაცს საოცრად ჩვილი გული ჰქონდა — სხვას რომ მწუხარე ცრემლს შენიშნავდა, თვითონაც ატირდებოდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ასტამური ათი წლისაც არ იყო და ივაკი ახლად აბიბინებულ ულვაშებზე უკვე ჩუმჩუმად ისვამდა ნახევარადლიან თითებს, მათე და შამფრიანი ჭალებში სამწყერაოდ ჩავიდნენ. შემოდგომა იყო და მწყერი ზღვის კიდეს ასდევნებოდა. ელვა სამართებელივით გაჰკრავდა ხოლმე ღრუბლებით ამღვრეულ ზეცას. ასეთ ამინდში ღამით მწყერაობა იღბლიანია. პატარა ასტამური დედას გამოპარვია და ადევნებულს შორიახლო თვალთვალით უვლია. ივაკიმ და მათემ მწყრებით ჩოხის კალთები გაივსეს თურმე, და როცა სახლისაკენ პირი ქნეს, ბუჩქებიდან ბავშვის ტირილი შემოესმათ.

ახლოს მივიდნენ, ხედავენ, ასტამური ტირის. გაოცებული ძმა და ბიძაშვილი მოეფერენ ბავშვს. ის კი არაფერს ამბობს და ტირილს მაინც არ წყვეტს.

— თქვი, ბიჭო, შეგეშინდაჭ — ეხვეწება მათე ძმას.

— ჰოი, ჰოი, ჰოი, — ტირის ბიჭი და სიტყვას არ ამბობს. ივაკიმ ბავშვი ხელში აიყვანა და შინისკენ გასწია. ბავშვი

შეუჩერებლივ ბღავის და ბღავის. ვერაფერი ვერ მოუხერხეს, ვერ გააჩუმეს.

უცებ ივაკის ჩოხის კალთაზე ხელი მოუხვდა და მისმა სისველემ შეაკრთო.

დანამულ თითებს დაყნოსა. სისხლის სუნი ეცა.

— მათე, ასტამურს სისხლი მოსდის, მგონი.

— რაო?! — გაოცდა ძმა.

— თქვი, გვნაცვალე, რა გტკივა? — ისევ შეეხვეწა ივაკი მამიდაშვილს.

ასტამურმა ბღავილს უფრო უმატა, სიტყვა კი მაინც ვერ წამოაცდევინეს.

მოსახლისას შეუხვიეს და სინათლეზე დაინახეს, გულზე შემოეყარათ — ბიჭს მართლაც სისხლი სდიოდა.

თხელ წულა-მესტში ვეება წითელი ეკალი შესობოდა. ჭრილობა არც ისე პატარა იყო.

ახლა ივაკის ჩამოსკდა ცრემლი. არავინ იცის, ბავშვის ჭრილობამ თუ მისმა ამტანობამ და სიტყვის უთქმელობამ აატირა ბიძაშვილი. ეკალი ამოუღეს, ფეხი შეუხვიეს. ასტამური დაშოშმინდა, ივაკის კი დიდხანს სდიოდა ცრემლი.

ასეთი კაცი იყო ივაკი შამფრიანი, ასეთი ბიძაშვილი ჰყავდათ მათეს და ასტამურს. მათი ჭირი ჭირად მიაჩნდა სვან ვაჟკაცს, ლხინი კი ლხინად.

იმ ღამესაც, როცა ძმებს ფათერაკი შეემთხვათ, ივაკიმ თითქოს უბედურება იგრძნოო, შინ ვერ გაჩერდა, ცხენი შეკაზმა და მამიდასკენ გამოსწია.

დიდხანს არ დასძინებია იმ ღამით დაჯილს. ავს რამეს გრძნობდა დედის გული. როცა თვალი მილულა, ცუდი სიზმარი ესიზმრა დაჯილს. თითქოს ფრთები გამოსხმოდა ორი შვილის დედას, კავკასიონის თეთრმწვერვალებიან კალთებს შუა დაფრინავდა. ხედავს, ბილიკზე მისი ქმარი თემჰვა მოაბიჯებს. წყვილი ნანადირევი ჯიხვი გაუდვია მხარზე. ვეება რქები ყინულში ფართო კვალს სტოვებს. ნაკვალევში, როგორც წისქვილის ღარში, წყალი ისე მოჩქრიალებს. შინისკენ როდი მოდიოდა თემჰვა, აღმა, მწვერვალებისაკენ მიუყვებოდა ბილიკს.

— სად მიგაქვს ნანადირევი, კაცო?! — შეეკითხა დაჯილ ქმარს.

— ბიჭებთან, — უპასუხა მონადირემ.

— ბიჭებს რად უნდათ შენი ნანადირევი, საკუთარიც თავსაყრელად აქვთ.

— შენ ისე გგონია, — ჯავრით თქვა თემჰვამ.

— წუხელ წავიდნენ, თვალო, სანადიროდ.

— ჰოდა, ხორცი ენატრებათ ჩემს შვილებს.

— ნამცხვრებიც ბევრი გავატანე.

— უკან დაბრუნდი, ქალო! — გაუჯავრდა ქმარი. — სახლს მიხედე, პატარას არაფერი დაემართოს!

თემჰვა ნელა აჰყვა ყინულის წვერებზე შეეულად დაკიდებულ ბილიკს, დაჯილი ფრენით გამოედევნა ქმარს.

უცებ დედას თვალი მოსჭრა სანახაობამ. მაღალი მწვერვალის ყინულებს ცეცხლი ბრიალით მოსდებოდა. თითქოს ზეთი გადაესხას ვისმეს, ისეთ კვამლში და მოგიზგიზე ალში იყვნენ გახვეულნი.

— სად არიან ჩემი შვილები?! — დაიკივლა დედამ.

— რად გამოუშვი ისინი სახლიდან?! — ახლა მამამაც დაიბღავლა. ალადქცეულ ყინულწვერებშუა ცეცხლი და კვამლი ცას შეტოტებოდა, გუმბათი გავარვარებულ თონესავით ნაპერწკლებს ისროდა. ვეება ყინულები ემსხვრეოდნენ მწვერვალებს, ყინულები კი არა, ნაკვერცხლის უზარმაზარი კლდეები და უფსკრულებში ალმოდებული ეშვებოდნენ. დაჯილმა თვალი მოჰკრა მათეს და ასტამურს, ორივენი წრიალებზე თოფებივით ეკიდნენ, ერთი—ერთ მწვერვალზე და მეორე — მეორე მწვერვალზე.

არა, ეს მისი შვილები არ იყვნენ, არც ერთს სხეული აღარ ჰქონდა: არც მხრები, არც თავი, არც გულმკერდი და ხელ-ფეხი. მხოლოდ გულები, მფეთქავი გულები დარჩენოდათ. გულის ბეჭებზე არწივის ფრთები გამოსხმოდათ და ისე გამდგარიყვნენ აგიზგიზებული უფსკრულის თავზე.

— ვაი თქვენს დედას, შვილო! — დაიკვნესა დედამ.

— ვაი ჩემს გაჩენას! — დაიბღავლა მამამ.

— რა დაგმართიათ, მათე?! — მიაძახა დედამ უფროს შვილს.

— ასტამურს ჰკითხე, დედი! — ჩაიბუზღუნა მათემ.

— რა მოხდა, ბიჭო?! — მიაფრინდა ახლა დაჯილ ასტამურს.

— ოჯახი შეგვირცხვინა მათემ! — დაიყივლა ასტამურის არწივფრთიანმა გულმა.

— რა თქვი, შვილო! — დაიბუხუნა ახლა შუბლშეკვრით მამამ.

— შენმა უფროსმა შვილმა გვარი შეარცხვინა, მთელს აფხაზეთს შუბლი გაუტალახიანა.

— სტყუი, ეს არ მოხდებოდა! — გაუწყრა თემჰვა ასტამურს.

— შემცდარი ხარ, შვილო, — ჩაიქვითინა დედამ.

— არ დაუჯეროთ, მამავ! — სასოწარკვეთით დაიბღავლა მათემ. ეს ხმა ისე ძლიერი იყო, რომ მთელი ყინულეთი მოსკდა მწვერვალებს და ხანძრის ბუდე-წყაროებს გადაეფარა.

ნელ-ნელა დაიწმინდა კვამლი, ცეცხლი ჩაქრა და გამოიდარა. ისევ გათეთრდნენ ყინულწვერები, ისევ აშრიალდნენ ქვემოთ ტყეები, ცისა და მიწის შუა ფირუზისფერი ჰაერით გაივსო სივრცე, მზის სხივებმა ლივლივი დაიწყეს, წყაროები ჩქრიალით დაეშვნენ დაბლა. დაწყნარდა და გაცოცხლდა მთელი ქვეყანა.

— აი, დედიკო, შეხედე, — ისევ განაგრძო მათემ, — ასტამურის ნათქვამი ჯოჯოხეთის ცეცხლს იწვევს ამქვეყნად, ჩემი კი სიმშვიდეს, მზისა და მიწის ბედნიერებას. მე მართალი ვარ, დედი, მართალი!

აღმოსავლეთიდან ნიავმა დაჰბერა. კრიალა ლურჯ სივრცეში ზევით და ზევით ამაღლდნენ არწივფრთიანი გულები. თანდათან ნათლად გამოჩნდა მათი სახეები.

მათე ღიმილით შეჰყურებდა მშობლებს, მხოლოდ ასტამურის სახეს ეფარა თალხი. იგი თვალების ბრიალით შესჩერებოდა ქვეყანას.

— ვაი, მე უბედურს! — მოესმა დაჯილს უმცროსი შვილის ამოკვნესა.

მზე კარგა მაღლა იყო, როცა ივაკის ჭიშკართან შუქზიარა შეეგება.

— აბა, ბიჭი მომანდე, რძალო, — გაუწოდა ხელები ბავშვს და გულზე მიიკრა. არც პატარამ იუცხოვა ივაკი, იგი

ღიმილით მიეყრდნო შამფრიანის ვეება მკერდს და მამის ულვაშებზე მიჩვეული ხელი წაუპოტინა.

— ულვაში არ შემირცხვინო! — გაეღიმა ივაკის. მან ფრთხილად მოაშორა ბავშვის ჩვილი თითები ულვაშებს, ცალ ხელში აიყვანა და მზისკენ ისე გასწია და გახედა, თითქოს კვერცხს გასცქეროდა.

— აი, რა ბიჭი გამხდარა, რძალო, ეს ჩემი ძმისშვილი?! მზის ჩამონაპობივით სხივიანი კაცი დადგება. ხომ ხედავ, ულვაშისაკენ მიურბის ხელი. მალე ვნახავთ დავაჟკაცებულს.

— ასტამურმა მიაჩვია ამ სიცელქეს, — გაიმართლა თავი შუქზიარამ.

— მამიდაჩემი სად არის, შუქზიარავ?

— სასიმინდეში შეხიდა საკენკისათვის.

— მათე და ასტამურიც არ არიან შინ? — სიფრთხილით იკითხა ივაკიმ და რძალს დააცქერდა.

— ჯიხვზე სანადიროდ წავიდნენ, ივაკი ბატონო!

შამფრიანს არ მოეწონა ნათქვამი, მაგრამ არ შეიმჩნია.

— რა უჭირთ, მერე, შე ქალო! — თითქოს თავი დაიიმედა, ისე ჩაილუღლუღა შამფრიანმა.

— ივაკი, ხომ მშვიდობაა?! — მოისმა დაჯილის ხმა და კალთაში საკენკჩაყრილი ქალი სასიმინდედან სირბილით ჩამოვიდა.

— მშვიდობა ნუ მოგეშალოს, მამიდა, ავი ამბავი როდის მომიტანია, ახლა რომ დავიბედო.

— მე კი მუხლი მომეკვეთა, ცუდი სიზმარი ვნახე, ბიჭო! იმ შენ მამიდაშვილებს არაფერი გაუჭირდეთ, ნეტავ!

ეს ისე წყნარად თქვა დაჯილმა, თითქოს კბილებს აჭერდა, ბევრი არაფერი წამომცდესო.

— ცუდი სიზმარი ნახე, დედი?! — შეჰკივლა შუქზიარამ, — ვაიმე, უბედურ ბავშვსაც მთელი ღამე არ სძინებია, ბორგავდა და ტიროდა.

— სიზმარს რა შეუძლია, შვილო! — გული დაუამა რძალს დაჯილმა, — უბედურებისა ცხადში უნდა გეშინოდეს.

— მითხარი, ბიჭო! — მიუბრუნდა ძმისშვილს დაჯილი, — შენ რამ ჩამოგიყვანა სვანეთიდან, სხეულმა ხომ არ გიგრძნო რამე ფათერაკი?!

ივაკის ტანში გასცრა. მამიდას მიხვედრილობამ ნაპერწკლები დაუნთო ძარღვებში. ცოტა დააკლდა და კინაღამ წამოსცდა მოსვლის მიზეზი. მაინც თავი შეიმაგრა, მამიდას თვალებში შეხედა და წყნარად თქვა:

— მამიდა, უბედურება ჩვენს მტერს მოსვლოდეს ოჯახში, ჩვენთან მას მკლავიც არ მიუწვდება.

ჭიშკართან ქათმები დაფეთდნენ და ქოთქოთით აქეთ-იქით გაიფანტნენ. ყველამ იქით მიიხედა.

— რა ტურა მოელანდათ?! — იკითხა ივაკიმ და იქით გაიწია. გაიწია და უკან მოაწყდა ისევ. ჭიშკრის ქვეშ ვეფხოს გასისხლიანებული თავი მოჩანდა, სველ ბალანზე აქა-იქ ყინულის ჯერ კიდევ გაუმდნარი ნამსხვრევები მიჰკროდა. უკანა ფეხებზე ვერ დგებოდა, სიცოცხლე მხოლოდ თვალებში უბჟუტავდა.

ივაკის ფერი ეცვალა.

„მამიდაჩემმა არ დაინახოს ეს ძაღლი, თორემ დავიღუპე!“ — უმალ გაიფიქრა მან და ისე შემობრუნდა, თითქოს არაფერიც არ დაენახოს.

— არაფერია, დღეს სულ მოჩვენების ხასიათზე ხართ. შინ შემიყვანეთ, ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინათ?!

— მოდი, შენი ჭირიმე, მოდი, მამიდა გენაცვალოს! — დაფეთდა ივაკის ნათქვამით დაჯილ.

შუქზიარა ბავშვით ხელში შებრუნდა სახლისაკენ. ივაკიმ ნელა მიაცილა რძალ-დედამთილი და სახლში შესვლისთანავე კარი ისე მიიხურა, თითქოს ეშინოდა, უკან არავინ გამომექცესო. ცოტა ხნის შემდეგ ივაკი შამფრიანი ისევ ეზოში გამოვიდა. მან დაკვირვებით მიიხედ-მოიხედა და, რაკი შენიშნა, არავინ არ უცქეროდა, ჭიშკართან მივარდა.

ძაღლი ისევ ჭიშკრის ძელის ქვეშ იწვა. იგი ადამიანივით კვნესოდა და ქშინავდა, სველი ტანიდან ოხშივარი ასდიოდა. მუცლის ქვეშ, ბალნებზე, წყალი მოწურწურებდა. ივაკიმ ვეფხოს ფრთხილად მოჰკიდა თავზე ხელი და თვალებში ჩახედა. ძაღლმა უღიმღამოდ ამოხედა ქვემოდან.

„ფერდები ჩანგრეული აქვს, უკანა ფეხებიც მომტვრეული უჩანს. — გაიფიქრა მან და დაასკვნა: — ზვავი დასტაკებიათ, დაღუპულვართ“. ივაკიმ აიყვანა ძაღლი ხელში და რძალ-დე-

დამთილს რომ არ დაენახა, ბოსტნის ღობეს გადაეწონა. ივაკიმ ძაღლი წყნარად დაუშვა მიწაზე.

„თივის დაგებაა საჭირო, ცოდვაა“ — ისევ გაიფიქრა და ოდნავ შეჩერდა, მერე ხელი ჩაიქნია და ჭიშკარი გამოაღო.

მზე მთავარ კავკასიონს მედიდურად დაჰყურებდა, ცად ამაღლებული თეთრი მწვერვალების ქვემოთ თეთრი ნისლი ირეოდა და ამიტომ იისფერ სივრცეში აზიდული ყინულოვანი მთები ზეცაში გასასვლელი კიბეებივით მოჩანდნენ აქედან.

— ნუთუ იქ, ამ ღვთაებათა საბინადროში ჯოჯოხეთური ამბავი მოხდა?! — ახლა ხმამაღლა წამოიძახა ივაკიმ და ნაბიჯს აუჩქარა.

* * *

ღამე მწვერვალებთან გაათია ივაკი შამფრიანმა და დილით ყინულის სამყაროში შეჰყო თავი. ვეება ვაჟკაცი მსუბუქად მიიკვლევდა გზას ბილიკებზე.

ბილიკებიც დასრულდა.

— ჰე-ჰე-ჰე-ე-ე!.. — გასძახოდა დროდადრო მოყინულ მთებს ივაკი და რამდენი ხევი და მთა იყო, იმდენჯერ უკან უბრუნებდნენ მისსავე ხმას. ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდებოდა და საოცარი სიმშვიდით სუნთქავდა ქვეყანა.

ხანდახან ცის ლურჯ კამარაში თეთრი თოვლის ნაზი სინათლე ალივლივდებოდა და თითქოს ნიავი ამოვარდაო, ისეთი შრიალი მოისმოდა, — ეს ფრინველები გადაუფრენდნენ უფსკრულებსა და მწვერვალებს.

— ჰე-ჰე-ე! — ისევ გასძახებდა ივაკი. გაიგრიალებდა თეთრ კალთებზე მისი ხმა და ისევ ჩაჩუმდებოდა ყველაფერი; ისევ გაიტრუნებოდა სამყარო. არსაიდან არაფერი არ ისმოდა.

„ძაღლი რომ წამომეყვანა, კარგი იყო, — ფიქრობდა თავისთვის ივაკი. — აღარ შეეძლო ჩვენ ვეფხოს სიარული, იქნებ ახლა მკვდარია კიდეც საწყალი!“

თანდათან მაღლა მიიწევდა შამფრიანი, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა ყინულოვან წვერებს.

— შრრრრ, — მოისმა უცებ ყინულთა ნაფხვენის სრია-

ლი და სვანმა მონადირემ თვალი ჰკრა დაფეთებულ ჯიხვს. იგი ყინულ-ფლატეს ფრთაშეკეცილ არწივივით გადააფრინდა და კლდის უკან გაუჩინარდა.

ივაკიმ უნებლიეთ თოფისაკენ გაისვა ხელი.

— რა ეშმაკად მინდა, სად ვათრიო, — ჩაილაპარაკა შამფრიანმა და ხელი ჩაიქნია.

შუადღის მზე აცხუნებდა მწვერვალებს, ყინულის გარეკანზე ცრემლებივით დაიწყო ახლად გამდნარმა წვეთებმა ყონვა. ადგილ-ადგილ ჩხრიალით რბოდნენ წვრილი ნაკადულები. დილით სიცივისაგან მოსიპული ყინულის ქერქი ახლა შოლტვა, უფრო ადვილი სასიარულო გახდა. ფეხი არც ცურდებოდა, მგზავრი მუხლს უფრო იმაგრებდა.

ივაკი დაჟინებით გაჰყურებდა ყინულის პიტალო შვეულ კედლებს, ათვალიერებდა კალიებს, ჩასცქეროდა უფსკრულებს, მაგრამ არსად მამიდაშვილების კვალი არ ჩანდა. დაღლილი და დაქანცული კლდის ცხვირზე ჩამოჯდა.

უცებ თვალებში დაჰკვესა. გაღმა მწვერვალის კალთაზე კაცი დაინახა.

„ცოცხლები ყოფილან, მაგრამ მეორე რატომ არ ჩანს“, — გაიფიქრა და „ჰე — ჰეო“, — გასძახა. მგზავრი შეჩერდა, დიდხანს იყურა აქეთ და ისევ გზა განაგრძო. ივაკიმ ახლა შენიშნა, რომ კაცი რაცრაცით მიჰყვებოდა კლდის პირს.

— ჰე-ჰე-ე-ე, — ისევ გასძახა მან და თან დაუმატა: — ივაკი ვარ, ივაკი შამფრიანი.

უცნობი, თითქოს ტყვია მოხვედროდეს, ისე ჩაიკეცა ადგილზე; ჩაიკეცა და გაიშხლართა კიდეც. ივაკის სული შეუგუბდა. სწრაფად მოავლო თვალი გარემოს და უფსკრულისაკენ გასწია.

ოდესღაც ზვავად წამოსული ყინული და ხერგი მთებშუა გაჭედილიყო, მერმე თოვლ-ყინული დაჰყროდა და ორ მთას შუა ხიდად გადებულიყო. ზემოთ ვიწრო იყო საცალფეხო ბილიკივით, ადგილ-ადგილ ადამიანს ტერფიც არ დაედგმებოდა. ქვეშ, თვალუწვდენელ უფსკრულში მდინარე გარბოდა, მის მშფოთვარე ტალღებს ყინულის გული გამოეღრღნა და ათასნაირი ზღაპრული დარბაზებივით გამოეკვეთა. აქა-იქ

წყლისაგან ამოზნექილი გუმბათები ჩანდა და გასასვლელი ყინული ძალიან თხელი იყო.

„შეიძლება ფეხქვეშ ჩამექცეს ეს ყინულები,“ — გაიფიქრა ივაკიმ, მაგრამ შეჩერებით კი არ შეჩერებულა.

სიფრთხილით დაიწყო ყინულზე გასვლა. ხანდახან ვიწრო ყინულის ზურგს ცხენივით გადააჯდებოდა და ისე მიფოფხავდა ხმლის პირივით გაბასრულ ყინულზე. გაღმა კი ის კაცი იწვა და, თითქოს სიკვდილი ჩადგომოდეს ტანში, არც ინძრეოდა. ორ ადგილას ჩამოტყდა ყინულის კლდე და ჩხრიალით წავიდა ქვემოთ. შამფრიანმა საოცარი სისწრაფით გადაინაცვლა სველ ყინულზე.

„ვაითუ უცხოა, მე კი თავს ვიკლავ“, — გაიფიქრა ივაკიმ. „ქართველი კაცი ხომ იქნება, ეტყობა, უჭირს,“ — თავი გაიმართლა და ისევ გადაცოცება დაიწყო ყინულის ხიდზე.

ვაი-ვაგლახით მიაღწია გაღმა კალთას, ხვავად მომსკდარ ვეება ყინულის გორაკს გვერდი აუარა და მგზავრს თავზე დაადგა. დაჯილის უმცროსი ვაჟი ზურგზე გადავარდნილი ეგდო.

— ასტამურ, შენა ხარ, ბიჭო?! — შეანჯღრია მამიდაშვილი გაოცებულმა ივაკიმ. წაქცეულმა ხმა არ გასცა. ივაკიმ ყაბალახის შემოხსნა დაუწყო. ყველაფერი ტანზე შემოჰყინვოდა, გამხმარი ქერის ყურის ყუასავით ტყდებოდა ყაბალახის ტოტებიც და ჩოხის კალთებიც. ქსოვილში გაეტანა სიცივეს და გაეშეშებინა. ფიფქი თოვლიც ზედ მიჰყინოდა.

— მომკვდარა კაცი, — თავისთვის ჩაილაპარაკა ახლა შამფრიანმა. მათარიდან არაყი გადმოასხა და სახის ზელვა დაუწყო. ცოტა ხნის შემდეგ ასტამურმა თვალები გაახილა.

— ხმა ამოიღე, ასტამურ! — ჩასძახა შამფრიანმა. ეტყობა, ამ ხმამ უცებ გამოაფხიზლა ასტამური, იგი ოდნავ წამოჯდა, მარჯვენა ხელით გაყინულ კლდეს დაეყრდნო და ივაკის თვალების ბრიალით შეხედა:

— შენ აქ როგორ გაჩნდი?! — გაიკვირვა მან.

— მათე სად არის, ბიჭო?! — შეეკითხა ბიძაშვილი.

— ეჰ!.. — ჩაქნია ხელი ასტამურმა და თვალმილულულო ისევ კლდეზე მიწვა.

„ეძინება, გონზე არ არის“, — გაიფიქრა ივაკიმ. შამფ-

რიანმა მათარა პირთან მიუტანა და სითხე რამდენჯერმე ჩააყლაპინა.

— კიდევ მოსვი, ბიჭო, კიდევ, ჩვენებური არაყია, — ჩასძახა ისევ მამიდაშვილს.

რამდენჯერმე უაზროდ მოსვა ასტამურმა და თვალები გააღო.

— მათე სად არის-მეთქი, ასტამურ?!

უმცროსი მამიდაშვილი ისევ თვალების ბრიალით მიაჩერდა ბიძაშვილს.

— არ ვიცი, — წყნარად და გაოგნებით თქვა მან.

ნათქვამი არ მოეწონა შამფრიანს.

— როგორ თუ არ იცი, შენთან არ იყო საჯიხვედ წამოსული?!

— არ ვიცი, თავი დამანებე, ივაკი!

შამფრიანს პირში ნერწყვი გაუშრა, ყელი გამოუხამდა. უცებ სიტყვა ვერ თქვა.

— რას ამბობ, ასტამურ?! — ამოიხრიალა. დასწვდა მამიდაშვილს, ნიჩბებივით გაშლილ თითებში მოიქცია მისი ბეჭები და ზევით წამოაყენა. ალბათ, ეგონა, გონზე არ არის ასტამურიო, ყურში ხმამაღლა ჩაჰყვირა:

— გაიხსენე, ასტამურ, გაიხსენე, ბიჭო, სად დაშორდი მათეს?!

ასტამური ძაღლნაკბენივით შეინძრა, ხელებიდან გაუსხლტა ივაკის, წინ გაიწია და მერმე შემობრუნდა. იგი სულ მთლად ცახცახებდა, კბილით კბილს აცემინებდა.

— რას ჩამაცივდი, ალბათ, შენც იცოდი მისი კაიკაცობა და მიმალავდით, უთუოდ დედამაც იცოდა, ყველამ იცოდა, ვაი სირცხვილო, ოჯახის შერცხვენავ!... — აბღავლდა ასტამური.

ივაკის თვალები სავსე მთვარისოდენა გაუხდა.

„ნამდვილად ჭკუაზე გადამცდარა, დავიღუპეთ“, — გაიფიქრა მან და ასტამურს ბეჭებზე მოჰხვია ხელი.

— კარგი, ასტამურ, არაფერს არ გკითხავ, ბიჭო, შინ წავიდეთ, — ახლა მოეფერა მამიდაშვილს.

აქვითინებული ასტამური ცხვარივით დაემორჩილა ბიძაშვილს, ცახცახით გაჰყვა ქვემოთ.

ცოტა ხნის შემდეგ ყინულის გორაკებმა იკლო, დაბლა

უკვე მოჩანდა ბალახზე მიშვებული საქონლის ჯოგები, თხისა, და ცხვრის ფარები. დაბლიდან ძაღლების ყეფაც ამოდიოდა.

— შენ რატომ მომდევ? — უცებ შემოტრიალდა ასტამური. — შენ იმას მიხედე, იქნებ ცოცხალიც არის. შამფრიანი შეტორტმანდა, გუმანით მიმხვდარი ახლა სინამდვილედ იქცეოდა.

— მითხარი, ბიჭო, რა უბედურება გვირს, — შეეკვეხრა ივაკი და თან ისევ თვალებში მიაჩერდა.

— გიჟი გგონივარ, ხომ? უარესი მეკუთვნის, ვაი ჩემს დედას, რომ შვილის მაგივრად ოჯახის საძირკვლის მჭამელი გაუზრდია უბედურს.

— ვიზე ამბობ, ასტამურ?!

— შენს უფროს მამიდაშვილზე, ჩემს გამზრდელ ძმაზე! — მთელი ძალით დაიყვირა ასტამურმა, კისრის ძარღვები ბაწარივით დაეჭაჩა, თვალები ჩაუსისხლიანდა.

— რაო, რა თქვი? — უაზროდ დააჩერდა ზემოდან ივაკი.

— რაც გაიგონე. შუქზიარა შეჰყვარებია ჩვენს ძმას.

— გაგიჟებულხარ, უბედურო, უთუოდ გაგიჟებულხარ!

— თვითონ მითხრა, თავისი პირით წამოიძახა.

— ღმერთო მიშველე! — ჩაიჩურჩულა ივაკიმ, ხანჯალზე დადებული ხელი აუკანკალდა, შუბლზე ცერის სიმსხო ნაოჭები გაუჩნდა.

— ტყუილია, — მტკიცედ თქვა ახლა მან, — მოგჩვენებია, ძმის ნაცვლად ქაჯი დაგლაპარაკებია.

— ქაჯი და ეშმაკი თქვენს თავს, ვიცოდი, არაევინ დამიჯერებდა! — სასოწარკვეთით წამოიძახა ასტამურმა. — ვიცოდი, არავინ გამიგონებდა! — გაიმეორა ისევ. მერე სახე თითებში ჩარგო და აბღავლდა. მისმა ტირილმა ივაკი გამოაფხიზლა, სიდინჯე დაუბრუნა. კარგა ხანს უყურა და მერე მკლავზე მოჰკიდა ხელი.

— მათე სად დატოვე, უბედურო!

— სიჩუმის ხევში.

— იქ ვინ ჩაიყვანდა, ბიჭო?

— თავისმა სიკვდილმა ჩაიყვანა, ოჯახის შერცხვენამ გადაჩეხა.

— ვაი მამიდაჩემის ძუძუს! — წამოიძახა ივაკიმ და თავზე ხელები შემოიკრა.

ქვემოდან ძაღლების ყეფა მოისმა. მწყემსები მეკავე წყაროებზე დოქებით ამოსულიყვნენ.

ივაკიმ ნელა მიიხედ-მოიხედა, ცოტა ხანს შეჩერდა, რამდენჯერმე ამოიოხრა; მერე ასტამურს დაადგა თავზე.

— მწყემსებთან ჩადი, კრინტი არ დასძრა. თუ გკითხონ, ზევით დარჩა-თქო, უთხარი; ხომ გესმის, უბედურო, სიტყვა არ წამოგცდეს!

მეტი არაფერი უთქვამს ივაკის. ყაბალახი შემოიხვია და აღმართს შეუდგა.

რაცრაცით წავიდა ასტამურიც იალაღებისაკენ, მწყემსებმა შორიდან შენიშნეს მზმავალი და წინ შემოეგებნენ.

— უბედურება შეგმთხვევია, ასტამურ! — მიმართა ყველაზე უხუცესმა თემშუღ თარკილმა. ასტამურმა დიდხანს უყურა მას და რაკი ხიმურის მამა შეიცნო, გონი დაკარგა, მიწაზე მოწყვეტით დაეცა.

— აბა, საკაცე, სადგომამდე ჩავიტანოთ, — წამოიძახა თემშუღმა და ყურების სრესა დაუწყო ასტამურს.

* * *

სამი მყინვარის კალთებქვეშ გართხმულა სიჩუმის ხევი. როცა კავკასიონის დიდი მწვერვალები შეირხევიან და ბეჭებს გაიფერთხავენ, ყინულის ვეება ზვავებს გზავნიან დაბლა. უხსოვარი დროიდან აწვება ერთიმეორეს ეს ყინულები, ერთმანეთს ამსხვრევენ და ერთ მთლიან ყინულად იქცევიან. ზვავების დროს ეს ხევი ცივ ჯოჯოხეთსა ჰგავს. გრიალ-გრიალით იმსხვრევიან ზევიდან დაქანებული ზვავები, ყველაფერს გლეჯენ და ხვეტავენ; კლდეთა და ყინულთა ქარიშხალი მიწას არყევს და აზანზარებს. ათი ათას მეხად სკდება ნამსხვრევები, შემდეგ კი ჩაჩუმდება ხევი, გაირინდება, ჩქამიც არ ისმის არსაიდან; მხოლოდ გადაფრენილი ჯიხვის ჩლიქიდან მოწყვეტილი თოვლის კვალდამჩნეული ნატერფალი თუ ჩამოცვივა ათასში ერთხელ, სძინავს უფსკრულხევს წყნარად, გაურხევ-

ლად, შეუშფოთებლად, სამი მწვერვალის ფესვებთან დევს გარინდებული.

ადამიანის თვალს არაერთხელ დაუნახავს ზემოდან, კაცის ფეხი კი არასდროს არ დაკარებია მის მუდმივად უდნობ ყინულით გალიპულ ქერქს. ზევიდან გადმოვარდნილ კენჭს ჩიტის ფრთის ნიავიც აათამაშებს, ისე მოუპირკეთებია და გაუსარკაკვს ბუნებას ყინულის ზედაპირი. მზის შუქი ვერ ადნობს მის ზედაპირს; მხოლოდ მიწისქვეშ დაბუდებული სითბო ალხობს მის ქვეშეთს, საიდანაც ჩხრიალით მიჰქრიან წყაროები. ამ წყაროთა დენას თუ გაუღარავს ეს მთები და ღრმა, თვალჩაუწვდენელი უფსკრული გაუჩენია! დასაბამიდან აქ ყველაფერი გაყინულა და თეთრი კალთების ქვეშ გამოხვეულა. ზვავების ჩავლის შემდეგ აქ არემარე ყუჩდება, ჩუმდება და ირინდება. ივაკი შამფრიანმა ზემოდან დახედა ყინულეთს. ყველაფერი ხელისგულივით მოჩანდა. კლდისა და ყინულის ახალი ნამსხვრევები აქა-იქ დაბნეულად ეყარა. შამფრიანის გამოცდილმა თვალმა მათეს ცალი პაიჭი შენიშნა. უფსკრულის გასარკულ ზედაპირზე, კაცი კი არსად ჩანდა. დიდხანს ათვალიერა ივაკიმ ხევი, დიდხანს და მათეს თვალი მაინც ვერსად მოჰკრა. ახლა მეორე კალთაზე გადავიდა სვანი მონადირე და იქიდან ჩახედა უფსკრულს, არც იქ მოჩანდა.

„პაიჭი აქ არის, — ფიქრობდა იგი, — მაშასადამე, მათეც აქვე უნდა იყოს“.

იგი შეჩერდა და კლდის კალთებს ააყოლა თვალი. გალმა კალთის ფრიალოზე, რომ იდგა, სწორედ იმ კლდის ცხვირის ქვემოთ, შავი რაღაც გამოჩნდა. თანდათან დაუკვირდა და მათეს ნაბდის კალთის ყური შეიცნო. ისევ მეორე კალთის ზემოთ მოექცა ივაკი. ჩაიხედა და გული შეუქანდა. კლდის ცხვირზე თოვლში ჩამარხული კაცი იწვა. კლდის ბოლოზე ბაწარი დაამაგრა, ფრიალოზე დაიწყო ჩაცოცება. გადაჩეხილ მათეს ზემოდან ფიფქი თოვლი დაჰყროდა, ივაკიმ თოვლი ფრთხილად მოაშორა და გულმა რეჩხი უყო — ნაბადი მთელ ტანზე შემოხვეული შერჩენოდა მამიდაშვილს.

„ცოცხალი იქნება, ნაბადი და თოვლი სითბოს შეუნახავდა“, — გაჰკრა ელვასავით ფიქრმა შამფრიანს, ხანჯალი გაიძრო და ბაგე-ცხვირთან მიუტანა.

ხანჯლის პირი ოდნავ შეიორთქლა.

— ცოცხალია, ღმერთო, მიშველე! — წამოიძახა ხმამაღლა და მათარა მოიხსნა. ნათევადით ჯერ სახე დაუზილა, მერე საკინძე გაუხსნა და გულმკერდი დაუსრისა.

მათემ ამოიკვნესა.

— თვალი გაახილე, ძმაო, შენი ჭირიმე, გამოფხიზლდი! — ეფერებოდა ივაკი გაყინულს.

ვაი-ვაგლახით გახსნა წამწამები მათემ და ივაკის შეხედა.

— შენა ხარ, ივაკი?! — გაიღიმა მათემ.

— მე ვარ, ჩემო მათე, ახლა ეს მოსვი, ჰო, კიდევ მოსვი, ძმაო, ძალას მოგცემს სხეულში.

ცოტა ხნის შემდეგ მათე ნელა წამოჯდა.

— დალაპარაკებაც არ მაცალა იმ სულელმა, ისე მკრა ხელი და გადამჩეხა. — ეს იყო მათეს პირველი სიტყვა, რომელიც ბავშვის პირველ ლუღლუღს უფრო ჰგავდა, ვიდრე ვაჟკაცის ნათქვამს.

— ვინ გადაგჩეხა?! — გაოცდა ივაკი.

— ასტამურმა!

— რა თქვი?!

— რაც გაიგონე, ივაკი, ასტამურმა გადამჩეხა.

— თქვენ ორივენი გაგიჟდით?!. — არ დაიჯერა ივაკიმ.

მათემ წამოდგომა დააპირა, მაგრამ მტკივანი ფეხი არ დაემორჩილა.

— აი, ეს ფეხი რომ არ მტკენოდა, იმ სიტყვასაც არ ვიტყოდი, მე ზევით ვერ ავედი, ის კი სიბნელეში იღუპებოდა, სხვა გზა არ მქონდა.

ივაკის ვერაფერი ვერ გაეგო. იგი გაშტერებული მისჩერებოდა მათეს.

— კარგი, თქმას მოესწრები, ჯერ სამშვიდობოს გავიდეთ. — ივაკი ბაწარს დაეკიდა და ჯერ თვითონ აჰყვა კლდის კალთას ზემოთ, მერმე მათეს ჩამოუგდო მისი ერთი წვერი. მათემ ბაწრის ბოლო წელზე და ბეჭებზე შემოიხვია, მაგრამ კლდეზე ასვლის დროს საშინელი სისუსტე იგრძნო. ფეხის სიმსივნე ახლა ისე არ აწუხებდა, მაგრამ ღონე ვერ მოეკრიბა.

„მთელი ღამე სიცხეს დავუბუგივარ. ჰე, ალბათ, ამ ამბავმა გადამარჩინა კიდეც", — გაიფიქრა მათემ.

— რას შვრები, იჩქარე, კაცო! — ჩამოსძახა შამფრიანმა.

— სისუსტემ დამრია, ცოტა მაცალე.

ივაკიმ კლდის ბოყვს შემოხვეული ბაწარი მოხსნა და თვითონ ფეხგადგმულმა დაიწყო მისი აკრეფა.

— აბა, შენ მხოლოდ ნელა იმოძრავე, მე ბაწარს დავქაჩავ, ბიჭო! — ჩასძახა ისევ.

მათეს ამოსვლისთანავე გული შეუღონდა. იგი ისევ ჩაიკეცა კლდის ქიმზე.

ნათევადის წვეთებმა თავისი გაიტანა და ცოტა ხნის შემდეგ მათეს ხელმეორედ ჩაუდგა ტანში ძალ-ღონე. ივაკი პირმოკუმული და შუბლშეკრული მიჰყვებოდა მამიდაშვილს. როცა მეავე წყლებთან შეისვენეს, მაშინ ამოიღო ხმა შამფრიანმა:

— ახლა მიამბე, რა გჭირთ, ბიჭო! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ივაკიმ.

ვარსკვლავები ცაზე ნელ-ნელა ჩნდებოდნენ, როცა მათემ სათქმელი დაამთავრა. ივაკი შამფრიანი ხანჯალზე ხელდადებული და სახეგაფითრებული მისჩერებოდა მათეს.

— დიდი ცოდვა ჩაგიდენია, მათე, — გაგუდული ხმით წარმოთქვა მან.

— სხვა გზა არ იყო, ძმა უნდა გადამერჩინა, ივაკი.

— სტყუი, — დაიბუხუნა ახლა შამფრიანმა. — ერთი სიკვდილი თუ მეორეში შეუნაცვლე, ეს განა სიკეთედ მიგაჩნია?!

— რას ამბობ, ივაკი?!

— რასაც შენ მაშინ უნდა მიმხვდარიყავი, ჩემო ძმაო. ასტამური მართალია, შენ გულზე მიტანილი სასიკვდილო დანა ააცილე, სატევარი კი თვითონ ჩაჰკარი ულვთოდ.

— არა, ხარ მართალი. — წამოდგა მათე, — ჩამოვიდა თუ არა, სიტყვა არ დამაცალა, სიცხისაგან გათარანებული და ფეხდასიებული კაცი სიტყვის უთქმელად გადამისროლა კლდეზე.

— ძმის მოღალატეს სიკვდილი ეკუთვნის, — თვალი არ გაუმართავს ივაკის, ისე მიახალა მათეს ეს სიტყვა.

— მერე მე მოღალატე ვიყავი?!

— შუქზიარა ხომ შენი და იყო!.. — გაბრაზდა ახლა შამფრიანი.

— იყო და არის კიდეც.

— კაცის გულში არავინ ზის მათე, სიტყვამ გულში ჩადებული ფიქრი უნდა გამოთქვას.

— მერე მე...

— შენ კი... — გააწყვეტინა სათქმელი შამფრიანმა. — შენ პირველმა ესროლე ბინძური ტალახი მამის სახლის საძირკველსა და თავზს.

— მე მისი სიცოცხლე დავიცავი.

— სამაგიეროდ, სამი სიცოცხლე გასწირე, — თანდათან ულმობელი გახდა ივაკი.

— როგორ?!

— როგორ და შენი ნათქვამის შემდეგ არც ცოლი ივარგებდა, არც დედა, ძმა და არც შვილი.

— ივაკი, შენ ასე არ უნდა მითხრა. მე ჩემი ძმა გადავარჩინე.

— ცუდი გზით მოპოვებულ სიცოცხლეს ვაჟკაცი კაცი სიკვდილს არჩევს ყოველთვის.

— მათეს ტანში შემოენთო. იგრძნო აფხაზმა მონადირემ, ივაკი შამფრიანი დიდ შესაწუხებელს წუხდა.

— შამფრიანო! კაცს გამწარება საპასუხოს აფიქრებინებს. გესლიანი სიტყვა რომ არ მომფიქრებოდა, ძმა მეღუპებოდა.

—აფხაზ კაცს ღალატს სიკვდილი ურჩევნია, მამიდაშვილო!

— შენ ასე ფიქრობ, ივაკი?!

— სიმართლეს გეუბნები, პირველმა შენ გაუბზარე გული ასტამურს.

— რაღა ვქნა, მე უბედურმა!.. — სასოწარკვეთით თქვა მათემ. ნელა ჩამოჯდა წყაროს პირზე და თავი ჩაღუნა.

ეტყობოდა, საბალახოებს ქვემოთ ქარი ქროდა. ხეები ირხეოდნენ და იზნიქებოდნენ. ხანდახან ხეებშუა სიცარიელე ჩნდებოდა და მაშინ მთვარის სხივები მკრთალად გაიელვებდნენ ხოლმე.

მათე თავაუღებლად იჯდა ერთ ადგილას.

ივაკის შეეცოდა მამიდაშვილი.

— ასეა, ძმაო, უჩრდილო სიყვარულია გამძლე და ბედნიერი, თორემ ის ოხერი ეშვის ბზარი კაცს კი არა, აი ამ მთებს გააპობს შუაზე.

* * *

თემშუღ თარკილმა ასტამური თავის სადგომ ფაცხაში შეიყვანა. გონწასული ახალგაზრდა მონადირე ლოგინში ჩაათბუნეს.

—თბილი რძე ასვით, არყით დაზილეთ! — ბრძანა თემშუღმა და ასტამური ქალებს ჩააბარა.

იატაკზე დათვის ტყავები ეფინა. კედლებიც ნადირის ტყავებით იყო მოფარდაგებული. თემშუღის ქალიშვილი ხიმურ თარკილი ჯიხვის ტყავგადაფარებულ ჯირკოზე იჯდა. შეხედვისთანავე იცნო ასტამური ხიმურმა. განთიადის ჟამს მზის სხივი რომ ცის ტატნობს ფრთას გაჰკრავს და ალმურს მოუკიდებს, ისე მოედო ალი სახეზე ხიმურს. „ალბათ, მათეც აქ არის?!" — გაიფიქრა მან და ოდნავ შემკრთალი წამოდგა. იგი ყელმოღერებით, წყნარი და მსუბუქი ნაბიჯებით წამოვიდა კარისკენ.

ზღურბლს რომ გადააბიჯა, მწყემსებს შეეფეთა, ყველამ მოკრძალებით დაუთმო გზა. თავშეყრილ მწყემსებს შორის წამოძახილები ისმოდა.

— რა დაემართა, ნეტავი?!

— ზვავმა თუ ჩაიტანა.

— გაყინულია საწყალი ბიჭი.

— დაღლილი და გატანჯული ჩანს.

ხიმურმა წყნარად მოავლო თვალი ყველას. ჯერ ერთი შეათვალიერა, ერთიდან მეორეზე გადავიდა, მერე მესამეზე, მეოთხესაც დააკვირდა, მაგრამ, ვისაც ეძებდა, ვერ დაინახა. ოდნავ შეჩერდა, მერე თავი დახარა და წყაროსაკენ წავიდა.

დიდხანს იჯდა წყაროს პირზე ხიმური, იჯდა და მათეს სახე ელანდებოდა.

„არასდროს მარტო არ წასულა სანადიროდ. წასვლის წინ თვითონ მითხრა, ასტამურიც ჩემთან ერთად მოდისო. რა დაემართა, ნეტავი? ნუთუ დაიღუპა და გადაიჩეხა?!" — ქალს თვალებზე ცრემლი მოადგა.

— უშენოდ წუთსაც ნუ მიცოცხლია! — ჩურჩულით ჩაილაპარაკა ქალმა. მისმა ჩურჩულმა წყაროს სარკის პირზე ჭავლები რგოლებად აამოძრავა; ქალმა თვალი დააშტერა

წყაროს ზედაპირს. წყაროში რგოლები საყურეს რკალივით ჩნდებოდა, ნელ-ნელა ფართოვდებოდა და ათრთოლებული უცნაურად იკარგებოდა. ხიმურს თვალები გაუშტერდა. უცებ შენიშნა, რომ წყალში დარხეულ რგოლებშუა მათეს თავი გამოჩნდა: იგი ცხენზე იჯდა, თეთრი დარაიის ყაბალახი ისე შვენოდა, როგორც პირველი ნახვის დღეს.

ამ გახსენებამ თარკილის ქალი ააღელვა. ლიხანში, ზედ თავად შერვაშიძის სასახლის წინ გაშლილ ტრიალ მინდორზე, დოღი იყო გამართული. ვინ არ იყო მაშინ იქ: შერვაშიძეთა სასახლეს მარშანიების, გარდაფხაძეების, ჩაჩბების ოჯახები სტუმრებოდნენ. ოქრო-ვერცხლში დალესილი ქალ-ვაჟნი ბედაურებს აჯიბრებდნენ ერთმანეთს. ქერკინძ მარშანიას ნაცრისფერმა კვიცმა გადარია შეკრებილები. გოგმანით იწყებდა სირბილს და თანდათან ქარიშხლის წინ ამოვარდნილ ნიავივით უმატებდა სრბოლას.

თავადები სასახლის წინ, ფანჩატურთან იდგნენ, გლეხებს კი საყდრის გალავანში ჩატანებული ნიგვზის ხის ქვეშ -მიეშვათ ცხენები. ვეება მინდორი ხალხით იყო სავსე, მარშანიას კვიცმა მინდვრის ხუთი შემორბენის დროს ყველანი უკან მოიტოვა. ახლა ათი შემორბენისათვის ემზადებოდნენ ბედაურები. ხიმური ხედავდა, მარშანიას ნაცრისფერი ბედაური ადგილზე კი არ ცქმუტავდა სხვა ცხენებივით, დინჯად იდგა, მხოლოდ ლაგამს კვნეტდა და თვალებს ელმად აბრიალებდა. ხიმურმა ისიც კარგად შენიშნა, ეზოს დიდ ჭიშკარში როგორ შემოგოგდა ნესტოებდაბერილი ნისლისფერი ბაჩა კვიცი. ერთი შეხედვით გარეულ ღორს უფრო წააგავდა, ვიდრე ცხენს. ჯაგარივით სქელი ბეწვი ზღარბივით აბურძგვნოდა პატარა და მრგვალ ტანზე. მხედარმა ეკლესიის გალავნისაკენ მიუშვა კვიცი. უცებ ხიმურის თვალებში ნაპერწკლებმა იელვა, ცხენის პატრონს დარაიის თეთრი ყაბალახით ჰქონდა თავი შეკრული, სწორედ ისე, როგორც თვითონ ხიმურს. ცხენზე მეტად თავისუფლად იჯდა, წელი და ბეჭები არ ერხეოდა. ლაჯებშუა ამოკეცილი ნისლისფერივე ჩოხის კალთები არ ეშლებოდა ცხენის გოგმანის დროს მუხლებზე, მიწებებულივით ჩანდა.

ხიმური სწრაფად გამოეყო ხალხს და წინ წამოიწია. მხე-

დარი უდარდელად მიაგელვებდა ცხენს და სტუმრებს ათვალიერებდა. ხიმურს რომ გაუსწორდა, მისკენ მოიხედა. ქალს ახლაც ერუანტელი დაუვლის ტანში, ის შემოხედვა რომ მოაგონდება.

ცხენოსანმა შეხედა თუ არა ხიმურს, თვალები ცხენზე უფრო ბრიალა გაუხდა, სახე ქალწულივით გაუწითლდა. უნებლიეთ შუბლზე მოისვა ხელი. ,ხიმურმაც მონუსხულივით კიდევ უფრო გაიწია მისკენ. მოსულმა ცხენს სადავე ამოკრა და ადგილზე გააშეშა.

— ხომ არაფერს მიბრძანებთ, ქალიშვილო! — ვაუკაცის ხმამ ცეცხლი მოუკიდა ტანში თარკილის ასულს.

ხიმური დაიბნა.

— ცხენი მომეწონა, სხვანაირია ,ჩვეულებრივს არ ჰგავს!

მხედარმა თვალის გახელის უმალ დაიქვეითა.

— ჰოი, თქვენი საჩუქარი იყოს! — რეტდასხმულივით თქვა მან და აღვირი ქალიშვილს გაუწოდა.

— როგორ გეკადრებათ?!.

— ნეტავი ასეთივე თვალით მე შემხედოთ, ჩემს თავსაც არ დავიშურებდი!

ხიმური გამოფხიზლდა.

— ვითომ?! — გამომწვევად აათვალიერა დაქვეითებული. ჩოხის კალთები კოჭებამდე უწევდა მოსულს და უფრო მაღალს აჩენდა. მისი წელი ხიმურის ნეკის ბეჭედში გაძვრებოდა. ბეჭები კი ბრტყელი და განიერი ჰქონდა და მძიმედ ერხეოდა ჩოხაში... თვალები სულშებერილი ნაკვერცხლებივით უგიზგიზებდა. ხიმურმა წამწამები დახარა და ახლა უთქმელად გამობრუნდა. ვაჟი გაქვავებულივით ისევ იმ ადგილზე იდგა.

დოღი ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო. მარშანიას ნაცრისფერი ბედაური ქარიშხალივით მიჰქროდა, მას ნისლივით მსუბუქად მიჰყვებოდა ბაჩა-კვიცი.

მინდვრის ექვსჯერ შემორბენის შემდეგ, ხალხმა ჯერ ბაჩა-კვიცის კისერი შეამჩნია და მერე მისი ტანი. მსუბუქად, ძალდაუტანებლად მიჰქროდა ბაჩა-კვიცი მიზნისაკენ. მარშანია სირმის მათრახს სცემდა ისედაც ფიცხ ბედაურს, — ჰატ, ჰატო, — ჩასძახოდა ყურში, დეზსაც ხმარობდა, მაგრამ დაღ-

ლილობისაგან ხერხემალმოდუნებულ ცხენს ეტყობოდა, მეტი არ შეეძლო. თანდათან მოკრიფა ნაცრისფერი ბედაური ბაჩა-კვიცმა და მინდვრის მეათედ შემოვლის დროს უკვე ერთი რკალით გაასწრო წინ.

— ის პატარა ცხენი თევზივით გვერდი-გვერდ იყურება, — შენიშნა ვიღაცამ.

— მხედარს შეხედეთ! — გაიოცა შერვაშიძემ, როცა ცხენებმა წინ, სულ ახლოს გაუქროლეს. — სუნთქვაც კი არ მომატებია, წამწამებიც არ დაუხამხამებია, აი, მხედარიც ამას ჰქვია!

— ვინ არის ნეტავი? — იკითხა შერვაშიძის ქალიშვილმა.

— თემჰვას უფროსი ბიჭია, ქალბატონო, სვანი ქალის, დაჯილის ვაჟიშვილი, — უპასუხეს ქალს.

ხიმურს გული გადაუტრიალდა. მიხვდა თარკილის ქალიშვილი, თავადის ქალწულს რომ თვალი შეუვარდა ბაჩა-კვიცის მხედარზე. მათემ კი ამ დროს ეკლესიის გალავანთან მიაგდო ცხენი. მეგობრები ზრდილად შემოეხვივნენ და მოლოცვა დაუწყეს.

— ნახეთ ერთი, ოფლის ცვარი არ დასდენია! — გაიოცეს ცხენის სიმშრალე მოჯირითეებმა. — ლაჯებსაც არ შეჰპარვია ლამი.

— ჯიქის ძუძუნაწოვია, —გაიღიმა მათემ.

— რაო?! — ახლა კი ვერ შეიმაგრა თავი ხიმურმა. მისი ხმა გაიგონა თუ არა, მათე სწრაფად შემოტრიალდა.

— კვიცი როცა იყო, ჯიქის ძუძუს ვაწოვებდით, ქალიშვილო.

— ჯიქი კვიცს როგორ მიიკარებს?

— ცოცხლად დავიჭირე დედა ჯიქი თავის ჩვილით, კვიციც შეეჩვია, არც მე დავუშალე.

თავად შერვაშიძის ქალი ახლო მისულიყო და გაშტერებული უსმენდა მთხრობელს.

— ჩვენ კი გვასწავლეს, ჯიქი არ შინაურდებაო, — ნელი ხმით თქვა მან.

— შეიძლება ასეა, ქალბატონო, — ჩაფიქრებით შეეპასუხა მათე, — ალბათ, შვილთან ერთად რომ შევიპყარი, ამან დააოკა, ძუძუს საწოვრად ბოკვერთან ერთად კვიციც მიუშვა.

მის თვინიერებას კი ვერც ახლა დავიქადნებ — რკინის პალოზე მიბია ჯაჭვით.

იმ ღამით თვალი არ მოუხუჭავს ხიმურს. ვერც მეორე ღამეს დაიძინა გულდამშვიდებით. მამამ დაღონება შეატყო ერთადერთ ქალიშვილს.

— ავად ხომ არა ხარ, გოგო?!

ხიმური შეცბა. მამას მხრებზე მოეხვია.

— არა, მამა, ცოტა უგუნებოდ შევიქენი.

— საბალახოებზე ავიდეთ, შვილო, ჯოგში მთის ჰაერი მოგიხდება.

ხიმური- შეშინდა. იფიქრა, წამიყვანენ და მათეს მთელ ზაფხულს ვერ ვნახავო.

— ვერ წამოვალ, დედას ვერ მივატოვებ.

სწორედ ამ დროს ჭიშკარი გაიღო და მათეს ძმამ, ასტამურმა, პატარა ჯიქი შემოიყვანა.

— ჩემმა უფროსმა ძმამ გისაჩუქრა, — წყნარად თქვა ბოსულმა და ხიმურს შეხედა.

თარკილის ქალიშვილი ცას შეეტოტა ხელით.

— მობრძანდით, — სტუმარი შინ შეიპატიჟა, გაოცებული მამა ჩაფიქრებით მიჰყვებოდა სტუმარს. მიხვდა ძველი მეჯოგე — მათეს საჩუქარი უფრო მეტი მნიშვნელობისა იყო.

დიდი პატივით მიიღო ასტამური ქალიშვილის ოჯახმა.

ხიმური თავს ევლებოდა სტუმარს. მეორე დღეს უმცროსი ძმა მათეს უყვებოდა თარკილების უხვი მასპინძლობის შესახებ.

— დალალები კოჭებამდე უღელავსო, — დააბოლოვა ასტამურმა და ძმას ეშმაკურად შეხედა.

მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა. მათე არაერთხელ შეხვდა ხიმურს. არაერთხელ მოუსმენია ნიავს მათეს მკლავზე დაყრდნობილი თარკილის ქალის ჩურჩული. ახლა კი წყაროს თვალში უყურებდა ხიმური თავის გულისტოლს.

— არა, ასტამურს უნდა ვკითხო! — გადაწყვიტა მან და კარვისაკენ წამოვიდა.

გონწასული ასტამური შფოთიანად სუნთქავდა. ზღურბლზე გადააბიჯა თუ არა, ხიმურს ლაპარაკი მოესმა. სიცხეში წასული ასტამური ბოდავდა.

— ტყუილია, არა მჯერა, შეუძლებელია, გაგიჟდა... — იძახდა იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

— იწვის უბედური! — წაიჩურჩულა ხიმურმა, თავსაფარი დაასველა და ავადმყოფს შუბლზე დააფინა.

თითქოს ჩვარის სიცივემ იმოქმედაო, ასტამური ოდნავ გაინაბა, გაყუჩდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ აფორიაქდა, ისევ აიტაცა და უფრო ხმამაღლა მორთო ყვირილი:

— რა თქვი, როგორ გაბედე, ოჯახი შეარცხვინე! არა, სტყუი, ვერაგო, შუქზიარა არ მიღალატებდა, ძმა კი არა, გველი ყოფილხარ... ეს შენ გამოიგონე. ცილი დასწამე ჩემ ცოლს!

ხიმურს მუხლი უკანკალებდა.

— გაგიჟდა, სიცხისაგან გაგიჟდა, რა ვქნა, მათეს რა ვუთხრა! — სიმწრისაგან ხელების მტვრევით ჩაიჩურჩულა ხიმურმა.

— არა! — ახლა ისე დაიყვირა ავადმყოფმა, რომ კარავმა დაიზანზარა. — მაშ, გვატყუილებდი, ხიმური მიყვარსო, ხომ?! თვალს გვიხვევდი მეც და დედასაც, არა?! არ დაგინდობ, დილამდე როგორმე გავძლებ და მაშინ ნახე შურისძიება!..

თავისი ნახელის ხსენებაზე ხიმურმა უკან გაიწია.

— ღმერთო ჩემო, ეს რა გავიგონე. ეს რა წამოროშა ასტამურმა, აქ რაღაც სხვა ამბავია! — იგი გონების მოსაკრეფად კედელს მიეყრდნო. ქალს ლოყები გაუყვითლდა და ათრთრლდა.

— არა, ტყუილია, მათე ჩემს სიყვარულს არ უმტყუნებს! — ამ სიტყვებთან ერთად ხიმური გარეთ გამოვარდა, უცებ კარს უკან მიყუდებულ ურდულს წამოედო და კაბა მუხლზე სულ გადაიხია. ხიმურს ეს არც გაუგია. მან ხმაურით გამოაღო კარი და მთებს გახედა; მწვერვალებსა და საბალახოებს შუა ლურჯი მსუბუქი ლივლივა ჰაერი იდგა. მზის სხივები თვალისმომჭრელად იბნეოდა ამ ზურმუხტი ფერებით სავსე გარემოში. თეთრი მწვერვალები პირქუშად აზიდულიყვნენ ზეცისაკენ.

—სად წავიდე, როგორ მივაკვლიო! — თრთოლვით ჩაილაპარაკა ქალმა.

— ხა, ხა, ხა, — მოკვდი უბედურო! — ისევ დაიღრიალა ასტამურის ხმამ კარავში.

ხიმური შემობრუნდა.

— უნდა გავაღვიძო, გამოვკითხო, — გაიფიქრა და ისევ კარავში დაბრუნდა.

ასტამურს ცალი ხელი საბანს გარეთ გადმოეგდო. შუბლზე ოფლის წვეთები დაჰყროდა.

— ასტამურ, ასტამურ, — ჩასძახა ქალმა ავადმყოფს.

ასტამური მეხდაკრულივით კანკალით წამოჯდა ლოგინზე და უაზრო თვალებით მიაჩერდა ქალიშვილს.

— მითხარ, რა დაემართა მათეს?! — შეევედრა ხიმური.

ასტამურმა არაფერი თქვა. იგი ისევ გარინდებით მისჩერებოდა ქალიშვილს.

— ჰა, შენ ხარ, უბედურო?! — შეიცნო ხიმური ასტამურმა.

— უბედურს რატომ მეძახი, ასტამურ!

— განა შენ არ გიყვარდა ის დაუნდობელი კაცი?

— ვინ არის დაუნდობელი?!

— ვინ და ჩემი ძმა, მათე.

ქალი ასტამურს მივარდა და ხელებზე მოეჭიდა.

— გარკვევით მითხარ, გული ნუ დამილიე, ასტამურ!

— რა გითხრა, ჩემო დაო, ორივეს გვიღალატა, ორივე დაგვღუპა. შუქზიარა შეყვარებია.

— ტყუილია!.. — ამოსკდა ქალს გულიდან. სიცხე გაქვს და ბოდავ.

— თვითონ თქვა, თარკილის ქალო, ჩემი ყურით გავიგონე.

— სტყუი, საზიზღარო! — ხიმურმა ასტამურს ხელი გაუშვა და კედელს მიეკრა. მისი თვალები მრისხანედ ელავდა ახლა.

— ნეტავი მართლაც გავგიჟებულიყავი, ბედნიერ კაცად ჩავთვლიდი თავს! — ასტამურს ცრემლები წასკდა თვალთაგან და წამწამებიდან თქრიალით დაიწყო ცვენა იატაკზე.

„გიჟმა კაცმა ცრემლი არ იცის“, — გაახსენდა მამის ნათქვამი ქალს.

— სად არის მათე ახლა? — ხრიალით იკითხა ქალმა.

— ჯანდაბას, სადაც დედაჩემის ძუძუს მოწოვამდე უნდა ყოფილიყო.

გაღებული კარიდან ნიავმა შემოიგრიალა და მუხლისთავზე გახეული კაბა აუთამაშა ქალს.

— ნუ მომკალ, ასტამურ, სათქმელი გარკვევით მითხარი.

ასტამურმა ტირილი შეწყვიტა. ახლა ცრემლი აღარ სდიოდა. სველი წამწამებიდან თვალები ნაკვერცხლებივით უბრიალებდა, ხიმურს დაჟინებით მისჩერებოდა. მისი ასე უცებ შეცვლა ქალს არ მოეწონა, ხიმურმა თვალი გაადევნა ასტამურის მზერას და მუხლზე დაიხედა. ქალს შიშველი მუხლისთავი თეთრად უელვარებდა. სახეალანძული თარკილის ქალი გველნაკბენივით წამოვარდა ზევით.

— ფუი, შენს ძმობას, თვითონ ვერაგი და უნდო ყოფილხარ! განა მე არა ვარ შენი სარძლო?! მათე კი, ჩემი მათე, საძმოდაც კაცია და საქმროდაც შეუცვლელია, იცოდე!

იგი სწრაფად გამოვარდა გარეთ, კარვის სვეტზე დაკიდებულ ნაბადს და ბაშლაყს ერთად წაატანა ხელი, მერე ოდხავ შეჩერდა, გარემოს თვალი მოავლო და ბალახზე მიშვებული ცხენისაკენ სირბილით გაიქცა. ენაჩავარდნილი ასტამური ერთ ადგილზე გაშეშებული დარჩა. ახლა თვალების ელვარება ჩაუქრა, სხეული მოუდუნდა, პირში ნერწყვი ისე გაუშრა, ხმის ამოღება გაუჭირდა. იგი რაცრაცით მიადგა კარებს. ხიმური ცხენზე ჯდებოდა.

— არ წახვიდე, ხიმურ. ვფიცავარ, უნამუსო თვალით არ შემიხედავს, გოგო!

. ცასა და მაღალ მწვერვალებს შორის სავსე მთვარე ისე დადიოდა, თითქოს განგებას უნდოდა ეთქვა, — აბა, შეხედეთ და დასტკბით, განა ქვეყნად უფრო ლამაზი, უფრო მშვენიერი რამე გინახავთ?! ღამის სიწყნარეში მისი სხივები მდუმარედ დასცქეროდნენ ცის თაღში შეტყორცნილ, მარად დადუმებულ უინულოვან მთის წვერებს. სინათლე პეშვებით იბნეოდა ყველგან: მთის კალთებზე, ხევებში და ზღვისპირა მინდვრებში. მხოლოდ დაჯილის ფაცხის წინ, ცაცხვის დიდ ტოტებქვეშ ვერ ჩაეღწია მის სხივებს. ფოთლების სიხშირის გამო მის ძირში ღამე იდგა, აქ ორი ლანდი ჩურჩულით ესაუბრებოდა ერთმანეთს.

— მამიდაჩემო, თუ გიყვარვარ, დრომდე არაფერი მკითხო. მათე სვანეთში ამაღამვე უნდა წავიყვანო, საქმე მაქვს...

— ხომ ცოცხალია, ბიჭო?!

— ცოცხალიც არის და ჯანზედაცაა.

— ასტამური სად არის?

— თარკილებთან დარჩა, საბალახოებზე.

— მას ხომ არაფერი უჭირს?!

— არა, ისიც კარგად არის.

— დედას არაფერი დაემალება, ივაკი!

— აკი გითხარი, მამიდა, მათე აუცილებლად ჩემსას უნდა წავიყვანო-მეთქი.

— შენ რა გაგიჭირდა, რატომ მიმალავ?!

— მალე გაგაგებინებ. ახლა, ჩემს თავს გაფიცებ, არაფერი მკითხო.

— ცოტა ჩემსკენ მოიწი, — დაჯილმა ძმისშვილის სახე ახლო მიიტანა და თვალებზე ხელი მოუსვა: — ცრემლი არ გაქვს, მაგრამ, გეტყობა, თვალები გიხურს, ბიჭო.

— მამიდა შენთვის ოდესმე ტყუილი მიკადრებია?

— არა, მაგრამ, ცუდი სიზმარი ვნახე ბიჭებზე.

— ხომ დაგიფიცე, ორივენი ჯანზე არიან.

— კარგი, წაიყვანე, დამილოცნიხართ. იცოდე კი, სანამ თქვენ ამბავს არ გავიგებ, დავილევი.

— თუ იდარდებ, მაშინ ამაღამვე ჩამოვიყვან ორივეს სახლში.

— არა, თუ ასე გჭირდება, შენი ძმები არიან და წაიყვანე, საფათერაკო არაფერი ჩაიდოთ გულში.

ივაკიმ ფრთხილად გადმოიყვანა ცხენი, მამიდას გადაეხვია და ისევ მთებისაკენ გასწია.

— რახან კარგად არიან, აღარაფერს დავეძებ, — ჩაიჩურჩულა დაჯილმა და ჭიშკარი მოხურა.

* * *

მათე თანდათან მომჯობინდა, სვანეთის ჰაერმა, ივაკის მოვლამ და ახალგაზრდულმა ჯანმა თავისი გაიტანა. მხოლოდ ერთი ფიქრი არ შორდებოდა მათეს — ხიმურისა არაფერი ისმოდა. აგერ ორი კვირა გავიდა და აფხაზეთიდან ჩამიჩუმიც არ აღწევდა აქეთ.

— ჩვენი ამბავი თუ გაიგო, დავიღუპე! — ეტყოდა ბიძაშ-შვილს მათე.

— არ ვიცი, — დაიბუხუნებდა ივაკი, — ნეტავი, მეც არ გა-მეგო და მომკვდარიყავი.

— ხიმურმა თუ შეიტყო, რა მომელის, ივაკი?

— არც ეს ვიცი, ვერაფერს გეტყვი.

— უიმისოდ ვერ ვიცოცხლებ, იცოდე!

ივაკი შუბლს შეიკრავდა. ხანჯალზე ვეება თითებს დაალა-გებდა და მხრებს აიჩეჩდა.

რამდენი კოშკია სვანეთში, იმდენი გზაც არის. ყოველი გზა კი კოშკის ძირას თავდება. ერთ დილას ივაკიმ მათკენ მომავალი ორი ცხენოსანი შენიშნა. ისინი ბოგირზე გამოვიდ-ნენ და ბენებით წამოვიდნენ ზევით.

„ვინ უნდა იყვნენ, ნეტავი?" — გაიფიქრა და მათეს უხმო.

— დედაჩემი და ხიმურის ქალია! — გაიოცა მათემ და ფე-რი ეცვალა.

ცოტა ხნის შემდეგ ორივე ცხენოსანი კოშკის ზღუდეს მოადგა.

კარი გაუღეს. დაჯილს მათესათვის არ შეუხედავს, ისე შეანათა თვალები ივაკის.

— ჩემი ოჯახის მტერი ხომ არ იყავი, უბედურება რომ დამიმალე?!

ივაკი შეკრთა, მაგრამ არ დაიბნა:

— ჭირს დრო აქარვებს, ძამიდაჩემო, მეც დროს გასვლით მინდოდა მისი განელება.

— ტყუილია! — დასჭექა დაჯილმა. — ასეთ ჭირს დრო უფრო აღრმავებს და საქვეყნო ჭირად ხდის.

— ქვეყანა რა შუაშია, დედაჩემო?! — ბორძიკით წაილუღ-ლუღა მათემ.

— გონება დაგბნელებია, შვილო! განა ოჯახის შერცხვენა ქვეყნის ჭირი არ არის?

— ასტამური იღუპებოდა, დედი!

— შერცხვენას სიკვდილი არ სჯობია, ბიჭო!

ხიმური ჯერ ხმას არ იღებდა. იგი გარინდებული ისმენდა მათესა და დაჯილის საუბარს. ქალს დარაბის თეთრი ყაბა-ლახი მოეშალა თავიდან და დალალები ძირს გადმოსცვენოდა.

მხრებიდან ჩამოგდებული ნაბადი ბეჭზე მოსხმულივით ისევ მიწაზე იდგა და ქალს მკერდამდე სწვდებოდა.

— მე რას მეუბნები, მათე?! — იკითხა მან და დალალები ხელში ისე აიკრიფა, თითქოს ამით აპირებდა წაქცევისაგან თავის შეკავებას.

— შენ?! — დააბნია მეხზე უფრო საშიშმა სიტყვამ მათე.

— ჰო, მე! მე რას მეტყვი?

— რა უნდა გითხრა, თუ არ გამწირავ, დღესვე ჯვარს დავიწერ.

დაჯილმა ამოიხვნეშა. ხიმურს თითქოს არ გაუგონია ეს ხვნეშა.

— მერე, გულს, რას ეუბნები?!

— რა თქვი?! — კიდევ უფრო გაიკვირვა მათემ.

— გულს რას ეუბნები-მეთქი?!

— მე ისევ მიყვარხარ, მე ისევ შენ...

— სტყუი! — გააწყვეტინა სიტყვა ხიმურმა, — განა, თუ ერთი გიყვარს, პატიოსანი კაცი მეორე ადამიანს ეტყვის ამ სიტყვას?!

— არავისთვის არ მითქვამს, მიყვარხარ-მეთქი.

— ხომ თქვი, შუქზიარა მიყვარსო.

მათეს სახე დაეღრიჯა.

— გულით ხომ არ მითქვამს!

— განა ვაჟკაცის გულში ნაფიქრი სიტყვა ბაგემ შეურყვნელად არ უნდა გამოთქვას? განა სხვანაირად შეიძლება?!

იგი ოდნავ შეჩერდა, სული მოითქვა და მერე დაჯილს და ივაკის მიუბრუნდა:

— თქვენ მაინც, მითხარით, ადამიანებო!.. ღმერთმა იცოდეს, თავზე უფრო მიყვარდა თქვენი შვილი, მე მეგონა, მასაც ვუყვარდი. ახლა კი ჩემს სათქმელს სხვას ეუბნება, თან მეფიცება — უგულოდა ვთქვი და დამიჯერეო. არა, მათე, ვერ დაგიჯერებ; მე მეგონა, ასტამური სცდება-მეთქი და შენკენ გამოვეშურე. მეგონა, თავს გაიმართლებდი და შენგან სხვა სიტყვებს გავიგონებდი; შევცდი, აფხაზი კაცისა არც გული გქონია და არც სიტყვა.

მათე შეტორტმანდა და ხელგაწვდილი წამოიწია ხიმურისაკენ.

— არ მომეკარო! — დაიკივლა ქალიშვილმა. მან ნაბადს ხელი ჰკრა და ისიც კაცივით გაგორდა მიწაზე.

— არ მომეკარო! თარკილების ოჯახს, იცოდე, ასე მოსდგამს: სიტყვამრუდე ადამიანი ყველაზე ბოროტ კაცად მიაჩნია. სიტყვას გულიდან ფრთხილად უნდა ამოკრეფა, დაუფიქრებლად ნათქვამი საყვარელ კაცს საძულველად გაგიხდის, ძმას გადაგამტერებს, დედას დაგაშორებს, ქვეყნის მოღალატედ გაგხდის.

— ვაი, მე უბედურს, რომ ასე დამემართა! — წამოიძახა მათემ და თავზე ორივე ხელი შემოიკრა.

დაჯილი დაბარბაცდა, მერე ძალა მოიკრიფა და ივაკის შეუტია:

— წამიყვანე აქედან, ბიჭო, აქაურობას გამაცილე, გულ? გამისკდება!

ივაკიმ ფრთხილად მოჰკიდა ხელი მამიდას და კოშკისაკენ წაიყვანა.

ათრთოლებული ხიმური ცხენისაკენ წავიდა ნელა. გონებადაბნეულ ქალიშვილს ნაბდის წამოსხმა არ გახსენებია, ისე შეჯდა ცხენზე. მუხლის თავამდე აწეული კაბის კალთა გაფრიალდა და ქალიშვილის ქათქათა თეთრმა მუხლმა ელვასავით მიანათა მათეს.

ხიმურმა უნებლიეთ დაიფარა ხელი შიშველ სხეულზე და თავისდაუნებურად ცხენიდან მათეს ჩამოხედა.

ვაჟი მისკენ არ იმზირებოდა, იგი ახლა დამბლადაცემულივით იდგა, მის თვალებში სიცოცხლის ნიშანწყალი არ კიაფობდა.

— არ გადარჩება! — გაიფიქრა ხიმურმა, ცხენს ქუსლი ჰკრა და ნაბადი აიტაცა. — ღმერთო შენით და მის ფიქრს სინათლე აკლია, ნისლიანი კაცი ყოფილა. ასეთები ძმასაც გულს გაუტეხენ და თავსაც დაიღუპავენ! — ხიმურის ცხენმა ბაგირი გადაირბინა და კლდეზე გაჭრილ გზას დაადგა, ზემოთ ახლა ჩამიჩუმი არ ისმოდა.

არც კოშკიდან გადმოუხედავთ მისკენ და აღარც მას გაუხედავს იქით.

თქმულება ქუთაისზე

გულზვიადი მამა ჰყოლია დადაშ გულბანს. ჭაბუკს მშვილდ-ისრით ღმერთთათვის ნიშანდაკრული ხარჯიხვი მოუკლავს. მამა განრისხებულა, ღვთაების შესაწირს კაცის ხელი არ უნ-და შეხებოდაო. ორი დღე სდია შვილს მოსაკლავად.

მდინარე ფაზისის მფრინავ ტალღებში ფიქვის ორი მორი გააწვინა დადაშმა, თვითონ ზედ შედგა და ბარისაკენ გასცურა, კავკასიონის უკანასკნელ კლდეფერდზე გადმოხტა ტივიდან. მაშინ იქ, სადაც ახლა უქემერიონის კალთებია, ძელქვის გაუვა-ლი ტყე ყოფილა. ძელქვები ვაზის მტევნებით იყო დახუნძ-ლული. მათ ფესვებთან ჭაბუკს კარავი მოუღობავს, კერა გა-უჩაღებია და ცხოვრება დაუწყია.

ზემოთ, წიფლნარსა და მუხნარში გარეული ღორი იცოდა, ცამდე აშოლტილ მთვლემარე უღრანში კი ირემი და შველი. აბა, სანადირო როგორ დაელეოდა მის გამჭრიახ თვალს და ვეფხვის მოქნეულ ბწკალივით მკლავს. მისი თითებით მოზი-დული ისარი ორი დღის სავალზე დაეწეოდა ცაში აფრენილ ფრინველსა და ველზე გაჯირითებულ შველს. ფათერაკისაგან დედის ხელით მკერდზე დაკიდებული დევის კბილის ავგაროზი იცავდა. კეთილს კი თვითონ სცნობდა. მაღალ მწვერვალთა სიახლოვეს დაბადებულს არწივი მიაჩნდა კეთილისმყოფლად. ამიტომ დაბინავებისთანავე ჯერ კიდევ შეუბუმბლავი მართვე დაიჭირა და აღზარდა.

კარვის კუთხეში ძარღვიანი კლდის ჭანი შემოიტანა, ზედ ბუდე გაუკეთა და თანამოსახლედ გაიხადა.

ჯერ ბუმბულით შეიმოსა მართვე, მერმე ფრთები გაუმაგრ-და. მის ნისკარტს და ბწკალს თანდათან მუხის კანის ფერი

შიეცა. ბავშვივით გაიწვრთნა. ვაჟკაცივით დაუმწიფდა გონება. დადაში დილით მშვილდ-ისარს გადაიკიდებდა, მართვეს წინ აიფრენდა და ფაზისის ნაპირს გაუყვებოდა. ცის ტატნობიდან მართვეს ვარსკვლავივით სხივიანი თვალები ყველაფერს ხედავდა. ირემს მოჰკრავდა თუ შველს თვალს, ზევიდან დაიხუვლებდა, გამზრდელს ადგილსამყოფელს ანიშნებდა. ნანადირევს ერთად შეექცეოდნენ. ასე შეეჩვივნენ ერთმანეთს, ასე დამეგობრდნენ. საღამოჟამს სანადიროდანაც ერთად ბრუნდებოდნენ. არწივი ცის ბილიკით, დადაში ტყის საცალფეხოთი. გზა კი ორივეს ერთი ჰქონდათ — სახლისაკენ მოდიოდნენ. ერთ საღამოს არწივი არ დაბრუნდა. ღამე თეთრად გაათენა დადაშმა, თვალს ძილი არ მიეკარა. გათენებისას ფრთების შრიალი მოესმა. კარვის წინ, ძელქვის ტოტზე წყვილი არწივი შენიშნა. ერთში თავისი მართვე იცნო, მეორე კი ეუცხოვა. მიხვდა დადაშ გულბანი, დაწყვილების დრო დამდგარიყო. ახლად გატყავებული შველი მიუგდო ორივეს. თვითონ კი უცნობმა რამ დარდმა შეიპყრო ვაჟკაცი.

მთელი წელი ბოლმანარევი დადიოდა დადაში, თავი უბრუოდა, წამალი კი ვერ მოენახა. ამ ხნის მანძილზე არწივებმა ბარტყებიც დაჩეკეს.

ერთ დღეს, იქ, სადაც ფაზისის ტალღები უფრო მშვიდი და წყალმრავალი ხდება, ვეება ნავი შენიშნა. ადამიანები ნაპირზე გადმოსულიყვნენ, ნანადირევი მწვანეზე გაეშალათ და შეექცეოდნენ. ჭაბუკმა თვალთვალი დაუწყო მოსულებს. ცოტა ხნის შემდეგ მათ ორი ქალი გამოეყო. ქალებმა ტყისკენ აიღეს გეზი. ერთი ახალგაზრდა იყო, ირემს ჰგავდა, მეორე უფრო ხნიერი და დარბაისელი ჩანდა. ახალგაზრდა დაწინაურდა და სწორედ იმ ძელქვისაკენ წამოვიდა, სადაც დადაში იყო მოფარებული. ვაჟკაცი წამოწვა და თავი მოიმძინარა. ქალწულს შეეშინდა, ალბათ, მკვდარი ეგონა, მუხლი მოიყარა და ვაჟის მკერდზე ყურის დადება დააპირა. დადაშის გულისცემა ერთი დღის სავალზე ისმოდა. ქალს ღიმილი მოერია. ალბათ, გუმანით მიხვდა ვაჟის ეშმაკობას და ტყის ნაპირზე ჩუმი კისკისი გაისმა. ჭაბუკმა თვალი გაახილა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?! — ჩურჩულით იკითხა ქალწულმა.

დადაში გააკვირვა მისმა რბილმა და ხავერდოვანმა ხმამ. სიტყვა მაინც ვერ დასძრა.

— მუნჯი ხარ? — გაეღიმა ქალს.

— შენმა ხილვამ დამამუნჯა, —როგორც იქნა წაილუღლუღა ჭაბუკმა.

ქალმა არაფერი თქვა, მხოლოდ უკან ორი ნაბიჯი გადადგა და მხლებელ ქალს შეეხმიანა:

— ძიძა-დედუ, შენ უკან დაბრუნდი, მეც მალე გეახლები.

ხნიერი ქალი უსიტყვოდ დაემორჩილა, ქალიშვილი კი უკან გამობრუნდა. იგი ისევ მივიდა დადაშთან, ნელი რხევით მშვილდი აიტაცა და თვალიერება დაუწყო. ლარის მოწევა სცადა. ძნელი აღმოჩნდა. ქალმა ვაჟკაცის გულმკერდზე გადაიტანა თვალი.

— უჰ, რა ღონიერი ყოფილხარ?!

— დათვი მომიკლავს ერთი დარტყმით, — დაიტრაბახა ვაჟმა. ქალმა ეჭვით შეხედა. ვაჟი შეცბა, უხერხულობა იგრძნო თავის ნათქვამის გამო.

დადაშის ბედზე უცებ შრიალი გაისმა და ციდან ჩამოსხლეტილი მისი აღზრდილი ზედ ბეჭის თავზე შემოაფრინდა.

ქალს შიში დაეტყო.

— ავი სული ხომ არა ხარ?! — შეკრთა ქალწული.

— ავი რად ვიქნები, ეს ჩემი გაწვრთნილი არწივია! — იამაყა დადაშმა.

— შენი გაწვრთნილი?! — ფერი მოუვიდა ქალს.

— ჰო, ჩემი. ამ უშიშარს თავისი ცოლ-შვილიცა ჰყავს. ამქვეყნად მგონი მარტო მე დავიარები უტოლოდ, — წამოსცდა უნებურად გულის დარდი.

ქალმა შეხედა ჭაბუკს და თვალები დახარა. დადაშის მზერაში ისეთი ელვა-კოცონი შენიშნა, რომ მისმა თვალებმა თვითონაც აათრთოლა და ტანში ტკბილნარევი შიში ჩაუყენა.

— ენა ჩვენი გაქვს და უცხო კი ჩანხარ, — შეეკითხა ვაჟი.

— მე აიეთის მეფის ასული ვარ, — წამოსცდა ქალს.

— მეფის?! — გაიკვირვა ვაჟმა. მე კავკასიონის მწვერვალთა მაღალი კალთების შვილი ვარ. ჩვენ მეფე არასდროს გვყოლია. მამისაგან გამიგონია კი — ბარის მცხოვრებლებს მეფე ჰყავთო.

— ჰოდა მეც მისი ქალი ვარ. მისი ერთადერთი ასული.

— მეფეები გულგოროზნი ყოფილან, ერთმანეთს ეომებიან, დილეგში ამწყვდევენ ადამიანებს.

— მამაჩემი მეომარია, მაგრამ გულკეთილია, — წყენა დაეტყო ქალს ხმაში.

— ნუ გამიჯავრდები, — შეტოკდა ვაჟი. — ეს მამაჩემს უამბნია ჩემთვის. ახლა მე მარტოდმარტო ვარ ამქვეყნად. მამა გავაჯავრე, გამირისხდა. მხოლოდ ეს ზვიადი ფრინველი სუნთქავს ახლა ცოცხალთაგან ჩემს ახლოს.

ქალმა არწივს ჩახედა თვალებში. ვაჟი გააოცა მისმა აღზრდილის თვინიერებამ. იცოდა დადაშმა, ფრინველი მის გარდა ყველა სულდგმულს ერჩოდა. ახლა კი სიკეთე ჩადგომოდა მუდამ ბრაზიან მზერაში.

„ამასაც მოეწონა ეს ასული, ჩემი ბედი თუ იგრძნო მტაცებელმაო", — გაიფიქრა თავისთვის.

ქალმა ფრთებზე ნაზად დაუსვა ხელი. არწივი გაიტრუნა, არ იუცხოვა.

— კარგი ყოფილა შენი გაზრდილი, — ღიმილით თქვა ქალმა.

— თქვენ მას მოეწონეთ, ჩემსა და თავის ფრთოსან მეცალეს გარდა აქამდე არავის იკარებდა, ახლა მესამე მეგობრად გიგულათ.

— მეც ვუმეგობრებ. სიკვდილამდე ვუმეგობრებ, — წყნარად ჩაიჩურჩულა ასულმა და მორცხვად შეხედა ვაჟს.

დადაშს კვეს-აბედმა გაჰკრა, ტანში ცეცხლი შემოენთო. არწივს ნისკარტზე ხელი წაავლო, მისკენ მიაბრუნა.

— რას იტყვი ახლა? — ხმამაღლა ჰკითხა ზვიად ფრთოსანს.

— გრაგ-ჰე-ჰე! — გაჰყივლა არწივმა ცის ტატნობს.

— გრაგ-ჰე-ჰე! — მოესმა პასუხად ზევიდან და ცოტა ხნის შემდეგ ღრუბლებქვეშ დაშვებული მობოინე დედალი ფრთოსანი შენიშნა ასულმა.

ქალი უნებლიეთ გაიწია ვაჟისაკენ. ვაჟმა ანაზდად მოხვია ხელი.

— წამოხვალ ჩემთან?

ქალი გაიტრუნა, სიტყვა ვერ დასძრა.

— იქ კარგია, მდინარის ტალღები მეხივით ასკდება კლდეებს, ცივი წყაროები მოჩუხჩუხებენ მღვიმეებიდან; ყურძნის მტევნებით დატევრილია ძელქვის ტოტები. იქ კარგია! — სუნთქვა გაუხშირდა დადაშს და თვალები აუნაპერწკლდა.

— ცა უფრო სუფთაა და ვარსკვლავმრავალი, მიწაც უხვია და თბილი. ჩვენი სამყოფელიც კლდეებით არის შემოზღუდული. უშიშარია და ნეტარდასასვენებელი. წამოხვალ ჩვენთან?! — ჩაუჩურჩულა დაჟინებით ვაჟმა.

— არ ვიცი, მე შენთან მინდა, მაგრამ მამას უნდა შევეკითხოთ. უიმისოდ არ შეიძლება.

— იქ კარგია! — ისევ აფეთქდა ვაჟი. — ზევით არწივთა საბუდარი მწვერვალებია, ქვემოთ გაშლილი ველები, ზემოთ წაბლის ტევრებია, ქვემოთ ძელქვის გაუვალი ტყით დაღრუბლული გარემო. მწვერვალთა კალთებზე ჯიხვები დანავარდობენ, ქვემოთ კი ხარ-ირემი. ხის ტოტებზე უთვალავი ფრთოსანი ბუდობს, ხეთა ფუტუროებიდან თაფლის წყარო მოჟონავს. კარგია-მეთქი, ხომ წამოხვალ, კოლხეთის მეფის ასულო?!

ქალმა თრთოლვა იგრძნო. ვაჟმა უფრო ახლო მიიზიდა იგი.

— იქ კარგია, იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთი ვნახეთ, — ახლა კვესი და ნაპერწკალი ხმაშიც ჩაუდგა დადაშს, — იქ კარგია, ჩემი სიცოცხლის პირველო ლამაზმარცვალო, არწივები ხომ მოგვეფერენ და ბედი დაგვილოცეს. სალ კლდეზე კოშკს აგიგებ, სასახლეს გავშლი მწვანე მდელოზე, კიბესვეტი მარმარილოსი ექნება, თაღები ვარსკვლავთა გუნდით მოქედილი, მისი გუმბათი იალბუზს მიებჯინება, კედლებს ცის დასალიერში ამოვუქვიტკირებ. ხომ წამოხვალ, ჩემო დედოფალო?!

ქალმა კოჭებამდე ჩამოშვებული ნაწნავები ხელში აიკრიფა, ჯერ ცაში მობოინე არწივს შეანათა შავი დანამული თვალები, მერე ისევ დადაშის მხარზე ჩამომჯდარ ზვიად ტოლფრთოსანს მოეფერა და თქვა:

— წამოვიდე თქვენთან, ფრინველთა მეფევ?

— გრაგ-ჰე-ჰე!.. — გაჰყივლა ისევ მამალმა დედალს ცის ლურჯ გუმბათში.

— გრაგ-ჰე-ჰე! — ისევ მოისმა საპასუხო ყივილი ზემოდან.

ასულმა გაიღიმა, ვაჟს კისერზე ხელი მოხვია და ისევ წყნარად ჩასჩურჩულა:

— მთვარე რომ თორმეტჯერ დაილევა და გაიბადრება, მელოდე. მამაჩემს ნებართვას ვთხოვ, უიმისოდ არ შემიძლია. მამის სიყვარული ღონეს მისცემს ჩვენს ცოლქმრობას. დამელოდე და მოვალ.

* * *

შვილზე გაბრაზებულმა შერგილ გულბანმა ცოლის გული ვეღარაფრით მოიგო. ქმრის გულზვიადობამ მეტად განარისხა დედა-ძაძუ.

— ღმერთი სულგრძელია, — ამბობდა იგი, — ჩემს შვილს შეცდომას მიუტევებდა, შენ კი ღმერთიც გასწირე, როცა შვილზე მახვილი აღმართე და მეც გული მომიკალი. უფრო გავარვარებულ ქვის კეცზე დავწვები, ვინემ შენს მკლავზე! — თქვა და კოშკში ავიდა, შიგ ჩაიკეტა, შვილს დაუწყო ლოდინი. ქერის გამხმარ პურის ყუას წყალში ალბობდა და ისე ცხოვრობდა. ქმრის ნანადირევი არ გაიკარა — მათაც, ალბათ, ისე უმიზნებდა მშვილდ-ისარს, როგორც ჩემს დედაშსო.

თანდათან დადნა ქალი. შერგილ გულბანის ცოლი კი ენით უთქმელი ლამაზი ქალი იყო თურმე. პირველად ჯარობაზე ენახა იგი განთქმულ მონადირეს შერგილს და ნადირობის ქალღმერთი ჰგონებოდა. გორაკზე მდგარი ასულის წამწამები ყორნის გაშლილი ფრთებივით შრიალებდა და მისგან მონაბერი ნიავი ათ ნაბიჯზე ბალახს არხევდა. ტანი ხევში ამოსულ ალვის ხესავით მაღალი და თმა შავი ღრუბელივით სინათლეგაუვალი ჰქონდა. დიდი ძალა აქვს ნამდვილ მამაკაცზე ქალს. შერგილ გულბანიც ცოლის თვალთა შუქით ინათებდა ცხოვრებას, მისი გუმანის გამომცნობი და შემსრულებელი იყო. ახლა კი, როცა დადაშზე განრისხებულს გული გაუგრილდა, ცოლის დარდმა მასაც ოჯახის უბედურებაზე მოუბრუნა გულ-ღვიძლი.

„შვილიც დავკარგე და ცოლიც დავღუპე, ვაი ჩემს გულმესისხლეობას“, — ფიქრობდა იგი და გალიგვებული თვალებით შესცქეროდა ცოლის სამყოფი კოშკის ცივ კედლებს. დრო კი გადიოდა. მაღლა კოშკში დედის ძუძუ-მკერდი ჭკნებოდა, კოშკის ძირს მამის მხარ-ბეჭი ილეოდა.

ქვეყნად არ არის უფრო ძლიერი რამ, ვიდრე შვილზე დაფიქრებული დედის გუმანი.

მისი გულ-ღვიძლი შორით გრძნობდა შვილის ბედსა თუ უბედობას, შვილის პირისღიმილს თუ თვალზე მომდგარ ცრემლს. და, აი, ერთ გათენების ჟამს, კოშკის წვერს რომ შეჰყურებდა, შერგილ გულბანმა დაინახა, მისი ცოლი ტაატით, მაგრამ პირმომღიმარე ჩამოდიოდა კიბეზე.

— წადი, შე უბედურო შერგილ, ჩვენს შვილს მიეშველე, წუხელ გულმა მითხრა მისი ბედნიერების ამბავი, ეწვიე, ეტყობა, მამის ხელი ესაჭიროება, სახლიკაცებიც გაიყოლიე, ვინძლო გამოადგეთ. ვგონებ, სასახლის აშენება განუზრახავს. ხუროები აარჩიე, ჩემი თმის ფთილებიც თან წაიღე და ციხე-ქალაქის ბალავერს დაუტანეთ. შთამომავლობას დედის თბილი სიყვარული თან დაჰყვება, ძუძუკეთილი ქალნი დაიბადებიან, სამართლიანი ვაჟკაცნი დაიზრდებიან.

სიტყვა არ უთქვამს შერგილს, ცოლის ბრძანება ღვთიურ ძახილად მიუჩნევია და მზის ამოსვლისას გზას გასდგომია.

მხოლოდ, როცა მდინარის პირას ჩასულა უფროსი გულბანი, მაშინ შეუნიშნავს ზემოთ მობორიალე ორი არწივი.

მამასაც მიმხვედრი გუმანი აქვს. ამიტომ მასაც გეზი იქით აუღია, საითაც არწივები ფრთის შრიალით მიუძღვებოდნენ სახლიკაცებს.

* * *

თვითონ აიეთის მეფე ამოსულიყო ამალით. ორი ათასი ხუროა და ხის ოსტატი ამოეყვანა თან, შერგილ გულბანის სახლიკაცებს ისინიც დაემატნენ და ციხე-ქალაქის კედლებმა დღითიდღე ცისკენ აიწიეს.

გალავნის ოთხსავე კედელში ბალავერს დედის თმის ფთილები ჩაატანეს. ვაჟის და ქალის მამებმა თითო ულვაშის ღერიც თან ჩააყოლეს, მემკვიდრეები და თაობები პირიანი და ვაჟკაცური ყოფაქცევის უნდა დამდგარიყვნენ.

თქმულება იმასაც ამბობს, აიეთის მეფეს ვეფხვის სამი ბოკვერი მოეყვანოს თითქოს. ხუროები მათი ნერწყვით ზელავდნენ კირს და საშენ ქვასაც მათ ალოკინებდნენ — ვეფხვური

ძალა და ბწკალი რომ დაყოლოდა ციხესა და შიგ გაზრდილ შთამომავლობას.

როდესაც თაღის შეკვრაზე მიდგა საქმე, არწივთა გუნდი მოიხმო დადაშმა. თითოს თითო ფრთის ნაპტკენი დააძრო და გუმბათის კალთებს ჩაატანა. ჰაეროვანი და მძლავრი დარჩება, დასაზრდელებიც არწივების საბუდარს თავისად იგულებენ.

აშენდა კლდეზე ციხე-ქალაქი. წყაროები იდუმალი გზით შემოიყვანეს, ბილიკები და გზები მოხრეშეს. აღმოსავლეთის მხრიდან ფაზისის ტალღები ასკდებოდა მის კალთა-ფესვს, დასავლეთით კი ქვესკნელს ჩათხრილი გაზაფხულით გაგიჟებული პატარა მდინარე უელიდა ირგვლივ. ამ მდინარის პირას ბაღები გააშენეს, ბოსტნები გამართეს. ხეებზე სხვადასხვა ჯიშის ყურძენმტევნები გაამრავლეს და შეატოტეს.

როდესაც მთვარე თორმეტჯერ დაიღია და ისევ გაივსო, მაყრიონიც მიუახლოვდა ადგილსამყოფელს.

საპატარძლო და მისი ამალა დარახტული ცხენებით შემოფრინდნენ გალავანში, ცხრა სამთავროს ულამაზესი ქალწულნი თან ახლდა აიეთის ასულს. მათი მშვენიერება თვალს სტაცებდა დადაშ გულბანის დევგმირ სახლიკაცებს. ქალები გააკვირვა მთის ვაჟთა სილამაზემ და ახოვანებამ.

მეფემ თქვა:

— მარტო დადაშის და ჩემი ქალწულის ქორწინება როდი მიბრძანებია. სამი დღის ვადა მომიცია გალავანში შემოსულ ქალ-ვაჟთათვის, ერთმანეთს თვალი დააგდან და გაეცნონ, ურთიერთის ფიქრი და აზრი გამოხსნან და შეუღლებისათვის მოემზადონ. სამი დღის შემდეგ მათი ქორწილი და ახალ ციხე-ქალაქში დასახლება დამიკანონებია. მზითევს თვით ვიკისრებ, ოჯახთა მოწყობილობაც სამეფო საგანძურიდან გაიცემა. მამაკაცები ჩემს მხედრებად ჩამირიცხავს, უფროს მთავრად შერგილ გულბანი დამინიშნავს!

სხვანაირი ფერი აქვს კოლხეთის ცას. ფარიოდ გადაშლილ კამკამა ლურჯ გუმბათს მუდამ მზე ანათებს და თაფლის ღვენთებიც პეშვი-პეშვ სცვივა სხივთა ღვედებად. ცაში შეტყორცნილი მისი მწვერვალები მუდამ თეთრი ყინულებითაა დაფარული, კალთებზე კი დაულეველი გაზაფხული დაშრიალებს და ყოველთვის ლორთქო სიმწვანეს ბადებს.

ფერდობები და ველები გაუვალი ტყით, უთვალავი ხეხილით და ათასგვარი ყვავილებით არის სავსე. მინდვრებზე პურის ყანა და ბაღ-ბოსტნები გადაშლილან. ვერცხლისფერი წყაროები ყოველ ფეხის გადადგმაზე გადმოქუხან და ქვემოთ, ბარისაკენ გზებს წკრიალით მიიკვლევენ. ათი ათასი ფრინველით ავსებულა ტყე-მინდორი.

სამი დღე-ღამე ხარობდნენ და ერთმანეთს ეცნობოდნენ ქალ-ვაჟნი. მეოთხე დღეს ხალდეს საზაფხულო მინდვრებიდან ჩამორეკილი სამასი სული ხარი წამოაქციეს და დაატყავეს, ორი ამდენი წვრილფეხიც დაჰკლეს და ზეიმი გააჩაღეს.

ქალებს, ტკბილნაყოფიერების ნიშანი, წაბლის რტო ეკავათ ხელში.

ვაჟებს ლომთავიანი ვერცხლის სატევრები შემოერტყათ სამოსზე — სიმდიდრის, სიბრძნის და ვაჟკაცობის დამამტკიცებელი.

შვიდი დღე-ღამე იქორწინეს და მერვე დღეს ძაძუ-დედა მოადგა ახალ ციხე-ქალაქს, შერგილ გულბანის მეუღლეს შვილის სიდედრი აიას სამეფოს დიდი დედოფალი გამოეგება:

— ყოველ დედას ერთი ფიქრი აქვს, — თქვა დედოფალმა,— შვილს ბედნიერი დარჩეს წუთისოფელში, დავლოცოთ შვილები, ჩემო დაო.

— დედის გულწრფელი ბაგით დამილოცია ორივენი, — წყნარად თქვა ძაძუმ, — დამილოცია ჩვენი ხალხის ბედის გასახარებლად, დამილოცია ჩვენი მიწის ასაყვავებლად, დამილოცია შთამომავლობის ბედნიერი გზის გასაკვლევად!

მუხლი მოურთხამს ძაძუ-დედას დიდი დედოფლის წინაშე. დედოფალი შეჩქვიფებულა, მძახლისათვის დაჩოქება არ დაუნებებია, მკერდზე მოხვევია და-დარბაისლურად უთქვამს:

— ამქვეყნად, ჩემო ძაძუ, მხოლოდ დედები არიან თანასწორნი. მარტო მათ აქვთ ერთი უტყუარი ფიქრი: შვილებს ჯანი და ბედნიერება არ მოაკლდეს. ჩვენც ხომ დედები ვართ, მძახალო ჩემო, მიმიღეთ თქვენს დად, თქვენს სისხლად და ხორცად. დე, ორივემ ერთად ვიფიქროთ მათთვის.

მერმე დამსხდარან, საუბარი გაუბამთ, როგორც ეს დედებს სჩვევიათ ხოლმე ბედნიერ წუთებში. თავიანთი შვილების სიყმაწვილე გაუხსენებიათ, მათი ჩვევები და ანცობანი მოჰ-

გონებიათ, აქა-იქ ქმრების ავ-კარგიც გამოურევიათ და ერთმანეთი ახლოს გაუცვნიათ.

მეფის ბრძანებით ყოველ ახლად დაქორწინებულთათვის სახლკარი აუშენებიათ, წყვილი ხარი და საჯდომი ცხენი უბოძებიათ, დიდ ცხოვრება-სიცოცხლისათვის საძირკველი ჩაუდგამთ. ვიდრე ქალაქი აშენდებოდა, აიას მთის კალთები და ველ-მინდვრები ორხელ დაითოვა და ამწვანდა. მესამე გაზაფხულზე ციხე-გალავანს ქონგურები ამოუქვიტკირეს, კოშკისთავს გუშაგები განაწესეს.

ვეფხვსა და ლომს თათი აქვს მძლავრი და ღონიერი, მაშინდელ კოლხეთს ახალი ციხე-სიმაგრე მიუჩნევია ქვეყნის ფესვსიმაგრედ და როცა აიას მეფეს შვილიშვილი შეეძინა, საბეფო ზეიმი ამ ციხე-ქალაქს გადაუხდიათ.

თქმულება ამბობს: დადაშ გულბანის ჩვილ მემკვიდრეს უჩვეულო ღონის მკლავი გამოყოლია. ერთი წლის ბავშვი, თუკი რასმე ხელს წაავლებდა, ვერავინ გამოგლეჯდა ხელიდან.

ჯერ კიდევ ყრმა ბიჭს წაბლის ხის აკვნის რიკული მოუფშვნია თითებშუა.

— ვეფხვის თათი ჰქონია! — გაჰკვირვებია მეფე-პაპას.

— ქვის თათი დაჰყვა ჩემს შვილიშვილს! — უთქვამს შერგილ გულბანს.

— ეს ციხე-გალავანიც ხომ სალ ქვებზე დგას. ალბათ, მისი ფესვი თუ ასაზრდოებს ჩვილის ძარღვებს! — დაუდასტურებია დიდ დედოფალს.

— სახელიც ქვათათი დაენათლოს! — უთქვამს ძაძუ-ბებოს.

— ამ ციხე-ქალაქსაც ქვათათისი დაერქვას! — უბრძანებია მეფეს.

ამის შემდეგ ხმიადი გაუტეხიათ, ბიჭისათვის ყურძნის წვენით ჩვილი ტუჩები მოუბანიათ, მთელ სამეფოში მალემსრბოლნი დაუფრენიათ:

— შვილიშვილი მეყოლა, ერთადერთი მემკვიდრე ჩემი ის არის და სახელადაც ქვათათი დამინათლავს. ახალ ციხე-ქალაქისათვის ქვათათისი დამირქმევია, და უწყოდეთ, ამიერიდან ჩემი საბრძანებელიც ეს არისო.

მალემსრბოლნი ჯერ კიდევ არ იყვნენ წასულნი, რომ სამ-

ხრეთიდან და ზღვისპირეთიდან ავი მაცნე მოსულა. მომხ-დურთა უთვალავი ლაშქარი შემოსეოდა ქვეყანას.

მტერთან შერკინება მეფეს ახალ ციხე-სიმაგრეში განუზრა-ხავს. ლაშქარი სამად გაუყვია: მარჯვენა ფრთის მეთაურად და-უნიშნავს შერგილ გულბანი, მარცხნივ — დადაში, ხოლო მკერდ-მკერდ თვითონ მეფე მიუძღოდა მკაფავთ. მტერი კი მო-ძალებულა და მოძალებულა. ისართა ტყორცნისაგან წრიან კლდის ფერდებს ნაპერწკლები ბღუჯა-ბღუჯა სცვიოდა. მეცი-ხოვნენი ამ ნაპერწკლებზე გაზინთულ ჩვრებს ცეცხლს უკი-დებდნენ და სახანძრე საბუდრებად უკან ესროდნენ მომ-ხდურთ. დახოცილი მეომრებისაგან ადიდებულ მდინარეზე ხიდი გაკეთებულა, შეგუბებულა და ორ ვიწროშუა გარემო ზღვასავით დაუფარავს.

ამ ხიდით უსარგებლიათ ციხე-გალავანში მყოფთ. ღამით, მტრის ნამალევად ჯარი მდინარის მარცხენა ნაპირზე გადაუს-ხამთ, ზურგით მოუვლიათ, მწვანე ტყით შემოსილი გორაკები დაუკავებიათ და იქიდან გაურეკიათ თავდამსხმელები. მტერს ერთხელ კიდევ გაუბრძოლებია, ძალები შემოუკრიბავს და ცი-ხე-ქალაქს ისევ შემორტყმია მრისხანე ტალღად. სწორედ ამ დროს ჩრდილოეთიდან ჰერეთელებს ჩამოუსწრიათ და მტრის ურდოები ისე უწყალოდ უკაფავთ, მთხრობელად მხოლოდ სარდალი და მისი ამალა გადარჩენილა.

თქმულება იმასაც ამბობს, დამარცხებულსა და შერცხვე-ნილ თავდამსხმელთა სარდალს გაქცევის წინ ახალ ციხე-ქალა-ქისაკენ ცხენი მიუბრუნებია და უთქვამს: მთელი ქვეყ-ნები გამარჯვებით მომივლია, ათასი ციხე-ქალაქი დამინგრევია, აქ კი ამდენი ჯარი ამომიხოცეს, ვაი რომ არც ციხე-ქალაქის სახელი ვიცი და არც მისი პატრონისა!

მაშინ თვით მეფეს, ქვათათა ბიჭი ხელში აუყვანია და შე-უძახია:

— ამ ციხე-სიმაგრის ბატონი აი, ეს ვაჟკაცია, მისი სახელი ქვათათი გახლავთ, ციხე-ქალაქსაც ქვათათისი ჰქვია!

გამარჯვებულ მეციხოვნეებს კი ზევიდან ვეფხვის თათები და არწივის ფრთანაპტკენები გადმოუყრიათ — ნახეთ, ასეთი ვაჟები ჰყავს ამ ციხე-ქალაქს. ვეფხვის თათებს და არწივის გაფრენის ძალ-ღონის პატრონი არიანო. შერცხვენილ სარ-

დალს თავი ჩაუქინდრავს, ცხენი შეუბრუნებია და უკან წასულა. მის ამალაში ერთი ჭკვიანი კაცი ყოფილა, სარდალს პირდაპირ შეხედა თურმე და ასე უთხრა:

— ციხე-გალავანი ვეფხვის ნერწყვით უშენებიათ, მკლავშიაც ვეფხვის და არწივთა ძალ-ღონე ჩაუთესიათ. აბა, ვინ მოსპობს მათ ნაშიერთ, ან ვინ დასძლევს მათ ქვეყანას!

ნირგატეხილი სარდალი ტანმოთენთილი და ბეჭებმოხრილი სპარსეთის საზღვრამდე ჩიფჩიფებდა:

— ქვათათისი... ქვათათისი... ბიჭი ქვათათა... ქვათათისი...

ასე მთავრდება ეს თქმულება ჩემს ქუთაისზე, მაგრამ თქმულებებს განა დასასრული აქვს?!

ახლა, როცა რიონის ტალღებით აბრუნებულ გენერატორებს ცეცხლის ნაპერწკლებით გადაუჭედავთ მისი თაღები, როცა მისი ვაჟკაცების ხელით შექმნილი მძლავრი მანქანები ჩვენი ქვეყნის მაღაროებსა თუ ველ-მინდვრებზე დოვლათსა და სახალხო სიუხვეს ჰქმნიან, ამ თქმულებას მეტი ძალა და ღონე ახლავს.

ჭეშმარიტად, ქვათათიანი ვაჟკაცები აკეთებენ ამ დიდ საქმეებს.

სვანური თქმულება

გეგუთის სასახლე ძელქვის ტყეში იყო ჩაფლული. ტიტველი, უბუსუსო და უხორკლო ტყვიისფერი ხეები ცის გუმბათს მიბჯენოდნენ. ტყის კუდი ქუთაისის ციხე-გალავანს გარშემო უვლიდა და ლეჩხუმის მისასვლელებთან იკარგებოდა. ამ უსასრულო ხეთა ტევრში სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ რიონის ტალღების ტლაშუნი ისმოდა შორით.

ტყის ერთი ფრთა მდინარეს მიჰყვებოდა. სწორედ აქეთ მოდიოდა ჯორის კვალი. შოთამ დახედა თუ არა ტყის სიგრილით დალამებულ მიწაზე დაჩნეულ ნატერფალს, იმ წუთშივე მიხვდა, თამარს აქ გაევლო. ნალზე ამოტვიფრული ძელქვის ტოტი შლამს დამჩნეოდა. სხვა არაფერი ჩანდა.

— ნუთუ მარტოდმარტო წავიდა პირიმზე? — გაიოცა შოთამ.

— არა, ალბათ, მხლებლები მთის ბაჩა ცხენებზე სხედან, მათი კვალი კი ამ მიწას არ დაემჩნევა, — დაასკვნა მან და ბედაურს ლეჩხუმისაკენ მისცა სადავე.

— რატომ გაიქცა და არ გაამხილა თავისი ზრახვა?! — მეათასეჯერ ეკითხებოდა რუსთაველი თავის თავს.

მზე ზემოდან აჭერდა ტყის წვრილი ფოთლებით შემოსილ წვერებს. ზევიდან აქა-იქ ჩამოპარული სხივები ვეება სვეტებად ციმციმებდნენ გრილსა და ჩრდილოვან ტყეში. დაურაზტავი ბედაური ბილიკზე გრიალით მიჰქროდა. ხანდახან მისი სამკერდე ტყავი გაიტყლაშუნებდა და ტყის კიდემდე გავარდებოდა მისი ხმა...

„საით აპირებს გაფრენას, ნეტავ? — არ ასვენებდა გზადაგზა შოთას ფიქრი, — ნუთუ ვაწყენინე რამე, ნუთუ გამი-

გულისდა ჩემი მზე-მთვარე! ვაი თუ ახალგაზრდა ოვსთა მთავრისაკენ მოისურვილა გასეირნება? ვაითუ... — მოვარდა გულისმღარავი ეპვი. — კი, ესეც შეიძლება მოხდეს, ჯიმაშტარის თავზე ფონში გასცურავს და მუხურაზე გავლით საჩხერეზე გადავა, იქიდან კი ერთი მკლავის გაწვდენაზეა ოვსთა მთავარი სოსლანი".

ბედაურს არ ესმის პატრონის დარდი, იგი ლაღად მიჰქრის ხეებს შუა და მხეცური ალღოთი არ ედება მათ კორძიან ტანფესვს. უცებ გათავდა ტყე და რიონის სარკესავით ზედაპირმა შემოანათა. გაოცდა შოთა. სანაო შენიშნა. ის, ეტყობა, სულ ახლახანს გააბეს გაღმა-გამოღმა. სანაოზე პურის ძნებით დატვირთული ურმები იდგნენ. სანაოს ბოძბორბალა ისე აჭრიალდა, ეტყობოდა, ქონწაუსმელი იყო. გაღმა კალო გაემართათ. კალოზე გოგო-ბიჭები ჟრიამულობდნენ. რიონის ნაპირზე შლამს დაუკვირდა.

ცხენთა და ხარ-კამეჩთა ნაკვალევი ერთმანეთში ასვრილიყო. ჯორის ნატერფალი კი არ ჩანდა.

„სვანეთისაკენ წასულა!—უცებ ნათლად მოუვიდა ეს ფიქრი შოთას. — ვაი, შენს შოთას, განა ამ ერთი კვირის წინ ზაქარიას არ ჰკითხავდა პირიმზე სვანეთზე?! ნამდვილად იქეთ წავიდა, — დაასკვნა ახლა გულდაჯერებით და ბედაურს უნებლიეთ დახედა,—ალბათ, ჯორიც იმიტომ აირჩია სამოგზაუროდ. ჩემი ქურანი კი იმ ციცაბოებს სად გაუწვდება".

ცხენს სადავე მოსწია და შეყოყმანდა.

„არა, ახლა უკან დაბრუნება არ შემიძლია, უნდა დავეწიო, უნდა გავაოცო. დაე, მიხვდეს მის ნატერფალს როგორ ვუფრთხილდები".

შეფენილზე უკვე თანდათან გახშირდა წაბლის ტყე. ძელქვის ხეები აქა-იქ თუ გამოერეოდა. შარშანდელი ნაყოფი ახლაც ეყარა ხის ძირებში. ვეება ტახები დაშლიგინობდნენ ფერდობებზე. რიონის ხევი თანდათან ვიწროვდებოდა. ახლა გზა ზედ მდინარის კლდოვან ნაპირს მიჰყვებოდა. ქვევით, ღრმა ქვესკნელში, ღრუბლისფერი რიონი კლდეებს ასკდებოდა. გაღმიდან ტყის ქათმების გნიასი ისმოდა. მზე ცის შუაგულში იყო, როცა ორბელს გადაუარა. უცებ ზედ მისი თავის ზემოდან შრიალით გადმოეშვა შავი მიმინო. იგი საოცარი სილამა-

ზით გადატრიალდა ჰაერში, ირაო შეჰკრა და გაღმა ნადავლს დააცხრა.

„კაპუეტია, ვიღაცას გამოქცევია“, — გაიფიქრა შოთამ.

სწორედ ამ დროს, გამოღმა ბილიკიდან, მთის წვერს რომ მიჰყვებოდა, სტვენა გაისმა.

მონადირეები ყოფილან, მიხვდა მხედარი.

გაღმიდან ახლა ეჟვნების ჟღარუნი და მიმინოს კიპკიპი გაისმა.

— იქ ვინ გააწევს, ქალბატონო! — დაიბუხუნა ვიღაცამ ტყეში.

— უნდა გაცურო, ბიჭო! აბა, ახლა მიმინოს დავკარგავ თუ!

ეს ქალის ხმა იყო.

შოთა უნებლიეთ შემობრუნდა ბილიკისაკენ. ზემოდან ვეება ბეჭებიანი მამაკაცი ჩამოდიოდა. იგი გვერდი-გვერდ მოჰყვებოდა ბილიკს. მარჯვენა ხელი ვიღაცისათვის ჩაეკიდა და ისე მოუძღვებოდა.

— ხელი გამიშვი! — ისევ მოისმა ქალის ხმა.

— არ გაგიშვებ, ქალბატონო, ფეხი დაგიცდება და ზედ რიონში მოადენ ყვრიალს, მერე რა პასუხი მივუტანო მამაშენს?!

— რომ გიბრძანებ ხელი გამიშვი, ჰატ, შე გამოყრუებულო! — გაკაპასდა ქალი.

— ვერ მოგართვეს! — გაჯიუტდა დევკაცი. ახლა ორივენი შარაზე გამოვიდნენ. ამ ვეება კაცმა ფეხები ისე გააბაჯბაჯა, მთელი შარაგზა დაიკავა.

ქალს თეთრი ყაბალახი და თეირიკვე ნაბადი ეხურა.

„თავადის ქალი თუა“.

— არ გამიშვებ ხომ? არ გამიშვებ ხომ?! ესეც შენ, ესეც შენ! — ქალიშვილმა მთელი ძალით უბიძგა დევკაცს, უცებ ხელიდან დაუსხლტა და შოთასკენ გამოექანა. დევკაცი წაბარბაცდა.

ძლივს დაიოკა სადავე მხედარმა. ქალი ზედ ცხენის მკერდს მიასკდა.

— გიგოია მიშველე, გიგოია მიშველე! — შეჰკივლა შეშინებულმა ქალმა.

ამ ხმამ გიგოიაზე მეხივით იმოქმედა. ეს მთის ხელა კაცი

ჯამბაზივით გადმოხტა და ქალის ხმისაგან შეშინებულ ყალყზე შემდგარ ბედაურს დროზე მოუსწრო. იგი ლომივით ეცა ცხენის სადავეს. თუმცა შოთამ უკვე მიიღო საჭირო ზომა, მან სადავე მარჯვნივ დაუჭირა. ცხენი უკანა ფეხზე შემოტრიალდა და წინა ფეხებით ფერდობს ჩამოეკიდა.

— ხომ გაგათავებდი, ბავშვს რაიმე რომ მოსწეოდა... — სიტყვა პირში ჩაუწყდა გიგოიას. მან მხოლოდ ახლა შეხედა მხედარს და შედრკა.

მიხვდა ყმაგლეხი, მის წინ უცნობი დიდბატონი იდგა, მხედარი კი თვითონ გაშტერებულიყო, სახე გაყვითლებოდა. თვალებში ნაპერწკლები უკვესავდა. იგი ერთ ადგილს მისჩერებოდა.

ქალიშვილს ჩაეჩოქა ჩანთიდან ირმის ტყავის, ოქროთი მოოქვილი წიგნი გადმოვარდნოდა და ახლა შიგ სდებდა. გიგოიამაც იქით გაიხედა.

— ვაი, ჩემს დღეს უბედურს, დედამ დაგიშალა მაგის კითხვა, შენ კი მოგიპარავს და თან წამოგიღია!

ქალიშვილი ნელა წამოიმართა და გიგოიას შეაკვესა თვალები:

— გიგოია, დედაჩემთან არ დამასმინო, თორემ, იცოდე, ისეთ საქმეს დაგმართებ წვერს შენი ხელით იგლეჯდე!

ქალიშვილს მხედრისაკენ ჯერ არც კი გაეხედა. იგი მალავდა წიგნს ხელჩანთაში. თან გიგოიას მიშტერებოდა.

— ვინ მოგცათ, ქალწულო, ეს წიგნი? — მოესმა ზემოდან მხედრის ხმა. საოცარი ხმა იყო, ტკბილი და ბოხი, ძლიერი და ჟრუანტელმომგვრელი. ქალიშვილი ანაზად შეაცქერდა მოსულს.

— უიმე, ვინაა, ნეტავ, ეს კაცი, გიგოია?! — გულწრფელად გაიოცა ქალიშვილმა. შოთას უნებლიეთ გაეღიმა. ქალიშვილი თხუთმეტი წლისა თუ ოქნებოდა. ასეთი სილამაზის ქალიშვილი ჯერ არ ენახა შოთას. დაქალებაში შესული მისი ტანი შოლტივით ირხეოდა თივთიკის ოქრომკედიან კაბაში. მსხვილი ნაწნავები წინ გადმოეყარა, შვლის ნუკრის თვალები ნისლდაკრულ ცისკარივით შეფეთებოდა პოეტს.

„თამარის თვალები, ღმერთო ჩემო, ნამდვილად თამარის თვალები!“ — ამ ფიქრმა შეაკრთო მხედარი.

— ეს წიგნი ვინ მოგცა, ლამაზო ქალწულო?! — ისევ წყნარად შეეკითხა უცნობი მხედარი.

— მე სადა მაქვს წიგნი?! — თითქოს გაიკვირვა მან და ღაწვებზე ცეცხლი მოედო.

„პირველად ამბობს ტყუილს", — მიხვდა მოსული.

— წავიკითხე, ქალწულო, მაოცებს, ძალიან მაოცებს. ეს წიგნი სასახლეშიაც ორად-ორია. თქვენთან კი საიდან გაჩნდა? ვინ მოასწრო გადაწერა ასე ანაზდად.

ქალიშვილს თვალებში ეშმაკური ღიმილი ჩაუდგა.

— თქვენ სასახლიდან ბრძანდებით?

— სწორედ გეგუთიდან მოვდივარ ახლა, — მიამიტად უპასუხა შოთამ.

— ჰოდა, იცოდე, პირველად მე მომიძღვნა ეს წიგნი დიდმა შოთამ, სახელად თამარი მქვია.

შოთა ჯერ გაოცდა, მერმე ისევ გაეღიმა და ბოლოს თავშეუკავებელი ხარხარი აუტყდა.

— აი, კოპწია ქალწულო, თურმე ვისთვის დაუწერია ეს წიგნი ავბედ კაცს, თამარიც რომ ჰქვია სახელად?!

პატარა თამარს ელვამ დაჰკრა თვალებში, მრისხანებამ სახე აუფორიაქა. იგი ახლა იმ მიმინოს ჰგავდა, რომელიც მოფრენილიყო და დევკაცის ტყავგადაკრულ მაჯაზე ველურად აბრიალებდა თვალებს.

— გიგოია, ამ ბატონს ჰგონია, მე ვიგონებ, ხომ?! — შეუტია გიგოიას და ფეხები დაუბაკუნა. გიგოიას ფერმა გადაუარა. ეტყობა, პატარა ქალბატონის რისხვამ და ნათქვამმა მართლაც შეაშინა.

— რატომ კადრულობ, თამარ ჩემო! შენს ნათქვამს ყველა დარბაისელი კაცი დაიჯერებს. დიდო ბატონო, იცით ვინ ბრძანდება თქვენს წინ?! — შემობრუნდა შოთასკენ გიგოია.

— აი, ეს კი, მართლაც, საინტერესოა, მხოლოდ ისიც უნდა მითხრათ, წიგნი მართლა თუ შოთამ უძღვნა პატარა კეკლუც თამარს.

— ჩვენი თამარის ნათლია დიდბატონი დემნა ბრძანდებოდა, — დაიწყო გიგოიამ როყიო ხმით, — ჰოდა, შოთა და დემნა ძმადნაფიცები ყოფილან, ერთად სწავლობდნენ თურმე, სწორედ მაშინ მონათლა დემნამ თამარი და...

— ღმერთო ჩემო! — აღარ დააცადა სათქმელი და გაფითრებულმა შოთამ შუბლზე იტაცა ხელი, — ეს წიგნი, მართლაც, დემნამ მთხოვა, ჩემს ნათლულს აჩუქეო, ვაიმე ბეჩავს, როგორ ვერ ვიცახ ჩემივე ნიშანი. ყდაზე. გუჯუ ახვლედიანის ქალი იქნებით, ალბათ.

თამარი უყურებდა და კანკალებდა.

— ნუთუ, თქვენ დიდი შოთა ბრძანდებით?! — ვედრებით შეესაყვედურა ქალწული.

— ვაი, რომ შოთა ვარ, ჩემი მეგობრის ქალო, შენ კი ვერ გიცან!

— თქვენი მუხლის და გონების ჭირიმე! — უცებ დაემხო გიგოია მხედრის წინ. — მე თვითონ ვარ მოსაკლავი, რომ ვერ გიცანი, პირმნათო! განა გელათში მე არ მოგართვი ბატონის უსტარი?

— თან თვალსა და ხელს შუა გამეპარე!

— ასე მქონდა ნაბრძანები, იმ ღამესვე ჩემს ბატონთან უნდა გავჩენილიყავი, დიდო ბატონო...

შოთა შემოდგომის ვერხვის ფოთოლივით თრთოდა. ახლა გააახსენდა ყველაფერი, დემნას ძმობაც, გუჯუს ერთგულებაც და წიგნზე მოხატული ნიშანიც. იგი უცებ გადმოხტა ცხენიდან და თამარს ხელზე ემთხვია.

— გამახარე, ჩემო კეკლუცო, შენი სილამაზით და ქცევით.

— ღმერთო დიდებულო! — დაიბნა პატარა თამარი. — ამას რას მოვესწარი, დედაჩემი არ დამიჯერებს და მომკლავს კიდეც. გიგოია! — შეჰყვირა ისევ მხლებელს. — სახლისაკენ გაფრინდი, დედას უთხარი, ღვთისსადარი სტუმარი მომყავსთქო.

— არა, ჩემო თამარ! მე გზას ვერ გადავუხვევ, საჩქარო საქმეზე მივდივარ, მამას და დედას ჩემი მოკითხვა უთხარი. ვწუხვარ, რომ სტუმრად ვერ გეახლებით.

— რას ამბობ, ბატონო, აბა, თქვენ რომ გნახეთ, ვინ დამიჯერებს?!. — შეწუხდა პატარა თამარი.

— ჩასვლისთანავე წიგნს მოგწერთ გეგუთიდან, — გაეღიმა ისევ შოთას.

— გეგუთიდან?! არა, გეგუთიდან არ მინდა, — იჯიუტა

თამარმა, — რადგან ასეა, მითხარით, საით მიდიხართ, ჩემს მიმინოს დაგადევნებთ. გზიდან მომწერეთ წიგნი.

შოთა გაკვირვებით დააჩერდა ბინდბუნდისფერ ნაკვერჩხალთვალებიან კაპუეტს.

— ჩემი გზა მეც არ ვიცი. ალბათ, სვანეთს გადავალ.

— მოგაგნებს ჩემი მიმინო. გიგოია, ხორცის ნაჭერი მიართვი დიდბატონს! — მიუბრუნდა იგი მხლებელს, თავის ხელით დააპუროს ჩემი აღზრდილი, მერე თქვენს კვალს თვითონ ამოხილავს, ვერსად დაემალებით.

გიგოიამ თვალისსისწრაფით ჩაყო ხელი ტყავის ჩანთაში და თითისხელა ხორცის ნაჭერი მიაწოდა შოთას.

პოეტმა უნებლიეთ გამოართვა.

მიმინომ შეხედა თუ არა ნაჭერს, შოთას მაჯაზე ნიავივით დააფრინდა. ახლა მისი თვალები ბოროტად არ კვესავდა. კიპკიპებდა კიდეც.

— ჩემი მიმინო ცხრა მთის გადაღმა მოგნახავთ აწი. იცოდეთ, წერილით დამიდასტურეთ, რომ ამ მიდამოებში შეგხვდით, დედაჩემი მაშინ დამიჯერებს.

— უსათუოდ მოგწერთ, თუმცა მეეჭვება, კაპუეტმა გეგუთამდე მომნახოს.

— მოგაგნებს, უცილოდ მოგაგნებს! — ახლა მასაც გადაედო ღიმილი.

მიმინომ ხორცის ნაჭერი დაძიძგნა და ახლა ნისკარტს იწმენდდა ფრთებზე. იგი დარბაისლურად აიწია ისევ ჰაერში და ისევ გიგოიას დააჯდა მარჯვენაზე.

— აბა, მშვიდობით, პატარა თამარ, მშვიდობით. იცოდე, თუ შენი აღზრდილი არ დამეწია, გეგუთიდან მტრედს უსათუოდ გამოვატან ბარათს დედაშენის დასაჯერებლად, — დაასრულა შოთამ და ანაზდად მოახტა ქურანს. სანამ ქალწული რასმეს მოიფიქრებდა, უკვე ცაგერის მინდვრებზე მიჰქროდა შუბლზე ოფლდაყრილი.

— ვაი, ჩემს დღეს! — ოხრავდა გზადაგზა იგი. — რას არ მოვესწარი. რა არ ვნახე, რა არ შემემთხვა ამ ცრუ წუთისოფელში.

თანდათან ყაჭის თეთრი გორგალივით იშლებოდა წარსული. დემნა და მისი ძუძუმტე, გუჯუ ახვლედიანი... დემნას და

თამარის განუყრელი ნათესაური მეგობრობა. დიდი თამარი, მისი პირველი შეხვედრა, შემდეგ დემნას დაჟინება, დაწერე რამე დიდი და უკვდავიო. შემდეგ უძილო ღამეები და თავდავიწყებული შრომა. ახლაც ახსოვს და საწამ ცოცხალია, რ» დაავიწყებს იმ ღამეებს, როცა დემნა და გუჯუ ისმენდნენ მის პირველ სტროფებს, როგორ მოეხვია დემნა მაშინ შოთას და პირველმა კაცმა უთხრა კაცთა შორის — ჩვენ წავალთ ამ ქვეყნიდან მომაკვდავნი, შენ და საქართველო კი უკვდავებაში გახვედითო.

იტირა კიდეც, ხარისოდენა თვალებიდან ცხელი ცრემლი გადმოსდიოდა. მერმე გუჯუს ქორწილი. წიგნის მეორე ცალად გადაწერა და ყდაზე საძმო ნიშნის ამოტვიფრა, შემდეგ რომ ეს ნიშანი დემნამ გიორგი მეფის წინააღმდეგ შეთქმულთა სანიშნებლად აქცია. აი, სად აღმოჩნდა ახლა ეს, წიგნზე მისი ხელით ამოტვიფრული ბედუბედური ნიშანი! ცხენმა ნელ-ნელა გაივაკა და ხიდზე გრიგალივით გადაირბინა.

„ვინ იცის, იქნებ დემნა ბატონიშვილის ტახტი უფრო გამოსდგომოდა საქართველოს, ვინემ...“—უცებ გაუწყდა ფიქრი, სადღაც გულის სიღრმეში სინანული იგრძნო. ასეთი ფიქრი მკრეხელობად მოეჩვენა. — განა თამარმა არ განამტკიცა მამულის ბალავერი და არ აღამაღლა მისი თავანი? არა, ამაზე უკეთ ვის შეეძლო ხელმწიფეთა ფათერაკიან გზაზე ქვეყნის წინ გაძღოლა. თუმცა, დემნა ბრძენი ხელმწიფე და დიდი მხედარმთავარიც იქნებოდა. ეს ეჭვი ისევ შემოეჭდო პოეტს. სათავადო სვანეთისაკენ მიმავალი გზა თანდათან მაღლდებოდა და ზევით იწევდა. მზე ჩავიდა. მისი სხივები მხოლოდ გაყინულ მწვერვალთ ანათებდა. ხეებში უკვე ბნელოდა. ბედაურის ლაჯებშუა ცხენისწყლის თეთრი ქაფი შეგუფთდა და გაისაპნა.

— უნდა გადავიღამო, — ხმამაღლა თქვა შოთამ და სოფელი გამოჩნდა თუ არა, პირველ სახლს მიაშურა.

* * *

მეორე დილითაც ვერ მონახა მზეთამზის გზა-კვალი მდევარმა.

იგი გუმანით აჰყვა ცხენისწყლის ნაპირებს, უშგულში რო-

ცა ააღწია, უთხრეს: ნაბდებშემოხვეული სამი მგზავრი იდუმალი სიჩქარით მიაქროლებდნენ ცხენებს, მათ შუა თეთრი ჯორი მითოხარიკობდაო.

კალამდე მეტად ვიწრო და კლდოვან გზაზე ბედაურს გაუჭირდა. ადგილ-ადგილ ხანჯალივით ამოწვერილ ბასრ კლდეებზე ერთი ბეწო ხის ბოგირი იდო. უჩვეული ქურანი ჯერ ფრუტუნით გადაფრინდებოდა, მერე მთელი სხეულით კანკალებდა.

მხოლოდ კვირიკესთან ამოისუნთქა ბედაურმა. აქვე გაიგო მდევარმა, თეთრჯორიან მგზავრს კვირიკეზე ღამე გაეთია. მათი გეზი კი მაინც ბინდბუნდში იყო გახვეული: ახლა ენგურის ქაფქაფა, მსრბოლავ ტალღებს გაჰყვა გუმანით. სათავადო სვანეთი უშგულთან გათავდა და ლათბარის უღელტეხილი ხელმარცხნივ დარჩა. უბატონო სვანეთის ცადაზიდული კოშკები კერასხებივით ამართული პარპალებდნენ ლაქვარდში. ბედაური გრიალით მიარღვევდა იისფრად შენისლულ ჰაერს. კლდეს შემსხვრეული ენგურის შხეფები ნანდახან ნაპერწკლებივით კვესავდნენ და მაშინ შოთას ეჩვენებოდა, თითქოს კალმახები ელავდნენ მდინარეში. შეიძლება ასეც იყო. იფარიდან უღელტეხილისკენ აიწია და მულახის მისასვლელებს გადაადგა. შოთა გააოცა სოფლის სიდიდემ და სილამაზემ, ჰისმა ყანებმა და ბალახთა მრავალფერად ლივლივმა. ცა სუფთა იყო, ჰაერი გრილი და სიკეთით სავსე.

— ბერძნებს რომ სვანეთი სცოდნოდათ, ალბათ, თავიანთ ღმერთების სამყოფლად მას აირჩევდნენ. მართლაც, არც არის ქვეყნად უკეთესი ღმერთსამყოფელი, — აღმოხდა შოთას.

იფარში დაშორდა ენგურს და ახლა მესტიაში შეეფეთა მას. კლდის სასთუმალზე დაკირული გაუთლელი მორების ხიდი ჩელტით და მიწით დაებეკნათ. თოხარიკით განვლო ბედაურმა და თავქვე დაუყვა. ისევ უცებ გაახსენდა გუჯუ ახვლედიანის პატარა ქალის თამარისეული წიგნის ტვიფრი.

„დემნას ეშინოდა ჩემი შეთხზულის ფათერაკისა. ის სულმნათი ფიქრობდა დიდნი თავადნი წინაღუდგებოდნენ ჩემს მკრეხელ აზრებს. გუჯუსაც იმიტომ მისცა შთამომავალთა საიდუმლოდ და საზეპიროდ. თუმცა დავალება რა საკადრისია, თვითონ წამკითხველსა და გამგონეს ერთიანად ამახ-

სოვრდებოდა სტროფები. თამარმა სახელმწიფო წიგნად განამტკიცა იგი. ეჰ, ხელმწიფეთა ფიქრს ვინ მიხვდება, მაგრამ გუმანით მაინც ვიცი, ერის გულსა და გონებაში ამით გზა მისცა ჩემს ნაფიქრალსა და ნააზრევს. ჰოო, როგორც ჩანს, მასაც ეშინია უგონო და უნიათო ადამიანებმა არა ავნონ რა ჩემს წიგნს".

მდინარის პირას საკირეები გამოჩნდა. კვამლის ზოლებიცის გუმბათისაკენ ვეება სვეტებად აღმართულიყვნენ. იქაც ვერ ნახა თავის გულისდარდის კვალი.

კრიჭა შეეკრა მხედარს. ავ გუნებაზე დადგა.

— ნუთუ, ტყუილად ვიარე ამ კლდის ფრიალოებზე ასე სიჩქარით? — შეეკითხა იგი თავის თავს. სადღაც შორს იმედის ნაფოტი მაინც ამოცურდა და ხასიათიც შემოუბრუნდა.

მან ისევ დეზი ჰკრა ბედაურს და თავქვე დაეშვა.

— არ შეიძლება ოდიშის ჭალებამდე არ მივეწიო, — დაასკვნა მან.

უცებ მოსახვევში ჩვილი კვიცი შეეფეთა. იგი დამდგარიყო და კლდიდან ჩამოკიდებულ, ქაფქაფა, მკლავის სისხო ნაკადულს დასჩერებოდა. ბედაურის მისვლა არ ეუცხოვა, ალბათ, დედა ეგონა, შესჭიხვინა კიდეც. ადგილიდან მაინც არ იძროდა. ისევ წყლის ქაფს დაშტერებოდა. უნებლიეთ, შოთაც დააჩერდა იმ ადგილს. საოცარი რამ ნახა.

მოზრდილი კალმახი შხეფებისაგან აბოლებულ გუბეში მომწყვდეულიყო და ფართხალებდა. მისი ბროწეულის კაკლებით დაწინწკლული სხარტი ტანი ნაკვერცხლებივით კვესავდა ყინულივით გუბეში. კვიცი ხანგამოშვებით დაყნოსავდა, მერე უკან შიშით და გაოცებით - დაიხევდა, მაინც არ შორდებოდა.

პოეტმა ფრთხილად აიყვანა კალმახი და ვერცხლის სვეტივით დაკიდებულ ნაკადულში ჩაუშვა. ერთი გაიელვა კალმახმა და უსახოდ გაქრა. კვიცმა ახლა შენიშნა უცხო ბედაური, ერთი კანკალით დაიჭიხვინა, შებრუნდა და თავქვე კისრისმტვრევით დაეშვა. შორს, მოსახვევში, ხევის პირას ცხენოსანი დალანდა ახლა ბედაურზე მჯდომმა. თვითონაც იქით მიუშვა თავისი ქურანი, რატომღაც სიმღერა მოუნდა ბრძენ პოეტს. ენგურის ტალღების დგაფუნში, ხევებიდან ქშუილით მოვარდნილ სიგ-

რილეში, ფერდობზე აშოლტილ ვეება ხეთა ტევრების შრიალში ნელა გაისმა მისი სიმღერა, კარგა ხანს იმღერა გულით, მერმე შენიშნა, რომ სვანურ ლილეს მღეროდა.

— პირველად ვმღერი ამ სიმღერას, — გაოცდა მხედარი, — ალბათ, ამ ღმერთსამყოფელში სხვა სიმღერა არც იმღერება! — ეს სიტყვები ხმამაღლა თქვა შოთამ.

უცებ გაისმა შრიალი და ბეჭზე მიმინო დააჯდა შემკრთალ პოეტს.

— პატარა თამარის კაპუეტი! — თითქმის შიშით აღმოხდა მხედარს. — მტრედივით გაუწრთვნია, — თქვა მან.

მიმინო კი, ვითომ არაფერი მომხდარიყო, ისე იწმენდდა დაღლილ ფრთებზე ოქროსფერ მოკაუჭებულ ნისკარტს. ყელზე პატარა ტყავის ნაკერი შენიშნა. ფრთხილად მოხსნა ყაითანი და წერილი გაშალა. პატარა პერგამენტის ნახევზე ფერაფერას მელნით ნაწერი ასოები მოჩანდა.

ახვლედიანის ქალი ვარ, ალპანას ვიღებ სამინდეს,
ორბელის თავზე შემომხვდი, მზემ დამანათე, დამბნიდე.
ერთი პატარა გული მაქვს, შენ თვალთა შუქით დაფლითე,
სამოთხეს ვინღა მაღირსებს, ჯოჯოხეთს რისთვის წაიდე?!

გაოგნებული შოთა ახლა ღიმილით კითხულობდა სტრიქონებს. ჩვენში ყველა ლექსად ამბობს თავის სათქმელსო, გაიფიქრა. ჭეშმარიტად ძნელიაო ჩვენს მამულში მელექსედ ყოფნა.

ქურანი კი ისევ მიჰქროდა. ხელმარჯვნივ გამოჩნდა უშბას ქათქათა, თვალისმომჭრელი მწვერვალი, ერთი მხრიდან ჩაბალახივით ეხვია ნისლი. ცხენს სადავე უნებლიეთ მოსწია და შეჩერდა. ყინულწვერი თითქოს ლაჟვარდში კანკალებდა.

— ღმერთთან მისასვლელ კიბესა ჰგავს ჩვენი მთები!

თვალებში თითქოს მეტი სინათლე ჩაუდგა, მეტი ელვარება მოემატა. ცხენს ისევ სადავე მისცა. უშბას თავს ერთი კიდევ ახედა და თავდაღმართს ჩაუყვა. კაპუეტი წყნარად გადაინაცვლებდა გზადაგზა შოთას მხრებიდან მახლობელ ხეზე ირაოთი, და შორს კი არ მიდიოდა, თვალს არ ეფარებოდა, ისევ უკან ბრუნდებოდა შოთას მხარზე. ენგურის მეტად ვიწრო ხევს მიყვებოდა გზატკეცილი. ღამდებოდა. უცებ გაიხსნა კლდეთა კა-

რი და გაშლილი ჭალაკი შემოეფეთა შოთას. ჭალის ბოლოზე კარვები შენიშნა. გულმა რეჩხი უყო. შუა მინდორზე ბედაურმა უცებ მეხივით დააყარა ჭიხვინი.

— ჩუმად, ჩუმად, თორემ გვიცნობენ, ჩემო ქურანა

მხედარი მიხვდა, რომ მისმა ბედაურმა ნაცნობი ცხენები დალანდა.

— ჩუმად, ჩუმად, — ისევ ჩასჩურჩულა ყურთან ბედაურს.

— ჩუმად, ჩუმად, — დაიბუხუნა ვეება სვანმა და მხედარს წინ გადაეღობა. ცხენი ოდნავ დაფრთხა და გვერდზე გაიწია.

— შენ ხარ, მურზაყან ჩემო! — გაეხარდა მხედარს დამხვდურის ნახვა.

— ვაი, ჩემს თავს, თქვენ აქ საიდან გაჩნდით?! — გაიოცა სვანმა.

მისი ფართო ბეჭები მთებივით მოჩანდა ღამის ჩრდილებში. მხოლოდ ვეება სატევრის ტარი დილისფრად ელავდა.

— ვაი, თუ პირიმზე გაჯავრდეს!.. — ისევ დაიბუხუნა მურზაყანმა და მერმე ისე გაიცინა, ჭალამ გრგვინვით მისცა ხმა.

— მის ახლოს სიკვდილი მირჩევნია, ჩემო მურზაყან, მისგან შორით სიცოცხლეს! — ისევ წყნარად თქვა მოსულმა და ცხენიდან გადმოფრინდა. ეტყობა, სვანმა ვერ გაუძლო ცთუნებას და მხედარი-მუხის ტოტებივით მაგარ მკლავებში მოაქცია.

— მარტო მოვდივართ, სად არ ვიარეთ, კვირიკეზე ღამე ვათიეთ, ჰადიშში საყდარში აველით, მულახში კოშკების წვერები ვთვალეთ. თქმით კი არავის ვუთხარით ჩვენი ვინაობა. ახლა კარვები გავშალეთ, ამ ადგილსაც თამარშენი დავარქვით, — ჩივილით უამბობდა მურზაყანი შოთას.

— ვერ დავიჯერებ, მურზაყან, ძმაო, სვანეთში შენს ბეჭებს და ხანჯლის ტარს ვერავის გამოაპარებდი!

— ბეჭზე ნაბადი მეხურა, შოთა ბატონო, უცხოდ რომ მევლო, აქამდე ვერვინ მიცნო და აწი რა ვიცი!

შოთამ ბინდბუნდში რომ გაიღიმა, თეთრი კბილები გამოჩნდა მხოლოდ, მან ღიმილით სატევრისკენ წააპარა ხელი.

— ნუთუ სვანეთში ვერ გიცნეს, დაუჯერებელია!

— რომ ვეცნეთ, პირიმზესაც ხომ იცნობდნენ, ქვეყანას შეგვიყრიდნენ.

ახლა გაახსენდა შოთას, რომ მურზაყანი თამარის ძიძიშვილი და განუყრელი მცველ-მეგობარი იყო. მისი გამოჩენა თამარის გამოჩენას ნიშნავდა.

უცებ ისევ გაისმა მიმინოს ფრთების შრიალი და ახლა კაპუეტმა ირაო მურზაყანის ბეჭების გარშემო შემოავლო და დააჯდა კიდეც.

— ღმერთო მიშველე, ამას აქ რა უნდა?!. — თითქმის დაიყვირა შიშით გაოცებულმა მურზაყანმა.

„საოცარია, ალბათ, შევეშალე, მაგრამ ნუთუ ამ დეკაცში ვერ გამარჩია მიმინოს თვალმა“.

მურზაყანმა შენიშნა შოთას გაოგნება და ხმა მიაშველა:

— ეს კაპუეტი თამარის გაზრდილია, ახელედიანის ქალს აჩუქა, ხომ გახსოვს, უბედური დემნას ნათლული რომ არის.

— მე კი ვიცი, მაგრამ შენ თუ იცოდი, ეს კი არ მეგონა, — გაცბუნდა გაგონილით შოთა და კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა სათქმელი. ენა მოიკვნიტა.

მურზაყან ხომ თამართან და დემნასთან ერთად იზრდებოდა, მათთან ლაღობდა, მათთან სწავლობდა, გუჯუ ახელედიანიც იქ არ იყო მაშინ?! ეჰ, შოთას ახლა გაახსენდა ესეც და მიმინოს მოეფერა.

— აბა, წავიდეთ კარვებში, მხოლოდ პირიმზეს უკვე სძინავს და ნუ გავაღვიძებთ, ახლა დაწვა, ცოდვაა, დილით ცისკარს ასწრებს ადგომას, — წყნარად, მაგრამ ისევ ბოხი ხმით წარმოსთქვა მურზაყანმა.

უცებ მიმინომ დაიკიპკიპა და თან კაბის შრიალი მოისმა.

— ღმერთო ჩემო, ნუ გამირისხდები! — მუხლებზე დაეცა შოთა. მურზაყანმა უკან დაიხია. ისიც ახლა მიხვდა, რომ მათ წინ თამარი იდგა. თეთრ ნაბადზე მოქობილი ოქროს ფართო ყაითანი ღამეში ნათელივით ელვარებდა. სახეზე თეთრივე თივთიკის ჩაბალახი წამოეხურა პირიმზეს.

— ცხენის ჭიხვინი ვიცანი, გამეღვიძა, სიზმარი მეგონა პირველად, ახლა ვხედავ, ვით საწუთროს, ვერსად დაგემალებით, გეტყობა, დიდო პიიტიკოსო, ახვლედიანის ქალიც გაგიცვნია გზაში, ჩემს გაზრდილ მიმინოსაც მოსწონებიხარ.

შოთას ტანში გასცრა, გააძაგძაგა.

„გულთამხილველია თამარი!" — უცებ მოვარდა ეს ფიქრი, ხმამაღლა კი დაუმატა:

— თქვენს ნაკვალევზე ყოველთვის სინათლეს იპოვის კაცი, ჩვენო დედოფალო!

— დედოფალს ნუ მიწოდებ, შოთავ ჩემო. მე ახლა უბრალო მოგზაური ვარ, უჩინმაჩინად მთებში მოხეტიალე. ზევით წამოდექი, მუხლზე დაცემა არ არის საჭირო.

— აკრძალული გვაქვს „დედოფლის" წოდება, — უჩვეულო, დაბალი ხმით ჩაუჩურჩულა მურზაყანმა შოთას.

შოთამ ახლა შენიშნა, რომ კაპუეტი თამარის მხარზე დაფრენილიყო. იგი ნისკარტით წიწკნიდა ჩაბალახის ოქრომკედით ნაქსოვ სირმას, თან მხიარულად კიპკიპებდა. მერმე, თითქოს ქარმა წამოუფრინა, ისე გადმოინაცვლა შოთას მხარზე.

თამარმა მრავალმნიშვნელოვნად და გაოცებით გააყოლა თვალი მიმინოს. თითქოს ორი ვარსკვლავი დადევნებოდეს კაპუეტს შოთას მხრებამდე, ისე კაკამებდა ახლა მისი თვალები. მურზაყანი ახლოს მიიწია შოთასკენ და უჩურჩულა:

— ამ დილით ჯიხვი მოვკალ, მომშეული ჩანხარ, ნაკვერჩხალზე მწვადები ავაშიშხინოთ, სვანური არყით ძარღვებსაც გაგითბობ, ლექსის დიდო მთხზველო.

— მიმინოსაც მიჭმიეთ ხორცი! — წყნარად სთქვა პირიმზემ და თან გააფრთხილა: — დილით სადადიანოსკენ უნდა გადავიდეთ, ღამე დიდი ხნით არ გატეხოთ.

ისევ კაბის შრიალი გაისმა და მზეთამზის ლანდი ღამის სიბნელეში გაუჩინარდა.

გათენების ჟამს ძილგატეხილმა შოთამ ენგურისპირას დაძარღვულ კლდის ქიმზე ჩამოისვენა. აფორიაქებული დაჰყურებდა ნისლდაყრილ და მღელვარე მდინარეს. ბობოქარი ტალღები კლდეებს ეხეთქებოდა და სქელ ნისლში ხანდახან ნაპერწკლებივით გაიელვებდა შხეფები. სიგრილე ქვემოდან ძალუმად მოქშუოდა და ძვალრბილში სასიამოვნოდ ატანდა. ეს გრილი მდინარის ნიავი უფრო აფხიზლებდა შოთას.

ჭალაკზე თამარის კარვის ტილოები ირხეოდა. შოთას მოეჩვენა, რომ კარავიდან თეთრნაბდიანი გამოვიდა, ისიც და-

ლანდა, თუ როგორ წამოვიდა ნაბდიანი ჩრდილი მდინარის პირისკენ.

„არც თამარს დასძინებია“, — გაიფიქრა მან.

— ადრე ამდგარხარ, შოთავ ჩემო, — ახლა აშკარად მოესმა მზეთამზის წყნარი, იადონივით ხმა.

— ნაღველმა დამრია, მეფეო, დავიბენი, ვერ მივმხვდარვარ, რად დასჭირდა ქვეყნის მფლობელს უჩინმაჩინად სიარული, ხალხის თვალთაგან განრიდება, თავის სამწყსოში მალულად მგზავრობა.

თამარი წყნარად მიუახლოვდა შოთას. როცა შენიშნა, იგი ფეხზე ადგა, გააფრთხილა:

— დაჯექი, ბრძენს ჩემგან არ გესწავლება, მეგონა, შენ მაინც გამიგებდი ზრახვას.

— ჩემი სიბრძნე ვინა სთქვა, ჩვენო მზეთამზევ, ვით შევადარო ღამე დილის მზეს!

— არა, შოთა ჩემო, ამქვეყნად ბრძენთა ნააზრევი რჩება. მეფეთა კი — ნამოქმედარი. ჩვენ სიჩუმე გვმართებს და ხალხის სიკეთისთვის დაუღალავად შრომა, თქვენ კი აზრი და სიბრძნე გიკვალავთ ხალხის გულში გზას.

— მალვა მხოლოდ ტრფობას შვენის, მზეთამზევ.

— ხალხისთვის შრომას და სიყვარულსაც არ უყვარს ქვეყნის პატრონისაგან ტრაბახი, დიდო პოეტო. სვანეთს მოსვლა უჩინმაჩინად რომ არ განმეზრახა, ხალხი შეიყრებოდა, ზეიმებს გამართავდა. მეც ადამიანი ვარ, ზეიმში მეც ჩამითრევდნენ და განზრახულის კალაპოტიდან სულ სხვა სვრელში გადამისროდა. ახლა კი...

— ახლა კი... — შეაწყვეტინა სიტყვა შოთამ. — განზრახულსა და წინასწარ ნაფიქრალს პირდაპირ მივყვებით ხომ, მზეთამზევ.

— ახლა კი დინჯად, ერთი ძარღვის ატოკებით, ერთი განუყოფელი სულით და გულით ვაკვირდები ჩემი სამწყსოს ერთ ულამაზეს და უპატიოსნეს თვალს. სვანეთი ჩვენი ქვეყნის ცადაზიდული გვირგვინის ჯიღაა, მისი ელვარე სილამაზე. ჩვენი მამულის ხერხემლის მტკიცე ნაწილია. უნდა მენახა, უნდა გამეგო მისი ჭირ-ვარამი, მისი სიხარული თუ მწუხარება.

განთიადის იისფერ ნისლით ჩაბურულ გზაზე მოულოდნე-

ლად ცხენის ფეხის ხმა მოისმა. ცოტა ხნის შემდეგ ცხენოსანიც გამოჩნდა. ცხენოსანმა, ეტყობა, ამ რიბირაბოში შეამჩნია კარვებიცა და დამხვდურიც. იგი ახლო მოვიდა და შეჩერდა.

— მგზავრები თუ ყოფილხართ?! — იკითხა მხედარმა. თავზე თეთრი ნაბდისაგან მოთელილი ქუდი ეხურა, წელზე ვეება ხანჯალი და ზურგზე თხის ტომარა ეკიდა.

მზეთამზე და შოთა ხმაზე მიხედნენ, მხედარი ყრმა ბიჭი იყო.

— მგზავრები ვართ, — წყნარად შეეპასუხა შოთა, — თქვენც ადრე გიმგზავრიათ!

— მწყემსი გახლავართ, ხალდეშურას სათავეებთან ბალახობენ ჩვენი ხვადაგები. თქვენ მწყემსებს არ გავხართ, კარვები კი დაგიდგამთ!.. — დააკვირდა ახლა კარვებს გაოცებული მწყემსი ბიჭი.

შოთას და მზეთამზეს დაბნეულობა დაეტყოთ. ისევ თამარმა დაასწრო სათქმელი:

— კვირიკეზე ვიყავი სალოცავად.

— არც მლოცველებს გევხართ, — თავი გააქნია ბიჭმა.

— ჰადიშიც მოვიარეთ, იქაც მუხლი მოვიყარეთ, — ისევ წყნარად თქვა თამარმა.

— თვითონ იქიდან გახლავართ! — გაუბრწყინდა ბიჭს თვალები.

— რა გვარისა ხართ, ან სახელად რა გქვია? — შეეკითხა შოთა.

— ავალიანი ვარ, სახელად ბათილბის მეძახიან.

— ჰადიშიდან ხარ?! — გაუბრწყინდა სახე თამარს. — ერთი სათხოვარი მაქვს, უნდა შემისრულო!

— ბრძანეთ, ბატონო!

— ერთ წუთს მომიცადე. შესაწირი უნდა გაგატანო ჰადიშის საყდრისათვის.

თამარი კარვისაკენ წავიდა და როცა უკან გამობრუნდა, დილამ უკვე გადმოიხედა მწვერვალებიდან. ხევებშიც ნელ-ნელ ჩადიოდა დილის შუქი.

— ძვირფას რამეს გატან, შვილო ჩემო, წინამძღვარს უთხარი თვალისჩინივით მოუფრთხილდეს.

მან წყნარად გაუწოდა ბათალბის უცხოდ ნაქარგ შალში

შეხვეული წიგნი. ბიჭმა ფრთხილად გამოართვა და შალი მოხსნა.

— ღმერთო ჩემო, — დაიბღავლა ბათალბიმ, — ეს ხომ მეფური საჩუქარია. მერმე ცოტა უკან დაიხია, თამარს შეხედა, ოდნავ დაუკვირდა და მუხლებზე დაეცა.

— ახლა გიცან, ღმერთთა სწორო მეფეო, თქვენი შუქით თვალები თუ დამიბნელდა მე საწყალს!..

— კითხვა იცი?! — გაუკვირდა შოთას. თამარს კი ღაწვები ოდნავ შეუვარდისფერდა.

— მამას ათონის წმინდა მთაზე ვყავდი წარგზავნილი, ბერძნულსაც ვმარცვლავ.

— დაილოცოს ქართველი კაცის თვალის სინათლის მანძილი! — თითქოს ლოცვა აღევლინოს, ჩაიჩურჩულა შოთამ.

— მამაშენი ვინ არის? — იკითხა მზეთამზემ.

— ვისთანაც ამ წიგნის მიტანა გიბრძანებია, — ისევ დაჩოქილმა თქვა ბათალბიმ.

— ადექი, შვილო, ჰადიშამდე არავის უამბო ჩვენი შეხვედრა. გულმა მითხრა, ქვეყნის გონების ეს განძი ჰადიშის საყდარში უკეთ შეენახება ერს. ახლა კი წადი, არ დაგაგვიანდეს.

ბათალბი ჯერ კიდევ მუხლზე დაჩოქილი იდგა.

— დამლოცე, მზეთამზეო, დე, შუქმა შენმა გაუნათოს ჩვენს ხალხს გზაკვალი.

— დამილოცნიხარ, შვილო!

ბიჭი ნელა ადგა, კალთა არ გაუბერტყია, ისე მოახტა ცხენს და სიტყვა აღარ უთქვამს, ისე გაშორდა დამხდურებს. შოთამ კარგად გაარჩია, თუ როგორი სიფრთხილით ჩააცურა უძვირფასესი ძღვენი აბგაში ბათალბიმ და როგორი მადლიერი თვალით გამოიხედა წასვლის წინ მათკენ.

— მაინც მიხვდნენ თქვენს ვინაობას, მეფეთ მეფეო, მზეს თავის შუქით იცნობენ, ეტყობა, ხალხს უჩინმაჩინის ქუდით ვერ დაუხუჭავ თვალს.

სწორედ ამ დროს ბათალბის ცხენი წყალვარდნილს გასცდა და აღმართზე ცხვირწაწვდილ გორასთან გამოჩნდა. ცხენი თოხარიკით მიჰყავდა გახარებულ მხედარს.

უცებ მის ზემოთ ზრიალი და გრუხუნი მოისმა. გრუხუნს ლაწანი და თითქოს მიწის რყევა მოჰყვა.

— დავიღუპეთ, ზვავი ჩაიტანს იმ უბედურს! — დაიბღავლა მურზაყანმა. მართლაც, ზედ იმ ცხვირწაწვეტილ მთის თავზე, რომლის ქვეშ ბათალბის ცხენი მიქროდა, მთის წვერი მოწყვეტილიყო და ქვემოთ მსხვრევით და მტვრევით ზვავად მოდიოდა.

ვეება ხეები და კლდენი ილეწებოდა და ერთად, გუფთად შეკრული დაბლა მოექანებოდა.

ეტყობა, ცხენოსანმა იგრძნო დაღუპვის მოახლოება. ცხენი უცებ მოწყვიტა ადგილიდან და ოთხით გააქროლა აღმართზე.

მერმე ყველაფერი დაიბურა.

ზემოდან მათ თვალწინ ჩაიქროლა თოვლის ვეება ზვინებმა, დალეწილმა ხეებმა, კლდეთა ვეებერთელა ნამსხვრევებმა, ჩაიქროლეს და გარშემო ყრუ ნისლი და სიცივე დააყენეს.

თამარმა შეჰკივლა, თვალებზე მიიფარა ხელი. შოთა და მურზაყანი სულმოუთქმელად გაჰყურებდნენ ხევგაღმა დაკიდებულ გზას. თოვლის მტვერმა და ნისლმა იქაც შეატბორა.

არაფერი ჩანდა...

უცებ თითქოს მზის შუქი გამოვარდნილიყოს ჯოჯოხეთიდან, ისე ამოიკვნესა ყველამ, გაღმა მხედარი ისევ გამოჩნდა.

— გადარჩა, მეფეო! — ჩაიჩურჩულა შოთამ.

— ღმერთმა გვიშველა, — ისევ დაიბუხუნა მურზაყანმა.

თამარმა თვალი გაახილა. იგი კარგა ხანს მისჩერებოდა ხევგაღმა მიმავალს და მერე შვებით ამოისუნთქა.

— გადარჩა, — წყნარად ჩაიჩურჩულა მანაც და დასძინა: — ქვეყნის განძიც გადაარჩინა თავგანწირვით.

— გარნა გელათში არ დაისვენებდა დიდი ოთხთავი, მეფეთმეფეო, — თითქოს საყვედურით უთხრა შოთამ.

— ეჰ, შოთა ჩემო, განგების თვალს დიდი სინათლე აქვს. გულმა ისე მითხრა და მეც მივყევი.

შოთამ თავი ჩაღუნა.

— მაპატიე, დედოფალო!

— საპატიებელი არა გითქვამს რა, ახლა კი ცხენები შეკაზმონ, დაღამებამდე ოდიში უნდა განვლოთ უჩინმაჩინად.

— პირველად მესმა შენი მაღალი ხმა, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა შოთამ.

თამარი თვითონაც გაკვირვებით მიაჩერდა შოთას, სახე ოდნავ აუწითლდა.

— ოჰ, რომ შევკივლე, ის გაგიკვირდა! ასეა, ადამიანი უღონობის დროს წამოიყვირებს. შენ კი, როგორც მახსოვს, წეღან მირჩევდი ხმაურით მოგზაურობას სვანეთში. ქვეყნის მმართველს თუ სხვა მიზანი არა აქვს, წყნარად სიარული ურჩევნია, ხალხის ტკივილთა გასაგებად და მოსარჩენად. ტაშით და ზარების გრიალით ყეენები ყეენობენ ჩვენში.

შოთას თავი არ აუღია, ერთი კი გახედა და წყნარად თქვა:

— ცხენებს შევაკაზმინებ, მეფეთ მეფეო, გევედრები გულში არ ჩაგრჩეს ჩემი კადნიერება!

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ცხენოსნებმა ეს ადგილი დატოვეს, ერთმა მათგანმა უკან მოიხედა და თითქოს მთა-ბარს გასძახა:

— ჩუმად, ჩუმად!

— ვის ეძახი?! — შეაჩერა ცხენი თამარმა.

— ამ ადგილს უნდა დაერქვას სახელი „ჩუმად", დაე, ამ მთა-ბარმა მაინც შეინახოს თქვენი ნაკვალევი.

— ხალხს არაფერი დაემალება, ბრძენო პოეტო, საჭიროს გაიხსენებს და არც დაკარგავს.

ხე სიკეთისა და ხე ბოროტებისა

პიესა-ლეგენდა

მოქმედი პირნი:

დ ა რ ი ს პ ა ნ ი — ადამიანი-ბოროტება, უასაკო, კოქლი და ცალთვალა.
ხ ა ლ ი ბ ა — ბრძენი ჭაბუკი.
ა ვ თ ო — ჭაბუკი, 20—21 წლისა.
მ ზ ე ო ნ ა — 16—17 წლის ქალიშვილი.
დ უ ნ ი ა დ ა რ ი — ავთოს დედა.
ვ ა ჟ ი — ფიზიკოსი.
ქ ა ლ ი — ფიზიკოსის საცოლე.
გ ლ ე ხ ი, გ ლ ე ხ ი ს ც ო ლ ი, მ ე თ ი ა უ რ ი (ველურთა).
ჰ ო რ ფ ლ ი ა ნ ი (ქიმიკოსი).
გ ა ვ ო მ თ ვ ლ ე ლ ი (გამომთვლელი მანქანების მექანიკოსი).
ხ ა ლ ხ ი.

პირველი სურათი

მთების ფონზე მოჩანს ვაზის რტოებით დატვირთული ორი ხე. ერთს აწერია „ხე სიკეთისა“, მეორეს — „ხე ბოროტებისა“. ორი უკაცრიელი ბილიკი, მესამეზე მოდის გლეხი, თან მეუღლე მოჰყვება.

გ ლ ე ხ ი. ამ ბილიკს გამოჰყევი, იქით ნუ გადააბიჯებ, დარისპანისაა.

ც ო ლ ი (სიცილით). ჩემო კაცო, ნუ იცი ასე ლაპარაკი, დარისპანი ვილაა?!

გ ლ ე ხ ი. ეჰ, იმ ხის პატრონია. (უჩვენებს „ბოროტების ხეს“.) იმ ხეს რომ ახარებს, ის კაცია.

ც ო ლ ი. უიმე, ცოდვიანი ყოფილა!

გ ლ ე ხ ი. რა გაყვირებს, წიგნში წერია, იმ ხის გაზრდაში ქალებსაც წილი უდევთო.

ც ო ლ ი (უჩვენებს შორეულ ნათელ ბილიკს). აბა, იმ ბილიკზე გადავალ!

გ ლ ე ხ ი. იმ ბილიკზე გავლა ძნელია, ხალხი ამბობს, ამირანი-საარ.

ც ო ლ ი. აბა, რა მეშველება?

გ ლ ე ხ ი. ჩემს გვერდით იარე. ქალმა მამაკაცის გვერდით უნდა იაროს, თორემ თვითონაც დაიღუპება და ქვეყანაც აირევა.

ც ო ლ ი. ნუ იცი ასე ლაპარაკი, კაცო!

გ ლ ე ხ ი. ადამიანის სიცოცხლე ასეა. აქეთ სიკეთის წმინდა წყარო მოწანწკარებს, იქით ბოროტების მორევია. ბოროტებას უნდა ერიდო, სიკეთისკენ იარო შეუსვენებლივ.

ც ო ლ ი. ეჰ, რამდენი ხანია შენი ცოლი ვარ და შენი მაინც ვერაფერი გავიგე.

გ ლ ე ხ ი. ის მეორე ხე (უჩვენებს „სიკეთის ხეს".) ამირან დევკაცმა გაახარა. ადამის შემდეგ ის უვლიდა და სწორედ იმ ხის ქვეშაა ბედნიერების ჩრდილი მოკალათებული.

ც ო ლ ი. ნუ სწუხარ, ჩემო კაცო, ნუ სწუხარ!

გ ლ ე ხ ი. ცეცხლი ამირანმა გვიშოვა, პირველი გუთანი ამირანმა გაგვიჭედა, ძაღლი რომ ძაღლია, ესეც იმან მოაშინაურა.

ც ო ლ ი. ძაღლი ვითომ რად უნდოდა?

გ ლ ე ხ ი. ადამიანის ერთგულება შეატყო.

ც ო ლ ი. ძაღლი მაინც ძაღლია.

გ ლ ე ხ ი. რატომ? ადამიანის მეგობარია, კეთილი, თვინიერი.

ც ო ლ ი. თვინიერი ცხვარია.

გ ლ ე ხ ი. კი, ცხვარი თვინიერია, მაგრამ სუსტია, მეგობრობა არ შეუძლია.

ც ო ლ ი. უცნაური ლაპარაკი იცი, ჩემო ქმარო.

გ ლ ე ხ ი. ცხვარი ჩერჩეტია, ჩერჩეტს კი მეგობრობის თავი არა აქვს.

ც ო ლ ი (უყურებს „ბოროტების ხეს"). ლამაზი ხე კი არის.

გ ლ ე ხ ი. თვალსაც იტაცებს და გულსაც. ევას ხესაც ეძახიან. ქალივით ლამაზი და მაცთუნებელია.

ც ო ლ ი. მეც მაცთუნებელი ვარ, ჩემო კაცო?

გ ლ ე ხ ი. ქალი როცა დედაა, მაშინ სხვაა, მაშინ იგი ქვეყნის სიკეთე და სილამაზეა. შენ დედა ხარ.

ც ო ლ ი. რა ვქნა, კაცო, ახლა იმ დარისპანის მეშინია.

გ ლ ე ხ ი. კი, საშიშია, შვილებისათვის საშიშია.

ც ო ლ ი. შენ რატომ არ გეშინია?

გ ლ ე ხ ი. მე გლეხიკაცი ვარ, ყველასი თუ შემეშინდა, არ ივარგებს.

ც ო ლ ი. ვითომდა რატომაო?

გ ლ ე ხ ი. მაშინ ქვეყანა დაიღუპება. ცის ქვეშ გლეხს არც ეშმაკის უნდა ეშინოდეს და არც ანგელოზის ერიდებოდეს.

ც ო ლ ი (მივა და მოეფერება). ვიცი, არავისი არ გეშინია, ამიტომ ხარ ჩემი ქმარი.

გ ლ ე ხ ი. მაინცადამაინც არც სხვებს ეშინიათ.

ც ო ლ ი. სტყუი, ეშინიათ. გუშინწინ ჩვენმა მეზობლებმა ერთ მგელს ზურგი უჩვენეს.

გ ლ ე ხ ი. მხეცის ყველას ეშინია.

ც ო ლ ი. დარისპანს არ ეშინია?

გ ლ ე ხ ი. გამიგონე, ქალო, ამქვეყნად იგი შიშით დაიარება, კანკალებს, იმიტომ ელოლიავება იმ ხეს.

ც ო ლ ი. რატომ იცი ასეთი ლაპარაკი, ჩემო კაცო, ვერც კი მივხვდი, რას ამბობ!

გ ლ ე ხ ი. ყოველი ბოროტება შიშის შვილობილია.

ც ო ლ ი. გული ნუ გამიწყალე, მაინც რა ქნა იმ დარისპანმა, მითხარი ერთი!

გ ლ ე ხ ი. ვერ მიხვდი?

ც ო ლ ი. ვერ მივხვდი, ვერა!

გ ლ ე ხ ი. მართლა ვერ მიხვდი?

ც ო ლ ი. რატომ იცი, ჩემო კაცო, ასე ლაპარაკი?

გ ლ ე ხ ი. ქალო, ცხვარს ხომ ვპარსავთ ჩვენ?

ც ო ლ ი. მერე?

გ ლ ე ხ ი. მიწის გაჩენიდან დარისპანი ასე პარსავს ქვეყანას.

ც ო ლ ი. რაო? მერე კაცები გაწყდით?

გ ლ ე ხ ი. იმასაც თავისი ხალხი ჰყავს.

ც ო ლ ი. ამირანი?!

გ ლ ე ხ ი. ამირანი დაჯაჭვეს, იალბუზზე მიაკრეს.

ც ო ლ ი. უიმე, რა მეშველება!

გ ლ ე ხ ი. რა ვიცი, შვილებმა იციან, მათი ვაჟკაცობის საქმეა.

ც ო ლ ი. შორიდან მაინც მანახე ეს დარისპანი, კაცო.

გ ლ ე ხ ი. დაიჟინებ და დაიჟინებ, რა სანახავი ის არის! მის ნახვას თავით რომ ნიორი ნაყო, ისა ჯობია.

ც ო ლ ი. მე დედა ვარ და მინდა მისი შეხედვა.

გ ლ ე ხ ი. ვითომდა რათაო?

ც ო ლ ი. აბა, არ ვიცოდე, ვინ არის ჩემი ოჯახის მტერი? ჩემი ბავშვების ბედს ვინ ემუქრება?!

გ ლ ე ხ ი. იცოდე, მერე არ წამეჩხუბო, რატომ მანახეო!

ც ო ლ ი. რატომ იცი, კაცო, ასეთი ლაპარაკი?

გ ლ ე ხ ი. ნახე, ნახე, მისი ნამოქმედარიც ნახე, იცოდე, ცრემლი კი არ დამანახო, არ დამანახო, თორემ...

მეოთხე სურათი

ნელა იხსნება ფარდა და ნისლით დაბურული, თოვლიანი მწვერვალები გამოჩნდება. ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ყინულოვანი მწვერვალის ქვეშ, გამოქვაბულში, მიჯაჭვული დევგმირი ამირანი ილანდება. ყვავ-ყორნები ესევიან და გულს უფლეთენ.

უფრო შორს, ღრუბლებში, მოჩანს აინშტაინის სილუეტი. ისმის გამაყრუებელი, ბოროტი ხარხარი. გამოჩნდება დარისპანი.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ვინ მეძახდა მე?

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. არავინ, ბოროტებას განა ვინმე მოუხმობს?

მ ე ო რ ე ხ მ ა. შენ არავინ გიხმობს, ნეტავი თვით არ ეძალებოდე ხალხს!

მ ე ს ა მ ე ხ მ ა. შენ ყველას სძულხარ, შენი ყველას ეშინია!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. სტყუით! ადამიანებს მე ვჭირდები.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. ასეთი ადამიანები სახრჩობელაზე უნდა ეკიდონ.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. აი ხომ ხედავთ, თქვენც სახრჩობელა ახსენეთ. ვინც სახრჩობელა ახსენა, მე მას ვჭირდები.

მ ე ო თ ხ ე ხ მ ა. არ იფიქრო! ჩვენ ადამიანთა სიკეთე გვინდა.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. აი ამ ვაუბატონს, ამ დვეკაცსაც ეს უნდოდა. (ამირანზე მიუთითებს.) აგერ რამდენი საუკუნეა აქ არის და თავისი თვალით ხედავს ადამიანთა ბოროტებას. ქვეყნად

სიკეთე არ არსებობს — სულ ომები, სულ ერთმანეთის ხოცვა და ჟლეტაა.

მესამე ხმა. ეს ადამიანების ბრალი როდია. ეს შენი ბოროტების თესლია.

დარისპანი. ჩემი თესლია, დიახ, ჩემი თესლია. ისინი მე მგვანან, ჩემნაირები არიან. ადამიანი ყველა ბოროტია. კაცმა კაცი ისე უნდა შეჭამოს, როგორც ირემმა — ბალახი, ვეფხვმა — შვლის ნუკრი, მგელმა — ცხვარი და თიკანი. ასე იყო და ასე იქნება.

პირველი ხმა. ტყუილია, ცილისწამებაა ადამიანთა მოდგმაზე.

დარისპანი. ასე ეგონა ამირან ლომკაცსაც, ადამიანის კეთილშობილებით მოხიბლული იყო. ძმამ ძმის ჭირი უნდა გაიყოსო, თავისი ლხინი მეგობრებს, მოყვასს გაუზიაროსო, ხალხის სიყვარულს შეეწიროსო.

მეორე ხმა. დიდ არს სახელი მისი!

დარისპანი. სისულელეა, სიგიჟეა. ადამიანი ბუნების შვილია. ბუნება კი ვერაგია, დაუნდობელი. მზის შუქი ფიტავს და ამსხვრევს კლდეს და მტვრად აქცევს მის ძარღვიან ქიმს. წვიმის წვეთი ცხელ ქვიშას ეპკურება და კიდევ უფრო წვრილად შლის მას. რკინა დაუნდობლად ხლეჩს ხის ვეებერ ტანს. რკინას კი ჟანგი ჭამს და აძაბუნებს. ასე იყო და ასე იქნება.

პირველი ხმა. მზე ათბობს და ამოძრავებს ქვეყნიერებას.

მეორე ხმა. წყალი აწყურებს ყველა მწყურვალს და ჰაერთან, მზესთან ერთად სიცოცხლეს ბადებს.

მესამე ხმა. ადამიანები აკეთილშობილებენ ბუნებას.

დარისპანი. ასე ეგონა ამირან ლომკაცსაც. ბუნებას აღუდგა, განგებას ცეცხლი მოსტაცა და ადამიანს გადასცა. რკინას თვალი დაადგა, ცეცხლის დახმარებით, ხმლის და ისრის წვერის მაგივრად, სახნის-საჭრეთელი გააკეთებინა.

ხალხი. დიდ არს სახელი მისი!

დარისპანი. სისულელეა, სიგიჟეა. ეს ხომ ბუნების წინააღმდეგობაა, ერთმა მეორე უნდა ჭამოს, ერთმა მეორე ანადგუროს. ძლიერმა სუსტი უნდა გადაყლაპოს. წერო

ბაყაყთა მოდგმით იკვებება, ბაყაყები კი ჭიაღუით ცხოვრობენ.

ხ ა ლ ხ ი. ადამიანები აკეთილშობილებენ ბუნებას.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ტყუილია. გაჩენის დღიდან ისინი ერთმანეთს ხოცავენ და ანადგურებენ.

ხ ა ლ ხ ი. ეს შენი თესლია.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. კი, ჩემი თესლია. ადამიანები მე მგვანან.

ს ა მ ი ვ ე ხ მ ა. დიდ არს ამირანის სახელი.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ამირანი ერთია, ადამიანები მილიონებია. ისინი ათას რამეს იგონებენ ურთიერთის მოსასპობად, ერთმანეთის გასაჟლეტად. აბა, მაჩვენეთ ადამიანთა გონების ისეთი ნაყოფი, რაც მათ ამრავლებდეს და არ ხოცავდეს. ყველაფერს იმიტომ იგონებენ, ერთმანეთი გაანადგურონ.

ს ა მ ი ვ ე ხ მ ა. ტყუილია. ადამიანთა მიზანი სიკეთეა.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ამირანმა კეთილი' მიზნით მათ ცეცხლი და რკინა მისცა, სწორედ ამ ცეცხლით და რკინით ჟლეტენ ისინი ერთმანეთს.

ს ა მ ი ვ ე ხ მ ა. ეს მხოლოდ შენი თესლია.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. კი, ჩემია, ჩემი თესლია. ადამიანები მე მგვანან ახლაც.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. სტყუი, მსახვრალო!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება.

ს ა მ ი ვ ე. არა და არა! აღარ იქნება.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მე ცოცხალი ვარ. ადამიანები ცოცხალნი არიან. ჩემი თესლი კვლავ აღმოცენდება.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. შენი თესლი გამოიფიტა, ძარღვი დაკარგა, სანაყოფო ნატამალი გამოუშრა. შენი თესლი მოისპობა.

მ ე ო რ ე ხ მ ა. დააკვირდი დედამიწას, ახალი ხალხი მოვიდა, ამირანის თესლის ნაყოფი.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ისინიც ადამიანებია, მაშასადამე, ჩემი თესლი არ მოსპობილა.

მ ე ს ა მ ე ხ მ ა. მათი აზრი სულ სხვაა, მათი ფიქრი სულ სხვაა, მათი მოქმედება სიკეთეა და ბედნიერება.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ასე ეგონა ამირან დევკაცსაც. მისი ცეცხლი და რკინა ასეული საუკუნეებია ჟლეტს ხალხს.

ს ა მ ი ვ ე. ეს შენი ბრალია, შენ ხოცავ ხალხს.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. გაიხსენე შენი ნამოქმედარი!

მ ე ს ა მ ე ხ მ ა. კაენის შემდეგ ხალიბას მკვლელობა შენი ხელით მომხდარი პირველი კაცთა კვლაა.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. შენ მოჰკალი ჭაბუკი ხალიბა!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მე არ მომიკლავს, თვითონ შემომაკლა თავი.

მ ე ო რ ე ხ მ ა. სტყუი! შენ იგი მოჰკალი, როგორც ხვალინდელი დღის სიკეთის თესლი. შენ გეშინოდა მისი.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. მისი დავაჟკაცება შენ დაღუპვას გიქადდა.

მ ე ო რ ე ხ მ ა. შენ დაღუპე ამირანი.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ბრალი არა მაქვს, თვითონ გამოუტანეს თავიანთ თავს განაჩენი.

მ ე ო რ ე ხ მ ა. სტყუი, ბოროტო კაცო.

მ ე ს ა მ ე ხ მ ა. დიდ არს ამირანის სახელი!

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. შენ კი პირველი მკვლელთაგანი ხარ ადამიანთა შორის.

მ ე ს ა მ ე ხ მ ა. ხომ გახსოვს ხალიბა?

მ ე ო რ ე ხ მ ა. გაგახსენებთ, თუმცა არც შენ დაგვიწყებია. დე ამ ხალხმა ნახოს შენი ნამოქმედარი.

მესამე სურათი

ნელა იწმინდება ნისლი. თანდათან გამოჩნდება კავკასიონი. ხანდახან გაიელვებს და მაშინ ფერდობზე მოჩანს წაბლისა და თხმელის ვეება ხეები, ზედ ველური ყურძნის მტევნებია დაბარდნული. ქარიშხალია. ხის წვეროებთან ერთად თითქოს მწვერვალებიც იზნიქებიან. ხეებში ამღვრეული, ადიდებული მდინარეები მოქშუიან. ცაზე შავი ღრუბლები ერთმანეთში ირევა. ყოველ წუთს ელავს და მეხი გრგვინვით ეხლება კავკასიონს. ერთ-ერთი გამოქვაბულის წინ ავთო დგას, გამოქვაბულში დედამისი დუნიადარი მოჩანს. ავთოს გვერდით კლდის ქიმზე მშვილდ-ისარია მიყუდებული. გამოქვაბულის წინ, უფსკრულის პირას ვეება ძელქვაა, მისი ერთი ფესვი გაღმა ნაპირამდე წვდება. ეს ფესვი ხიდიც არის.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. შიგნით შემოდი, ბიჭო, ხომ ხედავ, ქვეყანა იქცევა, გაცივდები, ავად გახდები, შემოდი-მეთქი!

ა ვ თ ო. მაცალე დედი. ცოტა კიდევ მინდა ვუყურო ქვეყნის სიდიადეს. შეხედე, როგორ გაიელვა! თითქოს ორი ცეცხლის გველეშაპი გადაეჭდო ერთიმეორეს! დედიკო, შეხე-

დე, მეხი გავარდა და სწორედ იმ კლდის წვერს დაჰკრა, მე რომ ტახი შემომეფეთა. ჰო, ჰო, ჰო, იმხელა მთა როგორ დაამსხვრია?! ნახე, ნახე, მდინარესავით მოქუხს ქვემოთ. აი ძალა ამას ჰქვია! ნეტავი ამირანს რომ დაეცეს, რას უზამს, ჰა? ნუთუ დღეს არ გამოჩენილა ჩემი ძმობილი?

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. არა, შვილო, არ ყოფილა. იმის გზაკვალს ვინ გაიგებს! დღეს რომ აქ არის, ხვალ ქვეყნის მეორე კიდეზე გადაინაცვლებს. რაც ის ყურშა ძაღლი ჰყავს, სხვა კაცად იქცა, გაუჩინარდა, უხილავი გახდა.

ა ვ თ ო. კარგი კაცია ჩემი დიდი ძმობილი. ხალხი უყვარს. მის ჭირვარამს ელოლიავება.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. მერე რა, რა გაგვიკეთა მისმა გულკეთილობამ. ჩვენ მაინც სიცივით ვკანკალებთ, ამ ცივ მთებში სხეული ვერ გაგვითბია.

ა ვ თ ო. ეს რამ გათქმევინა?! განა ეს მთები ცივია?! ხომ ხედავ, ქვემოთ ყურძენი ხარობს, დაფნის სურნელოვანი ფოთლები იკრიფება ზაფხულშიც და ზამთარშიც. (ამ დროს ისევ გაიელვა და მეხი გავარდა.) ჩვენს ძველ სამყოფელოში ცუდი ადამიანები მომრავლდნენ. ამირანმა აქეთ წამოსვლა გვირჩია. სიცივე შენ ამ მთების გადაღმა ნახე!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. განა აქ ცოტაა ცუდი ადამიანი?! ვინ ჯანდაბაა ეს დარისპანი! აქეთ რად წამოიყვანა, ხომ იცოდა, რომ ბოროტებით სავსეა მისი გული?!

ა ვ თ ო. თვითონ გამოგვეკიდა. ამირანს დასდევს: სადაც სიკეთეა, იქ ბოროტებაც უნდა იყოსო.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ჰოდა, ბოროტმა რომ სძლიოს კეთილს?

ა ვ თ ო. ეს რა თქვი, დედი?! ამირანს დარისპანი მოერევა?

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ბოროტება, შვილო, ყოველთვის ორპირია და გაუტანელი, სიკეთე კი — პატიოსანი და გულმართალი.

ა ვ თ ო. ამირანის დანები სულ კაჟის მთლიანი ძარღვისგანაა. ესეც მისი ნაჩუქარია. ერთის დარტყმით გავათავე ვეება ტახი. (აჩვენებს ქვის დანას.)

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. დარისპანი მკერდი-მკერდ როდი მივა ამირანთან, ზურგიდან მოუვლის, დანას ზურგში ჩასცემს.

(ამ დროს ისევ ეელვა, მეხი გაეარდა.) ვაიმე, შვილო, ხომ არაფერი მოგწია ამ ღვთის ლახვარმა!

ა ვ თ ო. მე რას მერჩის, რას დამაკლებს.

მ ზ ე ო ნ ა. (გაღმიდან). ჰაუუ, ავთო-ბიჭო, ცოცხალი ხარ?

ა ვ თ ო (სიხარულით). ცოცხალი ვარ, ცოცხალი! მოდი, გოგო, მოდი!

(მზეონა მორბის ძელქვის გადაკიდებულ ფესვზე.)

მ ზ ე ო ნ ა. ჰო, რა შემცივდა! ნეტავი თუ ოდესმე გავთბები.

ა ვ თ ო. აქ არა ცივა, ახლოს მოდი.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. აქეთ მოიწით, გამოქვაბულში უფრო თბილა. (შეელენ გამოქვაბულში).

მ ზ ე ო ნ ა. გამათბე, ავთო-ბიჭო, გამათბე. შენს ახლოს ყოველთვის თბილა. (ლოყას ლოყაზე მიადებს.)

ა ვ თ ო. მოდი, მზეონა, დღეს მეტად ლამაზი ხარ. მაინც რა პატარა გული გაქვს, ჩიტის გულივით ფეთქავს.

მ ზ ე ო ნ ა. ჩიტის გული?! დარისპანი კი ამბობს, მიკიოტის გული გაქვსო.

ა ვ თ ო (ყურს არ უგდებს). შველივით ფეხები და თვალები გაქვს, კალმახივით ტანი. დედი, ხომ მართალი ვარ?!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. მამაშენიც ასე მეუბნებოდა. ასე იყო და ასე იქნება. სილამაზე მხოლოდ სიქაბუკეა, ახალგაზრდობაა.

ა ვ თ ო. რა რბილი თმა აქვს, დედი, მზეონას?! ერთი ხელში აგიყვანო და გარწიო.

მ ზ ე ო ნ ა. არ მინდა, ავთო-ბიჭო, ასე მირჩევნია ხმელ ბალახში წოლა. (წვიმამ თანდათან გადაიღო. მზეონამ ჭაბუკს წელზე შემორტყმული ქვის სატევარი შეხსნა.)

მ ზ ე ო ნ ა. ჩვენი სატევარი!

ა ვ თ ო. ამან გადაგვარჩინა იმ დღეს.

მ ზ ე ო ნ ა. ჰოდა, მეც იმიტომ მიყვარს.

ა ვ თ ო. მაგარი ეშვები კი ჰქონდა იმ ტახს. ზურგზე შევასწარი, თორემ გამათავებდა.

მ ზ ე ო ნ ა. მე კი ხეზე შევხტი. იქიდან ვუყურებდი, როგორ ღადრავდი კისერს ამ სატევრით.

ა ვ თ ო. სქელი კისერი ჰქონდა. ძლივძლივობით მოვერიე, ბარძაყზე მაინც გამკრა ეშვები.

მ ზ ე ო ნ ა. ოჰ, რროგორ შემეშინდა! მეგონა, ვერ მოერეოდი, ისე ხროტინებდა, ტყეს ზანზარი გაჰქონდა.

ა ვ თ ო. მისი ჯაგარი სავარცხლებად გამომადგა. ერთი შენთვის გავაკეთე.

მ ზ ე ო ნ ა. ერთი დანა ხმელი ტალახივით ჩაგეფშვნა ხელში.

ა ვ თ ო. კბილი გაჰკრა. სუსტი დანა გამოდგა, ხოროში, უძარღვო.

(უკვე შუაღამე გადავიდა. სინათლემ იმატა, ძელქვის ფესვზე ზის ხალიბა-ბიჭი. მისი თვალები დილის შუქზე გიშერივით ბრწყინავენ.)

ა ვ თ ო. შეხედე, მთელი ღამე, ალბათ, იქ გაათენა. დაკარგული კაცი მოსულა...

მ ზ ე ო ნ ა. შენი ჭირიმე, ხალიბა, აქეთ მოდი, ძამიკო, აქეთ.

(ხალიბა გამოიქცევა და მზეონას და ავთოს შუა ჩაწვება. თმაგაბურძგნულია, ფეხებზე ტალახი აქვს შემშრალი.)

ა ვ თ ო. სად დაიკარგე, ხალიბა? ათი დღეა არა ჩანხარ.

ხ ა ლ ი ბ ა. ამირანმა წამიყვანა, იცი, სად ვიყავით? ცეცხლის მთასთან ვიყავით.

მ ზ ე ო ნ ა. ალბათ, გარშემო ყველაფერს ათბობს ცეცხლის მთა!

ხ ა ლ ი ბ ა. კი არ ათბობს, წვავს, ყველაფერს წვავს. სული შემეხუთა, ყველაფერს დამწვრის და გოგირდის სუნი ასდიოდა.

მ ზ ე ო ნ ა. ნეტავი მეც წამიყვანა, გავთბები მაინც!

ა ვ თ ო. იქ რას აკეთებდი, ღმერთმა არ იწყინოს! არ დაგლახვროს!

ხ ა ლ ი ბ ა. ამირანმა თქვა, ღმერთი ჩემი ნათლიაა. ცეცხლს სთხოვს, ადამიანებს სცივათ, უნდა მივცეთო.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ღმერთო შემეწიე, ეს რა გავიგონე!

ა ვ თ ო. მერე რა პასუხი მიიღო?

ხ ა ლ ი ბ ა. ღმერთებმა უარი უთხრეს თურმე.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. უარი უთხრეს?! რაღა გვეშველება!

ხ ა ლ ი ბ ა. უარი უთხრეს. ცეცხლით ადამიანები ერთმანეთს მოსპობენო.

მ ზ ე ო ნ ა. ვითომდა რატომაო?

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ღმერთიც დარისპანს ეხმარება, ყოველი ადამიანი მასაც ბოროტი ჰგონია.

ხ ა ლ ი ბ ა. ყოველ ადამიანში ეშმაკიც ზის და ადამიანიცაო.

მ ზ ე ო ნ ა (წამოხტება). უყურეთ ერთი! მერე ვისი ბრალია? განა თვითონ ღმერთებმა არ დააკურთხეს ეს თვისება ადამიანებს?

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. რაღა გვეშველება, სიცივისაგან გავიყინებით.

ხ ა ლ ი ბ ა. არ გავიყინებით. ამირანმა თქვა, ცეცხლს მაინც მოვტაცებო.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. რა თქვი, შვილო, ღმერთებს ამირანი მოერევა?!

ხ ა ლ ი ბ ა. ცეცხლი კი მოსტაცა და...

ა ვ თ ო. მერე რა უყო?

ხ ა ლ ი ბ ა. ჩუმად იყავით, დარისპანმა არ გამიგოს. ამირანმა მე გამომატანა. თიხის ჭურჭელში, ცხელ ნაცარში მაქვს გახვეული.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. მერე რას გაჩუმებულხარ, რად მალავ?!

ხ ა ლ ი ბ ა. ავთოსთან და მზეონასთან გამომატანა — ყველას გაუნაწილეთო. თან დამაბარა: ხელი არ მიაკაროთ, დაგწვავთ, დაგთუთქავთ, მოგკლავთ კიდეცო.

მ ზ ე ო ნ ა. ვაშაა, ვაშაა, დიდება ამირან დევკაცს!

ა ვ თ ო. აბა, გამოაჩინე შენი ძღვენი.

ხ ა ლ ი ბ ა (უჩვენებს გალმა). იმ გამოქვაბულში მაქვს. (ავთოს ყურში რაღაცას უჩურჩულებს. ისიც თავს უქნევს.)

ა ვ თ ო. კარგი, აქეთ გამოიტანე, ფრთხილად, არ ჩაგიქრეს. (ხალიბა გარბის.)

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ღმერთები დაგვრისხავენ, დაგვლახვრავენ!

ა ვ თ ო. ამირანმა უკეთ იცის.

მ ზ ე ო ნ ა. გავთბებით, გავთბებით, გავიხალისებთ, ვიცეკვებთ, ვიმხიარულებთ!

ა ვ თ ო. დედა, ჩვენს ძელქვას უნდა მოვუკიდოთ ცეცხლი. დე, ყველამ დაინახოს ამირანის საჩუქარი!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ეს ხე მამაშენის დარგულია.

ა ვ თ ო. მით უკეთესი, დე, მისი ხელით დარგული ხის ნაკვერცხალი იყოს ჩვენი ხალხის ოჯახებში სითბოს შემტანი.

მ ზ ე ო ნ ა. ნაკვერცხლებს მე დავარიგებ.

ხ ა ლ ი ბ ა (დიდი ქოთნით ნაკვერცხლები შემოაქვს). აი ამირანის საჩუქარი!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ღმერთო, ნუ შეგვრისხავ, ამას რას ვხედავ!

ა ვ თ ო. დედი, ძონძები მომეცი, ხეს შემოვაფენ, ცეცხლი უკეთ მოეკიდება.

ხ ა ლ ი ბ ა. ხმელი ხის ტოტებიც კარგია. ძლიერი ცეცხლი იცისო, ამირანისგან გამიგონია.

მ ზ ე ო ნ ა. ავთო-ბიჭო, კვერიც გამოვაცხოთ, ხომ გახსოვს, ამირანმა რომ გვასწავლა.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ჯერ გავთბეთ, შე ქალო, დაანთეთ, რაღას უცდით?

ა ვ თ ო. აბა, ხალიბა, აქეთ მოდი. (ხმელ ჩინჩხვარს ცეცხლს წაუკიდებენ. ალი ნელ-ნელა მაღლდება.)

მ ზ ე ო ნ ა. ხალხო, ჰეი, გამოიხედეთ, ამირანმა რა გვაჩუქა!!! (ხალხი თანდათან გამოდის გამოქვაბულებიდან, გაოცებით შეჰყურებენ აბრიალებულ ცეცხლს.)

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. ჩვენც გაგვინაწილეთ!

მ ე ო რ ე ხ მ ა. ჩვენც გაგვათბეთ!

მ ე ს ა მ ე ხ მ ა. ჩვენც გავაჩაღებთ ცეცხლს!

ა ვ თ ო. უარი ვინ გითხრათ, აქეთ მოიწით. (ხტუნვით მოდიან და ცეცხლის ახლოს გროვდებიან.)

ხ ა ლ ი ბ ა. ამირანმა თქვა, გამოქვაბულის შუა ადგილას კერიის ქვა დადეთ, ცეცხლი უფრო შეინახებაო. იცოდეთ, ახლოს არ მიეკაროთ, დაიწვებით, დაიხოცებით.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. კერიის ქვა!

მ ე ო რ ე ხ მ ა. კერიის ქვა!

მ ე ს ა მ ე ხ მ ა. კერიის ქვა!

ხ ა ლ ი ბ ა. ნაკვერცხალი და კერია დედ-მამას და შვილებს გაათბობს, უფრო შეაკავშირებს, უფრო დააახლოებს და ოჯახი შეიქმნებაო.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. ოჯახი!

მ ე ო რ ე ხ მ ა. ოჯახი!

მ ე ს ა მ ე ხ მ ა. ოჯახი!

ხ ა ლ ი ბ ა. ისიც დამაბარა, ვისაც ნაკვერცხალი ჩაუქრება, მეზობელმა უჩხუბრად მისცესო.

ავთო. მეზობლებო, დღეიდან თქვენს ოჯახებში სითბო დაისადგურებს.

ხალხი. დიდ ბრს ამირანი! დიდ არს!

მზეონა. ხმიადიც გამოცხვება, ცეცხლი კეცს გაახურებს.

ხალხი. ხმიადი, ხმიადი, ხმიადი!

(ხალხი მღერის ლიღეს.)

ავთო. ამირანმა შემოთვალა ცეცხლს ფრთხილად მოუარეთო, ხანძარი არ გააჩინოთ, კერიას იქით არ გაიტანოთ, ბავშვებს არ ანდოთ, ერთმანეთი არ გადაწვათო. ცეცხლი ძლიერია და შეიძლება უცებ მოგკლათ, უფრთხილდითო.

მზეონა. ცეცხლის სითბომ თქვენი გულებიც უნდა გაათბოს, ერთმანეთის მტრობა არ იფიქროთ.

(ძელქვა ჩაიქცევა, თანდათან ნაკვერცხლდება. ხალხი სიხარულის ერიამულს ატეხს.)

ხალიბა. იცეკვე, მზეონა, გეხვეწები, იცეკვე!

მზეონა. ავთო-ბიქო, ვიცეკვოთ!

ავთო. ვიცეკვოთ, ქალო მზეონა, ვიცეკვოთ!

(იწყებენ ცეკვას. ყველანი იღებენ ნაკვერცხლებს და ნაკვერცხლებიანი ჯამებით ცეკვავენ. შემდეგ ავთო-ბიქი და მზეონა გამოდიან. მათი ცეკვა ძალიან ჰგავს ცეკვა ქართულს.)

დარისპანი (კოპლობით მორბის). სალახანებო, ვინ მოგცათ ეს ცეცხლი! (ყველა შეშინდება, ყველანი გაშეშდებიან.)

ავთო. შენ რა გესაქმება?

დარისპანი. ვინ მოგცათ-მეთქი?

მზეონა. ამირანმა, ამირან დეკაცმა.

დარისპანი. სულელი, გიჟი, სალახანა.

ხალხი. დიდ არს ამირან, დიდ არს!

დარისპანი. სულელები, გიჟები, ცეცხლი რად გინდათ?

დუნიადარი. ვიყინებით. სიცივემ ძვალ-რბილში გაატანა. ხომ ხედავ, ვიხოცებით!

დარისპანი. იხოცებით? მერედა, რა მოხდება ამით. თქვენ თუ დაიხოცეთ, ხვალ მზე აღარ ამოვა?

დუნიადარი. ენა გაგიხმეს, ბოროტო კაცო! ბავშვებიც კი არ გეცოდება.

დარისპანი. დღეს ერთი მოკვდება, ხვალ ორი დაიბადება.

მ ზ ე ო ნ ა. შენისთანა გულქვა კაცი რომ არ დაიბადებოდეს, ისა სჯობია!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ცეცხლი ამირანმა მოგიტანათ, ხომ?

ხ ა ლ ი ბ ა. ჩვენ თვითონ ვიშოვეთ, ცეცხლის მთაზე ვიყავით.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. უყურეთ ერთი ამ ჭიაღუას! შენ ვინ აგიყვანდა ცეცხლის მთაზე?

მ ზ ე ო ნ ა. ამირანმა თავისი მხრით აიყვანა.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ხომ ვთქვი, ეს მისი ოინია-მეთქი, ახლავე ჩაიქრეთ.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ენა გაგიხმეს მაგ სიტყვისათვის, წყეულო ადამიანო!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. შენთვისაც მოვიცლი, ენატარტალავ!

ა ვ თ ო. ენა ჩაიგდე, ბოროტების გუდავ!

ხ ა ლ ი ბ ა. ვინ გაბედავს ცეცხლის ჩაქრობას?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მე ვბრძანებ, აბა, გაბედეთ წინააღმდეგობა?!

მ ზ ე ო ნ ა. შენ ვინ ხარ, ჩვენთან რა ხელი გაქვს?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. სულელო, ვინა ხარო? ვინა და ქვეყნის რჩეული ვარ, ცეცხლი ჩემისთანა ადამიანებს სჭირდებათ.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ვითომდა რადაო, შენ უნდა გათბე და ჩვენი ბავშვები დაიყინონ?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მე დავიბადე ადამიანების მეთაურად, ცეცხლიც მე უნდა მჭონდეს. ვისაც მინდა, მას მივცემ .

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ერთი თვალი მოთხრილი გაქვს, მეორეს კი ამ მუგუზლით ამოგწვავ, ამოგშანთავ, ბოროტო კაცო! ცეცხლი ერთ წუთს დაგფერფლავს, ხომ იცი, ქვასაც კი ადნობს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (შეშინდება). არ მომეკარო, წყეულო, მე შენ გაჩვენებ მუგუზალს!

ხ ა ლ ი ბ ა. ამირანმა თქვა, დარისპანი ბოროტებაა, ქვეყნის გაქლეტაზე უკან არ დაიხევსო.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ქვეყანა იმდენია საჭირო, რამდენიც მე გამომადგება, თორემ ისე რა აზრი აქვს ჩემთვის ქვეყნის არსებობას.

მ ზ ე ო ნ ა. სწორედ ამიტომ ხარ ბოროტი.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ახალი ამბავი თქვი შენც. ვინ დაამტკიცა სიკეთე სჯობია ბოროტებასო?

ხ ა ლ ი ბ ა. რას ამბობ, დარისპან? არა გრცხვენია?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. რა არის, ბიჭო, სირცხვილი? მომეცი ერთი მუგუზალი, მე მოვუვლი ამ ცეცხლს კარგად.

ა ვ თ ო. არ მისცე, ხალიბა, ქვეყანას გადაწვავს!

ხ ა ლ ი ბ ა. ამირანმა თქვა, ცეცხლი ყველას მიეცეო, ცოდვა არიან, გათბებიანო.

მ ზ ე ო ნ ა. დაგვლუპავს, ბიჭო, ეს ბოროტი კაცი.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი (ავთოს, ჩუმად). წაიღოს, იქნებ გაჩუმდეს და სიკეთის გზას დაადგეს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მომეცი, მე ვიცი, რასაც ვიზამ.

ა ვ თ ო. არ მისცე, არ დაგვლუპო!

ხ ა ლ ი ბ ა. (თვალს ჩაუკრავს ავთოს). მე ამირანის სიტყვას ვერ გავტეხ, ჰა, წაიღე!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (მუგუზალს ხელს წაავლებს, დაეწვება და აყვირდება). ვაიმე, მომკლეს, მომკლეს!

ხ ა ლ ი ბ ა. ვინ გითხრა ხელი წაავლეო, დაგწვა, ხელი დაგითუთქა. ხომ ხედავ, ბოროტ ადამიანებს ერჩის. ჩვენ კი მოთვინიერებული გვყავს. შენ არ მოგყვება, იცის, ცუდი გიდევს გულში.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. დაწყევლილი ხართ, დაწყევლილი! მაცალეთ, მე მაინც ჩავიგდებ მაგას ხელში და მაშინ ნახავთ, მაშინ ნახავთ, ნახავთ!

მეოთხე სურათი

მდინარის ნაპირი. ნაპირზე ხარის ტყავის კარვები. პატარა ბიჭები უმი ხორცის ხაკრებს ღეჭავენ, ძვლებს ხრავენ, მშვილდ-ისარს რაღაცას უმიზნებენ. ეს უცხო ტომია, რომელიც დარისპანს ჩამოუყვანია. გამოჩნდება დარისპანი. ბავშვები დაიკივლებენ. კარვებიდან ხალხი გამოეფინება. წინ გამოდის მეთაური.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. აჰა, გვეშველა, მოვიტანეთ ცეცხლი. (ქოთნიდან კვამლი ამოდის.) ეშმაკობა და ბრძოლა კი დამჭირდა. თვითონ ამირანს გამოვგლიჯე ხელიდან.

მ ე თ ა უ რ ი. შენ რას წაართმევდი, თვითონ მოგცემდა. გუშინ აქეთ ჩამოიარა და შეეცოდეთ, ბავშვები შეეცოდა.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. აქეთ იყო?! აი ბეჩაო! როგორ თავისუფლად დასეირნობს?!

მ ე თ ა უ რ ი. გაგვიწყრა, რად წამოყევით დარისპანსო. შენზე თქვა, ცუდი კაცია, ხომ ხედავთ, მოგატყუათ, სიცივით დაგყინათო.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. გაჩუმდი! აი ცეცხლი მოგიტანეთ. გინახავთ ცეცხლი?

მ ე თ ა უ რ ი. არა, არ მინახავს. (ბავშვები და ქალები შეჯგუფდებიან ქოთნის გარშემო.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ეს ადამიანის ბედნიერებაა. გათბებით, სიცივეს ვეღარ იგრძნობთ. წელში გაიმართებით, ქმუნვა მოგშორდებათ.

მ ე თ ა უ რ ი. გვაჩვენე, რაღას უცდი. რაც ამ მხარეს მოგვიყვანე, ბავშვები სიცივით გვეხოცებიან.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. საქმელი ხომ ბლომად გაქვთ. ტყეში ნადირი უთვალავია, წყალში თევზს ვერ ამოლევთ, მინდორი და ტყე ხილითაა სავსე, მუცლები ხომ ამოიყორეთ. ასეთი მდიდარი მხარე გინახავთ?

მ ე თ ა უ რ ი. მუცლები კი, მაგრამ სიცივე, სიცივე! თევზი და ხორცი იმ მხარეში ცხელი მზის ქვეშ მალე ხმებოდა, ინახებოდა, აქ კი ყოველდღე უნდა ინადირო.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. გეყოფა წუწუნი, ვინ აგირჩია მეთაურად ასეთი ენატარტალა. სწრაფად, ხმელი ხის ტოტები მომირბენინეთ.

(ბავშვები და ზოგიერთი მოზრდილი გაიქცევიან, ხმელი ხის ტოტები და ჩინჩხვარი მოაქვთ.)

მ ე თ ა უ რ ი. აბა, გვაჩვენე ერთი, დაანთე, დარისპან. შენ რაც თქვი, თუ ის გამართლდა, მეთაური დღეიდან შენ იქნები.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ვიქნები კიდეც. თქვენი კი არა, ქვეყნის მეთაური და პატრონიც გავხდები.

მ ე თ ა უ რ ი. ქვეყნის მეთაური ვერ გახდები. ამირანი ნამდვილი კეთილი დევკაცია, არ დაგანებებს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. უყურეთ ერთი ამ კუზიანს, ამირანი მოსწონებია! მე შენ გიჩვენებ ამირანს! (ცეცხლს ანთებს. ხალხი გაოცებით ეხვევა, სიამოვნებით ეფიცხებიან.)

მ ე თ ა უ რ ი. მართლაც სასწაული ყოფილა. (ცეცხლთან თბება.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ახლოს მიიწი, თუ გინდა, ხელიც შეახე. აი იმ ნაკვერცხალს ოდნავ მიაკარე თითი.

მ ე თ ა უ რ ი. ვითომ რა, მაშინებ? შენ ხომ გეჭირა ხელში? (დაავიწყდება, რომ ცეცხლი ქოთანში იყო.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მე სხვა ვარ, შენ სხვა. ჩემთან მოთვინიერებულია, არ მერჩის. შენ კი შეგეშამს.

მ ე თ ა უ რ ი. ამირანი ხომ არ შეეშამა, ამირანის ხალხი ხომ არ შეეშამა? ვითომ ჩემგან რა უნდა?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (აძალებს). სინჯე, ხელი მოჰკიდე, მაშინ ნახავ.

მ ე თ ა უ რ ი (ხელს წააელებს ნაკვერცხალს და იყვირებს). ვაიმე, ეშმაკის გაჩენილი ყოფილა. ხალხო, არ მიეკაროთ!
(ყველანი უკან მიაწყდებიან.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ხა, ხა, ხა. აი ხომ გითხარით! მაშ რა გეგონათ! ჩემს ხელში ძაღლივითაა მოთვინიერებული, თვალებში მიყურებს, რასაც ეუბრძანებ, იმას გააკეთებს.

მ ე თ ა უ რ ი. აბა, მოკიდე ხელი, თუ არ გეტკინება.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ხელსაც მოვკიდებ და ჩავაქრობ კიდეც.

მ ე თ ა უ რ ი. ნუ ცხარობ, მე ხელის ტკივილი ახლაც მკლავს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. აი ნახეთ. (ჩუმად წყალში ჩაყოფს ხელს და სველი ხელით მუგუზალს ეხება. ყველანი გაოცდებიან. მერე მუგუზალს წყალში ამოაელებს. ისიც დაიშშინებს და ჩაქრება.) ხედავთ? აბა, მოკიდე ხელი.

მ ე თ ა უ რ ი. არ მატკენს?!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. გეუბნები, ხელი მოკიდე, არ გატკენს.

მ ე თ ა უ რ ი (შიშით მოკიდებს ხელს, მერე ეჩვევა და გაბედულად ხელში აიღებს). გაშავებულა კი... (აკვირდება.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ჰო, დანახშირებულია. ნახშირის გაღვივება კი ისევ შეიძლება. ცეცხლზე ლითონის გადადნობასაც ახერხებენ.

მ ე თ ა უ რ ი. აი, ეს მითხრა ამირანმა, ცეცხლზე ლითონის გადნობას გასწავლიო. ისიც თქვა, ნაკვერცხლებზე ხორცი თუ შეიწვება, რბილი ხდებაო, პურიც ცხვება თურმე.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (დაცინვით). ამირანს უნდა შენ სულ მთლად ცეცხლზე დაიწვა, დაიფერფლო. იცოდე, უჩემოდ ახლო არ მიეკარო. ხომ ნახე, რა გიქნა!

მ ე თ ა უ რ ი (შიშით). კარგი, უშენოდ ახლო არ მივეკარები.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მე კი ამ ცეცხლს გამოვიყენებ, ყველაფერს გასწავლით, მხოლოდ იცოდეთ — ჩემი უნებური არ გაბედოთ. რასაც მე გიბრძანებთ, ის უნდა აკეთოთ.

მ ე თ ა უ რ ი. გემორჩილებით, მხოლოდ ბავშვებს ცეცხლი არ მოაკლო.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. არ მოვაკლებ, აბა, კიდევ შევუკეთოთ ხმელი შეშა, კიდევ. (უკეთებს. ალი ამაღლდება. ბავშვებს შეუძახებს.) აბა, აქეთ მოდით, ნუ გეშინიათ, სადაც მე ვარ, იქ თქვენ შიში ნუ გაქვთ. (ყველანი ცეცხლს მიეფიცხებიან.)

მ ე თ ა უ რ ი. მართლაც ბედნიერებაა. ახლა საკრავები მოიტანეთ, ერთი ძველებურად გავმხიარულდეთ.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მაშინ ჩემი ქოხიდან ყურძნის წვენიც გამოიტანეთ. დავლიოთ, გაგვამხიარულებს.

მ ე თ ა უ რ ი. ჰო, ჰო, ჰო! ეს კი სულ მთლად გაგვახარებს (თვითონ გაიქცევა, ხის ჭურჭლით ღვინო გამოაქვს. ყველანი ჯამებით სვამენ. შეხურდებიან. ველური მუსიკა უკრავს. ისინიც ცეცხლის ალზე ცეკვავენ.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ასეა, თქვენ ჩემი დაიჯერეთ და სიმხიარულეს არ მოგაკლებთ. ქვეყნის პატრონი კი მე უნდა გავხდე, მხოლოდ მე!

მეხუთე სურათი

ფერდობზე ტყეა შეფენილი. ხის კენწეროებზე ვაზის მსხმოიარე ტოტებია გაბარდნილი. შიგადაშიგ მუხებთან ერთად ველური ვაშლის, თხმელის, მსხლისა და წიფლის ხეები მოჩანს. აქა-იქ გარეული ფუტკრის ოჯახი შესევია ხის ტოტებს. ხალიბა ხის ერთ ტოტზე ზის და ყურძენს კრეფს. ხელში წნელის გიდელი უკავია.

ხ ა ლ ი ბ ა (მღერის). ასეთი ტკბილი ყურძენი ჯერ არ მოწიკრეფია. ამირანი ამბობს, წლეულს ბევრი მზე იყო და მისი ბრალიაო. (კუმპლებს დამარცვლავს და პირში ჩაიყრის.) ოჰ, ოჰ, თაფლზე უფრო ტკბილია. (შორს ტოტების მტვრევის ხმა ისმის.) ვიღაც დააბოტებს, დარისპანი არ იყოს. (დაჰყურებს.) ორნი არიან, ერთის ფეხის ხმა რბილია, მსუბუქი. მაშასადამე,

მზეონას ფეხის ხმაა, მეორე ავთოა. აქეთ მოდიან მოდი! ერთი დავაფეთო! (შიიყუეება ხის ტოტზე.)

ავთო (შემოდის, მზეონა მოსდევს). ამ ადგილებში დიდძალი ყურძენი იცის. წელს ფუტკარიც მოძალდა. ხედავ, თაფლი როგორ ნაკადულივით გადმოჩქეფს?

მზეონა. ძალიან მიყვარს ყურძენი და თაფლი.

ავთო. წელს ყურძნის წვენი უნდა დავწუროთ. კარგია, ადამიანს ძალას მატებს და სიხარულსაც.

მზეონა. პირველად ტკბილია, გემრიელია, მერე, როცა დაძველდება, თავს მიბრუებს.

ავთო. ბევრი არ უნდა დალიო. ერთი პატარა ხაპი კი სიამოვნებას მოგანიჭებს.

მზეონა. შეხედე, როგორ დამჭკნარა მტევნები, ფუტკარი დასევია.

ავთო. დედაჩემის მოსვლამდე დავკრიფოთ. (უცებ ხიდან ვაზის მტევნებით სავსე ლერწი ჩამოწყდება და მათ წინ დაეცემა. მზეონა შეკივლებს, ავთო სატევარზე გაიკლებს ხელს.) აბა, გამოდი, ვინ ბრძანდები?!

ხალიბა. დამნებდი, ვაქკაცო!

ავთო. შე მართლა გიჟო!

მზეონა. ხალიბა, ხალიბა! შენი ჭირიმე, ჩემო ძმაო!

ხალიბა. ამას კი... (ავთოზე მიუთითებს.) ეწყინა ჩემი აქ შეხვედრა.

ავთო. გულები გადაგვიბრუნე, უცხო მეგონე, წუთი და სატევარს გატაკებდი.

ხალიბა. დარისპანს ყურძნის წვენი დაუწურავს.

ავთო. ჩვენგან გადაიღებდა, ალბათ, გვითვალთვალებდა. კაცი კი არა, ქაჯია.

მზეონა. თუ დათვრა, იმ წუთში ჩემს ძებნას დაიწყებს.

ხალიბა. გუშინ უცხოელები დაუთვრია, ღრიალით ქვეყანას ილებდნენ.

ავთო. ამირანს უთხარი?! თუ გააფრთხილე?!

ხალიბა. არა, არ მითქვამს, არც ვეტყვი.

მზეონა. მართალი ხარ. ამირანს მისი ხსენებაც კი ეზარება.

ავთო. დარისპანს სულ არ ეშინია ამირანის.

ხ ა ლ ი ბ ა. იცის, არ ავნებს. ამირანი ხომ სასიკვდილოდ კაცს ვერ გაიმეტებს.

მ ზ ე ო ნ ა. დარისპანი კი ყველას სიამოვნებით დაგვლადრავს ყელს.

ხ ა ლ ი ბ ა (ჩაფიქრებული). ადამიანის სიკვდილი ჯერ არც მინახავს.

ა ვ თ ო. მამის სიკვდილს რა დამავიწყებს. მდინარიდან ამოყვანილი თევზივით სუნთქავდა სიკვდილის ჟამს.

მ ზ ე ო ნ ა. დედაჩემი კი მოწყვეტილი ყვავილივით ჭკნებოდა ნელ-ნელა.

ხ ა ლ ი ბ ა. ტყუილია, ადამიანი ადამიანს ვერასდროს მოკლავს.

მ ზ ე ო ნ ა. დარისპანმა დაიფიცა, თუ არ დამემორჩილებით, დაგხოცავთო.

ა ვ თ ო. დედაჩემს მართალი ჰგონია.

ხ ა ლ ი ბ ა. დარისპანი გვაშინებს, ადამიანების დამონება მოისურვა.

მ ზ ე ო ნ ა. ცეცხლი მოუტანია, მოუპარავს.

ა ვ თ ო. ო, ეგ ცუდი ამბავია.

ხ ა ლ ი ბ ა. თუ იცით, ჩვენმა ლითონმა ცეცხლი რომ დაბადა?

მ ზ ე ო ნ ა. ვერ გავიგე, ხალიბა, რას ამბობ?!

ა ვ თ ო. ხალიბამ ყოველდღე ახალ-ახალი რამე უნდა მოიგონოს.

ხ ა ლ ი ბ ა (მიდის კაჟიანი კლდის ცხვირთან). აი, ნახეთ! (ლითონის ნაჭერს შემოკრავს, ნაპერწკლები დასცვივა.) ხომ ნახეთ, კალიებივით დაფრინავენ ნაპერწკლები. ამ ლითონისა და კაჟის შეჯახება ნაპერწკლებს ბადებს.

ა ვ თ ო. ეს კი საოცარია, ამირანს არც ეს უთხარით?

ხ ა ლ ი ბ ა. ამირანმა თვითონ მასწავლა.

მ ზ ე ო ნ ა. აბა, აწი ცეცხლი აღარ ჩაგვიქრება.

ხ ა ლ ი ბ ა. თუთის სოკო მდუღარეში მოვხარშეთ, ისე გაფუვდა, მზეონას თმებივით რბილი და ბეწვიანი გახდა.

ა ვ თ ო. სოკო რა ეშმაკად გინდათ?

ხ ა ლ ი ბ ა. იმ ლითონის ნაპერწკალს იტაცებს, ორჯერ თვალის დახუჭვაში ვეება ნაკვერცხალი გაჩნდება.

მ ზ ე ო ნ ა (მოეხვევა). ჩემო ხალიბა, შენისთანა ძმა არავისა ჰყავს; რომ გაიზრდები, ამირანს დაემსგავსები.

ხ ა ლ ი ბ ა. სისულელეს ნუ ამბობ, ამირანი ღმერთების მეგობარია.

მ ზ ე ო ნ ა. მეგობარია თუ მტერი?!

ა ვ თ ო. ღმერთების ტოლია. ამირანმა მტრობა არ იცის.

მ ზ ე ო ნ ა. ხალიბა, შენი ჭირიმე, ერთი კიდევ დაკვესე.

ა ვ თ ო. ისიც გვაჩვენე, სოკო როგორ იტაცებს ნაპერწკალს.

ხ ა ლ ი ბ ა (ამოიღებს ტყავში გახვეულ ბებერ, გაწეწავს და კლდის ცხვირს ლითონს დაჭრავს). აი ნახეთ, დააკვირდით! (ცოტა ხნის შემდეგ ბებერ მოეკიდება.)

მ ზ ე ო ნ ა. ნაპერწკალს წვიმის არ ეშინია?

ხ ა ლ ი ბ ა. ამის ნაპერწკალს არ ეშინია. ბებერი კი, როცა სველდება ბწკალი არ ეკიდება.

ა ვ თ ო. წყალი უფრო ძლიერია ცეცხლზე. თვალის დახამხამებაში კლავს, აქრობს.

ხ ა ლ ი ბ ა. ამირანმა თქვა, დიდ ცეცხლს წყლის ამოშრობაც შეუძლიაო.

მ ზ ე ო ნ ა (მზეს გახედავს). აი, ცეცხლი იმას ექნება.

ა ვ თ ო. წვიმა, ალბათ, ვერ მოერევა მზეს, თორემ ამდენ ხანს ჩაქრებოდა.

ხ ა ლ ი ბ ა. ამირანმა ისიც თქვა, წვიმა მზის ქვემოთ ჩნდება, მზე ძალზე შორს არისო.

მ ზ ე ო ნ ა. მე კი მეგონა, წვიმა მზის მაგრილებელი იყო.

ა ვ თ ო. მზეონას თოვლი ვარსკვლავეთის თეთრ ყვავილთა ფურცლები ეგონა.

ხ ა ლ ი ბ ა. ხვალ ამირანი ჩამოივლის აქეთ.

მ ზ ე ო ნ ა. კარგ ამბავს ყოველთვის ბოლოს იტყვის ხალიბა-ბიჭი.

ა ვ თ ო. დედას უნდა ვუთხრა, ხმიადს გამოაცხობს.

ხ ა ლ ი ბ ა. ახალი ჭურები უნდა დავრეცხოთ, შარშანდელი წვენი გადავიღოთ.

მ ზ ე ო ნ ა. ჭაშნიკს ჩვენც გავსინჯავთ, ხომ?

ა ვ თ ო. ჩემი ჭური, აი, იმ პანტის ძირში ჩავფალი, მხოლოდ ქორწილის დღეს მოვხდი.

ხ ა ლ ი ბ ა. მალე საკლავისათვის ხარები უნდა ჩამოვდენოთ.

მ ზ ე ო ნ ა. ამირანიც გვაჩქარებს, ბარემ იქორწინეთო.

ხ ა ლ ი ბ ა. ამირანის მეგობარს დარისპანისა გეშინია?!

მ ზ ე ო ნ ა. იცი, მე როგორ მოვირთვები? (ფიქრში შესული ხის დაბალ ტოტზე შეხტება.) სულ ყვავილებით მოვირთვები, თავზე გვირგვინს დავიდგამ. აი ასეთს... (ცრეფს ყვავილებს და გვირგვინს აკეთებს, თავზე იდგამს.) ავთოს წელზე ლითონის სატევარი ექნება შემორტყმული. ტანზე ვეფხის ტყავის სამოსს ჩავაცმევ. ორივე ხელში წაბლის ნაყოფით სავსე რტოებს დავიჭერთ. სანთიობო სახლში შესვლის წინ რტოს სამჯერ დავკრავთ აივნის რიკულს. ნაყოფი ნაყოფიერებისა დაცვივა. დედა დუნიადარი იტყვის, ამდენი ვაჟი, ამდენი ქალიო. „ამინ“! დაიბუხუნებს ამირანი და ხალხიც დაადასტურებს მის სიტყვებს. ასი სული ხარი დაიკვლება, სამასი ცხვრის ტყავი გაიკიდება მზეზე გასაშრობად. თორმეტი ვაჟიშვილი უნდა მყავდეს და ცხრა ასული. მერმე დრო გავა, შვილიშვილები დაგვესევა, ოჯახი გამრავლდება...

ხ ა ლ ი ბ ა. არა გრცხვენია! მე სულ დაგავიწყდი. ერთხელაც არ მახსენე.

მ ზ ე ო ნ ა (შეკრთება). კი, შენ ჩვენი ხელისმომკიდე იქნები. (ისევ ჩაფიქრდება.)

ა ვ თ ო. ჩემი ძმა იქნები. სუფრის თავში ამირანი დაჯდება, შუაში ჩვენ ვისხდებით, მეორე თავში შენ, ხალიბა.

(ამ დროს ხეებში გამოჩნდება დარისპანი. ყელგამოღადრული შველი გადაუკიდია მხარზე. უკან უცხოელები მოყვებიან. წინ მეთაური მოუძღვება. ეტყობათ, ძალზე ნასვამები არიან.)

მ ზ ე ო ნ ა. ვაიმე, დარისპანი!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (გაიგონა ავთოს ბოლო სიტყვები). ჩემთვის სუფრაზე ადგილი არც კი დატოვეთ, ხომ?!

ხ ა ლ ი ბ ა (დააკვირდება). ამათ ჩვენი ჭურისთავები დაუყნოსავთ.

მ ე თ ა უ რ ი. აი, ყურძნის წვენი ამას ჰქვია.

მ ზ ე ო ნ ა. ავთო, ჩვენი საქორწილო ღვინო დაულევიათ!

ა ვ თ ო (გაოფორებული). უსინდისო, ეს როგორ გაბედე?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (ბანცალებს). უსინდისოები თქვენ ხართ, საწამლავი დამალევინეთ. ოჰ, თავი მიბრუის. ყველაფერი ორად მეჩვენება. მაინც კარგია ეს ქვეყანა. ეტყობა, ყველაფერი ადამიანისთვის არის გაჩენილი. უნდა გამოიყენო, უნდა დაიმორჩილო, უნდა დაიმონო. (მტევანს ჭიღებს.) ვინ იფიქ-

რებდა, ასე წვრილ კუმპლებს ასეთი სიტკბო და ძალა ექ-
ნებოდა?!

მ ე თ ა უ რ ი (დარისპანზე უჩვენებს). ამ კაცმა შეგვჭამა, ძვალიც
გახრა და სულიც.

ხ ა ლ ი ბ ა. ღვინომ აალაპარაკა. ეტყობა, ყურძნის წვენს ეს
ერთი კარგი თვისება ჰქონია, ადამიანს მართალ სიტყვას
ათქმევინებს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (ვერ მიხვდა მეთაურის ნათქვამს. ისევ თავისას განაგრ-
ძობს). კი, ყველაფერი ადამიანისაა, თვითონ ადამიანე-
ბიც — ძლიერი ადამიანისაა. ბრბოს საბელი ჩააბი ყელ-
ში და საითაც გინდა, იქით წაიყვან. ჰე, ჰე, ჰე! კარგი წვე-
ნი დაუწურავს ავთო-ბიჭს. საქორწილოდ მინდაო. არა,
ერთი ჰკითხეთ, ვიზე აპირებს ქორწინებას. სიკვდილის ან-
გელოზზე?! (შეუტევს.) მე შენ დაგაქორწინებ! ისეთ დღეს
დაგაყრით ყველას, ქორწილს პანაშვიდად გადაგიქცევთ.
უყურე შენ, ქორწილიო! ჰე, ჰე, მეცინება, თითქოს იღლი-
აში მიღიტინებენ. არა, რა ყოფილა ეს ყურძნის წვენი?!
(შეელს ააგდებს.) მზეონა, ეს შენთვის მოვკალი.

მ ე თ ა უ რ ი (აღელვებულია). აკი ამბობდი, შევწვათ და ყველამ
ვჭამოთო. ახლა მზეონას უნდა მიართვა, არა?! ცუდი კაცი
ხარ, სულ შენკენ მიითლი ყველაფერს, ჩვენი არაფერი
გწამს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (ისევ თავის ფიქრშია). საღამოთი ცაზე ვარსკვლა-
ვები აინთებიან, ისინი მთვარის ახლოს უფრო ფერმკრ-
თალად კიაფობენ. ასეა ადამიანიც. ძლიერი კაცის გვერ-
დით სუსტი ადამიანები უფერულნი ჩანან. აბა, ილხინეთ,
იცეკვეთ, იმხიარულეთ. (უცხო ხალხი ცეკვას იწყებს, ძალზე
მთვრალები არიან, ღობე-ყორეს ედებიან, ბანცალებენ, ყვირიან, კი-
ვიან, გიჟებსა ჰგვანან.)

ხ ა ლ ი ბ ა. ყურძნის წვენს გაგიჟება სცოდნია, ეტყობა, არ და-
ილევა.

ა ვ თ ო. ყურძნის წვენს ზომიერება ჰყვარებია.

მ ზ ე ო ნ ა. თაფლიც ასეა, ბევრი მწყენს, გულს მირევს.

მ ე თ ა უ რ ი (დარისპანს). მე გეკითხები, მთელ ქვეყანას აბუჩად
რომ იგდებ, ვინა ხარ-მეთქი შენ? ერთი რომ მკლავებში
მომხვდე, წნელივით დაგგრეხ, დაგფშვნი.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. რას ბურტყუნებ შენ, რაებს როშავ?!

მ ე თ ა უ რ ი. მე კი არა, შენ როშავ. სამყაროს პატრონი გგონია შენი თავი.

ხ ა ლ ი ბ ა. გავშორდეთ ამათ. ესენი კარგს არ იზამენ.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი (შემოვარდება). სადა ხართ, ნახეთ ჩვენი ქურები რომ ამოუსვრეპიათ?!.

ა ვ თ ო. რა უნდა ვიღონოთ, ქურდობა იკადრა.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი (დარისპანს). ბოროტების ფესვო, ეს რა მიყავი? წლის ნაშრომი წაგვართვი. სისხლად დაგდინდეს!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. აი ასე ძოვიქცევ ქვეყანას მუქში. თქვენ ყველანი ჩემი მონები იქნებით, ამირანიც. არა, ამირანს დავჯაქვავ, იალბუზის ქვეშ მივაბამ სამუდამოდ. დაე,უყუროს თავის კეთილ ადამიანებს, თუ როგორ დახოცავენ ერთმანეთს მისი მიცემული ცეცხლით, როგორ ჩასცემენ ერთმანეთს გულში ცეცხლში ნაწრთობ სატევრებს. აბრიალდება ხანძრები, დაიწვება სახლები, სოფლები, დაიფერფლებიან ადამიანები.

მ ე თ ა უ რ ი (დარისპანთან მიდის). შენ მე პასუხის გაცემის ღირსადაც არ მთვლი?!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (სატევარზე ხელს წაივლებს). ჯერ თქვენ ეს არ გინახავთ, ნახეთ! (ხის ვეება ტოტს მოუქნევს. ტოტი მოისხლეპება და ჩამოვარდება. ყველას გაოცებისაგან ოხვრა აღმოხდება.)

მ ე თ ა უ რ ი. ნუ მაშინებ. ჩემი ხელებით მოგახრჩობ! (მიიწევს.)

დ უ ნ ი ა დ ა რ ი (თავისიანებს). აქედან წავიდეთ. აქ ბოროტება დუღს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (მეთაურს). აბა, მოდი, ახლოს მოდი. ორაგულივით გაგფატრავ!

მ ე თ ა უ რ ი. მე გეუბნები, არ მეშინია შენი. აბა, ჩემიანებო, ერთი ამას ჩვეხებურად კომბლებით ძოვეფეროთ, აი, მხეცებს რომ ვეფერებით, ისე.

(მთვრალები აბღავლდებიან და მანქვა-გრეხით დარისპანისკენ მიიწევენ.)

ხ ა ლ ი ბ ა. დაწყნარდი, დარისპან, ჩხუბი და დავა, აბა, ცა საკადრისია?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. წინ წამოდექით, რომელია ვაჟკაცი?!

მ ე თ ა უ რ ი (კომბლით ხელში). თავს გაგიხეთქავ, გაჩვენებ. როგორ უნდა ხალხის მოტყუება.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. სიკვდილი მოგენატრათ?! ეს ქვის ხომ არ გგონია შენ? (სატევარს უჩვენებს.)

მ ე თ ა უ რ ი. თავს გაგიჩეჩქვავ!

(ხალხი ღრიალით შემოერტყმება გარს დარისპანს.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მოდით-მეთქი, მოდით! (მეთაური წინ წაიწევს და დარისპანს კომბალს მოუქნევს. დარისპანი სატევარს გადაუსვამს თითებზე, თითები გადაიკრება, სისხლი თქრიალით მოდის.)

მ ე თ ა უ რ ი (გამოფხიზლდება). მკლავი მომჭრა ამ უნდო კაცმა.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. აბა, რა გეგონა. აბა, ვინ მოდის კიდევ!

(ყველანი გარბიან.)

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ეს კაცი არავის არ დაინდობს. შეხედე, რა ბოროტად უელავს თვალები!

ხ ა ლ ი ბ ა (გაოცებული უყურებს სისხლს). წითელია, აი რანაირი სითხე ჰქონია ადამიანს! (ავთოს.) მოკვდება ეს საწყალი!

ა ვ თ ო. ვინ იცის, მე ჯერ ასეთი არაფერი მინახავს.

მ ზ ე ო ნ ა (კანკალებს. დარისპანს). ეს რა ჰქენ, შე უბედურო?!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ადამიანებო, მე დედა ვარ და სისხლის დაღვრის მეშინია. (მეთაურს.) ვაი, შენს დედას, უბედურო!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ვინც არ დამნებდება, ასეთი დღე მოელის.

მ ზ ე ო ნ ა. საზიზღარი ხარ, საზიზღარი!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი (ტირილით). ვაიმე, სისხლი! ნახეთ, როგორი წითელი ფერის ყოფილა. ვაი დედაკაცის ბედს, ამიერიდან ჩვენს შვილებს ფათერაკი არ ასცდებათ.

მეექვსე სურათი

მთები და ტყე. ტყის პირს ფერდობზე სამეედლო ქურა მოჩანს. ისმის შეძახილები და სიმღერა.

ხ ა ლ ი ბ ა. ხვალ დილით ზევით ამოვივლიო, ამირანმა დამაბარა.

ხ ა ლ ხ ი. იდიდოს მისი კაცობა!

ა ვ თ ო. წყვილი ხარი უღელში გაუხედნავს. რკინის გუთნის

წვერი ღრმა ხნულს გააელებს, ხარები კარგად, მჩატედ გასწევენო. (ავთო სამეფლოში შედის და მუშებს ეხმარება.)

ხ ა ლ ხ ი. იდიდოს ჩვენი ამირანი, იდიდოს მისი სახელი!

ხ ა ლ ი ბ ა. დარისპანი აღარ ჩანს. ამბობენ, თავისი მომხრეები გაუმრავლებია. უცხო მხრიდანაც ბევრი მოუყვანია თურმე. მგონი, ცეცხლი მოუპარავს.

მ ზ ე ო ნ ა. მეუბნება, ავთოს თავი დაანებე, ჩემთან წამოდიო.

ხ ა ლ ი ბ ა. რა თქვი, მზეონა?!

მ ზ ე ო ნ ა. კი, ასე შემომითვალა, თვითონაც მითხრა პირში.

ხ ა ლ ი ბ ა. შენ რა უპასუხე?

მ ზ ე ო ნ ა. მანამ ის ცალი თვალი დაგიდგება-მეთქი.

ხ ა ლ ი ბ ა. ჰაი, ჰაი, კარგად გიპასუხნია.

მ ზ ე ო ნ ა. დედოფლად გამოგაცხადებ, მალე ქვეყნის ბატონ-პატრონი ვიქნებიო.

ხ ა ლ ი ბ ა. რა ვიქნებიო?!

მ ზ ე ო ნ ა. ხომ გითხარი, მეფე ვიქნები, ქვეყნიერება მე დამემორჩილებაო.

ხ ა ლ ი ბ ა. სხვა რა თქვა კიდევ?

მ ზ ე ო ნ ა. ამირანს დავჯაჭვავ, იალბუზის ფესვზე მივაბამო.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი (გამოდის ქოხიდან, ყური მოპკრა ნათქვამს). ჰოდა, შეასრულებს კიდეც!

ხ ა ლ ი ბ ა. ამირანს მოერევა?!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ეშმაკობა მოერევა, დარისპანი კი არა! ხომ ხედავ, რა უთქვამს, ჯაჭვს გავეედავ და ამით დავაბამო.

მ ზ ე ო ნ ა. მერე ავთოს და ხალიბას ჭკუას ვასწავლიო.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ავთოს მომიკლავს ის წყეული, ყოველნაირ სიგლახეს ჩაიდენს, რატომ მიეცი ცეცხლი, რატომ?!

ხ ა ლ ი ბ ა. დუნიადარ დეიდა, ამირანს დარისპანი ვერაფერს დააკლებს, იცოდე.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. აი ნახავთ, რას დაგვმართებს! ვაი, რომ მთელი სიმწარე დედის ძუძუმ უნდა გადაიტანოს.

მ ზ ე ო ნ ა. ავთოს რომ რაიმე დამართოს, დარისპანს მე მოვკლავ!

ხ ა ლ ი ბ ა. ხვალ ამირანს უნდა ვუთხრათ ყველაფერი.

ა ვ თ ო (გამოდის). შეხედეთ, თქვენი ჭირიმე, რა სახნის-საკვეთი გამოვიყვანეთ! ნაგვალავი მიწაც კი ვერ გაუძლებს, კლდის

ძარღვსაც მოხნავს. (ათვალიერებს.) აი, ადამიანის ბედნიერება! რამდენ მინდორს გადავხნავთ და დავთესავთ გაისისათვის! ნალიებს დავავსებთ ხორბლით, ქორწილის მდიდარი წელი დაგვიდგება, მზეონა.

მ ზ ე ო ნ ა. მე ხარებს გავუძღვები. პირველ კვერს კეცზე მე გამოვაცხობ.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. იმ ბოროტმა კაცმა თუკი დაგვაცალა, მართლა ბედნიერება იქნება, შვილებო! ცეცხლიც კერიაზე გაბრწყინდება და ხორბალიც თავსაყრელად გვექნება!

ხ ა ლ ი ბ ა. ხომ არაფერს ვუშავებთ, ჩვენთვის მოვხნავთ და დავთესავთ.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. შვილო, მაგან მოსვენება არ იცის, მაშინ ხარობს, როცა ადამიანებს უჭირთ.

მ ზ ე ო ნ ა. ავთო-ბიჭო, ქორწილი როდის გვექნება?

ა ვ თ ო. ამირანს ვკითხოთ და გვირჩევს.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. საშემოდგომოდ აჯობებს, ნალიაც სავსე იქნება და ჭურ-მარანიც.

ა ვ თ ო. ბიჭები ისეთ სიმღერას ამზადებენ, რომ ღმერთებსაც შეშურდებათ.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. თუკი მშვიდობა გვექნება.

ხ ა ლ ი ბ ა. ვაიმე, შეხედეთ, ესენი ვინ არიან? (მთაზე უცხო ადამიანები გამოჩნდებიან.) დარისპანის ხალხია.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. დავიღუპეთ!!!

მ ზ ე ო ნ ა. დარისპანი გველსა ჰგავს.

ა ვ თ ო. რა იყო, რამ შეგაშინათ?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. არ მელოდით, ხომ?! ვინ იცის, მკვდარიც გეგონეთ?! (მხრებზე ჯაჭვი აქვს შემოხვეული. სარტყელში სატევარი გაურჭვია. ბეჭზე გადაკიდებულ ხის ქარქაშში ისრები აქვს ჩაწყობილი.)

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ხალხი ბედნიერი იქნება, შენ თუ მოგიშორებს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ცოცხალი ვარ. არ მოვკვდები, მანამ ამირანს არ მოვინელებ, სანამ მზეონას არ წავიყვან, არ მოგშორდებით.

მ ზ ე ო ნ ა. მანამდე იკვნესე!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მე კი არა, ამ ჩია ყმაწვილმა უნდა იკვნესოს. (ავთოზე უჩვენებს.)

ხ ა ლ ი ბ ა. უყურეთ, ღვინო უსვამს, ალბათ, ისევ ჩვენი მარნიდან მოიპარა.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (ავთოს). ყველაფერი, რაც ადამიანების ხელით კეთდება, ჩემია, მე მეკუთვნის!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ხომ გითხარი, შვილო, დაკეტე, მარნის კარებს კეტი გაუყარე-მეთქი!

ა ვ თ ო. ვინ იცოდა, ქურდობასაც თუ დაიწყებდა ეს საზიზღარი.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ვინ არის ქურდი და საზიზღარი?

ხ ა ლ ი ბ ა. შეხედეთ, ჩემი ლითონი მოუპარავს, სატევარი გამოუჭედავს!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. სატევარიო? ახლა ამას შეხედეთ, ისრის წვერებია, ეს კიდევ შუბის. შორიდან ვტყორცნი ნადირსაც და ჩემს მტერსაც.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ღმერთო, დაგვიფარე ბოროტი კაცისაგან!

ხ ა ლ ი ბ ა. ეს ჩემი ლითონია, ამირანმა ჩემი სახელი — ხალიბაური დაარქვა კიდეც!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ვისიც გინდათ, იმის სახელი დაარქვით, მე კი ამ იარაღით ქვეყანას დავიმონებ.

მ ზ ე ო ნ ა. ეს შენი მონებია?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მაშ რა გგონია. აბა, (უცხოელებს უბრძანებს.) ერთი ეს ქალწული დაიჭირეთ და წამოიყვანეთ!

(დარისპანის ხალხი იმ წუთშივე ეცემა მზეონას.)

მ ზ ე ო ნ ა. ახლოს არ მომეკაროთ, საზიზღრებო!

ა ვ თ ო. თავი თუ მოგძულებიათ?! (წინ დაუდგება. მზეონა გარბის, უცხოელები მისდევენ.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. შენი სიკვდილის დღე დამდგარა და ეგ არის!

ხ ა ლ ი ბ ა. დარისპან, თავი დაგვანებე, იცოდე!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ჯერ ამას ვასწავლი ჭკუას და მერე შენთვისაც მოვიცლი! (ჯაჭვს მოიხსნის, ავთოს მარყუჟად ესვრის და მხრებზე ჩამოაცმევს.) აბა, ახლა გაინძერი, ვაჟკაცო!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ვაიმე, ხომ ვამბობდი ეს კაცი დაგვღუპავსმეთქი. რა დღე დაგვიდგა! რა შავი დღე!

(ავთოს ყოველ გატოკებაზე უფრო მაგრად უჭერს ჯაჭვი.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (უცხოელებს). თქვენ კი, რაც გიბრძანეთ, ის შეასრულეთ! (ისინი გაქცეულ მზეონას დაედევნებიან.)

ხ ა ლ ი ბ ა (უცებ დასწვდება და ისარს წაართმევს). აბა, დარისპან, ავთო გაანთავისუფლე, თორემ მეორე თვალს ამოგთხრი!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (შეშინდება). არ მესროლო! ცალი თვალიც შემრჩა, ისიც რომ მომთხარო, ხომ იცი, რა დამემართება?!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ესროლე, ხალიბა, ესროლე, თორემ არ დაგინდობს ეს ბოროტი კაცი.

ხ ა ლ ი ბ ა. ახლავე გაუშვი ავთო და მზეონას დევნას თავი დაანებე, ჩქარა, თორემ გვიან იქნება!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (მიხვდება, რომ ხალიბა აღარ ხუმრობს. უცხოელებს შეაჩერებს, ავთოს კი ჯაჭვს შემოხსნის). ახლა ასე იყოს, მაინც ჩემი ლუკმა ხართ!

ხ ა ლ ი ბ ა. ვნახოთ, ვნახოთ. ხვალ ამირანი ჩამოვა, ყველაფერს ვეტყვი და მან გადაწყვიტოს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (განრისხებული). ამირანს არავინ ჰკითხავს ჩემს საქმეს.

ხ ა ლ ი ბ ა. აბა, შენ გკითხოთ ქვეყნის საქმე?!

(ამ დროს მზეონას კივილი ისმის.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (გახარებული). მოვდივარ, ჩემს მოსვლამდე არ გაუშვათ.

ხ ა ლ ი ბ ა (ფეხებში გაეჩხირება. დარისპანი წაიქცევა). ავთო-ბიჭო, გაიქეცი, ისრებით გული გაუგმირე უცხოელებს, მზეონა გააშვებინე, ჩქარა გაიქეცი!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (ხელს სტაცებს ხალიბას და სარტყლიდან სატევარს ამოიღებს). ახლა ხომ ჩემი ტყვე ხარ?

ხ ა ლ ი ბ ა. დამარტყი, რაღას უყურებ?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. დაგარტყამ, იცოდე, არ დაგზოგავ!

(ხალიბა უცებ დაუსხლტება, ძელქვის ტოტებზე შეხტება და აქვდან აჯავრებს. დარისპანი დაედევნება, მოულოდნელად სატევარს დაუმიზნებს და ესვრის, ხალიბა შეპკივლებს და ძირს ზღართანს მოადენს. სატევარი ბეჭქვეშ, ზედ გულის არეში აქვს გაყრილი.)

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. ვაიმე, შვილო, მიშველეთ, ხალიბა მოგვიკლეს!

მ ზ ე ო ნ ა (შემოვარდებიან ავთო და მზეონა.) ვაიმე, ძმაო, ვაიმე, ძმაო ხალიბა!

ა ვ თ ო. რა ჰქენი, დამთხვეულო?!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. განგებამ ასე ისურვა.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. გველო, ბოროტების ბუდეე, რად მოკალი ეს ჩვენი უდედმამო ბიჭუნა?!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. თვითონ შემომაკლა თავი. ეტყობა, უმსხვერპლოდ არ ხერხდება.

მ ზ ე ო ნ ა. ჩემო საყვარელო ხალიბა! (ტირის.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. დღეიდან ყოველ მოსახვევში შიში დაგხვდებათ, ყოველ გზაჯვარედინზე სიკვდილი ჩაგისაფრდებათ, ყოველი სახლის ლაფარაში სატევრისა და ისრის ცივი წვერი დაგელოდებათ. ადამიანო! ცეცხლმა მე სატევარი და ისარი მომცა, ხმალი და შუბი გამომაწრთობინა.

ა ვ თ ო. ცეცხლმა გუთანი, თოხი და ბარიც დაბადა, რატომ ისინი არ გააკეთე და ეს კაცის მოსაკლავი იარაღები შექმენი, ბოროტი გველო?! თქვი, რატომ ისინი არ გააკეთე?!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (დაცინვით). ტყუილს ამბობ. რკინისაგან ცელი მეც გავჭედე და თქვენც გამოკვერეთ.

ა ვ თ ო (ვერ მიხვდა დაცინვას). ცელები გაჭედე?!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. კი, ცელი გავჭედე.

ა ვ თ ო. მერე რისთვის გინდა ცელი. განა შენ ოფლს გამოიდენ?! ბალახს მოთიბავ?!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ხა-ხა-ხა. ბალახს რა თავში ვიხლი?! აი მე რისთვის მინდოდა ცელი. (გასძახებს.) ჰეი, ჩემო ძმაკაცო, აქეთ შემოიარე. ერთი ამათ დაენახვე. (შემოდის ადამიანის ჩონჩხი. ხელში ცელი უჭირავს. ყველანი შეშინდებინ. ქალები შეკივლებენ.) რაო, არ მოგეწონათ?! ხა-ხა-ხა...

ა ვ თ ო. კაიკაცობაც ამას ჰქვია?!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მე ბატონობა მინდა. ბატონობა მხოლოდ იარაღით შეიძლება. შიში უნდა იყოს ბატონსა და ყმას შუა. დღეიდან ჩემი ძმაკაცი შიშია.

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. წყეულიმც იყავ, ადამიანთა შორის ყველაზე წყეულო კაცო!

ხ ა ლ ი ბ ა (წამოიწევს). მზეონა, ავთო-ბიჭო, ძალიან მიყვარდით. ეჰ, თქვენ ქორწილს როგორ ველოდი! იცოდეთ,

თქვენს ბიჭს ხალიბა დაარქვით. არც ჩვენს ლითონს წაარ-
თვათ ჩემი სახელი. ამირანმა ხომ ხალიბაური დაარქვა.
არ დამივიწყოთ! დარისპანზე კი შურს ნუ იძიებთ. არ მინ-
და, არ ივარგებს!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ვინ იძიებს შურს, ეს ხომ არა?! (ავთო-ბიჭს ნიკაპზე ამოკრავს ხელს.) ხა-ხა-ხა-ხა!

დ უ ნ ი ა დ ა რ ი. გვიშველეთ, ადამიანებო, გვიშველეთ! ეს ბოროტი კაცი ყველას დაგვხოცავს, გვიშველეთ!

მეშვიდე სურათი

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. ათასწლეული ათასწლეულს მისდევდა.

მ ე ო რ ე ხ მ ა. საუკუნე საუკუნეს ცვლიდა.

მ ე ს ა მ ე ხ მ ა. ადამიანებმა რა არ ნახეს და რა არ გადაიტა-
ნეს, რა არ გამოიარეს!

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. ამირანის ხალხმა ბევრი სიკეთე მოუტანა ადამიანებს.

მ ე ო რ ე ხ მ ა. დარისპანის მიმდევრებმა მრავალჯერ უბედუ-
რება დაატეხეს თავს კაცობრიობას.

მ ე ს ა მ ე ხ მ ა. სიკეთე სინათლისკენ ილტვოდა, ბოროტე-
ბა სიბნელისკენ მიაქანებდა ადამიანებს.

მ ე ო რ ე ხ მ ა. მტრობა ანგრევდა, სიყვარული აშენებდა.

მ ე ს ა მ ე ხ მ ა. აი ჩვენს დროშიც ხომ ასე მოხდა.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა. ჩვენს თვალწინ, ჩვენი თანდასწრებით.

მ ე ო რ ე ხ მ ა. გაიხსენეთ, დაფიქრდით!

მ ე ს ა მ ე ხ მ ა. გაიხსენეთ და დაფიქრდით!

მერვე სურათი

გრანდიოზული კაფე-რესტორანი. იქით, მოედანზე, ცეკვაა, რომელიც ძალიან ჰგავს ველურების ცეკვას. წყვილ-წყვილად სხედან ქალ-ვაჟნი. ჭარმაგი ადამიანებიც საკმაოდაა. განაპირა მაგიდასთან ქალ-ვაჟი ზის. ვაჟების უმრავლესობა ფარაჯებშია, ეტყობა, ომია.

ვ ა ჟ ი. მე ცეკვის უფლებაც კი არა მაქვს.

ქ ა ლ ი. ახ მესმის, რატომ?

ვ ა ჟ ი. მიბრძანეს, საერთოდ ასეთ ადგილებს თავი ავარიდო. ეშინიათ, რამე არ წამომცდეს ან ნილს ბორიკით არ მო-მიტაცონ.

ქ ა ლ ი. ნილს ბორი ხომ ჩვენებმა მოიტაცეს?

ვ ა ჟ ი. ახლა შეიძლება მოწინააღმდეგემ შენ მოგიტაცოს.

ქ ა ლ ი. ალბათ, ჩვენთან შეხვედრაც არ შეგიძლია.

ვ ა ჟ ი. ფორმალურად კი, ფაქტიურად არა, ასე გამოდის.

ქ ა ლ ი. ეს შენი ბრალია, ბოროტ ადამიანებს მიჰყვები, ჩემო საყვარელო!

ვ ა ჟ ი. ბოროტ ადამიანებს! ვერ ხედავ, ერთი კაცი ქვეყნის დამონებას ცდილობს.

ქ ა ლ ი. ვერ შეძლებს, ჩემო ვაჟკაცო, ვერ შეძლებს. ხომ ხე-დავ, ვინ ებრძვის მას.

ვ ა ჟ ი. ამ სვებედნიერმა (აინშტაინის სილუეტზე მიუთითებს.) დიდი სიკეთე მოუტანა ადამიანებს.

ქ ა ლ ი. თქვენი იანკები კი მისი სიკეთით ქვეყანას ბოროტების წარღვნას ჰპირდებიან.

ვ ა ჟ ი. არა, ჩემო მშვენიერო. მე მხოლოდ ერთ ყუმბარას გა-ვაკეთებ, ერთხელ გავისვრი და გათავდება.

ქ ა ლ ი. სულელი ხარ, სულელი. მერე ამათ შენ გააჩერებ?

ვ ა ჟ ი. ვით ამირანმა ცეცხლი, ისე ჩაგვაბარა ამ დევკაცმა ბედნიერების ატომი. რომ იცოდე, ადამიანები ზღაპრუ-ლად გამდიდრდებიან, ყველაფერი იაფი და ხელმისაწვ-დომი გახდება, ყოველი კაცი მდიდარზე მდიდარი შეიქ-ნება.

ქ ა ლ ი. მერე, ამას ესენი დაუშვებენ?!

ვ ა ჟ ი. ვინ ესენი?!

ქ ა ლ ი. ვინც შენ ჩემთან მოსვლას გიკრძალავს, ვინც ცეკვას და ღიმილს გარიდებს, ვისაც ხალხის თვალის ეშინია, ვინც მხოლოდ თავისი დოლარების ჩხრიალზე ფიქრობს!

ვ ა ჟ ი. შენ არა ხარ მართალი. ხომ იცი, რა დროში ვცხოვ-რობთ?

ქ ა ლ ი. ვიცი, ჩემო სიცოცხლევ, და იმიტომ გეუბნები ამას. რამდენი ხანია გელოდები.

ვ ა ჟ ი. კი, მართალი ხარ. ჯერჯერობით ჩაკეტილნი ვართ. სულ ცოტა კიდევ და ყუმბარაც მზად იქნება.

ქ ა ლ ი. რად გინდა, რად?! ნუთუ შენი ხელით ნაკეთებმა ადამიანები უნდა იმსხვერპლოს?

ვ ა ჟ ი. სულელო! პირიქით, ადამიანები უნდა დაიცვას. ხომ ხედავ, როგორ ელეტენ ხალხს. იმ ერთი ყუმბარის გასროლა და — შიშით ყველა ბოროტება შეწყდება!

ქ ა ლ ი. სულელი შენ ხარ, შენი ჭირიმე, მთელი კაცობრიობია წარყვნას მოინდომებენ. ეს შენი ნაშრომი თავიანთი გამდიდრებისა და ხალხთა დაშინების წყაროდ გადაიქცევა.

ვ ა ჟ ი. კარგი, ვიცეკვოთ. შენ როცა ცეკვავ, სულ სხვანაირი ხარ.

ქ ა ლ ი. შენც სხვანაირი ხარ, როცა უკრავ, სულ სხვა ხარ, ახლა კი...

ვ ა ჟ ი. ახლა კი ცოტა ჩაფიქრებული ვარ. ხანდახან შენ მართალი მგონიხარ და მეშინია. იცი, რა ნიჭიერი ადამიანები შეკრიბეს ჩემს გარშემო!

ქ ა ლ ი. უბედურებაა, უბედურება. მით უმეტეს, ერთი მეფისტოფელი მთელ ქვეყანას წარყვნის.

ვ ა ჟ ი. ვინ არის მეფისტოფელი?

ქ ა ლ ი. შენ. შენი ამხანაგებიც. სამყარო დაიღუპება. მე ქალი ვარ, მომავალი დედა ვარ და ამას ვგრძნობ. ფხიზლად უნდა ვიყოთ, არ მოგვატყუონ!

ვ ა ჟ ი. ვიცეკვოთ, ჩვენც ვიცეკვოთ. (ცეკვავენ. ქალი ნაძალადევად მიყვება.)

ქ ა ლ ი. (ჩურჩულით). სულ რამდენი კაცი იქნება ნიჭიერი?

ვ ა ჟ ი. ხუთი, ათი, ოცი!

ქ ა ლ ი. ღმერთო ჩემო, ხუთი, ათი, ოცი მეფისტოფელი ერთად.

ვ ა ჟ ი. ვერ გავიგე, ვინ არის ეს ოცი მეფისტოფელი!

ქ ა ლ ი. თქვენ ხართ, თქვენ. სამყაროს მოსპობთ ამ იარაღით. ნუთუ ვერ ხვდებით, რის გაკეთებას აპირებთ?!

ვ ა ჟ ი. ქვეყნის ყველაზე დიდ ბოროტებას დავთრგუნავთ.

ქ ა ლ ი. ერთს კი დათრგუნავთ, მაგრამ მეორეს, უფრო საშიშს წარმოშობთ.

ვ ა ჟ ი. იცეკვე, ჩემო მშვენიერო...

ქ ა ლ ი. ნუთუ ყველაფერი იცი და მაინც ამ გზით მიდიხარ?

ვ ა ჟ ი. ხედავ, როგორ ცეკვავენ?! არ შეუძლიათ არ იცეკვონ! არა, არ შეუძლიათ, მათ ტანში ახლა ცეკვის ეშმაკი ზის. ჩვენც ისე ვართ. ჩვენ ერთი ყუმბარა უნდა გავაკეთოთ, ვისროლოთ, შევაშინოთ.

ქ ა ლ ი. ერთი შეაშინოთ, მეორე კი... არ სჯობია, სულ უარი თქვათ, არ შექმნათ, არ გააკეთოთ?

ვ ა ჟ ი. ეტყობა, არ შეგვიძლია.

ქ ა ლ ი. მე კი ქალი ვარ. ადამიანთა დედა ვარ და ქვეყნის უბედურების ნაპირებს ვხედავ, ვგრძნობ...

ვ ა ჟ ი. ახლა უსაშველო ომია. ხედავ, ბიჭებს ფარაჯები აცვიათ, ორი დღის შვებულება მიუციათ. ისინი კი აქ მოსულან სიცეკვაოდ. საოცრებაა, საოცრება!

(შემოდიან გლეხი და მისი ცოლი. კალათი უკავიათ, თითქოს მაწვნის გაყიდვა უნდათ.)

გ ლ ე ხ ი. ხედავთ, ქვეყანა იქცევა, ესენი კი ცეკვავენ.

ც ო ლ ი. გაჩერდი, შენ ვინა გკითხავს, იქნებ მიგტყეპონ კიდეც!

(ქალ-ვაჟი შენიშნავს მათ.)

ქ ა ლ ი. მგონი მაწონი გაქვთ, რას აფასებთ?

გ ლ ე ხ ი. ხომ იცით, ომია და ახლა ყველაფერი ძვირია.

ქ ა ლ ი. ვიცი, ომია, ადამიანები ხომ გიყვარს, გეცოდება.

ც ო ლ ი. ჩვენ გვიყვარს... აი, შეხედე, როგორ ცეკვავენ!

გ ლ ე ხ ი. ახლა ჩემს ხელებს შეხედე, მზეს ავიღებ ხელში და არ დამწვავს. (დაცინვით.) ასეთი ჯავშანი ტანკსაც კი არა აქვს.

ც ო ლ ი. მე კი, რომ გავთხოვდი, ავ თვალს არ შევეხედებოდი. ახლა კი, ნახე, როგორ დავილიე!

გ ლ ე ხ ი. სამაგიეროდ, სამი ვაჟკაცი გამოზარდე. მათ კი ომში უკრეს თავი. დაბრუნდებიან?!

ც ო ლ ი. ეს გამხდარი ძუძუები მეწვის. თქვენ კი მაწვნის ფული გენანებათ!

გ ლ ე ხ ი. თქვენ ცეკვავთ და ცეკვავთ არა?!

ც ო ლ ი. ამათი არაფერი ვარგა, ეს ცეკვა სიკვდილის მანჭვას უფრო ჰგავს. აბა, ჩემი ბიჭები რას დაუვლიდნენ!

გ ლ ე ხ ი. ჰოდა, იცოდე, ქალიშვილო, გლეხიკაცია ამ მიწაზე ქვეყნის ფესვი.

ქ ა ლ ი. ვიცი, ძიაკაცო, მე ნამდვილად ვიცი.

გ ლ ე ხ ი (ჩაუშტერდება). იცი? კარგი ქალი ჩანხარ, გეტყობა, ჩვენი ანასხლეტი ხარ. ყველა კეთილი გლეხის ანასხლეტია.

ც ო ლ ი (იცინის). ასეთი ლაპარაკი უყვარს ჩემს კაცს.

გ ლ ე ხ ი. ექიმიც, ხელმწიფეც, პრეზიდენტიც, ჯარისკაციც — ყველა გლეხის ანასხლეტია, მაგრამ ზოგჯერ თავისი ფესვის სიტკბო ავიწყდებათ. ნამდვილად ასეა, ავიწყდებათ!

ქ ა ლ ი. საოცარი სიტყვები მესმის.

ვ ა ჟ ი. რა თქვა, ჩემო მშვენიერო?

გ ლ ე ხ ი (ქალს). ეს ვინ არის?

ქ ა ლ ი. ჩემი საქმროა, ფიზიკოსია.

გ ლ ე ხ ი.— ეგეც გლეხის ანასხლეტია, მხოლოდ თვალებში სხვა სინათლე აქვს.

ქ ა ლ ი (შიშით). რა თქვით?

გ ლ ე ხ ი. კი, სხვანაირად იყურება. მაგას თავისი ფესვების სიტკბო არც ახსოვს და, მგონია, არც სიმწარე აგონდება!

ქ ა ლ ი. ვაიმე, ასე რატომ ფიქრობთ?

ც ო ლ ი (იცინის). ასეთი ლაპარაკი უყვარს ჩემს კაცს.

გ ლ ე ხ ი (ცოლს გაუწყრება). გაჩუმდი, შენ არ გესმის. იმ ბიჭის თვალებში დღის შუქიც ლიცლიცებს და ღამის წკვარამიც იხედება.

ქ ა ლ ი. ღმერთო, მიშველე!

გ ლ ე ხ ი. ჰოდა, დღის და ღამის საზღვარი რომ წაეშლება კაცის თვალს, ცუდია, ცუდი.

ქ ა ლ ი. რაღა მეშველება!

ვ ა ჟ ი. რა იყო, ჩემო ლამაზო, შემკრთალი ჩანხარ!

გ ლ ე ხ ი. ადამიანი შვილია მიწისა.

ქ ა ლ ი. რაო, რა თქვი?

გ ლ ე ხ ი. კი, მიწის შვილია. მიწას უნდა მოეფეროს, მოუაროს. ესენი კი მიწას ებრძვიან.

ქ ა ლ ი. მეც ამას ვეუბნები!

გ ლ ე ხ ი.— ქვეყანა რომ დაიბადა, პირველად გლეხმა ცხვარი მოათვინიერა, მატყლით შეიმოსა, ხორცით ისაზრდოვა.

ცოლი (იცინის). ჩემი კაცი სულ ასე ლაპარაკობს.

გლეხი. ტყუილს ვამბობ თუ?! მერე ცეცხლი იშოვა.

ქალი. ამირანმა მოსტაცა ღმერთებს და ხალხს მისცა.

გლეხი. ამირანი ჩვენს ფესვზე ამოვიდა, მჭედელი კაცი იყო.

ვაჟი. მჭედლობა პირველი ფიზიკოსობაა.

გლეხი. ჩემი უმცროსი ბიჭი ამბობდა, ფიზიკოსი გამოვალო

ცოლი. ერთხელ ცხვარი და ძაღლი სავარცხლით დავარცხნა, ნაპერწკალმა დაკვესა, შემეშინდა კიდეც.

გლეხი. იმ ნაპერწკლის მიზეზს ეძებდა. აი ის კაცი უყვარდა ამირანივით კაციაო. (აინშტაინზე მიუთითებს.)

ქალი. კარგი კაცი დადგებოდა.

ცოლი. არ აცალეს, მკერდზე მომაგლიჯეს.

ვაჟი. ნაპერწკლის მიზეზი თუ მონახა ნეტავი?

გლეხი. შენს თვალებში, ბიძია, შავი ნაპერწკალი მოჩანს.

ქალი. რატომ ამბობ ასეთ სიტყვებს?

ცოლი (ისევ იცინის). ხომ გითხარი, ქალიშვილო, ჩემი ქმარი სულ ასეთ სიტყვებს ამბობს.

ვაჟი. შავი ნაპერწკალი, შავი ნაპერწკალი.

ქალი (ცოლს). მე მაწონი გთხოვეთ, მომყიდეთ მაწონი.

ცოლი. ხომ გაიგონე, რა თქვა ჩემმა კაცმა, თვალში შავი ნაპერწკალი აქვსო. ჰოდა, იმ ნაპერწკლით დამწვარს ჩვენი მაწვნით ვერ მოაშუშებ.

ვაჟი (გლეხს). ჩვენ ახლა ისეთი ყუმბარა უნდა გამოვიგონოთ, -უცებ ქვეყანა დაანგრიოს. (აკვირდება, რას იტყვისო.)

გლეხი. ტყუილია! არ დაიჯეროთ!

ვაჟი (გაჯავრებით). არ არის ტყუილი. დღე-დღეზე მზად იქნება.

გლეხი. ხომ გითხარი, შავი ნაპერწკალი გიჩანს თვალებში. ქვეყანას მაინც ვერ დაანგრევ. ღმერთო, შემიბრალე!

ვაჟი. მე არ მინდა ქვეყნის დანგრევა.

გლეხი. ვიცი. თქვენ გინდათ დაიპყროთ, დაიმონოთ, თქვენს სურვილზე ათამაშოთ.

ვაჟი. რა თქვით?!

ცოლი. ასე უყვარს ჩემს ქმარს ლაპარაკი.

გ ლ ე ხ ი. არც თავისუფლებაა ბიძია ყუმბარის მშობელი და არც ყუმბარა გამოდგება თავისუფლების დედად.

ქ ა ლ ი. აი, ჭეშმარიტება!

გ ლ ე ხ ი. ცხვარი პირველად გლეხმა გაკრიჭა, მოწველა, რქისგან ნივთები გამოთალა.

ვ ა ჟ ი. მერე?!

გ ლ ე ხ ი. თქვენც ჩვენი ანასხლეტი ხართ, მაგრამ დარისპანმა მოგაუტყუათ. მის ნაკვალევზე მიდიხართ.

ვ ა ჟ ი. თქვით სათქმელი.

გ ლ ე ხ ი. მთხოვე და გეუბნები. (უჩვენებს ბოროტების ხეს.) თქვენ იმ ხის ნაყოფი ხართ.

(შემოდის ევროპულად ჩაცმული დარისპანი, სპეკუთხედი წვერი აქვს, ცილინდრი ახურავს.)

ვ ა ჟ ი. დავიღუპე!

გ ლ ე ხ ი (მიაჩერდება დარისპანს). აი ძველი ნაცნობი.

ქ ა ლ ი. ვინ არის ის კაცი?

გ ლ ე ხ ი. შავი ნაპერწკლის გამჩაღებელი, გლეხიკაცის მტერი.

ქ ა ლ ი. ნუთუ ეს ის კაცია?

გ ლ ე ხ ი. დაუკვირდი შენს საქმროს.

ქ ა ლ ი (ვაჟს). ვინ არის ეს კაცი-მეთქი?

ვ ა ჟ ი. ჩვენი მბრძანებელია. (დარისპანი ათვალიერებს ყველას. ვაჟს თვალს აარიდებს.)

გ ლ ე ხ ი. ეს კი ნამდვილად არ არის ჩვენი ანასხლეტი.

ც ო ლ ი (გულმოსული). ყოველ კაცზე ამბობდა ჩვენი ანასხლეტიაო და მაინცადამაინც იმ კაი კაცზე ამბობს უარს!

გ ლ ე ხ ი. რითია კაი კაცი?

ც ო ლ ი. აცვია, ახურავს, ერთი სიტყვით...

გ ლ ე ხ ი (გაუწყრება). გაჩუმდი, ისიც ეშმაკისაა და შენც...

ც ო ლ ი. ქურდია?

გ ლ ე ხ ი. გაჩუმდი, ქალო. ასეთები ერთნაირად ართმევენ ადამიანებს ცხვრის ტყავსაც და სიცოცხლესაც. წავიდეთ.

ც ო ლ ი (ჟინიანად). არ წამოვალ, შეიძლება მაგან ჩემი ბიჭების ამბავი იცოდეს.

გ ლ ე ხ ი (შეკრთება). ეს შეიძლება მართლა იცოდეს, წაღმართად მაინც არ იტყვის! (ამ დროს საშუალო ხნის ელეგანტურად

ჩაცმული მამაკაცები შემოდიან. დარისპანს ვერ ამჩნევენ, შემოსვლისთანავე ცეკვას იწყებენ.)

ვ ა ჟ ი. აი ჩემი მეგობრებიც მოვიდნენ.

გ ლ ე ხ ი (ცოლს). უყურე, უყურე, იმათაც რა სხვანაირი თვალები აქვთ!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (დააჩერდება გლეხს). მე ხომ არ მკითხეთ რამე?!

გ ლ ე ხ ი (თავისთვის). ისევ ეშმაკის ჩლიქები აქვს. (დარისპანს.) რა თქვით?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (მბრძანებლურად). მგონი რაღაცის თქმას აპირებდით!

ც ო ლ ი. კი, ბატონო, ჩემი ბიჭები ომში არიან. თქვენ ხომ არ იცით მათი ამბავი?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მე ამ კაცს ვეკითხები.

გ ლ ე ხ ი. თქვენც ქალის ნაშობი ბრძანდებით. ჩემი ცოლია და უთხარით, რა დაგიშავდებათ?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. დღეს ყველას ბიჭები ომშია.

ც ო ლ ი (ვაჟზე უჩვენებს). ეს რატომ არ წაბრძანდება?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (დააჩერდება ვაჟს). თქვენი ადგილი აქ არის?

ვ ა ჟ ი (შიშით). წამოვედი, დავიღალე. დასვენებული გონება უფრო იმუშავებს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (ანიშნებს ახალმოსულებზე). იმათაც დაუძახეთ, სასწრაფო საქმეა.

გ ლ ე ხ ი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ბიჭები ამათ არ ჰგვანან. ამათ ხომ ხალხისათვის მხოლოდ უბედურება მოაქვთ.

ც ო ლ ი. ჩლიქები არა აქვთ, არც რქები, თორემ ხუთივე ეშმაკის ჯიშისაა.

გ ლ ე ხ ი. ახლავე წამოდი, ამათი სახლის ლაფაროში ჩვენთვის საჩრდილობელი არ დარჩება.

(ვაჟი სამივეს ეძახის და ისინიც სიცილით მოდიან. შენიშნავენ დარისპანს, შეჩერდებიან.)

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი (ვაჟს). შენ დაგეძებდით!

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. სუნით მოგაგენით.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. მე გამოვითვალე, რომ აქ იქნებოდით!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მე კი თქვენმა თვალებმა მამცნო თქვენი სამყოფელი.

ვ ა ჟ ი. ნანახს ძებნა რად სჭირდება, უნახაეის ხილვაა ძნელი.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. დასრულდა, რასაც ვეძებდით, ვიპოვეთ კიდეც.

ვ ა ჟ ი. როგორ, უჩემოდ?!

ჰ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. უშენოდ რატომ, შენი დახმარებით.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. ცოტაც და ქვეყანას შევაზანზარებთ.

ქ ა ლ ი (სიკეთის ხესთან დადგება). დავიღუპეთ! სამყაროს დაანგრევენ!

გ ლ ე ხ ი (ცოლს წაავლებს ხელს, მიპყავს). წამოდი, ქალო-მეთქი, არ დაიჯერო, ეს ეშმაკები ქვეყანას ვერ დაანგრევენ, გაწვალებით კი გააწვალებენ.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ახლა სამიზნე ადგილზე უნდა გადავიტანოთ!

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. მფრინავები თუ დათანხმდებიან!

გ ლ ე ხ ი. ჩემი ბიჭები არასოდეს დათანხმდებიან!

ც ო ლ ი. რა თქვი?

გ ლ ე ხ ი. შეხედე იმ ხეს. (აჩვენებს ბოროტების ხეს.) ამ დილიდან-ვე გაეზარდა დიდი ტოტი.

ც ო ლ ი. კაცო, ჩვენი ბიჭები რატომ ახსენე?

გ ლ ე ხ ი. ჩემი შვილები ამ ხეს არ გაახარებენ.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. ბევრი ვიწვალეთ!

ჰ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. ბევრი ვიშრომეთ!

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. მიზანს მივაღწიეთ!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. სულელები, გიჟები, სწორედ ახლა იწყება დიდების დღეები.

გ ლ ე ხ ი (ვაჟს). შენც მისი მონა იქნები!

ქ ა ლ ი. ვაი ჩემს ბედს!

ვ ა ჟ ი (ბინშტაინის სურათს შესცქერის). შენი დიდი, კეთილი ფიქრი ამათ ვეება ბოროტებად აქციეს.

გ ლ ე ხ ი. წამოდი, ქალო-მეთქი.

ც ო ლ ი (დარისპანზე მიუთითებს). მაინც ვერ დავაცდენინე სიტყვა.

გ ლ ე ხ ი. სიტყვაც ბოროტი აქვს და საქმეც.

ც ო ლ ი. ჩემი ბიჭები სად არიან, ჩემი ბიჭები, დედა ენაცვალოთ.

გ ლ ე ხ ი. ისინი ბოროტებას ებრძვიან, ესენი კი უფრო დიდ ბოროტებას ამზადებენ.

ვ ა ჟ ი (ნერვებაშლილი). წადით, მომშორდით, თავი დამანებეთ!..

ქ ა ლ ი. მიშველეთ, შეიშალა კაცი, მიშველეთ!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მავრმა თავისი საქმე გააკეთა, ახლა სიგიჟის უფლებაც მოიპოვა.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. საცოდავი, მგონი, მართლა შეიშალა.

ჰ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. კიდევ კარგი, ნაწერები დარჩა.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. ჯერ კიდევ გამოსათვლელია ბევრი რამ.

გ ლ ე ხ ი (ქალს). აკი ომი თავდებაო?

ქ ა ლ ი. ესენი ახლა იწყებენ.

ც ო ლ ი. ვაიმე, შვილებო, ვაიმე, ოჯახო!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. დღეიდან ქვეყნის ყოველ კიდეს მისწვდება ჩვენი ხელი, ყოველი სინათლის შუქს ჩააქრობს ჩვენი სიბნელე, ყოველ მიუვალ ორმოში ჩააღწევს ჩვენი ძალღონე! რამდენი ხანია ვეძებდით ასეთ ძალას და ჰა, როგორც იქნა, ხელში ჩავიგდეთ! პატარა, მრგვალი ბურთივით ვაკოტრიალებთ ამ დედამიწას. ის, რაც ვერ შეძლო ვერავინ, შევძელი მე. მე დავეუფლე ამ საოცარ ძალას. (აინშტაინის სურათისკენ მიბრუნდება.) აი, მეორე ამირანი, მასავით სულელი და გიჟი! სიკვდილი თვითონვე დაიჩქარა იმ მტანჯავი ფიქრით, მოვიხმარდით თუ არა ჩვენ ხალხის საწინააღმდეგოდ მის ნააზრევს. რა ვუყოთ! არც კი იყო მისი სიცოცხლე საჭირო. ამქვეყნად მან უნდა იცხოვროს, ვინც ძლიერია, ვინც ამ ქვეყანას და ადამიანებს თავისი ბედნიერებისათვის მოიხმარს. ხალხის სიყვარულს სამყარო სიგიჟემდე მიჰყავს, გამოსაფხიზლებლად კრემატორიუმებია საჭირო. არ სჯობია, ახლავე დავიწყოთ! ერთი უუმბარის ანთება და მილიონობით ადამიანით შემცირდება დედამიწა! ლამის გაიზნიქოს დედამიწის ბურთი ადამიანთა სიმრავლით.

გ ლ ე ხ ი. ათასეული წლების წინათაც ბოროტი იყო.

ვ ა ჟ ი. ხომ გაიგონეთ, რას ამბობს ეს უბედური.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (გლეხს). თქვენ ამ ადგილს მოშორდით, ყურებზე საცობი დაიცავით, სჯობია არაფერი გაიგონოთ.

ვ ა ჟ ი (გლეხს). უთხარით ყველას — მე მკვლელი ვარ. მე შეექმენი სიკვდილის მანქანა!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. არ დაუჯეროთ, გიჟია, ნამდვილი გიჟი.

ქ ა ლ ი. გიჟი გუშინ იყო, დღეს თავის გონებაზეა.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. თქვენც მოგივლით.

გ ლ ე ხ ი. ჩემი შვილების ამბავი მითხარით.

ც ო ლ ი. გვითხარით, შენ გეცოდინება, როგორ არიან ჩემი ბიჭები!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (გლეხს). დაიხსომე, კრინტი არსად დაგცდეს.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. ღალატი დაგბრალდება.

ც ო ლ ი. ჩემს უმცროს ბიჭს ფიზიკოსობა უნდოდა.

გ ლ ე ხ ი (ცოლს). გაჩუმდი, ესენი დარისპანის ბნელ გზაზე დადიან.

ც ო ლ ი. რა ვქნა, ვინ მეტყვის, ჩემი ბიჭები სად არიან ახლა?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. დღეიდან ღმერთიც ვარ და მეფეც.

გ ლ ე ხ ი. სტყუის, არ დაუჯეროთ, ამირანს ცეცხლი რომ მოპარა, მაშინაც ასე ტრაბახობდა.

ც ო ლ ი. რა ვქნა, კაცო, ბიჭების ამბავი ვკითხოთ ვინმეს.

გ ლ ე ხ ი. დაიჟინებ ბიჭები, ბიჭებიო, ხომ ხედავ, ქვეყანა რა დღეშია?

ც ო ლ ი. რა ვქნა, ქვეყანა მადარდებს, მაგრამ მე ჩემი ბიჭები, ჩემი შვილებიც მენატრებიან.

(გამოჩნდება ადამიანის ჩონჩხი, ხელთ ცელი უჭირავს.)

გ ლ ე ხ ი. ნახეთ ერთი ძველი ნაცნობი მობრძანებულა. (ცელს სინჯავს.) ეს ოხერი, კინაღამ გული გამისკდა, ჩემი მეგონა, ვიფიქრე, ხომ არ მომპარეს-მეთქი.

ც ო ლ ი. ესღა გვაკლდა, ვინ ეშმაკია, რას ჰგავს?!

გ ლ ე ხ ი. აბა, ეს გვაკლდა. ამ ქვეყანაზე ყველა სულდგმულის სასულე მაგის ცელის პირზეა მიკვერილი. ჩვენც ცელი გვიჭირავს და მაგასაც.

ც ო ლ ი. რავა ცოცხალივით ემუსაიფები. ვერ ხედავ, გამოფიტული ძვლები რახუნობენ.

გ ლ ე ხ ი. კი, ასეა. დარისპანის სიკვდილის ცელი ბრუნავს და ბრუნავს!

ც ო ლ ი. როდემდის, როდემდის უნდა ეპრუტუნო ამ საფრთხობელასა?!

გ ლ ე ხ ი. ასეა, ქალო, როდემდის, როდემდის უნდა ვითმინოთ. აბა, ახლა აქეთ წამოდი, წამოდი-მეთქი, (ძალით მიათრევს.)

(სასამართლო დარბაზი)

გ ლ ე ხ ი. (ნელა შემოდიან გლეხი და მისი ცოლი.) ამ ოთახში ყველაფერი მოღუშულია და დამწუხრებული.

ც ო ლ ი. სად მომიყვანე, კაცო, ამ უბედურ ადგილას.

გ ლ ე ხ ი. გლეხიკაცი ყველა საქმეში უნდა იყოს ჩახედული.

ც ო ლ ი. ამათი საქმე ეშმაკისაა.

გ ლ ე ხ ი. შენ გგონია, გლეხს ეშმაკი აჯობებს ჭკუით?

ც ო ლ ი. დარისპანის ხომ გეშინია?

გ ლ ე ხ ი. გლეხს არავისი არ ეშინია.

ც ო ლ ი. იმ ბიჭს რას უზამენ, მოკლავენ?

გ ლ ე ხ ი. იმ ქალის საქმროს? ისიც ჩვენი ანასხლეტია.

ც ო ლ ი. ყუმბარით რომ იმდენი უდანაშაულო ხალხი გაწყვიტეს, თურმე მაგ საწყალს გამოუგონებია.

გ ლ ე ხ ი. კი, მაგ ბიჭმა გამოიგონა.

ც ო ლ ი. ხალხი სულ ამოუჟლეტიათ!

გ ლ ე ხ ი. კი, ამოწყვიტეს.

ც ო ლ ი. მერე, კაცო, ესაა შენი ანასხლეტი?!

გ ლ ე ხ ი (დარდით). ჩვენი ანასხლეტია. ნიჭი გლეხკაცისა აქვს, ჭკუა კი სხვისი, დარისპანმა ასესხა.

ც ო ლ ი. ამბობენ, გაგიჟდაო.

გ ლ ე ხ ი. ტყუილია, უგონებენ.

ც ო ლ ი. ავადმყოფი თუა, ვერ დასჯიანო.

გ ლ ე ხ ი. ვინ იცის?

ც ო ლ ი. საწყალი.

გ ლ ე ხ ი. აგერ, ამოვეფაროთ იმ ფართო სკამებს.

ც ო ლ ი. ის ოხერი ხე კი იზრდება და იზრდება. (ბოროტების ხეზე უთითებს.) ნახე, რამხელა გამხდარა!

გ ლ ე ხ ი. ნიადაგი გაუპოხიერეს. ამათ ხელში ის ხე ძალიან დიდი გაიზრდება.

ც ო ლ ი. კი, ნამდვილად სწრაფად იზრდება.

გ ლ ე ხ ი. ნუ სწუხარ, ჩემო ცოლო! ბოლოს და ბოლოს სიკეთე მაინც მოერევა, მაინც წააქცევს მაგ შხამფესვიანს.

ც ო ლ ი (ყურს უგდებს). ხმაურია, მგონი მოდიან!

გ ლ ე ხ ი. იცოდე, ცხვირი არ დააცემინო, ჩუმად ისუნთქე. იცი, რა ეშმაკები არიან? დარისპანის შვილობილებია.

(იმალებიან. შემოდიან ჭორფლიანი, გამომთვლელი, დარისპანი და ვაჟი.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. აბა, დაბრძანდიან. (იცინის.) ამბობენ, ჩვენი საასამართლო ქაჯთა სასამართლოაო, დე, იხუმრონ!

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. ჩვენი ხელობა ხუმრობას ვერ იტანს.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. დავიწყოთ.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. დავიწყოთ. (ვაჟს.) გრძნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

ვ ა ჟ ი. მე?! რასაკვირველია! (ყველანი გაოცდებიან, მისკენ მიიწევიან.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ასე გეთქვა, რას გვაწვალე ამდენ ხანს. რამდენი ხანია შენს თავს გვთხოვენ!

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. თქვენ ვერ გაიგეთ, ეს სხვას ამბობს.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. (ადგება.) გრძნობთ თუ არა თავს დამნაშავედ სახელმწიფო ღალატში?

ვ ა ჟ ი. სახელმწიფო რა შუაშია, მე ხალხს ვუღალატე!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ერთი უყურეთ! ხალხი რა შუაშია?!

ვ ა ჟ ი. მე დავხოცე ასი ათასები, მომავალში უფრო მეტიც დაიხოცება. ყველაფერი ეს ჩემი ბრალია, ჩემი გამოგონებაა.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. ნუ ყვირით, ჩვენ სულ სხვა რამეში გდებთ ბრალს. თქვენ უღალატეთ სახელმწიფოს, ვიღაც უბირი გლეხის თანდასწრებით გაეცით საიდუმლოება, გამოიჩინეთ სისუსტე. ამისათვის პასუხი უნდა აგოთ.

გ ლ ე ხ ი (ჩუმად). ნედავ, ქალო, ჩვენც გავურევივართ ამ საქმეში!

ც ო ლ ი. რაღა გვეშველება ახლა?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ავადმყოფობას ნუ იგონებთ, სიმულაცია ჩვენთან არ გაგივათ.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. თქვენ ატომის ყუმბარა შექმენით, უარესის შექმნაზე კი უარი თქვით.

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. მოიგონეთ სიგიჟე და გლეხის თანდასწრებით სახელმწიფო საიდუმლოება გაეცით.

ვ ა ჟ ი. სად არის ჩემი საცოლე?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. დაპატიმრებულია, ის წამლავდა თქვენს გონებას.

ვ ა ჟ ი (ყვირის). ახლავე გაანთავისუფლეთ! მე ვწამლავდი მას!

მე ვატყუებდი, მე ვღალატობდი იმ შესანიშნავ ქალს.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. დაუკვირდით, რა მოუჩმახავს იმ ქალს. ის, ეტყობა, მხოლოდ ელექტრონის სკამზე მოისვენებს.

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. ასეთ სკამზე ძილი სამუდამოა, ამის შემდეგ ვეღარავის შეაცდენს.

ვ ა ჟ ი. თქვენ ხომ ჩემი მეგობრები იყავით, ერთად ვმუშაობდით, ერთად შევქმენით პირველი ყუმბარა.

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. ეს პირველი ნაბიჯი იყო. შემდეგ შენ ხალხისაკენ გადაიხარე!

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. გლეხს შესჩივლე და გააგებინე ჩვენი საიდუმლო!

ვ ა ჟ ი. ხალხი ხომ გლეხებისაგან შედგება.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ხალხმა არ უნდა იცოდეს ჩვენი ჩანაფიქრი.

ვ ა ჟ ი. აკი მეუბნებოდით, ეს ყუმბარა ხალხს დაიცავსო.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ჩვენს ნათქვამს თავი დაანებე, ლენჩო, თორემ!..

ვ ა ჟ ი. მართალი მითხარი. სად არის ჩემი საცოლე?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. შენ კითხვებს უპასუხე.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი (სიხარულით). ივენ შევქმენით შენსაზე ასიათასჯერ მეტი ძალის ყუმბარა.

ვ ა ჟ ი. ის მაინც მითხარით, რამდენი კაცი დაიღუპა ყუმბარის აფეთქების დღეს?

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. შენ ისედაც შერყეული ხარ.

ვ ა ჟ ი. თქვენ არ გაქვთ უფლება დამიმალოთ.

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. თვითონ დაუკარგე საკუთარ თავს ეგ უფლება.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. უფლება ამქვეყნად ძლიერი კაცისაა. სუსტის უფლება სიკვდილია.

ვ ა ჟ ი. გახსოვთ ერთი შლეგი, ყველაზე დიდი ომი რომ ატეხა! მასაც ძლიერ კაცად მიაჩნდა თავი.

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. ამით რა გინდა თქვა?

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. ნუთუ ვერ მიხვდი, რისი თქმა უნდა?

ვ ა ჟ ი. თვითონვე მოიკლა თავი. ძლიერმაც კი არ დაჰკარგა სიკვდილის უფლება.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (აღელვებით). შენ კითხვებს უპასუხე, მოღალატევ!

ვ ა ქ ი. ქვეყნის გაჩენის დღიდან შენ მოღალატე ხარ.

ბ ა ბ ო ვ ა ს ტ ე ლ ე ლ ი. შენსავით რბილი ადამიანები ჩვენს დროში ვერ იცხოვრებენ.

ვ ა ქ ი. ჩვენელები სჯობია, არა? მერედა, მე ცოტა დავხოცე?

ჰ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. ხომ გახსოვს, დარისპანთან როგორ იტირე? (შებრუნდება ხალხისკენ.) ამ ვაჟბატონმა დასწყევლა თავისი ტვინი და ხელები, რომელმაც პირველი ყუმბარა გაიაზრა და გაიგონა.

ვ ა ქ ი. საწყალი ჩემი საცოლე, როგორ მაფრთხილებდა, როგორ ვუყვარდი, არ დავუჯერე მე სულელმა!

გ ა მ ო მ ა ვ ლ ე ლ ი. დიახ, დარისპანსაც კი არ მოერიდა, დაწყევლა თავისი გაჩენა, დაგვწყევლა და შეგვაჩვენა ჩვენც.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. სწორედ ამიტომ ენდა მოიკვეთოს ის ჩვენგან!

გ ლ ე ხ ი (ცოლს). სიკვდილს გადარჩა, რატომღაც ვერ ბედავენ მის მოკვლას.

ც ო ლ ი. სიკვდილი კი ურჩევნია. ქვეყნის საწყევარი გახდა.

ვ ა ქ ი. ჩემი სახელი ჯოჯოხეთის ეშმაკზე უფრო საზიზღრად მოიხსენიება დღეიდან.

ჰ ო რ ფ ლ ი ა ნ ი (დარისპანს). მე არ ვიცი, რატომ გახადეთ ამ გიჟის საქმე საკამათოდ.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. საჭირო იყო! ხალხს იგი თავის კაცად მიაჩნდა!

ვ ა ქ ი. ნუთუ ჩემი საცოლე მოკლეს? ვინ მეტყვის მართალს?!

ჰ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. მტრებს პატივისცემით როდი ეექცევიან.

ვ ა ქ ი. ულამაზესი ქალიშვილი, სულით და გონებით მდიდარი, მხოლოდ მისი თვალები მათბობდა ამქვეყნად, მე კი არ დავუჯერე.

ც ო ლ ი. კაცო, ეს ის ქალიშვილია, ჩვენ რომ მოგვეწონა?

გ ლ ე ხ ი. ის არის, თავი მოუკლავს საწყალს!

ც ო ლ ი. თავი მოუკლავს, აბა, ჩემი ანასხლეტიაო, ჩემი სხეულის ნაწილიაო, რომ გამომაყრუე?

გ ლ ე ხ ი. კი, ჩემი ანასხლეტი იყო. ჩვენი სისხლის და ხორცის, გლეხის ნასხლეტი თავს არ მოიკლავდა. არ მჯერა. ალბათ, დაავადმყოფდა, ძალა არ ეყო.

ცოლი. კარგი გოგო იყო.

გლეხი. ის ვაჟი ჩემს ბიჭს ჩამოჰგავს, მაგრამ ჩემი ბიჭი ასეთ რამეს არ იკადრებს.

ვაჟი. დარისპანს, როგორც ყოველთვის, დღესაც მკვლელები და ჯადოქრები სჭირდება. მაგრამ არსებობს კეთილი ძალა! დიადი ძალა!

ჭორფლიანი. ნუთუ თქვენ გგონიათ, ეს სიტყვები შეგვაშინებს?

ვაჟი. არც მიფიქრია თქვენი შეშინება. სიკვდილს, ამბობენ, არავისი და არაფრის არ ეშინიაო. თქვენ თვითონ ხართ სიკვდილი!

დარისპანი. ნუ იღიმებით! თქვენი ღრო დასრულდა. ის, რაც დღეს მეცნიერებამ მოგვანიჭა, ნამდვილ ღმერთად გვაქცევს.

ჭორფლიანი. ადამიანი ნამდვილად გახდა სამყაროს გამგებელი.

გამომთვლელი. ჩემმა მანქანებმა გამოითვალეს ვარსკვლავთა შორის მანძილები.

დარისპანი. ყუმბარებს გავტყორცნით და თითოეულ პლანეტაზე ჩვენს საგუშაგოს გავხსნით.

ვაჟი. ყანდარმთა სამმართველოს?!

ჭორფლიანი. თუნდაც ასე იყოს!

გამომთვლელი. იქიდან დედამიწას ადევნებენ თვალყურს.

ჭორფლიანი. შფოთიან ადამიანებს იქიდანაც დააშოშმინებენ.

ვაჟი. ოკეანესავით უძირო თვალები ჰქონდა ჩემს საცოლეს.

დარისპანი. ჰქონდა. ახლა აღარა აქვს.

გამომთვლელი. ყოველი ცოცხალი სხეული შეიძლება უსულო გახდეს.

ჭორფლიანი. თუმცა შემადგენლობა ისეთივე რჩება.

ვაჟი. დამცინეთ, დამცინეთ!

დარისპანი. სასამართლო უნდა დავიწყოთ.

გამომთვლელი. დადგენილება დაწერე და გათავდება.

ჭორფლიანი. უსულონიც შეიძლება გაცოცხლდნენ.

ვაჟი. ეს ხვალ მოხდება, ჯერ ადრეა.

გ ლ ე ხ ი (დაცინვით). მკვდრების გაცოცხლებას ფიქრობენ, ცოცხლებს კი ანადგურებენ.

ც ო ლ ი. დავიღალე, წამიყვანე აქედან, წამიყვანე!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (ვაჟს). დანაშაულს აღიარებ თუ არა?!

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. მე თქვენ მაოცებთ, დიდო დარისპან!

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. დაადგინეთ, დაწერეთ და ხელი მოგვაწერინეთ.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. მაშ ასე. (ვაჟს.) თქვენი საცოლე...

ვ ა ჟ ი. ვიცი, რისი თქმაც გინდათ. ყუმბარის წინააღმდეგი იყო. ვაი, რომ-არ დავუჯერე!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ესე იგი ჩვენი მტერი იყო.

ვ ა ჟ ი. ამქვეყნად მხოლოდ მას ეუყვარდი დიდი, ნათელი სიყვარულით.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. თქვენ დიდი საიდუმლოება გაანდეთ უბირ გლეხს.

გ ლ ე ხ ი (ცოლს). გავალ ახლა და კომბლით თავს გავუჩეჩქვავ.

ც ო ლ ი. ასეთი ლაპარაკი რატომ იცი, ჩემო ქმარო?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. რისთვის გაჩუმდი? თუმცა გაჩუმება თანხმობაა.

(ამ დროს ჰორიზონტზე გამოჩნდება თეთრი კვამლი და ამ კვამლში ნელა მიცურავენ კუბოები. კუბოები სხვადასხვა ფერისაა.)

ვ ა ჟ ი (დაკვირდება). ღმერთო ჩემო! ეს რა არის? ვაი ჩემს თავს, ვაი ჩემს გაჩენას!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (ყვირის). ეს დემონსტრაცია ვინ მოაწყო, ეს შეთქმულება ვინ გაბედა?

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. ეს ხალხმა შემოგვიტია, დასაფლავებაა.

გ ლ ე ხ ი. რატომ არის სხვადასხვა ფერის ეს კუბოები?

ც ო ლ ი. ვაიმე შვილებო, ვაითუ თქვენც რაიმე გიჭირთ?!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ნუთუ ვერაფერი მოახერხეს: პოლიცია, ჯარი, ათასნაირი სამმართველოები...

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. ცაში ავარდნილმა თეთრმა სინათლემ და ტალახიანმა შავმა წვიმამ თავისი გაიტანა.

ვ ა ჟ ი. აი, რისი ეშინოდა ჩემს საცოლეს!

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი (ფიზიკოსს). შენი ყუმბარა ხომ ბევრად უფრო საშიშია?

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. მან ტალახიანი წვიმა არ იცის, თეთრი თოვლის ფანტელებივით მოეფინება მიდამოს.

ვ ა ჟ ი. თქვენ უკვე ისიც გამოგიცდიათ!

გ ლ ე ხ ი. ქალო, ხედავ რამდენი ადამიანი დაუხოცავთ?

ც ო ლ ი. ჩვენი ბიჭები კი ისევ იქ არიან, შეეხვეწე, კაცო, დარისპანს, ამბავი გვითხრას.

გ ლ ე ხ ი. პირველად ხალიბა მოჰკლეს. ახლა ასიათასები, ხვალ მილიონებს არ დაზოგავენ, ოღონდ დოლარები დააგროვონ!

(კუბოს უკან სივრცეში ვაჟის საცოლე გამოჩნდება.)

ვ ა ჟ ი. შენც მანდ ყოფილხარ. მითხარი, ცოცხალი ხარ?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (გაოცებული). თითქოს ამ ხემ ზრდა შეაჩერა.

გ ლ ე ხ ი (ცოლს). ქალო, ერთი უკანასკნელად მაინც ვცადოთ და ვკითხოთ ჩვენი ბიჭების ბედი.

ც ო ლ ი. ჰკითხე, ჩემო კაცო, ჰკითხე.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (სიკეთის ხეს აკვირდება). ეს კი უფრო გამოცოცხლდა, ტოტებს მეტი ფერი მოეცათ. უფრო ძალუმად შრიალებენ ფოთლები. რას ნიშნავს ყოველივე ეს?

გ ლ ე ხ ი (გამოდის საფარიდან). დარისპან, ერთი სიკეთე მაინც ქენი, გვითხარი ჩვენი ბიჭები სად არიან?

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (გაოცებული). შენ აქ ვინ მოგიყვანა? (გაბრაზებული ყვირის.) სასამართლოზე ვინ შემოგიშვა?

ვ ა ჟ ი (გლეხს). შენ მაინც მითხარი მართალი, ნუთუ ჩემი საცოლე მოკვდა?

გ ლ ე ხ ი. დარისპან, ჩემი ბიჭების სამყოფელი შენს გარდა არავინ იცის, გვითხარი, შე კაცო!

ც ო ლ ი (გამოძვრება). გვითხარი, ბატონო დარისპან, გვითხარი!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (გახელებული). მთელი ჯალაბი აქ ყოფილა. ამაზ ჰქვია დახურული სასამართლო?!

(უცებ გამოჩნდება სამი ბიჭი, ეტყობათ, ნაომარნი არიან, ფარაჯები გახსნილი აქვთ.)

გ ლ ე ხ ი (ცოლს). ქალო, გაიხედე იქეთ, ვინ არიან ის ახალგაზრდები?!

ც ო ლ ი (შეხედავს). უიმე! ჩვენს ბიჭებს ჰგვანან!!!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (ბიჭებს უკვირდება). ესენი ვინლა არიან? ცეცხლით უნდა ამოვბუგოთ ეს ქვეყანა!

გ ლ ე ხ ი (დინჯად). იცი, რა გაგახსენოთ, სწორედ ასე უთხრა თურმე ღმერთმა არარატის მთასთან ნოეს: თუ კიდევ ხალხი გაირყვნა, მაშინ ცეცხლით იქნება წარღვნაო!

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. (გლეხს). რა გაცინებს?

გ ლ ე ხ ი. ხედავ, ჩემი ბიჭები ცოცხლები ყოფილან!

ც ო ლ ი. ენაცვალოთ დედა, როგორ დავაუკაცებულან!

ვ ა ჟ ი (გლეხს). ჰკითხეთ, ჩემი ცოლისა ხომ არაფერი სმენიათ?

გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ ი. ეტყობა, ამ ბიჭებმა ჩვენზე ნაკლებ არ იციან სამყაროს ნატამალის ამბავი.

ჭ ო რ ფ ლ ი ა ნ ი. ნატამალი იგივე ატომია!

გ ლ ე ხ ი. ჰოო, თქვენ რაც გინდათ ის დაუძახეთ, ჩვენ კი ქვეყნის ნატამალს დიდი ხანია ვიცნობთ.

დ ა რ ი ს პ ა ნ ი (თავისთვის). ყოველგვარი ძალა უნდა ვიხმაროთ ამის მოსათოკავად.

გ ლ ე ხ ი (გაიგონა). ძნელია, რადგან ეს ბიჭები გამოჩნდნენ, ძნელია. მათ მიწის გემო იციან, თქვენც გიცნობენ, ხომ იცი ვისი შვილებია?!

(ბიჭები ნელ-ნელა ჩამოდიან მაღლიდან და დედ-მამას ეხვევიან.)

დ ა რ ი ს პ ა ნ ი. ათასობით წელი ვებრძვი ამათ და მაინც...

გ ლ ე ხ ი. ხალხნო, აქეთ მომხედეთ, თქვენი შვილები ხომ გიყვართ? ეს ხე მომაჭრევინეთ, მომათხრევინეთ. თქვენ გგონიათ, ვერ მოვერევით? აი, ჩემი ბიჭები აქ არიან; ისინი ყველა ადამიანის მეგობრები არიან. ქვეყანა მოიარეს, ყველას იცნობენ, ადამიანებსაც იცნობენ და მათ მეთაურებსაც. შეიკრიბენით! ხელი ხელს ჩაჰკიდეთ! მხარი მხარს მიეცით, გული გულს დაუკავშირეთ! მტრობა განდევნეთ, ძმობა დათესეთ. აბა, ბიჭებო, ცული მომაწოდეთ! (აძლევენ ცულს. შემოკრავს ბოროტების ხეს). აი მე პირველმა შემოვკარი. ხომ ხედავთ, როგორ ჩამოაპო ცულის პირმ› ეს ბოროტების ხე. აკი ამბობდნენ, ჩვენი ცული ვერ მოჭრისო. ხალხის მკლავი მაგარია, შეუდრეკელია, გაუტეხელია, რა არ გადახდათ ამ ბედნიერ ადამიანებს და აქამდე მაინც თავისი ბეჭებით მოიტანეს ეს მრგვალი დედამიწა. აბა, თქვენც შემოჰკარით და საქმეც ყუაზე მივა.

ც ო ლ ი. ჩემი ქმარი სულ ასე უცნაურად ლაპარაკობს!

გ ლ ე ხ ი. უცნაური აქ არაფერია, ენა დაიმოკლე, ქალო, ენა!

ც ო ლ ი. ისინი რა იქნენ, კაცო, ამირანის პირველი ადამიანები, მისი მეგობრები, ძმობილები და დობილები?!

გ ლ ე ხ ი. ხალიბა-ბიჭი უკვდავებაშია გადასული. რა ხნისაც იყო, ახლაც იმ ხნისაა.

ც ო ლ ი. სხვები, სხვები რა იქნენ?

გ ლ ე ხ ი. ვინ სხვები, ქალო?

ც ო ლ ი. უმადური ხარ, უმადური. რა უყავი იმ ბიჭს, იმ გოგოს, იმ მოხუც ქალს, აი, დუნიადარს?

გ ლ ე ხ ი. ჰოო, ისინიც ამ წუთში მოვლენ. იმათ ჩვენზე უწინ შემოჰკრეს ამ ბოროტებას ცული. აი ისინიც. ათასეული წლების მანძილზე ვებრძოდით ბოროტების ხეს და აჰა, როგორც იქნა მოსაჭრელად მივუდექით... დღეიდან ეს ხალხის საქმეა! საბოლოო გამარჯვებაც შორს არ არის! აბა, დასცხეთ, ბიჭებო!

ხალდეს ყვავილები

ჩემს მეუღლეს ჩუტა ასათიანს

რამდენი ვარსკვლავიცაა ცაზე, იმდენივე ფერის ყვავილია დედამიწაზე. ისინი მუდამ ერთიმეორეს შესციცინებენ, ვარსკვლავები ციდან იღიმებიან, ყვავილები მიწიდან ესვრიან ცის გუმბათს ფერთა სიმშვენიერეს. სოფელ ხალდეშიც ასეა, ზევით ვარსკვლავებია, ქვემოთ, საბალახოზე — ყვავილები. ამ სოფელში ერთი გლეხი კაცი ცხოვრობდა. ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, სახელად სირინო. ცისკრის თვალის გახელის დროს დაიბადა თურმე სირინო და ამიტომ ცისკარივით თეთრი იყო მისი სხეული. ხალდეს ხევებში მუდამ უკუნი დგას. ქვეყნად რომ გაჩნდა, სირინომ პირველად მათკენ გაიხედა და ამიტომ თვალებიც ღამესავით შავი გამოჰყვა.

ხალდეს გარშემო, მთის კალთებზე, გაუვალი ტყეებია აშოლტილი. ისინი ხშირი ფოთლითა და წიწვით არიან დაბურული. სირინოსაც ტევრივით დალალები დაჰყოლია. გათენების ჟამს, მზე რომ მთის წვერზე შემოჯდება, დედამიწამ ჩაფიქრება იცის. ალბათ, ფიქრობს, ქვეყნისათვის ღამე ჯობია თუ დღის სინათლეო. სირინოც, რადგან ცისკრის გახსნისას დაიბადა, ჭკვიანი ქალიშვილი დადგა.

იზრდებოდა სირინო. დღითიდღე მშვენდებოდა. როგორც ყოველ სვანს, შრომა მასაც ძალზე უყვარდა. დილით ძროხებს მოწველიდა, ყველს ამოიყვანდა, იატაკს დაგვიდა, საქონელს საბალახოზე გადენიდა, სანადიროდ წასულ მამას სადილ-ვახშამს დაუმზადებდა. მერე დგომ-საკარცხელზე თავის ხელით ნართაე შალს ქსოვდა საჩოხედ.

კავკასიონის ყინულოვანი მწვერვალების ახლოს, ყველაზე

მაღალ კლდე-ფერდს არწივის ბუდესავით მიჰკვრია ხალდე. არწივიც ბევრი ბუდობს მის პიტალოებზე. გაღმა-გამოღმა, ათასწლოვანი მარად მწვანე ხეები ცამდე აწვდილან. ლამაზი სოფელია ხალდე. ქვემოთ მდინარე ხალდეშურა ეხეთქება ტიტველ კლდეებს, ზემოთ საძოვრები იწყება. იქ მთის ყველა ბალახი ხარობს. ყველაზე მეტად კი სამყურა იყრის ტანს. მისი ღერო და ფოთოლი მზის შუქით და მიწის რძით არის სავსე. ამიტომ არის იქაური ოთხფეხი მსუქანი და გემრიელი. სირინოც სწორედ ამ იალაღებისაკენ მიდენიდა თავის ცხვარ-ძროხას. დილიდან დაღამებამდე უმწყემსოდ დაბალახობდნენ და საღამოს ჭიშკარს მოადგებოდნენ. ჯიქნები კოკებივით ეკიდათ, გავაზე ვეფხვი კბილს ვერ მოიკიდებდა.

ერთ დილით გაღმა საძოვარზე სირინომ სხვისი ნახირი შენიშნა. ნახირს ახალგაზრდა ბიჭი უდგა, ხელში ჭუნირი ეკავა და უკრავდა. წარმტაცად ნაზი ხმები მოდიოდა საძოვრიდან. ასეთი ხმები დღესასწაულის დროსაც არ გაეგონა სირინოს. ბიჭმაც დაინახა და მისკენ წამოვიდა.

— კარგი დაკვრა გცოდნია, — შესცინა სირინომ.

— ყვავილებმა მასწავლეს ასეთი სიმღერები.

— ყვავილებმა?!

— ჰო, ყვავილებმა. მათმა ფერმა და რხევამ, ნიავი რომ დაუბერავს.

— განა ყვავილები მღერიან?

— თუ დაუკვირდები და მოუსმენ, ამქვეყნად ყველაფერი მღერის.

— მე კი არ მესმის, — სინანულით თქვა სირინომ.

— მე მესმის, — მშვიდად მიუგო ბიჭმა.

— შენ რა გქვია?

— შერგილი.

— მე კი სირინოს მეძახიან. ნეტავ რატომ არ მესმის ეს სიმღერები?!

— მე ბაბუა მყავს, ჯოკია ბაბუა.

— მერე?!

— მან მითხრა, ამ სიმღერებს მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც შზისქვეშეთი ძალიან უყვარსო. ქვეყნის დიდი სიყვარული თუ გაქვს, ყველას სიმღერა გესმის და თვითონაც გემღერებაო.

— მე კი ბაბუა არ მყავს. არც დედა მყავს, არც და-ძმა.

— მაშინ რა გემღერება, ჩემო დაო?!

— არც მემღერება, შერგილ, სიმღერა კი მაინც მიყვარს.

— ნათელი გული გქონია, მაშინ ყვავილებისაც უნდა გაიგონო!

— არ მესმის, ვაიმე, ნეტავ რატომ არ მესმის?!

— ყოველი ფერი თავის სიმღერას ამბობს.

— ეს არ ვიცი, შერგილ, არ ვიცი.

— ჰოდა, უნდა მიხვდე.

— ყვავილები სულიერია?!

— ფერები უდგამენ სამყაროს სულსო, — მითხრა ჯოკია ბაბუამ.

— ვითომ?!

— ასეა, ფერები თუ აირია, დაირღვა, გაქრა, ქვეყანაც წაიშლება, გაქრება, ერთფერი გახდება.

— უიმე!

— ასეა. ხეს თავის ფერი აქვს, ქვას — თავისი. წყლის ფერი ხომ კლდისას არა ჰგავს, ცის ფერი — მიწისას? ცის სიმღერა სხვა არის, მიწისა კი სხვა. ყვავილებიც ასეა, კაცს იმ სიმღერის ეშხზე მოიყვანენ, რა ფერისაც თვითონ არიან.

— სიმღერის ეშხზე?!

— ჰო, ქვეყნად სიხარულს აფრქვევენ. აი, ხომ ხედავ, მეც ამ ეშხით ვმღერი, — წყნარად თქვა შერგილ-ჭაბუკმა და ჭუნირი ააყღერა. სიმღერა ხალდეს მთის კალთებზე და მინდვრებზე გაიშალა, ხალდეშურას ნაპირებს მოედო, რძიან ბალახს და აშოლტილ ფიჭვებს მოეფერა. შეაჟრჟოლა ყვავილებს, ათრთოლდნენ ისინი.

— ეს იის სიმღერაა — მისი ფერივით ნაზია.

სირინოს მართლა მოეჩვენა, თითქოს ხელში მთელი ბღუჯა ია ჰქონდა და მათი სურნელება აბრუებდა კიდეც.

— აბა, გვირილების სიმღერას დაუგდე ყური!

ჭუნირმა ახლა სულ სხვანაირი ჰანგები მოჰფინა მიდამოს. სირინოს თვალი ულებლიეთ მინდვრისაკენ გაექცა. ბალახებში უეცრად თითქოს თეთრკაბიანი გოგონები გაჩნდნენ. ნელი რხევით ცეკვავდნენ. სწორედ ისე, როგორც გვირილებმა იციან ნიავზე. შერე თანდათან იმძლავრა ქარმა, თეთრ და ყვითელ-

თავსაფრიანმა გოგონებმა ცეკვას უმატეს, უფრო აშრიალდნენ, მთელ მინდორს მოედვნენ.

შეშინებულმა გოგონამ ხელი მოჰკიდა ბიჭს. შერგილმა ათრთოლებული სიმები გააჩერა. ჭუნირიც დადუმდა. მიდამო დაწყნარდა, ადრინდელი სახე დაუბრუნდა.

დრო გავიდა. სირინო ყოველ დილას და საღამოს ხვდებოდა შერგილს. ჭაბუკმა მასაც გადასდო ყვავილთა ფერების სიყვარული. ისხდნენ და გარინდებული გასცქეროდნენ მიდამოს. საქონელი დაბალახობდა, ხარბად გლეჯდა სამყურას ყვავილებს, გული სტკიოდა შერგილს.

„ნეტავ რატომ გააჩინა ქვეყნის შემქმნელმა ასე, — ფიქრობდა, — ამ ფერთა სილამაზეს ხარ-ძროხა უნდა იწირავდეს?!“

ერთ საღამოს საქონელს სულ მოეტიტვლებინა პატარა, ლამაზი მინდორი. ღერი ბალახი არ დაეტოვებინა. მხოლოდ ყვავილთა ფურცლები ეყარა აქა-იქ საცოდავად. შერგილს თვალი გაუშტერდა, ერთ ადგილას ყვავილთა ფურცლები ისე მოჰფენოდა მიწას, ხარის ვეება თვალს ჰგავდა, ნამდვილ ხარის თვალს.

შერგილი დაიხარა. ფურცელთა შორის, სწორედ თვალის გუგის ადგილას, შავი კენჭი ელვარებდა.

„ვინ დააგდო ეს შავი კენჭი ამ ფურცლებში? ალბათ, უნებლიეთ მოხდა ასე. ხარის თვალი კი გამოვიდა. ეტყობა, კენჭებითაც შეიძლება ხატვა. ხალდეშურას ნაპირას ხომ ათასი სხვადასხვა ფერისა და ზომის კენჭია. რასაც მინდა, იმას დავუხატავ სირინოს.“

შერგილი თავქვე დაეშვა მდინარისაკენ.

ერთ ადგილს წყალს გვერდი ექცია და მომცრო მაღლობი დაეტოვებინა. ნაპირზე კენჭები იყო მისილული: ჭაბუკმა ამ ნაპირს მიაშურა.

დაიხარა და კენჭების ამორჩევა დაიწყო. შავი და თეთრი, წითელი და ყვითელი, წაბლისფერი და რუხი, აგურისა და წყლის ფერი. ზოგი ცისარტყელასავით მრავალფერად ელვარებდა, ზოგი სულ უფერო იყო, ზოგან თითქოს ორს ერთი ფერი დაჰკრავდა და მაინც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

— ყვავილებსაც კი არ აქვთ ამდენი ფერი! — გაოცდა შერგილი.

„იქნებ სირინოს სახე დავხატო?“ — უცებ მოუვიდა აზრი და გაუხარდა.

„ეს თვალები იყოს“, — ერთი ზომის ორი შავი კენჭი ამოარჩია და სველ სილაზე დააწყო. „ეს წარბები, წამწამები“. მალე სახის ნაკვთებზე გადავიდა. ეს შედარებით ეძნელა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. კარგად მოსაღამოვდა, გაბრუებულმა ყველაფერი რომ მოათავა. ნამუშევარს დახედა, შეკრთა — ნამდვილი სირინო უყურებდა! ქალიშვილს ბრიალა, შავი თვალები და გრძელი, შავი ნაწნავები ჰქონდა.

თავი უხურდა, თვალები ბედნიერებით უბრწყინავდა ბიჭს. კლდის ქიმზე ჩამოჯდა და გარემოს თვალი მოავლო. მერე ისევ რაღაც მოიფიქრა და წამოდგა. იქვე მდგარ თხმელას მკლავის სიმსხო ტოტები მოამტვრია, თავის ნამუშევარს შემოარაგვა. დილამდე ნადირს რომ არ გადაევლო და არ წაეშალა, ზევიდანაც ტოტები გადააფარა და შინისკენ გაუყვა.

მზე ჯერ კიდევ არ ამოწვერილიყო, რომ შერგილი სირინოს მამის კოშკს მიადგა.

სირინო ბაკში იყო, ძროხას წველიდა.

— ასე ადრე რამ მოგიყვანა, რა ამბავია?!

— ხალდეშურაზე ჩამოდი, რაღაც უნდა გაჩვენო! — წყნარად უთხრა ჭაბუკმა.

სირინომ გაკვირვებით შეხედა მის გაბრწყინებულ სახეს.

— კარგი, შენ წადი და მეც მალე ჩამოვალ!

მოვიდა თუ არა, შერგილმა თხმელის ტოტები გადასწია. სირინომ გაოცებისაგან ერთ ხანს ხმა ვერ ამოიღო.

— ეს რა გიქნია, შერგილ?! — აღმოხდა ბოლოს.

— შენ დაგხატე, ფერად-ფერადი კენჭები მოვძებნე და იმით დაგხატე. არ მოგწონს?

— უიმე, როგორ მგავს, ნამდვილად მე ვარ, ნამდვილად ჩემი თვალებია, ჩემი ნაწნავები. შენი ჭირიმე, მამამ არ ნახოს, ჯადო კაცი ეგონები, შერგილ!

• • •

დიდი დავით მეფე გელათის ტაძრის შენებას შეუდგა. სამასი ნაბიჯის დაშორებით ქვის სატეხებით ვეება კლდეებს

გლეჯდნენ და ხის მორებზე აცურებდნენ. ქვის მთლელებს მოსვენება არ ჰქონდათ. კალატოზები მიწაყრილზე იდგნენ და ისე მუშაობდნენ. უზარმაზარ, გათლილ ქვებს აიტანდნენ, დაათარაზოებდნენ, გაასწორებდნენ, დაკირავდნენ და ზევით მიწევდნენ. ტაძარი ყოველდღე მთასავით მაღლდებოდა. გუმბათი დასრულდა და ახლა შიდა სამუშაოები გაჩაღდა. ტაძარს გარედან მიწა შემოაცალეს. სარკმელებიდან მზის შუქმა შეიხედა. კედლების მოხატვა დაიწყო. ფერწერის ოსტატები ერთმანეთს ფუნჯებით ეპაექრებოდნენ. საკურთხevლის თავზე ამართულ ხარაჩოზე უწვერულაშო ბიჭი შემდგარიყო და საზომით ხელში გუმბათს აკვირდებოდა. უყურებდნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ, რას აკეთებდა.

მხატვარი არ იყო, ფუნჯი არ ეჭირა. მღებავი რომ ყოფილიყო, საღებავებით ექნებოდა ხელები დასვრილი! მლესავი არ იყო, ხელში ქაფჩა არ უჩანდა. ქვის ოსტატი რომ ყოფილიყო, საკრისი ეკავებოდა!

— ხომ არ თამაშობ, ბიძია, მანდ შენ, — ვერ მოითმინა ოკრიბელმა მღებავმა ლუკაია ლომთაძემ.

ბიჭმა ხმა არ გასცა, მხოლოდ ღიმილით ჩამოხედა.

ღიმილი მოეწონა ლუკაიას. თან ეს ბიჭი კიდეც შეეცოდა.

— არ ჩამოვარდე, ხომ იცი, მაგ სიმაღლიდან სული არ დაგყვება ძირს!

არც ახლა ათხოვა ყური ჭაბუკმა.

უცებ ჩოჩქოლი ატყდა. ტაძარში მეფე შემოსულიყო. ხუროთმოძღვარი ახლდა. ყველამ მოკრძალებით დახარა თავი. ჩოჩქოლმა ჭაბუკიც ჩამოახედა ძირს. მეფე რომ შეიცნო, შეიშმუშნა.

— მანდ რას აკეთებ, სვანო ჭაბუკო?! — გაიკვირვა მეფემ.

— უამისოდ არ შეიძლება, მეფეო, ზომა უნდა აეიღო, ზუსტი ზომა.

— ზომა? — ვერ მიხვდა მეფე.

— კი, მეფეო. ყოველი ფერის კენჭი თავის ადგილას უნდა იყოს. ადამიანის სხეულიც კი სხვადასხვა ფერითაა ნაქსოვი.

— მერე მანდ რას ზომავ, შერგილ ჩემო!

— აქ, ბატონო, იმას ვითვალისწინებ, რომელი ფერის საროთი რომელ ადგილზე უნდა იქნეს ჩასმული. თუ ეს დაირღვა, ყველაფერი წყალში გადაიყრება.

— დიდად ნიჭიერი ჭაბუკია, — ჩაილაპარაკა ხუროთმოძღვარმა, — უსწავლელი და ასეთი გამჭვალავი გონება პირველად მხვდება ჩემს ცხოვრებაში.

— მასალა თუ მოიტანეს? — ისევ ხმამაღლა იკითხა დავითმა.

— მაგის მასალა ზღვის კენჭია, მეფეე ბატონო, მთხოვა, გამიშვიო. მე თვითონ შევარჩევ და მოვაგროვებო.

— შენ სად ფიქრობ გაუშვა?

— საბერძნეთში მინდოდა გამეგზავნა. შერგილს დაუჟინია, გონიოს კენჭს მეტი სილამაზე აქვსო. იმასაც ამბობს, ჩვენი ხატი ჩვენი მასალისა სჯობიანო.

— მართალი უთქვამს — ღმერთი ხომ სხვისია და სხვისი, ხატის მასალა მაინც იყოს ჩვენი.

— როგორ თუ სხვისი?! — გაიოცა ხუროთმოძღვარმა.

— ზიარი ღმერთია. ბერძნების ზიარი ღმერთი. ამან მისცა საშუალება ბერძნებს — საუკუნეების მანძილზე ჩვენი მიწაწყლის მეუფენი ყოფილიყვნენ.

ხუროთმოძღვარს თვალები მოეწკურა, თვითონ ათინაში აღზრდილს, პალესტინაშიც ევლო და ინდოთა ქალაქებშიც. აფრიკის ნაპირები ფეხით მოევლო, ჩინეთის ტაძრების თვალსანახად სიცოცხლე სასწორზე დაედვა. ყველას ღმერთი და საღოცავი იცოდა. დავითისაგან მაინც არ ელოდა ამას. გაჩუმება არჩია. ერთი კი გაიფიქრა: დიდმა მეფეებმა ღმერთები თავიანთ სარდლებად გამოიყენესო. ეჰ, ასე ყოფილა და ასე იქნებაო, დაუმატა გუნებაში და კბილს კბილი დააჭირა. დავითი კი ამ დროს მინდორზე გავიდა. აკადემიის საფეხურებს ჩაუყვა. დიდი და მძიმე ხის კარი შეაღო. ოცდაათი ახალგაზრდა ბერი თავჩაქინდრული საქმიანობდა. არსენ მოძღვარი დასავლეთით ამაღლებულ ადგილას რაღაცას ჩაჰკირკიტებდა. არც ერთს მეფის მისვლა არ შეუტყვია. ძალზე გართულნი ჩანდნენ თავიანთი საქმით.

დავითს თვალებში სინათლე მოემატა. სახეზე სიამოვნება დაეტყო. ბატის ფრთის ყალმები ჩიტის ბარტყებივიდ წრიპინებდნენ პერგამენტებზე.

„უკვე შედგომია იოანე ბერი თავის დიდ საქმეს“, — გა-

იფიქრა მან და დარბაზიდან ისე გამოვიდა, იქ მსხდომთ ისევ არაფერი გაუგიათ.

ამან კიდევ უფრო გაახარა მეფე-ბატონი. როცა ზემოთ, მინდორზე ამოვიდა, დაინახა, ტაძრის ეზოში ქალიშვილი შემოდიოდა. ეუცხოვა დაუსრულებელ ტაძარში ქალის ყოფნა. როცა დაუკვირდა, მისმა სიმშვენიერემ შეატოკა.

— შენ რამ მოგიყვანა, გოგო, აქ?

ქალიშვილმა კარგა ხანს უყურა მეფეს, ტანსაცმელზე შეამჩნია დიდკაცობა და წყნარად, მოკრძალებით ჩაილაპარაკა:

— ხალდედან ჩამოვედი. აქ ჩვენებურები მუშაობენ, მათი ნახვა მინდოდა.

— ხალდედან?! კარგა მანძილი გამოგივლია. ძმა ხომ არ არის აქ შენი?

— არა, ძმა არ მყავს.

— ბიძაშვილია?

— არა, არც ბიძის შვილია.

— ჰო, მაშ საქმრო ყოფილა.

ქალიშვილს ლოყებზე ალმური მოედო, სიბრაზე დაეტყო.

— ქალის შეურაცხყოფა რა საკადრისია?!

მეფე შეჩქვიფდა.

— უკადრისი რა გითხარი, ქალწულო?!

— თქვენ ბატონი ბრძანდებით, ხომ? — შეუტია გოგონამ.

— დიდი ბატონია, გოგო! — გაუსწორა ხუროთმოძღვარმა.

— ეტყობა, რომ ბატონია, ტყუილა როდი მითხრა მამამ. ბატონები მოურიდებელნი არიანო. ჩვენ კი ბატონი არ გვყავს და არც გვეყოლება.

მეფეს თვალებში ასი სანთელი აენთო.

— მართალი ხარ, შვილო და დაო ჩემო. ჭეშმარიტად, ბატონები მოურიდებელნი ვართ. შენ კი ვისი ხარ ხალდედან?

— გულდედან ქალდანისა ვარ. სირინო მქვია.

— ეს კი მეფე-ბატონია, გოგო, — ისევ დაიბუხუნა ხუროთმოძღვარმა.

— მეფე?! — ქალიშვილმა თავი გააქნია, — არა, მეფე ასე არ აჩქარდებოდა. მამამ თქვა, ისეთი ჭკვიანი და ბრძენი დუნიაზე არ დაბადებულაო, შერგილმაც ასე დამაჯერა.

— აი, ხომ ხედავ, მე კი მაინც პატარა მოკვდავი შეგეფეთე.

მაპატიე, შვილო! შერგილი კი იქ არის, ტაძარში. შეიარე და ნახავ. განამუსებ, ჩვენი შეხვედრის ამბავი არავის უთხრა.

სირინო გაშტერებული გასცქეროდა მიმავალ მეფეს.

— კი, ის არის,—ჩაილაპარაკა. უცებ ჩიტივით შეფრთქიალდა და დაედევნა.

— მეფეო! მამამ სიტყვა დამაბარა!

— თქვი, სირინო ჩემო!

— ცხენი გაგიზარდე ისეთი, თქვენს გარდა სხვა ვერ შეჯდებაო.

— მადლობა მოახსენე, სირინო, მამას, თან ეს საჩუქარი მიართვი! — დავითმა სავსე ქისა მიაწოდა ქალიშვილს.

— ჰა, ღმერთო მომკალი. მამამ ისიც დამაბარა, სვანმა ვაჭრობა არ იცის, ის ყველაფერს ქვეყნისა და მეფის სიყვარულით აკეთებსო.

— აქაც მაჯობე, სირინო! — მწარედ გაეღიმა მეფეს. — კარგი, ასე იყოს. როდის აპირებს იმ კვიცის გახედნას გულდედანი?

— ზაფხულის ბოლოს თვითონ ჩამოგიყვანო.

— მანამ შეიძლება ჩვენ მოგვიხდეს იქეთ ამოსვლა.

— უკეთეს ამბავს მამას ვერავინ უმახარობლებს! — გულწრფელად გაუხარდა სირინოს.

მეფეს მეტად მოეწონა გოგონა, თავისთვის რაღაც გაიფიქრა და ოდნავ თვალის მოჭუტვით ჰკითხა:

— სირინო, შენ მაინც არ გვითხარი, შერგილთან რისთვის შეწუხებულხარ?!

გოგო ეშმაკობას მიუხვდა და გაწითლდა.

— ხალდეშურას ნაპირებზე მოგროვილი კენჭი ჩამოვუტანე.

— რა ჩამოიტანე, გოგო? — ვეღარ მოითმინა ნათქვამით დაეჭვებულმა ხუროთმოძღვარმა.

სირინოს ფერმა გადაჰკრა. მიხვდა, რომ შერგილის საიდუმლო გასცა და შეწუხებულმა მეფეს შეხედა. დავითიც იმ წუთში მიხვდა მისახვედრს.

— მეფეს, შვილო, ქართველი კაცი არაფერს დაუმალავს. ისე, თუ მენდობი, საიდუმლოს შენახვაც ვიცი.

ახლა სირინოს მამის ნათქვამიც გაახსენდა, მეფეს არაფერი დაემალება, ყველაფერი გაემხილებაო.

— შერგილმა რომ გაიგოს, შეიძლება ეწყინოს. საიდუმლოდ გეტყვი, მეფეო, მან ყვავილთა სიმღერები იცის.

ხუროთმოძღვარს თვალები აუბრიალდა. გოგო შეშლილიაო, იფიქრა და მეფეს შეწუხებულმა შეხედა. დავითს თვალი არ დაუხამხამებია, დაკვირვებით უცქერდა სირინოს.

— ყვავილთა სიმღერა ვინ გაიგონა, გოგო?!

— ქვეყანაზე არავის გაუგონია, მეფე! მარტო მას ესმის. ჭუნირზეც გადააქვს. ყვავილთა ფერებით ისეთ რამეებს მოქარგავს, ყველა სულდგმული, ვინც კი შეხედავს, სიმღერის ხასიათზე მოვა.

დავითს გაეღიმა. ხუროთმოძღვარი ჯერ კიდევ ბურანში იყო.

— ჭუნირზე უკრავს თუ? — ისევ გაღიმებით შეჰკითხა დავითმა.

— ის რომ გვირილების სიმღერას დაუკრავს, გეგონება მთელი ხალდეს გვირილები ცეკვავენო. არა, კი არ გეგონება, მართლა დაინახავ!

— ხა, ხა, ხა, — ვეღარ მოითმინა ხუროთმოძღვარმა. — გრძნეული ბიჭი ყოფილა.

— კი მაგრამ კენჭი რა შუაშია? — იკითხა მეფემ.

— კენჭები ხომ ფერადია, სხვადასხვა ფერის ყვავილთა ფურცლებს ჰგავს. მასაც ისე დაალაგებს შერგილი, გალობას გათქმევინებს.

— გესმის, ხუროთმოძღვარო, რას გვეუბნება ჩვენი სირინო?

ეტყობა, ახლა ხუროთმოძღვარიც მიხვდა მისახვედრს.

— გვიან მივხვდი, მეფეო. ჰე, რა ბედნიერებაა, ბავშვთა ენით სამყაროსთან საუბარი და მათი თვალით ამ ქვეყნის ყურება?!

— ხუროთმოძღვარო, ხომ გაგიგონია გლეხკაცის ნათქვამი, ადამიანი ეშმაკის შექმნილიაო!

— გამიგონია, მეფეო!

— ტყუილია, ჭეშმარიტად მცდარი ნათქვამია. კაცის გონება მხოლოდ ღმერთს შეეძლო შეექმნა. ეშმაკს რა ხელი

ჰქონდა მასთან. მიხვდი, რა უნდა გითხრა, ხუროთმოძღვა-რო?!

— ვერ მივხვდი, დიდო მეფეო.

— ადამიანის გონება სიჭაბუკიდანვე ილტვის ჩაწვდეს ცხოვრების იდუმალებას, და თუ მთლად ვერა, რაღაც ბილიკს მაინც მონახავს მის შესაცნობად. მომწიფდება და სიჭაბუკის ფიქრიც სიდარბაისლეში შედის, ისიც მასავით მწიფდება, ნაყოფიც სრულდება და რთველიც იწყება.

— უცილოდ ასეა, მეფეო, სიჭაბუკეში მეც მესიზმრებოდა ტაძართა დიდი კედლები და ცადაზიდულ შვიდ სვეტზე ამართული მისი ლაჟვარდოვანი გუმბათები. ახლა, სიჭარმაგეში, თუ მეასედს მაინც შევასხი ხორცი, ბედნიერი კაცი ვიქნები.

დავითს თითქოს არაფერი ესმოდა, გარინდებული მიაბიჯებდა.

— მე კი სიჭაბუკიდან ჩვენი მამულის აღდგენა მქონდა ფიქრად და დარდად. ასი რომ გავაკეთო, ასჯერ ასი გასაკეთებელი დამრჩება. ბედნიერია ის ბიჭი, რაც უფიქრია, ასრულებს კიდეც.

უნებლიეთ უკან მოიხედა და ტაძრის კედლებს მიაჩერდა. ხარაჩოებიდან ჩამოსული შერგილი გაბადრული მიჰყვებოდა სირინოს. რომ დაინახა მეფე მისკენ იხედებოდა, სირბილით წამოვიდა.

— ხალდეშურას კენჭი ჩამომიტანეს ხალდედან. ნახეთ, მეფეო. იქნებ ფერთა ელვარება არ მოგეწონოთ.

მეფემ ხუროთმოძღვარს შეხედა.

— აკი გონიოს კენჭი მინდაო! — გაიოცა ხუროთმოძღვარმა.

— მე, ბატონო, ხალდეშურას ხვინჭკი მინდა გონიოსას შევადარო. თუ საჭირო იქნა, შევურიო კიდეც. მთის გიჟმაჟ წყალს სხვა ზომისა და ფერის კენჭები აქვს, ზღვას კიდევ სხვანაირი, ჩვენ ორივე უნდა გავსინჯოთ.

— სიმონ გამდელს და თეოდორეს ჰკითხე, შერგილ. ეს საქმე მათ უკეთ იციან.

დავითმა წასვლა დააპირა.

— მათ გარეშე ბიჯს როგორ გადავდგამო, — თითქოს თავისთვის, მაგრამ მტკიცედ ჩაიღურღულა შერგილმა და მეფეს გაჰყვა.

— მოძღვართ-მოძღვარ იოანეს უბრძანებია, მცხეთის ჯვარიც ნახოს, წრომის ტაძარშიც ავიდეს, ბიზანტიაშიც უნდა გავგზავნოთო.

— ეს კარგი უთქვამთ. იქ ბევრ რამეს ნახავ და ისწავლი. მაგრამ იცოდე, მათი მსგავსობა არ ქნა. შენ შენებურად უნდა გააკეთო.

ხუროთმოძღვარმაც შეხედა შერგილს, ეტყობოდა, მის თვალებში უნდოდა ამოეკითხა, გაიგო თუ არა მეფის ნათქვამი. ყმაწვილმა.

— სიმონ გამდელზე და თეოდორეზე კარგად წერენ ხატებს ბიზანტიაში?! — გულუბრყვილოდ შეეკითხა ხუროთმოძღვარს შერგილი, თან მეფეს კითხვის თვალით შეხედა.

— იმათ რა იციან, შენი თვალით ხედავ! ახალგაზრდა ხარ და ყველაფერი უნდა ნახო.

ეზოს კარში იოანე მოძღვართ-მოძღვარი გამოჩნდა. თვალი ჰკიდა თუ არა მეფეს, შეშფოთებული შუბლი გაეხსნა.

ბიჭი უცებ შეაჩერდა დავითს და გაოცდა. მეფეც ისე იზრდიდა წვერ-ულვაშს, როგორც მოძღვართ-მოძღვარი.

„მე მაფრთხილებს, სხვასავით არ აკეთო ხატებიო, თვითონ კი გულით უნდა, იოანეს დაემგვანოს. თურმე მეფეებიც კი სხვებს შენატრიან! როგორც ავალ სვანეთში, ბაბუას უნდა ვუთხრაო“, — გაიფიქრა.

იოანეს მოწიწებით მიესალმნენ მეფეც და ხუროთმოძღვარიც.

— მოძღვართ-მოძღვარო, მცხეთის ჯვრის და წრომის კონქები თუ გინახავს მიკენჭილ-მიხატული?!

იოანემ შერგილს გადახედა.

— ეს არის, მეფეო, ის სვანი ბიჭი, შენ რომ მიქე?!

— კი, ეს არის, აუცილებელია ბიზანტიაში მისი გაგზავნა, თუ ჩვენი ტაძრების ნახვაც საკმარისია?

იოანემ შერგილს თავზე შხვართი თითები დაადო, თავისკენ მიაბრუნა და პირზე სხივები გაუმრავლდა.

— ამ ბიჭს ეტყობა, რომ გვასახელებს. ბიზანტიაში წასვლა კი ერთი ზამთარი მაინც მოუხდება. წერილს მივუწერ დიდ მოძღვართან, მეც გთხოვდით, მეფეო, რომ იქ ორი ყმაწვილი

გაგეშვათ, ეტრატები უნდა გადავაწერინოთ, უამისოდ გაგვიჭირდება.

შერგილს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ფიქრმა გაჰკრა, მაშინ სვანეთში უნდა ავიდე, ბაბუა ვნახო, გამოვემშვიდობო, ვინ იცის, დამხვდება თუ არა ცოცხალიო.

— ორი ვითომ საკმარისი იქნება, იოანე მოძღვარო?

— გავსინჯე და ხელწერაში სხვები ჯერჯერობით მოიკოჭლებენ. მომავალში მოვამზადებთ და მეტს გავგზავნით.

შერგილს თვალები გაუბრწყინდა.

— სირინო ისე ხაზავს, მეფეო, რომ მისი გამოყვანილი ასოები ჩიტის ნისკარტებივით ლამაზებია.

მეფეს და ხუროთმოძღვარს გაეღიმათ.

— კი, მეფეო, — არ ცხრებოდა შერგილი, — ჩვენმა მოძღვარმა გადააწერინა საგალობლები და თქვა, ქვეყნად ასეთი ხელწერა არ მინახავსო.

— სირინო ვინ არის? — იკითხა იოანემ.

— ჩემი სოფლელია, ხალდედანაა, ჩემზე ორი წლით არის უმცროსი.

— სვანთა მზეთუნახავია, — დაუმატა დავითმა და ღიმილით გადახედა შერგილს. იოანე, ეტყობა, მიხვდა მისახვედრს.

— მერე შენ-გინდა, ყმაწვილო, ქალწული ქალი უცხო ქვეყანაში გადავკარგოთ, მშობლები ვითომ თანახმა იქნებიან?!

— მერედა, ასეთი მშვენიერება იქ რომ მოგვტაცონ? უცხო ქვეყანაში ვინ იქნება მისი მცველი?! — ისევ არ შეცვალა კილო მეფემ.

— მე იქ არ ვიქნები, მეფეო?! — გაუწითლდა ლოყები შერგილს. — სირინო კი უჩემოდ ფეხსაც არ გადადგამს.

სწორედ ამ დროს სირინომ კენჭებით სავსე, შაბში გამოყვანილი თხის თეთრი გუდა ქოშინით შემოათრია ჭიშკარში.

— ქალს ასეთ მძიმე ტვირთს ათრევინებ, ვაჟო? — კეთილი ღიმილით შეუტია შერგილს მეფემ.

— სირინო! — დაუძახა შერგილმა. — ხომ გითხარი, ცხენიდან საპალნე უჩემოდ არ ჩამოიღო-მეთქი?

— მინდოდა მეფეს ენახა ხალდეშურას ხვინჭკის ნაირფერობა და სილამაზე.

— აქ მოიტანე! აბა, ერთი მუჭა მოლზე გადმოყარე! — შეელაპარაკა ხუროთმოძღვარი.

შერგილი გაიქცა და სირინოს მიეშველა. გუდა ხუროთმოძღვრის ფეხებთან დააგდო, ყელი შეხსნა და გასწი-გამოსწია, იქიდან წვრილ-წვრილი ყვავილებივით ნაირფერად ამოანათა კენჭებმა. ყველანი დაკვირვებით დააცქერდნენ. შერგილმა რამდენიმე პეშვი ამოიღო და ახლად ამოწვერილ მოლზე დაყარა. სხვადასხვა ფერის კენჭებმა სიმწვანეში თვალები უფრო დაჭყიტეს.

— აი, ნამდვილი მშვენიერება, არ მეგონა, ხალდეშურას ნაპირზე ამდენი ფერის კენჭებს თუ იპოვნიდა კაცი! — გაიოცა დავითმა.

— ეს სირინოს შეურჩევია, ასე შევითქვით, — გაეღიმა შერგილს და მადლობის თვალით გაიხედა ყმაწვილი ქალისაკენ.

— „ქვეყნის-სამზომლო“ ხომ არ გისწავლია, შვილო! — გაოცებით შეეკითხა იოანე ქალწულს.

— რა ბრძანეთ, მოძღვართ-მოძღვარო? — ვერ მიხვდა შერგილი და მერე უდარდელად დაუმატა: — სირინოს მარტო მამამისი ასწავლიდა ანბანს.

მეფეს გაეღიმა:

— მოძღვართ-მოძღვარო, სირინო შერგილის თვალებით ზომავს ქვეყანას. მისი მეცნიერება ყველაზე დიდი მეცნიერებაა ამქვეყნად.

ხუროთმოძღვარი დაკვირვებით ჩასცქეროდა პეშვზე დაყრილ კენჭებს.

— დიახ, საოცრებაა! — თითქოს არც გაეგონოს მეფის სიტყვა, ისე განაგრძო მან. — დაუკვირდით, სუნიც კი თავისებური აქვთ. მთის ყვავილის სურნელება რაღაცნაირად შემოუნახავთ. მე მეგონა, ზღვის კენჭს ჰქონდა მარტო სურნელება.

იოანემაც პეშვით აიღო კენჭები.

— წაბლის სურნელება აქვს, — წყნარად თქვა, მერე თვალებთან ახლო მიიტანა და დააჩერდა. — თითქმის სუყველა ბრტყელ-ბრტყელია. მართლაც მისწრებაა მოსახატად.

— „სოფიას კენჭი“ მაინც დაგვჭირდება. გამჭვირვალეა, მინასავით შუქს ატარებს. ეტყობა, ერთმანეთში უნდა შეეურიოთ.

მეფემ არაფერი თქვა, წყნარად გაემართა ჭიშკრისაკენ. როცა უკან მოიხედა, დაინახა, იოანეს და ხუროთმოძღვარს არსენ წინამძღვარი ესაუბრებოდა.

„ნეტავი იოანე და არსენი თუ კიდევ დაობენ ერთმანეთში, — გაიფიქრა და ფიქრშივე დაუმატა: — ბრძენთა დავა ხალხისთვის სასარგებლოა. მეფეთა დავაა სისხლიანი და კაცთსაძულველი, ხალხთა დოვლათის გამჩანაგებელი, ადამიანთა გონების დამსუსტებელი. თუმცა უმეფოდაც არ შეიძლება. გონიერებს უგნურები ჰარბობენ ამ სოფელში ყოველთვის და უმეფოდ ისინი ყველაფერს წალეკავდნენ“.

* * *

იმ წელს ზამთარი ადრე მოვიდა. გიორგობის თვეში ხალდეს კალთებზე სამი წყართა თოვლი იდო. მონადირეები მთაში გაიკრიფნენ სანადიროდ. სირინო შერგილის გამოგზავნილ თბილ შალის ჩაბალახს ყვავილებს აქარგავდა.

— უფრო რბილი და თხელი ღაზლის ქსოვილი რომ იყოს, დარაია ძაფი უფრო მიეფერებოდა ქსოვილს. ეს კი თბილი იქნება, მაგრამ უხეში ჩანს, — ელაპარაკებოდა თავის თავს.

ძროხა და ხარი თივას ახრამუნებდნენ,

კერაზე ცეცხლი გიზგიზებდა. კოშკის თავზე ყინვის ლოლოები ეკიდა. ძელურში კვამლი ბრუნავდა.

უცებ ხმაური მოისმა. სირინომ ყურები ცქვიტა. მალე ზღურბლზე ვილაცამ ფეხი შემოდგა.

— რომელი ხარ?

— კარი გააღე, შვილო, მე ვარ! — გოგონა ისე წამოფრინდა, თითქოს ფრთები შესხმოდეს. გათოვლილ გულდედანს კისერზე ხარჯიხვი გადაეწვინა. ნელა მივიდა და ტვირთი რბილად დადო კერიასთან. ვეება ხარჯიხვი იყო. სამ-სამი წყართა რქები მოჭრილ მუხის ტოტებივით ეყარა მიწაზე.

— ჩვენს ძროხაზე დიდია! — გაიკვირვა სირინომ.

— დალის თვალი მწყალობს, შვილო. მეორეც მოვკალი, თოვლში ჩავფალი, გოგირდი ვუკმეე, ნადირი რომ დააფრთხოს. დილით უნდა გავბრუნდე.

— ნეტავი ერთხელ დალი მაჩვენა. ამბობენ, ქალს არ და-

ენახვება, ეჯავრებაო. შერგილი რომ შეხვედროდა, თუ ეჩვენებოდა ნეტავი?! კარგი ვაჟები უყვარს თურმე.

— რას ამბობ, გოგო. დალიზე ასეთი ლაპარაკი გამიგონია? რომ გამიჯავრდეს, ხომ დამღუპავს.

— შენ როგორ ფიქრობ, მამა, შერგილს ეჩვენებოდა თუ არა დალი?

— რას ამოიჩემე, გოგო, ის გადაკარგული ბიჭი!

— გადაკარგული კი არა, მეფის წარგზავნილია.

— მერე ამდენ ხანს რად არ გაგვიხსენა? შეიძლება იქ დაცოლშვილდა კიდეც.

სირინო ელდანაცემივით წამოვარდა.

— რას ამბობ, მამა! შერგილს ორი გული არა აქვს, ყველა სვანივით ისიც ერთი გულის პატრონია!

— ჰე, რა ვიცი, შვილო, მაშ ამდენხანს სიტყვა ვერ მოგვაწვდინა?! შენი შეხედვა გულს მიკლავს. ხანდახან დედაშენი მომელანდება, ალბათ, მასაც აწუხებს შენი გულისტკივილი!

— შერგილი მალე ჩამოვა, სულ მალე, დედას კი, თუ კიდევ დაგესიზმროს, უთხარი, სირინო ბედნიერია-თქო. მთელს სვანეთში ვის ჰყავს შერგილისთანა საქმრო!

გარეთ თოვლი აჭრიალდა.

— ვიღაცაა, მამა! — გაფითრდა გოგო. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ კოშკის ძირიდან ძახილი მოისმა.

— სირინო, სირინო, ძაძუ ვარ! სტუმრები მოგიყვანე, დიდი მეფის წარმოგზავნილებია!

— საპატიო სტუმრებია. ღმერთო, შერგილის კარგი ამბავი ათქმევინე მოსულებს! — პირჯვარი გადიწერა ძველმა მონადირემ.

— გახედე, მამა, მე კი მანამ კაბას გამოვიცვლი, ასე სირცხვილია.

გულდედანმა კარი გამოაღო. მეზობლის ქალს ორი ნაბადშემოხვეული ვაჟკაცი შემოჰყვა.

— მშვიდობა ოჯახს!

— გამარჯობა არ მოშლოდეს ამ კერას!

— მობრძანდით, მობრძანდით! მეფის მოგზავნილები — ღვთის მოგზავნილებია. რისთვის გაგსარჯათ დიდმა მეფემ ასეთ ამინდში?

— მოგიკითხათ მეფეთ-მეფემ, საჩუქარიც მოგიძღვნათ. მათ შორის ერთი შერგილს გამოუგზავნია შორეული ზღვისპირეთიდან.

— ღმერთმა თქვენს მარჯვენას უშველოს. თუ შერგილი ავად არ არის, ჩვენც ბედნიერები ვართ მაშინ, შვილებო!

— კარგად ყოფილა, ეს ზამთარიც და კვირიკობისთვეში მანდ ვიქნებიო, შემოუთვლია. მეფემ თქვენი ქალიშვილისთვის ცალკე გამოგვატანა მოსაკითხი.

ჭაბუკებმა ხურჯინის თავი ნელ-ნელა გახსნეს.

— ამ თოვლში რომელი გზით მობრძანებულხართ, ვერ მიმიკვლევია?! — გაკვირვებით იკითხა მასპინძელმა.

— უშგულით მოვედით. ბანდულებზე შეჩვეულნი, თვითონაც უშგულელები ვართ. ახლა მეფის კარზე ვიყავით.

— კარგი ყმები ყოფილხართ, შვილებო, ღმერთმა და მეფემ გაკურთხოთ! დავით მეფე ხომ კარგად გვყავს?

— შემოგითვალათ — კვიცის გამოგზავნისთვის მადლობა მომიხსენებიაო.

— ღმერთმა უშველოს, ჩემი კვიცი რა სახსენებელია, მაგრამ მაინც მესურვილება გავიგონო, ხომ კმაყოფილია დიდი მეფე?

— ასეთი მძლავრი, მოუღლელი მუხლი დუნიაზე ცხენს არ ექნება! დავითს არაბული ცხენების რემა ჰყავს. ვერც ერთმა ფეხი ვერ გაუსწორა შენ ნაჩუქარ კვიცს.

— მთის ცხენია, შვილო, ძლიერი წვივი აქვს. მერე მე ჯიხვის რძით ვზრდიდი სამეფო კვიცს. ნადირის რძეს კი სხვა ძარღვი აქვს, ცხელია, ცხენს სისხლს უთბობს, უდეგარს და მოუღლელს ხდის.

სირინო კოშკის კიბიდან ჩამოვიდა და მოსულებს მიესალმა. ვაქებს თვალებში სინათლე ჩაუდგათ.

— რად ირჯებოდა მეფე-ბატონი, განა ცოტა აქვს საზრუნავი? თქვენიც დიდი მადლობელი ვართ, რომ შერგილის სიკეთე გვითხარით.

სტუმრებმა სირინოს მეფის ძღვენი მიაწოდეს. ძვირფასი ბეწვის ჯუბა იყო.

— უიმე, ამას ვინ ჩაიცვამს?

— ქორწინებამდე ეს იყოს და ქორწინებისთვის სხვა გვევალებოდესო, — ბრძანა დავითმა.

— შერგილი კვირიკობისთვეში ჩამოვა. მწიფობისთვეში ქორწილი უნდა გადავიხადოთო, ბრძანა მბრძანებელმა, — წყნარად დაუმატა მეორემ.

— თქვენ პირს შაქარი. ახლა ეს ჯიხვი გავატყაოთ და მწვადები შევწვათ.

— შერგილის საჩუქარი არ მოგვირთმევია ჯერ.

პირველმა ვაჟმა ლამაზად ნაქსოვი ბოხჩა გახსნა. აბრეშუმის წითელ ქსოვილში რაღაც იყო შეხვეული. თვალებაბრიალებულმა სირინომ მორცხვად ჩამოართვა და გაშალა. შიგ პატარა სახარება აღმოჩნდა. ვერცხლის ყდაზე დავითის სახე იყო მინასავით გამქვირვალე წვრილი კენჭებით ჩაქედილი. მეფე საოცრად ცოცხალი თვალებით იყურებოდა.

— შერგილის ხელია! — აღმოხდა სირინოს.

ფურცელი გადაშალა. ქართული ასოებით იყო ნაწერი.

— გელათშია ნათარგმანები, ყდა კი უცხო ქვეყანაში გაუკეთებია. ბარაქალა, ბიჭო! სამწუხაროა, მეფეს არ უნახავს ეს წიგნი.

— რატომ არ უნახავს?!

— შეხვეული იყო და როგორ იკადრებდა მის გახსნას.

სირინო ჩაფიქრდა.

— მაშინ, როცა უკან წაბრძანდებით, თქვენ თვითონ წაუღეთ მეფე-მბრძანებელს. ნახოს, გაეხარდება. ახლა კი, მამა, ვახშამს მივხედოთ, შენც დამშეული ხარ და სტუმრებიც.

მან წიგნი ასწია სახატეზე შემოსადებად და უცებ იატაკზე გვირილის ხმელი ფურცლები გადმოცვივდა.

— ხალდეს ყვავილებია. შერგილს შეუნახავს ფურცლებშუა! — გაებადრა სახე სირინოს.

• • •

სოდომ-გომორის ქალაქია ბერძენთა ეს ქალაქი. რამდენი ადამიანია, იმდენი ენაა. ვის გაუგონოს სვანმა ბიჭმა! ბერძენი და სპარსელი, ისრაელი და არაბი, პაჭანიკი და ათასი კიდევ სხვა. დიდმა მოძღვართ-მოძღვარმა, სანამ მთვარე ათჯერ

დაილეოდა და გაივსებოდა, ორი ღერი ბერძნული ასწავლა, ეს არის და ეს. ამ სიტყვებით პურს თუ იყიდის და წყალს დალევს. არაფერი არ მოსწონს ამ ქალაქში ერთის გარდა; ბაღჩები ვარდებითა და ყვავილებით არის სავსე. ასეთი ვარდები ხალდეს მინდვრებს არც დაესიზმრება. ორი პეშვის ხელაა თითო კოკორი. ახლა სურნელი?! ერთი ვარდის სურნელი მთელ ხალდეს გააბრუებდა! ნეტა ერთი სირინოსთვის გააგზავნინა ეს ყვავილები უჭკნობლად! იქნებ თესლი ჩავიგდო ხელში. იქნებ კი არა, აუცილებლად უნდა ვიშოვნო. დავით მეფეს გაეხარდება. მერე როგორ დაამშვენებს უქიმერიონის ბაღებს!

ცაზე კი ვარსკვლავები თითქმის ისეთივე ჩანდა, როგორც ხალდეში. ოღონდ ესაა, სხივთა ციალი იყო სხვანაირი! თითქოს უფრო მეტად ნაზი და ხავერდოვანი. იქ კი, მის ხალდეში, ვარსკვლავები მნათი და აილამას მწვერვალივით მიუკარებელნი არიან. ეჰ, როდის გავა დავითის დათქმული დრო! შერგილმა საკუთარი თვალით ნახა სანახავი. გასაკვირი არც არაფერია! იცის ხალდელმა ჭაბუკმა, ზღვის კენჭით როგორ მოხატოს ჩაფიქრებული სახე და ნივთი. ამ ქალაქშიც რომ არ წამოსულიყო, ისედაც დაძლევდა განზრახულს. ღმერთო, არ შეგცოდო და სწავლით არც თუ ცოტა ისწავლა. ბევრი რამ ახალი ნახა და შეითვისა.

დიდი ოსტატები ჰყავთ ბერძნებს. ისეთი თვალი აქვთ, მზის ფერს ათასნაირად დაგიხატავენ და მზეობას კი მაინც ყველგან აგრძნობინებენ მნახველს. მალე გელათშიც ეყოლებათ ასეთი ჭაბუკები. დიდი იოანე და მოძღვარი არსენი კავკასიის მთებს გადადგამენ, თუკი მოინდომეს. ჰოი, იოანე, იოანე! მართალია, დავით მეფეს არც რაინდობა აკლია და არც სიბრძნე, მაგრამ შენი მსგავსი ადამიანები აღამაღლებენ ერის გონებას, მისი სიბრძნის სალაროს შენისთანა შეწირული ადამიანები ამდიდრებენ.

ამ ფიქრში გართული შერგილი ნელი ნაბიჯით მიდიოდა ბოღაზისკენ, იქნებ ხომალდს ქართველი ვინმე ჩამოჰყვესო. იქაური ამბები აწუხებდა ძალუმად.

უზარმაზარი ბოღაზი ათასი ჯურის ხალხით იყო სავსე. ხომალდებს ნუ იკითხავთ! აფრების თვალუწვდენი ტყეები ირხეოდა ზღვაზე. ვაჭრები და მოლები, მღვდლები და ბერები ერთ-

მანეთში ირეოდნენ. ქუჩები გლახაკებით იყო სავსე. სვანი კაცისათვის მაინც ყველაზე ლამაზი და საოცარი ზღვის ულამაზესი ლურჯი უბე იყო. სანაპიროზე დიდებულთა სასახლეები იყო წამოჭიმული. ბაღებში ათასნაირი ვარდი, ფორთოხალი და მისთვის უცნობი სურნელოვანი მცენარე ჰყვაოდა.

სვანეთის წყლები და მდინარეები მაინც სხვა არის. ხალდეს ცას შეტოტებული მწვერვალები მთელ დუნიას ურჩევნია.

უცებ ორი უცხო კაცი დალანდა. მათი მიხვრა-მოხვრა, სიარული და სახის ნაკვთები ეცნაურა. ტანსაცმელი კი ნამდვილად ქართული ეცვათ.

— ქართველები ბრძანდებით? — შორიდანვე შეეკითხა.

— დიახ, საქართველოდან ვართ. შენ კი ვინა ხარ, ჭაბუკო?

ახლა კარგად შენიშნა შერგილმა, ისინი უბრალო აზნაურები არ იყვნენ. ქამარ-ხანჯალი და ხმალი სულ ოქროთი ჰქონდათ მოჭედილი.

— შენ ის სვანი ჭაბუკი ხარ, ალბათ, გელათის ტაძრის გუმბათის მოსახატად რომ გელიან!

— ვინ მელის?! — შეცბა შერგილი.

— თვითონ მეფე დავითი. სულ მალე ყველაფერი დასრულდება. შენ კი გუმბათის კედლის აღმოსავლეთ მხარეს გიტოვებენ. ასე უბრძანებია ხუროთმოძღვარს.

— თქვენ რისთვის გარჯილხართ?!

— ჩვენ ბერძენთა მეფის კარზე ვართ წარმოგზავნილები მეფეთ-მეფის დავითისაგან.

— როდის წაბრძანდებით? იქნებ მეც გამოგყვეთ, ჩემიანებთან მგზავრობა გამეხარდება.

— ჯერ არ ვიცით, ჭაბუკო, თანაც მეფის დასტურის გარეშე ვერ წაგიყვანთ. მან დაგვისაგზლა, ინახულეთ და ჩემი ბრძანება უთხარით: ბევრი ისწავლოს, ჩვენს მიწაზე სასახლეების და ტაძრების შენება აწი უნდა დავიწყოთო.

— ნუთუ მეფეთ-მეფეს ვახსოვარ? — გაწითლდა შერგილი.

— ახსოვხარ კი არა, გვიბრძანა, მოინახულეთ და ჩემი საჩუქარი გადაეცითო, — უთხრეს და ხელში ოქრო-ვერცხლით სავსე აბრეშუმის ყაითნით ნაქსოვი ქისა ჩაუდეს. — არაფერი მოიკლოსო, დაგვაბარა.

ჭაბუკი გაოგნებული დასცქეროდა ქისას.

— იცოდე, ხვალ შინ გამოგივლით, არსად წახვიდე. ნაბრძანებ ადგილზე უნდა მიგიყვანოთ, — უთხრა პირველმა.

შერგილი ამის მთქმელს დააკვირდა. მეტად ახალგაზრდა ჩანდა მოსული. შავი, თხელი წვერ-ულვაში მის ნათელ სახეს ვაჟკაცურ იერს აძლევდა. „ვინ უნდა იყოს ნეტავი", — გაიფიქრა შერგილმა. მერე უცებ მიხვდა, კინაღამ შუბლზე იტკიცა ხელი! კი, ნამდვილად სახლთუხუცესი იდგა მის წინ.

„ესენი დიდ საქმეზე არიან ჩამოსული. მეფე სახლთუხუცესს ადვილად არ გამოუშვებდა", — გაიფიქრა მან.

— თქვენს ბრძანებას ვინ გადაუვა, სახლთუხუცესო! — უცებ წამოცდა ეს სიტყვები.

— მიცანი?! — გაოცდა სახლთუხუცესი. — იცოდე, არსად დაგცდეს! არაა საჭირო, ჩემი აქ ყოფნა სხვებმა იცოდნენ. ხვალ კი გამოგივლით, ბინა ვიცით, პირველად როდი ვართ ამ ქალაქში. აბა, თუ მიხვდები, სად უნდა წაგიყვანოთ?!

— აზრი ვერ მიმიწვდენია, სახლთუხუცესო.

— მეორედ არ წამოგცდეს ეს სიტყვა, აკი გაგაფრთხილე!

— ბოდიში, ბატონო, — შეწუხდა შერგილი.

— ხვალ მეფის სრა-სასახლე და ბაღები უნდა დავათვალიეროთ. დავითს უნდა, საკუთარი თვალით ნახო მათი სიმდიდრე და მხატვრობანი.

შერგილს სიხარულისაგან ელდა ეცა.

— ეს ჩემი ფიქრი იყო! — წაილუღლუღა მან.

— ასეა, ძმაო, დავით მეფემ ყველა მისი ქვეშევრდომის ფიქრი იცის და მის აღსრულებას თვითონ ცდილობს. ამიტომაა დიდი მეფე.

— ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მოგცეს!

— აბა,ჩვენ წავედით. მშვიდობით.

ორი ნაბიჯიც არ გადაედგათ, რომ სახლთუხუცესი ისევ შემობრუნდა.

— შერგილ! — შემოსძახა ჭაბუკს. — ჭუნირი ხომ არ წამოგყოლია? დავით მეფე დაკვრას გიქებს. მისი ხმები სამშობლოს გვახსენებს.

— კი, ბატონო, ჭუნირი ჩემი ხმალიც არის და ფარიც.

— მაშ ხვალ ადრე გამოგივლით, წასვლამდე ერთ-ორ სიმღერას მოგვასმენინებ.

— როგორც თქვენ ბრძანებთ, ისე იქნება, ბატონო!

* * *

ზღვა წყნარი იყო და ლურჯი. საღამოს გრილი ნიავი ნელა არხევდა ხეების ტოტებს და ზღვაზე გაშლილ აფრებს. დიდი ხომალდები თეთრი ღრუბლებივით მოჩანდნენ შორიდან.

შერგილის სენაკის წინ სამნი ისხდნენ. ჭუნირის ხმა წყნარად დაირხა ზღვისპირეთში. წყნარადვე დაიგალობა შერგილ-ჭაბუკმა. ნელ-ნელა გაიღო მონასტრის სხვა სენაკთა კარები და თავი გამოყვეს ბერებმა და შეგირდებმა. ერთმა ვერ მოითმინა და ბერძნულად დაიძახა:

— შერგილი უკრავს. გამოდით, ბიჭებო, გამოდით!

— შენ, ჭაბუკო, ეტყობა, თავი გამოგიჩენია კიდეც! — გაეღიმა სახლთუხუცესს. შერგილმა ხმას თანდათან აუწია.

ახალგაზრდა შეგირდები გარს შემოეხვივნენ.

— იცოდე, ტოლივით მელაპარაკე, გინდა, ნათესავად გამთქვი! — ხმადაბლა ჩაულაპარაკა სახლთუხუცესმა.

მოსულებს ერთი ახოვანი, შავთმიანი ყმაწვილი გამოეყო.

— ლილე იმღერე, შერგილ! — შეეხვეწა სვან ჭაბუკს.

— ჩვენი სიმღერებიც ასწავლე, ბიჭო, ამათ?! — გაოცდა სახლთუხუცესი.

— თვითონ ისწავლა. მეტად მოსწონს ჩვენი სიმღერები. ამ ბოლო დროს თვითონაც მეხმარება. ისეთი მოძახილი აქვს, მოგეწონებათ. ათინელი ბერძენია, ოქროს ხელი და გონება აქვს.

— თანამემამულეები არიან?! — იკითხა ისევ ბერძენმა. — დიდი კაცები ჩანან, ის ერთი მაინც ბრძენი იქნება!

სახლთუხუცესს კინაღამ სიცილი შესკდა. შეგირდმა ის კი არა, მისი მხლებელი ჩათვალა ბრძენ კაცად. თავი შეიკავა, იცოდა, ბერძნულის ცოდნის გამეღავნება საკუთარი თავის გამეღავნებას ნიშნავდა.

შერგილმა ლილე წამოიწყო. სახლთუხუცესმა და მისმა მხლებელმა ვეღარ მოითმინეს და ხმა ააყოლეს. მწყობრი სიმღერა საოცარი სიძლიერით ამაღლდა. უსმენდნენ და ეგონათ,

კავკასიონის მთები თანდათან გუგუნით შიშვლდებოდნენ და მაღლდებოდნენ, კალთებს იშმუშნიდნენ, მხრებს იბერტყავდნენ და ყინული და თოვლი ხევებში სცვიოდა, ქვესკნელში მიქშუოდა. თითქოს სამი ქართველი კი არა, ასი მწვერვალი მღეროდა. არა, პრომეთე-ამირანი გუგუნებდა ადამიანთა სიმძლავრეზე, ვაჟკაცობაზე, შეუდრეკელობაზე, ეს ღმერთების სიმღერა კი არა, მათი სიძლიერის დამხობის საგალობელი, ადამიანის ნიჭისა და გონიერების, მისი უტეხი რაინდობის ამაღლებული ჰიმნი იყო, მათი თვალმიუწვდომელი სიმაღლისა და ძლიერების სიმღერა.

უცებ მონასტრის წინამძღვარი გამოჩნდა. დინჯად მოდიოდა მათკენ. შერგილმა შეხედა და დაიბნა. არ იცოდა, რა ექნა. დაბნეულობა ხმაზეც დაეტყო ჭაბუკს, ეტყობა, წინამძღვარმა იგრძნო ეს და ანიშნა, ნუ გეშინია, იმღერეო.

ერთი კიდევ მძლავრად შეუგალობეს და დაამთავრეს. ხმას არავინ იღებდა. მხოლოდ მომღერლებს დასტყობოდათ სიმღერის ეშხით გამოწვეული სიწითლე.

— დიდებული სიმღერა გქონიათ, შვილებო, დაილოცა თქვენი კუთხე!

„სიმღერა შენ ჩვენი მეფე დავითისა უნდა მოისმინო! — გაიფიქრა სახლთუხუცესმა. — რომ დაიბუხუნებს, მისი ხმის სიძლიერე თქვენს მონასტერს ქვის გუმბათს ააგლეჯს“.

— შერგილ! — მიუბრუნდა უცებ ჭაბუკს, — მეფემ მითხრა, ყვავილთა სიმღერა იცისო, ვაჟობას გაფიცებ, მომასმენინე.

შერგილი შეკრთა. „რა საჭიროა ახლა აქ ყვავილთა სიმღერა? ვაითუ ვერ გამიგონ! სირინო და მეფე სხვაა, ამათ კი, ვინ იცის, დამცინონ კიდეც. უარს მაინც ვერ ვეტყვი მეფის სახლთუხუცესს. მერე სად, ამ უცხო ქვეყანაში განა ქართველი კაცი ქართველს სიმღერის მოსმენის ეშხს გაუმტყუნებს?!“

შერგილმა დაიწყო. ჭუნირის სიმებს ჯერ იის ჩურჩული აღმოხდა, ბგერები წყნარად, ნელა დაირხნენ მონასტრის ეზოში. მერე წყნარადვე გადაინაცვლეს ზღვის უბისაკენ, ბაღებისაკენ, სასახლეებისაკენ. წინამძღვარი წინ წადგა, — თითქოს ისედაც ლურჯი ფერები, ზღვას თხელი ნისლივით რომ გადაჰკვროდა, ახლა უფრო გამრავლდა, იის ფერი დაედო. თითქოს იის სურნელი გაჩნდა კიდეც მონასტრის ეზოში და გარემოს მოეფინა.

თვითონ შერგილის ფიქრი კი ხალდეს მინდვრებზე დაქროდა. ახლა თვითონ მოუნდა გვირილების სიმღერა — ხალდელი გოგონების ცეკვა. სიმები მწყობრად ირხეოდნენ და ცის გუმბათს აკანკალებდნენ.

— საოცარია პირდაპირ! — დამთავრებისთანავე თქვა წინამძღვარმა. — აქ, ჩვენში, იოანე ქართველის მკრეხელობა უკვირდათ, ჩვენი ეკლესია მის ცოდვებს მისსავე მასწავლებელს იოანე იტალოსს აბრალებდა. ვინც თქვენ სიმღერებს მოისმენს, მიხვდება, საიდან მოდიოდა მისი წარმართული ფიქრები. ბრძენთა-ბრძენია იოანე პეტრიწონელი, მაგრამ ერთარსება ღმერთი მას ჩვენსავით როდი სწამს!

— იოანეს მკრეხელობა ვინ თქვა, წინამძღვარო?! — წამოდგა შერგილი.

— დაჯექი, ბიჭო! — უბრძანა სახლთუხუცესმა. — შენ რა იცი, შვილო. ამათ თავიანთი პაექრობა და დავა აქვთ. ეს ჩვენი საქმე არ არის!

— მიწის პირზე ისეთი მტერი ახლა მართლმადიდებელ ეკლესიას არა ჰყავს. გონებით ძლიერია და მით არის საშიში. გავიგე, თქვენს მეფეს იოანე პეტრიწონიდან თავისთან მიუწვევია.

— არ ვიცი, წინამძღვარო, — იუარა შერგილმა, — ჩემსობას იქ იოანე არავის ერქვა.

სახლთუხუცესს ულვაშებში ჩაეცინა. მოეწონა სვანი ჭაბუკის ტყუილი.

— ჭკვიანი კაცი ყოფილხარ, — ჩუმად ჩაულაპარაკა ქართულად, — ეტყობა, ამ ბერძენს იოანეს სიბრძნე ვერ მოუნელებია. იტალოსი დაღუპეს კიდეც. ახლა იოანეს ებრძვიან, რას უზამენ, შვილო. დავითის კალთის ქვეშ ახლა ვინ გაუბედავს რასმეს.

უკვე დრო იყო წასვლის.

შერგილი სენაკში შევიდა თმის დასავარცხნად. შეგირდებმა და ბერებმა თავიანთ სამყოფელს მიაშურეს. მარტო წინამძღვარი არ იძროდა ადგილიდან.

სახლთუხუცესი და მისი მხლებელი მიხვდნენ, რომ წინამძღვარს რაღაც აწუხებდა. მან ერთხელ კიდევ მოავლო თვალი გარემოს და რაკი შენიშნა, რომ მათ გარდა არავინ იყო, მოულოდნელად ქართულად დაილაპარაკა.

— არ გაიკვირვოთ, მე იოანეს მოწაფე ვარ. ვიცი, იგი დავით მეფის სამსახურშია. მაპატიოს შეცდომანი ჩემი. მე რომ მის კვალს გავყოლოდი, არ შემეძლო, დავიღუპებოდი. იტალოსი ჩვენში სატანაზე უფრო საშიშად არის გამოცხადებული.

— ქართული იოანემ შეგასწავლათ?! — არ დაიბნა მოულოდნელობით სახლთუხუცესი.

— არა, ჩემით შევისწავლე, ჯერ კიდევ ათონში. მერე პეტრიწონში მოვხვდი გრიგოლ ბაკურიანელის სემინარიაში. იქ შევხვდი დიდ იოანეს.

— ორიოდე წუთის წინ მეგონა, იოანეს თქვენზე დიდი მტერი არ ჰყავდა. — გაეღიმა სახლთუხუცესს.

— რას იზამ, ადამიანს ხშირად უხდება თავისი ფიქრების მალვა. აქ წეღან ორი ბერი იყო. ვიცი, ისინი მე მითვალთვალებენ. კათალიკოსი ეჭვიანობს ჩემზე.

— წინამძღვარო, შერგილი უნდა წავიყვანოთ ცოტა ხნით. შინაური საქმეები გვაქვს მასთან, — სხვაზე გადაიტანა საუბარი სახლთუხუცესმა.

— წაიყვანეთ, ვინ უშლის, თქვენი ქვეყნის შვილია, როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით, — სწორედ ამ დროს შერგილი გაფითრებული გამოვიდა თავისი სენაკიდან და პირდაპირ წინამძღვარს მოაშურა.

— წინამძღვარო, ჩემი სასთუმლიდან ვიღაც ხელცივს ჩემი სოფლის კენჭით მოჭიქული ნახატი მოუპარავს. იგი სახეა დავით მეფეთა-მეფის. თუ არ დამიბრუნებენ, სისხლი დაიღვრება! ამას ვერავის შევარჩენ!

წინამძღვარს მუხლი მოეკვეთა.

— ეს იმ ორი ბერის ხელის საქმეა, სხვების სასთუმლებში ბუჯურობენ, გვამოწმებენ.

— ეტყობა, დავითის სახე იოანეს მიამგვანეს, — წყნარად თქვა სახლთუხუცესმა და წინამძღვარს შეხედა.

— ნუთუ ისინი ერთმანეთს გვანან?! — კიდევ უფრო აკანკალდა წინამძღვარი.

— წვერულვაშით კი გვანან. ისე, დავითის ერთი მაჯა იქნება იოანეს ყელ-კისრის სიმსხო.

— დავღუპულვართ და ეს არის. კათალიკოსი იოანეს იცნობდა, მკრეხელობას დაგვწამებს თქვენცა და ჩვენც.

— ნუ შეწუხდებით, წინამძღვარო, დავით მეფის სიძლიერე ახლა თქვენს კათალიკოსსაც კარგად მოეხსენება.

მონასტრის ეზოში ბერძენთა მეფის ათი ცხენოსანი შემოჯირითდა. წინ კარისკაცი მოუძღოდა. ჩამოქვეითდნენ და მოკრძალებით წამოვიდნენ სახლთუხუცესისკენ.

— მეფე გთხოვთ. სასახლეში გელით მეფეთა-მეფის დავითის წარგზავნილებს!

სახლთუხუცესს ფერმა გადაჰკრა, „ჯაშუშებს დავუსმენივართ, აწი მალვა აღარ ღირს", — გაიფიქრა და წამოდგა.

— მონასტრის სტუმრები ვართ, ერთი ჩვენი შეგირდი სწავლობს აქ და მისი წაყვანა გვიბრძანა მეფეთა-მეფემ.

— მეფემ უკვე გაიგო, თქვენს შეგირდს დავითის სახე დაუხატავს.

— საიდან მოხვდა დიდ მეფესთან ყრმის ნაცოდვილარი?!— ვითომ გაიკვირვა სახლთუხუცესმა.

— კათალიკოსს უნახავს და მან უსაჩუქრა.

სახლთუხუცესმა წინამძღვარს გადახედა და ქართულად ჩაილაპარაკა:

— თუ ჩვენში წამობრძანებას ინებებთ, გამოგივლით. იცოდეთ, მეფეთა-მეფე დავითმა იცის თქვენისთანა ბრძენი ადამიანების ფასი.

— უკვე მოხუცი ვარ. შორეულ მგზავრობას ვეღარც კი ავიტან. დავით მეფეს კი მოკრძალებით გადაეცით ჩემი კეთილი სურვილები.

— წინამძღვარო, ნუთუ თქვენ იცნობთ კოლხთა მეფეთა-მეფეს! — გაიოცა მეფის კარისკაცმა.

— ვიცნობ, შვილო, აი, მისი თხოვნით ეს შევაგროვე.

ამის თქმასთან ერთად წინამძღვარი თავისი სენაკისაკენ წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ხბოს ტყავის მომცრო ტომარა გამოათრია და ბალახზე პირი მოხსნა.

— მეფეს ზღვის კენჭები რად დასჭირდა? — კიდვე უფრო გაიოცა კარისკაცმა.

— ხომ ნახეთ დავითის სახე იმ საღვთო წიგნზე. ის ამ ბიჭმა მოჭედა. დავით მეფე დიდ ტაძარს აშენებს გელათში. იქ უნდა ღვთისმშობლის სახე მიაკენჭოს ტაძრის აღსავლის გუმბათს. წავა თუ არა ეს ბიჭი, მეც ეს თან უნდა გავატანო.

— ამ სიტყვებს არავინ ელოდა. ყველა გაოგნებული იდგა. სახლთუხუცესი კი გუნებაში იღიმებოდა.

— ბრძენთა-ბრძენია ჩვენი დავითი. ხედავთ, საიდან სად გადმოუწვდენია ხელი?!

შერგილი მაინც ვერაფერს მიმხვდარიყო. გაოცებით შეჰყურებდა ყველას, განსაკუთრებით კი წინამძღვარს.

— აი, თურმე რატომ მეფერებოდა, დროს არ იშურებდა ჩემი გაწვრთნისათვის! იოანეს ძმობილი ყოფილა. დავით მეფის პატივისმცემელი. ახლა კარგად გაახსენდა, ერთხელ ღამე გააღვიძა წინამძღვარმა და არსენ წინამძღვრის ბარათი იდუმალად გადასცა. ბარათთან ერთად აბრეშუმის მომცრო ქისაში ხუთი ბრტყელი, ფერადი კენჭი იდო.

— ეს რა არის?! — გაოცდა წინამძღვარი.

— ჩემი სოფლის მდინარის კენჭებია, — აუხსნა მაშინ შერგილმა. გულში კი ფიქრობდა — სირინო ისევ გელათში იწვრთნება ხელსაქმეზე. ეტყობა, ხალდეშურას კენჭები შიკრიკს ბარათთან ერთად ნამალევად გამოატანა.

„ნეტავი ყვავილების სიმღერა თუ ესმის ახლა სირინოს?!“

• • •

მრავალმა წელმა განვლო. დავითი კარგა ხანია გელათის მიწაში, უზარმაზარ ლოდქვეშ განისვენებდა. დემეტრეც გარდაიცვალა. არსენ წინამძღვარმა გელათიდან იყალთოში გადაინაცვლა, იქ იმოღვაწევა და კახეთის მიწაზევე მიიძინა. სულმნათი იოანე, მუდამ ადამიანთა სიკეთეს რომ ქადაგებდა, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ბედნიერებას ვერ ეღირსა.

შერგილს და სირინოს უკვე ათი შვილი და ოთხმოცამდე შვილთაშვილი ეხვიათ. სად არ იარა შერგილმა: გელათიდან ისევ საბერძნეთში მოუხდა წასვლა, იქიდან ახალ გაქრისტიანებულ ჩრდილოეთში იმოგზაურა. იქაურ ტაძრებს თავისი ხელი დაატყო, ნახეტიალები და მოღლილი დაბრუნდა სამშობლოში. სირინომ იუარა სხვა ქვეყანაში ცხოვრება, უკვე მოხუცები ისევ ხალდეში დაბრუნდნენ. ბიჭები დააცოლშვილეს, ქალები დაათხოვეს და თვითონაც დაწყნარდნენ. შერგილმა ზედ წყაროს თვალზე კოშკი ააგო, რომ მტრის შემოსევისას უწყლობა არ

ეგრძნო შთამომავლობას. ისხდნენ ახლა სვანეთის გრძელ ზამთრის ღამეებში და წარსულს იხსენებდნენ. შერგილს მუხლში იმდენი ღონე კიდევ ჰქონდა, გარედან შეშა შემოეტანა და ჯიხვის ხორცი შამფურზე აეგო. სირინო კი ლოგინად იყო ჩავარდნილი. ფეხზე ადგომა უჭირდა.

— მართლა ლამაზი ქალი იყო ჩვენი ბებია?! — იღიმებოდნენ შვილიშვილები. სირინოს სადღაც მაინც გაკრავდა თვალებში ელვის მსგავსი პატარა ნაპერწკალი.

— ნუ ხუმრობთ, ცელქებო! ჩემი სილამაზე მხოლოდ ჩემმა შერგილმა იცის. თქვენ კი თქვენ ქმრებსა და სილამაზეს მოუარეთ, ეშმაკისფრთიანებო!

თვითონაც იღიმებოდა, აკვირდებოდა შვილებს და შვილიშვილებს. ხედავდა, ზოგი მას ჰგავდა, ზოგი შერგილს. აი, ბეჩაო! მისი ნაქარგი დროშით სულცხონებულმა დავით მეფეთა-მეფემ სად არ შეულეწა მტერს კარი, სხვა რომ არა, მარტო ის რად ღირდა, რომ მისი ნახელსაქმევი თბილისის ცაზე გადმოკიდეს გამარჯვებულმა ქართველმა მეომრებმა? ახლა ეს ცხვირმოუხოცელი გოგოები დასცინიან სირინოს?! არა, კი არ დასცინიან, ასე ღიმილით იხსენებენ მის სიკეთეს. იციან ცელქებმა, ბებოს გულში რომ უხარია ასეთი საუბარი. აბა, როგორ ჰგონიათ. შერგილმა მოაჯადოვა სირინო ქალი, თავდაპირველად საწყალ მამასაც არ მოეწონა მათი ამბავი, მაგრამ მერე ისიც სულს ლევდა შერგილის გახსენებაზე. ვაჟი არ ჰყავდა და შვილივით შეითვისა სირინოს რჩეული.

ან კი ვინ იყო შერგილისთანა? რასაკვირველია, არავინ. სოფელი ვერ მიხვდა პირველად შერგილის სიკეთეს. კინაღამ გიჟად მონათლეს.

ვინ გაიგონა ყვავილთა სიმღერა და ცეკვა-თამაშიო?! უკვირდათ. მარტო მე მივუხვდი შერგილს, მე გავუგე. მე ჩავიხედე მის გულში. სხვანაირად ცოლქმრობა არ შეიძლება. საყვარელ მამაკაცს კარგი ცოლი ყოველთვის მიუხვდება ფიქრს. შერგილს კი თავისი ფიქრი აწვალებდა, სირინოს შემხედვარე გულში ბოღმას იხვევდა.

„ნეტავი მე დავვარდნილიყავი, ეს ქალი კი არ წაქცეულიყო. ნახევრად მკვდარია და თვალები მაინც ჩემკენ აქვს. მეცოდება, მეცოდება. მთელი ცხოვრება სიხარულით ამივსო. არას-

დროს ბედი ჩემი არ მიწყევლია, არასდროს დარდი არ შემომ-
პარვია გულში. ახლოს ვუყურებდი, თუ შორს ვიყავი, მაინც
მისი თვალების შუქი მინათებდა გზა-კვალს. ცაზე ახედვაც მი-
ხაროდა და ქვეყნის თვალის გადავლებაც. ყველაფერი მისი
სიყვარულით იყო. მეფენიც კი არ ყოფილან ჩემზე ბედნიერნი:
ღმერთო შენით და, არც არავინ მინახავს ჩვენზე უფრო სი-
ხარულით ავსილი. აბა, ვინ იყო: იოანემ ქვეყანას შესწირა
თავი, ბევრი იმოგზაურა და იმოღვაწეა. უკვდავება დაიმსა-
ხურა, ბედნიერება კი — ვერა. არსენსაც ასე მოუვიდა. ბოლოს
და ბოლოს მეფეთა-მეფე იყო დიდი დავითი, თითქმის ქვეყნის
მპყრობელი გახდა, მერე რა?! ჩემზე ბედნიერი მაინც არ ყო-
ფილა. საოცარია მაინც! ამდენი ომი გავიარეთ, რამდენი ავად-
მყოფობა შეხვდა ხალხს, ჩემი ახლობელი ავადაც კი არ გამხ-
დარა. სად არ იბრძოლეს ჩემმა შვილებმა, ცოტა სასახელო საქ-
მე როდი აკეთეს სამშობლოსათვის, ტყვია კი არ გაჰკარებიათ.
ბედია, მაშ რა არის! ჩემი ოჯახის წევრს ჯერჯერობით მწუხრის
ცრემლი არ გადმოვარდნია თვალთაგან! მეტად გასაკვირველია;
მაგრამ ასე მოხდა. მწამს, ყველგან სირინო-ქალის სიყვარული
გვიფარავდა მეც და ჩემი ოჯახის წევრებსაც. მასაც და ჩვენც
მისი ნათელი ფიქრის შუქი გვინათებდა გზა-კვალს, მისი ლოც-
ვა მიგვიძღოდა წინ. მეტად მიყვარდა ეს ქალი, მასაც ვუყვარ-
დი. ერთმანეთი ვაცოცხლეთ და ვაცხოვრეთ. ნეტავი ჩვენი
შთამომავალნიც ასევე ივლიდნენ ამ ბედნიერ წუთისოფელში.
ახლა კი მეტად დაჩიავდა და მოტყდა საწყალი. ჩემი რომ არ
ედარდებოდეს, რამდენი ხნის წასული იქნებოდა ამ ქვეყნიდან.
ჩემი ჯავრი ამაგრებს კიდევ; ეშინია, უჩემოდ რა ეშველება,
ვინ მოუვლის. ვინ მოეფერებაო. ძალ-ღონემ უმტყუნა, მაგრამ
მის თვალებში ისევ ის ცეცხლი ანთია, პირველად რომ აგიზ-
გიზდა. ღმერთო შენით და, მეც ველარ ვძლებ უმისოდ. წინათ
წლობით ვიყავი გადახვეწილი, ოჯახს და მის სახეს მოშორებუ-
ლი. სადაც კი ვიყავი, მისი შუქი მიმყვებოდა და მაძლებინებ-
და, ახლა აღარ შემიძლია სირინოს მოშორება, უმისოდ მგონია
უფსკრულში, სასიკვდილო წკვარამში ვარ ჩავარდნილი. მას
რომ რაიმე დაემართოს, მე, შეიძლება, უცებ არ მოვკვდე; მაგ-
რამ ჩემი სიცოცხლის ყველა ნაპერწკალს ცივი ფერფლი გა-
დაეფარება. განგების მადლობელი ვარ, რომ სირინო შემახვედ-

რა ამქვეყნის თანამგზავრად. მეც ბედნიერი ვიყავი და ისიც“.

ეზოში ამ დროს ხმაური გაისმა, უმცროს შვილიშვილებს სტუმრები მიეწვიათ, კოშკის ძირში სუფრა გაეშალათ, სულ არ დაეძებდნენ, ავად იყო თუ არა მოხუცი სირინო, თავიანთი ფიქრი აწუხებდათ, თავიანთი საზრუნავი გასჩენოდათ. ასე იყო და ასე იქნება. შვენოდათ ჯაჭვის პერანგები, მოკლე ხმლები და მუზარადები. ოდესღაც შერგილიც ასე იყო, მოვა დრო ისინიც მოხუცდებიან.

* * *

ხალდეს მინდვრებზე მზე ყოველთვის აილამას მწვერვალიდან გადმოიხედავს. ამოსცდება თუ არა მის ყინულოვან, ცადაზიდულ წვერს, ერთბაშად დაანათებს მთელ სოფელს. იმ დილასაც ასე იყო, ოდნავ გრილოდა და სირინომ შერგილი მოიხმო.

— მხრებში შემიდექი, შერგილ, კოშკის ძირას სკამლოგინი გამიშალე, მინდა ჩვენ ეზოს და გაღმა მთის კალთებს ვუყურო.

შერგილმა ციმციმ ასწია სირინო და დაგებულ სკამლოგინზე მიაწვინა. ხალდეშურა კლდეს ასკდებოდა, ღურღულებდა, გრიალებდა, გარშემო ცასა და მიწას აზანზარებდა.

— რა პატარაა და რამდენი ძალა აქვს, შერგილ, ჩვენს ხალდეშურას? ყველა მდინარე რომ ასე ძლიერი იყოს, ქვეყანას წალეკავენ.

— პატარაა, მაგრამ ცეცხლია, მისი ტალღები შევარდნის ფრთაზე უფრო სწრაფია. ხომ გიყვარს, სირინო, ჩვენი ხალდეშურა?

— გახსოვს, შერგილ, ჩემი სახე რომ მოხატე მის ნაპირზე? მეუბნებოდი, ყვავილთა სიმღერა ვიცი. მე სულელმა დავიჯერე კიდეც! — გაეღიმა სირინოს.

— ნამდვილად ვიცოდი. აკი გიმღერე, თვითონ არ მითხარი, იები, გვირილები ცეკვავენ და იმღერიანო?! კარგად მახსოვს, ასე მითხარი.

— გითხარი და ასეც იყო. ნამდვილად მესმოდა მათი სიმღერა, ნამდვილად ვხედავდი მათ ცეკვას... ჭუნირი მინდა მომასმენინო, დაუკრავ, შერგილ?

— ხელი არ მემორჩილება, ქალო!

— სცადე, შერგილ, მე მაინც გამიხარდება, ჭუნირი კედელზეა, დაუძახე, მოგიტანონ.

შერგილი წამოდგა.

— არა, შენ ნუ წახვალ, ხომ გითხარი, ბავშვებს დაუძახე და ჩამოგიტანენ. მინდა ასლოს იყო, მარტო ნუ დამტოვებ.

შერგილმა რძალს შეუძახა, ჭუნირი მომიტანეო.

— ნეტავი მეფეთა-მეფე დავითს თუ ესმოდა ყვავილთა სიმღერა? — იკითხა სირინომ.

— არა, არ ესმოდა, სირინო, არც შეიძლებოდა გაეგონა!

— რატომ, შერგილ, ის ბრძენი კაცი იყო, ღვთის ტოლი კაცი იყო.

— კი, ღვთის ტოლი კაცი იყო. მაინც ვერ გაიგონებდა ყვავილთა სიმღერას.

— მეფე თუ ვერ გაიგონებდა, მაშინ ჩვენისთანები რას შეისმენენ, შერგილ?!

— მეფეთა-მეფე დავითს კაცი უნდა მოეკლა, მტერი უნდა ეხოცა.

— მამულის მტერი კაცი არ არის, შერგილ!

— მე ერთხელ წმიდა გიორგის ეხატავდი, საღებავი დამექცა, ნახატი დამედღაბნა და წავშალე. როცა დავხედე და მისი სახე ადგილზე ვერ ვნახე, ენა დამება, მომეჩვენა, კაცი მოვკალი-მეთქი.

— მერე?

— სწორედ ამ დროს ტაძრის ეზოში მღეროდნენ. როგორც კი სურათი დავდღაბნე — კაცი მოვკალი, უცებ დავყრუვდი, ვეღარაფერი გავიგონე, გონებაზე ბინდი გადამეფარა. კაცს რომ მოკლავ, ყვავილთა სიმღერას კი არა, ადამიანის ეშხს დაკარგავ. გონი აგეშლება.

— მაშინ მეც მომეჩვენა ყვავილთა სიმღერა. ის კი არა, გვირილების ცეკვაც დავინახე.

— მაშინ სხვა იყო.

— დაუკარი, შერგილ, დაუკარი.

შერგილმა რძალს ჭუნირი ჩამოართვა და თითები ჩამოჰკრა...

სირინოს უნებლიეთ თვალები დაეხუჭა. მიხვდა შერგილი,

ძველებურად ვეღარ აღერდა ჭუნირი. სირინოს ენიშნა და თვალები მიტომ დახუჭა.

— დავით მეფე დიდი მეფე იყო, ის მაინც გაგიგონებდა!

— ხომ ნახე, რამოდენა ლოდის დადება ბრძანა სიკვდილის ჟამს, ისიც დააწერინა, ზედ გადამიარეთო.

— ყვავილების ენას მაინც გაიგებდა. ჩვენ მაშინვე უთქმელად მიგვიხვდა ტრფიალს.

— ღვთის ტოლი კაცი იყო. დიდი ლოდიც იმიტომ დაიდო, დიდი ცოდვა შემინდეთო.

ისევ ჩამოკრა შერგილმა, გაიხედა. რძალი ზღურბლზე იდგა და გაოცებული იყურებოდა.

— სიმები ხომ არ დალამებულა, მამამთილო?!

— არა, ჩემო რძალო. თითები მიკანკალებს, თითები!

შერგილმა ცოლს გადახედა. სირინოს თვალები ფართოდ გაეღო, ოღონდ შიგ ახლა მარტო ერთი უფერო ფერი ედგა, ცეცხლგამოლეული, მიმქრალი, უნაპერწკლო.

— დაუკარი, შერგილ, გენაცვალე, დაუკარი! — ჩიფჩიფით თქვა.

— მერე რა? კიდეც რომ დავუკრა, ყვავილთა სიმღერას ვეღარ გავიგონებთ! მაშინ სხვა იყო, სიჭაბუკე იყო, სიყვარული იყო.

— მე ახლაც მიყვარხარ, შერგილ, — თითქოს მორცხვად ჩაილაპარაკა მოხუცმა ქალმა.

— მაშინდელი სხვა იყო, სირინო, სხვა. ის გვამღერებდა, ის გვასმენინებდა, ის გვაყრჟოლებდა ტანში.

— აბა, ხალდეს ყვავილები არ მღერიან?

— მღერიან, ქალო, მღერიან. შენც ხომ ნახე, როგორი სიმღერა იციან აქაურმა გვირილებმა.

— ვნახე, მაშინ ვნახე, ახლა კი...

— ახლა, სირინო, მზეს გახედე, უკვე ჩასულა დასალიერში. გრილა, შინ შევიდეთ.


ძველი
ჩანაწერები

დიდ ჭადართან

1

ხეები ადამიანებივით არიან. თავისი ცუდი და კარგი დღეები აქვთ, თავისი ლხინი და ჭირი; თავისი წილი ცრემლიც უღვრიათ და სიხარულის დღეებიც შეხვედრიათ. ზოგი მათგანი ადრე წაქცეულა, ნაცრად ქცეულა. ზოგიერთს კი საუკუნეთა ქარიშხალში გამოუვლია, ასეული წლები უცოცხლია და ჩვენი ისტორიის ავბედითსა თუ ნათელ დღეებს დასწრებია, არ დაცემულა და დღესაც წარბშეუხრელად შეჰყურებს ხალხს.

ამბობენ, ხეებს შორის ყველაზე გამძლე მუხა არისო. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ნათქვამი, მაგრამ ქუთაისის ჭადრის ხნოვანების მუხა საქართველოში, ეგონებ, არ მოიგულება. ხეებს შორის ყველაზე გამძლე ძელქვაც არ უნდა ცოცხლობდეს ჭადარზე დიდხანს. ამ ხნის ძელქვას დღეს ვერსად შეხვდებით. თუმცა ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ძელქვას ასეული წლების მანძილზე, სადაც კი მოახელთებდნენ, სჭრიდნენ, მორავდნენ, დაუნდობლად ანადგურებდნენ. მათი ბედი ძალიან ჰგავდა ქართველი ბავშვების ბედს, რომელთაც მონებად თუ იანიჩრებად ყიდდენ უცხო ქვეყნების ბაზარზე. ძელქვის მორებიც იყიდებოდა სტამბოლს და აქედან გაჰქონდათ ევროპია თუ აზიის სხვადასხვა კუთხეში. ჩვენდა სავალალოდ, მოხუცებას არ აცლიდნენ ამ შესანიშნავ ჯიშს. მრავალსაუკუნოვანი ჭადრები კი აქა-იქ მაინც გვხვდება. ქუთაისის ჭადარიც ერთი

იმათგანია. მისი წვერი ოდესღაც ცის გუმბათს ებჯინებოდა, ახლა კი მთავარი ღერო-წვერი ჩამომტვრევია და ტოტებიღა შერჩენია.

ეს მოხდა 1951 წელს: დიდთოვლობა იყო. ბებერმა ხემ ვერ გაუძლო თოვლის სიმძიმეს და ჩამოინთქა. წელთა სიმრავლისაგან მისი გული სულ დაჭიავებულიყო, ხელისგულზე მოფშვნილ ხმელ თამბაქოსავით მტვრად ქცეულიყო. მიწაზე დაცემული მისი ტოტები გუმბათჩამოქცეულ ტაძარს მოჰგავდა — მტრის ხელით მოსრულს. მახსოვს, როგორ ეყარნენ ეს ვეება მორები გაციებულ, თოვლიან მიწაზე და თითქოს საუკუნეებში ისმოდა მათი სასიკვდილო ამოქშენა. პატარაობისას ხარის ან კამეჩის დაკვლას მოუხდენია ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება. მათი სასიკვდილო ქშენა რატომღაც ძალიან მაგონებდა ჭადრის ტოტების წყნარსა და მწუხარე სუნთქვას. ამ ჭირ-ვარამში მისი ქვედა ტოტები მაინც გადარჩენია ქარიშხალს. თითოეულ მათგანს კარგი ვაჟკაცის გაშლილი მკლავები ვერ შემოსწვდება. ხოლო მისი ფუძე-ტანის გარშემო ხელიხელჩაკიდებულ ექვს ქალ-ვაჟს გაუჭირდება შემოწვდენა.

დგას ეს ჭაღარა საუკუნეების მანძილზე. დგას დინჯად, ბეჭებგაშლით და სიდარბაისლით. რა არ უნახავს, რა არ გამოუვლია, რას არ მოსწრებია. და მაინც მოუღწევია ჩვენამდე! ჭადარი რიონის ნაპირიდან თხუთმეტი ნაბიჯით თუ არის დაშორებული. ქალაქის ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ოციან წლებში ქვიტკირის გალავანი გარს შემოავლეს და ზედ წააწერეს: „აკრძალულია ხელის ხლება".

ჩვენი ახალგაზრდები მიდიან ჭადართან და მოწიწებით შეჰყურებენ მას.

ადამიანებმა იციან ღვაწლის დაფასება!

ამიტომ მინდა ამ ისტორიული ხის გმირული წარსულიდან ცოტა რამ გავიხსენო.

2

მონღოლებისაგან შერისხულმა თამარ მეფის შვილისშვილმა დავით ნარინმა იმერეთს მოაშურა. სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა ლიხთიმერეთის დიდებულებმა რუსეთან დე-

დოფლის ვაჟს ტახტი დაუთმეს. არგვეთის, თაკვერის, ეგრისის, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის მთავრები დარბაისლური პატივისცემით, სიყვარულით შეეგებნენ დიდი თამარის ნაშიერს. მარტო რაჭის ერისთავს კახაბერ კახაბერის ძეს უელავდა თვალი ცუდად მეფის სასახლის სადარბაზოში. ეს მოხდა იმ დღეს, დავით ნარინი რომ იმერთა ტახტზე აბრძანდა.

ძლიერი და მზაკვარი კაცი გახლდათ კახაბერი. აბაღა ყაენი იმერეთის ახალი მეფის მტრებთან აბამდა ქსელს. მონღოლთა ბელადს ვერ მოენელებინა ლიხთიმერეთის ურჩობა და მტრობა. დავით მეოთხეც ყოველი საშუალებით ებრძოდა მონღოლთა ყაენს, რომელსაც თბილისი ეკავა. აბაღამ ვერა და ვერ დაიმორჩილა იმერეთი. ის კი არა, მისი მეგობარი იალხურა ნოინიც გადაუდგა და ქუთაისს — დავითთან შეაფარა თავი. ნარინმა პატივით მიიღო იალხურა, კახაბერ კახაბერის ძე აქ გაეცნო იალხურას. იალხურამ იმ წუთსავე იგრძნო ორჭოფი და ბუნებით მოღალატე კახაბერი. ცოტა ხნის შემდეგ, როცა იალხურას აბაღაზე გული მოუბრუნდა, დავითის ღალატის ფასად შეეკრა ყაგნს. იალხურამ კახაბერიც შეითქვა. აღმოსავლეთს გადავიდა და ერთ ღამით, კახაბერის თანხლებით მოულოდნელად დაესხა თავს იმერეთს. რიონის მშფოთვარე ტალღებს კამკამა ცა თავს დაჰყურებდა. ცის გუმბათზე ვარსკვლავები ელავდნენ. ქვემოთ კი ერთმანეთს შეხეთქებული რიონის ტალღების ნაპერწკლიანი შხეფები თეთრად ბრწყინავდა.

მონღოლები თითქოს ფეხაკრეფით შემოვიდნენ ქალაქში და მეფის ციხე-დარბაზსაც ფეხდაფეხ მიეპარნენ. მეფე მთელ სახლობასთან ერთად აბანოში წასულიყო იმ ღამეს.

— მეფეო, მტერი თავს დაგვესხა!.. — შევარდა გაცეცხლებული სახლთუხუცესი შიშველ მეფესთან.

გაოგნებული მეფე შილიფად ჩაცმული გამოვარდა გარეთ. მტერი უკვე ეტანებოდა დიდ ციხე-სასახლეს და ადგილ-ადგილ ცეცხლის ალიც დაენთო.

სანამ საქმის ვითარებას აცნობდნენ მეფის სახლობას, რომელიც იმავე შენობაში ქალთათვის განკუთვნილ აბანოში იმყოფებოდა, მეფემ გასაქცევი გზა აირჩია. ნაბდებწამოხურული მეფე-დედოფალი რიონის ჭალებს დაუყვა. დილამდე ძეფის სახლმა ბაშის სანაოსთან გაფონა, საჩინოს ჭალებს გასცდა და

მდინარე სულორზე გადავლით თავად ჩიჯავაძის სასახლეს მიადგა.

ჩიჯავაძეს ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა. ახალგაზრდები ერთიმეორეზე უკეთესები იყვნენ. ქალიშვილი კი მაინც სულ სხვანაირი იყო. სურის ყელივით მოღერილი ყელ-კისერი, ტურფად ნაზარდი ტანი და სულორის შხეფივით სუფთა. თეთრად ნისლდაკრულ გარსში ჩასმული შავი თვალები მნახველს ნაპერწკალს უჩენდა ტანში. ლაღი ქალიშვილი იყო ნიფიდო. დილიდან საღამომდე იჯდა ახლად გახედნილ თავნება კვიცზე და ხელზე მიმინოთი დანავარდობდა მუჰადის ყანებში. ფეხზე უძირო წაღები ეცვა, თავზე იისფერი თავსაბური ეხურა.

ჩიჯავაძის სასახლე პატარა, მაგრამ თევზებით სავსე მდინარის მარჯვენა ნაპირზე იყო შემოციხული. სასახლიდან მთელი კოლხეთის დაბლობი ხელისგულივით ჩანდა. როცა ქუთაისის ციხე-გალავანში სანთლები აინთებოდა, მისი შუქი უნისლო და უღრუბლო ღამეში ამ კორტოხიდან კარგად მოჩანდა.

— წუხელი, როცა ცეცხლის ენები შევნიშნე ქუთაისის ცაზე, მივხვდი, უბედურება რამ დაგვტეხოდა თავს, — თქვა ნიფიდომ.

მეფე-დედოფალმა მადლიერი თვალით შეხედეს ტურფა ქალიშვილს. საჩინო თავადის სასახლის წინ ვეება ჭადარი ცამდე ირხეოდა. მის ჩრდილში მარმარილოს დაბალი სუფრა იდგა, გარშემო ძელქვის ჯორკო-სკამები ჰქონდა შემოსწრაფული. ჭადრის ვეება ტოტები ალადასტურის ვაზით იყო დახუნძლული. ნიფიდოს ცისკრის ამოსვლისას უყვარდა ადგომა. იქ კითხულობდა ქალიშვილი „ვეფხისტყაოსანს", თავის ხელით რომ გადაეწერა ხბოს ტყავზე. იქვე აჭმევდა თავის შვლის ნუკრებს, ეზოში თიკნებივით რომ დაკუნტრუშობდნენ. ჭადრის ტოტზევე ეჯდა ქარვისფერთვალებიანი მიმინო-კაპუეტი.

მეფე-დედოფალს შვილივით შეუყვარდათ ნიფიდო.

— სასახლეშია შენი ბინაო, — უთხრა ერთ დილით დედოფალმა ნიფიდოს.

— არა, დედოფალო, ამ ჭადარს თუ ყოველდღე თვალი არ შევავლე, სიცოცხლე არაფრად მიღირსო, — უპასუხა მოკრძალებით ნიფიდომ.

დედოფალი გააოცა ჩიჯავიძის ქალის უარმა. ალბათ, ვინმე

აქაური უყვარს, და მოშორება ეძნელებაო, — მიხვდა დედოფალი. მართლაც, კეირა დღეს ახალგაზრდებს შორის საოცრად უცხო სილამაზის ვაჟკაცი შენიშნა დედოფალმა. არც მეფეს გამოპარვია მხედველობიდან ის ჭაბუკი. არც შეიძლებოდა ვინმეს არ შეენიშნა იგი. ყველა მისი ტოლი პატივისცემით ეპყრობოდა ჭაბუკს. მოსულის ვინაობა როცა იკითხეს, გაოცდნენ. იგი გლეხკაცის, რაფო ჩახუნაშვილის ნაშვილები ყოფილა. ვაჟს სახელად ხალალამპრი ერქვა. თავადთა შორის გამოირჩეოდა. მისი ბეჭები იმ ჭადრის ტოტებივით იყო გაშლილი, მისი წელი ვაჟკაცის მუჭშიც ხალვათად იგრძნობდა თავს. მისი საზრიანი ფართე შავი თვალები თითქოს ოდნავ იისფერით იყო შენისლული. წუღასაცვეთში ამოწკეპილი მისი ფეხები ჩქერზე შეტოტებული კალმახებივით მოჩანდა ჩოხაში. სიტყვა-პასუხი დინჯი, დამაჯერებელი ჰქონდა, ნაბიჯი მტკიცე და მიმზიდველი.

შეხედა თუ არა მეფემ, დედოფალს გადაუჩურჩულა:

— ვერც ერთი მისი მნახველი ქალი ვერ გადარჩება გულგრილადო.

დედოფალს გაეღიმა.

ისიც გაიგეს, რომ ცხენოსნობაში თუ ბურთაობაში, ჭიდაობასა თუ ნადირობაში ტოლი არ ჰყოლოდა მთელს საჩიჯაოში.

ხალალამპრმა მდაბლად, მაგრამ დარბაისლურად დაუკრა თავი დამხვდურებს. დედოფალს არ გამოჰპარვია არც ნიფიდოს შეწითლებული ღაწვები, არც მოსული ჭაბუკის თვალთა გაკვესება.

პურად როცა დასხდნენ, უცხო სიმღერები თქვეს. ხალალამპრის ხმა სულ სხვა იყო. მისი ომახიანი ბანი ღმერთების ხმას უფრო ჰგავდა.

— ასეთი ჯერ არავინ უნახავს ჩემს თვალს, — წამოცდა დედოფალს. ნაღვლიანი, მაგრამ მადლობის თვალით გახედა ნიფიდომ დედოფალს.

— ჩემი მესამე შვილია, ჩემი სახლის ერთი საძირკველია, — სიამაყით განაცხადა ჩიჯავაძემ.

ჩიჯავაძის ვაჟებმაც კეთილი ღიმილით გადახედეს ძმობილს.

— იცოდე, მეფეო, — განაგრძო ჩიჯავაძემ, — მტრის რისხვა გახლავთ. ამას წინათ თურქებმა საბალახო მთებიდან ჩვენი

ჯოგის მოტაცება მოინდომეს. სანამ ლამაზგორს თუ საბურღაოს გადავიდოდნენ, ხალალამპრი წამოეწიათ. მათი სარდლისთვის შორიდანვე ისრით გაეპო თავის ქალა, ხოლო, როცა დაბრუნდა. ორი სავსე ძარი ჩამოიტანა დასაპალნებული თურქთა მოხაპული თავებით. თითონ კი ერთი ჭრილობაც არ მიუღია ამ ცხარე ბრძოლაში.

— დამხმარეები თუ ახლდა ვინმე? — იკითხა მეფემ.

— არა, მეფე ბატონო, მხოლოდ ერთი მწყემსი გადარჩენოდა თურქებს და მას ჩამოეტანა მისთვის ამბავი. ხალალამპრი, ბედად, თავის ხარ-ძროხის დასახედად წასულიყო მთაში და ის მწყემსიც იქ შეხვედროდა იღბალზე.

ჩახუნაშვილი თვითონაც ისე ისმენდა, არც გაღიმებია. მხოლოდ მეფეს შეჰყურებდა სატევარზე ხელდაბჯენილი და ჩაფიქრებული.

მერე თითქოს რაღაც გადაწყვიტაო, წინ წამოდგა.

— ვისი შვილი ვარ, არ ვიცი, მეფეო, — ნელა დაიწყო მან, — დევნილი და ფეხმძიმე დედაჩემი ვინმე შარაშენიძეს და მიქელაძეს მოუყვანიათ ჩემი მამობილისას და თითონ კი უკან გაბრუნებულან. დედაჩემი ჩემს ძეობას გადაყოლია. მხოლოდ ორი სიტყვა დაუწერია ბერძნულად კოპიტის ნაფოტზე: „მეფისაა, ხალალამპრიო". და გარდაიცვალა კიდეც. ჩემმა მამობილმაც ეს დამარქვა და გამზარდა. ახლა ჩახუნაშვილად ვიწოდები, სხვა გვარი არ მინდა. მხოლოდ ეს მინდა გაჩვენოთ! — ფერდაკარგულმა ჩახუნაშვილმა საკინძე გაიხსნა და მკერდზე შებმული ჯვარი და ავგაროზი ერთად ამოიღო.

პატიოსანი თვლებით მოჭედილმა უცხოდ ნაკეთებმა ჯვარმა ყველას გაკვირვება გამოიწვია.

ავგაროზი შაგრენის ტყავით იყო ნაკერი.

მეფემ ხელი მოჰკიდა ავგაროზს.

— გახსენი, მეფეო. აქამდე ვშიშობდი მის გახსნას. ცუდისა მეშინოდა. ახლა კი სულ ერთია, თქვენმა ნახვამ ასე მომასურვილა.

მეფემ გასანთლულ ძაფს ფრჩხილი მოსდო, ვერ გაწყვიტა. ჩიჯავაძის უფროსმა ეაემა ხანჯლის ბუში მიაწოდა. პატარა და წვრილი დანით მეფემ გადაჭრა ძაფები. ავგაროზი გაიხსნა. ისევ გასანთლული ქათქათა ნაზი ტყავი იყო დახვეული. როცა ისიც

გახსნეს, პატარა წიგნის ყდისმსგავსი ოქროს ფურცლები გაიშალა. შიგა ფურცლებს შუა წარწერა იყო. მეფეს თვალები გაუფართოვდა.

„ბაგრატოვანთა ძე არის, დედით კეთილშობილ ბერძენთა ქალის შვილი. შეუნდე უფალო მის მშობლებს ცოუნება“, — ხმადაბლა წაიკითხა მეფემ.

ხალალამპრს ცეცხლი მოჰკიდებოდა სახეზე. იგი ახლა თავად ჩიჯავაძეს შეჰყურებდა ასიორებული თვალებით.

— მხოლოდ ღმერთია შეუცთომელი! — ხმამაღლა თქვა დავით მეფემ.

ჩახუნაშვილი წინ წამოდგა. ნანახი მეფეს ჩამოართვა და დახედა.

— შვილის გულიდან მოგლეჯა უღვთოობაა. გულქვა და ბოროტი კაცის შვილი ვყოფილვარ, — დაიბუბუნა მან.

ყველა გაშრა, ფერი დაკარგეს. დედოფალი კანკალებდა. ნიფიდოს საცაა ცრემლი წასკდებოდა.

—არ დაგვიღონდე, შვილო, მეფეს ვთხოვ, თავადობა გიბოძოს, — შემობრუნდა მეფისაკენ დაბნეული ჩიჯავაძე.

— არა, თავადო, მე სხვა გვარი არ მინდა. ჩახუნაშვილს კი აზნაურობაზე მეტი არ ეგების. ესეც ჩემს მამობილს უბოძეთ კაცობისათვის, ადამიანობისათვის. კიდევ კარგი, რომ დიდგვაროვანთა ცოდვებს გლეხკაცი ასწორებს ხოლმე თავისი მადლით!—ეს სიტყვები ხალალამპრმა წყნარად წარმოთქვა, მერმე ნიფიდოს გახედა და უკან დაიხია. და ვიდრე წასასვლელად შებრუნდებოდა, მეფეს მოუბოდიშა, წასვლას უზრდელობაში ნუ ჩამომართმევო. მერმე ცხენს მოახტა სანამ ვინმე რასმე მოიფიქრებდა, დაღმართს დაუყვა ჭენებით.

ყველანი გამშრალი გაჰყურებდნენ მიმავალს. კარგა ხანს სიტყვა არავის ამოუღია.

— აზნაურობა თქვენ უბოძეთ, მეფეო, მე კი ჭიშურას გაღმა სამოსახლოსა და ვენახებს ვაჩუქებ. სულორის პირის ჭალებზე სახნავ-სათესს მივაკუთნებ. დანარჩენს თითონ გააკეთებს ჩახუნაშვილი, — დაფიქრებით და მტკიცედ თქვა თავადმა ჩიჯავაძემ.

თავდახრილი ნიფიდო წამოდგა და სახლში შევიდა.

მეფემ ჩიჯავაძის თხოვნა შეასრულა, თავადმა კი თავისი სიტყვა

დავით მეფე დიდხანს არ დარჩენილა საჩინოს სტუმრად. მან ჯარი შეკრიბა, მონღოლები განდევნა და ტახტი ისევ დაიბრუნა. კახაბერ კახაბერიძის სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტეს, მაგრამ დემეტრე მეფე, რომლის ბიძაც გახლდათ კახაბერი, საქმეში ჩაერია და დავითმა აპატია ღალატი რაჭის ერისთავს.

აბაღა ყაენის ნოენი სირმონი არ მოეშვა კახაბერიძეს. იცოდა მონღოლთა სარდალმა, ვინც ერთხელ გაყიდდა სამშობლოს, არც მეორედ დაიხევდა უკან.

სირმონმა სურამს გადაღმა იდუმალ დაიბარა კახაბერი და ისევ ჩაითრია დავით მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაში.

ახლად ჯვარდაწერილი ნიფიდო და ხალალამპრი არგვეთს იყვნენ გადაპატიჟებულნი. მთელი კვირა დაჰყვეს იქ სტუმრად და კვირა დილით, როცა შორაპანს გადმოუარეს, ციხის მისასვლელებთან სირმონ ნოინის ურდოს წააწყდნენ. ჩახუნაშვილის ამალამ, რომელიც ოცდაათი კაცისაგან შედგებოდა, იმ წუთშივე იაზრა მტრის განზრახვა — რაკი შორაპანს მოაღწიეს, ქუთაისისკენ აპირებენ გადასვლასო. ისიც იაზრა ჩახუნაშვილმა, რომ შორაპნის ციხემ ჯერ არაფერი იცოდა. შიშით აკანკალებული ნიფიდო ორი კაცის თანხლებით ქუთაისისაკენ გაუშვეს სასახლეში ამბის მისატანად, თვითონ კი ციხესთან ჩაუსაფრდნენ მოსულებს.

ამასობაში შეთენდა კიდეც. მტერს ორი შავცხენოსანი მოუძღოდა. ისინი ძირულის ნაპირიდან ათვალიერებდნენ ციხის მისადგომს. ეტყობოდათ, ღამე უნდოდათ შემოსვლა, მაგრამ რაღაც დაბრკოლების გამო დაჰგვიანებოდათ. მეციხოვნეები, ალბათ, მიხვდნენ მტრის მიახლოებას და ციხეზე ხიფათის სანიშნო ცეცხლი ააბრიალეს.

ჩახუნაშვილის ჩასაფრებულ რაზმს ვერც ერთი მხარე ვერ ხედავდა.

— შეგვამჩნიეს, — მოესმა ხალალამპრის ქართულად ნათქვამი სიტყვები.

„ერთი ქართველია, მოღალატეა, ალბათ?!" — დააცქერდა ჩახუნაშვილი ერთ ცხენოსანს. დააცქერდა და იცნო კიდეც.

— ისევ კახაბერია, — გადაუჩურჩულა ძმადნაფიცს იესე

ეთამაშვილს და თან დასძინა: — ცოცხლად უნდა შევიპყრათ ან აქვე უნდა დავიხოცნეთ.

ძირულას ჯერ ისევ ნისლი დასწოლოდა. მზის პირველი სხივით გამთბარი ის-ის იყო ნელი-ნელ ზევით იწევდა.

მტრის ჯარი გაღმა ვენახებში შემალულიყო. მხოლოდ რამდენიმე კაცს თუ შენიშნავდა დაკვირვებული თვალი. ეს ორი ცხენოსანი კი პირდაპირ მოადგა ძირულას გაღმიდან.

— ეი, მეციხოვნენო! — დაიღრიალა კახაბერმა. — ჩვენ ქართველები ვართ. ყაენის დესპანები მიგვყავს დავით მეფესთან. თან ჩუმად დაატანა:—თუ ხიდი გადმოგვიწიეს,მაშინ...— მაგრამ აღარ დუმთავრებია სათქმელი. ეტყობა, ციხეში დაიჯერეს ნათქვამი. ზემოდან ორი მეციხოვნე ციხის ბოგირზე შედგა და საკეცი სალტეების დაშვება დაიწყო.

ხალალამპრმა ხელი უბიძგა იესეს და ისიც ჟალტამში გველივით გაცურდა.

— მტრებია, ხიდი არ ჩაუშვათ, — უჩურჩულა ქვემოდან მეციხოვნეებს ეთამაშვილმა.

მეციხოვნეები შეყოვნდნენ.

სწორედ ამ დროს ტანსაცმელგანძარცულმა ჩახუნაშვილმა, რომელსაც შიშველ წელზე მხოლოდ ყაბალახი შემოეხვია, მდინარე მხარულით გასცურა და სანამ ორი შავცხენიანი რასმეს მოისაზრებდა, წინ გადაუდგა მათ.

კახაბერი არც განძრეულა, ან კი რას შეაშინებდა უიარაღო ტიტველი კაცი.

— ვინ ხარ, ბიჭო?! — ჩაეკითხა კახაბერი.

— ეს კაცი ვინ ბრძანდება? — შეკითხვა დაუბრუნა ჩახუნაშვილმა.

კახაბერს სახე გაულურჯდა.

— შენ ვინ გკითხავს, ყაძახო? ეს მე და მეფემ ვიცით!

— თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატონო? — ახლოს მიიწია ხალალამპრი.

კახაბერის ძეს თითქოს სუნთქვა შეეკრა, შეფიქრიანდა.

— თბილისიდან მოვდივართ მეფე დავითთან. ეს კაცი კი დესპანია.

— თქვენ რა გვარი ბრძანდებით, ბატონო?

— შენ რა გესაქმება, ბიჭო?! — ვეღარ შეიკავა თავი კახაბერრა.

— ისე აკრძალული გვაქვს ხიდის ჩამოშვება, — გაიღიმა ჩახუნაშვილმა და კიდევ ერთი ნაბიჯი თითქოს უდარდელად გადადგა წინ.

ახლა კახაბერამდე მკლავის ერთი გადაწვდენაღა დარჩა.

შავცხენოსანი მონღოლი გაოცებული ისმენდა მათ საუბარს.

— მე?!. — ენა დაება კახაბერს. — დემეტრე მეფის ბიძა ვარ... — გვარი მაინც არ დაასახელა მოღალატემ.

— ჰოი, მე კი მეფე დავითმა კახაბერ კახაბერის ძის პატიმრობა მიბრძანაო, — უპასუხა ჩახუნაშვილმა და ცხენიდან ისე სწრაფად მოაძრო ერისთავი და ძირულის შავ ტალღებში გადაისროლა, რომ სირმონ ნოინმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო. წუთი და ჩახუნაშვილი წყალშივე წამოეწია კახაბერს. გულზე შეაჯდა, წელზე შემოხვეული ყაბალახი შემოიხსნა და გაგუდული ერისთავი ხელგაკრული გაათრია გაღმა. ოცდაცხრა ვაჟკაცი გადაფრინდა ცხენებით ძირულას გაღმა. სირმონი მიხვდა მისახვედრს. შებრუნდა და ზეძახილით გააქენა ცხენი ჩასაფრებულ მონღოლთა ურდოსაკენ.

გაოცებულმა მონღოლებმა, რომელთაც თავის დღეში არ ენახათ და დიდი შიში ჰქონდათ ამ ტყე-ვენახებისა, რაკი თვალი მოჰკრეს ნოინი მორბისო, თითონაც უკან შებრუნდნენ და გაქუსლეს.

ორასი კაცი მეციხოვნენიც გადმოეშველნენ ჩახუნაშვილს შორაპნიდან. სანამ ხელგაკრულ კახაბერს შორაპნის ციხე-გალავანში სხვები აათრევდნენ, ჩახუნაშვილმა წინ გაირეკა მონღოლები. მონღოლთა მთავარი ურდო თურმე ჯერ კიდევ სოფელს არ იყო გადმოვლილი, რომ უკუქცეულნი შეხვდნენ მტრის მთავარ ლაშქარს, რომელსაც ალანაყ ნოინი სარდლობდა. გამარჯვებით დაბრუნებულ ჩახუნაშვილის რაზმს მთელი ლაშქარი შემოესია შროშის ვიწროებში. ახალუხის ამარა და შიშველი ლეკური ხმლით ხელში ცხენზე მჯდომი ხალალამპრი მონღოლებზე უფრო საშიში შესახედი იყო. მისი მოქნეული ხმალი ცხენსა და კაცს ერთად ჰკვეთდა.

ალანაყ ნოინი მიხვდა, თუ ამ ნახევრადშიშველ გალომგულებულ კაცს დაიჭერდა ან მოცელავდა, საქმე გათავებული

იყო. იგი თითონ გამოიჭრა მისკენ. არ იცოდა ნოინმა, ვისთან ჰქონდა საქმე. შეიძლება იმიტომ შეჰბედა, რომ ეს საკინძეგახსნილი, ნახევრადშიშველი მამაკაცი ახლა უფრო მონღოლს ჰგავდა, მისმა ნასროლმა ისარმა ყურთან გაუზუზუნა ხალალამპრს და ელვის უსწრაფესად შემობრუნდა მისკენ. ახლო მოსულს ხმალზე ხმალი აუკრა და ლოდივით მუშტი ცომის საზელ გობივით ბრტყელ სახეში ისე დაჰკრა, რომ ამოდენა კაცი ხევში ციმციმ გადავარდა. ამან უშველა ნოინს. მტრის ჯარმა ისრები ხოშკაკალივით დააყარა ჩახუნაშვილს. შვიდმა ისარმა გაუარა ტანში ხალალამპრს. კიდევ ვერ იგრძნო სიკვდილის ჟამი და სხეულიდან საკუთარი ხელით ამოგლეჯილ ისრებს ცალ-ცალკე თხრიდა პირში ახლო მოსულ მონღოლებს. ეს კი აღარ ენახათ მონღოლებს. შეკრთნენ და შეჯგუფდნენ. იესე ეთამიშვილი მაინც მიხვდა — აქ ვერაფერს გახდებოდა მათი რაზმი. იგი ცხენდაცხენ მივარდა ჩახუნაშვილს. ძმადნაფიცს ტანზე ნაბადი შემოახვია და ბილიკით აღმართზე აიყვანა. თან მთელი რაზმი ყიჟინით გაიყოლია უკან.

დავით მეფის ლაშქარი შორაპნის ზემოთ შემოხვდა იესე ეთამიშვილს, რომელსაც სასიკვდილოდ დაჭრილი ძმობილი გულზე ესვენა. შვიდივე ისარს გულმკერდში გაევლო ვაჟკაცისათვის. მას თვალები მიელულა და მეფეს რომ შეხვდა, მხოლოდ მაშინ თქვა წყნარად: ჭადრის ძირში, ჭადრის ძირშიო... სიტყვა ველარ დააბოლოვა ვაჟკაცმა, იგი მოსხლტა და ჩაითენთა. მეფე მიუხვდა ჩახუნაშვილს. ჭადრის ძირს ისვენებდა ხალალამპრი. ისიც იგრძნო მეფემ — სწორედ იმ ჭადრის ძირში პირველად იხილა, ალბათ, ამ უებრო ვაჟკაცმა ჩახუნაშვილმა ნიფიდო. მეფე დიდხანს იდგა გაოგნებული. მერმე მივიდა და მიცვალებულს მკლავზე ეამბორა.

გადარჩენილი ქუთაისის სასახლე ხალალამპრის დაკარგვას გლოვობდა. საჩიჯაოში მთელი ლიხთიმერეთი შემოკრებილიყო.

იმ ჭადრის ძირში, სადაც პირველად იხილა ვაჟმა თავისი ნიფიდო, კვარცხლბეკზე კუბო იდგა, გვერდით ხმალი ესვენა. მისი დარახტული ცხენი შავით შეემოსათ. იმერეთის კათალიკოსი უხდიდა პარაკლისს.

მეფე-დედოფალი თმაგაწეწილ ნიფიდოს უდგნენ გვერდში.

ესე ეთამიშვილი და ნიფიდოს ძმები შავ სამოსში მუხლდაჩოჭილი დაჰყურებდნენ ძმისა და მეგობრის ცხედარს. ტყევლანის საზღვართან, თამარის ნაშენ ეკლესიაში დაკრძალეს.

გლოვის დროს მეფე დავითმა ჩიჯავაძის დიდი ჭადრის ახლოს ორი ლორთქო ჭადრის ძირი შენიშნა. ორივე ნორჩი, მაგრამ აშოლტილი იდგა მოშორებით. მეფის თვალებში გაკვესა რაღაცამ.

მეორე დღეს მან ნიფიდოს ხელი მოხვია და წყნარად უთხრა:

— შვილო ჩემო, შენი ეზოს ორი ჭადრის ძირი უნდა გადავარგვევინო სასახლის ეზოში. დე, იქ დაიზარდონ შენი ქმრის ხსოვნის, მისი ვაჟკაცობის სადიდებლად. შენი და მისი გმირობის მოსაგონებლად დავაწესებ, სამშობლოს ყოველი მოღალატე ამიერიდან მათ ტოტებქვეშ იქნეს განსჯილი და აქვე მიეზღოს სასჯელი.

ორმოცი დღის შემდეგ გამოიყვანეს კახაბერ კახაბერის ძე დილეგიდან. იგი გააცა სასახლის ეზოში მდგარმა ორმა ჭადარმა. ერთი ახლა უფრო მომცრო ჩანდა, ალბათ, გაუჭირდა ახალ ნიადაგზე ფესვის გადგმა, მეორეს ტოტები ლაღად გაეშალა. მათ შუა ლამაზად თლილი ვეება ლოდი იდო. კახაბერმა ისიც შენიშნა, რომ თვით მეფე იჯდა მსაჯულად. მთელი ლიხთიმერეთის ერისთავები თუ თავადები მოეწვიათ ხალხთან ერთად, ორი დღე გრძელდებოდა სამსჯავრო.

გურიელის კითხვაზე — რატომ უღალატა რაჭის ერისთავმა სამშობლოს და მის მტრებს მონღოლებს რა მიზნით შეეთქვა?— კახაბერმა უსირცხვილოდ უპასუხა: — სხვის მეფობას, ჩემი მეფობა მერჩიაო. ხალხი აღელდა. ჩაქოლვა მოითხოვა. დადიანმა ხმალზე იტაცა ხელი და მეფეს შეჰღაღადა:

— ნება მომეცი, მეფეო, თავი ძაღლის ლეკვივით გავაგდებინო!

მეფეს გაუკვირდა დადიანის სიფიცხე.

— მთავარო, სამსჯავროში ხმლით ჯდომა არ გეკადრებათ!

დადიანს შერცხვა, გაწითლდა. მეფესთან მაინც თავი იმართლა: ეზოში ვართ, მეფეო, სასამართლო დარბაზში რომ ვიყოთ, ხმალს როგორ შემოვირტყამდიო.

მეფე წამოდგა. ხალხმა უკან დაიწია.

— ამიერიდან ვბრძანებ, ეს დატოტვილი ჭადარი სამშობლოს და მამულის მოღალატეთა სამსჯავრო ადგილად იქცეს. დაე, ახსოვდეს ჩვენს მიწაწყალს, ნიფიდო ჩიჯავაძის ქალის და მისი მზეჭაბუკის თავგანწირვას როგორ აფასებენ მისი შვილები. ამ ჭადრის ძირში მიბრძანებია სამშობლოს მოღალატის კახაბერ კახაბერის ძის უვნებელყოფა. ორჯერ უღალატა მან თავის მამულს. ჩვენი ქვეყანა როდია ღირსი მის მშვენიერ, მზიურ მთასა და ველს, მჩქეფარე მდინარეებსა და ბაღ-ვენახებს მოღალატის თვალები უყურებდეს. ამიტომ მიბრძანებია — პირველი: ქვეყნის გამცემლობისათვის რაჭის ყოფილ ერისთავს კახაბერ კახაბერის ძეს დღესვე ორთავ თვალი დაეთხაროს! მეორე: რადგან იგი თავის ფეხით შემოუძღვა ქვეყნის მტერს მამულში და თავისივე მარჯვენა აღმართა სამშობლოს წინააღმდეგ, მარჯვენა ხელ-ფეხიც მოკვეთილ ექნეს! მესამე: ეს ორი ჭადარი იდგეს ქვეყნის თვალგასახარად. იმ ორი ნათელმოსილი ქალ-ვაჟის დიდსახსოვრად, რომლებმაც თავი არ დაზოგეს თავისი ქვეყნისათვის, თავისი მიწაწყლისათვის, თავისი ხალხისათვის! კურთხევა მათ სახელს! დიდება მათ სიყვარულს!

ეს სიტყვები წყნარად წარმოთქვა მეფემ და ოდნავ ფერშეცვლილი დაჯდა.

ასე თავდება ლეგენდა.

გამაოცა ერთმა გარემოებამ. ლეგენდაში მოხსენებულია ორი ჭადარი. გამოირკვა, რომ ოდესღაც, მართლაც, ორი ჭადარი მდგარა მეფეთა ამ ეზოში. ერთი უფრო მომცრო, მეორე უფრო დიდი. პირველს მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მეხი დასცემია და დაუმსხვრევია, მეორე კი, ის ჭადარია, ახლაც რომ ასე ამაყად აღერებულა. ზოგი ფიქრობს ეს ჭადრები უნდა იყოს დაახლოებით მიქელ მეფის დროს დარგული თუ აღმოცენებული. ცნობილია, რომ სწორედ ამ მეფის გარდაცვალების შემდეგ გიორგი ბრწყინვალემ, ისარგებლა რა მისი სიკვდილით, იმერეთიც შემოიერთა და საქართველო ამით გააერთიანა. ეს მოხდა 1329 წელს, ხოლო დავით ნარინი 1249 წელს დაბრუნდა მონღოლთა ურდოდან, განუდგა აბაღა ყაენს და იმერეთში გადავიდა.

1259 წელს იმერეთი უკვე ცალკე სამეფოდ იქნა გამოცხადე-

ბული და იმერეთის დიდებულებმა მეფობა დავით ნარინს (რუსუდანის ძეს) უბოძეს, ასე რომ, ლეგენდაში ნაგულისხმევ და ზემოთ მოყვანილ აზრს შორის დაახლოებით ასი წელი სხვაობაა. ამას კი ასეთი ხის ბიოგრაფიისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ასე თუ ისე ერთი კი ნათელია, ქუთაისის ჭადარი ამჟამად 600—700 წელზე ნაკლები ასაკის არ არის. ამ ჯიშის ხეთათვის კი ეს უნიკალური ასაკია. არის ერთი გარემოებაც, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. ვანში (საჩინოში) ახლაც ჭარბად ცხოვრობენ ჩახუნაშვილები. ერთნი სახლობენ სოფელ ტყეველანში და რევოლუციამდე გლეხებად იყვნენ წოდებულნი, მეორენი კი სახლობენ ვანში, მდინარე ჭიშურას მარჯვენა ნაპირას (ე. ი. ლეგენდაში მოთხრობილი ამბავის მიხედვით, სწორედ ჩიჯავაძის სასახლის გორაკის პირდაპირ, სადაც ახლა ახვლედიანები, ნანაძეები და სანადირაძეები ცხოვრობენ). ჩახუნაშვილები აზნაურებად იწერებოდნენ და იყვნენ საკმაოდ მდიდრები და შეძლებულნი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩიჯავაძეების სასახლე სწორედ იმ ადგილებში იდგა, სადაც უკანასკნელმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დიდფასეული განძი აღმოაჩინეს. საკვირველი არ არის, რომ ამ წლებამდე ჭიშურას პირზე, „ახვლედიანების გორაკს“ ზემოთ, სიკვდილამდე ცხოვრობდა თავად ჩიჯავაძეთა უშუალო წარმომადგენელი ერემია ჩიჯავაძე. ასე რომ, ამ ლეგენდაში ბევრი რამ არის ისეთი, რომელიც არ შეიძლება უგულებელვყოთ.

ქართველი (იმერეთის) მეფეები ამ ჭადრის ქვეშ იღებდნენ საპატიო სტუმრებს და სასამართლო პროცესებსაც მის ჩრდილქვეშ აწარმოებდნენ. ისტორიულად ორი ქუთაისია ცნობილი. ერთი ზემოთ, სადაც ახლა უქიმერიონის და ბაგრატის ტაძრის ნანგრევია. ეს ნაწილი „დიდ ქუთაისად“ იწოდებოდა. მეორე კი სწორედ ის ადგილი, სადაც ჭადარი დგას. მას „პატარა ქუთაისი“ ერქვა. ამ ადგილას იყო „ოქროს ჩარდახი“, რომლის სამი ფუძე-თაღი მდინარე რიონში იყო ჩადგმული და რომელზედაც ახლა ხის შენობაა დაშენებული. აღსანიშნავია ისიც, რომ გიმნაზიის (ახლა პირველი სკოლა) მშვენიერი შენობა მეფის სასახლის ცოკოლზე ყოფილა დაშენებული, ე. ი. ფუძედ მშენებლებს მეფის სასახლის ბალავერი გამოუყენებიათ.

პროკოფი კესარიელის ცნობით იმ ადგილზე, სადაც ახლა წულუკიძის ბაღი და სკოლა დგას, ციხე ყოფილა, რომელიც 551 წელს სპარსეთის სარდალს ეკავა თურმე. ბევრად ადრე კი აქ ყოფილა ლაზების ციხე-სიმაგრე „კოტაია", რომელიც მათვე დაანგრიეს მაშინდელი სტრატეგიული მოსაზრებით. შემდეგ საუკუნეებში იმერთა სამეფომ ქუთაისთან ერთად ბევრი რამ განიცადა, ბევრი ლხინი და ჭირი გამოიარა. ყველაზე დიდი ჭირი ქუთაისმა მაინც თურქების ველური შემოსევებისაგან იწვნია.

მეჩვიდმეტე საუკუნეში იმერეთის მეფეს სტოლნიკი ალექსანდრე ტოლოჩანოვი ეწვია ელჩად. მან შედარებით დაწვრილებით აღწერა ქუთაისის მიდამოები. ამ აღწერის მიხედვით ნათელი ხდება ქუთაისის მაშინდელი მდგომარეობა.

ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნეში ვენეციელმა ამბროზიო კონტარინიმ ინახულა ქუთაისი, დაათვალიერა და აღწერა იგი. რასაკვირველია, მეფის კარმიდამო ბევრად უფრო ადრე იყო აგებული. მეფის რეზიდენციას სამი მხრიდან დაახლოებით 700 მეტრის სიგრძის ქვიტკირის მაღალი კედელი ერტყა გარშემო. მეოთხე მხარე ზედ რიონზე იყო გადამდგარი, ამ ადგილას რიონი მეტად ძნელად გასაცური იყო, უბაწროდ ნავი კი არა, ვერც ერთი თავზე ხელაღებული მცურავი ვერ გადაჭრიდა ამ მუდამ აღელვებულ და ბობოქარ ტალღებს. საუკუნეების მანძილზე კლდოვანი თეთრი თხემები რიონის მჩქეფარე ტალღებს დაუფარავს, მეტად ჩაუღრმავებია და ქვის ნიადაგზე ვეება ღარები გაუკეთებია. ახლა, როცა რაიონში წყალი იკლებს, მისი კალაპოტი თეთრი ხიდიდან სიცოცხლეგამოფიტული კრატერების ფოტოპანორამას ჰგავს.

მრავალ ნაგებობათა შორის „ოქროს ჩარდახი" მეტად ლამაზი ყოფილა. მისი ვრცელი ღია აივანი ზედ რიონზე დაახლოებით ექვსი არშინი სიმაღლიდან ყოფილა გადმომდგარი. მეფის სასახლეს ორი კოშკი ჰქონია, ერთი მომცრო, სასახლის კარიბჭესთან, მეორე კი დაახლოებით ოცდაათ მეტრზე მეტი სიმაღლის ყოფილა. აქ ზარბაზნები იდგა თურმე. ერთ-ერთი კოშკი — სამრეკლო ინახულა და მისი სილამაზე აღწერა ცნობილმა მოგზაურმა დიუბუამ. შემდეგ ეს კოშკი ვიღაცას მსახვრელმა ხელმა აღგავა. მეფის სასახლეს ჰქონია დიდი დარბაზი, რომელიც

მოხატული ყოფილა ქართველი მხედრობის ბრძოლათა ამსახ-
ველი მშვენიერი სურათებით.

სასახლის წინ დიდი მოედანი ყოფილა, ვაჭრებითა და ხე-
ლოსნებით დასახლებული. ცნობილია, რომ მაშინდელი ქუთა-
ისის სასახლეს უხვი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა სხვადა-
სხვა ქვეყნებთან.

ჭადრის ჩრდილში იყო დასასვენებელი ვეება ნათალი ქვა.
ამ ქვაზე არათუ მარტო ისვენებდნენ მეფენი, ზოგჯერ სტუმ-
რებსაც იღებდნენ და საქმიანი საუბრებიც ჰქონდათ მათთან.
როგორც ეტყობა, სიბერის გამო ჭადარი ჯერ კიდევ ადრე ყო-
ფილა დაზიანებული. გიმნაზიის დირექტორს სტოიანოვს მისი
ფუღუროები ფისით ამოუვსია და ამით უწამლია ხისათვის.

ჭადარს ძველთაგანვე და ახლაც „საქართველოს ხეთა პატ-
რიარქს" უწოდებენ. მის გვერდით დგას მგზნებარე ქართველი
მოაზროვნის ალ. წულუკიძის ძეგლი. ოდესღაც ამ ჭადრის ტან-
ზე რკინის ბაწარი ყოფილა შემოხვეული. დაკვირვებულ თვალს
ახლაც შეუძლია შეამჩნიოს მისი ნაჭდევი — ნაკვალევი. ამ ბა-
წარზე, როგორც ამბობენ, სანაო ყოფილა გაბმული. ახლა მის
ახლოს რკინა-ბეტონის ლამაზი სტილიზებული კოშკია. იგი ანა-
ლი საჰაერო გზის ერთი კოშკთაგანია. ქუთაისელი ახალგაზრ-
დები ჩასხდებიან ხოლმე ლამაზად შეღებილ საჰაერო ძარაში
და როცა ისინი ზემოდან გადაუქროლებენ ჭადრის გაშლილ
ტოტებს, არ შეიძლება მოკრძალებით არ დახედონ ამ სახელო-
ვან ჭადარს, არ შეიძლება პატივისცემით არ მოიხსენიონ იმ
ადამიანთა გმირობა და ღვაწლი, რომელთაც ეს ჭადარი მოს-
წრებია.

სულ ათიოდე წლის წინათ ამ ჭადრის ახლოს, ზედ რიონის
ნაპირას იდგა დავით ჩხეიძის (დია ჩიანელის) სახლი. მისი ბინა
სწორედ ოქროს ჩარდახის ღია აივნის ადგილას იყო გადმომდ-
გარი რიონის ტალღებზე. ამ სახლში იკრიბებოდნენ ჩვენი დრო-
ის გამოჩენილი მოღვაწენი: გალაკტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვი-
ლი, ტიციან ტაბიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვი-
ლი, ნიკოლოზ მიწიშვილი, ბენიტო ბუაჩიძე, ლადო ასათიანი,
ირაკლი აბაშიძე, გ. ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, კონსტან-
ტინე ლორთქიფანიძე, სიმონ ჩიქოვანი, ბესო ჟღენტი, პეტრე
ბახტურიძე, ნიკა აგიაშვილი, ბონდო კეშელავა, ვიქტორ გაბეს-

ყირია, დავით გაჩეჩილაძე და სხვები. ამავე სახლში არაერთხელ ყოფილა ქართული თეატრის ჯადოქარი კოტე მარჯანიშვილი და მისი ბუდიდან აფრენილი ჩვენი სცენის არწივები: უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე და გიორგი შავგულიძე. ბევრი მათგანი აღარ არის ჩვენთან, ბევრი კი დღესაც შუბლნათლად ემსახურება საბჭოთა საქართველოს ბედნიერ დღეებს. მათ არაერთხელ დაუსვენიათ ამ ჭადრის ძირას, შეჩერებულან მისი ჩრდილის ქვეშ.

და განა დიდ აკაკის, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს— ქართული სიტყვის და სიბრძნის ამ დიდკაცებს მშვენიერი დღეები არ უტარებიათ მისი ჩრდილის ქვეშ?! რამდენი უფიქრიათ, რამდენი ცრემლი დაუღვრიათ ან სიხარული განუცდიათ ამ ჭადრის ტოტებქვეშ. ესეც ხომ ამ „საქართველოს ხეთა პატრიარქის" ბიოგრაფიაა! ნამდვილად ასე არის და ამიტომაც გვიყვარს ეს შესანიშნავი ჭადარი.

ᲣᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲛᲢᲔᲕᲜᲔᲑᲘ

აჭარაში ცა თითქო უფრო ახლოა. აქ მხოლოდ ცა როდია ლაჟვარდოვანი. ლაჟვარდი დაჰფენია მიწის ყოველ გოჯს და ცისა და მიწის ზღვარი წაუშლია. მოდის და მოდის ციდან ცვარ-ნამი. ნახევრად მოღრუბლულ ცაზე ხშირად შხაპუნა თუ ქუქუნა წვიმა გადაივლის, მზის სხივში განბანილი წვეთები აიაზმასავით ეპკურება ფორთოხლისა და მანდარინის ბაღებს. ღრუბელი რომ გადაიყრება, მზის სხივები თაფლის ნაღვენთივით აელვარდება ზურმუხტოვან ფერდობებზე.

ამიტომ არის აჭარის ბუნება ასე სიხარულის მომგვრელი. ეს ბუნება უწინ მხოლოდ რჩეულთ ეკუთვნოდათ. ერთი მუჭა გაბატონებულნი ჭამდნენ და სვამდნენ, რაც მოესურვებოდათ, ქეიფობდნენ და ილხენდნენ, იშენებდნენ სასახლეებსა და გემებს, ბაღებსა და თევზსაჭერ ტბებს. ტყეში ნადირს ისაკუთრებდნენ, ჰაერში — ფრინველს.

ახლა აჭარის მთებს, მის ბაღებს თვითონ აჭარელი მშრომელი პატრონობს. ამ დოვლათის პატრონთაგანია სოფელ ურეხის კოლმეურნეობის წევრი შუშანა დევაძე. ამ ქალიშვილის შრომა და სიმდიდრე, სილამაზე და კეთილშობილება ვის არ მოხიბლავს და არ გაახარებს?!.

როდესაც ჩვენ მივედით, იგი თავის მეგობრებთან ერთად ჩაის მწვანე ფოთოლს ახარისხებდა.

ახლად დაკრეფილი ფოთოლი გოდრისხელა ზვინებად ეყარა ამაღლებულ, სუფთა, გასალაშინებულ ფიცრულზე. აქეთ ბრიგადირი, სანდომიანი ახალგაზრდა კაცი დურსუნ ვაშანიძე იდგა და მკლავებდაკარწახებული ეხმარებოდა მათ. გარეთ მზის სხივები ოქროსფრად გადაფარებოდა ყველაფერს, შემაწუხე-

ბელი სიცხე იდგა. შიგ კი, ფიცრულში, გრილოდა. ქალიშვილები ფეხმორთხმულნი ისხდნენ. იქვე წყაროს წყლით სავსე მოზრდილი დოქი და კრიალა ჭიქა იდგა ლამბაქით. ჭიქას წყლის წვეთები მარგალიტებივით დასცვაროდა.

დარეჯან სიმონის ასული გუჩმანიძე, რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, კოლმეურნეობაში შრომობდა და თან ღამის სკოლაში სწავლობდა. ასევე სწავლობს და შრომობს ლიანა შავლიძე. ეს გოგონა დარეჯანის უახლოესი მეგობარია.

კომკავშირელი ქალიშვილები ლილი ვარშანიძე, ნათელა ფარტანიძე და თუნთული დიასამიძე მოწინავე კოლმეურნეები არიან და თან დაუსწრებლად ინსტიტუშიც სწავლობენ.

- შეკითხვაზე, თუ როგორია მათი წარმატება, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ისრაფილ სურმანიძემ, ღიმილით გვიპასუხა:

— ჩაისაც პირველხარისხოვნად კრეფენ და საგნებსაც ასე აბარებენო.

დარეჯანი ყოველდღიურად ორი-სამი ადამიანის მოსაკრეფ ფოთოლს კრეფს, იგი საშუალოზე მაღალი ტანისაა და თხილის წნელივით მოქნილი. მისი თაფლისფერი თვალები არაერთ ვაჟკაცს აუტოკებს გულს, ხოლო მისი შრომისმოყვარეობა ბევრ სადედამთილოს ჩააფიქრებს და მისკენ მიახედებს.

შუშანა კი მაინც გამოირჩევა მათგან. იგი დღეში ხუთი-ექვსი ადამიანის ნორმას კრეფს და თავისი ოჯახისა და კოლმეურნეობის დოვლათს ყოველდღე ზრდის, ბარაქას მატებს. მაისისა და ივნისის თვეში მარტო ფულადი შრომის საფასური ხუთასხუთასი მანეთი მიიღო და შემდეგ თვეებში უფრო მეტი ჯან-ღონით შეუტია საქმეს. იგი სამაგალითო ქალიშვილია.

ჩვენ ისევ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მივუბრუნდით.

—წელს ჭეშმარიტად სახელმოსახვეჭი წელიწადია ჩაის მკრეფავთათვის, ფერდობებზე გაშენებულ ჩაის ბუჩქებზე ყოველ დილით ახალ-ახალი ყლორტები ამოწვერავს, პირველ ორ ფოთოლს მზეს შეახედებს და პატარა გოგონას თმაში ჩასკვნილი აბრეშუმის ბაფთასავით ორწვერად გაიშლება, — აი, მაშინ უნდა მოკვნეტა ბუჩქზე ფოთოლს, თორემ თუ დააგვიანდა, გაუხეშდება, ყავარივით გაქერქეშდება და ხარისხს დაჰკარგავს,— გვითხრა ისრაფილ სურმანიძემ.

ჩვენი მანქანა სარფისკენ მიჰქრის. გაღმა-გამოღმა მანდარინისა და ფორთოხლის ბაღები და ჩაის ბუჩქებია. ფერდობზე ტერასებად დაუკვალავთ ისინი და საოცრი სილამაზით ამკობენ გარემოს.

ზღვა ლურჯია და წყნარი. ტალღა არ ირხევა. ხანდახან თოლიები თუ გაჰკრავენ ფრთას და ორ პეჟო ქაფს დატოვებენ ნაკვალევად.

ჩვენ თანდათან მაღლა მივდივართ, ზღვის პირი ქვემოთ იწევს. გონიოსთან ჩავიქროლეთ. ცადაწვდილი, ვეება ქონგურებიანი ქვითკირის კედლებით შემორტყმული ძველი ციხე-ქალაქია გონიო, ოდესღაც აქედან იძვროდა უსასრულო ქარავნები საბერძნეთისა თუ რომის იმპერიის მიწაწყლისაკენ. აქედან მიდიოდა კაკლის ხის, ძელქვის და ბზის მორები, აბრეშუმის ქართული ქსოვილები. ზღვის უბის ულამაზესი და შესანიშნავი ნავსაყუდელიდან მიდიოდნენ ქართველი ახალგაზრდები საბერძნეთისა თუ იერუსალიმის მაშინდელ მაღალკულტურულ ტაძრებში მეცნიერული წყურვილის დასაკმაყოფილებლად.

ალბათ, აქედან დაადგა შორეულ გზას შოთა. ალბათ, აქედანვე შემოვიდა სულხან-საბა ორბელიანი, ლუდოვიკო მეთოთხმეტის უყურადღებობით გულგატეხილი.

ჩემს სიჩაბუკეში ერთმა აჭარელმა ჭარმაგმა კაცმა, გიორგი მიქელაძემ, ერთი ხალხური ლექსი მითხრა. მე მაშინ არც სარფი მენახა და არც გონიო. ახლა, როცა მის კედლებთან გაოცებული და მოკრძალებული ვიდექი, ის ლექსი გამახსენდა:

სარფში ვიყავ, სარფი ვნახე მოხატული ლაჟვარდ ცაზე,
ფესვი ლურჯ ტალღაზე ედგა, თავი კავკასის კალთაზე,
გონიოში შოთას ტერფის კვალი ვნახე ბეჭდად ზღვაზე,
ქალ-ვაჟებიც დაზრდილიყვნენ მისი სიბრძნის ოქროს ბწკარზე.
ზურმუხტოვან ვაზის ბაღებს ბულბულები ასხდნენ რქაზე,
გემი ტალღებს მიაპობდა ლაშქრის ასი დროშით ბანზე,
ქართველის ღერბი მრისხანებდა იმ დროშების ძელქვის ტარზე...
ზღვას ჩავხედე, გავიოცე, ფსკერი ჰქონდა სადაფისა,
ტალღა ტალღას შეჰლეწოდა, ქაფი იდგა ლაჟვარდისა,
შენც გემბანზე დაგინახე, ქალ-ჭო, ანგელოზო ცისა,
მეტი, იბა, რა მინდოდა, გავლახავდი ყველა ჭირსა..

შეიძლება შოთას ფეხის კვალი, მართლაც, სადმე იყოს, ახლომახლოს-მეთქი, გავიფიქრე ამ სტრიქონებით შთაგონებულმა.

სარფი ზედ ზღვის უბეზეა მიშენებული, ასეთი ნაპირი იშვიათია შავი ზღვის ულამაზეს სანაპიროზე. ლურჯი, ლურჯი ზღვა, თვალისმომჭრელად მოლივლივე მზის სხივები თითქოს მის ულრმეს უფსკრულამდე ჩაღწეულა. ტალღებს სუფთა და ლამაზი წვრილი სადაფის კენჭებით გაუვსია ნაპირი. ფერდობებზე კი ნარინჯთა თვალუწვდენი ბაღები მოჩანს. შრიალებენ ბაღები. შრიალებს ზღვა და როცა აქ დგახარ, სულ სხვანაირ ნეტარებას, ზეადამიანურ ნეტარებას განიცდი.

სოფელი შუაზეა გაყოფილი. გამოღმა საბჭოთა მიწაზე ორსართულიანი სკოლა, კოლმეურნეობის მაღალი კანტორა, ბაღებში ჩაფლული ორსართულიანი აგურის სახლებია, თეთრად შეფეთქილი და ელნათურებით გაკაშკაშებული, გაღმა თურქეთის მიწაზე — სიღარიბე და სიბეჩავე.

როცა დაღამდება, ელექტრონით გაჩახჩახდება გამოღმა ყურე, გაღმა საცოდავად ბჟუტავს ჭრაქი.

ახალგაზრდა ყმაწვილმა ნოდარ ვახიძემ გვითხრა:

— მამიდაჩემის ოჯახი იქით ცხოვრობს, ჩვენ კი — აქეთ, ჩვენ უკვე დიდი ხანია აღარ ვიცნობთ ერთმანეთს, შთამომავლობას და მონაგარსო.

* * *

ჩვენ ისევ უკან დავბრუნდით.

დღეს ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენში დიდი ზეიმია— ახალი კულტურის სახლის გახსნა.

ახალშენი დიდი სოფელია. ათასამდე კომლი ცხოვრობს, მაგრამ ასეთი კულტურის სასახლე დიდ ქალაქებშიც არ არის.

არქიტექტორ ქემალ ბურჭულაძეს შესანიშნავი ნაგებობა დაუდგამს ამ სოფლის კოლმეურნეთათვის. მაყურებელთა ორსართულიანი დარბაზი შვიდას სავარძელს იტევს, ვეებერთელა სცენა და ტალანები ქართული ჩუქურთმებით არის შემკული და მოოქროვილი. მის მაღალ თაღზე მსხმოიარე ვაზებია გამოხატული. სამ საუკუნეზე მეტხანს აქაურ ქართველ კაცს ვაზის გა-

შენება ჰქონდა აკრძალული. ახლა კი არქიტექტორმა საუკუნეებით ნანატრი ხალხის სურვილი გაიხსენა და სასახლის გუმბათს მიახატა იგი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალექსანდრე ქერქაძემ თავის ეზოში გვაჩვენა უძველესი ვაზის ჯიში — კაჭიჭი და მერე მისი ღვინოც გაგვასინჯა. იგი მეტად ნაზი, იზაბელასავით თხელი, მაგრამ უფრო სურნელოვანი და შედარებით მაგარი სასმელი ღვინოა.

ახლა უკვე თანდათან ფეხს იკიდებს აჭარაში ვენახი: დიდი ჭირ-ვარამის შემდეგ ისევ აღსდგა ვაზი.

კულტურის სახლის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე აჭარის მრავალი წარჩინებული ადამიანი გამოვიდა.

აი, სიტყვას ამბობს აჭარაში განთქმული მკრეფავი ქალი ფატი წითელაძე. მისი ბრიგადა, რომელიც თერთმეტ ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლის, კომუნისტური ბრიგადის საპატიო სახელს ატარებს.

ამ ქალიშვილის სიტყვა და საქმე ერთია. სწორედ ამიტომ იყო, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეერთე ყრილობაზე თავის დელეგატად წარგზავნა.

სოფლის პარტორგი ნოშრევან დუმბაძე და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე შაქრო სურმანიძე შუბლგახსნილი გაჰყურებენ დარბაზს. კოლმეურნეობის ხასულე ორკესტრი გრგვინავს. ფართო ფანჯრებიდან მოჩანს ტერასებად ასული მანდარინის, ფორთოხლის და სხვა ნარგავთა უსასრულო ბაღები.

სიხარულით აღსავსე ადამიანები იღიმებიან.

დარბაზში ჩამოვედით, წინა რიგში მოხუცი კაცი ზის.

— ლაზი ვარო, — თქვა. სარფიდანაა, ამ სოფელში სიძე ჰყოლია, ზეიმზე ჩამოსულა, თურმე ოჯახებში დღეს ყველგან ლხინი ჰქონიათ. ნათესავ-მოყვარენი დაუპატიჟნიათ, საკლავი დაუკლავთ, სუფრა გაუშლიათ.

— დღეს ისეთი ლხინი აქვთ ჩემს დისშვილებს, მათ მშობლებს ქორწილი არა ჰქონიათ ასეთიო, — მიმახარობლა მოხუცმა. — წინათ აჭარელი და ლაზი შორეულ ქვეყნებში ეძებდნენ ბედნიერების ხვიოს, — განაგრძო მან, — ჩვენ თურმე იგი ჩვენი საძირკვლის ქვეშ გვქონია, ჩვენი თავანის ჩრდილ-

ქვეშ ყოფილა ჩაბუდებული. აი, აი, რომ არ ვიცოდი, ჭო! ჩვენი ბალნები მიხვდნენ და ცხოვრებაც ჩონგურივით ააწყვეს. გაგიგონია ერთი თქმულება? — მკითხა უცებ მოხუცმა და თან გუმბათზე მიხატულ მსხმოიარე ვაზს შემახედა.

მე მხრები ავიჩეჩე, — არა-მეთქი. მაშინ მან სკამი მოსწია ჩემსკენ და დაიწყო:

— აბა, დაიხსომე, შვილო, სიბრძნით სავსე თქმულებაა. მე მგონია, ლამაზიც უნდა იყოს. ჰოდა, ერთ ჩვენს პაპის-პაპას ნადირას (ასე რქმევია სახელად) მეტად ლამაზი ცოლი ჰყოლია. თვითონ შორეული გზების ნირგაუტეხელი მენავე ყოფილა. კუნაპეტ ღამეში, მაშინაც კი, როცა ერთმანეთს შეხეთქებული ტალღა და ქარი ცის კალთებს ლოკავენ, მისი თვალები ველურ კატასავით ხედავდა თურმე ბურუსიან ნაპირებს. წყლის ქვეშ გამძლეც ყოფილა. ვეება გემის ფსკერს ყვინთვით ათგზის შემოუვლიდა ქარიშხლის დროს.

ტანად დიდი არ ყოფილა, მაგრამ სხეული გემის ბაწარივით დაგრეხილი ჰქონია. ხელის გულზე წისქვილის დოლაბს მოაბრუნებდა თურმე, მის ბეჭებზე კი ლელო ბურთის მინდორი გაიშლებოდა. მუხლიც მაგარი ჰქონდა, ჯეირანს დაეწეოდა სირბილში. მის მეუღლეს სახელად დინდინა რქმევია. შავი თვალები და წარბ-წამწამი ჰქონია, ტანი კი თეთრი და თვალმიმტაცი. მისი ღიმილი გულწასულ ვაჟკაცს მოაბრუნებდა.

მაშინ ლაზეთში ბექა ჯაყელი ყოფილა ქვეყნის ბატონ-პატრონად. სწორედ ის ბექა, რომელმაც გაცვალა რჯული და სამშობლო, სახელადაც საფარა დაირქვა. დინდინას ქებას სასახლემდე მიუღწევია. საფარსაც მოუკრავს ყური, ამბობენ, ქალების მოყვარულობამ რჯული გამოაცვლევინა ბექა ჯაყელსო. ბედნიერება ცოლების სიმრავლეში კი არ არის, შვილო, ცოლქმრულ სიყვარულშია — ოჯახის სიყვარულში. კეთილშობილი ვაჟკაცი მეგობარს და მეზობელს არ უღალატებს.

ბექა-საფარას კი სხვა სანთელი ენთო გუნებაში. ქალთან სიამოვნება ქვეყნის გათენებას ერჩია.

შიკრიკის პირით ნადირა თავისთან უხმია.

ნადირას უგრძვნია ხიფათი, თვალებში სისხლი ჩასდგომია. ცოლისთვის მაინც პირი მოურიდებია და საგზლის მომზადება უთხოვია.

საზრისიან ქალს არ გამოჰპარვია ქმრის თვალთა ფერისცვალება.

— შენი სამი შვილის დედა ვარ, ნადირა, დასამალი რაი უნდა გქონდეს ჩემთან, მითხარი, რა უბედურება დაგვატყდა თავსო.

ვაჟკაცი კაცი ოჯახს თუ ატყუებს, ყველასთან პირგაცბუნებული იქნება, ქვეყნადაც აღარავის დაინდობს. ნადირას ვერ უთქვამს სიცრუე და თავისი ეჭვიც გაუმხელია ცოლისთვის.

— ბოროტება უდევს გულში, ნადირ, ბექა-საფარს, — დაუსკვნია ქალსაც.

— შეიძლება სხვა კეთილი ფიქრი უდევს გულში, შეიძლება ხონთქართან მგზავნის მენავეთუფროსად.

— არა, ნადირა ჩემო, მგელი ფარეხთან მხოლოდ ცხვრის ხორცს ეძებს დასაგლეჯად.

— რა ვიღონოთ, აბა? — შეეკითხა ქმარი.

— მეც წამოვალ.

— შენ იქ რა გინდა, ქალო, თვითონ უახლოვდები ჩვენი ოჯახის გაბახებას?!

— ნადირა, იცოდე, შენთან ახლოს ყოფნა ძალას მომცემს. ავ ფიქრს მომაშორებს თავიდან, შეიძლება ერთად ყოფნამ ავი საქმეც აგვარიდოს. ხომ იცი, ორი ადამიანის ნაფიქრალი მაინც სხვა არის. შენ ჩოხა-ახალუხს ჩავიცვამ, მამაკაცურად გამოვეწყობი.

ნადირა თვალებში ჩააცქერდა დინდინას, დიდხანს იფიქრა და გადაწყვიტა:

— კარგი, წავიდეთ, ბავშვები შენს ძმასთან გაეგზავნოთ იმერეთს.

ახლანდელ ტრაპიზონს წინათ, უხსოვარი დროიდან, ლაზები „რკინის პალოს“ ეძახდნენ თურმე. პირველად გემთა მისაბმელად რკინა იქ იხმარა ლაზმა. ხის ბოძზე მიმაგრებული საზღვაო დიდი ნაგებობანი ქარიშხალს ვერ უძლებდა. ლაზი კაცი კი ჭკუამაძიე კაცი იყო. თვალუწვდენ ზღვაზე გზებს ეძებდა და კვალავდა. მიწის გულში წიაღისეულ მადანს თხრიდა. აი, მიწას რკინა გამობდღვნა, ერთმა პირველმა გასინჯა მისი სიმაგრე და გაშძლეობა. ბოძად გამოიყენა და გემის ცხვირები რკინის ბაწრითვე მიაბა უბედურების თავიდან ასაცილებლად. პირველადი

რკინის ბოძები სწორედ იმ ბოღაზზე შეუნიშნავთ შორეული გზებიდან მოსულ ნაოსნებს და ამ ბოღაზ-ქალაქისთვის „რკინის პალო“ დაურქმევიათ.

ჰოდა, სწორედ ამ ქალაქში ცხოვრობდა მაშინ ბექა-საფარი. გათენების ჟამს მოსულა ნადირა სასახლეში.

ჭიშკართან ხვადი ლომი და ჯიქი ება თურმე შვიდფა ჯაჭვით. მოსულ სტუმარს ბექა ჯაყელის გაწვრთნილი მხეცები შიგ შეუშვებდნენ, გარეთ კი პატრონის უნებართვოდ თაგვი ვერ გამოძვრებოდა.

— ვინ არის ეს ყმაწვილიო, — უკითხავს ბექას, როცა ლამაზი ყმაწვილი შეუნიშნავს ნადირას გვერდით.

— ჩემი ცოლისძმაა, — უპასუხნია ნადირას, ნაოსნობას ვასწავლი, თან წამოვიყვანეო.

— ლამაზი ბიჭი ჩანს, ალბათ, მისი დაც ლამაზი იქნება!.. — და თვალიც ეშმაკურად ჩაუჭუტავს ბექას.

ხერხიანი კაცი იყო ნადირა, მაგრამ არც ბექა ჯაყელი იყო მიუხვედრელი. ეშმაკს ორი შავი ფრთა აქვს, ბექას კი სამი აღმოაჩნდა. არ გამოეპარა მის თვალს, რომ მის წინ ქალი იდგა.

— ჩემთან გიხმე, ჩემო ნადირ, მოეფერა სტუმარს, ხონთქართან უნდა წამეყვანე, მაგრამ ახლა სხვა გავიფიქრე. დაისვენე შენს ცოლისძმასთან ერთად, ხვალ კი სადილად გიწვევო.

ნადირა მიხვდა მისახვედრს. იმ ღამით ნაცნობ მეზღვაურებში მიიკითხ-მოიკითხა, დინდინას ფერ-ხორცის მსგავსი მეძავი ქალი მოანახვინა, საჩუქრებით ააესო და თან ხვალინდელი დღის საქმეში შეიპირა.

თუ ქალმა მამაკაცის ტანსაცმელი ჩაიცვა, ულამაზოც რომ იყოს, მაინც მშვენიერდება. ოდნავ კარგი შესახედავი ქალი კი მეტად მიმზიდველი ხდება ხოლმე. ნადირას შეპირებული ქალი ავთვალი როდი იყო, ამიტომ ვაჟის ტანსაცმელი მეტად დაიმშვენა.

მეორე დღეს სადილზე ნადირა თავის მხლებლებთან ერთად ეწვია სასახლეს. ფრთხილად ჩაუარეს ჭიშკართან მიბმულ ლომსა და ჯიქს, აივნის მაღალი კიბეები ალიეს და ბექას ეწვივნენ. ღიმილით შეხვედრია ბექა სტუმრებს. ორივენი გვერდზე მიუსვამს, ახალი სჯულის თანახმად შარბათით გამასპინძლებია.

— ეს შენი ცოლისძმა მომეწონა, ნადირ, — უთქვამს სა-

ფარს,—დამიტოვე, ნაოსნობას მე თვითონ ვასწავლი, გავზრდი და ხონთქრის სასახლის რჩეულ კაცად ვაქცევო.

ამას რომ ამბობდა ბექა, რასაკვირველია, თვალებში ცხრა ეშმაკი უცინოდა, გონებაში ასი მზაკვარი ეჯდა.

— თქვენი ნება იყოს, ბატონო, — უთქვამს ნადირას და თან უთხოვია: — ცოტა ხნით მეც ზღვაგაღმა ქვეყნებისკენ გავიელი. დაბრუნებისას შემოგივლით, თქვენც გნახავთ და ჩემს ცოლისძმასაცაო.

ადვილად მიზანმიღწეულ მთავარს გონებაზე ნისლი გადაჰკვრია, ნადირასათვის ოქრო-ვერცხლი უბოძებია და გზა დაულოცნია. ნადირას იმსაღამოსვე შორეულ ქვეყნებში წამსვლელი უცხო გემი მოუნახავს, დინდინაც თან წაუყვანია და გზას გასდგომია. საფარ-ბექას ნადირასთვის მოთვალთვალეები დაუდევნებია და მათაც მოუხსენებიათ ნადირას უცხო გემით გამგზავრება.

ბექას ეს ცნობა სიამოვნებით მიუღია. ნადირა კი შუა ზღვაში სხვა ნავში გადამჯდარა, აგრე ნაპირ-ნაპირ უვლია და ფაზისის ჩასართავთან მიწაზე ფეხი დაუდგამს. როცა ბექა ჯაყელმა თავისი გაბიაბრუება შეიტყო, ნადირა თავისი ცოლით საშიშ საზღვრებს გაცილებული იყო. ბექა ცხენს მოახტა და სარფისკენ გამოსწია. იგი უფრო გახელდა, როცა ნადირას ოჯახი იმერეთს შეხიზნული დახვდა. ბექას ცხენი უკან მოუბრუნებია, ისევ რკინის პალოში ჩამოსულა. უბედურება დაატყდა თავს მთელ მის სახლობას, ნადირას მოყვანილი ქალი გაპარული აღმოჩნდა, ვერც მეთვალთვალეებმა, ვერც გზირებმა ქალი ვერ იპოვეს.

• • •

წლები გავიდა, სტამბოლში ხონთქრის სასახლესთან ბექა-საფარას მხლებლები ჩამოხტნენ. ცხენოსანთა ჯგუფს ერთი ჩადრიანი მდიდრულად გამოწყობილი ქალი მიუახლოვდა და საფარა იკითხა:

— მე გახლავართ, უთქვამს ბექას და თან — რა გინდათო, — უკითხავს.

— თქვენი ნახვა მინდა, ბექა-ბატონო!

ბექას გაკვირვებია ქართულად ნათქვამი სიტყვები.

— ამაღამ მარტო თქვენ გელით, მხლებლების გარეშეო, — უთქვამს ქალს და ადგილი დაუნიშნავს.

დიდი და ლამაზი ქალაქია სტამბოლი. მისი სასახლეები და ცაში ატყორცნილი სვეტები ზღვის ულამაზეს უბის ნაპირზეა გადამდგარი. ერთი ასეთი სასახლის წინ გაჩერდა იმ საღამოს ბექა ჯაყელის ბედაური.

უმშვენიერესი ბაღი ერტყა გარშემო სასახლეს. მარმარილოს კიბის თავზე ბექას თავაზით სთხოვეს, იარაღი იქ დაეტოვებინა.

ზვიად და ამაყ კაცს უარი ვერ უთქვამს. იარაღი ჩაუბარებია. გაოცებული ადიოდა ბექა ჯაყელი ცაში შეტყორცნილი მარმარილოს ჰაეროვანი სასახლის კიბეზე. ტალანებს ჰვრეტდა და უფრო და უფრო აოცებდა თვალუნახავი სიმდიდრე, ოქროვერცხლი. აბრეშუმებით მორთულ დარბაზში ათასსანთლიანი კანკელი ეკიდა. დარბაზის შუა ადგილას ორი სავარძელი იდგა. ერთ მათგანზე ქალი იჯდა პირბადით. ბექას დანახვაზე წამოდგა და შეეგება. მდუმარედ მიუთითა მეორე სავარძელზე. ბექა გაოგნებული ჩაჯდა. ქალისთვის თვალი არ მოუშორებია.

— რას მიბრძანებ, ქალბატონო?!

— არ გაგიკვირდეს, ბექა-ბატონო, — წყნარად თქვა ქალმა, — დიდი ხანია გელოდით. ვიცოდი, ხონთქართან მოგიხდებოდა ჩამოსვლა. ეს სასახლე და ოქრო-ვერცხლი თქვენი და ერთი კაცის წყალობაა. მოთმინება იქონიეთ, და მომისმინეთ. თან პირობა უნდა მომცეთ, რაც არ უნდა გაიგონოთ, არ აღელდეთ. თუ სიტყვას მომცემთ, მხოლოდ მაშინ გაიგებთ ყველაფერს.

ბექა კიდევ უფრო გაოცდა.

„ჩემი წყალობით ეს ოქრო-ვერცხლი და ქონება?! არა, ეს ქალი ნამდვილად შეირყა ჭკუაზე“, — ამ ფიქრმა გაუელვა უცებ ბექა-საფარას თავში.

— არ აღელდებით?! — ისევ წყნარად იკითხა ქალმა.

ბექა შეირხა.

— მე აზრზე ვერ მოვსულვარ, ქალბატონო, არც ვიცი, რა გნებავთ ჩემგან. ან მაინცდამაინც რატომ უნდა ავღელდე?!

ფანჯრები გაღებული იყო. ბაღი ზედ ზღვისპირზე იყო. ერთ

ხეზე ორი მიმინო-კაპუეტი კიპკიპებდა. ფეხებზე ეყვანი ებათ.

— თქვენ მიმინოები გიყვარდათ, ბექა-ბატონო! — თქვა ქალმა, — მეც შევიყვარე ეს ფრინველები. ჩემი მოსამსახურენი ხანდახან მწყერზე მანადირებენ. მწყერზე ნადირობა ხომ თქვენ შემაყვარეთ.

ბექას თითქოს ხანჯალი დაარტყეს, ეეფხვივით წამოვარდა ზევით.

— ნუთუ ეს თქვენა ხართ?! — წამოიყვირა ბექა-საფარამ.

— მიცანით? თუ მართლაც არ დაგავიწყდით, მაშასადამე, არ შეგძულებივართ. მე კი მეგონა მომკლავდით.

— თქვენ ნადირას მოყვანილი ქალი ხართ, აი ის ქალი, დინ-დინას მაგივრად რომ...

— სწორედ ისა ვარ, — წუნარადვე თქვა ქალმა და პირბადე გადაიძრო, — მიცანით?

ბექას წინ იდგა სწორედ ის ქალი, მაგრამ საოცრად დამშვენებული და დამწიფებული. მაშინ გამხდარი გოგონა იყო, ახლა ხორცშეპატიებული და ელვარე, მაშინ, მართლაც, თითქოს მცირეწლოვანების ბუსუსები ეყარა სახეზე, მაგრამ არც ისე ლამაზი ჩანდა. ახლა კი მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ. ჰაი, ბექა ჯაყელო, ნუთუ ასეთი ქალი გყავდა იმ ორიოდე ღამეს, არა, ეს შეუძლებელია... ბიჭოს... თავში დაჰკრა სულ სხვა ფიქრმა ბექას, შეიძლება იმ ნადირამ ნამდვილად მისი ცოლი დამიტოვა. მერე იმ ქალმა, ე. ი. ამ ქალმა თავისთავზე ის ზღაპარი შეთხზა, ამით ისარგებლა და ხელიდან დამისხლტდა. ნამდვილად მომატყუეს, დაასკვნა ბექამ და ისევ ქალს შეხედა.

„სწორედ ნადირას ცოლია, მხოლოდ ასეთ ლამაზ ქალს შეეძლო ისეთი სახელი გავარდნოდა მთელ ლაზეთში“.

— მიცანით თუ ვერ მიცანით?! — ღიმილით შეეკითხა ისევ ქალი. ბექას ახლა სხვა აზრი ჩაუჯდა თავში... სიფრთხილემ სიბრძნის ჯავშანი ჩააცვა. თავი სრულიად დაბნეულ ადამიანად მოაჩვენა და კითხვაზე მხრები აიჩეჩა.

ქალმა მისკენ ნაბიჯი გადმოდგა. იგი მიხვდა, რომ ბექამ შეიძლება მთლად ვერ იცნო, მაგრამ იმასაც მიხვდა ქალის გუმანით, რომ ცუდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

— მაშასადამე, დაგავიწყდით? მე კი სულელი ვარ. მეგონა, არ დამივიწყებდით. თითონ მე ბევრი უბედურება ვნახე, მაგრამ

ვერ დაგივიწყეთ, ან კი როგორ შემეძლო, მე ხომ თქვენი ბავშვის დედა ვარ.

ეს კი მეტისმეტი იყო. ბექა ჯაყელს ტანში ქარიშხალი ჩაებუდრა.

— რა სთქვი, ქალო, მე შვილი მყავს?! — მან მკლავები დაუჭირა ქალს და თვალებში ჩახედა.

— თქვენ თვითონ ნახეთ და მიხვდებით, ნამდვილად მიხვდებით, — ისევ წყნარად თქვა ქალმა.

არ იცოდა, რა ეთქვა. მაშასადამე, ბექა ჯაყელს, რომელსაც არც ერთ ცოლთან ბავშვი არ ეყოლა, ღვიძლი შვილი ჰყოლია. ეს შეუძლებელია. ეს ქალი როშავს, ან რაღაც ქაჯურს ქსელავს. არა, არ წამოეგო ახალ სიცრუეს ბექა. შენი სიმტკიცე და სიბრძნე არ დაჰკარგო, არ აცერცეტდე!

— რატომ გაჩუმდით, — იწყინა ქალმა, — არ გაგეხარდათ ეს ამბავი? ან შეიძლება გრცხვენიათ ჩემგან შვილის შეძენა. ჰოი, ღმერთო ჩემო!.. — ქალს დიდი წუხილი დაეტყო. ბექა კი კვლავ დუმდა.

— დაბრძანდით, მომისმინეთ, მერმე, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, — იგი სწრაფად შემობრუნდა უკან და სავარძელში ჩაჯდა. ბექას კი ხელით უჩვენა მეორე სავარძელი.

ბექა უნებლიეთ დაემორჩილა ქალის ბრძანებას თუ გულწრფელ თხოვნას.

— მე, — დაიწყო ქალმა, — არც კი ვიცი სადაური ვარ, ოთხი წლისა მომიტაცეს. მხოლოდ ის მახსოვს, ცხენზე, ნაბადში გახვეული როგორ მივყავდი პირახვეულ მამაკაცებს... შემდეგ ჩამომიყვანეს სტამბოლში და ერთ ვაჭარ კაცს მიმყიდეს. ცამეტი წლისა ვიყავი, როცა იმ ველურმა კაცმა თავისი სურვილი აისრულა. შემძულდა ყველაფერი. ჩემთვის ქვეყანა დაბნელდა. ჩემს ბედზე, ვაჭარი მალე ზღვამ შთანთქა. მეც გავიპარე, თქვენს ქალაქში მოვხვდი და სწორედ იმ ხანებში ნადირას გადავეყარე. მისმა პირობამ შემაცდინა. ოქროებით დამაჯილდოვა. შვიდი დღე-ღამე ვიყავი შენთან, და შვიდას წელსაც რომ ვიცოცხლო, არ დამავიწყდება. მეფერებოდი როგორც ცოლს, ყველა სურვილს მისრულებდი, ყველა ჩემს ნაფიქრალს ხვდებოდი. შემიყვარდი პირველი მართალი სიყვარულით. მაშინ შენც ახალგაზრდა იყავი. მე უბედურს მომეჩვე-

ნა, რომ შენც გიყვარდი. შენი მოტყუება არ მოვისურვე და სიმართლეში გამოვტყდი — გითხარი, რომ მე ნადირას ცოლი არ ვიყავი. შენ ჯერ გაოცდი, მერმე ხელი მკარი და სადღაც გაქრი. მივხვდი, რომ, როცა თქვენ დაბრუნდებოდით, მე იქ არ დამედგომებოდა. ხომ გახსოვს, რა უხვად დამასაჩუქრე. ყველაფერს ხელი მოვხვიე, ღამით გავიპარე და ისევ სტამბოლს ჩავედი. მას შემდეგ აქ ვარ. ერთი კაცი მომეხმარა, ვაჭრის ქონებიდან მემკვიდრეობის ნაწილი მივიღე, შენი და ნადირას ნაბოძები ოქროც დავატრიალე, და აი ხომ ხედავ, სტამბოლში დავსახლდი. შენი ქალიშვილი ახლა პატარა აღარ არის. მას საუკეთესო აღმზრდელები ზრდიან, მაგრამ მამის შესახებ არაფერი იცის. მრავალი ღამე გელოდი. ვიცოდი, ჩამოხვიდოდი, გითვალთვალებდი. თქვენ მხარეშიც დავიქირავე მოთვალთვალენი, მთელი შენი ცხოვრება ხელისგულზე მიზის. ყველაფერი ვიცი ბექა ჯაყელის შესახებ. აი, ახლა შევიყარენით და შენ პირში წყალი დაიგუბე, გაჩუმდი, ალბათ, ჩემთან შვილის ყოლა გრცხვენიათ.

— არა ხართ მართალი, — წამოიყვირა ბექამ. ამდენხანს გაჩუმებულმა ახლა კი ვეღარ მოითმინა. — მე დავიბენი, დავიბენი იმიტომ კი არა, რომ ვერ გიცანი, არა, ჩვენი შეხვედრა, დაშორება და ისევ თავშეყრა უჩვეულო გარემოებაში მოხდა. სწორედ ამან დამაბნია, ათასი ფიქრი ჩამიდო თავში, არ დაგიმალავ და ათი ათასმა ეჭვმა დაიუფლა ჩემი გონება. ჯანდაბას ყველაფერი, რადგან შვილი მყოლია, ბედნიერი კაცი ვარ. ეს ერთი მაკლდა ამქვეყნად და ისიც მომანიჭა გამჩენმა. მე ამდენ ხანს იმ ხეს ვგავდი, რომელსაც ტანიც ჯანსაღი აქვს და რტოებიც ფართედ აქვს გადაშლილი, მწვანე ფოთლებიც ასხია, ნაყოფი კი მაინც ვერ გამოუსხამს. ამიერიდან სულ სხვა კაცი ვარ. გამიძეხ და შვილი, მაჩვენე, ქალო, გემუდარები, შვილი მაჩვენე!

ქალს ფერი დაჰკარგოდა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ბექაც აცახცახებული იდგა და შეჰყურებდა.

— კარგი, წავიდეთ, აღსრულდეს, — თრთოლვით თქვა ქალმა და ბექას გაუძღვა.

ენით უთქმელი სილამაზის გოგონა იყო ბექას ნაშიერი. მამასაც საოცრად ჰგავდა. მისი ფართოდ გახელილი ნისლდაკრუ-

ლი შავი თვალები, შოლტივით ტანი და წელამდე დარხეული მსხვილი თმა უთუოდ ჯაყელების გვარზე მეტყველებდა. სიარული ქურციკივით ფრთხილი და ნაზი ჰქონდა. ნაბიჯს რომ გადაადგამდა, გეგონებოდათ, რაღაცას ეპარებაო. მეტად სწორი და ულამაზესი სახის ნაკვთები მნახველს ატყვევებდა. ჯერ კიდევ ლოგინში იწვა იგი, როცა დედამისმა ბექა შეიყვანა საძინებელ დარბაზში. გოგონამ გაიღვიძა და გაოცებული თვალები მიაპყრო უცხო კაცს.

— აი, შვილო, შენი მამა, მოეხვიე და გაიხარე, — ნაზად უთხრა დედამ. ნამძინარევმა გოგონამ უცებ ვერაფერი გაიგო.

ბექას სუნთქვა შეეკრა.

— შენ მიშველე, ქვეყნის გამჩენო! — დაიბღავლა მან და გოგონა გულში ჩაიკრა. გაფითრებული გოგონა წივილით გაუსხლტა ხელიდან უცხო კაცს და დედას მოეხვია.

— ვაი ჩემს დღეს, ერთადერთი შვილი უცხოდ გამხდომია! — ისევ აღმოხდა ბექას.

ქართულმა სიტყვებმა გამოაფხიზლა გოგონა, დედა ასწავლიდა და მხოლოდ მისგან ესმოდა ასეთი ლაპარაკი. ახლა იგი გაკვირვებით დააცქერდა მოსულს. ახსოვს, მხოლოდ ერთხელ ზღვისპირზე გაიგონა ასეთი ქართული მან. აი იმ უცხო და ლამაზი ახალგაზრდა ვაჟკაცისაგან. ის ბიჭი მაშინ გემს გაჰყვა და აღარ უნახავს. მას შემდეგ ხშირად დადის იგი ბოღაზზე, მაგრამ, როგორც საღამოს ალვის ხის ჩრდილი, ისე გაქრა ის ყმაწვილი.

„იმ ბიჭის მამა თუ არის, — გაიფიქრა უცებ და ისევ ფიქრშივე გააბათილა თავისი ნაფიქრალი, — იმ ბიჭს ხომ მამამისი ახლდა. აკი თვითონვე გაიგონა, როგორ შეესიტყვა გემის ბაქანზე მდგომ ჯმუხა და ჭარმაგ მამაკაცს ის ჭაბუკი. ისიც კარგად ახსოვს, მამაო, დაუძახა.

„ნუთუ ეს კაცი მე მეძახის შვილს?!“ — უცებ ლოყები გაუწითლდა ქალიშვილს.

— თამუნია, შვილო, — მოესმა ისევ დედის ხმა, — ეს შენი ღვიძლი მამაა, გესმის, დედიკო!

— მამაჩემია! — უცებ შემობრუნდა დედისკენ გოგონა. — მერე ამდენხანს სად იყო, რატომ ჩვენთან არ დადიოდა?!

— ყველაფერს გეტყვი, — დაიბნა დედამისი, — ყველაფერს.

ბექამ გოგონას წინ დაიჩოქა.

— მოდი, შვილო, შემხედე, კარგად დამაკვირდი, როგორ ვგავართ ერთმანეთს, განა შეიძლება უცხო სისხლი და ხორცი ასე დაემგვანოს ერთმანეთს?! არა, შენ ნამდვილად ჩემი შვილი ხარ, ნამდვილად.

გოგონას კარგად გაახსენდა დედის ნაამბობი — მამაშენს მიმინოები უყვარდაო. ამიტომ თვითონაც ხომ ზედ ფანჯრის ახლოს ჰყავდა მიბმული. ისე ჭამაც არ შეეძლო, მეც ამიტომ მიყვარს ესენიო. გაახსენდა და უნებლიეთ გახედა ღია ფანჯარას.

მიმინოები ისევ კიპკიპებდნენ. მამამაც თვალი გააყოლა გოგონას თვალებს. ბექა მიხვდა გოგონას ფიქრს.

— კი, შვილო, ჩემი საყვარელი ფრინველებია, როცა შინ წაგიყვან, შენ თვითონ ნახავ, სწორედ ასევე ფანჯრის ახლოს ძყვახან დაბუდებულნი.

— განა თქვენ სხვა სახლში ცხოვრობთ?! — გაიოცა გოგონამ.

— ისიც შენია, ჩემო შვილო, და ესეც.

„ალბათ, ის ლამაზი ბიჭიც იქ ცხოვრობს“, — გაიფიქრა გოგონამ.

— როდის წამიყვანთ?! — იკითხა უცებ თამუნიამ.

— როცა შენ მოისურვებ.

— დედიკო, შენც წამოხვალ ხომ? ალბათ, ის ვაჟიც იქიდან იყო, ხომ გახსოვს, მე რომ გითხარი?!.

დედას მკვდრისფერი დაედო. ბექას არ გამოეპარა თამუნიას დედის ფერისცვალება.

— რომელ ვაჟზე ლაპარაკობს, ქალო, ჩემი შვილი?

— ბოღაზზე შეხვედრია, ორი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისათვის, — ჩაფიქრებით თქვა ქალმა, — მგონია, ნადირას ბიჭი უნდა იყოს.

— ნადირასი?! — ენა დაება ბექას. — ნუთუ ისინი გადარჩნენ?!

— ფაზისის ნაპირებიდან მოჰყავს მომცრო გემი. ჩემმა მეთვალყურეებმა მითხრეს.

— დედიკო, შენ გცოდნია და მე კი არ მითხარი, — დაღონდა თამუნია.

ბექამ დაკვირვებით შეხედა თამუნიას. მიხვდა ბექა ჯაყელი, გოგონას გულში ჩავარდნოდა ჭაბუკი.

— სად შენ და სად ის, შვილო. შენ მეფის შვილი ხარ, ის კი მონის ნაშიერია.

თამუნიამ გაოცებით შეხედა ბექას. დიდხანს უყურა მას და გაჩუმდა.

წყნარად გაუშვა დედას ხელები, წყნარადვე შებრუნდა და ნელი ნაბიჯით გავიდა გარეთ.

ბექა და თამუნიას დედა გაოგნებული მისჩერებოდნენ ქალიშვილს.

მესამე დღეს თამუნიას დედას მეთვალყურეებმა ამბავი მოუტანეს, ნადირა თავისი ცოლით და ვაჟით სტამბოლს ჩამოვიდაო.

ქალი ჩაფიქრდა.

„თუ ვაჟსაც გულში აქვს ჩავარდნილი თამუნიას სახე, აუცილებლად მოაკითხავს, თადარიგი მმართებს“.

მართლაც, საღამოს ზღვისპირზე უცხო ვაჟი შენიშნა. თან ქალი ახლდა. იგი კიბეზე დაეშვა, პირბადე აიფარა და სანაპიროზე გავიდა.

— ამ სახლში უნდა იყოს, დედი, — მოესმა ვაჟის ხმა.

„ნამდვილად ეს არის ნადირას ბიჭი, ტანსაცმელიც ქართული აცვია... ეს ქალი ვინ არის, შეტოკდა თამუნიას დედა. ღმერთო ჩემო, რა მშვენიერია, ალბათ, ეს არის დინდინა, რა ტანი და სახე აქვს, ბექა ჯაყელი ახლაც თავს გასწირავდა მისთვის, ჯანდაბას, მან არ უნდა გაიგოს ამათი მოსვლა. ეს ბიჭი კი თამუნიას ეძებს. გულში ჩავარდნია და დედა წამოუყვანია სანახავად“.

— შვილო, იქნებ მოგელანდა, ქართველ ქალიშვილს ამ ოხერ ქალაქში რა უნდა?

— არა, დედი, ჩემი თვალით ვნახე, ჩემი ყურით გავიგონე მისი სიტყვები.

— თუ ესაუბრე, შვილო, არ გითხრა, ვისი ქალია, მშობლები ვინა ჰყავს?

— მითხრა, მამაჩემი ჩვენგან შორს არის, დედასთან ერთად ვცხოვრობო, მდიდარი ჩანს ძალიან.

— შვილო, გული დაიოკე, მდიდარი ქალიშვილი ჩვენს ოჯახს არ ეგების!

— ვითომ რატომ, განა მე ცუდი ვაჟი ვარ. დადიანი ვერ ზეტყვის უარს, მე მხოლოდ ის მომეწონა. უიმისოდ სიცოცხლე გამიმწარდება.

— შვილო ჩემო, შენ ცოდნა დიდი გაქვს, ზღვისა და გემის საქმე კარგად იცი, მაგრამ სიმდიდრეს თავისი კანონები აქვს. ჩვენ კი მხოლოდ დადიანის მოსამსახურენი ვართ.

— დედაჩემო, ხომ გითხარი, ქალიშვილმა თვითონ მიხმო მაშინ.

— გაჩუმდი, ბიჭო, ვილაც ჩადრიანი ქალი გვითვალთვალებს მგონი.

დინდინა ჩადრიან ქალს დააკვირდა.

თამუნიას დედას თითქოს რაიმე დაჰკარგვოდეს, ისე დაიწყო გარემოს თვალიერება.

— ჩადრიანი ქალი, დედი, ჩვენს საუბარს ვერ მიხვდება.

— რა იცი, შვილო, ეს ქალაქი, მამამ ასე თქვა, ფათერაკიანი ქალაქიაო. — სწორედ ამ დროს ვაჟმა უცხო ქალისაკენ მიიხედა. თამუნიას დედას გაოცებით კინაღამ კვნესა აღმოხდა.

ასეთი სილამაზის ვაჟკაცი მას არსად ენახა. ხორბლისფერი სახე ჰქონდა. მისი თაფლისფერი, ჭკვიანი თვალები ნაპერწკლებივით გარემოს ანათებდა. ახლადამოსული ულვაში ოდნავ ემჩნეოდა. მაღალი, მაგრამ ძარღვიანი ბეჭები მეტად ვაჟკაცურ იერს აძლევდა. ისიც შენიშნა თამუნიას დედამ, მსუბუქი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯი რომ ჰქონდა.

— რას ეძებ, ხანუმ, იქნებ მოგეხმაროთ კიდეც, — ოსმალურად ზრდილობით და მოკრძალებით შეეკითხა ვაჟი.

„ხმაც მეხივით ჰქონია, ამ დალოცვილს, — გაიფიქრა ქალმა, — აქაური ენაც სცოდნია".

— ბეჭედი დავკარგე, შვილო, ალბათ, ზღვისკენ გადაგორდა.

— ძვირფასი იყო, ხანუმ, თქვენი ბეჭედი? — ისევ შეეკითხა ვაჟი.

— სახსოვარი იყო, შვილო ჩემო, თქვენ აქაური არ უნდა ბრძანდებოდეთ? — თავის მხრით შეეკითხა თამუნიას დედა.

— ჩვენ შორიდან ვართ, — უპასუხა დინდინამ შვილის მაგივრად.

„ჰო, ამასაც სცოდნია თურქული", — გაიფიქრა ისევ თამუნიას დედამ, თან ხმამაღლა დაუმატა:

— ქრისტიანი იქნები, ჩადრი არ გხურავს.

— კი, ქრისტიანი ქალი ვარ.

— ქმარი ვაჭარი კაცი იქნება, ალბათ, თუმცა სახით დედოფალს გავხართ, — ეს ქართულად უთხრა, დედა-შვილი გაოცდა. დინდინამ საყვედურით გადახედა შვილს.

— ჩემი ქმარი უბრალო მენავე, ზღვაზე მოარული კაცია, მე, ჩემო დაია, ამ ვაჟის დედა ვარ.

— ქართველი ქალი ჩანხარ, ქალბატონო, ჩადრი კი მოგიხურავს. ალბათ, რჯული გამოგიცვლია? — შეეკითხა ვაჟი.

— რჯული არ გამომიცვლია, ხასითი კი შემიცვალა წელთა სვლამ.

— ხასიათის გამოცვლას რჯულის გამოცვლა სჯობია, დედა.

დინდინას სახეზე ალმური მოეკიდა. ამ ქალმა ჩვენი საუბარი გაიგონა, ფათერაკი რამ გველისო, გაიფიქრა. იგი ქალისკენ მიიწია.

— თქვენ ჩემი შვილის საუბარს ყურს უგდებდით, ხომ?!

— დიახ, ყველაფერი გავიგონე.

— იცნობთ იმ გოგონას? — ისევ შეეკითხა დინდინა.

— თქვენ, ქალბატონო, მართალი ბრძანდებით, ის გოგონა მდიდარია, და უბედურება ის არის, რომ თქვენი ოჯახის მტრის ქალიშვილია.

— ჩემი ოჯახის მტრის ქალიშვილია?! — გაოგნებით გაიმეორა დინდინამ, — მტრის ქალიშვილი, — ისევ ჩაიჩურჩულა მან, — ვინა ჰყავს ჩემს ოჯახს მტერი, ქალო?!

— ის, ვინც ლაზეთს დააშორა შენი ოჯახი.

დინდინას ფერი წაუვიდა. შვილის მხარს დაეყრდნო.

— რა მოგდის, დედა?! — გაოცდა და თან მოეხვია ვაჟი.

— სწრაფად, სწრაფად წამიყვანე აქედან, შვილო, ეს ქალი ჯადოქარია.

— არა, დინდინა ქალო, მე ალქაჯი კი არა ვარ, ვინც შენს ოჯახს ჭირი ააშორა, თვითონ კი მსხვერპლი გახდა იმ საშინელი თუ ბედნიერი ღამისა.

— ვაი, ჩემს დღეს უბედურს, — წამოიყვირა დინდინამ, — გემზე, დათო, შვილო, გემზე წამიყვანე ახლავე, მამაშენი, მამაშენი... — რამდენჯერმე განწირულივით გაიმეორა ეს სიტყვა.

ბიჭი გაოგნებით შესჩერებოდა ორივეს. მას არაფერი არ ესმოდა, დედა მაინც მკერდზე მიიკრა და ჩასძახა:

— კარგი, დედი, გული გაიმაგრე, წავიდეთ.

— დინდინა, ისიც უნდა იცოდე, ბექა ამ ქალაქშია ამჟამად, მხლებლებიც ბლომად ახლავს.

დათომ გაიგონა თუ არა ეს სახელი, ტყვიამოხვედრილივით შემობრუნდა.

— რა სთქვით, ბექა ჯაყელი ამ ქალაქშია?! თამუნია ქართველია, მაშასადამე, მისი ქალიშვილი ყოფილა, ვაი მე უბედურს! — ეს უკანასკნელი უნებლიეთ გულიდან აღმოსკდა დათოს.

— არაფერია, შვილო! — აკანკალდა დინდინა. — ღმერთი დაგვიფარავს. დრო გავა და გადაგავიწყდება ის გოგონა. ახლა კი ამ ადგილს გავშორდეთ.

— არ გადამავიწყდება, დედაჩემო, არა... — ეს ისე გულწრფელად წამოიძახა, რომ თამუნიას დედას ცრემლები გადმოსცვივდა.

— იცოდეს ღმერთმა, შენზე უკეთეს სიძეს არ ისურვებდა დედის გული, დათო შვილო, მაგრამ არ ეგების. ბექა პირსისხლიანი კაცია, მამაშენის დაუძინებელი მტერია, არ მოხერხდება ეს ამბავი.

— თქვენ თამუნიას დედა ხართ?! — უცებ შემობრუნდა დათო მისკენ, — გევედრებით ერთხელ მანახეთ მხოლოდ. სიტყვას გაძლევთ, ამ ქალაქში ფეხს არ დავდგამ შემდეგ... ვიცი, რომ მასაც ვუყვარვარ, ვიცი, ვერც ის მოიშორებს ადვილად ჩემს სახეს. ვაითუ ის ჩემზე მეტად გაიტანჯოს, მაშინ რაღა მეშველება მე უბედურს!..

თამუნიას დედას თითქოს რკინის კეტი დაჰკრეს მუხლებზე.

„ვაითუ მართალი ხარ, — გაიფიქრა თავისთვის, — ღამეც კი, ძილშიც შენს სახელს ახსენებს, შვილო, მაგრამ მე რა მეშველება?!“

— მხოლოდ ერთხელ შევხედავ მას, — ემუდარებოდა ვაჟი, — ნუთუ არასდროს არავინ არ გყვარებიათ. თამუნიას დედა

არ იქნებით ასე ბოროტი. მე თქვენ დედად გიგულებდით, ფიქრით გეფერებოდით, ხომ ხედავთ, საიდან სად ჩამოესულვარ, დედ-მამა შემიწუხებია. მხოლოდ ერთხელ მინდა დაეინახო და მერმე ყველაფერს ავიტან.

— კარგი, ამობრძანდით ჩვენსას, — უცებ გადაწყვიტა თამუნიას დედამ. მაგრამ იცოდეთ, ვაჟკაცის სიტყვა სიტყვად დარჩეს. მე შენს სახეს ვენდობი. რატომღაც მწამს, ნებამაგარი ვაჟკაცი იქნები, ავიდეთ, თამუნიაც იქ არის. მხოლოდ უთხარი, ისევ ჩამოვალ-თქო და შემდეგ კი შენ იცი და შენმა კაცურმა სიტყვამ...

— არ წახვიდე, შვილო! — თითქმის დაიწიელა დინდინამ. — ვგრძნობ, უბედურებას შეემთხვევი!

— არა სთქვა ცუდი, დინდინა, შენც დედა ხარ და მეც. ჩემს სახლში დათოს ავი არ შეემთხვევა.

— დათო, შვილო, მამაშენს მაინც შეეკითხე, გული გამისკდება აქვე, თუ უმამოდ გაბედე იმ სახლში ფეხის შედგმა!

დათო შეყოყმანდა. ჩაფიქრდა. მერე ზღვისპირისკენ შემოტრიალდა და თან მტკიცე ხმით თქვა:

— კარგი, მე გემზე ავალ, მამას ვეტყვი და ამ წუთს აქვე გავჩნდები.

იგი სირბილით წავიდა ნაპირისაკენ. ორივე ქალი გაშეშებული დარჩა ადგილზე.

— უმალ თამუნიას მოხვდება ტყვია, ვინემ შენს შვილს ცუდი შეემთხვევა ჩემს ოჯახში, — უსაყვედურა უნდობლობა ქალის დედამ ვაჟისას.

— მამამ უნდა იცოდეს ყველაფერი, მე უიმისოდ ასეთი ნაბიჯის გადადგმას ვერ გავბედავ, — დააშოშმინა ნაწყენი ქალი დინდინამ.

სასახლის ბაღში ხეებზე ფრინველები ჭიკჭიკებდნენ, ხანდახან მიმინოების კიპკიპის ხმაც აღწევდა. ამ ხმამ ისევ ბექასაფარი გაახსენა დათოს დედას.

— მართალი ყოფილხარ, ბექაც აქვეა, ალბათ, — ისევ შეესიტყვა დინდინა ქალის დედას.

— ახლა ხონთქართან არის, მან თქვენი აქ ყოფნა არ იცის, მაინც მითხარი, დინდინა, დათომ იცის ამ ღამის ამბავი?!

— ჩვენს ოჯახში იდუმალი არა არის რა. მამამ უამბო შვილებს ყველაფერი.

— შვილები კიდევა გყავთ?

— სამი ვაჟის დედა ვარ.

— მე კი მხოლოდ თამუნია მყავს. ეტყობა, მისი ბედიც ნისლიანი და სევდით სავსე იქნება.

— რათა, ქალო, ალბათ, ლამაზია, ბექას ქალიშვილს ისეთი რა გაუჭირდება?!.

— დათო უყვარს, ბექასაც უშიშრად უთხრა თავის გულისნადები.

— ვაი ჩვენს დღეს უბედურს, ალბათ, ბექა სიკვდილით გვემუქრება.

— არ ვიცი, სიტყვა კი არ უთქვამს, ცივად მოშორდა ქალიშვილს და მის შემდეგ გარე-გარედ დადის.

— ავი ნიშანია, ისედაც სისხლმწყურვალი კაცია.

— ამის მეშინოდა, აი რატომ გითვალთვალებდით.

სწორედ ამ დროს დათო გამოჩნდა, მის გვერდით ნადირა მოდიოდა იარაღასხმული.

— აი მამაც აქ დაგვიცდის, ჩვენ იქ ავიდეთ, — მოსვლისთანავე უთხრა დათომ დედას.

— წავიდეთ, შვილო, რას იზამ, ავბედს თვითონ მიჰყავს ადამიანი თავის ნებაზე.

— ნუ შიშობ, დედი, მხოლოდ ერთი სიტყვას ვეტყვი... უთქმელად წასვლა არ შემიძლია.

თამუნია ჯერ კიდევ იწვა, ძილმღვიძარედ იყო. კარის ხმამ შეაფხიზლა. ფეხის ხმას დაუკვირდა, უცებ აილეწა და წამოვარდა. დედა შემოვიდა თუ არა, სახეზე ამოიკითხა დათოს ჩამოსვლა.

— ჩამოვიდა, ხომ, იცანი?!

— ჩაიცვი, შვილო, და შეხვდი, — ქალიშვილმა შეხედა, დედას ფერი დაკარგული ჰქონდა. თამუნიას ელდა ეცა.

— შენ რატომ წვალობ, დედი, მამასთან პასუხს მე ვაგებ.

— ეჰ, ჩემო სიცოცხლევ, სამწუხაროდ, დედები ყველას წინაშე აგებენ პასუხს.

თამუნია ჩასაცმელ ოთახში გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ

იგი უკვე მზად იყო. სახე ვარდისფერცელივით ეშხით გაევსო, თვალებში ნაკვერჩხლები გაუჩნდა.

აკანკალებულმა დედამ თამუნია დარბაზში შეიყვანა, დინდინას ოხვრა აღმოხდა.

— ქალი კი არა, ანგელოზი ყოფილა! — ჩაიჩურჩულა ულოდნოდ და თან კარს შეხედა, ბექა ხომ არ შემოვიდაო.

— თამუნია, — დაიწყო დათომ, — ღმერთმა იცის, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, შეიძლება მოვკვდე კიდეც...

თამუნიამ დათოს სიტყვა შეაწყვეტინა:

— მე განა შემიძლია უშენობა, ახლავე წამიყვანე შენს ქვეყანაში.

დ ა თ ო — სწორედ მისთვის ჩამოვედი და მშობლებიც ჩამოვიყვანე.

თ ა მ უ ნ ი ა — ნუთუ ეს დედაშენია, რა ლამაზი და კარგი ყოფილა. დედაჩემსაც ჰგავს, ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ შეგიყვარებთ, ქალბატონო!

დ ი ნ დ ი ნ ა — მე უკვე მიყვარხარ, შვილო, მაგრამ ბედსა ჰკითხეთ, იმ ოხერ ბედსა.

თ ა მ უ ნ ი ა — რათა სთქვი, დედა, ასეთი სიტყვა. ჩემი ბედი დათოს გულშია.

დ ა თ ო — ვაი, რომ ჩემი გული ხდება ჩემივე საფლავის გამთხრელი.

თ ა მ უ ნ ი ა — რას ამბობს, დათო, აზრი შეგეცვალა? ვაიმე უბედურს!

დ ა თ ო — არა, ჩემო სინათლევ, ჩემი აზრიც და გონებაც შენ გეკუთვნის.

თ ა მ უ ნ ი ა — მე კი შემაშინე; გული გამიხეთქე.

თ ა მ უ ნ ი ა ს დ ე დ ა — შვილო თამუ, შენი მამა და დათოს ოჯახი დანასისხლად არიან...

თ ა მ უ ნ ი ა — ჰოდა შერიგდებიან, ნუთუ მამებს შვილები არ უყვართ.

დ ა თ ო — ჩემი მამა ორივეს მტლად დაგვედება.

თ ა მ უ ნ ი ა — განა ჩემს მამას ვძულვარ მე?!

სწორედ ამ დროს კიბეზე ბექას ლანდი გამოჩნდა. თამუნიას დედამ თავისი ჩადრი დინდინას მოახვია — სახე დამალე, მძახალო. ასე აჯობებს, — ჩაიდუდუნა მან.

ბ ე ქ ა — მე შენს გარდა შვილი არა მყავს, დღეს ჩონთ-ქარსაც კი ვახარე ჩემი სიხარული.

თ ა მ უ ნ ი ა — ჩემი სიხარული კი ეს არის, მამა! შეხედე, აი, დათო ჩამოვიდა.

ბ ე ქ ა — შენი არჩევანი, შვილო, ჩვენი ოჯახის დაღუპვაა.

თ ა მ უ ნ ი ა — შენი სიტყვა კი, მამაჩემო, ჩემი სიკვდილია.

დ ა თ ო — ბექა-ბატონო, შეგვიბრალე, შეგვითვისე.

ბ ე ქ ა — უთვისარს ვინ შეითვისებს, მტერს ვინ შეიყვა-რებს, გლახას ვინ გააკაცებს!

დ ა თ ო — ვერც კაცურ კაცს დააგლახავებ, ბექა-ბატონო, იცოდე! ჩვენც ადამიანები ვართ!

ბ ე ქ ა — მე ჩემი მითქვამს, კარგი ვაჟკაცი ჩანხარ შენს ეზო-გარემოში, ჩემი ეზოს ჭიშკარი კი სხვა გვარის კაცმა უნდა შე-აღოს.

დ ა თ ო — ჩვენ ერთი ხალხის შვილი ვართ.

ბ ე ქ ა — მე თავზე ჩალმა მხურავს.

დ ა თ ო — მე კი ჩემი ხალხის ქუდს თავიდან ვერ მოვიშო-რებ.

დ ი ნ დ ი ნ ა — უმალ ჩვენს ოჯახს მეხი დასცემია, შვილო!

ბ ე ქ ა — ჰა, ეს თქვენა ხართ, დინდინა? არ მინახიხარ და შენი ხმა კი მაინც ვიცანი.

თ ა მ უ ნ ი ა ს დ ე დ ა — ბექა, ჩემი ცხოვრება მღვრიე და უპატიურია, არც მამა მახსოვს, არც დედაჩემის მკერდის სითბო. მაგრამ მამაკაცის თავზე მაინც ქართული ქუდი მირ-ჩევნია.

ბ ე ქ ა — გაჩუმდი! მამაკაცთა ქუდის გამოცვლა დედაკაცის საქმე როდია.

თ ა მ უ ნ ი ა ს დ ე დ ა — მე ჩალმებიანი კაცების ღირსე-ბაც ვიცი და ქართულ ქუდიანისაც.

ბ ე ქ ა — ქუდის გამოცვლა როდი ნიშნავს ტვინის გამოცვ-ლას, განა მე ქართველი არ ვარ?

დ ი ნ დ ი ნ ა — შენი ხალხი ქართველს აღარ გეძახის, ბექა-ბატონო!

ბ ე ქ ა — ვითომ და რატომ? მე მწამს, ეს ახალი რჯული უფ-რო აღამაღლებს ჩვენს ოჯახებს, ჩვენს ხალხს. დაუკვირდით

ოსმალოთ, ძალით ძლიერი სამეფო შექმნეს. დედამიწას შიშით აზანზარებენ.

დ ი ნ დ ი ნ ა — ხალხი შიშით როდი ყუჩდება, ბექა, ძალით ხალხის დარდს ვინ დააამებს?! იგი უფრო ბრაზდება, სისხლს გულში იხვევს და დროს უცდის.

ბ ე ქ ა — თითქმის ნახევარმა საქართველომ ახალი რჯული მიიღო. მალე თბილისს ქალაქშიც ოსმალთ დროშა აფრიალდება.

დ ი ნ დ ი ნ ა — ღმერთმა აშოროს ჩვენს ქვეყანას ასეთი ჭირი!

დ ა თ ო — ბექა-ბატონო, ნუთუ არ იცნობთ თქვენ ქართველი კაცის გულსა და ფიქრს. განა არაბებმა ან მონღოლებმა გასტეხეს იგი?!

თ ა მ უ ნ ი ა — მამაჩემო, ამ ვეება ქალაქში მარტო მე და დედაჩემი ვართ ქართველები. განა ჩვენ ოდესმე ოსმალონი გავხდებით?!

ბექამ თვალი დააშტერა თამუნიას. „მამაჩემის სიჯიუტე დაჰყოლია, ისიც რომ ცოცხალი იყოს, თავის ხელით ჩამცემდა სატევარს ტარამდე“. მერე დათოს მიუბრუნდა:

— მე შენზე ბევრი რამ მითხრეს საქები, ამ საქმეშიც საქებარი საქმე ქმენ. თამუნია შენი ცოლი ვერ გახდება. ამბობენ, ბევრი გისწავლია. დღეს ერთიც შეიძინე გონების სიმდიდრისათვის, ყმაკაცი მეფის ქალს მხოლოდ სიზმარში და ზღაპარში თუ ეღირსება მეუღლედ. მე მდაბიოსთან პაექრობას არ ვარ მიჩვეული, შენთან ამას ჩემი ერთადერთი ქალის პიტივისცემა მალაპარაკებს, ვიცი, რომ მასაც მოსწონხარ. შენ ვაჟკაცი ხარ და თავიც ვაჟკაცურად დაიჭირე. ერთიც გახსოვდეს, მამაშენი ყმა კი არა, დადიანიც რომ ყოფილიყო, მისი შვილი ჩემი ქალის ქმარი ვერ გახდებოდა. აწი შენ იცი, ბიძია, თუ ხვალ შენი თანმხლებლებით სტამბოლის ნაპირებზე გნახეს, ზეგ დილით შენი თავი ხოკორა კვახივით სულთანის კარიბჭეზე იქნება დაკიდებული. მე ჩემი ვთქვი, შენ კი შენი ჰქენი. ვინძლო ჭკუა არ წაგო!

იგი შებრუნდა და კარისკენ გაემართა. თითქოს რაღაც გაახსენდაო — უკან შემობრუნდა და თამუნიას დედას უბრძანა:

— ხონთქარს შევპირდი, ხვალ ჩემს ქალიშვილთან ერთად უნდა ვესტუმრო!

სიჩუმე ჩამოვარდა, ყველას ზარი დაეცა, ყველანი მიხვდნენ თამუნიას თავზე მეხის დაცემას.

დათო ერთიანად კანკალებდა. ხელი ხანჯლის ტარს მოავლო უნებლიეთ.

თამუნიამ ყველას სათითაოდ შეხედა და მერე დედას მიუბრუნდა:

— მამა კი არა, შვილის მკვლელი მოგსვლია, დედაჩემო!

ბექას თითქოს არც კი გაეგონოს ეს სიტყვები, კიბე ჩაიარა და ბაღის კარით ქალაქს გავიდა.

დათომ შეხედა, როგორ შემოეხვივნენ მხლებლები და როგორ დაუწყო მათ გაცხარებული საუბარი ბექამ. ისიც დაინახა დათომ, მამამისი ნადირა როგორ ქურდულად უთვალთვალებდა ბექას თავის მხლებლებითურთ.

„რასაც მამა მირჩევს, იმ გზას დავადგებიო“, — გაიფიქრა მან და სირბილით გაიქცა მამისკენ.

— ამ წუთს დავბრუნდებიო, — ეს კი დაუძახა დედას.

— გველმა შხამი შემოგანთხია?! — შეეგება შვილს მამა.

შვილმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ შეხვედრის ამბავი უამბო.

არავინ იცის, რა ითათბირეს მამა-შვილმა, მაგრამ იმ ღამით მათი გემი ყველას დასანახად გასცილდა სტამბოლის ბოღაზს. გემის ცხვირთან სამთავენი ერთად იყვნენ. ხოლო როცა გემი ზღვაში შევიდა, ვერავინ დაინახა პატარა ნავი როგორ მოსწყდა გემის კუდს და შეუმჩნევლად ნაპირისკენ წამოვიდა. სწორედ ათი დღის შემდეგ, როცა ხონთქარმა ბექა ჯაყელი თეირანში ერთი კვირით დაასაქმა, სტამბოლიდან უკვალოდ გაქრნენ თამუნიას დედა და მისი ქალიშვილი.

გაცოფებული ბექა მიწასა და კლდეს გლეჯდა, ქვეყნის ყველა მხარეს დაგზავნა მეთვალთვალენი. ვერსად ვერ მიაკვლია მათ ნაგზურს. თამუნიას დედამ მთელი ქონება თითქმის ხელუხლებლად მიატოვა.

— ყველაფერი წყალს წაუღია. კარგი იყო, თავიდან არ მენახა ჩემი ქალიშვილი, ვნახე, შევიყვარე, შვილად ვიგრძენი და მაშინ დავკარგე. არა, მე რა კაცი ვარ, თუ ისინი არ მოვნახე!..

სამი წელი არბენინა შიკრიკებმ ყველა ქვეყანაში ბექამ. სამი წელი თვითონაც გადაიარა სხვადასხვა კუთხის მიკვლეულ-მიუკვლეველი გზები. ვერსად ვერაფერი ვერ გაიგო. ბოლოს რკინის პალოში ჩამობრუნდა, სასახლეში ჩაიკეტა და გაირინდა. ამ ხნის მანძილზე სამცხე-საათაბაგო თავის რწმენაზე გადაიყვანა და თავის მამა-პაპის ძვლები ქვეყანას გადაავიწყა. თითონ კი მოტყდა, ჭაღარა შეეპარა და სახეზე ნაოჭები გაუჩნდა.

ერთ ღამეს მოახსენეს ბექა-საფარს — უცხო კაცი მოვიდა, შენს ნახვას თხოულობსო. დარბაზში ჭარმაგი კაცი შემოვიდა. შეხედა თუ არა მოსულს, ბექას ცეცხლი ჩაუდგა თვალებში.

შეხვედრისთანავე იცნო ნადირა, იგი ტახტიდან წამოვარდა და ათრთოლდა.

— დაწყნარდი, ბექა-ბატონო, დიდი სათქმელისათვის მოვსულვარ.

ბექამ ოდნავ წინ წამოდგა ნაბიჯი. შეატყო თავის თავს, რომ ხმა სადღაც გაუქრა.

„დავბერებულვარ, მტერი სახლში თავის ფეხით შემოტანტალდა, მე კი ხმაც ჩამივარდა".

ეს თავისთვის გაიფიქრა მან და თან ხმამაღლა დაუმატა:

— ჩემი მასპინძლობა ვერ გიშველის, ნადირა, ცხოვრებ› შენ მომიწამლე, სიცოცხლეს მე გაგიმწარებ, აი, მერე, თუ გინდა ცოცხლად ჩამმარხონ მიწაში.

წარბი არ შეუხრია ნადირას. იგი მხოლოდ ერთხელ შეტოკდა, ისე რომ ბექას არც შეუმჩნევია.

— მე, ბექა, კიდევ გიმეორებ, პირად საქმეზე არ მოვსულვარ. ხალხმა გამომგზავნა. უნდა მომისმინო, მერე კი შენ იცი,—ბექას მშიერ მიმინოსავით აბრიალებული თვალები ოდნავ დაუცხრა. ნადირას დააჩერდა, მერე უკან დაიხია და სავარძელზე დაჯდა. სტუმარს მაინც არ უთხრა, დაბრძანდითო.

— აბა, მოყევი სათქმელი, გისმენ!

— ქართველ ხალხს უჭირს, ოსმალები გლეჯენ და სწეწენ ნაწილ-ნაწილად. შენ გადაგვიდექი. ეს მიწაწყალი მტრებს მიუგდე საჯიჯგნად. ვინც რჯულს არ გამოიცვლის, ყველაფერს ართმევენ, უკეთეს ოჯახებს შიგ ოსმალეთში ასახლებენ, მონებად ჰყიდან. ბექა-ბატონო, განა ჯაყელების გვარი ასე იქცეოდა ოდესმე?!

— მე საფარ-ბეგს მეძახიან ახლა, მონავ!

— მართალია, საფარ-ბეგს გეძახიან, მაგრამ გვარად კი ისევ ჯაყელი ხარ!

— ბექა ჯაყელის გვარ-სახელი ჩემს სიცოცხლეშივე ჩაიფერფლა, აწი მას აღარავის დაარქმევენ.

— ჩემმა რძალმა და შენმა ქალიშვილმა სახელად მაინც ბექა დაარქვა შენს შვილიშვილს, — თვალი თვალში გაუყარა ნადირამ.

— რაო?! — ვეღარ დაეტია სავარძელში ბექა-საფარი. — ვინ დაარქვა, ვის დაარქვეს?!

— შენმა ქალმა, შენს შვილიშვილს ბექა დაარქვა, ლაზთა ბატონო.

— ბექა დაარქვეს სახელად? — დაიბნა ბექა ჯაყელი, — მაშასადმე, ვაჟი ყოფილა ჩემი შვილიშვილი, — ეს ჩურჩულით თქვა. თათრული ფორთოხლისფერი დაედო, კანკალი აუტყდა.

— ვაჟია, მესამე ვაჟი.

— მესამე ვაჟი?! მაშასადამე, სამივე შვილიშვილი ვაჟი ყოფილა.

— კი, სამივე ვაჟია. უმცროსი შენ გვარზე მონათლეს, ესეც შენმა ქალიშვილმა დაიჟინა, თუმცა მღვდელი კი წინააღმდეგი იყო.

— მღვდელი წინააღმდეგი იყო? — კიდევ უფრო გაოგნდა კაცი, — მერედა, აბა, ვინ ჩაწერა ჯაყელად?!.

— კათალიკოსმა დართო ნება. იმედი აქვს თქვენი, შეცდომას მიხვდებაო.

— ვისა ჰგავს ეს პატარა შვილიშვილი? — თითქოს არ გაეგონოს უკანასკნელი სიტყვა, ისე ჰკითხა ბექამ ნადირას.

— შენ გამგვანებენ, კათალიკოსმა თქვა, ნამდვილი ჯაყელიაო, და თან დაანათლა, განსვენებულ თქვენს მამას ჰგავდესო.

ბექამ უნებლიეთ ხმლისკენ გასწია ხელი, მაგრამ ისევ შეძრკა, ისევ ჩაფიქრდა და გესლიანად უთხრა ნადირას:

— ჰო, მე მოღალატედ მთვლიან ბაგრატიონები, ურჯულო კაცი ვარ, ხომ?

— კი, ასე გთვლის მთელი შენი ხალხი! — დინჯად დაუკრა კვერი ნადირამ.

— კიდევ რა დაგაბარეს? — პირისპირ შემობრუნდა ნადირასკენ ბექა.

— კიდევ? აი ეს გამომატანეს, — ნადირამ ჩოხის უბეში ხელი ჩაიყო და იქიდან მუჭის ხელა გასანთლული ქაღალდის ტომსიკა ამოიღო. გასანთლული ქაღალდის პარკიდან ხოჭოებივით ილანდებოდა და მოძრაობდა ფრთიანი ჭიები.

— ეს რაღაა ბიჭო?! — გაოცდა ბექა-საფარი.

— ეს, ბატონო, ქართული დედაფუტკარი გამომატანეს გელათის მონასტრიდან, ოდესღაც თქვენს პაპის პაპას შეუწირავს ღვთისმშობლისათვის, მამლებიც გამოაყოლეს. ერთ ჯიშზე იმრავლებენო.

— მერე, და რად მინდა ფუტკარი, თაფლი მაკლია თუ სანთლის არაყი?!

— ამის სანთლით შეევედროს ოშკის წმინდანებსო, დანაშაული ეპატიებაო.

— ნადირა, — უცებ უკან დაიხია და სავარძელზე ჩამოჯდა საფარ-ბეგი, — ყველაფერი მიპატიებია, ახალავე გამშორდი, თავი არ შემომაკლა, არ მინდა ჩემს შვილიშვილებს მეორე ბაბუაც მოვაშორო, წადი, ძმაო, წადი, შენი გზა ნახე!

— ერთი შვილიშვილიც გამომატანეს შენთან. თუ მიბრძანებ, მოვაყვანინებ. — ეს კი მეტისმეტი იყო. ბექას ქვედა ყბის ძვალი უკანკალებდა.

— ვინ მომიყვანე?! — ვეღარ მიხვდა ბექა ჯაყელი.

— უმცროსი შვილიშვილი. როგორც მოგახსენეთ, ბექა ჯაყელი დაარქვეს კათალიკოსის რჩევით.

— მართლა მომიყვანე? — ვეღარ გაუძლო ბექამ ამ ცთუნებას. — სულ მომიყვანეთ, თუ გინდათ მაჩვენოთ და სიბერე მომიშხამოთ?!

ნადირამ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ისე შეხედა, ეტყობოდა, რაღაც იდარდა, იგი დიდხანს შეცბუნებული იყო და ბოლოს უთხრა საფარს:

— ჩემს მუხლებზე გაზრდილია და გულითაც მე მგავს, ისე კი გარეგნულად გამოცხადებული შენი სურათია, ხალხის გულისთვის გავწირე იგი მე, აქედანვე იცოდე, ოსმალური ტალავერი არ მიაკარო და არც თვითონ ჩაიცვამს.

— შემახედე, სად არის, მომიყვანე!.. — წაიყრუა უკანასკნელი სიტყვები საფარმა.

ნადირა უკან გაბრუნდა. სარკმლიდან დიდხანს ადევნებდა თვალყურს ბექა-საფარი მიმავალს, მერე ტაში შემოჰკრა. ოთახში მსახური შემოვიდა.

— იმ კაცს შორიახლო უთვალთვალეთ, არსად გაგეპაროთ, თორემ!...

მსახური გააკვირვა საფარის სახის ფერმა და სისხლიანმა თვალებმა. იგი უხმოდ შემოვიდა და უხმოდვე გავიდა.

როცა ბავშვი შემოიყვანა ნადირამ, ბექა თითქოს წყნარად იჯდა სავარძელში. ბავშვი ექვსი წლისა თუ იქნებოდა.

შეხედა თუ არა დიდმა ბექამ პატარას, თვალები დაეწკურა. ქვედა ყბა ისევ აუკანკალდა.

„ღმერთო ჩემო, ჩემი ბავშვობაა, ჩაქურაც თითქოს მისივე იყოს, — უცებ გაუელვა ამ ფიქრმა ბექას. — აი, ის სირმები, მამამ რომ ჩამოატანინა თბილისიდან სააღდგომო ტანსაცმლისათვის. ნამდვილად ის არის, აგერ სამხრეზე გადიას ხელით მოქარგული ფრთაგაშლილი შევარდნის ბარტყი...“

— თქვენი სიცოცხლე, ბაბუა ბატონო, — სიზმარეულივით ჩოესმა ახლა ბავშვის ტკბილი ხმა ბექას.

— მოდი, შვილო თუ ძმაო, — აებლუკა ენა ბექა-საფარს. — მოდი.

ბიჭმა ფეხი აუჩქარა, ტახტზე მჯდარი ბექას გამოწვდილი ხელებიდან მარჯვენა აირჩია და ხელზე ხელი დაჰკრა.

— გამარჯობა, ბაბუა! — ისევ გაისმა ბავშვის იადონივით ხმა.

— გაგიმარჯოს, ბაბუ, გაგიმარჯოს. ერთი ეს მითხარი, საიდან მიცნობ, ბიჭო?!

— სურათიდან, მამამ დახატა თქვენი სურათი.

— ჩემი ბიჭი ხანდახან სურათებს ხატავს, თქვენი სახე გაუხსენებია და დაუხატავს, — ჩაიბუბუნა ნადირამ.

— იქ სხვანაირად ხარ დახატული, ბაბუ, ქართული ქუდი გახურავს თავზე, აქ თათარივით რატომ გაცვია?! — ატიკტიკდა ბავშვი.

ბექას ხმა არ ამოუღია. მხოლოდ ნადირას შეავლო ეჭვით სავსე თვალები. იგი დიდხანს იყო ჩაფიქრებული.

ბავშვი ხელიდან კი მაინც არ გაუშვა.

„მათ უნდათ, ეს ბავშვი შემაყვარონ და ხელები მაგრად ჩამავლონ. მერე კი...“ — ფიქრი არ დაასრულა მან.

ნადირას არ გამოეპარა ბექას თვალებში გაკრული კვესი.

— ბაბუა ნადირა, ნათლიას საჩუქარი არ აჩვენე ბექა ბაბუას?.. — გაახსენდა ბავშვს.

ნადირა შეინძრა, მის თვალებში ნაპერწკლებმა დაკვესა. ბექამ კიდევ უფრო იშვნეულად შეხედა ნადირას.

— ვინ არის ბავშვის ნათლია? — წყნარად იკითხა ახლა ბექამ.

— ხომ მოგახსენეთ, თვითონ კათალიკოსი.

— რა საჩუქარზე ამბობს ეს ბაღანა?! — ისევ წყნარად და დაკვირვებით შეხედა ნადირას ბექამ.

ნადირამ თითქოს უხერხულობა იგრძნო და ფიქრი დამალა, ისე გადაინაცვლა ფეხიდან ფეხზე.

— კაჭიჭის მტევანი გამოგიგზავნათ, ერთ დროს თქვენს პაპას, დიდ ყვარყვარე ჯაყელს ფიცის გასახსენებლად გელათის ღვთისმშობლის კეთილ სახისთვის მიუტანია საჩუქრად.

ბექა-საფარს თვალები გაუფართოვდა.

— კაჭიჭის მტევანი?.. — ისევ ფერი შეეცვალა ბექას და ახლა მარჯვენა ბეჭიც აუკანკალდა.

— დიახ, გელათის წიგნ-ეტრატის გამომშრალი კაჭიჭის მტევანი. გეცოდინებათ, თქვენი წინაპრის დიდი ყვარყვარე ჯაყელის ხელით ყოფილა მოწყვეტილი და კოხტასთავში ჩატანილი, ცოტნე დადიანის ხელშესაფიცად.

— მერმე ვითომ მე რათ მინდა ასეული წლების წინ გამომხმარი მტევანი?!

— თვითონ მიხვდები, ბატონო ბექა.

ბექამ ახლა ბავშვს ხელი გაუშვა და ნოხებიში მოფენილ იატაკზე აღელვებით დაიწყო სიარული.

— ისინი ფიქრობენ, მონღოლების წინააღმდეგ ყვარყვარეს შეფიცება ოსმალთა განსადევნად მივმართო, არა?

— ორივენი ჩვენი ქვეყნის დამრბევნი არიან, ბექა ჯაყელო, ორივენი სხვა რჯულისანი არიან.

— თქვენ დაგავიწყდათ, რომ მეც მაჰმადის რჯული მივიღე და თავზე ჩალმა მხურავს?!

— შეცდომა გამოსწორდება, ღალატი კი არა.

— საქართველოც მალე მიიღებს მაჰმადის რჯულს. სხვა გზა არა გვაქვს, ნადირა.

— თქვენ რა მოგიტანათ მაჰმადმა, ჩვენ რომ ის ვიწამოთ, ბექა-საფარო?! განა ახალციხის ფაშის მონობა დასაკვეხნია?!

— ჩემმა გონებამ ეს ირჩია, თქვენმა თქვენი თქვას.

ახლა ნადირას ეცვალა ფერი.

— ეს არის თქვენი პასუხი, ბექა-საფარო?!

— ეს არის, ნადირა, მადლობა მითხარი, ჩემს თავთან ფიცი რომ გავტეხე და ცოცხალი მიდიხარ. ბავშვიც თან წაიყვანეთ, მხოლოდ მალე გამშორდი, სხვა ფიქრი არ დამედევნოს, ავი საქმე არ მაქნევინოს!..

— შვილიცა და ყურძნის მტევანიც, გეტყობა, ორივე ერთად შეგძულებია, ჯაყელო!

— წადი, ძმაო, წადი, იცოდე, აწი სამცხე-საათაბაგოში ვერც ეს ჯვრიანი ბავშვი იხეირებს და ვერც საღვინე ყურძნის მტევანი!

— გონებაძალუმი კაცი მეგონე, საფარ ჯაყელო, შევცდი, ეს მიწა ამ ბავშვსაც ნახავს და ყურძნის მტევნებსაც მოისხამს!

* *

მოხუცმა დაამთავრა თქმულება და ქისა ამოიღო. აჭარული ყვითელი თუთუნი გრძელბეწვად დაეჭრა და იქიდან ოქროს წვრილი ფურცლებივით ამობრჭყვიალდა. მან ჩიბუხი თამბაქოთი გატენა და ისევ განაგრძო:

— შეცდა ჯაყელი, ახლა ხომ ხედავთ, ჩვენმა ბავშვებმა სად მიახატეს ყურძნის მტევნები ამ სასახლეს. არა, ძმაო, ხალხს თავისას ვერავინ დაავიწყებს, აჭარა თანდათან იმოსება ყურძნის მტევნებით. ხეებზე ისევ მრავლდება კაჭიჭის დახუნძლული ნედლი ლერწი, ისევ გამოთალეს ჩვენებმა ცაცხვის საწნახელები, ისევ მონახეს ჭურისთავის გადასაგლესი აყალო მიწა. აღარ ჩაქრება აწი ჩვენს მარნებში მაჭრის ჩუხჩუხი.

მოხუცი გაჩუმდა და კულტურის სასახლის გუმბათს კიდევ ახედა. იქიდან ისევ მომაჯადოებლად იყურებოდნენ თაფლჩაწვეთებული სავსე მტევნები, ისევ ზურმუხტისფრად იმზი-

რებოდნენ კაჭიჭის ფოთლები, ისევ გაღიმებით შესცქეროდნენ ადამიანები ამ დიდებულ ნახატს.

სცენის წინ არქიტექტორი ტრიალებდა.

— აი, ამ ბიჭს მოუფიქრებია ამ თეატრის გეგმა, — ჩურჩულით მითხრა მოხუცმა და თან თვალებით ჯემალი მაჩვენა, — შეხედე, რა ლამაზი ვაჟკაციაო, ის ბიჭი, მგონია, ნადირას შვილიშვილი, საფარა ჯაყელს რომ ეგონა, არ დაბრუნდებაო,—მერმე ისევ დაფიქრდა, თვალები ისევ გუმბათზე მოხატულ ყურძნის მტევანს მიაშტერა, ცოტა ხანს გაჩერდა და გასასვლელისაკენ წავიდა. არ ვიცი, მე მითხრა თუ თავისთვის ჩაილაპარაკა. როცა კარებთან მივიდა, ისევ შემობრუნდა და წყნარად ჩაილაპარაკა:

— ის ბიჭიც დაბრუნდა და ყურძნის მტევანიც, საკვირველია, ორივენი დაბრუნდნენ, ორივენი...

* * *

ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. მოხუცის ნაამბობით აფორიაქებული ჩამოვედი სასახლის მაღალი კიბით ეზოში. რატომღაც ნადირა დამიდგა თვალწინ. ნადირა კი არა, ისევ ის მოხუცი, ვინც მისი ამბავი მიამბო. მართალი რომ გითხრათ, ორივე ერთმანეთში ამერია. ვიფიქრე, თვითონ ნადირამ ხომ არ მიამბო-მეთქი ეს ამბავი.

ასეა, ალბათ, ამ ცხოვრებაში, დღევანდელი ადამიანი გუშინდელი კაცის ცხოვრების ამბავს გიყვება და თვითონ ჰგავს სადღაც თავისი ნაამბობის გმირს. ეს მოხუცი ისე, ვით ნადირა, მტკიცედ უყურებს თავისი სამშობლოს ქვაკუთხედს, თავისი სამშობლოს დღესა და ხვალეს. სწორედ ამ ნათელი, წრფელი და სწორი გზით მავალი ადამიანების კვალს მიჰყვება ხალხი. იმით სუნთქავს, იმით ცოცხლობს, იმ აზრით და საქმით მიიწევს წინ

სხვანაირად არც შეიძლება. ასე ყოფილა და ასე იქნება.

გელათის ქრონიკები

გეგუთის თამარის სასახლესთან ახლო მინდვრებზე თუ გივლიათ, რატომღაც იქ, იმ მიდამოებში, ცა დაბალი მოგეჩვენებოდათ. გგონიათ, ხელს ავიქნევ და აუცილებლად მოვახვედრებო. უმზეო ამინდში ღრუბლის ფთილები თითქოს მიწას ეხებიან და ენარცხებიან. მაგრამ როგორც ცოტას ხელმარცხნივ, ნანგრევებისაკენ გაიწევ, რიონის პირს გადაადგები და იქიდან გელათის მთისა თუ ბაგრატის ტაძრისაკენ მიიხედავ, ცის თაღი უცებ აიწევს, მაღალი და მიუწვდომელი ხდება. უსასრულობის ეს ლურჯი გუმბათი უფრო მშვენდება, შორეულ, მაგრამ მეტად წარმტაც სილამაზედ იქცევა. რიონის მქუხარე ტალღებთან ერთად ვარციხის ჭალების გაღმა აჯამეთის უსიერი ტყე ზურმუხტისფრად შემოგანათებთ. შეიძლება ეს ტყის ფერი უმატებდეს გეგუთის ამ ადგილს სილამაზეს.

ბუნების ამ იდუმალ სიმშვენიერეში ერთი წერტილია, სადაც ცის ეს სიდაბლე თუ სიმაღლე იყოფა. სწორედ სივრცის ეს გამყოფი მოუნახავთ ჩვენს წინაპრებს და ზედ გეგუთის მშვენიერი სასახლე აუგიათ. ხელმარჯვნივ კოლხეთის თვალუწვდენი ტანმაღალი ძელქვის გაუვალი ტყეები და რიონის ტანგაშლილი ჭონჭყოიანი ტევრები იწყებოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი დიდი კავკასიონი მაღლდება თავისი თეთრი ყინულოვანი მწვერვალებით. ისინი ზღაპრული სვეტებივით შესტოტებიან ცის ამაღლებულ გუმბათს.

ხანდახან, როცა უღრუბლო ამინდი დგება და კავკასიონის ყველა მწვერვალი თვალსაწიერზე ხელმისაწვდომი მოჩანს, მაშინ ცის ლურჯ გუმბათში შეცურებული ვეება მწვერვალები ცაში შეტყორცნილ მარმარილოს კიბეებსა ჰგვანან. აქედან თითქოს ყველაზე მოკლე მანძილია ადამიანებიდან ღმერთამ-

დე. შეიძლება სწორედ ამ კიბეებით ადიოდა შოთას ესოდენ მაღალი აზრები ზეადამიანურ სიბრძნემდე და სილამაზემდე. შეიძლება სწორედ ამ მწვერვალთა თეთრი ყინულის წვერები, საფეხურებივით რომ ამაღლებულან ცის თაღისაკენ, მართლაც, შოთას ფიქრის და აზრის ესოდენ ამაღლების საფეხურებიც გახლდათ?! ვინ იცის, ვინ მიხვდება?! ვინ გამოარკვევს ამას?! დიდ შემოქმედს ვინ გაუგებს, სად დაიწყო მისი ფიქრის სათავე და ფუძე?!

ასეა თუ ისე, გეგუთის მინდვრებიდან, გეგუთის ამ სასახლიდან ჭაბუკს თუ ჭარმაგ წლებში შესულ რუსთაველს არაერთხელ შეუვლია თვალი ამ ცისა და მიწისათვის. ვინ იცის, რამდენჯერ გადმოუვლია ხან გონიოს შემოვლით და ხან კიდევ პირდაპირ, ზეკარის უღელტეხილით თუ ლამაზგორის გადმოვლით, საირმის წყაროების ბილიკებით მესხეთიდან მოშავალს.

შეიძლება გეგუთის ამ სივრცის გამყოფი წერტილიდან დაინახა მან ასე სიცხადით ცის თაღში შეტოტებული დიდი კავკასიონის თეთრი მწვერვალები, რომელთა სიმაღლემ ჭეშმარიტად მისი გონების თავანიც ესოდენ აღამაღლა. შეიძლება სწორედ ამ ციური კიბეებით შეფიქრებულმა შოთამ ძლიერების და მშვენიერების ერთადერთ შემოქმედად ადამიანი აღიარა და არა სხვა ბუნდოვანი ძალები, რომ მაშინდელი ადამიანის გონიერების გასაოცებლად დიდი რუსთაველის გენია ჩასწვდა იმას, რაც აქამდე უცნობი და მიუწვდომელი იყო კაცთა მოდგმისათვის.

იმ დროის ადამიანების აზრით მხოლოდ ღმერთებს, ან ქრისტესა თუ მაჰმადის მსგავს შუამავლებს შეეძლოთ ბოროტების დაძლევა, ადამიანები კი სუსტნი არიან ამქვეყნიურ საშინელებათა დასათრგუნავად. ჩვენს სამყაროში სიკეთისა და მშვენიერების ადამიანის სიძლიერესთან შერწყმა, მისი ამაღლება და ესოდენ ხელმისაწვდომად გახდომა შოთას პოეზიის სასიცოცხლო მაჯისცემაა. მისი აზრით, ადამიანი ძლიერია, ლამაზია, მშვენიერია...

დიახ, აქედან, გეგუთის სასახლის კარიბჭედან, სადაც „ვინმე მესხი მელექსე" ჯერ კიდევ, ალბათ, ჭაბუკი მოვიდა, იშლებოდა მისი გონების მაღალი დასალიერი, ახლა როგორც იტყვიან, მისი თვალისა და გონების ფართო ჰორიზონტი.

ვინ იცის, იქნებ პირველი გულისდამწველი ნაპერწკალიც სწორედ გუგუთის მინდვრებზე ჩაეკვესა ჭაბუკ გენიას, რომელიც შემდეგში ამოდენა დამბუგავ ცეცხლიან ქარიშხლად იქცა მის ისედაც ამაღლებულ, ბობოქარ სულში?! მეჩვენება: ტახტის ნამდვილი მემკვიდრის დემნა ბაგრატიონის ტოლი შოთა რუსთაველი უთუოდ აქ, გეგუთის მინდვრებზე თუ გელათის აკადემიის კარიბჭესთან შეხვდებოდა მეფე გიორგის ყრმა ასულს თამარს.

და აი ახლა, როცა ჩვენი მანქანა გეგუთიდან გელათისაკენ მიგვაფრენს, ნამდვილად მწამს, რომ შოთას ნაგზაურზე მივდივარო. ეს ქუჩა მწვანე ყვავილას ფერდს მოჰყვება და გელათისაკენ მიემართება. ამ ქუჩას ახლახან დავით აღმაშენებლის სახელი დაარქვეს. ქუთაისის ამ ქუჩაზე, ზედ სატელევიზიო კოშკის ქვემოთ, დასაბამიდან „ღარსიკეთის წყარო“ ამოქუხდა. ქუთათელებს იგი შესანიშნავად მოუპირკეთებიათ და „შოთას ღარსიკეთის წყარო“ დაურქმევიათ.

გაღმიდან ცის სილურჯეში შეტყორცნილი ბაგრატის ტაძრის კედლები ფრთებჩამომტვრეული არწივივით იყურება. ბაგრატის მთიდან კი თეთრი ნისლით შემოხვეული გელათი ცაში შეფეთქებულ გედსა ჰგავს, ნიშნეულია ისიც, რომ ამ მთიდან თამარის ეკვდერის კედელი განზრახ დამიზნებულივით იხედება მისკენ, ბაგრატის ტაძრისაკენ.

გელათის ტაძარი კირითხუროებს მტკიცედ უკეთებიათ. მისი ფუძე და კედელი მტერთათვის ადვილად დასაპატრონებლად როდი უშენებიათ! ტაძრის ეზომდე საკმაოდ მაგარი და ღრმა თაღიანი გვირაბი ამოუყვანიათ. ტაძრის ეზოში სამტროდ მოსული ოცი კაცი ერთად ვერ შევა. სამ-სამს, თუ ხუთ-ხუთს, ალბათ, უფრო ადვილად მოუვლიდნენ წინათ, ეტყობა, შესავალიდანვე იწყებოდა რაღაც შენობები, ახლა უკვე აღარაფერია. მცოდნე თვალი დაკვირვების შემდეგ თუ შეატყობს ნასახლარებს.

გვირაბის გასასვლელიდან იწყება უმშვენიერესი მწვანე ეზო. გაგაოცებს ამ წრიახებში ასეთი ფართო და თითქმის სრულიად უცებ გავაკებული მინდორი.

გელათის დასავლეთით, დაქანებულ ფერდზე, ზედ აკადემიის კედელთან მიწა მოწყვეტით წყდება და თვალუწვდენი ხევი იწყება. როგორც ამბობენ, აკადემიის ასტრონომთა გან-

ყოფილება სწორედ ამ მაღალი ხევის პირზე ყოფილა გადმომდგარი. აქედან კარგად ჩანს სამხრეთის თუ დასავლეთის ციხ გუმბათი. აქედან აწარმოებდნენ ჩვენი წინაპრები, ალბათ, ციურ მნათობთა დაკვირვებას და შესწავლას. ამ კედლის გასწვრივ აკადემიის გრძელი ქვის მუხლმოსართხამზე ისხდნენ აკადემიის მოსწავლენი. შუა ადგილას მოძღვრის ადგილი საპატიოდ და სრულიად ცალკე დგას. აქ იჯდა, ალბათ, დიდი იოანე პეტრიწონელი თუ არსენ იყალთოელი...

ეს შენობა კარგა მანძილით არის დაშორებული გელათის მთავარი ტაძრის ადგილს. ტაძრის ჩრდილოეთით წინათ, ეტყობა, ბერების სადგომი თუ ბიბლიოთეკა იყო, ქუთაისის დღევანდელმა ხელმძღვანელებმა ეს შენობა გაამშვენიერეს, მოაპირკეთეს და გამოიყენეს დიდი წამოწყებისათვის. ამიერიდან აქ მუზეუმი იქნება. საქართველოში პირველად სწორედ გელათის ტაძრის ეზოში გახსნეს ქუთათელებმა შოთას სახლი — შოთას მუზეუმი. უკვე მოიტანეს ექსპონატები, მოზიდეს შესანიშნავი ფერწერული ნამუშევრები, ჩვენი ისტორიული ძეგლების კინოფირები, რომლებსაც აქ დამთვალიერებლებს უჩვენებენ. სხვათა შორის აქვე აქვთ ზიჩის მიერ დახატული ტიპები, რომლებსაც უნგრელი მხატვარი წინასწარ ჭაშნიკად აკეთებდა და ასე ემზადებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების დასახატავად. მეტად საინტერესოა მამია გურიელი, რომელიც ვეფხისტყაოსნის გმირთა ტანსაცმელში დაუხატავს ზიჩს. ეს სურათი შეიძლება ერთადერთი იყო საქართველოში!

იქვეა დიდი დავითიდან ვიდრე სოლომონ პირველამდე გელათის სამარხში დასაფლავებულ მეფეთა სქემა, საქართველოს რაოდენი მეფენი წვანან თურმე გელათის მიწაზე, რომელთაც ლოდის დადებაც არ უნებებიათ?! აქვე მოუტანიათ ბექა ოპიზარის ნახატების შედევრების რეპროდუქციები. აი მეორე კაცი, რომელსაც აგრეთვე შეეძლო კავკასიონი ღმერთებთან ასასვლელ კიბეებად მოსჩვენებოდა და იქ, როგორც ჩანს, მათთან მისასვლელი გზაც მიკვლეული ჰქონდა.

ხახულის ღვთისმშობლის ხატის ორეული კი ცალკე დგას. ეს უნიკალური შედევრი გელათის საკუთრებაა. ამიტომ ამაყობს ქუთაისი. მართლაც, განა არის მეორე ქალაქი, რომელ-

საც ასეთი განძი ჰქონოდეს სახატეზე, ან ისეთი ზურმუხტოვანი ეზოები ამშვენებდეს, როგორიც ამ ქალაქის საოცრად ლამაზსა და საცხოვრებლად მოსახერხებელ სახლებს თან ახლავს! კლდეზე დაშენებულ მის ფუძეს თითქმის ზამთარ-ზაფხულ ეზოებში კოინდარი უბიბინებს. შეიძლება ეს იყოს ერთი მიზეზიც, რომ ქუთათელ კაცს სიცოცხლე უღიმილოდ არ შეუძლია. ღიმილი კი სიცოცხლის გახანგრძლივების პირველი წამალია.

გელათის ტაძრის ეზოც ხომ მუდამ მწვანე და მოღიმარია ცნობილი მისი ციცი წყარო კი მუდმივად ღურღულებს და კისკისებს. სიცოცხლის მომგვრელი წვეთები აიაზმის შხეფივით ეპკურება ამ ეზო-გარემოს და კიდევ მეტად აცოცხლებს მის ბალახს, ყვავილებსა და ხეებს.

გელათში სინათლე არ იყო და ახლახან ესეც გაიყვანეს. ამიტომ ახლა, როცა მის კარზე დიდ სინათლეებს დაჰკიდებენ, ხომლის მთიდან გადმომდგარი სვანი, რაჭველი თუ ლეჩხუმელი შოთას მუზეუმს და გელათის აკადემიის კაბადონს თვალს ვერ მოაშორებს. გელათისადმი ქალაქის მეთაურთა ამ სიყვარულმა სხვებსაც აღუძრა კეთილი სურვილები. ქუთაისის მანქანათმშენებლებმა მისი შესანიშნავი ინჟინრისა და დირექტორის ხარებავას მეთაურობით გელათის ზემოთ არსებული უძველესი ნიში-ეკლესია ეკალბარდისაგან გაწმინდეს, გააპატიოსნეს და გაამშვენიერეს. ამით ქართველი კაცის თვალსა და გონებას ერთი მეტად საინტერესო ძეგლი შემატეს. ახლა გელათის მთელი კომპლექსი ჩვენს თვალწინ იქნება განლაგებული, ყველაფერი თვალთდასანახად გვექნება. ეს კი პატარა საქმე როდია.

მწვანეყვავილიდან „შოთას ღარსიკეთის წყაროს“ გავლით მანქანა გელათში ოც წუთში აფრინდა. დავით აღმაშენებლის ქუჩის მცხოვრებლები მზად არიან სტუმართა მისაღებად.

იმერელი კაცის სახლკარი ხომ ყოველთვის ელოდა პატივსაცემ სტუმრებს.

— ეს დიდი დღეა ჩვენთვის, დიდი დღესასწაულია! — გვითხრა ამ ქუჩის ერთმა მცხოვრებმა. — სტუმრებს ჩვენს ოჯახებში ველით. ნახონ, რა მასპინძლობას გავუწევთ!

ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს უჩა ცქვიტინიძეს

ელიმება, ვატყობ, ეამაყება, რომ დღეს ყოველმა ქართველმა იცის ამ დღის სიდიადე.

გასაკვირველი კი არაფერია. ქუთაისმა უთუოდ იცის პოეზიის ფასი. იმიტომ კი არა, რომ იგი აკაკისა და გალაკტიონის ქალაქია, დავით კლდიაშვილის მშობელია, რომ თანამედროვე ქართული პოეზიის ხმაძლიერი ვაჟკაცები ამ ქალაქში დაიბადნენ, დაფრთიანდნენ და მისი ბუდიდან აფრინდნენ. არა. თქვენ ერთი ლიტერატურული საღამო გამართეთ და მაშინ მიხვდებით ამ ქალაქის პოეტურობას. პოეზია და თეატრი ქუთათელი კაცისთვის პურიც არის და ღვინოც.

რვა საუკუნეა მიუძღვის ქართველ კაცს შოთა რუსთაველის ნათელი გონება ჭირში თუ ლხინში, ამ საოცარი ადამიანის უკვდავი სიცოცხლე, რომელიც „ვეფხისტყაოსნის" ყოველ პწკარში ასე სიბრძნით და მუსიკალობით ჟღერს, ჩვენი აზროვნების ეროვნულ მწვერვალად იქცა. რვაასი წლის მანძილზე, ვინ იცის, რამდენი მეფე წაიქცა, რამდენი ქვეყნის მპყრობელის ტახტი დაინგრა, რამდენიცად აზიდული სიმაგრენი ჩამოიქცნენ და მტვრად იქცნენ. ადამიანთა ხელით ნაკეთები რაოდენი ძეგლი დაიმსხვრა და დაიშალა! ცრუ კაცთა სადიდებლად აღმართული რაოდენი ტაძარი აღიგავა პირისაგან მიწისა! გაჩნდნენ ახალი ქვეყნები, დაინგრნენ სახელმწიფოები, როგორც იტყვიან, მთებს სიმაღლე მოაკლდა და ზღვებს სიღრმე. რუსთაველის სტრიქონები კი თანდათან ამაღლდნენ და მეტი პატივისცემა მოიპოვეს ადამიანებში. საუკუნეების მანძილზე თანდათან შარავანდედით შეიმოსნენ, ყველა ხალხის საკუთრება გახდნენ, კაცობრიობის უსაყვარლეს საკითხავ პწკარებად ამაღლდნენ, სამყაროს ოქროს ფონდში ჩაირიცხნენ.

ჩვენი დიდი რევოლუციის საოცარმა ძალამ მთელი მსოფლიოს სხვადასხვა ერის სიბრძნე საერთო-საკაცობრიო განძად აქცია, საქვეყნო სიმდიდრედ გახადა. რა საოცარი გენიალობით აღსრულდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის აზრი, რომ რუსეთის დიდი რევოლუცია უსათუოდ სამყაროს ადამიანთათვის დიდი სიკეთის და ბედნიერების მომტანია, რომ განთავისუფლებული ადამიანი არა მარტო თავისი ეკონომიკით გახდება დამოუკიდებელი და მდიდარი, იგი აღამაღლებს თავის ცოდნას,

განათლებას, აღორძინდება ეროვნული კულტურის ჩარჩოები, დაფასდება მისი საუკეთესო ნიმუშები და, თუ კი ღირსია, ეს ნიმუშები საერთო-საკაცობრიო გახდება.

და მართლაც, რევოლუციის ორმოცდაათი წლის მიჯნაზე საბჭოთა ქვეყანა არა მარტო თავისი ეკონომიკით და ტექნიკის უდიდესი მიღწევებით გახდა მდიდარი და ძლიერი, მის კავშირში შემავალი ძმური ხალხების ეროვნული კულტურა უფრო ამაღლდა, უფრო გამოიკვეთა და საკაცობრიო ასპარეზზე გამოვიდა.

ქართველ კაცს დიახაც ბევრი რამ აქვს საამაყო. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" ჩვენი ხალხის, ჩვენი ერის შუბლის სინათლის მუდამ ჩაუქრობელი მზეა. აი ეს მზისებური ლიტერატურული დისკო ასწიეს დღეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა სამყაროს დასანახად. იგი თარგმნეს რუსულად, ინგლისურად, ესპანურად, ფრანგულად თუ გერმანულად. იგი ითარგმნა მომმე ერების თითქმის ყველა ენაზე. იგი მოექცა ჩვენი სამყაროს ხუთიეე კონტინენტის ყურადღების ცენტრში. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი რევოლუციის მეშვეობით მოხდა. რასაკვირველია, პირველ ყოვლისა, ეს იმასაც ნიშნავს, რომ რევოლუცია თავისი განვითარებისა და სიძლიერის უბრწყინვალესი სიმაღლიდან მოქმედებს ადამიანთა ეროვნული სიკეთისა და მიღწევათა გამოსაჩენად, ამ სიკეთით ყველა ხალხის ბედნიერების ასამაღლებლად. შოთას ეროვნული პრემიის დაარსებაც უთუოდ ჩვენი რევოლუციის უდიდესი მონაპოვარია.

რევოლუციის ასეთი კეთილი და საამაყო ზემოქმედება კი უსათუოდ ძალღონეს მატებს ადამიანებს, ხალხებს, ერებს, ამტკიცებს რევოლუციისადმი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, დაუშრეტლად აცისკროვნებს ჩვენს ხვალინდელ დღეს, ჩვენს მომავალს.

გელათის აკადემიის ფუძემდებელნი, როცა მას აშენებდნენ, ერთ რამეზე ფიქრობდნენ — აღემაღლებინათ ქართველი კაცის გონება, მისი ცოდნა და სიბრძნე. იოანე პეტრიწის თუ არსენ იყალთოელის კვალი ყოველ ფეხის გადადგმაზე ილანდება გელათის ფართო ეზოში. დადიხარ აქ და არ შეიძლება არ გაიხსენო ის, რომ ჯერ კიდევ XI საუკუნეში ქართ-

ველი კაცი ეროვნულ ენაზე გაეცნო კაცთა შორის პირველ კაცურ გენიას და ადამიანთა შორის უპირველეს ტიტანურ ადამიანს ჰომეროსს; რომ ჯერ კიდევ მანამდე ჩვენმა ერისკაცებმა ღრმად იცოდნენ ბერძნული ფილოსოფია და გელათის დაფუძნების პერიოდში პეტრიწონელის სახით უკვე ჰყავდათ საქვეყნოდ განთქმული ფილოსოფოსი; რომ მის უკვე უძლიერეს მწერლობას გვერდით ედგა მდიდარი და მრავალფეროვანი მუსიკალური კულტურა.

ქართველ კაცს ხომ დასაბამიდან მოსდევდა მრავალხმოვანი ხმიერი და საკრავების მუსიკა; რომ ამ დროისათვის საქართველოში ამ ხელოვნებას საკმაოდ გამოკვეთილად უკვე ცალკე გამოეყო საკომპოზიციო ხელოვნებაც! განა ეს სამუსიკო ხელოვნების გვირგვინად არ უნდა ჩაითვალოს?! დღეისათვის ნათელია ისიც, რომ იმდროინდელ საქართველოში კედლის მხატვრობა და ოქრომჭედლობა უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ქართულ ოქრომჭედლობაში უკვე რამდენიმე მიმდინარეობაა— ტბეთის, ოპიზის თუ გელათის ოქრომჭედლობა. თვითეულს თავისი ხელწერა და სტილი აქვს; რომ ჯრუჭის ოთხთავის, წყაროსთავისა და ტბეთის სახარებათა თუ ხახულისა და ანჩისხატის მოჭედილობა ოქროში ჩადგმული დიდი საგალობლეგია ლითონის გაჭედვის ურთულეს ხელოვნებაში. ბექა და ბეშქენ ოპიზარები ხომ ოქროთი წერის უდიდესი პოეტური გენიები არიან!

და განა მარტო ესენი?! აბა, რა ხელმა მოქარგა გელათის ეს ციური მოზაიკა?! არ შეიძლება ადამიანის თვალმა ამ მზიურ დიდებულ ფერებსა და ხაზებში ქართველი ქალის სახე არ დაინახოს; რომ მოზაიკის თვითეული კენჭი შერჩეულია ქართველი თინათინის თუ ნესტანის ფერხორცის ეშხიანი ნათებითა და საღებავებით.

დადიხარ გელათის ტაძრის ვეება თლილ ლოდებთან და თვალწინ გიდგება ქართველის გოლიათური ძალღონე და ეროვნული ენერგია.

გელათი, როგორც ჩანს, მაშინდელი ქუთაისის ერთი ფრთა იყო, მეორე კი გეგუთი. თუ გელათის ტაძარი სიბრძნის და აზროვნების, მხატვრობისა და ოქროჭედვის ცენტრი იყო, გეგუთში, ეტყობა, დასვენებისა და სამსახიობო თუ სალაღობო

ხელოვნების ტაძარი ჰქონიათ. განა თეატრონის მაღალი ჭერი ამას არ მეტყველებს?! იქ ჩვენი წინაპრები, ვინ იცის, ისმენდნენ კიდეც ანტიკური პოეტური სამყაროს ესოდენ მომხიბლავ ნაწერებს! ხომ შეიძლება ისიც, რომ სწორედ ამ სასახლეში თუ მის ახლომახლო რიონის ტალღების მშფოთვარე ღუღუნში იკითხებოდა პირველად შოთას სტრიქონები?! ვინ იცის?! გასაოცარი ამ შემთხვევაში არაფერია.

ვისაც თავისი დრო არ უყვარს, მას არც შეიძლება ჩვენი წარსული ნამდვილად, მართალი გულით უყვარდეს. ვინც დღევანდელ დღეს სიყვარულით არ ილვწის და შრომობს, მას უფლება არა აქვს ჩვენი დიდი მამა-პაპის სახელი მოიხსენიოს. ამიტომ, როცა ქუთაისში შეხვალ და ქალაქს თვალს შეავლებ, არ შეიძლება, ბევრმა რამემ არ გაგახაროს.

გეგუთიდან ჩვენი მანქანა ქუთაისის ახალ ხიდზე გავიდა. ვის არ ახსოვს ქუთაისის ძველი ხიდები. სამი ხიდი იყო ქუთაისში: ოეთრი, წითელი და ჯაჭვის ხიდი. მეოთხე, მშვენიერი და ყველაზე დიდი ხიდი რევოლუციის შემდეგ აშენდა.

ახლახანს კიდევ ერთი ულამაზესი ხიდი მოუმატეს ქუთათელებმა ქალაქს. ქართველმა ინჟინრებმა გიორგი ჩომახიძემ და გივი თოდაძემ ძალღონე არ დაიშურეს ამ ხიდის სილამაზისთვის.

ხიდის ქვედა ნაწილი ეკლარის თეთრი ფიქალით თოლიას მოქნეულად გაშლილი ფრთასავით არის ამოძერწილი, ზემოდან კი კურსების ცნობილი ჭროღა ქვის თაღი გადაუჭიმავთ. როცა თვალს შეავლებთ, ეკლარის თეთრი ქვის ელვარება სპილოს ძვლის შუქით შემოგეფეთებათ.

რაც უფრო დააკვირდებით, მით უფრო მოგეწონებათ ეს ხიდი. თანდათან გული გაგეხსნებათ, სხეულში სიამოვნების შუქი ჩაგიდგებათ. რიონი ამ ადგილას ყველაზე ვიწროა და კლდოვანი ნაპირები აქვს. ამიტომ ხიდიც პატარაა. მაგრამ საქმე მის სიპატარავეში როდია. მისი არქიტექტურა და ფერი მეტად წარმტაცია.

ამ ადგილზე რიონის ფუძე და მისი მთელი კალაპოტი საუკუნეების მანძილზე მდინარის დინებას კლდეზე ამოუკვეთია, აქა-იქ თეთრი კლდისავე ბორცვებია ამოშვერილი. ასეთ თეთრ და კლდოვან მდინარის კალაპოტს იშვიათად შეხვდება ადამი-

ანი. ეს კიდევ მეტად ორიგინალურსა და მშვენიერს ხდის აქაურობას და მეტად ესიტყვება ამ ულამაზესი ხიდის არქიტექტურას. ეს ხიდი რუსთაველის პროსპექტზეა. სწორედ ამ ხიდის ახლოს თავდება ილიას ქუჩა და იწყება შოთას პროსპექტი, რომლის ბოლო ახალი თეატრისა და ქუთაისის ბაღის წინ იშლება.

სწორედ ამ მშვენიერი მოედნის წინ, მუზეუმის შენობის აღმოსავლეთით დაიდგმება მერაბ ბერძენიშვილის ბრწყინვალე მონუმენტური შოთას ქანდაკება. ამ უთუოდ მეტად ნიჭიერად შეთხზულ ძეგლს მკერდზე თამარის სახით ამოტვიფრული მედალიონი აქვს ჩამოშვებული. მე მგონია, იაკობ ნიკოლაძის ჩახრუხაძის ჩაბალახივით თამარის ეს მედალიონიც მხატვრის აფორიაქებული ძიების დიდი მიგნებაა.

ჭეშმარიტად ქუთაისის ეს მშვენიერი მოედანი ნამდვილი სწორუპოვარი ძეგლით დაგვირგვინდება. დასავლეთით — ულამაზესი ტანმაღალი ხეებით ცის სილურჯეში შეტოტებული ბაღი, ჩრდილოეთით — უბრწყინვალესი თეატრის ფიქალი კედლები და აღმოსავლეთით — შოთას ეს შესანიშნავი ძეგლი.

ისიც ნიშნეულად მეჩვენა, რომ ილიას ძეგლი სწორედ ძველი მესხეთის ქუჩის თავიდან გეგუთისაკენ გასცქერის სამხრეთს. ვის უვლია რუსთაველის ნაკვალევზე ისე ნაყოფიერად და მამულის საამაყოდ, როგორც დიდ ილია ჭავჭავაძეს?!

ქუთათელებს ეს კარგად გამოუვიდათ.

მესხეთის ძველი ქუჩა ბაკისუბნის გავლით სოფელ მესხეთში თავდება. რატომ ჰქვია ამ სოფელს მთელი კუთხის სახელი?! განა ვისმეს გაუგონია სოფელს „გურია“, „სამეგრელო“, „კახეთი“, ან „ქართლი“ ერქვას?!

ამ სოფელს კი მესხეთი ჰქვია.

გადმოცემა ამბობს, სწორედ მესხების რაზმი წამოეწია თურმე ამ ადგილებში შეთქმული გიორგი რუსის ჯარის უკანა ნაწილს და დაამარცხაო. მართლაც, მოსაზღვრე სოფელი „უკანეთია“; ხოლო უკანეთის, გეგუთის და ოფშკვითის შუა საყანე მინდვრებს ახლაც „ნაომარი“ ეწოდება. ხომ შეიძლება, ამ ამბის პატივსაცემად, მართლაც, მესხეთი დაერქმიათ ამ სოფლისათვის?!

დღეს კი ქუთაისელები დღედაღამ შრომობენ თავიანთი ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ მამფორიამ მუხნარის ტყის დასაწყისთან, სწორედ იქ, სადაც ოდესღაც სამსონ თოფურიამ მშვენიერი საავადმყოფო ააშენა, ახალი გზის გამტარი მაჩვენა. ზემოთ რკინიგზა მიდის, ქვემოთ—საავტომობილო და საცალფეხო გზა. ამით ქალაქს მეტად დიდი შეღავათი მიეცემა და სილამაზე შეემატება.

აქვე განზრახულია აშენდეს მეექვსე ხიდი, რომელიც ასე სასიცოცხლოდ სჭირდება ამ ქალაქს.

ეს იქნება ყველაზე დიდი და ლამაზი ხიდი. იგი თბილისიდან დასავლეთში მიმავალ ავტოტრანსპორტს ქალაქიდან გვერდს აუქცევს და ისე გაატარებს.

ფოთში, ბათუმში და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში მიმავალი მგზავრი, თუ არ დასჭირდება, ქალაქში აღარ გაივლის.

ეკონომიურად ეს ხიდი იქნება ქუთაისის ყველა ხიდზე უფრო სასარგებლო და რენტაბელური, ამიტომ, რასაკვირველია, ყველაზე საჭიროც. შოთას დღეებისთვის ჩქარობდნენ ყველანი და შესეული იყვნენ გზის გამტარზე, გელათის გზატკეცილზე, „შოთას წყაროს" მოპირკეთებაზე თუ გელათის მუზეუმის დასრულებაზე. იუბილეს შემდეგ კი დაწყნარებულად შეუდგებიან ამ დიდი საქმის მოგვარებას.

აქედან შეიძლება გონიოში სამ-ოთხ საათში ჩახვიდეთ. ოდესღაც შეიძლება სწორედ გონიოს ნავსადგურით გავიდა საბერძნეთში განათლების მისაღებად დიდი პოეტი. შეიძლება გეგუთის სასახლეში დაემშვიდობა სწავლას მოწყურებული ჭაბუკი თავის გულის სინათლეს და ისე წავიდა ამ გზით უცხო ქვეყნებში?! შეიძლება გელათის აკადემიის ზღურბლზე დაალოცვინა სამგზავროდ გამზადებულმა თავისი თავი ოსტატებს და თანაც წერილი მიაწერინა უცხოეთში სარეკომენდაციოდ?

ვინ იცის, ერთიც შეიძლება ყოფილიყო და მეორეც. ერთი კი ნათელია, რომ ქუთაისის ეს ხიდი დღეს დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს თანამედროვე ადამიანებს და ქალაქსაც მეტად გაამშვენიერებს, გაშლის, აღამაღლებს, გააკეთილშობილებს.

კლდეთა კვართოვანი ძარღვებით არის ამაღლებული ბაგ-

რატის მთა ქუთაისში, ამ ცის გუმბათივით მზისკენ აწეულ მუდამ მწვანე გორაკს მოწყურებული ლომივით ერთი ტოტი რიონის ტალღებში ჩაუყვია. ადამიანებს სწორედ ამ ტოტზე გაუჭრიათ კლდე და სვანეთისაკენ თუ რაჭა-ლეჩხუმისაკენ გზა გაუყვანიათ. ამ კლდოვანი ტოტის პირდაპირ საბჭოთა ადამიანებმა რიონი გადახიდეს, გადაღობეს და მისი უდეგარი ტალღები ჯერ დააოკეს, მერმე გვირაბით კოლხეთის დაბლობისკენ დააქანეს. იქ კი, სადგურ რიონის გვერდით, მდინარეს ტურბინები დაუდგეს და ქვეყნის სამსახურში ჩააყენეს. რიონი დღეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უპატიოსნესი თანამშრომელია. დიახ, მისი უდიდებულესობა რიონი ჩვენს სოციალიზმს გულწრფელად და თავდადებულად ემსახურება. რიონზე ელსადგურის მაღალი კაშხალის გამოღმა ბაგრატის კლდის ტოტზე ზემოდან წყაროს ფესვი მორაკრაკებს. იგი იმ გვირაბს მოჰყვება, რომელიც ოსტატურად გამოუძერწიათ ბაგრატის ციხეგალავნის მშენებლებს. აბა, უწყლო ციხე-სიმაგრე ვინა თქვა?!

ნუთუ ეს ვეება დაძარღვული გრანიტის კლდე-მთა გაფატრეს და ხელოვნური მილებით გზა მისცეს წყაროსთვალს?! გაფატრეს, მაგრამ რითი?! რა იარაღი, რა ძალა იხმარეს ამისათვის?! აი კითხვა, რომელიც სიჭაბუკიდან ამდევნებია დღემდე თავსამტვრევად და პასუხი ვერ გამიცია!

ვინც ჭომაში ყოფილა, მან კარგად იცის ამ წყაროს ხავერდოვანი სიგრილე და გემო. ზედ კლდის გულიდან გადმოდის ეს დალოცვილი!

წყაროსთვალიდან ბაგრატის მთას ძნელად ასასვლელი ბილიკი აჰყვება ტაძრამდე. ძნელად ასასვლელი კი არა, გაუვალი ბილიკია! ყაჭის ძაფივით წვრილია და მზის შუქივით დაკიდებული. მზის შუქივითო იმიტომ ვთქვი, რომ როგორც უხვ სინათლეში მცირე შუქის ძაფს ვერ გამოკვეთ, გამოარჩევ და შენიშნავ, ისე იმ ბილიკის თვალით დანახვა ძნელია. სიჭაბუკის ჟამს სწორედ აქედან შევეტოტებოდით ხოლმე მთას.

საჭირო იყო ცხვირის დაცემინება, რომ ზემოდან ვაშლივით მოვწყვეტილიყავით. მერმე ასეთ კლდეებზე მოწყვეტა ხომ უცილო სიკვდილი იყო?! აკი ჩემს მეხსიერებაში ერთხელ მოხდა კიდეც ასეთი უბედურება! არც ამას ვუშინდებოდით, ბაგრატის ტაძრის მთის ციცაბო ფერდობიდან გადმოვხედავ-

დით რიონის გაშლილ ნაპირს და აქედან გავცქეროდით გელათის თეთრ გუმბათებს, რომელიც ამ ფერდიდან კავკასიონის კალთაზე ხელით მიხატულ გრანდიოზულ სურათს უფრო ჰგავს. არცთუ იშვიათად ჩავცუცქდებოდით ამ ფერდზე, გავყურებდით და ვბანაობდით მზის თბილ შულოებად ჩამოშლილ სხივებში, რომლებსაც რიონის ტალღები აგრილებდა და იისფერ სასიამოვნო სივრცეში ახვევდა. ამიტომ სულ სხვანაირი ფერებია აქ, ამ მიდამოებში.

ბაგრატის ნანგრევები ახლად გაამაგრეს, ადგილ-ადგილ რესტავრირება მოახდინეს, უნდათ, არ დაინგრეს, სულ არ ჩაიქცეს და, რაც ჩვენ თვალს შემორჩა, სასიამოვნოდ დარჩეს.

ათასობით ტურისტი ამოდის აქ. მათ ყოველთვის წინ მიუძღვის შესანიშნავი ქართველი მოხუცი პეტრე ჭაბუკიანი. წლებმა ვერ მოხარა ეს ფუტკარივით მოუღლელი და წმინდა კაცი. იგი ყოველ მოსულ უცხო ადამიანს საგალობელივით ღაღადით ესაუბრება ბაგრატსა თუ გელათზე, სათაფლიასა და გეგუთზე. ესაუბრება ისე, რომ, ისინი სულგანაბული უსმენენ და წასვლისას თან მიაქვთ ამ საუბრის დაუვიწყარი შინაარსი და პეტრეს ნათელი სახე.

დღეს საბჭოთა საქართველო მთელი თავისი ძალღონით ცდილობს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგებში იდგეს. იგი თავის ნაბიჯს უსწორებს მთელი პროგრესული სამყაროს სვლას. ჩვენც ამიტომ გვიყვარს ის ადამიანები, რომლებიც ამ სრბოლაში გამოიჩენენ თავს, შექმნიან ისეთ რასმე, რაც მამულს აღამაღლებს და წინ წასწევს. მართლაც, ვის არ უხარია და არ ეამაყება თბილისის მეტროპოლიტენი, რომელიც ასე უხმაუროდ და უტრაბახოდ გააკეთეს ჩვენმა ადამიანებმა!

როდესაც მეტროს რუსთაველის მიწისქვეშა სადგურზე ჩადიხარ და ელგუჯა ამაშუკელის ნაძერწსა და ნაფიქრს ათვალიერებ, გიხარია და გეამაყება, რომ საქართველოში ცხოვრობ, რომ მსოფლიოს უდიდეს ქალაქთა რიცხვში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქიც ჩადგა.

რომელ ქართველს არ გაეხარდება ის, რომ ძმები რეზო და თამაზ გამყრელიძეები სულ სხვადასხვა, მაგრამ თანამედროვე მეცნიერების მაღალი აზრის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელნი და შემოქმედნი არიან?!

განა შეიძლება აუღელვებლად გაიარო ჩვენს მშვენიერ საწაპიროზე, რომლის შემოქმედი ჩვენი ხალხია. ან ისე შეხედო სპორტის სასახლის უნიკალურ სახურავს, რომ მისი ავტორის ნიშმა სიამაყე რა გაგრძნობინოს?

რასაკვირველია, ქუთაისელებს ეამაყებათ, რომ ამ ქალაქის კლდოვანი ბუდიდან აფრენილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვაჟკაცი სიმონ ხეჩინაშვილი საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტია და მისი სამედიცინო შრომები სამყაროს დიდ სარბიელზე ავტორიტეტით სარგებლობს;

რომ ამ ქალაქში დაბადებულ და შექმნილ ავტომობილს ყველგან იცნობენ, როგორც ქართველი ვაჟკაცების შემოქმედებას, რადგან მას ატყვია ქართველი კაცის ხელწერა. ამ ხელწერას ახლა შესანიშნავად ხელმძღვანელობს ქართველი ავტოინჟინერი, ბრწყინვალე კონსტრუქტორი დიმიტრი ქართველიშვილი.

შოთა კობახიძემ კავკასიონის კალთებიდან ვიდრე ბერლინამდე ბრძოლით და გამარჯვებით განვლო ეს გრძელი და ძნელად გადასარჩენი გზა. მის მკერდს ხომ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის სიამაყის არაერთი ორდენი ამშვენებს.

მახსოვს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების დღეს ქუთაისის თეატრში რამდენიმე მწერალი შეეედით. დაგვაინტერესა კანდიდატის ბიოგრაფიამ და მისმა ორდენების სიუხვემ. მას უბრძოლია არა მარტო ჩვენი საბჭოთა მიწაწყლის დასაცავად, არა მარტო კავკასიის და მოსკოვის გადასარჩენად, იგი საკუთარი სიცოცხლის სასწორზე დადების ფასად ფაშისტთა ურდოებს ვარშავის კარიბჭესთან თუ ბერლინის მისადგომებთან ანადგურებდა. იგი, როგორც თავის სამშობლო მიწას, ისე თავდადებით იცავდა რუმინეთის თუ ბულგარეთის მიწაწყალს, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის სახელმწიფოების ეროვნული თავისუფლების დროშას.

განა მარტო შ. კობახიძე იცავდა ხალხთა თავისუფლებას. ვის დაავიწყდება საბჭოთა ავიაციის მრისხანე შევარდენი და გმირი ოთარ ჩეჩელაშვილი, მისი ცის გუმბათში ყოველი შეფრენა ომის დროს გერმანელი ფაშისტების სიკვდილს რომ ნიშნავდა.

მას ტოლს როდი უდებს წყნარი და ჩუმი ვაჟკაცი უკანეთელი გვანცელაძე. ამ ნათელ ადამიანს, სიჭაბუკეში ფეხშიშველს არაერთხელ ურბენია გეგუთის მინდვრებზე, ია დაუკრეფია სასახლის ნანგრევების კედლებთან და, ვინ იცის, რამდენი რიონის წვერა გაფართხალებულა მისი მარჯვენით მოქნეულ სასროლ ბადეში.

ასეული ათასების თავდადებამ, ჩეჩელაშვილების თუ გვანცელაძეების გმირობამ, მათი მსგავსი ვაჟკაცების რაინდულმა ბრძოლებმა მოიტანა ეს დალოცვილი ნათელი დღეები ჩვენს სამშობლოში, ჩვენს მამულში, ჩვენს გამარჯვებულ ქვეყანაში. ახლა ჭრილობამოშუშებული ჩვენი რესპუბლიკა აშენებს ქუჩებს, მოედნებს, ბინებს, თეატრებს, სკოლებს. ისიც გასახსენებელია, რომ ქუთაისში დიდხანს მუშაობდნენ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ და მის მოადგილედ საბჭოთა კავშირის გმირები—გენერალი ჭიჭიკო ჩხობაძე და კოწია ტყაბლაძე. ახლა ეს ორივე გმირი პენსიაზე გავიდა და ახალგაზრდა ინჟინრებს — უჩა ცქვიტინიძესა და მიხეილ მამფორიას გადააბარეს ქალაქის ბედი. ისინიც ქედს როდი იხრიან სიძნელეთა წინაშე! დღედაღამე შრომობენ, რათა თავიანთი ქალაქის სილამაზე და დოვლათი გაამდიდრონ, აამაღლონ, გააკეთილშობილონ, მისი ქუჩები და მოედნები, მისი ხიდები და ბაღები სანიმუშო გახადონ.

დასრულდა რუსთაველის საიუბილეო დღეები. ჩვენი საპატიო სტუმრები თავიანთ ქვეყნებში გაეშურნენ. ისინი უთუოდ თავიანთ ხალხში ჩაიტანენ იმ დიდ სიხარულსა და სიყვარულს, რომელიც გამოთქვა მადლიერმა ქართველმა ხალხმა თავისი პოეტი-ტიტანის შოთას სახელის სადიდებლად. მათ ნახეს ზეიმი თბილისში, ახალციხეში, ქვის ქალაქში — ვარძიაში. ნახეს მცხეთა და სიონიც. ზოგიერთი მათგანი ქუთაისსაც ეწვია. დაათვალიერეს გელათი და ბაგრატი, გეგუთი და უქიმერიონი. ქართველმა ხალხმა თვითეულ მათგანს გაატანა დიდი პატივისცემა თავისი ბრძენი პოეტის ესოდენ დაფასებისათვის.

შოთა უმღეროდა ადამიანთა შორის უზადო სიყვარულს, რომელიც ამაღლებს და აკეთილშობილებს სამყაროს, ნამდვილად ამშვენიერებს მას და ბედნიერსა ხდის ადამიანთა ცხოვრე-

ბას. აკი ამიტომ თქვა ქართველმა კაცმა, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო.

როგორც ქვეყანას კიდე, ისე ცის გუმბათს თავანი არა აქვს. ამ უსასრულობაში დასაბამიდან იბრძვის კარგი და ცუდი, სიკეთე და ბოროტება. გეგუთის სივრცის გასაყარიდან თუ გელათის წყაროსთვალიდან ცა უფრო მაღალი და ლაჟვარდოვანი მოჩანს, უფრო ნათელი და ადამიანის ბედნიერების მანიშნებელია. აკი შოთამ აქედან დაინახა, რომ

„ბოროტსა სძლია კეთილმან,
არსება მისი გრძელია“!

რუსთაველის ქვათა ღაღადი

ჩვენ კი დღეს სწორედ,
ჩვენ კი დღეს სწორედ
ათას წელს ქვებში მოწმედ დებულებს
ათას წლის შემდეგ მაღლა ვწევთ სურებს,
სასმურებს მათგან მოწოდებულებს.

ირ. აბაშიძე

თბილისის ცისკრის გახსნა ჟრუანტელმომგვრელი რამ არის. სხვისი რა ვიცი და, გათენების ჟამს თუკი მეტეხის სანახებთან მოვხვედრივარ, იმ დღეს ჩემთვის ბედნიერებაზე მეტი რაღაც მოუტანია.

იმ დილასაც ადრე ავდექი, მტკვარს ჩავხედე და ქალაქში გათენების შუქის შემოსვლას სწორედ მეტეხის ხიდთან დავხვდი. თენდება ნელა, წყნარად, შაბიამნისფრად. მეტეხის კლდის ტყვიისფერი ფლატე ისე იშმუშნება და ილანდება მდინარის ამ თხელსა და გრილ ნისლში, თითქოს ახლა იბადებოდეს, სამყაროს ახლად ეყოფოდეს. ზემოდან, წამოსაფრენ მიმინოსავით გადმომდგარა დემეტრე თავდადებულის აშენებული მეტეხის ქვის ეკლესია, ქვემოთ ტყვიისფერსავე კლდის ქვის მძლავრ კალაპოტში მტკვარიც შაბიამნისფრად მოედინება. ამ გათენებაში არის რაღაც ადამიანის სულის დამაშოშმინებელი, დამაწყნარებელი, სასიამოვნო და გამხარებელი. როცა ამ ადგილს გამთენიას, დღის და ღამის შეგუფთების ზღვარზე შევხვედრივარ, მიგრძვნია, რომ სიცოცხლე მთელი თავისი ძალით ნამდვილად დიდებულია, მშვენიერია, განუმეორებელია. დიახ, ასე ძალუმად მიყვარს თბილისის ეს კუთხე და მისი ცისკრის გახსნა. შეიძლება ეს იმის ბრალიც იყოს, რომ მტკვარი ამ ად-

გილებში ჩვენი ქვეყნის ისტორიასავით კლდოვანია და ვიწროობის გამო მდინარისათვის ძნელად სადინებელი. შეიძლება იმიტომაც, რომ პირველი ქართული მხატვრული შედევრის გმირის—შუშანიკის საფლავი სწორედ აქ, ამ კლდის თავზეა ჩაჭრილი, შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ ალექსანდრე სუმბათაშვილის დრამის ფინალი ამ ადგილებში მიმდინარეობს — სწორედ მეტეხის კლდეებთან ამარცხებენ ქართველები მოძალადეთა ურდოს. და ადრევე წაკითხულმა გამარჯვების ამ კარგად დაწერილმა დრამამ, ალბათ, განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ჭაბუკის გონებაზე.

ყველამ იცის, რომ ამ ადგილებში ბაღები მაინცდამაინც ახლო არ არის და მე კი რატომღაც მეჩვენება, თითქოს ია-იას სუნიც კი ტრიალებს ყველგან, ყოველთვის მელანდება, რომ დილის სიგრილეში შეზავებული ეს იის სურნელება თითქოს თან მოყვება კლდის ზედაპირზე შემოფრენილ ნიავს და ყველაფერს აბრუებს.

რუსთავში მიმავალი ავტობუსიც მეტეხის პირდაპირ ჩერდება. მზე მაღლა ჯერ კიდევ არ შემომდგარიყო, რომ ფეხი მანქანაში შევაბიჯე. ხალხი ბევრი იყო, დასაჯდომი ადგილიც კი არ ჩანდა. მეც შესვლისთანავე ისანისკენ შევბრუნდი და, სანამ მომიხერხდებოდა, მტკვარზე ამაღლებულ მეტეხის კლდის კედლებს თვალი ვერ მოვაშორე.

თბილისის სანახებს გასცდებით თუ არა, მანქანა ხელმარცხნივ, სწორედ იქ გადაუხვევს, საიდანაც რუსთავის პირველი ქუჩა იწყება. ქალაქი ჯერ კიდევ ახლოს როდია! ეს ქუჩა კი თითქოს მარტოდმარტო, ქალაქის გარეშე შემოგხვდებათ, მაგ აქ გარშემო ხეივანი მიყვება. შუაში ყვავილნარი და ლამაზად მოვლილი ბუჩქები ამაღლებულან. ქალაქი კი, იქიდან, ჰე, ჰორიზონტიდან, მთელი თავისი დიდებით შემოგანათებს. მანქანა ქვემოთ იწევს. ღრუბლიანი დღეა. მზის სხივის ნატამალი არ ჩანს. იქით მიმავალ კაცს კი, რომელიც ამ ადგილებში მოხვდება, თუნდაც საღამო იყოს, მაინც ჰგონია, მზე საცაა ამოგორდება ცის გუმბათზე, ამოგორდება და ისიც უსათუოდ რუსთავის მხრიდან. სწორედ ცაში შეტყორცნილ ახალთახალი შენობების კედლების ზემოდან გადმოადგება ქვეყანასო.

როცა დავფიქრდი, გამეღიმა. ეს მოჩვენება ახალი

ქალაქის ცად შებჯენილი ფიქალი კორპუსების ბრალია. მათი კედლების თეთრად ელვარება უნებლიეთ ამას აფიქრებინებს იქით მიმავალ მგზავრს. შეიძლება ეს იმიტომაც მემართებოდა, რომ ქართველი კაცი თავის სისხლსა და ხორცს, თავის საყვარელ გამქრალ ქალაქს რვა საუკუნეს დაეძებდა ისტორიის მიცრეცილ ბინდბუნდში. დაეძებდა, რადგან აშკარად იცოდა, იგი სწორედ აქ, ამ ადგილებში მდებარეობდა, იცოდა ისტორიული გადმოცემების მიხედვით. ქალაქი კი აღარ იყო, მსახვრელი ხელისგან აღგვილიყო მიწის პირისაგან. ეს იყო ქართველი კაცის ერთი მრავალთაგანი მოურჩენელი ჭრილობა, მისი დიდი ეროვნული სატკივარი. დიახ, რვა საუკუნეს ეძებდა ქართველობა ამ ქალაქს და აი, მოვიდა ერის ფიქრზე ყურის მიმდები და მისი ტკივილების დამყუჩებელი თაობა; მოვიდა და ისტორიკოსის უტყუარი ხელით მინიშნებულ ადგილას ფოლადისა და ქიმიის უბრწყინვალესი ახალი ქალაქი წამომართა. მე მგონია, ამ მიწის პირზე ჯერჯერობით მეორე ქალაქი არც კია, რომელსაც შეუძლია ასე თამამად თქვას „რვა საუკუნე მეძინა და ახლა კი მძლავრად წამოვიწიე და წამოვდექი“.

დადიხარ მის ულამაზეს ქუჩებში და გრძნობ, რომ შენს ქვემოთ, ყოველი მტკაველი მიწის ქვეშ შენი წინაპრების ძვლები ასვენია. ისინი დაღლილნი არიან, ომგადახდილნი, ბრძოლაში დაჭრილნი და უკვდავებაში მითვლემილნი. სამშობლოსათვის ჩაჩოქებულან, მამულისთვის სიცოცხლე გაუწირავთ. მათ ახლომახლო ჩაფხუტები ყრია, ფარები მიმობნეულან; ხელში ისევ სატევრები და ხმლები უკავიათ, გვერდით ისრები და შუბები ულაგიათ. ასე იწვნენ ისინი თითქმის რვა საუკუნე — ჩუმად, წყნარად, თავისთვის. მათ მოფერება არ უთხოვიათ, დაჭრილებსა და ჩაჩეხილებს ალერსი არც კი გახსენებიათ. არც შეეძლოთ, რადგან მიწის ქვეშ ეძინათ. თითქოს რევოლუციის დიდ დღეებს უცდიდნენ; მათი შთამომავლობის ახალმა თაობამ, რომელმაც რვა საუკუნის შემდეგ ამოისუნთქა თავისუფლად, ნაომარი ქვეყნის წამოდგომის პირველ დღეებშივე მათ საფლავებზე ჭეშმარიტად ხელთუქმნელი ძეგლი — ახალი რუსთავი ააგო.

თანამედროვე ქართველებმა კარგად იციან, თუ რას ნიშნავს ფოლადი და ქიმია. მათ კარგად ესმით, რომ ეს ქალაქი

არის ქართველი კაცის სიმდიდრისა და სიუხვის ქალაქი; მისი ცხოვრების ამაღლებისა და კეთილმოწყობის ქალაქი, რომლის ქუჩები ფართოა, მზეუხვია, მაღალკედლიანია, ახალი ნარგავებით აშრიალებულია.

დადიხარ ამ ქალაქში და გეამაყება, რომ შენც იმ დროის შვილი ხარ, რომლის ნათელმა სხივებმა ქალაქი ქვითა და ბეტონით ასე ლამაზად ამოქსოვა. ცის ლურჯ გუმბათში შეტყორცნილი საცხოვრებელი ბინები, ხალხით სავსე სავაჭროები და ლამაზი ქვაფენილები, კულტურის სასახლეები, კინო-თეატრები, ფართე მოედნები, რომელთა თავზე ლურჯი ცის გუმბათი ისე გადაშლილა, თითქოს ისიც იმ ხელით იყოს ნაშენები, ვინც ასეთი ბრწყინვალე ნაგებობანი და მოედნები აღამაღლა.

მართალი გითხრათ, ერთი დღით წავედი ამ ქალაქში და ხუთ დღეს კი დავრჩი. მარტოდმარტო დავეხეტებოდი მის ქუჩებში, მოსახვევებში, ხეივნებში. ქალაქის უმშვენიერეს პარკში ვიმუხლებდი, ძველი ციხის ნანგრევებზე სულს ვითქვამდი. ასეთ პარკსაც იშვიათად ნახავთ ამ ქვეყნად: მისი ხეები საუკუნოვანია; იგი რაღაცნაირად, საოცრებით შემორჩენია ისტორიულად ცნობილ იმ ადამჟამობის ჭალა-ტყეს, რომლის ერთი თავი თითქმის სოღანლუღში იყო, ხოლო მეორე—დღევანდელ აზერბაიჯანში. ამ ტყეში აქა-იქ გაველურებულ თუთის ხეებსაც შენიშნავთ. საკვირველი არაფერია! წერილობითი საბუთები გვამცნობენ, რომ ოდესღაც შუა საუკუნეებში აქაური მცხოვრებნი აბრეშუმის შულოებით (ნატურით) იხდიდნენ სახელმწიფო გადასახადს. ამ პარკში, სწორედ ძველი ციხის ნანგრევებთან, საკმაოდ მოზრდილი ხელოვნური ტბა იწყება. ზაფხულობით რუსთაველები აქ ბანაობენ და ნავებით ასეირნებენ თავიანთ ოჯახის წევრებს.

ქალაქში ფეხი შევაბიჯე თუ არა, თვალი ვეღარაფერს მოვაშორე. ვიარე და ვიარე! სახლი მომეწონა — შევჩერდი; ქუჩა მომეწონა — შევიმუხლე, ნანგრევებს შევაშტერდი, სავაჭროების მორთულობამ მიმიზიდა, ქუჩაში მოსიარულეთა სახეებმა მომხიბლა!

და აი, მოსაღამოვდა კიდეც!

ძლიერ მომინდა რამდენიმე დღეს მევლო ამ ახალ ქალაქში. შევჩვეოდი მის ქუჩებს, მოედნებს, ადამიანთა სახეებს. მარ-

თალი გითხრათ, ნაცნობების ნახვასაც კი მოვერიდე. მინდოდა მეელო მარტოდმარტო, ყველაფერზე თვალი დამედგა და გულთან მიმეტანა.

სასტუმრო მოვძებნე.

სასტუმროს გამგე, ქართველი დიასახლისი ქალი ისე გამომეგება, თითქოს მისას მივსულიყავი სტუმრად! ყველაფერი სუფთა, მოვლილი და თავის ადგილზეა სასტუმროში. გაკრიალებული და კარგად გაუთოებული თეთრეული, ფაქიზად დაგვილი და ლამაზად მორთული ოთახები მეტად დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს სტუმრად ჩასულ კაცს.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მის დირექტორთან — ლუიზა ბასიაშვილთან და მეცნიერთანამშრომელთან — ლია ცინცაძესთან ერთად ხევსური ქალი მზექალა ჭინჭარაულიც დამხვდა. მზექალა ჭარმაგი ქალია, თავისიანებს შატილიდან ჩამოჰყოლია და უკვე თხუთმეტი წელია ამ ქალაქის მცხოვრებია. ხუმრობა ხომ არ არის, მის თვალწინ აშენდა ქალაქი! უხარია მზექალას! იგი თავისი უმწიკვლო შრომით ახლაც შუბლნათლად ემსახურება მუზეუმს. ფაქიზად უვლის მას და მეთვალყურედ უდგას ყოველ ახლად შეძენილ მასალას. ლექსი უყვარს მზექალას. თვითონაც გეტყვით თავის ლექსებს, მერედა როგორ ლექსებს?! ისეთ ლექსებს გეტყვით, ტანში გაგაყრეოლებთ!

— თქვენ იღბალი გქონიათ, — გვახარა ლუიზამ, — არქეოლოგიური ექსპედიციის წევრთა ნაწილი ახლაც აქ არისო.

მართლაც, ორი წუთის შემდეგ უკვე ვესაუბრებოდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერთანამშრომელს გ. ლომთათიძეს (ექსპედიციის ხელმძღვანელს) და მის ახალგაზრდა მოწაფე-თანაშემწეებს: ეკა ჯანდიერს, თინათინ არჩვაძეს, მერი ჩხატარაშვილსა და მიხეილ კოზლოვსკის (ეს უკანასკნელი ხელოვნებათმცოდნეა და ამჟამად განათხარის ფოტოგადაღებაზე მუშაობს). ამათ უნდა დაემატოს რამინ რამიშვილი, ჯამლეთ ჯღამაია, ნანა მამაიაშგილი, ცისანა ჩიკოიძე, ბესიკო ჯორბენაძე და ვახტანგ ჯაფარიძე (აგრეთვე ჩვენი ცნობილი მწერლის ნიკოლოზ მიწიშვილისა და თამარ ბაგრატიონის ქალიშვილი მარინე, რომელიც დედის ავადმყოფობის გამო წელს ვეღარ წამოსულიყო ექსპედიციაში). ისინი რუსთავის ნაქალაქარში გ. ლომ-

თათიძის მეთაურობით აწარმოებენ დიდ არქეოლოგიურ გათხრას.

გოგი ლომთათიძე არც ისე ახალგაზრდა კაცია: იგი ჯერ კიდევ ომამდე ყოფილა მონაწილე მცხეთის ცნობილი დიდი ექსპედიციისა, რომელმაც ახალი, მეტად საინტერესო ფურცლები გადაშალა ძველი საქართველოსა და მისი კულტურის ისტორიაში. ჩვენი აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, რომელიც ამ საქმეს ხელმძღვანელობს, დიდი ხანია, 1944 წლიდანვე დაინტერესებულა რუსთავის ნაქალაქარით.

მეცნიერულმა ალღომ და გულმოდგინეობამ თავისი გაიტანა.

ჩვენს წინ დაიხატა ჩვენი სამშობლოს სისხლიანი წარსულის ერთი საინტერესო მონაკვეთი; აღმოჩნდა ჩვენი ისტორიის მრავალი დიდი მოვლენის მეტად საინტერესო, მეტყველი ძეგლები.

რუსთავის პატარა, მაგრამ შინაარსიან მუზეუმს ვათვალიერებთ. ამ მუზეუმის დაარსება-გაძლიერებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსთავის ექსპედიციის ერთ-ერთ უძველეს წევრს თამარ პაატაშვილს, რომელიც ამ მუზეუმისა და ქალაქის სიყვარულით იქვე დარჩენილა, დასახლებულა კიდეც.

გოგი ლომთათიძეს ყოველ ნივთზე და ნატეხზე თავისი აზრი აქვს შემუშავებული. იგი დინჯად, მეცნიერულად გვიხსნის ყოველი მათგანის „ბიოგრაფიას", გვიამბობს, თუ სად ელაგნენ ისინი; რას წარმოადგენდნენ თავის დროზე და ყოველ მათგანს რა მნიშვნელობა აქვს ამჟამად. მის საუბარში ნელ-ნელა იხსნება და იფურცლება მონღოლთა შემოსევის ველური, კაცთა უნახავი უბედურების მომტანი ამბები... შემდეგ ყველანი ციხისკენ მივდივართ.

რუსთავის ციხე ამაღლებულ გორაზეა, ქალაქის პარკის ბოლოში. გარშემო მას ქვითკირის საკმაოდ მძლავრი და მაღალი, ქვის პერანგით შემოსილი გალავანი არტყია, ციხის შიგა ფართობი დაახლოებით ოთხი-ხუთი ჰექტარი იქნება. ეტყობა, ეს იყო სიმაგრე, რომელსაც მტრის შემოსევის დროს ქალაქის მცხოვრებლებიც შეეხიზნებოდნენ ხოლმე, იქ მათ შეეძლოთ თვეობით ეცხოვრათ შედარებით უშიშრად, აგურით მშვენივრად ამოშენებული ღრმა ჭის წყლის იმედით, მაგრამ მეცამე-

ტე საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქზე, მონღოლების სახით, ისეთ გრიგალს გადაუვლია, რომ ციხესაც ვერ გაუძლია, იგი გატეხილა და დაუნგრევიათ კიდევაც.

გოგი ლომთათიძეს გული სწყდება, რომ საქართველოში გავრცელებულია მეცნიერულად უაზრო წარმოდგენა, თითქოს რუსთავის ოთხთაგან ერთი სახელი — „ბოსტანქალაქი" აქაურ მეურნეობაში მებოსტნეობის გაბატონებას ნიშნავდეს. ბოსტანი საქართველოში აილამას წვერზეც კი შეიძლება მოიყვანო, ქართლსა და კახეთში ბოსტანი, აბა, რა საამაყო საქმეა, როცა ყურძნის ლერწი ცას ეტოტებოდაო, — ხუმრობს გოგი, — სინამდვილეში ჩვენ საქმე გვაქვს არა სიტყვა „ბოსტანთან", არამედ „ვოსტანთან". სპარსულად „ვოსტანი" ნიშნავს საუფლისწულოს, ე. ი. სამეფო გვარეულობის კუთვნილს. რუსთავიც, როგორც ქალაქი, საუფლისწულო, „ვოსტან"-ქალაქი ყოფილა.

ციხის შიდა ნაგებობანი ადგილ-ადგილ რიყის სიპი ქვით არის ნაშენი, ადგილ-ადგილ გამომწვარი აგურით და ხან ნათალი ქვის ფილებითაც. ციხის კედლები აქა-იქ ისევ მაღალია. თუმცა ბუნებრივი სიმაღლისა მაინც აღარ არის, მტრის ხელს ჩაუნგრევია და ჩამოუქცევია.

ციხის დასავლეთის მხარე მტკვრის კალაპოტს გადასცქერის. ჯერ კიდევ მირიან მეფის შვილიშვილს თრდატ მეფეს (IV საუკუნე) ამ ადგილას მტკვრიდან დიდი სარწყავი არხი — რუ გაუყვანია. მისი დასაწყისი სწორედ ციხის ჩრდილოეთის კედელთან ყოფილა. სწორედ აქედან მომდინარეობს ქალაქის მთავარი სახელწოდება „რუს თავი". საინტერესო ის არის, რომ ჩვენმა ხალხმა თითქმის იქვე საუკუნეთა მანძილზე რამდენჯერმე მოშლილ ნაარხალთან დაიწყო ახალი არხის აგება და მტკვრის მძლავრი ნაკადი ვაუკაცურად მოაქცია შიგ. დიახ, ძველისძველ სადინარში ისევ ჩადგა ცხოველმყოფელი წყალი. ძველი რუ მიყვებოდა ციხის ჯერ ჩრდილო და შემდეგ აღმოსავლეთ კედელს, ვიდრე გარდაბნის ჭალებისაკენ გაემართებოდა. მისი ტალღები ძირს ულოკავდნენ ციხის კედლებს და ამის ნაკვალევი ახლაც ნათლად ემჩნევა გალავნის ფესვ-ბალავარს. სწორედ ამ ციხის გვერდით, მტკვარსა და რუს გასწვრივ არის გაშიმული ცნობილი ჭალა-ტყე. ოდესღაც, არც ისე დიდი ხნის

წინ, ეს ტყე საესე იყო ფრინველებით და ნადირით, ხოლო იქ-ვე ჩამდინარე მტკვრისა და რუს წყალი — ათასნაირი თევზე-ულით.

გოგი ლომთათიძის ექსპედიციას ვეება ტერიტორია გაუთხ-რია. ციხის ყოველ კედელთან ჩაღრმავებულან წერაქვითა და ნიჩბით, ჩაკირკიტებულან, მიწის კოლბოხები სათითაოდ უფშ-ვნიათ და წვრილი მძივის მარცვლები კი არ დაუკარგავთ, გა-მოუცრიათ. როდესაც არქეოლოგებს რამდენიმე ადგილას ჩა-უჭრიათ მეტრობით მიწის დანაფენი, მათ სხვადასხვა დონეზე გამოუკვლევიათ და ჩვენც გვაჩვენეს დიდი ხანძრის ორი ნაშ-თი — ნახშიროვანი ფენა, შავ ზოლად რომ მიჰყვება თითქმის ყველა თხრილს. ფიქრობენ, რომ პირველი ნახანძრალი თურქ-სელჯუკთა ბატონობას მიეკუთვნება: ისინი 1115 წელს გარეკა აქედან დავით აღმაშენებლის ჯარმა, თბილისის განთავისუფ-ლებამდე 7 წლით ადრე. მეორე ნახანძრალი კი მონღოლთა მი-ერ ქალაქის განადგურებას უნდა გვანიშნებდეს. ახლაც შეამ-ჩნევს ადამიანი მუხის ძელთა ნახშირს.

— ციხის ზღუდის შემორჩენილი უდიდესი ნაწილი, — გვე-უბნება გოგი, — რუსთაველის ხანაშია ნაგები — ადრინდელი, ჯერ კიდევ IV—V საუკუნეთა ციხის ნანგრევის ძლიერ განახლე-ბის სახით. ამდროინდელი ზღუდე-ბურჯების პერანგში ხშირად არის ჩატანებული ისეთი ქვათლილები, რომლებიც არ შეიძ-ლებოდა ციხის კედლებში ყოფილიყო და უნდა ეკუთვნოდეს ადრინდელ საეკლესიო (ან ეგებ სასახლის?) ნაგებობათ, რომ-ლებიც, როგორც ჩანს, მტერს დაურღვევია და შემდეგ ეს ქვე-ბი ციხის კედლების აღდგენა-შეკეთებისათვის გამოუყენებიათ.

რუსთავის ციხე, „შვიდ მთეულეთთან“ ერთად ერთ დროს ეკუთვნოდა თამარის დროის განთქმულ დიდკაცს აბულ-ასანს, რომელიც შემდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის შერის-ხულ იქნა. „შვიდი მთეულეთი“ კი შეადგენს იმ ძველ ქართულ თემს — კუხეთს, რომელიც ქართლსა და კახეთს შორის მდება-რეობდა და რომლის ცენტრსაც წარმოადგენდა რუსთავი.

ციხის შიგნით ახლახან აღმოჩნდა აგურით ამოყვანილი ღრმა ჭა, რომლის პირი XI საუკუნის ფენაში მდებარეობს. ჭის მნიშვნელობა თავშესაფარი ციხისათვის ხომ ცხადია, მას-ზე საგანგებო შენობაც კი ყოფილა დადგმული.

შორიახლოს გაითხარა ორი პატარა ქურა, რომლებიც ძალიან მოგვაგონებენ საოქრომჭედლო ქურებს და ეგებ აქ ასეთი სახელოსნოც ყოფილიყო?!

ციხის შიგნით გათხრილ შენობათა ნაშთების დიდი უმეტესობა ეკუთვნის XII—XIII საუკუნეებს. შედარებით ნაკლებია XI საუკუნისა და უფრო ცოტა ადრინდელი. რუსთაველის ხანა ამ ქალაქის მაქსიმალური აყვავება-აღორძინების დროა. ასეთი სურათი ჩანდა ციხის გარეთ მდებარე ნაქალაქარის ხანგრძლივი თხრის დროსაც (იქ, სადაც ახლა ქალაქის საავადმყოფოა).

ეტყობა, მტრებს არამცთუ მოუსრავთ ციხის მცხოვრებნი, შენობებიც დაუწვავთ და ამას კი მათი ნგრევა მოჰყოლია. მარცვლეულის ორმოებში ხშირად პოულობენ დაფერფლილ ფეტვის მარცვლებს, ქერისა თუ ხორბლის ნარჩენებს, ზოგჯერ შიგ ჩაყრილ-ჩაცვენილ თიხისა თუ მინის ჭურჭელს, ლითონის საგნებს და აგრეთვე ლითონის ფულს. ერთი ისეთი კარგი თითბრის სანაყი ეგდო, რომ ახლაც გული შეგივარდება ზედ. მტკვრის მხარეზე, ე. ი. დასავლეთით გალავანი სულ სხვანაირად არის ნაგები. მოგვიანებით იქ ახალი კედელი „ჯავშანი“ ამოუყვანიათ რიყის ქვითა და კირით. საოცრად ლამაზი, ტერასებად ნაშენი კედელი მიყვება ამ მხარეზე ციხეს — რიყის ქვა, აგური, თარაზოში ნათალი კუთხედი ქვები, ისევ რიყის ქვები... ეს ყველაფერი ისე ვაჟკაცურად და ლამაზად არის „ნაქსოვი“, რომ მოგინდება ერთ წუთს ჩამოჯდე და მშენებლის მარჯვენის სადღეგრძელო დალიო.

სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კოშკია ამოყვანილი: იქიდან კიბით, სწორკუთხოვანად მიხრილ-მოხრილი გზით შემოვიდოდნენ ციხეში, ვისაც შემოუშვებდნენ. გზაზე რამდენიმე კარი ყოფილა, ისე რომ მტერს გაუჭირდებოდა ციხეში შემოღწევა. ეს კოშკიანი კარიბჭე რუსთაველის ხანაშია აგებული. უწინ იქ მხოლოდ ბურჯი ყოფილა — ერთი მრავალთაგანი. კოშკის პერანგში ჩართული აღმოჩნდა ჯვრიანი ქვა. ეს უძველესი ქვა უნდა მიეკუთვნოს ბოლნისის ცნობილი წარწერიანი ტაძრის დროს (V საუკუნე). კოშკიდან შემოსული ფართე კარით უცებ ქვაფენილზე გამოდიხართ. აქეთ-იქით ძველი ქვის სვეტების ნარჩენებია. ეტყობა, სათანადო დროს აქ იყო ციხის მთა-

ვარი კარი. სწორედ აქედან (გაიხსენეთ გელათის მთავარი შესასვლელიდან ეზოში შემოკრილი ქვაფენილი) იყო ქვით მოფენილი საზეიმო შესასვლელი შიდა ეზოში. შორიახლოს გაუთხრიათ მარნები, მოჩანს ვეება ქვევრები, რომლებიც ოდესღაც უსათუოდ სავსე იქნებოდა ქართული ღვინით. ამ კარიბჭის მახლობლად კარგა მანძილზე გაშიშვლდა ციხის უძველესი (IV—V საუკ.) ზღუდის ნაშთი, რომელიც მერმინდელთაგან ძალიან განსხვავდება და ანტიკურს უფრო ჰგავს. იქვე ახლომახლო თონეები და კერები ყოფილა მრავლად. ციხის შიგნით, საერთოდ, მძლავრად ყოფილა წარმოდგენილი სამეურნეო ნაგებობა-მოწყობილობა.

გ. ლომთათიძის ექსპედიციამ აქა-იქ ადამიანთა ცალკეული ძვლები და მთელი ჩონჩხებიც კი მიაკვლია. ეტყობა, დიდი განადგურების შემდეგ ახლომახლო არავინ გადარჩენილა, რომ მოსულიყო და გავერანებული ადგილები გაესუფთავებინა, ჩამონგრეული სახლები მიელაგებინა, მკვდრები დაემარხა. როგორც დატოვეს გამხეცებულმა მონღოლებმა, ისევე დახვდათ არქეოლოგებს.

ადრე, ნაქალაქარის თხრისას ერთ ნანგრევში დალეწილ ჯამ-ჭურჭელს შორის აღმოჩენილა წითლად შეღებილი კვერცხების ნაჭუჭიც: მონღოლებმა რუსთავი სწორედ გაზაფხულის წყალდიდობის დროს, ე. ი. ალბათ აღდგომის დღეებში გაანადგურესო — მაშინვე გაახსენდათ არქეოლოგებს და ასე ახსნეს ეს თავისებური მონაპოვარი.

ამ ნანგრევთა თხრის დროს უამრავი ჭურჭელი აღმოჩენილა და სწორედ ისაა, რომ შეადგენს მუზეუმის მთავარ ფონდს. საინტერესოა, რამდენი ძვირფასი ჯამ-ჭურჭელი ჰქონიათ რუსთავის მცხოვრებლებს. რა გინდა, რომ იქ არ ნახოს თვალმა? თიხის სანათურები, მინის სანელსაცხებლები, ჭურჭლეული, ფაიანსის და უბრალო თიხის მოჭიქული სამარილეები, ხელადები, ვაზები, სამელნეებიც კი. და სრულიად მოუჭიქავი დერგები თუ სხვა სამეურნეო ჭურჭელი. ეტყობა, მოჭიქული ჭურჭლისა და, კერძოდ, ფაიანსის წარმოება საქართველოში უმაღლეს დონეზე ყოფილა ასული. აქ ნაპოვნია არაერთი ფაიანსის ჯამი და სხვა ჭურჭელი, რომლის მოხატვა თუ მოხაზვა აშკარად ქართული სტილისაა. მათი დიდი ნაწილი მოსურათებულია ულა-

მაზესი ფრინველებით და ცხოველებით, გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით. არც ერთი ცხოველი და ფრინველი უშუალოდ ბუნებიდან არ არის გადაღებული, ყოველი ნახატი საოცრად სტილიზებულია: გვანან და არც გვანან ხოხბებს თუ მტრედებს, კაკბებსა თუ ჯიხვებს, მონადირეებისაგან გაალმასებულ გარეულ ტახებს თუ ყელმოღერებულ შვლის ნუკრებს. ხანდახან, როცა დააკვირდებით, თითქოს ცხოველის ფაჩუნსა და ფოთლის შრიალსაც კი გაიგონებთ, ისეა დახატული ცხოველი თუ ფრინველი. ნახატები აუცილებლად ჩასმულია რტოულორტოვან ორნამენტში, ხოლო ორნამენტი მეტად მდიდარია და ადვილად გამოსაცნობი ეროვნული მოტივების შემცველი. ფერთა ლივლივი და საღებავების სიუხვე თვალს იტაცებს. ზოგი უბრალოდ არის მოხატულ-მოჭიქული, მაგრამ სილამაზეს როდი კარგავს ნახატი.

რამდენიმე ჯამ-ჭურჭელი ვეფხის ტყავის ფერებით არის შემკული. ფერები ისე მოელვარედ თამაშობენ, რომ გუშინდელი ნაკეთები გეგონებათ, მართალი გითხრათ, როცა მაჩვენეს, დავეჭვდი მათ სიძველეში! წარმოგიდგენიათ, როგორ დონეზე ყოფილა მაშინდელ საქართველოში თუნდაც საღებავების დამზადება? (ჩვენი დროის ენაზე ეს ქიმიაა!). სხვათა შორის, ჩვენმა სამხატვრო აკადემიამ დიდ საქმეს მოჰკიდა ხელი და საამაყოდ უნდა ითქვას, მრავალი ბრწყინვალე კერამიკული ნაწარმოები წარმოუდგინა ხალხს. მაგრამ მაინც მინდა, რომ მათ ნახონ რუსთავის ჯამ-ჭურჭლის საღებავები, ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ აქედან! შესანიშნავია ნიჟარისებური მოყვანილობის ჭრაქები, სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის სამელნეები. ნაქალაქარის თხრისას უპოვნიათ ქართულწარწერიანი თიხის ჭურჭელი, კრამიტი, ქვევრი და სხვა საგნები—სრულიად ჩვეულებრივ მოქალაქეთა, ხელოსანთა და სხვათა ნაქონი. აქვე უნდა ითქვას, რომ თუ მოუჭიქავია თიხის რომელიმე ჭურჭელი, მაშინ იგი უფრო ხშირად ამოტვიფრულია. თქვენ ნახავთ ისეთ დერგებს, რომლებზედაც ჯეირნები, ირმები თუ ყურძნის მტევნებია შესანიშნავი ხაზებით ამოტვიფრული. ერთი სიტყვით, ქართველი კაცის დიდი მხატვრული ბუნება მთელი თავისი სიდიადით არის წარმოსახული აქ ნანახ ნივთებში. ოსტატს ყველაფერზე ლამაზი ხაზი გაუკეთებია,

ყოველი ნივთის ფორმა მშვენიერებამდე აუყვანია, საოცარი ფერებით მოუხატავს! არის ცეცხლგამძლე თიხის თავისებური ჭურჭლებიც.

თხრის შედეგად ჩვენ წინ დალაგდა მეტად საინტერესო, ქალთა პირსაფარეშო და სამკაული საგნების შესანიშნავი მარაგი. თქვენ ნახავთ ათასნაირ მძივებს, ძვლისა თუ ჭიქისა, ფერადი ქვებისა, თუ მოჭიქული თიხისა. ისინი თვალისმომჭრელად ლამაზნი არიან. ზოგიერთი მათგანი საოცრად ჰგავს ჩვენი „მესტილე" გოგონების ყელის მძივებს. ასე რომ, როგორც ეტყობა, ასეთი გოგონები მარტო ჩვენი საუკუნის საკუთრება არ ყოფილა. აქ არის იშვიათი ნაკეთობის მინის სამაჯურები. მათი მოყვანილობა, ფერები და ზოგჯერ ფაქიზი ორნამენტი გაოცებთ და გაფიქრებთ კიდეც. ახლა ქალთათვის სუნამოთა და ნელსაცხებელთა მინის ჭურჭლები უნდა ნახოთ! ეს ჭურჭლეული ბევრ რამეს აგვიხსნის და მიგვანიშნებს. როგორც მისი სიმრავლე და ფორმათა სხვადასხვაობა გვიჩვენებს, ქალთა სახის სილამაზის ხელოვნურად კიდევ მეტად გამშვენიერებას, ნელსაცხებელთა და სუნამოთა ხმარებას რუსთაველის დროსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია. არც ქალთა თმების საკინძეებია მცირერიცხოვნად წარმოდგენილი. არქეოლოგთა ყოვლისმომწვდომ ხელებს მეტად ლამაზი ბრინჯაოს საჯიბე სარკეც კი აღმოუჩენია! მაგრამ ესენი უფრო ადრინდელი სამარხებიდან არის. არ შეიძლება არ შენიშნოთ მოჭიქული თიხის სააკვნე ჭურჭელი — კოტრშები, ბავშვის ჰიგიენის მომასწავებელი მოწყობილობა.

ჩვენს არქეოლოგებს სხვა მასალებთან ერთად მრავლად აღმოუჩენიათ ლითონის ფულიც, რომელთაგან ზოგი გარკვეულ სიახლესაც წარმოადგენს ნუმიზმატიკაში და უსათუოდ ამდიდრებს ამ ფონდს. დიდი უმეტესობა ქართული ფულია, XII—XIII საუკუნეებისა (გიორგი III, თამარი, ლაშა, რუსუდანი) უძველესია — ბიზანტიური, იუსტინე პირველის მიერ მოჭრილი (518—527 წწ.). თავისებურად ყურადსაღებია ქართული ფული, რომელსაც ჯელალედინის დამღა აქვს დაკრული (1226—1231). ეს იმას ნიშნავს, რომ, შემოესია რა საქართველოს და დაისაკუთრა ის, თავისი სისხლიანი ხელი ფულის მეურნეობასაც დაადო ახალმა, თავადაც მონღოლთაგან ლტოლვილმა ტი-

რანმა. ასევე საინტერესოა თამარის ფული, რომელზედაც თამარის და დავით სოსლანის დამღაა. როგორც ჩანს, თამარს საჭიროდ მიუჩნევია, თავისი მეფური სახელის გვერდით ფულზე ღირსეული მეუღლის სახელიც აღებეჭდა. ამასაც ცოტა მნიშვნელობა როდი აქვს იმ დროის სახელმწიფოებრივი ვითარების გასარკვევად და შესასწავლად.

ჩვენს თვალწინ თანდათან იშლება და იხატება ქართველი ერის საამაყო შვილის შოთა რუსთაველის ეპოქისათვის დამახასიათებელი ბევრი ისეთი რამ, რაც ამდენხანს არ იყო ცნობილი.

ყოველ ერს თავისი სათაყვანებელი ადამიანები, თავისი გმირები ჰყავს. მათი სახელები აღაფრთოვანებს ხალხს, აყვარებს ადამიანებს თავიანთ წარსულს, სიამაყის მაღალ გრძნობებს ამკვიდრებს ერში და იმედით მოსავს მის მომავალს. მაგრამ როცა ამა თუ იმ ერს ისეთი შვილი დაებადება, რომელიც არა მარტო თავისი ხალხისათვის ხდება საამაყო, არამედ კაცობრიობის ოქროს ფონდის შარავანდედში შეაბიჯებს, მისი ნააზრევი და ნამოქმედარი ყველა ხალხების დიდებად იქცევა, მაშინ ასეთ ადამიანებს ტიტანებში გადარიცხავენ, ღმერთკაცებად აღიარებენ. ჭეშმარიტად, შოთა რუსთაველი ადამიანის გონიერების გასაოცარი ტიტანია. აზროვნების უფაქიზესი და უმძაფრესი შემოქმედების თვალმიუწვდენელი სიმაღლეების შემქმნელია. ამასთანავე იგი ჩვენი ხალხის, მისი ეროვნული ენერგიის განუმეორებელი გენიაა. ამიტომ ყოველი ქართველი კაცის სახელი, როგორც თვით სიცოცხლესთან, ისეა დაკავშირებული შოთას სახელთან. ამიტომ შოთას სახელთან დაკავშირებული ყოველი ახალი აღმოჩენა ქართველი კაცის ბედნიერება და სიამაყეა. გოგი ლომთათიძის ექსპედიციის მიერ მრავალი წლის მანძილზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით გამომზეურებული ძეგლებიც, რომელთა უმეტესობა სწორედ რუსთაველის ხანას გვისურათებს ხელახალი მეტყველი სიძლიერით, შესანიშნავი საჩუქარია ჩვენი რესპუბლიკისათვის...

ყოველ დილას ავდიოდი რუსთავის ციხის ნანგრევებზე, საიდანაც უმშვენიერესი სანახაობა იშლება თვალწინ. ჩავიმუხლებდი ნანგრევებს შორის, თონეებთან, ქურებთან, ციხის ზღუდის ქვათლილებთან და ვფიქრობდი ჩემთვის, მარტოდმარტო.

უცებ თვალწინ დამიდგებოდნენ აბჯარგადაცმული ვაჟკაცები, ხმლით და სატევრით ხელში რომ იცავდნენ ჩვენს ძვირფას მამულს, ძვირფას სახლ-კარს, ძვირფას სამშობლოს.

ერთ დილით ციხის თავზე აველ და იქიდან ნაწისქვილარისკენ გადმოვიხედე. სწორედ იმ მიდამოებში ორი საკმაოდ დიდი დოლაბი იპოვნეს ჩვენმა მკვლევარებმა. ისინი „დედალ-მამალი" არიან (ასე ეძახიან იმერეთში ზედა და ქვედა დოლაბის ქვებს) და ოც-ოცდაოთხ ფუთს მაინც ჩამოფქვავდნენ დღეღამეში. ეტყობა, ძველთაძველ რუს თავისი საწისქვილე განტოტება ჰქონია, ან შეიძლება, თითონ ამ რუზე იყო გაშენებული წისქვილი. აი, აქედან დავყურებდი ამ მიდამოს, როცა ნანგრევებისკენ მომავალი სამი ახალგაზრდა კაცი შევნიშნე, თურმე ისინი მე მეძებდნენ. ესენი იყვნენ: მწერალი კარპე მუმლაძე და მისი მეგობრები — ინჟინერი ჟანი ლეჟავა და მეფოლადე ალექსი რევაზიშვილი.

ამ ძველმა რუსთაველებმა ამ ოცდაოდე წლის წინანდელი ამბავი შემახსენეს. ეს იყო რუსთავის დაბადების დღეები. მძიმე სატვირთო მანქანების მიერ გათელილ გზებზე თავი იჩინა ძველისძველმა, ფილაქვით ნაშენმა სამარხებმა და შიგ — სამკაულმა თუ სხვა ნივთებმა. პარტიის საქალაქო კომიტეტმა ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობა ცენტრალურ კომიტეტს, მათვე დააყენეს საკითხი აკადემიის წინაშე, მაშინ დაისახა იდეა დაეწყოთ მეცნიერული, საკვლევი არქეოლოგიური გათხრების წარმოება. იმ ხანებშივე დაიწყო გათხრებიც. უფრო დაწვრილებით ეს ამბები იმავე გ. ლომთათიძის მიერ ადრევე გამოქვეყნებული ანგარიშიდან ვიცოდი. ვიცოდი, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა თავდაპირველად მეცნიერთა შორის ამ საქმის სამეთაუროდ გამოცდილი, კეთილსინდისიერი არქეოლოგი მიხეილ ივაშჩენკო გამოყო. მან დაიწყო ეს დიდი საქმე და საგულისხმო შედეგებსაც მიაღწია.

გამაოცა მეფოლადეების ასეთმა დაინტერესებამ არქეოლოგიისა და ისტორიის საკითხებით. ინჟინერი ჟანი ლეჟავა ლიტერატურის მცოდნე და მოყვარული ადამიანია. ივი მარტენის საამქროს ცვლის უფროსად მუშაობს და ფოლადის დნობის ბევრი საიდუმლო იცის. ბევრი მეფოლადეა ამ ქვეყნად, ბევრი,

მაგრამ აჭარელი ალექსი რევაზიშვილი ტოლს არავის დაუდებს. სხვა რომ არა, ენების ცოდნით გააოცებს არაერთ ინტელიგენტს. მან კარგად იცის თურქული, ბერძნული, რუსული, ესმის და ლაპარაკობს კიდეც არაბულად და ესპანურად.

ამ რუსთაველებთან ერთად შემდეგაც რამდენჯერმე მომიხდა რუსთავის ციხეზე ასვლა. მართალი გითხრათ, ეს ახალი ადამიანები — ჩვენი მეფოლადეები ნამდვილად მოწინავე აზროვნების ვაჟკაცები არიან. მათ ძალზე უყვართ თავიანთი ქალაქი და მისი ყოველი მოქალაქე. უყვართ მისი დიდი წარსული, კარგად გრძნობენ მის უდიდეს მომავალს და სიდიადესაც. ერთი სიტყვით, თავიანთი ქალაქის დიდი პატრიოტები არიან. ამ ქალაქის მცხოვრებზე აუგს ვინ გაუბედავთ? ისინი კეთილშობილურად ეპყრობიან ყველას სახელს. ახალგაზრდები არიან, ქალაქიც ახალგაზრდაა. სხვათა შორის, ქალაქის ხელმძღვანელიც ახალგაზრდა ქართველი ვაჟკაცია, რომელსაც რესპუბლიკის ახალგაზრდობაში მუშაობის დიდი ცოდნა და გამოცდილება მოჰყვა თან. ეს კი, ეტყობა, ბევრს ნიშნავს.

ისევ გ. ლომთათიძის ანგარიშს ვუბრუნდები. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირს, ეტყობა, ისევაც ხიდი აკავშირებდა. ჯერ კიდევ 1948 წელს ყოფილა აღმოჩენილი მისი ნარჩენები. აქედანვე ჩანს, რომ ქალაქი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. მიხეილ ივაშჩენკოს აზრით, ადრეულ საშუალო საუკუნეებში ამ ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 20.000 მაინც აღწევდა. ეს კი ცოტა როდია.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე თხრისას აღმოჩენილ ქვიშაქვის მრგვალ საბეჭდავზე გამოხატულ ჯვრის ირგვლივ არის ბერძნული წარწერა „საფარველი მწერვალისა". ფიქრობენ, რომ ეს წარწერა VI—IX საუკუნეებისაა. გარდა ბერძნულისა, იკითხება ქართული ასომთავრული სამი ასოც, რაც მას მეტად საინტერესოდ ხდის.

მნიშვნელოვანი ყოფილა ისიც, რომ საფლავის ქვებზე თუ სხვა საგნებზე ამოჭრილი ასომთავრული წარწერების სიმრავლე მიგვითითებს ამ ანბანის ფართო გავრცელებას. ცნობილი აზრი იმის შესახებ, რომ ასომთავრული მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული, გაბატონებული წრის საკუთრება და საზეიმო დამწერლობა იყო, არ მართლდება. პირიქით, როგორც ჩანს, ეს ან-

ბანი სახალხოდ სახმარი ყოფილა და რუსთავის მოქალაქენი ასედაც იყენებდნენ მას.

ნაქალაქარის თხრისას აღმოჩენილ ნივთებს შორის საინტერესოა ოქროს საყურე და გულსაკიდი. ორივე ოქრომჭედლობის იშვიათი ნიმუშია. საქართველოს აქვს უნიკალური საეკლესიო ოქრომჭედლობა. ესენი კი სამოქალაქო ოქრომჭედლობის მცირე, მაგრამ ხელოვნების თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანი ნიმუშებია. ასევე საინტერესოა ბრინჯაოს ორკეცი, მინით მოთვალული გულსაკიდი ჯვარი, რომელზედაც წმინდანის გამოსახულებასთან ერთად მცენარეები და ორნამენტია ამოკაწრული.

რუსთავის არქეოლოგიური განათხარის სიმდიდრეზე რამდენადმე სრული წარმოდგენა თუ გვინდა გვქონდეს, არ შეიძლება არ აღინიშნოს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვალთა სიჭარბე. ძროხების და ხარების ძვლები (მეტად მდიდარი მასალაა) თავისი აღნაგობით უახლოვდება ხევსურულ ჯიშებს. ცხვარი კი ე. წ. „იმერული ცხვრის" ტიპისაა. აქ საკმაოდ მრავლადაა ირმის ძვლებიც, ნაპოვნია აქლემისა და კამეჩისაც. არც თუ ცოტაა ღორისა. ყველაფერი ეს მოწმობს მესაქონლეობის დიდ განვითარებას. მის სიმდიდრეს, მის პროდუქტიულობას, მის მრავალფეროვნებას.

რასაკვირველია, ჩვენი არქეოლოგები მთელი ამ მდიდარი ფაქტიური მასალის დაგროვების შემდეგ ისტორიის ახალ-ახალ ფურცლებს გადაუხსნიან ჩვენს ერს, ჩვენს სამშობლოს.

და ბოლოს, რუსთავის არქეოლოგიური თხრის დროს აღმოჩენილ იქნა ორი საოცრად ამაღელვებელი ამბავი. არქეოლოგები ადრე, ნაქალაქარის თხრის დროს ორ ძალზე დრამატულ ამბავს წაწყდომიან.

ერთ ორმოში, რომელშიაც, ალბათ, მარცვლეულს ინახავდნენ, ეგდო ოცდაათიოდე წლის შუბლგაჩეხილი ვაჟკაცის ჩონჩხი. შეიძლება ბევრი მოსულიც დაჭრა ან მოკლა კიდეც, მაგრამ მომხდურთა სიმრავლეს თავისი გაუტანია და მისთვის თავი გაუპიათ. მერე სახლიც დაუწვიათ, თავზე დაუნგრევიათ და წასულან. მეორე: ერთ-ერთი კედლის მახლობლად გამოჩნდა ახალგაზრდა, 16—18 წლის ქალის ჩონჩხი. მისი ხელის ძვლების მახლობლად პატარა წალდუნა ეგდო. ეს საოცარი, გულის-

მომკვლელი სურათი უფრო ძლიერდება, როცა ხედავ, რომ ჩონჩხს თავის ქალა აღარა აქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ რუსთაველ გოგონას უბრძოლია წალდით ხელში და მტერს ცოცხალი არ ჩავარდნია. ვინ იცის, რა ნაზი ქალიშვილი იყო და მოძალადეთა წინაშე კი ვეფხვად იქცა? ბოლოს, ცხადია, მაინც დაძალეს მტრებმა. მშვენიერი თავი წარკვეთეს და „ნადავლი“ ხმლის წვერზე წამოაცვეს!

ჰაი დედასა, რა დრო არ გამოუვლია ჩვენს ხალხს?!

გულისტკივილს ვიოკებ. რუსთავის ერთ უმშვენიერეს მოედანზე ვდგავარ, შევცქერი ქართული ფოლადის ულამაზეს და უმდიდრეს ქალაქს და სიამაყე მიპყრობს. დიახ, მეამაყება და მიხარია, რომ ჩემი თაობა ამ ქალაქის ფუძემდებელია, მისი ბალავრის გამჭრელია, მისი თავანის გადამხურავია, რომ რუსთავის „ფოლადის მკვნეტელი“— ვაჟკაცები ფოლადის საიდუმლოთა ცოდნით სამყაროს ყველა ფოლადის ჩამომსხმელებს პირდაპირ, თამამად უსწორებენ თვალს.

ჭეშმარიტად, გმირულ წარსულს გმირული მომავალი მოსდევს!

დურგალი და პროფესორი

ეუძღვნი ჩემს მეგობრებს, მოამაგე ექიმებს —
მარიამ იოსელიანს და ანდრო აბაშიძეს.

სოფელს ვერაფრით გააკვირვებ. ავიც ბევრი უნახავს და კარგიც, ბედნიერებაც და უბედურებაც. დაბადება უთვლელი ახსოვს და სიკვდილსაც ბევრს მოსწრებია. ამ უბედურებამ კი სოფელი მაინც გააოცა. სიკვდილიც არის და სიკვდილიც. სიკვდილის მეტი რა ენახა სოფელს. ამნაირი სიკვდილი კი ჯერ არავის გაეგონა ამ არემარეში. სულ ორიოდე კვირის წინ სოფელში დიდი მორებისათვის მრგვალი ხერხი დადგეს. სახერხის მეთაურად დურგალი ლევან გოგნაძე დანიშნეს. დამხმარე მუშას ხელიდან ნაგვერდული აუცურდა, ხერხმა ასხლიტა და ფიცრის ნაპობი ლევანს ზედ ყელ-კისერში ეცა. იმ დაწყეველილმა სულ დაუფლითა ხორხი. ფიცრის ერთი ნასხლეტი შიგ გაეჩხირა და ვაჟკაცი კაცი მთელი სოფლის თვალის წინ მიწაზე დაკლული ქათამივით ფართხალებდა. სისხლი ღვართქაფით, ბუშტა-ბუშტად გადმოსდიოდა ყელიდან, სულს ღაფავდა.

— ვაი შენს მშობლებს! — ქვითინებდნენ ქალები.

— რაღა ეშველება შენს უბედურ ოჯახს! — ბანს აძლევდნენ მოხუცები.

ლევან გოგნაძეს მშობლებიც ჰყავდა და ცოლ-შვილიც. მშობლები მოხუცები იყვნენ. როგორც სოფელში იტყვიან „ერთმანეთს ძლივს აყენებდნენ“. მცირეწლოვანი ბავშვები კი ახლა იყვნენ საპატრონო. უფროსი თოთხმეტი წლისა გახლდათ, უმცროსი ჯერ კიდევ დედის ძუძუს ეკიდა. მისი მეუღლე ბაბო ბუხრაშვილის ქალი დაწყებით სკოლაში მასწავლებლობდა.

მართალია, ღონიერი ქალი იყო, ტოლს არავის დაუდებდა, მაგრამ მისი მოხუცი დედაც მის კისერზე იყო და, აბა, ამდენის გაძლება ვაჟკაცსაც გაუჭირდება. ქალისთვის ძნელი ცხოვრება იწყებოდა. გამწარებული ბაბო ყველას შველას სთხოვდა. საზანოში ყელ-ყურის ექიმი არ იყო, ამიტომ თერჯოლიდან ექიმი ბუცხრიკიძე დაუყოვნებლივ ჩამოვიდა.

— ამას რთული ოპერაცია სჭირდება, ახლავე ქუთაისში უნდა წავიყვანოთ! — გამოთქვა თავისი აზრი ექიმმა. ბუცხრიკიძემ არ დაიზარა და თვითონ გაჰყვა კოლმეურნეს. უიმისობაც არ შეიძლებოდა. მოსალოდნელი იყო გზაზე სისხლს დაეხრჩო ყელდაფლეთილი ლევანი. სისხლის დენა კი მას ქუთაისამდე არ შეწყვეტია.

მთელ იმერეთში განთქმულია ყელ-ყურის ექიმი აკაკი გაბუნია. ლევანი მას მიუყვანეს. მანაც სასწრაფოდ, თავისი ცოდნის და დიდი გამოცდილების მიხედვით, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა.

კოლმეურნე ლევან გოგნაძე სიკვდილს გადარჩა. ამიერიდან მის სიცოცხლეს საფრთხე არ ელოდა. გაბუნიამ მას, სადაც ნაგვერდულის ნაპობმა ხორხი გაუხლიჩა, სწორედ იქ ჩაუდგა რკინის მილი. ექიმი ფიქრობდა, ჭრილობა ასე შეიზრდება და ყველაფერი კარგად დასრულდებაო.

სიცოცხლე გადარჩა, მაგრამ ლევან გოგნაძემ ხმა დაკარგა. იგი დამუნჯდა, უტყვი გახდა. მის ხმას აწი ვერავინ გაიგონებდა, ვერავინ მოისმენდა. წინათ, ამ უბედურებამდე, კი ლევანს სასიამოვნო, გულიდან ამოსული და ზარივით ჟღერიალა ხმა ჰქონდა. სოფელში სიმღერას რომ დაიწყებდნენ, მისი ბანი გუგუნით ეფინებოდა გარემოს.

თორმეტი წელი იმუშავა სოფლის სკოლაში დურგლად ლევანმა. მოსწავლეები მიჩვეულნი იყვნენ მის ხმას.

— აბა, ონავრებო, მაგიდები არ დაფხაჭნოთ, დანით არ დასეროთ, — შეუძახებდა იგი პატარებს.

ახლა სკოლის ახლოს რომ მოუხდეს გავლა და დაინახოს ცელქი ბიჭი რასმეს აშავებდეს, სიტყვას ვერ ეტყვის, ხმასაც ვერ ამოიხავლებს. სკოლას სამი წელია დაანება თავი ლევანმა. ისევ კოლმეურნეობას დაუბრუნდა.

სამი წელი მიწაზე იმუშავა, მერე თავმჯდომარემ მოისაზრა სოფელში სახერხი დაედგათ.

— სოფელს სჭირდება, სიმდიდრესაც შეგვძენს, ღარიბები ვართ და იქნებ ცოტა სული მოვითქვათო.

დურგალმა ლევან გოგნაძემ სოფელში ხერხი სხვაზე უკეთ იცოდა. თავმჯდომარემაც იგი დანიშნა სახერხის მეთაურად.

— ხის ოსტატი შენა ხარ და ხერხისაც გესმის. შენზე უკეთესს სოფელში ვის ვიშოვით, დადექი და უხელმძღვანელეო.

რასაკვირველია, ლევან გოგნაძეს ერჩია ერთი კარგი სადურგლო სახელოსნო გაეხსნა. კარადებსაც გააკეთებდა, სკამებსაც მეფურს გამოთლიდა. თავმჯდომარემ თქვა:

— ჯერ ეს იყოს, სახელოსნოზე შემდეგ ვიფიქროთ!

თავმჯდომარე არ ტყუოდა. მართლაც, ყოველდღიურად სახერხს 30—40 მანეთის შემოტანა შეეძლო.

ვაი, რომ არ დასცალდათ! ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ საჭირო კაცი არ მისცეს თანაშემწედ ლევანს. ხომ იცით, კოლმეურნეობაში მუშახელს უფრთხილდებიან. იმას, ვინც სახერხისთვის გაიმეტეს, ხერხისა არაფერი გაეგებოდა. ლევანმა მაშინვე უთხრა თავმჯდომარეს:

— ეს კაცი ან მე დამღუპავს, ან თავს დაისახიჩრებსო.

არ დაუჯერეს.

მოხდა ის, რისიც ეშინოდა გოგნაძეს. თანაშემწეს ხის ნაგვერდული გაექცა, ვერ დააკავა. თვითონ გადარჩა, მაგრამ ლევანი დაღუპა. გულდასაწყვეტი ის იყო, რომ ყველანი შემოეცალნენ ლევანს. თანაშემწეს არც კი უნახავს მის შემდეგ ლევანი. ის კი არა, თავმჯდომარეს ისიც კი უხუმრია — მომღერლად-ეგ არ ვარგოდა, შალაშინს და ჭობოსანს ხმის დაყოლება რად უნდა, ლევანი ისეთი კარგი ოსტატია, მაგის ხელში ისედაც მღერიან იარაღებიო.

მართლაც, კარგი ხელოსანი გახლდათ ლევანი. იგი, მარტო სადურგლო საქმეს კი არა, საწერ მაგიდებსაც აკეთებდა, ტანსაცმლის კარადებს და განჯინებს ისე აკოპიტებდა, რომ სამზითვოდ გამზადებულ ქალიშვილებს თვალი რჩებოდათ ოსტატის ნახელავზე.

პატარა ბიჭმა შეიყვარა ხელობა და ყოველთვის ღიღინით აკეთებდა თავის საქმეს. უბრალო სკამის ფეხიც არ გაუთლია

ჩაუღიღინებლად. თითქოს ეს დაბალი სიმღერა, მარტო მას რომ ესმოდა, ნამუშევარს სილამაზეს და ეშხს აძლევდა. ეს არ ესმის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. იმიტომ ხუმრობს ასე მწარედ, ცილგავობს, დასცინის.

თუმცა, ღმერთო შენით და, მართალი რომ თქვას კაცმა, თავმჯდომარეებს ის უყვართ, ვინც სოფლის ცხოვრების შუაგულში ტრიალებს. ლევანი კი არასოდეს არ ყოფილა სოფლის დუღილის შუა ადგილას. პატარაობისას ზესტაფონში მიაბარეს ხელოსან ბიძას შეგირდად, სანამ იგი დახელოვნდებოდა, წამოიზარდა კიდეც. ულვაში ჯერ არც კი შერუჯოდა, როცა ომმა იგრიალა. იგრიალა და დედამიწა დოლაბივით დაატრიალა. სწორედ ამ ტრიალმა თერჯოლის რაიონის სოფელ მუჯირეთის გლეხიკაცი ლევანა ბოგნაძე ნორვეგიაში მოახვედრა.

მის გვარსა და ჯილაგს ფეხი არ დაედგა იმ ქვეყანაში, არც უფიქრიათ იმ ქვეყნის ნახვა. არც სჭირდებოდათ. მდინარე ძუსა, მის სოფელს რომ ჩამოუდის, კარგა ხანს ეგონა ერთადერთი მდინარე ამ ქვეყანაზე. მერე შეგირდობის ჟამს ყვირილა შეიყვარა და, უცებ, არც აცხელეს, არც აცივეს, ცხრა ზღვისა და ოკეანის გადაცურვა მოუხდა.

„ხმელეთი მარტო ჩვენში ყოფილა, აქეთ სულ წყლით არის დედამიწა შემორაგულიო“, — ფიქრობდა მაშინ ლევანი. ბუნებით გლეხიკაცი ყველაფერს უკვირდებოდა, ყველაფერს ღიღინში ჩააყოლებდა ბოგნს. მისი ხელობის კაცს მაინც ხის საოსტატო საქმე სტაცებდა თვალს. ნორვეგიელი მუშაკაცი მოეწონა. მათაც ისევე სძულდათ ფაშისტები, როგორც ჩვენებს. ფაქიზი მუშაობა სცოდნიათ ნორვეგიაში. ხის მასალისგან იუველერის ოსტატობით ძერწავდნენ ნივთებს. მათს შემხედვარე ლევან ბოგნაძეს ხელი უკანკალებდა. დილის ხუთი საათიდან დიდვახშმობამდე არაქათგამოლეული ტყვეები კლდეს გლეჯნენ, დამცირებულნი და გაძვალტყავებულნი დარაცრაცებდნენ. საკმარისი იყო ლევან ბოგნაძეს ეთქვა: „მე ხის ოსტატი ვარო“, იმ წუთს სახელოსნოში გადაიყვანდნენ, ულუფას მოუმატებდნენ, პატივშიაც ეყოლებოდათ. გერმანელი ოფიცრები სიამოვნებით შეუკვეთდნენ წიგნების კარადებს, განჯინებს, სკამებს. არა ქნა ლევანმა ესს „სამშობლოში რა პირით დავბრუნდე, გერმანელებს რომ ჩემი მარჯვენით ვასარგებლო, ჩემი

ხელიდან მათთვის მხოლოდ სამტრო ტყვია თუ გამოდნება. სხვა მათ ჩემგან არა ეკუთვნით რაო", — თქვა ლევან გოგნაძემ და შეასრულა კიდეც. სხვებთან ერთად შიმშილობდა და სხვებთან ერთად იზიარებდა ტყვეთა უღიმღამო, უბედურ ბედს. ერთი რამ ახარებდათ ტყვეებს: ცაზე ვარსკვლავებს და მთვარეს ისეთივე ფერი და სხივი ჰქონდა, როგორც მათ სამშობლოში. ამიტომ იყო, რომ ღამით გაწვებოდნენ პირაღმა და თვალი არ ეღლებოდათ ცის გუმბათის მზერით. არც ერთ ტყვეს ხმა არ შეცვლია. ისევ ისე ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, როგორც ბრძოლების დროს. ამ ხმით სცნობდნენ ერთიმეორის გულის ვარამს, რომლის გამხელა ახლა ძნელი იყო. ამ ხმებით სწონიდნენ და სინჯავდნენ ურთიერთის სულიერ სიმდიდრეს, ერთმანეთისადმი დამოკიდებულებას, სამშობლოს, მამულის დიდ სიყვარულს. ამ ხმებით ითენებდნენ დილას და ხვდებოდნენ დაღამებას. ამ ერთმანეთის ხმის იდუმალებაში სცნობდნენ ისინი იმ ადამიანურ სიკეთეს, რომლითაც ერთმანეთისკენ ილტვოდნენ და ნდობას იმსახურებდნენ. საკმარისი იყო ვისმეს ოდნავ შესცვლოდა ხმა, რომ მთელი ბანაკი სულ სხვანაირი ხდებოდა. მართალია, ამას გარეგნულად არ იმჩნევდნენ, მაგრამ აფორიაქებულნი კი ძალზე იყვნენ. მაშინვე ხვდებოდნენ, რომ ეს ხმის შეცვლა ახლა კარგს არ ნიშნავდა, რომ მისი პატრონის სულიერ სამყაროში რაღაც დიდი ძვრა მოხდა—ავად გახდა, სულში რაღაც ჭია ჩაუძვრა. ლევან გოგნაძეს კარგად ახსოვს, რომ ერთხელ ბანაკში გერმანელების აგიტატორები მოვიდნენ. ისინი მოუწოდებდნენ მათ: „ომში წამოდით, მონაწილეობა მიიღეთ, სამშობლოს უღალატეთო". ყველანი გაინაბნენ, გაჩუმდნენ, ერთმანეთს მხოლოდ თვალებით შეხედეს. მაშინ რამდენიმე კაცს სიტყვის თქმა დააძალეს. თავიანთი აზრი უნდა გამოეთქვათ ამის შესახებ, თხუთმეტი კაციდან ორ კაცს შეეცვალა ხმა. ეს ბიჭები, რომელთა ხმები აქამდე ასე ნაცნობი და სასიამოვნო იყო, უცებ სულ სხვანაირი გახდა. ბგერები რაღაცნაირად უსიამოვნო ხრინწით აევსოთ, ხმა მთლიანად უცხო გაუხდათ. იმ საღამოს ისინი ბანაკს გარეთ გაიყვანეს, გერმანული ტანსაცმელი ჩააცვეს, ორი დღის შემდეგ, თითქოს გამოსამშვიდობებლად, უკან შემოუშვეს. საოცარი რამე მოხდა. ორ დღეში იმდენი ეჭმიათ, ფერ-ხორცი მო-

მატებოდათ, ლოყები შესწითლებოდათ კიდეც. ტანსაცმელიც კარგი ეცვათ, სუფთა და ლამაზი. მხოლოდ ხმა არ ჰქონდათ ომახიანი, ნათელი, ვაქკაცური ხმა დაჰკარგოლათ. თითქოს თავისი ძლიერი ხმა სადღაც გაპარვოდათ. იმ სიბინძურეს, რომელიც მათ ჩაიდინეს, მარტო ხმაში ჩაებუდებინა. ყველაფერი თავისი ჰქონდათ. მიხვრა-მოხვრა, სიარული, მაგრამ ხმა სულ შესცელოდათ. როგორც კი დაილაპარაკეს, ბიჭებს ტანში გააზრიალათ. პირველი სიტყვებიც კი არ ჰქონდათ ნათქვამი, რომ მთელი ბანაკი გაილურსა, თითქოს ზღვაში ჩაიყვინთეს, ისე გაჩუმდა ყველა. ამ ორი კაცის ხმაში იგრძნობოდა ის, რაც კაცს კაცობას აკარგვინებს. დიახ, იცოდა ლევან გოგნაძემ ხმის ფასი. ყველას და ყველაფერს თავისი ხმა აქვს ამქვეყნად. ამ ხმით ესაუბრება იგი სამყაროს, ტოლ-მეგობრებს, ცოლ-შვილს, მეზობელსა და მოყვარეს. ეს ხმაა, რომ განასხვავებს ერთ კაცს მეორე კაცისაგან, მტერს—მოყვრისაგან. ეს ხმა თუ დაკარგე, მაშინ რა ხარ, რაღად ღირს სიცოცხლე, რა ფასი აქვს შენს არსებობას?! შენ მთელი სამყაროს ხმები გესმის, შენ კი დამუნჯებულხარ და ერთ ბგერასაც ვერ ამოიხავლებ. არა, ლევან გოგნაძეს სიცოცხლე უხმოდ, დაულაპარაკებლად, დაუმღერებლად კაპიკადაც არ უღირს.

რაღაც უნდა იღონოს, მიწის კიდემდე იაროს და იექიმოს. არა სჯერა ლევანს, ჩვენმა ექიმებმა ხმა რომ ვერ დაუბრუნონ.

— ხეჩინაშვილზე ამბობენ, სასწაულებს ახდენსო, — ჩააწვეთა მეზობელმა ყურში.

— კი, ნამდვილად მასეა, ბოშო! სიმონ ხეჩინოვის შვილიშვილი ყოფილა, ქუთაისში რომ იყო დიდი ექიმი.

— ბაბუას სახელი დაურქმევიათ, ამბობენ, ყრუებს და მუნჯებს არჩენსო.

— რა ვიცი, ქუთაისში მირჩიეს, მოსკოვში თუ წახვალ, იქნებ მაშინ გეშველოს რამეო, — ბატისფეხა ასოებით გამოუყვანა ქაღალდზე ეს სიტყვები ცოლს ლევანმა.

— მოსკოვის თავი სადა გვაქვს, კაცო! ამბობენ, სიმონ ხეჩინაშვილი ყრუებს დანის ერთი გასმით არჩენსო, იქნებ შენც მოგიხერხოს რაიმე?!

ლევანმა გადაწყვიტა წასულიყო პროფესორთან. ცოლი თან წაიყვანა და წავიდა კიდეც.

ლევანი ზესტაფონში გაზრდილი კაცი იყო. თბილისში ორჯერ არ ყოფილა. მაინც საოცარი სიყვარული ჰქონდა თავისი მამულისა, სატახტო ქალაქისა. ღმერთო შენით, ეშინოდა კიდეც. საქართველოში ამდენი ხალხი თუ ცხოვრობდა, ვერ წარმოედგინა. ლევანს ეგონა, ამდენი ადამიანის თავის შეყრა მხოლოდ ჯარში შეიძლებოდა.

აქ კი ქუჩები გატენილი იყო. ულამაზესი ვაჟები და ქალები მომღიმარე სახეებით დიდ ეშხს უმატებდნენ ისედაც მშვენიერ გარემოს.

ფეხი რომ რამეს წამოჰკრას და კაცს დაეტაკოს, გუნება შეეცვლება. ცოდვა არ იქნება, ასეთ ქალაქში ადამიანებს ხასიათი გაუფუჭო? ასეთ ქალაქში ცუდ ხასიათზე კაცისშვილი არ იქნება. ალბათ, ამიტომ იყო, ლევანი სადგურიდან ფრთხილი ნაბიჯით გაუყვა პირველი საავადმყოფოს გზას.

ლევანი კიდევ უფრო გაოცდა, პროფესორი რომ დაანახვეს. იმას ეგონა, წვერიანი დარბაისელი მოხუცი დახვდებოდა. ეს კი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, ბოკვერივით ბუხუნებდა ლაპარაკის დროს.

არ დაიჯერა და ახლა მეორეს ჰკითხა: ისევ იმ კაცზე მიუთითეს. რა უნდა ეღონა! ცოლი წინ გაიძღოლა და მოკრძალებით მივიდა ახლოს. შეავლო თუ არა უცხო ადამიანებს თვალი, ის დალოცვილიც მათკენ შემობრუნდა.

— თქვენ რისთვის გარჯილხართ, ბატონებო? — მოესმა ლევანს დინჯი და წყნარი ხმა.

გაიგონა ეს ხმა თუ არა, ლევანს ჟრუანტელმა დაუარა.

„კი, თუ მომარჩენს, ეს კაცი მომარჩენს. მაგ ხმის პატრონს ყველაფერი დაეჯერება“, — უცებ გაიფიქრა ლევანმა.

ლევანის ცოლმა ფათერაკის ამბავი უამბო პროფესორს, სათხოვარი სთხოვა. ხეჩინაშვილს თვალები გაუფართოვდა.

— შესახვევში შეიყვანეთ, უნდა გავსინჯო, — ეს ისე იყო ნათქვამი, რომ ექიმები მიხვდნენ, ჩვეულებრივი პაციენტი არ იყო ახლადმოსული.

კარგა ხანს ათვალიერა სიმონ ხეჩინაშვილმა ლევან გოგნაძის ყელ-კისერი. ნაოპერაციევი გულდასმით გასინჯა და ნაკერებს დაუკვირდა. პროფესორი მიხვდა, შეიძლებოდა, დურგალს ხმა დაბრუნებოდა, შეიძლებოდა, მაგრამ ამისთვის დიდი ხნის

შრომა და ექიმობა იყო საჭირო. შეიძლება რამდენიმე ოპერაციაც დასჭირებოდა. მაგრამ ღირდა კი ამდენ წვალებად! კაცმა რომ თქვას, რა მოხდა ისეთი?! კაცობრიობამ ამხელა ომი გადაიტანა, ათეული მილიონი ხალხი დაიხოცა, ორი იმდენი დასახიჩრდა. რა დიდი ამბავია ახლა, ლევან გოგნაძემ რომ ხმა დაკარგოს? რომელი კარუზო და ვანო სარაჯიშვილი ის გვყავს, ხალხმა რომ მისი ხმის დაკარგვა ასე განიცადოს?!

შალაშინს და ჭობოსანს უხმოდაც კარგად იხმარს. მაშ რატომ დაინტერესდა პროფესორი სიმონ ხეჩინაშვილი ასე ძლიერ ლევანის ხმის დაბრუნებით?!

სახელს და დიდებას დურგლის ხმის დაბრუნება ვერ მოუმატებდა პროფესორს. ის უკვე განთქმული მეცნიერი გახლდათ. სწორედ იმ წელს, რა წელსაც ლევანი მივიდა მასთან, პროფესორმა საქვეყნოდ საპატიო ჯილდო—ლენინური პრემია მიიღო, მისი სახელი გასცდა საბჭოთა კავშირის დიდ საზღვრებს, გასცდა და დიდი მეცნიერის სახელი განიმტკიცა.

მართლაც, ასეული და ათასეული ადამიანები დადიოდნენ ამ ქვეყნად დაყრუებულნი. ოტოსკლეროზით დაავადება მოურჩენელი რამ იყო დღემდე. ვინ იცის, რამდენ დიდ მეცნიერს თუ მოაზროვნეს საფლავში ჩაჰყოლია ეს ავადმყოფობა და მთელი სიცოცხლე მოუწამლავს მისთვის. აბა, წარმოიდგინეთ, დადიხარ ქვეყნად, ადამიანი გქვია და არავის ხმა არ გესმის. მშობლის ხმა არ გესმის, შვილის ხმა არ გესმის, მეუღლის ხმა არ იცი როგორია. ღილით დგები და ჩიტების ეღურტული შენს ყურს არ ეკარება, მერცხლის ჭიკჭიკი არ გესმის. ქორწილში თუ ნათლობაში თქმულ სიმღერებს ვერ გაიგონებ, მუსიკის ხმები შენთვის უცხო გამხდარა, ფოთოლთა შრიალს ვერ მოისმენ და ზღვის ბუხუნს ყურს ვერ დაუგდებ. დიახ, ასეთი დაავადებაა ოტოსკლეროზი. სიმონ ხეჩინაშვილმა რამდენიმე საბჭოთა მეცნიერთან ერთად პირველმა მონახა ამ უკურნებელი სენის საიდუმლო გასაღები, მონახა და დაჯაბნა კიდეც ეს ავადმყოფობა. აბა, ჰკითხეთ თქვენ კონსერვატორიის პროფესორ-პიანისტს, რომელსაც ეს სენი ნელ-ნელა შეეპარა და სმენა თანდათან დაუქვეითდა. იგი ხეჩინაშვილთან იმედდაკარგული მოვიდა. სმენა მუსიკოსისათვის ხომ სიცოცხლეა. პროფესორმა მას ოპერაცია გაუკეთა. ახლა ჯანღონით სავსე მოზარდი

ბავშვივით ესმის ყველაფერი, როგორც იტყვიან, ჭიანჭველის დამთქნარებასაც ვერ გამოაპარებ, არამც თუ კლავიშების ხმას! ან კიდევ, ექიმი, რომელმაც ერთი ყურის სმენა ომში დაკარგა, მეორე კი ოტოსკლეროზით დაუყრუვდა. იგი გაუბედავად მივიდა პროფესორთან. ვინ არ იღელვებს ასეთ დროს? ერთი ყური სამუდამოდ დახურული გაქვს, მეორეს კი საოპერაციოდ ანდობ ექიმის ხელს. აქაც გაიმარჯვა ხეჩინაშვილის ხელმა. დღეს ეს ექიმი ბედნიერი თვალით უყურებს და უსმენს ქვეყანას.

ჩვენი მოძმე და მოსაზღვრე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ კიროვობადის მცხოვრებს აღა აღაევს მეუღლე დაუყრუვდა. ლამაზი და ამაყი ქალი გახლავთ მეხფარა აღაევა. რასაკვირველია, ძნელი იყო ასეთი ქალის სიყრუის მოთმენა. ლამაზი ვაჟკაცია მისი ქმარიც. ცოლის სიყრუის დარდი რამდენჯერ ცის ტატნობზე აჰყოლია ვაჟკაცს. ამას დაერთო თავბრუსხმა და მუდმივი გულისრევა.

პირველად იგი კიევში პროფესორ კოლომიჩენკოსთან ჩავიდა. იქაურმა ოპერაციამ შედეგი ვერ გამოიღო. იმედგატეხილი ცოლ-ქმარი თბილისში ჩამოვიდა. მოწმობაც კი ჩამოიტანეს, ამ სენს არაფერი ეშველებაო.

ორი ოპერაცია გაუკეთა პროფესორმა ხეჩინაშვილმა მას და დღეს ეს ქალი ამ სენისაგან განკურნებულია. თითქოს მეორედ დაბადებულიყოს მეხფარა, ისე გაფრინდა თავის ქალაქში.

მრავალი ღამე გაათენა სიმონ ხეჩინაშვილმა, ამ სენის მორჩენის წამალი რომ მოენახა. სიჭაბუკის ჟამს ერთი დღით დაყრუვდა სიმონი და ახლაც გრძნობს იმდღევანდელ შიშს.

* * *

ხეჩინაშვილები ქუთაისში მწვანე ბაზრის გვერდით, თითქმის ზედ რიონის პირზე ცხოვრობენ.

სიმონმა კარგი ცურვა იცოდა. ერთ დღეს ბანაობის დროს ორივე ყურში წყალი ჩაეპარა და მის გარშემო ყველაფერი დადუმდა, თითქოს დაბნელდა კიდეც. აღარც რიონის ხმაური,

აღარც ბაზრის ჟრიამული! ის კი არა, — გაკვეთილებს ყოველთვის ხმამაღლა კითხულობდა და სწავლობდა სიმონი. ახლა თავისი ხმა რომ ვერ გაიგონა, ვერც ერთი სიტყვა ვერ დაიხსომა. იმ ღამეს არავის არაფერი გაუმხილა. დილით ყოველთვის რიონის ტალღების ხმაური ნანასავით ესმოდა ძილმღვიძარეს. იმ დილით კი ვერაფერი გაიგონა. ისევ რიონის პირზე ჩაირბინა. ბრტყელი და მრგვალი ქვა მონახა, ბრტყელი ყურზე მიიდო, მრგვალი ნელ-ნელა მიუკაკუნა და ცოტა ხნის შემდეგ წყლის წვეთებმა ბრტყელი ქვა დაასველა, ყურებიდან წყალმა გადმოჟონა. შვებით ამოისუნთქა სიმონმა მაშინ. უცებ ქვის ხმა გაიგონა, ყურები სამყაროს წარმტაცი ხმებით აევსო, ქვეყანას სხვა ფერი და ლაზათი მიეცა. ჰო, როგორ უყვარდა ეს ხმები ჭაბუკს! სწორედ ამიტომ შეშინდა იმ დღეს იგი. შეიძლება ამან მისცა ბიძგი შემდეგში სრულიად ახალგაზრდა ნიჭიერ ქირურგს ამ სენის მორჩენის გასაღები ეპოვნა. წლების მანძილზე თავს არ იზოგავდა ახალგაზრდა კაცი, რომ ბევრი ესწავლა, სხვა ენები დედაენასავით შეითვისა, დიდ ქირურგ-მოაზროვნეების ნაფიქრალი მოიხილა, აწონ-დაწონა, სასარგებლო შეისწავლა და გამოიყენა, სხვადასხვა ქვეყანაში იმოგზაურა, მათს შრომას და კულტურას ყური მიუგდო, ისიც ღრუბელივით შეიწოვა და სამშობლოში ისევ უბრალო კაცი დაბრუნდა.

მოგზაურობამ და ცოდნამ დაარწმუნა — ნამდვილი მეცნიერები უბრალო ადამიანები არიან. ამ ქვეყნიდან ისევე მიდიან, როგორც მოვიდნენ, მხოლოდ შენს ხალხს, შენს მამულს უნდა გაუკეთო რამე. შენი ნაშრომი მის სიმდიდრეს უნდა შეემატოს, უნდა რაიმე შესძინო მას. აი, ეს არის კაცური კაცის სიცოცხლის საზღაური და მიზანი.

კაი კაცი მხოლოდ ის არის, ვინც თავის ხალხს ჭირს შეუნელებს, ლხინს გაუმრავლებს. სიმონს ერთხელ ერთმა მეცნიერმა უთხრა: „ეს ქვეყანა ფერებისა და ბგერების ჰარმონიული დალაგებაა, თუ ისინი აირია, ქვეყანაც აირევაო“. ნამდვილად ასეა. ფერების და ბგერების დაკარგვა, დაყუჩება, დადუმება, გაქრობა, სამყაროს სიკვდილია. სიმონიც ამიტომ ებრძვის ადამიანის სიყრუეს, მის დამუნჯებას.

ადამიანმა ქვეყნის ხმაც უნდა გაიგონოს და თავისიც გააგო-

ნოს მას. ადამიანის ხმა რომ არ იყოს, სამყარო ღარიბი გამოჩნდება, დაჩიავდება, უფერული იქნება. ადამიანი თავისი ხმით სამყაროს აზრს აძლევს, ომახს და ლაზათს მატებს, ამდიდრებს და ამშვენიერებს. მისი ხმა სამყაროს მეფური ხმაა, ღმერთებთან სალაპარაკო ბგერებია. ადამიანი, როცა ბუნების ხმებს ისმენს, ქვეყნის სილამაზე და სიკეთე თავის ბუნებაში გადააქვს, გონიერებას იმდიდრებს, სიცოცხლის მიზანს იმაღლებს, თავის ცხოვრებას უფრო ძვირფასს ხდის..

მეცნიერმა ეს უნდა იცოდეს. მიხვდეს და დააფასოს ადამიანის სმენა და ადამიანის ხმა.

მეცნიერი ის არის, ვინც აგუზგუზებულ ცეცხლში ნამის ნატამალს შენიშნავს, აბობოქრებულ წყლის ოკეანეში კი ცეცხლის ნაპერწკალს ამოხილავს. მე კი ყელ-ყურის ჯან-ღონის საქმეს ვემსახურები და ვალდებული ვარ, რაღაც ვიღონო, ადამიანებს ჭირი შევუნელო, ლხინი გავუმრავლო. განა შეიძლება უფრო ჭირძლიერი კაცი, ვინემ ყრუა?! თუკი შეძელი და ყრუს სმენა დაუბრუნე, ეს ხომ უსაზღვრო ბედნიერების მინიჭებაა, სიცოცხლის გალამაზებაა, ცხოვრების გამდიდრებაა.

აბა, წავიკითხოთ რას წერენ ის ადამიანები, რომელთაც სმენა დაკარგული ჰქონდათ და ს. ხეჩინაშვილის ხელმა განკურნა.

თბილისის 55-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე მაყვალა ხვინჯია ჯერ კიდევ ორი წლისა იყო, როცა ყივანახველამ ყურის ჩირქოვანი დაავადება დაუტოვა, დროის მანძილზე ბავშვს თანდათან სმენა დააკლდა. მშობლებმა, ვინ იცის, სად არ ატარეს, მოსკოვის ყველა გამოჩენილ პროფესორს აჩვენეს, რა წამალი არ უშოვნეს, გოგონას მაინც არაფერი ეშველა. ბოლოს იგი სიმონ ხეჩინაშვილის ხელში მოხვდა. ოპერაციის შემდეგ ბავშვს სმენა დაუბრუნდა და გოგონამ წერილი მოსწერა პროფესორს, მის თანამშრომლებს. იგი ბედნიერია და გახარებული მადლობას უძღვნის ყველას. მან ოთხსტრიქონიანი ლექსიც კი მიუძღვნა თავის მხსნელს. შეიძლება ის პოეტური ხელოვნების მიხედვით დიდი მოვლენა არ იყოს, მაგრამ შიგ უშუალობა და სიკეთე იგრძნობა. აი, ეს სტრიქონები:

> რა ბედნიერი გამხადეთ,
> ამიტომ გლოცავთ დღე და ღამ,

ოქროს ხელები გქონიათ,
ოქროს ჯუა და გონება.

ქალაქ ოჩამჩირეში მცხოვრებ ქვრივ ქალს, ლუბა ჯიჯელავას, რომლის ქმარი სამამულო ომში გმირულად დაეცა, დიდი ხანია სმენა დაკარგული ჰქონდა. მანაც ბევრი იარა, ბევრ მკურნალ ექიმს და პროფესორს მიაკითხა. არაფერი ეშველა. მერე ხეჩინაშვილის ნახვა ურჩიეს. ოპერაციამ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. სიხარულით აღფრთოვანებული ქალი წერილში წერს: „ჩვენი სამშობლოს საამაყო შვილის სიმონ ხეჩინაშვილის და მისი თანაშემწის ექ. ტოგო ჟორდანიას მეშვეობით მე ისევ ის ადამიანი შევიქენი, რომელიც პირველად დავებადე დედაჩემს (წერილი შეუსწორებლად მომყავს — მ. ა.), შემიძლია თამამად ვიამაყო ხალხში ამ ჩვენი საამაყო შვილების თავმდაბლური შრომით და მიღწევებით. უღრმეს მადლობას ვუძღვნი მათ. მე თუ ვერ გადავუხდი პატივისცემას, ჩემს ერთადერთ შვილს, რომელიც, შეეცდები, კარგად გავზარდო, დავუბარებ მათს კვალზე იაროს. იგი ახლა სტუდენტია და მჯერა არ შემარცხვენს“. რა მშვენიერი სიტყვებია! ომში გმირულად დაცემული ვაჟკაცის ჯოტო ჯიჯელავას მეუღლე სიმონ ხეჩინაშვილის დიდმა კეთილშობილებამ და მეცნიერულმა სიძლიერემ ბუნებრივად იმ აზრამდე მიიყვანა, რომ მისი შვილი გივი ჯიჯელავა ასეთი კაცის კვალზე უნდა წავიდეს, მას უნდა დაემგვანოს, რომ სამშობლო, ჩვენი მამული, სწორედ ასეთი ვაჟკაცების აღზრდას მოითხოვს. აი, ჭეშმარიტად უკეთილშობილესი ფიქრი და აზრი ქართველი ქალისა. მე ნაკლებად მინახავს მეცნიერის შრომის უკეთესი შეფასება. როცა ადამიანებს, შენს ხალხს უნდა მათმა შვილებმა შენს ნაკვალევზე იარონ, მაშასადამე, ნამდვილად ბედნიერი კაცი ხარ, უფრო მეტი სიმდიდრე და სიკეთე ამ ქვეყნად არ არსებობს. სიმონ ხეჩინაშვილის სახელი მთელს კავშირშია განთქმული. სმენადაქვეითებული ადამიანები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან— შუა აზიიდან თუ შორეული აღმოსავლეთიდან, ციმბირიდან თუ ბალტიის მხრიდან, ურალიდან თუ ბელორუსიის ტრამალებიდან თბილისისაკენ დაიძრნენ.

ქ. რიგის ენგელსის ქუჩის № 67-ში ცხოვრობს მასწავლებელი ნადეჟდა ანტონის-ასული ლიცისი. ნადეჟდას თანდათან

სმენა დააკლდა და ბოლოს მისი სკოლაში მუშაობა უკვე შეუძლებელი შეიქნა. მასწავლებლისათვის, რომელიც ამ საქმისათვის არის დაბადებული, ნაადრევად სკოლის მიტოვება უდიდესი ტრაგედიაა და, აი, ეს ქალი საქართველოში ჩამოდის. სიმონ ხეჩინაშვილი მას ოპერაციას უკეთებს. ავადმყოფს ნორმალური სმენა უბრუნდება, მის სიცოცხლეს აზრი მიეცა. შთაბეჭდილების წიგნში იგი წერს, რომ მას სიცოცხლე დაუბრუნდა, რომ ახლა ნამდვილად ბედნიერი ქალი შეიქნა, ოპერაციამდე კი მისი ცხოვრება დათალხული, დაბნელებული იყო.

ასევე ბედნიერები არიან ახლა ქ. დონეცკის „პრავდის" სახელობის შახტსამმართველოს მუშაკი რაისა იგნატენკო-ჩერნიაევა, შორეული პერმელი ლიდა ჩიჟოვა, ნოვოსიბირსკელი ნინო ზილდერმანი, ერევნელი ბაქტერიოლოგი ბოღოიანი, ირკუტსკელი მიხეილ ბეზნოსოვი. ყველა ესენი დაყრუებული იყვნენ, ახლა კი ნორმალურად ისმენენ ბულბულის გალობას და შოშიების ჭახჭახსაც.

ქალაქ ყარაგანდიდან მეტად უიმედოდ ჩამოვიდა თბილისში იქაური ეკონომისტი ქალი ლუბოვ ლომაჩენკო. მართალია, ჩამოვიდა, მაგრამ გული მეტად გატეხილი ჰქონდა. თბილისში ჩამოსვლამდე ვის არ მიმართა, მაგრამ ვერავინ ვერ უშველა. ვერაფერ წამალს ვერ მიაკვლია, ბოლოს უთხრეს, თბილისში ერთი კაცია, სიბრძნის პერანგი აცვია, წადი და მოგარჩენსო. ორი საათი იწვა სიმონ ხეჩინაშვილის საოპერაციო მაგიდაზე ეს ქალი. სიმონს ეხმარებოდა მეცნიერების კანდიდატი, მეტად ნიჭიერი ექიმი გიორგი ბეგიშვილი. იგი დიდი ხანია ხეჩინაშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს თბილისის პირველ საავადმყოფოში. ოპერაციამ შესანიშნავად ჩაიარა. ეს ქალი ორი კვირის შემდეგ თავის ქალაქში უბედნიერეს ადამიანად წავიდა. როგორც იტყვიან, მეშვიდე ცაზე ფრინავდა, მაგრამ ვინ იტყვის, რომ თვითონ სიმონი ნაკლებ ბედნიერებას გრძნობს, როცა მისი ავადმყოფი იკურნება? სიმონ ხეჩინაშვილს დიდ პატივს სცემენ ექიმთა სამყაროში. სხვანაირად არც შეიძლება. ეს დაავადება, რომელიც მოურჩენელ სენად ითვლებოდა, დღეს დედამიწაზე დაჯაბნებულია. დიახ, დაჯაბნებულია და მის დაძლევაში ჩვენი თანამემამულე პროფესორი სიმონ ხეჩინაშვილი ერთი პირველთაგანია. იგი ამჟამად ჯერ კიდევ ახალგაზრ-

დაა, მაგრამ მედიცინის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტია.

მაშ რატომ სჭირდება კოლმეურნე ლევან გოგნაძის ხმის აღდგენა პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილს? ამ კითხვაზე შეიძლებოდა უცებ გვეპასუხნა, მაგრამ მე კიდევ მომესურვილა რამდენიმე სხვა მაგალითის მოყვანა. ქ. ტყვარჩელში ცხოვრობს და მუშაობს ერთი სახემშვენიერი ქალი ალა კარბა. მას ბედნიერი ოჯახი აქვს. ჰყავს ქმარი, ჰყავს ბავშვი. როგორც ყველა ქალს, მასაც სიკოხტავე და სილამაზე უყვარს. თვალის უპის კიდეზე რაღაც ქინძისკაკლისოდენა სიმსივნე გაუჩნდა. სიმსივნემ ზრდა დაიწყო. აბა, წარმოიდგინეთ ახალგაზრდა კეკლუცი ქალის მდგომარეობა! ხეჩინაშვილმა ნახა და გადაწყვიტა ოპერაცია გაეკეთებინა. საჭირო იყო თვალის ღვალის გაჭრა და ამ ფაქიზ ორგანოში დანის ფათური. ქალს ჭრილობა უსათუოდ სამუდამოდ დააჩნდებოდა. ყველას მოეხსენება, თუ რა შესახედავია დანით სახე დასერილი ქალი? ალა საავადმყოფოში დაწვა. მაგრამ როცა უთხრეს, ნაჭრილობევი დაგაჩნდებაო, შეკრთა, შეშინდა. მისი მეუღლე ახალგაზრდა მეცნიერია, ნოვოსიბირსკში მუშაობს; ჩამოვა და ძნელია ნაჭრილობევი ქალის შეხვედრა ქმართან. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა ალა, ალბათ, როცა ოპერაციის დღეებს გაურბოდა. პროფესორი მიხვდა ქალის ფიქრს. თვითონაც დაფიქრდა: შეიძლება თუ არა ისე გაკეთდეს ოპერაცია, რომ გარედან ტყავს არ შეეხოს დანა?! თუ ეს მოხერხდება, ქალს სახე ჩვეულებრივად ლამაზი, უჭრილობო დარჩება. ცოტა როდი იფიქრა ხეჩინაშვილმა ტყვარჩელელი ქალის სახის სილამაზის შენარჩუნებაზე და კვალიც მოძებნა, გზას მიაგნო, ზედა ტუჩიდან თვალამდე ისე გახვრელა, დანის ბილიკი ტყავს არ შეეხო. ბედზე სიმსივნე ავთვისებიანი არ აღმოჩნდა. ქალი განიკურნა კიდეც და თავის მშვენიერი სახეც შეინარჩუნა.

შორაპნის ელექტროქარხანას მეტად კარგი კოლექტივი ჰყავს... ამ ქარხანაში მუშაობს ახალგაზრდა ეკონომისტი ქალი ეთერ კიკნაძე. ლამაზი ქალია ეთერი. ასეთი ტანმშვენიერი და სახემწყაზარი ქალიშვილები არაერთ ვაჟკაცს აუტოკებენ გულს. მაგრამ მოხდა უბედურება, ეთერის ცხვირი ასტკივდა, შეუსივდა კიდეც. თბილისში ჩამოვიდა,

ოპერაცია აუცილებელი შეიქნა. ჯანდაბას, ოპერაციას გაუძლებს კაცი, მაგრამ ცხვირი უნდა გაიკვეთოს, ნაჭრილობევი დააჩნდეს. ასეთი ლამაზი ქალიშვილისათვის ეს მეტად მძიმედ გადასატანი ამბავია.

პროფესორ ხეჩინაშვილს არ გამოეპარა ქალიშვილის სევდიანი თვალები. აქაც მიაგნო სიმონმა გზასა და კვალს. ათი დღის შემდეგ ეთერ კიკნაძე თავისი მშვენიერი სახით საავადმყოფოდან ბედნიერი წავიდა. კაცმა რომ თქვას, რა თავი სტკიოდა ყელ-ყურის პროფესორს, საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ლენინური პრემიის ლაურეატს, იმაზე ეფიქრა, გაეკრება თუ არა ვისმეს კანი ოპერაციის დროს? მისი საქმიო მოვალეობაა ადამიანის სნეებისაგან განკურნება, მისი მორჩენა.

დიახ, ეს ასეა. მაგრამ სიმონ ხეჩინაშვილი ადამიანია, მას ხომ ახალგაზრდა, ლამაზი მეუღლე და ორი ბოკვერივით ბიჭი ჰყავს, ვის უხარია ახლობელი ადამიანი სახედასახიჩრებული ჰყავდეს. რასაკვირველია, არავის. სიმონმა ამ ქალიშვილის სევდა, მისი ოჯახის დარდი თავისად მიიღო; იფიქრა და წამალიც მონახა. ასეთ ქცევას ადამიანური ქცევა ჰქვია. ასე იქცევა ამ ქვეყნად კაცური კაცი, ნამდვილი ადამიანი, ასე მოიქცევა ყოველთვის ნამდვილი საბჭოთა მეცნიერი, ჩვენი მეცნიერი ნამდვილი სახალხო მეცნიერია, ხალხის მსახურია, მისი ცხოვრების უახლოესი ადამიანია. იგი იმით კი არ ამაყობს, რომ მან ესა თუ ის დიდი აღმოჩენა მოახდინა და ამიტომ ხალხისაგან ის შორს დგას, რაღაც საფეხურებით უფრო მაღლა ავიდა. არა, პირიქით, იგი უფრო დაუახლოვდა ხალხს, მისი ყოველდღიური ცხოვრების მონაწილე გახდა, მისი დარდის და სიხარულის თანაზიარი შეიქნა. სწორედ ასეთია პროფესორი სიმონ ხეჩინაშვილი. ამიტომ იყო, რომ კოლმეურნე ლევან გოგნაძის ხმის დაკარგვა გულთან ასე ახლოს მიიტანა სიმონ ხეჩინაშვილმა. მან გოგნაძეს მტკიცე მეთვალყურეობა დაუნიშნა. ახალგაზრდა ექიმს დათო ყიფიანს დიდ პატივსა სცემს პროფესორი. ყელის რთულ სამკურნალო საქმეებს ანდობს. იგი ყელის ოპერაციების განუყრელი მონაწილეა, მისი თანაზიარია. რასაკვირველია, ლევან გოგნაძეც მას ჩააბარა პროფესორმა. დათო ყიფიანი ძმასავით უყვარდა და ელოლიავებოდა ლევანის დაგლეჯილ

ყელ-კისერს, მის ჯანსა და ღონეს. დღეები დღეებს მისდევდა და გოგნაძეს ყელი არ უსწორდებოდა, სასუნთქავი მილი გამრუდებული ჩანდა. ნაკერავებში ნაწიბურები ცუდად წამოიზარდა. ჰაერი სუნთქვისთვის არ კმაროდა. რა არ იღონა სიმონ ხეჩინაშვილმა და გამოიგონა. რეზინის მომსხო მილი ჩაუდგა. ყელი გაუსწორდებაო, შემდეგ ამოიღო და ნაწიბურები შეასწორ-შემოასწორა. სასუნთქავის ქვედა ნაწილი დანით ჩასერა და მერმე ნემსით ამოკერმსა. მაინც ჯინზე იდგა ლევანის ყელ-კისერი. მართალია ხმა ჰქონდა, მაგრამ ლაპარაკი არ შეეძლო, სიტყვებს ადამიანის გასაგონად ვერ მარცვლავდა. ყოველდღე შეხვევის დროს დათო ყიფიანი გულდასმით ჩასაციცინებდა ლევანს ყელის სიღრმეში და თუ რაიმე ცვლილებას შენიშნავდა იმ წუთშივე პროფესორს მოახსენებდა. არა ერთი და ორი საათი უფიქრიათ და უმსჯელიათ ორივეს ლევანის მდგომარეობის შესახებ. ეტყობა, პროფესიული თავმოყვარეობა ძლიერად იღვიძებს ასეთ დროს ადამიანებში.

— ხმა უსათუოდ დაუბრუნდება, ლაპარაკს უსათუოდ დაიწყებს, მხოლოდ ჩვენ აუცილებლად უნდა წესრიგში მოვიყვანოთ მისი ყელ-კისერი. ეს კი დროს ითხოვს, მკურნალობას საჭიროებს, — დაჟინებით ამბობდა სიმონი.

პროფესორი და ექიმი დათო ყიფიანი ძალღონეს არ იშურებდნენ ლევანისათვის. დრო კი გადიოდა. ლევან გოგნაძე გლეხური ჟინით და მოთმინებით ელოდა სასწაულს. მას ნამდვილად სჯეროდა, რომ ხმას ამოიდგამდა და დაილაპარაკებდა. ეს კი, მისი აზრით, სასწაული იქნებოდა. სჯეროდა, რომ ამ სასწაულის ავტორი აუცილებლად სიმონ ხეჩინაშვილი იქნებოდა. ისიც ღრმად სწამდა, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც ეს აუცილებლად მოხდებოდა. ამ რწმენას მას ვერც ერთი ღმერთი ვერ შეუცვლიდა.

დრო კი მიდიოდა. ბუნების მიერ შექმნილი ადამიანის ხორხი და სასუნთქავი მილი, რომელიც უბედურმა შემთხვევამ დაასახიჩრა, ახლა ექიმების ხელს ძნელად ემორჩილებოდა. დიდი ხნის შემდეგ ბოლოსდაბოლოს იმას მიაღწიეს, რომ ლევანი დაბალი ხმით უკვე სიტყვებს მარცვლავდა.

ეს კი დიდი ამბავი იყო.

ამ გარემოებამ გაუთავეცა ენერგია პაციენტსაც და სიმონ ხეჩინაშვილსაც.

— რას გადაყევი ამ კაცს, ადამიანო?! — შეეკითხა გაკვირვებით ერთი ნაცნობი. — დაბალ ხმაზე რომ ილაპარაკოს, ვითომ ქვეყანას რაიმე დააკლდება.

სიმონი შეიჭმუხნა.

— ჯერ ერთი, მე მეცნიერი ვარ და ავადმყოფობასთან ჭიდილში მინდა გავიმარჯვო. ეს გამარჯვება უნდა იყოს სრულყოფილი, ნამდვილად ყოველმხრივი. მეორეც, ლევანი მეტად საინტერესო კაცია. მას, სანამ ცოცხლობს, არ უნდა რაიმე სიმახინჯე ჰქონდეს. მეც უნდა დავეხმარო, ეს მისი უკეთილშობილესი სურვილი შევუსრულო. მე მწამს, ამას შევძლებ.

შემკითხველი, რასაკვირველია, გაჩუმდა და უცებ გაშორდა პროფესორს.

თქმულება სიტყვის ტაძარზე

წინათ, სულ წინათ ორი მეზობელი სოფელი, რომლებიც აქამდე კეთილად და მეზობლურად ცხოვრობდნენ, მოულოდნელად სამტროდ აიშალა. აშლის მიზეზი თითქოს სულ უბრალო იყო. ორივე სოფელი მთის კალთაზე იყო გაშენებული. შუაზე მდინარე ჩამოუდიოდათ. მხატვარიც კი ვერ იტყოდა სილამაზით რომელი რომელსა ხჯობდა! ორივეს ბაღ-მინდვრები და ვენახები სავსე იყო ყურძნის მტევნებით და პურის ხვავრიელი თავთავებით. მდინარეებში იმდენი თევზი მრავლობდა, ორივე სოფელს ყოფნიდა, ბაღში ხეხილთა ტოტები იზნიქებოდა. ველზე ყვავილთა სიმრავლე თვალს იტაცებდა. ხალხი მეტად შრომისმოყვარე და მხიარული იყო. ნამდვილად ბედნიერად ცხოვრობდნენ, ნამდვილად. როგორც სჩვეულებრივ ბედნიერ ადამიანებს, ორივე სოფელს მუსიკა და სიმღერა უყვარდა. საოცარი ის არის: ამ სოფელში დაბადებულთ თითქმის ყველას სიმღერის ნიჭი დაჰყოლოდა, იშვიათი ხმა ჰქონდათ, გუნებაზე კი ყოველთვის კარგად იყვნენ და ისეთ სიმღერებს მოგასმენინებდნენ, რომ გულს გაგიხარებდნენ. დღესასწაულიც კი ჰქონდათ დაწესებული. როდესაც ხორბალსაც და ყურძენსაც დააბინავებდნენ, ყველა ჭირნახულს მიალაგ-მოალაგებდნენ, ეს დღეც სწორედ მაშინ იყო დათქმული.

ამ დღეს ორივე სოფელში „სიმღერის დღეს“ ეძახდნენ. გაღმა მდინარის ერთ ნაპირზე ერთი სოფელი იკრიბებოდა, მეორეზე — მეორე სოფელი.

იწყებოდა სიმღერებით დაჭიდება.

სიმღერები, მაგრამ რა სიმღერები! მათი ხმებისგან ცას თაფლი სცვიოდა და მიწას რძე მოჟონავდა, ვნებისგან ყვავილებსაც კი სურნელება ემატებოდათ. ჯერ ძველებურს იტყოდნენ, მამა-პაპის შეთხზულს და ხანით დამწიფებულს, მერე ახალი სიმღერებით შეეჭიდებოდნენ ერთმანეთს. ერთი დღე და ერთი ღამე ცას შეჰღაღადებდნენ, საგალობლებით გულს გაიხარებდნენ, სულს მოიოხებდნენ, მერე ბედნიერებით აღსავსენი დაიშლებოდნენ. ორივე სოფელს ერთი მშვენიერი წესიც ჰქონდა: ყველაზე კარგ მომღერალს, მდინარის შუა რომ ულამაზესი ყვავილებით სავსე ბორცვია, ნავით იქ შეაცურებდნენ. იქ ამღერებდნენ და ამის შემდეგ ზეიმით დაიშლებოდნენ. ყოველ წელს თითქმის მამაკაცები ხვდებოდნენ ამ რჩეულთა შორის, იმ წელს კი ერთი სოფლიდან რომ ვაჟი მოხვდა, მეორედან ყვავილებით შემკული ნავით ქალწული მოაცურეს. გამოღმა სოფლელები ამას არ ელოდნენ. იმღერეს, მაგრამ რა იმღერეს! გაღმა-გამოღმა ორივე სოფელი გალურსული, გულისკანკალით უსმენდა მათ. ქალ-ვაჟი უნახავი სილამაზისანი იყვნენ. ორივე სოფლის უსაყვარლესი ახალგაზრდები გახლდათ. ქალმა რომ ვაჟის ხმა გაიგონა, გულმა და სხეულმა ერიალი დაუწყო, ვაჟმა კი თვალებში ჩახედა თუ არა, იმ წუთშივე გაიფიქრა:

— თუ ვინმე ჩემი ცოლი უნდა გახდეს, ეს მხოლოდ შენ უნდა იქნეო.

აი, სწორედ ამაზე აიშალა ეს სოფელი.

ქალის სოფელმა მოისურვა ქალწული თავისივე სოფელში გათხოვილიყო.

— კარგი სიმღერის მთქმელს ხშირად შვილიც კარგი მომღერალი გამოუდის. ამიტომ ამ ქალიშვილს სხვაგან ვერ გავათხოვებთ, თავის სოფელში მონახოს საქმრო ვაჟიო.

ვაჟის სოფელმა ეს იუკადრისა.

— ასეთი ჭაბუკი სოფელს არა ჰყავს, მას უარი როგორ გაუბედესო.

იქამდის მივიდნენ, ტრფიალი ქალ-ვაჟი ერთმანეთს ვერ ხვდებოდნენ. გაბრაზებულმა ქალის სოფლის ახალგაზრდებმა ღამით მდინარეზე გადებული ერთადერთი ხიდი ჩააქციეს. ეს კი მეტისმეტი მოუვიდათ. სოფლის დარბაისლები ასეთ გამწვავებას არ მოელოდნენ. ჩაფიქრდნენ, გონს მოვიდნენ.

მაშინ ორივე სოფლის მოხუცები შეიკრიბნენ, იმსჯელეს და გადაწყვიტეს: თუ ვაჟი დაებადათ, მან უსათუოდ ქალის სოფლიდან უნდა აირჩიოს საცოლე, თუ ქალი — იმავე სოფელში უნდა გათხოვდესო. ამ პირობით შეუღლდა ქალ-ვაჟი. მათი ცოლქმრობა მართლაც ბედნიერება იყო. ყოველ საღამოს მუშაობის შემდეგ დასხდებოდნენ ორივე და ისეთ სიმღერას წამოიწყებდნენ, ხეს და ქვას სულს ჩაუდგამდნენ, წარბს გაუხსნიდნენ, ღიმილს მოჰგვრიდნენ. ორივე სოფელი შეჰხაროდა ამ ნეტარებით სავსე ცოლ-ქმარს. ხშირად მოდიოდნენ მათთან სოფლის ახალგაზრდები და მოხუცები სიმღერის მოსასმენად. შემოიკრიბებოდნენ ერდოზე და მათი საამური საგალობლებით ყურთა სმენას დაიტკბობდნენ.

მალე სოფელში ხმა გავარდა ქალის ორსულობის შესახებ. მართლაც, ქალი თანდათან სისრულეში შედიოდა. კიდევ უფრო დამშვენდა იგი, უფრო მომხიბლავი გახდა.

ერთ ღამეს სოფელი ქალის კივილმა გააღვიძა. ყველანი მიხვდნენ, მშობიარობის დღეს მოეღწიაl დილით, მზის ამოსვლასთან ერთად, ორივე სოფელმა მეტად სასიხარულო ამბავი გაიგო: ქალს ტყუპი ქალ-ვაჟი დაბადებოდა. დიდი სიყვარული იცის სოფელმა და ამიტომ ყოველ ოჯახში ტყუპების სადიდებლად ლხინი გაიმართა. ქალის სოფელში ხომ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დათქმის თანახმად, გაიზრდებოდნენ თუ არა ახლადდაბადებულნი, ვაჟსაც დედის სოფლიდან უნდა მოეყვანა ქალი და გოგონასათვის სიძეც იმ სოფელში უნდა გამოენახათ.

მთელი წელი ორივე სოფელში ლხინი არ გაციებულა, ყოველ საღამოს გაღმა და გამოღმა ნანას მღეროდნენ, ბალღებს ტკბილად დაეძინებათ, სიზმრებიც კარგი ჩაჰყვებათო. ბავშვები თანდათან იზრდებოდნენ და მშვენდებოდნენ, გოგოს მთვარისფერი სხეული დაჰყვა, მნათი და ელვარე, ვაჟს ხორბლისფერი სჭარბობდა. მარილიანი ბიჭიც ჩანდა. მალე ფეხი აიდგეს, ის

კი არა, სირბილიც დაიწყეს, მხოლოდ სიტყვის თქმას ჯერ ვერც ერთი ვერ ახერხებდა.

პირველად დედამ შენიშნა ეს უბედურება და შიშით თვითონ კინაღამ დამუნჯდა. დიდხანს უმალავდა ქმარს თავის ეჭვს. ერთ ღამეს მაინც ვერ მოითმინა და მეუღლეს გაანდო თავისი ნაფიქრალი. ქმარი სიცილით მოკვდა, ჩვენი შვილები უენოდ როგორ შეიძლება დარჩნენო.

დრო გადიოდა, ბავშვებს ყელიდან მხოლოდ ხავილი ამოსდიოდათ, სიტყვას კი ვერ მარცვლავდნენ.

დედას არც ის გამოეპარა, რომ ბავშვებს სმენაც არ ჰქონდათ. სოფელი გაოცდა, დაღონდა. ჯერ არავის ახსოვდა ამ სოფელში ყრუ-მუნჯი გაჩენილიყოს. ის კი არა, ამ სოფლის შვილს რომ არ ემღეროს, არავის გაეგონა. ახლა კი უცებ ტყუპი ქალ-ვაჟი ყრუ-მუნჯი გაჩნდა. მერე ვისი შვილები იყვნენ?. მათი დედ-მამა სოფლის ბულბულებად ითვლებოდნენ. რა უნდა ეღონათ, სად უნდა წასულიყვნენ, ვისთვის უნდა მიემართათ, არ იცოდნენ.

ბავშვების მამას სახეზე ღრუბელი დაედო, მისი ღიმილი გაქრა, ადამიანებთან შეხვედრას ერიდებოდა, გაველურდა. დედას ცრემლი განუწყვეტლივ სდიოდა თვალთაგან. ჩაკვდა სოფელიც, დამუნჯდა, არც გაღმა და არც გამოღმა ადამიანის სიმღერა აღარავის გაუგონია. მზიანი დღე იყო თუ ავდარი, სოფელი მაინც უსიხარულოდ აღამებდა და ათენებდა. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ისევ მოიყარეს თავი სოფლის დარბაისელმა მოხუცებმა, იფიქრეს და იმსჯელეს. ბოლოს გადაწყვიტეს მსტოვრები გაეგზავნათ ქვეყნის ყოველ კიდეგანზე, იქნებ ექიმი მიეკვლიათ სადმე ან მათი ჭირის მოსარჩენად წამალი რაიმე ეშოვნათ. ხუთი ჭკვიანი ვაჟკაცი შეარჩიეს, დასაგზლეს და გაუშვეს. ქვეყნის ოთხ კიდეზე ოთხი ვაჟი გაამგზავრეს, ერთსაც ქვეყნის შუაგულში წასვლა უბრძანეს.

ყველგან იარეთ. ქვეყანა მოაფათურეთ და მოფოთნეთ, გაიკითხეთ, გასაგები გაიგეთო.

ორი წელი იარეს მსტოვრებმა და ვერაფერი გაიგეს, არსად არავინ არაფერი იცოდა ყრუ-მუნჯის ენის და სმენის ასახსნელი წამლისა. ჯერ ერთი დაბრუნდა, მერე—მეორე, შემდეგ—მესამე და ბოლოს მეოთხეც დაღვრემილი შემოვიდა სოფლის ბოლო-

ზე. მეხუთე ჯერ არ ჩანდა. სწორედ ის ვაჟი იყო, ქვეყნის შუაგულში წასვლა რომ უბრძანეს. დაბრუნებულნი ჰყვებოდნენ, ბევრი ექიმი ვნახეთ, კუტებს ფეხს უდგამენ, ბრმებს თვალს უხელენ, მაგრამ მუნჯებისათვის ენის ამოდგმა და ყრუებისათვის სმენის დაბრუნება არავის არ შეუძლიაო.

ერთ საღამოს მეხუთემაც შემოაჭენა ცხენი სოფელში. როგორც კი სახეზე დალანდეს, ყველა მიხვდა, რომ მსტოვარს ცუდი ამბავი არ მოჰქონდა.

მოხუცები მეხუთე წარგზავნილის მოსასმენად შეიკრიბნენ. ვაჟმა მკერდზე ხელი დაიწყვილა და დაიწყო:

— ქვეყნის შუაგულში ქალაქი ქალაქზეა გაშენებული. იქ ექიმიც ბევრი ცხოვრობს და მშენებელიც. ყურის ექიმებიც ცოტანი როდი არიან, მაგრამ ყრუსა და მუნჯს ვერავინ ვერ არჩენს, ვერავინ ვერ სწამლობს. მარტო ინდოეთის ერთ ქალაქში ერთი ბრძენი კაცი ყოფილა. მიხვალ, გაგსინჯავს, თუ შეატყობს, რომ მორჩები, მაშინვე გეტყვის, თუ არა, უარით გამოგისტუმრებს. გასამრჯელოს კი მეტად ძვირს ითხოვს თურმე.

ორივე სოფელმა არაფერი დაიშურა, თუკი რაიმე ჰქონდათ, შეაგროვეს, მეორე დღესვე გაამზადეს სამგზავროდ ბავშვები. მშობლებთან ერთად სამი რჩეული ვაჟკაციც თან გააყოლეს.

იარეს, იარეს და დათქმულ ქალაქში ჩავიდნენ. მოიკითხეს, ვისაც ეძებდნენ. მოიკითხეს და გაიგეს: ბრძენი ექიმი მეფის სასახლეში ცხოვრობდა თურმე. იქ შესვლა არავის შეეძლო, მხოლოდ ყოველ საღამოს ბრძენი ექიმი თვითონ გამოდიოდა ხალხში მალულად. გლახის ტანსაცმელს იცვამდა, გლახაკებშივე გაერეოდა და ისე დადიოდა.

რა უნდა ექნათ მოსულებს, ისხდნენ და იცდიდნენ.

ხომ იცით, ხალხს არაფერი გამოეპარება. ამ უცნაური ბავშვების და მშობლების შესახებ მთელს ქალაქში გაიბნა ამბავი. ყველას შეეცოდა, ყველას გული მოეწვა, ყველამ მოისურვილა მათი ნახვა. ერთ დღეს გულისხმიერმა მშობლებმა ერთი უცნაური გლახაკი შენიშნეს.

— ღმერთი გწყალობდეთ, მართლა შორიდან მოსულხართ? — იკითხა მან.

მოსულებმა აუხსნეს, საიდანაც იყვნენ. გლახაკმა გაიკვირვა,

სადამდი გავარდნილა ბრძენი ექიმის სახელიო. მოსულები მოუყვნენ გლახაკს თავიანთი სოფლების ამბავს.

— ნუთუ ყველა მღერის თქვენს სოფელში?! — გაიოცა და არ დაიჯერა გლახაკმა.

იმ საღამოს მეფის გამოგზავნილმა კაცებმა მოსულები სასახლეში წაიყვანეს.

რა მარმარილოს სასახლეები არ ნახეს მოსულებმა, რა თვალწარმტაცი ბაღები არ იხილეს, რა ულამაზესი ტბები არ შეათვალიერეს. ერთ ოქროს ბოგირზე გავიდნენ და ვარდისფერ მარმარილოს სასახლეში ამოყვეს თავი.

უზარმაზარ დარბაზში, რომელიც ფასდაუდებელი ნოხებით იყო მოფენილი, თვით მეფე და მოხუცი კაცი დახვდათ. ბავშვების დედა გუმანით მიხვდა მოხუცის და მათთან დილით მისული გლახაკის მსგავსებას.

— ის არის, ის! — ჩურჩულებდა დედა.

მეფემ ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხათ.

— ნუთუ თქვენს სოფელში ამ ორი ყრუ-მუნჯი ბავშვის გარდა ყველა მღერის?! — ეს მერამდენედ ეკითხება მეფე მოსულ სტუმრებს. — მაშინ იმღერეთ რამე, ჩვენ ყურს დაგიგდებთ.

— რა გვემღერება, მეფეო! — ამოიღო ხმა ბედკრულმა მამამ. — რაც ჩვენი ბავშვების ყრუ-მუნჯობა შევიცანით, მის შემდეგ ორივე სოფელში არც ერთ ადამიანს არ ამოუღიღინებია. სანამ ბავშვები ამ დღეში არიან, მე და დედამისს რა გვამღერებს!

— ჩვენი ხათრით იმღერეთ, მერმე ბავშვების ექიმობაზე იფიქრებს ჩვენი ბრძენი ექიმი, — გაიხედა მოხუცისკენ მეფემ.

მოხუცი ჩაფიქრებული ჩანდა. იგი თვალდაუხამხამებლად მისჩერებოდა ჩამოსულებს. სახეზე ჭმუნვა დასტყობოდა, თვალებში ცეცხლი უგიზგიზებდა.

— საოცარი ხალხი ყოფილა იმ სოფლებში, კარგი გულის ხალხი ყოფილა. როგორც ჩანს, ამ ბავშვების დაბადებამდე ბედნიერებაც მათს სოფლებში ყოფილა შებუდებული. იმღერეთ! — მიუბრუნდა მოსულებს. — მეფე გთხოვთ და იმღერეთ. ბავშვებზე ჩვენ ვიფიქრებთ.

მოსულებმა ბავშვებს შეხედეს. ბავშვები აინუნშიაც არ იყ-

ვხეხ, თუ რა ხდებოდა მათ გარშემო. მოეწონათ მეფის ძვირ-ფასი, ბრჭყვიალა ტანსაცმელი, მას უღიმოდნენ. მშობლებს იმედი ჩაესახათ გულში და თავის მხლებლებს ანიშნეს. იმათაც წინ წამოიწიეს.

უცებ მეფის და ბრძენი ექიმის ყურები საოცრად საამო ხმებმა და სიმღერამ აავსო. ბევრი რამ ენახა მეფეს და მის ბრძენ ექიმს, ბევრი სიმღერა გაეგონათ, მაგრამ ასეთი ჯერ არ სმენოდათ. ეს არ იყო ადამიანთა სიმღერა, ღმერთების საგა-ლობლად ეჩვენათ მეფეს და ბრძენს ეს სიმღერები. დიდი ხა-ნია არ ემღერათ ცოლსა, ქმარსა და მათს მეზობლებს. ის დღეს თითქოს ერთხმად ამოიმღერეს დიდი ხნის საგალობელი. სადაც კი მათმა ხმამ მიაღწია, ყველა მსმენელი გაოცებით გა-ირინდა მოსასმენად. ქალაქში მოძრაობა შეწყდა, ყველამ მე-ფის სასახლისაკენ დაიწყო ყურება. დამთავრდა თუ არა სიმ-ღერა, მეფემ ბრძანა:

— მე მეფე ვარ, ეს ბრძენი ექიმი კი ჩემი მასწავლებელია. პატარობიდანვე მის ხელში გავიზარდე. მე უიმისოდ არ ვვარ-გივარ, ის კი უჩემოდ ვერა სძლებს. ერთმანეთისა გვჯერა, ერთ-მანეთი გვიყვარს, მხოლოდ ერთ რამეში ვერ შევთანხმებულ-ვართ: ის ამბობს შეიძლება ქვეყნად ისეთი სახელმწიფოს შექ-მნა, სადაც ყველა ბედნიერი იქნებაო, მე კი ეს არა მჯერა. მე მწამს, რომ ერთ ოჯახშიაც არ შეიძლება ყველა ბედნიერი იყოს. ბედნიერი სოფელი ხომ ამქვეყნად არ შეიძლება იყოს. თქვენ კი სულ სხვა ამბავს გვიყვებით. ჩვენ უნდა წამოვიდეთ თქვენს სოფლებში, ვნახოთ და დავრწმუნდეთ ნათქვამის სისწორეში.

— მეფეო, ახლა, როცა ეს ბავშვები დაიბადნენ, ჩვენს სოფ-ლებში ბედნიერად თავს აღარავინ გრძნობს! — თქვა ერთმა მე-ზობელმა.

— სანამ ეს უბედურება გვეწვეოდა, ბედნიერები ვიყავით და მისი ფასი კი არ ვიცოდით. გვეგონა, ყველანი ასე იყვნენ. ყოველი კაცი, ყოველი სოფელი ბედნიერი გვეგონა! — თქვა მეორე მეზობელმა.

— ვიდრე ბავშვები ყრუ-მუნჯები არიან, ჩვენს სოფელში არავინ არ იგრძნობს თავს ბედნიერად! — თქვა მესამე ვაჟკაც-მა.

ბრძენმა ექიმმა მეფეს შეხედა.

— საოცრებაა! — თქვა მეფემ. — ადამიანებს როდი სჩვევიათ ერთმანეთის ბედი და უბედობა ასე უშუალოდ გაიზიარონ. არა მჯერა! — ისევ მტკიცედ თქვა მან.

— მე ბავშვებს ვუაქიმებ. თუკი ბედმა გაგვიღიმა და ჩვენმა წამალმა და ხელმა არგოთ, მაშინ წავიდეთ მათთან ერთად! — გადაწყვიტა ბრძენმა ექიმმა.

არც ქვეყნის კიდე და არც ცის თავანი ჯერ არავის უნახავს. ადამიანის გონებაც უსაზღვროა, კიდეგანი არა აქვს, მის სიღრმეს ვერ ჩასწვდები, სიმაღლეს ვერ ასწვდები. ორმოც დღეს დატოვეს თავის სასახლეში მეფემ და ბრძენმა ექიმმა მოსულები. ორმოც დღეს უაქიმა ყრუ-მუნჯებს მოხუცმა და ორმოცდამეერთე დღეს ბავშვები დარბაზში შემოიყვანეს. შეხედეს თუ არა მშობლებს, — დედა, დედიკო! — დაიყვირეს ბავშვებმა და პირველად დედას მოეხვიენენ, მერე მამას ჩამოეკიდნენ კისერზე, მერე მეზობლები გაიხსენეს და გადაკოცნეს.

განა შეიძლება ქვეყნად უფრო ბედნიერი იყოს ვინმე, ვიდრე იმ დროს იმ ბავშვების მშობლები და მეზობლები? რასაკვირველია, არა.

ერთ კვირას დარჩნენ ისინი სტუმრად და შემდეგ მეფის და ბრძენი ექიმის თანხლებით თავიანთი მხარისაკენ გამოემგზავრნენ. გზაზე მეფემ გააფრთხილა მასპინძლები:

— იცოდეთ, ჩვენი ვინაობა არ გაამხილოთ. თუ ეს შეგატყეთ, იმ წუთს გულნაკლულნი და ნაწყენები უკან გამოვბრუნდებითო.

მართლაც, ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოწყობილი მოსულები სოფელმა უბრალო სტუმრებად მიიღო. გაიგო თუ არა ხალხმა ბავშვები მორჩენილნი ჩამოუყვანიათო, გაღმა-გამოღმა სიხარულით ცას შესწვდნენ, დიდი და პატარა სახეგაბადრული, ღიმილითა და აბრიალებული თვალებით გამორბოდა მოსულების შესახვედრად.

— ეს უცხო ხალხი ჩვენ შორიდან მოგვყვება, გზად მიმავალნი არიან. რადგან ასეთი ბედნიერება გვეღირსა, ცოტა ხნით სოფელში მოვიწვიეთ, ჩვენი სიხარული გაიზიარონო.

ორივე სოფელი გულგახსნით შეხვდა მოსულებს, ყოველი ოჯახი სიამოვნებით პატიჟებდა სტუმრებს, სუფრას უშლიდა, ლხინს უმართავდა.

— ჩვენი ერთადერთი ჭირი ამ ბავშვების ყრუ-მუნჯობა იყო, — ამბობდნენ ისინი, — რახან ეს ჭირი მოგვშორდა, აწი რაღა გვიჭირსო.

შეიქნა სახალხო ლხინი, სიმღერები ცის გუმბათს უფრო მაღლა სწევდა. დიდი და პატარა გალობდა, ცეკვავდა, თამაშობდა. ერთმანეთს ულოცავდნენ დიდი ჭირის მოშორებას, სოფლის გახარებას ადღეგრძელებდნენ, ბავშვებს და სტუმრებს ვარდ-ყვავილებით ამკობდნენ. მეფე და ბრძენი გაოცებულნი აკვირდებოდნენ ხალხის მართლაც რომ ჭეშმარიტ სიხარულს.

„ნუთუ ამ სოფელში ავად არავინ არის, ხომ ეყოლებათ კუტი და უსინათლო?! მაშ რატომ მაინცდამაინც ეს ყრუ-მუნჯობა მიაჩნია ხალხს ყველაზე დიდ უბედურებად!“ — ფიქრობდნენ ისინი და ვერ გაეგოთ ამის მიზეზი.

— კუტი კაციც გვყავს და უსინათლო ადამიანიც. პირველი დაბადებით გამოვიდა ძვალსუსტი, მეორე ხანძრის დროა ცეცხლმა დაგვიბრმავა. უბედურებაა, მაგრამ ორივე ლაპარაკობს და მღერის. ისეთი სიმღერები იციან, თქვენგან მოწონებულიო! — მოახსენეს სტუმრებს.

ჩაფიქრდა ბრძენი ექიმი, თავი ჩაჰკიდა მეფემაც. ბოლოს ბრძენმა თქვა:

— ხალხი არ შეცდება, უნდა გამოვიკითხოთ, რატომ მიაჩნიათ ყრუმუნჯობა ასეთ დიდ უბედურებად, რით არის ის სიბრმავეზე ან უფეხობაზე უარესიო.

სთხოვეს და სოფლის დარბაისელი მოხუცნი შეკრიბეს.

— როგორ თუ რატომ?! — გაკვირდნენ მოხუცები. — ადამიანის ენა სულიერთა შორის სულ სხვა რამეა, ენით განსხვავდება ადამიანი ცოცხალ სამყაროში სხვებისაგან. მართალია, ამბობენ ენა სხვა სულიერ არსებებსაც კი აქვთო, მაგრამ ადამიანის ენა სხვაა. ადამიანთა მოდგმა თავისი ენის, თავისი სიტყვის საშუალებით ესაუბრება ერთმანეთს. ენა თუ დაკარგე, ამაზე დიდი უბედურება რა იქნება! ენის დაკარგვა თითქოს ადამიანობის დაკარგვაც არის. სიბრმავე სხვაა, კუტობა სხვაა, ყრუმუნჯობა მათთან არ ითქმებისო.

ბრძენი და მეფე გაჩუმდნენ, სიტყვა არა თქვეს, კიდევ ათ დღეს დარჩნენ და შემდეგ თავიანთ ქვეყანაში გამოემგზავრ-

ნენ. ორივენი მთელი გზა ჩუმად იყვნენ, ერთმანეთსაც კი ხმას არ სცემდნენ, თავისთვის იყვნენ ჩაფიქრებულნი.

— არა, — თქვა ტახტზე მჯდარმა მეფემ, — სიბრძნავე ყველაზე უფრო სავალალოა ადამიანისათვის, თვალხილული ქვეყნის დაბნელება უბედურებათა შორის უსაშინელესი უბედურებაა. იმ სოფლის მცხოვრებლები ცდებიან. ყრუ-მუნჯს შეუძლია ქვეყნის ფერებით დატკბეს, ყვავილთა ელვარებას შეეტკბოს, მზის ამოსვლას უყუროს, მთვარის სხივების სინაზე განიცადოს, ბუნების ზვიად მოვლენებს თვალი გაუსწოროს და ისიამოვნოს, ცის გუმბათის სიდიადეც განიცადოს და ოკეანეთა უფსკრულის სიღრმეს ჩახედოს. ყრუ-მუნჯს მთესველიც შეუძლია გახდეს და მშენებელიც. უსინათლო კაცს, აბა, რა ძალა აქვს?! ის მოკლებულია სამყაროს ხილვას. იგი მის მშვენიერებასა და დიდებას თავის დღეში ვერ ჩასწვდება. ისე წავა ამ ქვეყნიდან, რომ მის გონებას მხოლოდ ერთი ფერი, ბნელი ფერი წაჰყვება. სამყარო კი, ბოლოსდაბოლოს, ფერთა ჰარმონიული დალაგებაა და მეტი არაფერი. ბრმა კაცი იმთავითვე მკვდარია, ცოცხლად არც კი ჩაითვლება.

— მართალი ხარ და სტყუიხარ კიდეც. — დაიწყო სათქმელის თქმა ბრძენმა ექიმმა. — ამდენი ხანი შენსავით მეც ფიქრად ვიყავი გადაქცეული. დიდი დაკვირვების და განსჯის შემდეგ მივხვდი, რომ იმ სოფლის ხალხი მართალნი არიან, დიახ, ჭეშმარიტად ცამდე მართალნი არიან. მართლაც, ყრუ-მუნჯს შეუძლია ქვეყნის ყველა ფერით დატკბეს, გასაოცარი ტაძარი ააშენოს და ბაღ-ვენახს სხვაზე უკეთ მოუაროს. მის გონებას არასდროს არ მოედება სიბნელის შიში, ერთი ფერის, შავი, მრუმე ფერის შიში. მაგრამ, აბა, კარგად დაუკვირდი, მეფეო. ქვეყნის ვერც ერთ ბგერას შენი ყური ვერ გაიგონებს და ვერც შენს ხმას მიაწვდი ვინმეს. ეს სამყარო უხმო, ჩუმი და მუნჯია შენი სმენისათვის. შენც უტყვი და უენო ხარ ამ მშვენიერი მუსიკით ავსებულ ქვეყანაზე. ვერც შენ მოისმენ მის ჩამიჩუმს, არც შენ გაქვს უნარი ერთი შეწყობილი ბგერა მაინც დაუმატო მის უმდიდრეს საგალობლებს. მაშასადამე, ხარ თუ არა ადამიანი შენ?! ახლა სიტყვის ამბავს არ იკითხავთ? ადამიანი ხომ, მართლაც, სიტყვით განსხვავდება ცოცხალთა სამყაროში სხვა არსებათაგან? ყველაფერი აქვთ სხვა არსებებს, სიტყვა კი არა

აქვთ. სიტყვა მხოლოდ ადამიანის საკუთრებაა, ამიტომ მისი დაკარგვა ყველაზე დიდ ადამიანურ უბედურებად უნდა ჩავთვალოთ. აი, რა უშუალოდ, უბრალოდ და ბრძნულად განიცდიან ამ ამბავს იმ ორი სოფლის მცხოვრებლები. რა სიმღერები აქვთ. რა ბედნიერები არიან! მათ თავიანთი შრომით და დოვლათით სიმღერის ეშხზე მოიყვანეს შთამომავლობა. ბუნებამ ყური დაუგდო მათს დიდ სურვილს და ყოველი კაცი სიმღერის ნიჭით დააჯილდოვა. ხომ ნახე, მეფეო, ყველა რომ მღერის იმ სოფელში. ჩვენ ისიც ვნახეთ, თუ როგორ იუკადრისა სოფელმა ორი ყრუ-მუნჯის დაბადება. სოფლის საერთო გლოვად გამოაცხადეს ამ ოჯახის უბედურება. ცამდე მართალნიც არიან. მუსიკით ჭეშმარიტად დატკბობის უნარი მხოლოდ ადამიანსა აქვს. სიტყვა და მუსიკა ადამიანის ადამიანური თვისებაა. მუსიკა რომ უფრო ადამიანური ყოფილიყო, ხალხმა ის სიტყვის მსგავსი გახადა, მუსიკას თავისი სიტყვები, თავისი ასოები გამოუგონა. ამით კიდევ უფრო მიისაკუთრა ის. მუსიკა ბულბულსაცა აქვს და ესმის, მუსიკალური სიტყვა კი არა აქვს. აზროვნება ადამიანის უმაღლესობის და უდიდებულესობის უტყუარი ბეჭედია, სიტყვა მისი გამოხატვის და გადაცემის საშუალებაა. მუსიკას კი თავისი სიტყვა აქვს, თავისი ასო-ბგერები. ხომ ხედავ, მეფეო, რით გვაჯობეს იმ სოფლის მცხოვრებლებმა. ემღერებათ და მღერიან. თუ არ იმღერეს, ეს უკვე უბედურებად, სიცოცხლის გამწარებად მიაჩნიათ. მათ მაშინ სწამთ ამ ქვეყნის არსებობა, თუ ადამიანს სიმღერის უნარი და უფლება აქვს. ხედავთ იმ პატარა სოფლის მცხოვრებლებს რა დიდი აზრი ჩაუდვიათ სიცოცხლის არსებობაში?! ჭეშმარიტად ბრძენია ხალხის გონება!

— მე მაინც სიბრმავე მიმაჩნია მეტ უბედურებად, — ისევ წყნარად თქვა მეფემ.

— ყოველ კაცს უფლება აქვს თავისი აზრი ჰქონდეს და მტკიცედ სწამდეს კიდეც. ხალხი კი, ეტყობა, უფრო ღრმა ფიქრით ცხოვრობს. უსინათლოს შეუძლია დიდი მუსიკოსი გახდეს. თავისი ტკივილები დიდი მალამოთი მოიშუშოს, სიმღერით განიქარვოს, თვალთა სინათლის უქონლობა მუსიკით შეიმსუბუქოს. ყრუ-მუნჯი ისე მოკვდება, ერთ ტკბილ ჰანგსაც კი ვერ გაიგონებს. — დაასრულა ბრძენმა ექიმმა.

იმ სოფელში მაშინ გაიგეს სტუმართა ვინაობა, როცა ისინი უკვე თავიანთ ქვეყანაში იყვნენ: ფიცით ნათქვამი სიტყვა ვერ გადათქვეს ვერც განკურნებულმა ქალ-ვაჟმა და ვერც მათმა მხლებლებმა. სოფლის დარბაისლებს გული დასწყდათ. ჩაფიქრებით კი ძლიერ ჩაფიქრდნენ.

— ვაითუ მართალი არა ვართ და იმ უცხო ბრძენმა ადამიანებმა სოფელი უჭკუოდ მიიჩნიონო. — იფიქრეს, იფიქრეს და დაასკვნეს: მოდი, ქალ-ვაჟის ცხოვრებას დავუკვირდეთ და ერთხელ კიდევ შევამოწმოთ ჩვენი აზრიო. მართლაც, დაუკვირდნენ ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ცხოვრებას. დარწმუნდნენ, რომ მათზე ბედნიერი ადამიანი არ იყო ამ ცისქვეშეთში. ერთმანეთს ეჟღურტულებოდნენ, სიმღერებით ანებივრებდნენ. მათს თვალში ყვავილებსაც სხვა ეშხი მიეცა და მზის ნათელ შუქსაც. მშობლების ბედნიერებას კი ნუ იტყვით! მათზე ბედნიერი ვინ იყო ამ მიწის პირზე?!

უხუცესთა შორის ერთმა უხუცესმა ეჭვით თქვა:

— აბა, ერთი განკურნებულ კუტს ჰკითხეთ სიხარული, ან თვალახილულ ბრმას გაუზომეთ ბედნიერებაო?

ყველანი გაჩუმდნენ. დიდხანს იყვნენ ისევ ჩაფიქრებულნი. ბოლოს ერთმა თქვა: ჩვენ ამას ვერ გადავწყვეტთ. ქვეყნის დასალიერში ერთი ბრძენი მოხუცი ცხოვრობს, მასთან გავგზავნოთ ვინმე, ის გვეტყვის სიმართლესო.

სამი მოხუცი შეარჩიეს და გაუშვეს. ორი წელი გავიდა და სამი მოხუციდან მხოლოდ ერთი დაბრუნდა, ორი გზაში გარდაცვლილიყო. შეიკრიბნენ სოფლის თავკაცნი. მოხუცი მოჰყვა ნახულს და დაბარებულს.

— შვიდი მთის იქით, ქვეყნის დასასრულს ვნახეთ ის ბრძენი, — დაიწყო მან, — როცა ჩვენი წუხილი მოვახსენეთ, მოხუცი გაოცდა. დიდხანს იყო ჩაფიქრებული. ბოლოს თავი ასწია, მზეს შეხედა და გვითხრა:

— ერთ შეკითხვაზე უნდა მიპასუხოთო.

მოხუცებმა ყური მიუგდეს.

— თუ იცით, ყველაზე მახვილი ყური და ყველაზე მუსიკალური ყელი რომელ არსებას აქვსო, — იკითხა ბრძენთა-ბრძენმა.

მოხუცებმა ერთხმად ბულბული დაასახელეს.

— მაშინ ისიც გეცოდინებათ, — დაუდასტურა ნათქვამი ბრძენმა და განაგრძო, — რომ ბულბული მხოლოდ მაშინ მღერის, როცა ბუნება აყვავდება, მრავალფეროვანი ხდება, ასი ათასი სხივით და ელვარებით მდიდრდება. ზამთარში, როცა სამყარო ერთფეროვანი ხდება, ბულბულს ერთი ჰანგიც კი არ წამოსცდება, გაზაფხულზე კი ამ ფერთა საოცარ ჟღერაში იწყებს თავის საგალობელს. თქვენ ისიც გეცოდინებათ, რომ მათი სიმღერა ყოველი დამღერების ჟამს სხვადასხვანაირია. იმას, რაც გუშინ იმღერა, დღეს არ გაიმეორებს. იმას, რაც წელან ცას შეუგალობა, ახლა არ დაიმღერებს. რატომ? ბუნების ეს ფერთა თამაში, ბულბულს თავის სიმღერებში გადმოაქვს. ერთი ფერი მეორეს არ ჰგავს, მათი ციმციმი და შეერთება თუ გათიშვა სხვა ელვარებას და სხვა ფერსა ბადებს. ბულბულის ყელი ასეა მოწყობილი. მას სწორედ ბუნების ეს ფერთა თამაში გადააქვს თავის საოცარ საგალობლებში. უნდა გითხრათ, ადამიანის ენა და ყელი კი მაინც სხვა მოვლენაა: სიტყვის თქმა ბულბულს არ შეუძლია, მისი გონება და სხეული ამ დიდ საოცრებას ვერ სწვდება. როგორც ჩანს, ყველაზე დიდი სიმღერა მაინც სიტყვაა. ამიტომ ადამიანებისთვის ყრუმუნჯობა დასტურ დიდი უბედურებაა. თქვენი სოფელი მართალია, იმ ექიმს, ვინც ის ქალ-ვაჟი მოარჩინა, ტაძარი უნდა აუგოთო, არ დაივიწყოთ და შთამომავლობას მისი სახე თუ სიკეთე არ დაუკარგოთ.

მოხუცი დადუმდა.

ჩაფიქრდნენ დარბაისლებიც.

იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს, სწორედ მდინარის იმ ბორცვზე, სადაც ისინი ყველაზე უკეთეს მომღერლებს ახვედრებდნენ, აეგოთ ტაძარი ბრძენი ექიმის პატივსაცემად. მეფეს ხუროთმოძღვრები სთხოვეს, მას ძალზე ეამა ეს და თავისი უკეთესი მშენებლები გამოუგზავნა სოფელს. დიდხანს აშენეს ეს ტაძარი, მაგრამ როცა დაამთავრეს, ქვეყანა გააკვირვეს. ტაძარში რომ შეხვიდოდით, ასი ბულბულის პატარა და ლამაზი ქანდაკებები ზეცას შეჰგალობდნენ თავისი ენის საგალობლებს. ეს სიმღერები მართლაც წარმტაცად ჟღერდა ტაძრის შესასვლელში. ტაძრის შუა ადგილზე ქვისგან ნათალი ადამიანთა სახეები ცის სიმღერებს შეჰღაღადებდნენ ტაძრის გუმბათს. რო-

ცა ამ სიმღერებს ისმენდით, გეჩვენებოდათ, თითქოს გუმბათიდან მართლაც ზეციისკენ მიიკვლევდა გზას. მიიკვლევდა და მიდიოდა იქ, რათა ადამიანთა ბედნიერება ქვეყნისთვის გადაეფრქვია. საკურთხეველთან კი, ზედა აღსავლის კარებთან, კლდისგან გამოძერწილ ადამიანს — ტიტანს შვიდ-შვიდი მტრედი ასხდა მხრებზე. მტრედები ადამიანური ენით ღუღუნებდნენ: „ამქვეყნად მაინც მთავარი ადამიანური სიტყვაა, ამქვეყნად მაინც მთავარი ადამიანური სიტყვაა“.

როცა ტაძარი გაიხსნა, სწორედ იმ დღეს იქორწინეს თურმე განკურნებულმა ქალ-ვაჟმა. სოფლის პირობა არ დაურღვევიათ. სიძეც და რძალიც ორივე გაღმა სოფლიდან დაწინდეს და შეარჩიეს.

არ ვიცი, მართალია თუ არა ეს ლეგენდა, მაგრამ ხანისწყლის სათავეებთან, სოფელ ხანის ახლო, წყალთა შუა ახლაც არის ნანგრევთა ნარჩენები. მოხუცები ახლაც მას „სიტყვის ნატაძრალს“ უწოდებენ.

ვინ იცის, შეიძლება მართლაც იყო აქ ასეთი ტაძარი. მართალი რომ თქვას კაცმა, ულამაზესი მთები ისეა ორი მდინარის ჩანჩქერებზე შემოჯრილი, ერთი რომ დაბალი ხმით დაილაპარაკო, გუგუნს დაიწყებენ. თუ ხმამაღლა სიტყვა ამოთქვი, მეხივით გასკდება ხოლმე ნათქვამი. ასეა თუ ისე, ეს ლეგენდა პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილის შრომებს ესიტყვება და მეც ამიტომ დავწერე. ძალიან მომეწონა „სიტყვის ნატაძრალი“, მართლაც, ბუნებამ სიტყვა ადამიანის მიკერძოებულ საკუთრებად ჰქმნა, ვინც მის თქმასა და გაგონებას ადამიანს არ დაუკარგავს, ის დიდი პატივისცემის ღირსია. ეს თქმულებაც ხომ ამას მოგვითხრობს!

* * *

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქუთაისის ინტელიგენცია განათლებითა და კულტურით ძლიერი იყო, შეიარაღებული იყო კაცობრიობის მოწინავე აზრით და ფიქრით, მისი მეცნიერული მონაპოვარით, მისი პროგრესული იდეებით. მსოფლიოს ყველა ქვეყანას, რაგინდ დიდიც არ უნდა ყოფილიყო ის,

შეშურდებოდა აკაკის, კიტა აბაშიძის, გიორგი ზდანოვიჩის, კირილე ლორთქიფანიძის, იოსებ ოცხელის, სილოვან ხუნდაძის და მესხების მთელი ოჯახის განათლება. ქუთაისში იყვნენ შესანიშნავი ექიმები, რომელთაც უსაზღვროდ უყვარდათ სამშობლო, ხალხი, მზად იყვნენ მათთვის თავი გაეწირათ. ისინი იცნობდნენ ევროპის სამედიცინო მეცნიერებას, მის უახლეს მიღწევებს, ხალხს აცნობდნენ ამ ახალ აღმოჩენებსა თუ მიღწევებს, ცოდნის დიდი მარაგით აღჭურვილნი. გულწრფელი თავდადებით ემსახურებოდნენ მამულს.

ამ ექიმთა შორის სიმონ ხეჩინაშვილი (როგორც მაშინ ამბობდნენ „ხეჩინოვი") ერთი პირველთაგანი იყო. მან სამოციან წლებში წარმატებით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ცნობილი პროფესორის ზახარინის კლინიკაში დატოვეს. სიმონი ღარიბი კაცის შვილი იყო და ამიტომ იძულებული გახდა მალე წამოსულიყო სამშობლოში, შეშველებოდა ხელმოკლე ოჯახს.

იოსებ ოცხელმა, ამ საოცარმა პედაგოგმა და მოღვაწემ, ახალგაზრდა ნიჭიერი ექიმი თავის გიმნაზიაში მიიწვია.

სიმონ ხეჩინაშვილმა მიწვევა სიამოვნებით მიიღო, მაგრამ ხელფასზე უარი თქვა. იმ დღიდან იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე უფასოდ ემსახურებოდა ქართული გიმნაზიის მოსწავლეებს და მასწავლებლებს. მისი სახელი კი მთელს დასავლეთ საქართველოში უკვე გავარდა. მისი ავტორიტეტი ზღაპრულად გაიზარდა. „ექიმი ხეჩინოვი, ექიმი ხეჩინოვი" — ყველას ასე ეკერა ენაზე.

ქუთაისის გუბერნიის სამედიცინო საზოგადოებამ სიმონ ხეჩინაშვილი თავის თავმჯდომარედ აირჩია. მას ყველგან ეძახიან და სთხოვენ. ისიც დაუზარებლად, დღეა თუ ღამე, წვიმაში თუ დარში, პირველი დაძახებისთანავე მიიჩქარის ავადმყოფებისაკენ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სიმონ ხეჩინაშვილს ვისმესთვის უარი ეთქვას და ავადმყოფი არ გაესინჯოს. ღარიბ მოსახლეობას უფასოდ მკურნალობდა.

ქუთაისის თეატრის მსახიობებს და თანამშრომლებს თავისი სიცოცხლის არც თუ ისე ხანმოკლე მანძილზე უფასოდ, უკაპიკოდ ემსახურებოდა. ვინ გაუბედავდა, ჰონორარი აიღეო! ცოტა როდი ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ღარიბისა და გა-

ჭირვებულის ბავშვს თვითონვე ჩაუდებდა ვერცხლის მანეთიანს ჩუმად ხელში. შემდეგ ამ მანეთიანით ეს ოჯახი ორი-სამი დღე პურითა და ტარანით გამოკვებავდა მთელ ჯალაბს.

როგორც ვთქვით, ხეჩინაშვილები ახლოს ცხოვრობდნენ ჯაჭვის ხიდთან, ზედ მწვანე ბაზრის უკან ორსართულიანი სახლი ჰქონდათ. ცნობილი „ფილიმონას სახაშეც" იქვე, ჯაჭვის ხიდთან იყო.

ერთ დღეს ქუთაისის დასის მსახიობებს უქეიფნიათ, ღამე გაუთევიათ და დილით ფილიმონასთან ხაშზე შესულან. როგორც ჩანს, ბევრნი ყოფილან, ფული კი არ ჰქონიათ. გრიგოლ ჩარკვიანისთვის დაუვალებიათ, „სიმონთან შედი, უთხარი ავად ვარ-თქო. თუ კარგ გუნებაზე იყოს, წაეხუმრე და ერთი ოქროს თუმნიანი იქნებ შენსკენ გადმოაგდებინოო". იმ დღეს სიმონი ცუდ ხასიათზე ყოფილა, თანაც გრიგოლის ხუმრობა ვერ გაუგია, ცუღლუტობად ჩაუთვლია და გაჯავრებულა.

— თვალით არ დამენახოო! — უყვირნია თურმე. გრიგოლიც ცივად გამოძუნძულებულა გარეთ.

შემდეგ სიმონი დაფიქრებულა. მიმხვდარა, ალბათ, მსახიობებმა გამოგზავნეს, ფული დასჭირდათ, გაჭირვებაში ჩავარდნილან. ტანზე ჩაუცვამს, ფილიმონასთან შესულა, ნახარჯიც გადაუხდია და მეორე დილის ხაშის საფასურიც წინასწარ დაუტოვებია.

— შენთვის კი, გრიგოლ, — მიუბრუნდა თურმე ჩარკვიანს,—არც ხუმრობის ნიჭი მოუცია ღმერთს და არც ტირილისა, მე ვიფიქრე, ცუღლუტობით გამაღვიძე კაცი ამ ალიონზე.

სიმონ ხეჩინაშვილი უარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგადაც მუშაობდა წლების მანძილზე. მრავალ ქართველ სტუდენტს უგრძვნია მისი მამობრივი დამხმარე ხელი, ბევრ გაჭირვებულ ახალგაზრდას მიშველებია მისი გროშები. სიმონი მოწოდებით იყო ექიმი. ეს სპეციალობა მის სულიერ მოთხოვნას არწყულებდა, ხალხის სამსახურის საშუალებას აძლევდა. სიმონის შვილი — ნიკოლოზი ექიმი გახლდათ. ისიც მამასავით შესანიშნავი მკურნალი დადგა და დიდხანს ემსახურებოდა ქუთაისის მშრომელებს. სიმონისვე ჩაგონებით სამივე შვილიშვილებიც ექიმებად დაიზარდნენ. რეზო თბილისში მუშაობს, ხოლო ნიკოლოზი (მამის სახე-

ლი მეორდება) ქუთაისში დარჩა, რომ თავისი მამა-პაპის ძველი ფუძე, ბაბუა სიმონის კერა არ გაეცივებინა. საერთოდ, ქართველ კათოლიკეთა ისტორია მამულისთვის დიდი სიყვარულის და თავდადების ისტორიაა. არა მარტო ფალიაშვილები და თამარაშვილები, ოცხელები და ხეჩინაშვილები, ახლაც არიან ოჯახები, რომლებიც თითქოს მემკვიდრეობით გადასცემენ შთამომავლობას მამულის უზადო სიყვარულს. აკაკი არაზაშვილის ოჯახმა (იგი ფარმაცევტი იყო) მოდგმით გადასცა თავისი საყვარელი ხელობა შთამომავლობას, მისი მეუღლე ნინო ფარმაცევტი გახლდათ, შვილი სოსო ახლა ცნობილი ფარმაცევტია, მისი მეუღლე ლუბაც ფარმაცევტი გახლავთ, და შვილი აკაკიც სწორედ მამა-პაპის კვალზე წავიდა. ასეთივე იყო კოკოჩაშვილების გვარის შესანიშნავი ოჯახები. ახლა მარტო ყაუხჩიშვილები! მარტო ისინი რად ღირან! მარიამ ყაუხჩიშვილის ქალმა არაერთი და ორი ქართველი ქალი აღუზარდა მამულს, საქართველოს.

ჩემი ბავშვობის დროს კათოლიკეთა ეკლესიაში მღვდელი დონ-დამიანე სააკაშვილი ქალაქის ყოველ ბავშვს უყვარდა. ახლა რომ ვუკვირდები, მაოცებს ის დამოკიდებულება, რომელიც მაშინ კათოლიკე პატრს ჰქონდა ხალხთან. ჩვენ მესხეთის ქუჩის (ახლა ნინოშვილის ქუჩა) ბოლოში ვცხოვრობდით. იქიდან კათოლიკეთა ეკლესიამდე ოთხი-ხუთი კილომეტრი მაინც იქნება. იმდენ შესანიშნავ ამბებს გვიყვებოდა ეს „ფრანგების მღვდელი", რომ ჩვენ ამ სიშორიდან მაინც დავიარებოდით მასთან. სხვათაშორის, იგი ნაკლებად ეხებოდა რელიგიის საკითხებს. მისი თემა იყო საქართველოს ისტორია, კერძოდ, ცნობილი ისტორიკოსის თამარაშვილის ნაწერების მიხედვით ამბების მოყოლა. ჰო, როგორ გვიყვებოდა პატრი დონ-დამიანე ამ ამბებს! ახლაც თვალწინ მიდგას კათოლიკეთა ეკლესიის ულამაზესად ცად აწვდილი ნაძვის ხე, მის სამხრეთით იყო იოსებ ოცხელის საფლავი (იგი ჩემი ნათლია იყო, რაც, რასაკვირველია, მეტად საამაყოდ მიმაჩნია). იქვე დადგებოდა დონ-დამიანე და დაუღლელად გვიყვებოდა ჩვენი სამშობლოს ავბედითს ისტორიას. განსაკუთრებით მღელვარედ იცოდა სამხრეთ საქართველოს ისტორიული ამბების მოყოლა. ჩვენც, წარმოშობით მართლმადიდებელი ბავშვები, რომლებიც მეტად ათე-

ისტურად ვიყავით განწყობილი, სულგანაბული ვუსმენდით პატრს; მაშინაც კი, როცა წამოვიზარდეთ, დონ-დამიანე საინტერესო მოსაუბრედ დარჩა. (მან ხუთამდე უცხო ენა იცოდა). მახსოვს კოკოჩაშვილების ოჯახში მდგმურებად იყვნენ: უშანგი ჩხეიძე, ალექსანდრე მიქელაძე, სერგო ზაქარიაძე, მერი დავითაშვილი, ალექსანდრე გომელაური. ეს სახლი სწორედ კათოლიკეთა ეკლესიის ეზოს წინ მდებარეობს. ეზოში კი ცხოვრობდა მსახიობი კაპიტონ აბესაძე. ჩვენ ყველანი ხშირად გადავდიოდით კაპიტონთან. ხან საზამთროს გავაჭრევინებდით კაპიას, ხან პელო გაბუნიას (კაპიტონის მეუღლე მსახიობი ქალი) ხაჭაპურს გამოვაცხობინებდით. დონ-დამიანე ყოველთვის შეგვაჩერებდა ეკლესიის ეზოში გავლის დროს. უშანგი ყოველთვის მოკრძალებით უსმენდა მის ნაამბობს. სერგო ზაქარიაძე, რომელიც სიჭაბუკის ჟამს, ნიჭიერებასთან ერთად მეტად დაუდეგარი იყო, დიდი გულისყურით უსმენდა მღვდელს. თვით კოტე მარჯანიშვილიც არაერთხელ მინახავს დონ-დამიანესთან საუბარში ჩართული. ამ ეკლესიის ეზოში კათოლიკე ბავშვთათვის სკოლა იყო გამართული. აქ ასწავლიდნენ მუსიკას და ფრანგულ ენას. ყველა იქ აღზრდილმა კარგად იცოდა ფრანგული ენა. სიმონის შვილიშვილებიც ამ დაწყებით სკოლაში იზრდებოდნენ. მათ მუსიკასთან ერთად შესანიშნავად ისწავლეს ფრანგულიც. ბაბუა სიმონის დაჟინებით ოჯახში გერმანული და რუსული ენის გაკვეთილებსაც იღებდნენ ბავშვები. ამიტომ სიმონ ხეჩინაშვილმა (შვილიშვილმა) უზადოდ იცის სამივე ეს ენა. მან თბილისში გადმოსვლის შემდეგ თავისი სურვილით ხელი მოჰკიდა ინგლისურს და ახლა, სხვა უცხო ენებთან ერთად, ეს ენაც საფუძვლიანად შეისწავლა.

ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში ქუთაისის მუსიკალური ტექნიკუმის დირექტორად (თავისი სურვილით) ჩვენი საამაყო კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე იყო. სიმონი სწორედ ამ სასწავლებელში სწავლობდა. როდესაც ერთ-ერთი გამოცდის დროს მელიტონმა, რომელსაც, ეტყობა, თვალში მოუვიდა ლამაზი ყმაწვილი, ჰკითხა: „შენ რა გინდა, ბიჭო, გამოხვიდეო“. სიმონმა ამაყად, თავაწეულმა უპასუხა:

— ბატონო მელიტონ, მე უსათუოდ ექიმი გავხდებიო.

მელიტონი გააკვირვა ამ პასუხმა.

— ბიჭოს! აბა, ამ სკოლაში რა გინდოდა, აქ ექიმი როგორ გამოხვალო.

— მამაჩემის ხათრით ვსწავლობ მუსიკას, ბატონო მელიტონ, დამიჟინა და ვსწავლობ, ისე კი აუცილებლად ექიმი უნდა გავხდეო, — არ დაუმალა და გულწრფელად უთხრა დიდ მელიტონ ბალანჩივაძეს მოსწავლე სიმონ ხეჩინაშვილმა. როგორც ხედავთ, მუსიკალური განათლებაც აქვს მიღებული სიმონ ხეჩინაშვილს. შეიძლება ესეც იყოს ერთი მიზეზი იმისა, რომ სიმონი ადამიანთა სმენის ორგანოს ასე დიდი ინტერესით ეკიდება. მართლაც, ყურის საჭიროება ისე ვინ იცის, როგორც მუსიკოსმა. რასაკვირველია, სიმონი არ იყო მუსიკისთვის დაბადებული. მაგრამ არ შეიძლება ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის დაწყებითი სკოლის მოსწავლე იყო (დიდი ხნის მანძილზე ამ სკოლას სურმავას ქალი ხელმძღვანელობდა), ფალიაშვილების საბუდარში გაიზარდო, მელიტონ ბალანჩივაძის მოწაფეობა იგემო და მუსიკის ავანჩავანი მთელი სიგრძე-სიგანით არ იცოდე. აბა, რა გასაკვირია, რომ საექიმო მეცნიერების შესწავლის დროს სიმონ ხეჩინაშვილი სწორედ იმ ორგანოს ღრმა შესწავლას შეუდგა. სმენა ხომ მუსიკასთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ არის დაკავშირებული. ფალიაშვილის ჯადოქრული მუსიკა სმენადაკარგული ადამიანებისათვის გაუგებარი რომ არ დარჩენილიყო, აქ თითქოს ბუნების რაღაც იდუმალების ძალით სიმონ ხეჩინაშვილი მოევლინა ადამიანებს მხსნელად. თითქოს ჩვენგან წასულ ზაქარიას სიმონ ხეჩინაშვილისთვის (პაპისთვის) ეთქვას:

— აჰა, მეც იქ ვსწავლობდი და ვუკრავდი, სადაც შენი შვილიშვილები იზრდებიან. მე მუსიკა ყველასათვის დავწერე. შენ ექიმი ხარ და სმენადაზიანებულ ქართველ კაცს რომელიმე შენმა შთამომავალმა უმკურნალოს, ჩემი ჰანგების სიტკბო გააცნოს, მისი გემო არ დაუკარგოსო, განა შეიძლება ქართველი კაცი ისე წავიდეს ამ ქვეყნიდან, რომ მუსიკა არ მოისმინოს?

დიახ, ჭეშმარიტად სიმონ ხეჩინაშვილის შვილიშვილმა, იგივე სიმონ ხეჩინაშვილმა, ნამდვილად დიდი მეცნიერული ალღოთი ხელი მოჰკიდა ამ დიდ საქმეს და გაიმარჯვა კიდეც.

სხვანაირი კაცია ახალგაზრდა სიმონ ხეჩინაშვილი, როგორც

იტყვიან, კბილიანი კაცია. რასაც ამოიჩემებს, ხელს ვერ გააშ-ვებინებ. სიყმაწვილიდანვე ესმოდა დიდი მეცნიერის ივანე ბე-რიტაშვლის სახელი. სტუდენტობაშივე ფიქრი და აზრი ბე-რიტაშვილის მეცნიერული ნექტარით გაემსჭვალა. დაამთავრა ინსტიტუტი და ამ საქვეყნოდ სახელგანთქმულ ადამიანს მი-ეკედლა. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ვინც რას ეძებს, უსათუოდ მას იპოვნის. სიმონმა ათი წელი იმუშავა სმე-ნის ფიზიოლოგიაზე. მთელი ამ ათი წლის მანძილზე იგი უდი-დესი სიყვარულითა და მთელი თავისი ახალგაზრდული ენერ-გიის დაძაბვით ილტვოდა ახალი რაიმე ეთქვა ამ დარგში. რა-საკვირველია, ამ საქმეში მას თავისი განათლება — ენების ცოდნა დიდად უწყობდა ხელს. რაც კი რაიმე ლიტერატურა არსებობდა რუსულად თუ გერმანულად, ფრანგულად თუ ინგ-ლისურად, ხეჩინაშვილს არ გამოპარვია. ახალგაზრდა მეცნიერს თვით დიდი მოაზროვნე ბერიტაშვილი ყოველმხრივ ეხმარე-ბოდა. ბუნებრივია, სიმონ ხეჩინაშვილი მის მოწაფედ თვლის თავს და ამით ამაყობს კიდეც. ნიჭიერებამ და ენერგიულმა შრომამ თავისი გააკეთა. მან შესანიშნავად დაიცვა სადოქტო-რო დისერტაცია. მისი შრომა „Вестибулярная функция“ ამ დარგში მეტად საინტერესო მეცნიერულ ნაშრომად ითვლე-ბა. აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ კოსმონავ-ტიკის შესწავლის საქმეში ამ ნაშრომს საკმაო მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ ყოველი კოსმონავტი სიამოვნებით ეცნობ› მას, ყოველმა მათგანმა თითქმის ზეპირად იცის ამ ნაშრომის ბევრი ადგილი.

მომავალი მაინც წინ იყო გასავლელი. სიმონი როდი ეკუთვ-ნოდა ახალგაზრდების იმ წყებას, ერთხელ მოპოვებული მიღწე-ვით რომ კმაყოფილდება. არა, მას წინ ედო დიდი გზა, გზა ვაჟ-კაცობისა, გზა ბრძოლისა და გამარჯვებისა. ხეჩინაშვილმა კარგად იცოდა, რომ დიდ მეცნიერულ აღმოჩენებს თავგანწი-რული შრომა და გამჭვალავი გონება სჭირდება. უამისოდ მეც-ნიერებაში, იმერულად რომ ვთქვათ, „ერთ ფიორსაც ვერაფერს გააკეთებ“. ამიტომ იგი დღესა და ღამეს ასწორებდა, რათა გან-ზრახული ბოლომდე შეესრულებინა. მან საფუძვლიანად შეის-წავლა ყურის ლაბირინთის გაღიზიანებისას ელექტრული ეფექ-ტები, რომელიც ამ დროს თავის ტვინის სხვადასხვა უბნებში

აღმოცენდება. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ, როდესაც სიმონ ხეჩინაშვილმა ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო, ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გამორკვეული დიდი ტვინის ქერქის მონაწილეობა ვესტიბულური ფუნქციების განხორციელებაში, ე. ი. მეცნიერები ჯერ კიდევ ორეფოფობდნენ ამ საკითხში. ამასთან ერთად ახალგაზრდა მეცნიერმა პირობითი რეფლექსების მეთოდიც გამოიყენა. მართალია, მანამდე არაერთ ავტორს ჰქონდა შემუშავებული პირობითი რეფლექსების როლი ცხოველთა პასიურ მოძრაობაში, მაგრამ სრულებით გაურკვეველი იყო ვესტიბულური და მოძრაობითი ანალიზატორების როლი ამ რეაქციების მექანიზმებში. ამის გარკვევა და გამოკვლევა მეტად საჭირო და საინტერესო იყო სამედიცინო მეცნიერებისათვის. აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილთან ერთად მან დიდხანს იმუშავა ადამიანის მიერ სივრცეში ორიენტაციის საკითხში ლაბირინთის როლზე. გამოირკვა და დადგინდა, რომ ყრუ-მუნჯები, რომელთა ლაბირინთები არ აღიგზნება, ე. ი. მათი გაღიზიანება გარე სამყაროს მოვლენებით არ ხდება, გაცილებით უარესად ერკვევიან სივრცეში, ვინემ ნორმალური ვესტიბულური ფუნქციების მქონე ადამიანები. ეს საკითხები დაამუშავა სიმონ ხეჩინაშვილმა. მის მიერ დასტამბული წიგნი „ვესტიბულური ფუნქცია" გამოვიდა 1958 წელს. ამ ნაშრომს ბრწყინვალე შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის გამოჩენილმა მეცნიერმა ექიმებმა და ფიზიოლოგებმა. საინტერესოა პროფესორ მინკოვსკის რეცენზია ამ ნაშრომზე, რომელიც 1959 წელს ჟურნალ „ვესტნიკ ოტორინოლარინგოლოგიის" მეექვსე ნომერში დაიბეჭდა. იგი ამ ნაშრომს საუკეთესო შეფასებას აძლევს.

სიმონ ხეჩინაშვილს არაერთი გამოკვლევა აქვს აგრეთვე სმენის მეთოდების გაუმჯობესების შესახებ. მან ბევრი სიახლე შეიტანა ხახის ლიმფა ენოიდური ქსოვილების ფიზიოლოგიის საკითხში და სხვ. ახალგაზრდა მეცნიერის ცხოვრება ჯერ კიდევ წინ არის.

პროფესორი ხეჩინაშვილი იცნობს ინგლისის და გერმანიის მეცნიერთა მიღწევებს. იგი კარგა ხნით იყო მივლინებული ამ სახელმწიფოებში და აკვირდებოდა ყველაფერს, რაც ესოდენ საჭიროა დღევანდელობისათვის. საინტერესო კი ბევრი რამ

არის უცხოეთში. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ჩვენთვის უცნობი აპარატი ხეჩინაშვილმა თავისი ხელით ჩაიხაზა, ჩაიხატა და ჩვენს ქარხნებს შეუკვეთა, გაუმჯობესებული კონსტრუქციით გააკეთებინა ეს აპარატები.

1961 წელს მსოფლიო ოტორინოლარინგოლოგების პარიზის კონგრესზე პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მის მიერ ჩატარებული ცდები და სამეცნიერო-საკვლევი გამოცდილება კონგრესის აქტიური მსჯელობის საგანი გახდა. ჩვენთვის, საბჭოთა ქართველი ადამიანებისთვის, უსათუოდ საამაყოა ასეთი ადამიანების ღვაწლი, არც ერთ ქართველ კაცს, თუ, მართლაც, მას გულით უყვარს თანამედროვე საქართველო, ეჭვი არ შეეპარება, რომ ჩვენ სწორედ დიდი აზროვნების ადამიანები გვჭირდება. მართალია, ჩვენი წინაპრები ბრწყინვალეთა შორის უბრწყინვალესი სპორტსმენები იყვნენ, მართალია, ლელო ბურთი თუ ჩოგბურთი, ცეკვა, ჭიდაობა თუ ისრის ტყორცნა ქართველ კაცს არ უჭირდა, მაგრამ საქართველო, უპირველეს ყოვლისა, მაინც იოანე პეტრიწონელის, არსენ იყალთოელისა და საბა ორბელიანის სამშობლოა, ჩვენი მამული დიდთა შორის უდიდესი მოაზროვნის შოთას მშობელი ქვეყანაა. სწორედ ამიტომ არის სასიამოვნო, როცა ქართველი კაცი მსოფლიო მოაზროვნეთა და მეცნიერთა ფორუმებზე თავის სიტყვას იტყვის და მის სიტყვას წონა და მნიშვნელობა აქვს.

მოსკოვის ოტორინოლარინგოლოგების სამეცნიერო საზოგადოების პლენარულ სხდომაზე, რომელიც 1963 წელს გაიმართა, სიმონ ხეჩინაშვილის გამოსვლა ღირსშესანიშნავ მოვლენად იქნა მიჩნეული. მთელი ჩვენი მოწინავე მეცნიერები პატივისცემით და დარბაისლური გულისყურით ეპყრობიან მის ყოველ სიტყვას. სხვანაირად არც შეიძლება, სიმონ ხეჩინაშვილს აქვს გონების ის თვალი, რომელიც ყოველ მეცნიერს როდი აქვს. ეს კარგად იციან უცხოეთის დიდმა თანამედროვე მეცნიერებმა, რომელთანაც ახლო სამეცნიერო ურთიერთობა და მიმოწერა აქვს საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილს. ისინი ყოველთვის ცდილობენ ახლო დაუკავშირდნენ სიმონის საკვლევ მუშაობას. ასეთი სურვილები ყოველთვის ბუნებრივია მეცნიერთა შორის. ნამდვილი

მეცნიერები მეტად დიდი ვნებების ადამიანები არიან და ძალზე დაინტერესებულნი არიან თავიანთი კოლეგების სამეცნიერო ცხოვრებით. მით უმეტეს, თუ ესა თუ ის მეცნიერი რაიმე ახალსა ჰქმნის. შეიძლება ლევან გოგნაძის ყელი, რომელიც მეტად უცნაური შემთხვევის გამო მეტად თავისებურად დაზიანდა, სიმონისათვის, როგორც მეცნიერისათვის, საინტერესო და მიმზიდველიც იყო. რასაკვირველია, ეს გამორიცხული როდია. პირიქით, ეს პროფესიული ინტერესი აუცილებელიც არის, მაგრამ ლევანისადმი პროფესორის დამოკიდებულება, ისე როგორც სხვა პაციენტებთან მისი ურთიერთობა, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის სიყვარულით იყო გამოწვეული. ეს სიყვარული მას მემკვიდრეობითაც მოსდევს. ბაბუა სიმონი ყოველთვის ამის საუკეთესო მაგალითს იძლეოდა.

ერთი ასეთი შემთხვევაც ყოფილა:

სწორედ რომ მშვენიერია სოფელი საყულია. მდინარე რიონი სამხრეთით მთელ მის ჭალებს გაუელის ხოლმე. რიონი მის მიდამოებში წყალუხვია, დიდი და ფართო კალაპოტიც აქვს. ამ სოფელში კეცზე პურის მეტად კარგი გამოცხობა იციან. იქაური ხაჭაპური და ე. წ. გომიჯი-პური მთელს ქვემო იმერეთში იყო განთქმული. რასაკვირველია, პურის უანებიც როდი ჰქონდათ საყულიელებს გასაიცხი. ამ სოფელში მესხების მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობდა — დიმიტრი მესხის ოჯახი. მისი ერთი ძმა — პროკოფი მესხი სიმონს მეგობრობდა. სულ სამნი ძმანი იყვნენ ეს მესხები, მესამე ძმა დათა, თავზეხელაღებული მოქეიფე კაცი, უცოლშვილოდ და ძმებთან დაუბრებული მომკვდარა. სამივე ძმა მეტად ლამაზი ყოფილა. ერთ დღეს დიმიტრის რომელიღაც ოჯახის წევრი ავად გამხდარა. პროკოფის სიმონისთვის უთხოვნია და თავისი ეტლით საყულიაში წაუყვანია. სიმონს ავადმყოფი გაუსინჯავს, წამლები გამოუწერია. იმ ღამეს იქ დარჩენილან. ეტყობა. ავადმყოფი იმ ღამით მოკეთებულა. მესხებს ვახშამიც კარგი გაუმართავთ. იმ წელს ამ სოფელში ბლომად ყოფილან ავადმყოფები. დილით, როცა სოფლელებმა გაიგეს სიმონ ხეჩინოვი აქ არისო, დიმიტრი მესხის კარებს მოასკდნენ.

გაიხედა სიმონმა და გაოცდა. ასი კაცი მაინც იდგა თურმე კარებთან.

—ხოლერობა ხომ არ არის, ნეტავ რა სჭირს ამ ხალხსო?!— დაინტერესებულა სიმონი. ამიტომ იგი გულდასმით შედგომია ავადმყოფების შესწავლას და მოვლას. როცა შეატყო იმ ღამითაც ვერ წამოვიდოდა, სიმონმა პროკოფი მესხის მეეტლეს წერილი გამოატანა მეუღლესთან — არ შეშინდე, თუ დამიგვიანდესო. ავადმყოფები კი ბევრზე ბევრი ადმოჩნდა. იქიდან მეზობელ სოფელში ბაშში ცხენით მიიპატიჟეს თურმე სიმონი. უარი ვერ უთქვამს, მათაც წაჰყოლია, ერთი კვირა იქაც დარჩენილა. ამ ხნის მანძილზე არც საცვალი გამოუცვლია და არც უბანავნია. აბანო ბაშში და საყულიაში მაშინ ვის ჰქონდა?! დაიღალა კაცი, თვითონაც ავადმყოფივით ჩამოხმა, დაავადმყოფებული სოფელი კი მაინც არ მიატოვა, ბოლოს, როცა ყველაფერი მოათავა, ქუთაისისკენ გამოემგზავრა. სოფელ მესხეთთან (გზაზეა) ნახევარი სოფელი დახვდა. ეს „ჩამომრები", როგორც მაშინ ქვემო იმერეთში ასეთ ავადმყოფობას ეძახდნენ, იმ სოფელსაც დარეოდა. ამ სოფელში ტორაძეები და შალამბერიძეები ცხოვრობდნენ. ისინი მაშინ თურმე მეტად ღარიბი გლეხები იყვნენ. ძირს დადგმულ ფიცრულ სახლებში ორი თუ სამი სიცხიანი ავადმყოფი ხის სკამლოგინებზე იყო მიგდებული. კვირიკობისთვის ბოლო დღეები იყო. ამ დროს იმერელ ღარიბ გლეხს მის დღეში არ ჰქონია სასიმინდეში სიმინდი! ცალკე ავადმყოფობა და ცალკე შიმშილი სტანჯავდა ხალხს. სიმონს, როგორც ეტყობა, ჯიბეში ფული არ ჰქონია. სოფელ ბაკისუბანში ერთი კარგად შეძლებული ამირეჯიბის ოჯახი ყოფილა. იქ გაუგზავნია კაცი და ორასი მანეთი უსესხნია. სადაც შევიდოდა, თურმე მანეთს ან ორ მანეთს დაუტოვებდა ხოლმე. ისინიც, წამალთან ერთად, თურმე სიმინდის ფქვილს და ლობიოსაც ყიდულობდნენ, ოჯახს ამით სულს უბრუნებდნენ.

პროკოფი მესხს ეტლი საყულიაში გაუგზავნა. იქ უთქვამთ, რამდენი ხანია წამოვიდაო. შეშინებულა მესხი. სიმონის მეუღლისთვის ვერ გაუბედავს თქმა: ქალი გაგიჟდებაო. სამი დღის შემდეგ ამირეჯიბის ოჯახის საშუალებით ტორაძეებში ძლივს მიუკვლევია მისთვის.

— ნამეტანი გამიჭირდა, ტანდაუბანელობა! ღამე გავიპარე, უკანეთის წისქვილების არხში დავიბანე, — უყვებოდა სიმონი პროკოფის, — საცვლები ჩემი ხელით გავრეცხე, იმერულ-

მა სიცხემ დილამდე ყველაფერი გააშრო. დილით ისევ ავადმყოფების მოვლას შევუდექიო.

— ამირეჯიბებს ფული რათ დაესესხეო?! — გაოცებით უკითხავს პროკოფის.

— კაცო, მიდით ერთი და ნახეთ როგორი გაჭირვებით ცხოვრობენ, წამალზე უფრო სიმინდი სჭირდება ჩვენს გლეხს, მეც ცოტა-ცოტას პურის ფულს ვურიგებდი დამშეულ ბავშვებსო.

დიახ, ასეთი ყოფილა ბაბუა სიმონი და სწორედ ასეთივე დიდი სიყვარულით პროფესორი სიმონ ხეჩინაშვილი (შვილიშვილი) რვა თვის მანძილზე ძმასავით უვლიდა კოლმეურნეობის დურგალს ლევან გოგნაძეს.

იგი ახლა სიტყვებს კარგად მარცვლავს. ხმაც საკმაოდ მაღალი და ბგეროვანი აქვს. ცოტა ხანი კიდევ და ლევანის ყელი ჩვეულებრივად იმოქმედებს. კაცმა არ იცის, ვინ უფრო გაიხარებს ამით, დურგალი ლევან გოგნაძე, თუ პროფესორი სიმონ ხეჩინაშვილი.

ზოგიერთს ექიმობა ადვილი ხელობა ჰგონია, ექიმებს ბევრი დრო და საშუალება აქვთო. ზოგს ჰგონია, რომ ექიმობა მეტად სარფიანი რამ არის — სადაც გინდა, იქ ივლი, ხალხიც დიდ პატივსა გცემს. გულში დარდი არაფრისა გაქვს! ეს მეტად მსუბუქი ადამიანების აზრია ექიმებსა და საერთოდ საექიმო ხელოვნებაზე. ჩვენს სამყაროში ადამიანი მეფეც არის და ღმერთიც. ვინც მის ჯანსა და ღონეს უვლის, მას მკურნალობს, ის უსათუოდ მეტად პატივსაცემია, მაგრამ ექიმი თავშეწირული კაცი უნდა იყოს. მას არ შეუძლია, უფლებაც არ აქვს როცა მძიმე ავადმყოფი ჰყავს, თავის თავს ადამიანურად მიხედოს. სიმონ ხეჩინაშვილის გარშემო პირველ საავადმყოფოში შესანიშნავი კოლექტივი მუშაობს. აქაური ახალგაზრდა ექიმები ნოდარ გვეტაძე, ონანოვი-ვახტანგოვისა, დათო და ბორის ყიფიანები, ჭარმაგი, დამსახურებული ექიმები პ. ასპისოვი, ნაცვლიშვილი და სხვები — მეტად ნიჭიერნი და განათლებული ექიმებია. ახალგაზრდა ექიმი ნანული ძაძამიძე თვალცრემლიანი შესჩიოდა ამხანაგებს: „ექიმობაზე უფრო უბედური ხელობა არ არის ამ ქვეყნად, თუ ჩემი ავადმყოფი მძიმედ არის, არც მეძინება, ვერც საჭმელს ვჭამ ხეირიანად და იმ დღეებში გაცინებულს ვინ მნახავს, არაფერი არ მახარებს. ერთი კვირაა ჩემი ერთი

ავადმყოფი ძალზე ცუდად არის და ადგილი ვერ მინახავს. ისე ვბორგავ. არ ვიცი, სად წავიდეო!“

ახალგაზრდა ექთანი ნათელა ჩიხლაძე, რომელიც სახემშვენიერი და ლამაზი ქალია, კარგა ხანია საოპერაციო დად მუშაობს ხეჩინაშვილთან. ნათელა ახლად დაოჯახებულია. უკვე ერთი ბავშვიც ჰყავს. წელს საექიმოზე შესვლას აპირებს. ნათელა და მისი კოლეგები დილიდან საღამომდე მუშაობენ, რომ საოპერაციო აპარატურა, ინსტრუმენტები და სხვა საშუალებები მზად იყოს. ნათელამ ნანულის უთხრა:

— ექიმი არ ვარ და ამიტომ პასუხისმგებლობაც ცოტა მაქვს, მაგრამ, როცა სიმონი რთულ ოპერაციას აკეთებს, იმ ღამეს არ მეძინება. რატომღაც მთელი ღამე ბავშვს ვუყურებ, მეშინია, ოდესმე მას არ დასჭირდეს ასეთი რამეო.

დიახ, ნამდვილი ექიმი, ნამდვილი ადამიანი ასე განიცდის სხვა ადამიანების ტკივილებს და ავადმყოფობას. ამიტომ, ცდებიან ზოგიერთი მშობლები, როცა, მის შვილს სურს თუ არა სამედიცინო ინსტიტუტში შესვლა, მაინც იქ მიარბენინებენ საბუთებს. ასეთ მშობლებს ტყუილად ჰგონიათ, რომ ადვილად ნაშოვნი პურით უზრუნველყოფენ თავის მემკვიდრეებს! ექიმობა საშოვარი ადგილი როდია! ექიმი ხალხის სიყვარულით აღსავსე უნდა იყოს, მისთვის უნდა ფიქრობდეს და ზრუნავდეს, ხალხის პატივისცემით უნდა ღვიოდეს მისი გული, ხალხის ჭირი ჭირად მიაჩნდეს და ლხინი — ლხინად. მუდამ ასეთნი იყვნენ ჩვენი ექიმები და ასეთნი უნდა იყვნენ დღესაც!

ჩვენ დღეს ექიმების უბრწყინვალესი თაობა გვყავს. ისინი დიდი, ნათელი სიყვარულით ემსახურებიან ხალხს. პროფესორი სიმონ ხეჩინაშვილი ერთი მათგანი გახლავთ.

ამიტომ იყო, რომ ქუთაისმა შეხვედრა მოუწყო თავის უბეში დაბადებულსა და დავაჟკაცებულ სიმონს. ქალაქის ინტელიგენცია დიდი სიყვარულით და სიამაყით შეხვდა მას. მათი სიამაყე ყველასთვის გასაგებია. ყოველ სოფელს თუ ქალაქს ყოველთვის წმინდა სიყვარულით უყვარს თავისი კარგი შვილი. ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება! მახსოვს და არასდროს დამავიწყდება ერთი ამბავი. ჩვენი საყვარელი მწერალი და მოღვაწე, აწ განსვენებული აკაკი ბელიაშვილი დაღუპვამდე სულ ორიოდე კვირით ადრე პარიზში იყო. როცა ჩამოვიდა, თავის შთა-

ბეჭდილებებს გვიყვებოდა. იგი ძალიან კმაყოფილი ჩანდა. მან იქ თითქმის ერთი თვე დაჰყო, ასე თუ ისე, ბევრი რამ ნახა და პარიზის სიმშვენიერით გაოცებული და მოხიბლული იყო. ბოლოს ისეთი რამე თქვა, რომ ყველანი გაგვაკვირვა, მართალი გითხრათ, არამც თუ გაგვაოცა, ბევრ ჩვენგანს გულწრფელად სიცილიც წასკდა. ბევრმა ჩვენგანმა მისი ნალაპარაკევი დაცინვად ჩათვალა.

თბილისში კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის დასრულებისას ჩვენმა გაზეთებმა სხვადასხვა სახელმწიფოს მწვრთნელებს ინტერვიუ გამოართვეს. ფრანგი კალათბურთელების მწვრთნელი შენატროდა თბილისის სპორტის სასახლეს და გულდაწყვეტით ჩიოდა, ასეთი სასახლე რომ პარიზში იყოს, რა გვიჭირსო.

ეს რომ ჩვეულებრივ საბჭოთა მოქალაქეს პირიდან დასცდენოდა, ჩვენი უცხოეთის მოტრფიალენი მასხარად აიგდებნენ.

განსვენებულმა აკაკიმ მაშინ თქვა:

— გინდა გიჟი დამიძახეთ, გინდა მომკალით, ქუთაისის მსგავსი სილამაზე მაინც ვერ ვპოვე იქო.

მართალი გითხრათ, ყველანი ძალზე გავვოცდით, მით უმეტეს, როცა დავრწმუნდით, რომ აკაკი ამას დაჯერებით ამბობდა.

აკაკი ბელიაშვილს მე ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დავუახლოვდი. მანამდე მას შორიდან, მხოლოდ ნაწარმოებებით ვიცნობდი. ბოლო წლებში მე ყურს ახლოს ვუგდებდი მის ცხოვრებას და მეტად მომწონდა. განათლებული, პირდაპირი, გულწრფელი და მეტად ხალისიანი კაცი იყო. ვერ იტანდა ეშმაკ და გაქნილ ადამიანებს. მას ყველა უყვარდა და ადამიანზე ცუდს ვერ ათქმევინებდი. მხოლოდ ერთხელ მოვისმინე, რომ ის ერთ კაცს ძალზე აუგად იხსენიებდა. გულწრფელად რომ თქვას კაცმა, ის კაცი თითქმის არავის არ უყვარდა. აკაკის თუ არ სჯეროდა, დარწმუნებული თუ არ იყო ვინმეს ავკაცობასა თუ კარგ კაცობაში, არავის არც აძაგებდა და არც აქებდა. ვერასდროს მას სხვის აზრს ვერ მოახვევდით თავზე, ყოველთვის

თავისი აზრი ჰქონდა ამა თუ იმ მოვლენაზე. ამჩატება არ იცოდა. ყოველთვის დაკვირვებით ლაპარაკობდა და წერდა. როცა მისგან პარიზის და ქუთაისის ასეთი შედარება გავიგონე, მეწყინა, დაცინვად მივიღე, ძალზე ავღელდი.

— რა არის, აკაკი, ქუთაისს შენგან დაცინვა არ ეკუთვნის, ბოლოსდაბოლოს იქ გაიზარდე-მეთქი.

სხვათაშორის, აკაკი ბელიაშვილი მოწაფეობის დროს ქუთაისში სწორედ იმ ქუჩაზე (მესხეთის ქუჩაზე) ცხოვრობდა, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე. აკაკიმ იმ წუთშივე შემატყო წყენა და თვითონაც ჩემზე უფრო მეტად გაბრაზდა.

— რატომ გგონია, რომ ვხუმრობ, ქუთაისი მე არავიზე ნაკლებ არ მიყვარს და მასზე დაცინვას ჩემს შვილსაც არ ვაპატიებ! მე სხვაზე ცუდად არც პარიზის ისტორია ვიცი. მისი არქიტექტურული სიმდიდრის და სილამაზის ფასიც სხვაზე ნაკლებ როდი გამეგება. მე ისიც ვიცი, რომ ეს ქალაქი პარიზის კომუნის მშობელია, ნაპოლეონის, ბალზაკის და სტენდალის ქალაქია, ვიქტორ ჰიუგოს ქალაქია. მარტო ლუვრი თავისი მატერიალური ღირებულებით სამ რესპუბლიკას იყიდის. არა, პარიზსა და ქუთაისს მე ამით კი არ ვადარებ. აბა, მიბრძანდით თქვენ და პარიზში ეძიეთ ისეთი კოინდარით ამწვანებული ეზოები თავისი მშვენიერი ერთსართულიანი სახლებით, როგორიც ქუთაისშია! პარიზში მტერი ბევრჯერ შესულა, მაგრამ ერთი ღობეც კი არ მოუნგრევია. ჩვენთან ყოველი შემოსევის დროს სწვავდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შეიძლება ბაგრატის ტაძარი ბევრად ნაკლებად არ გამოჩენილიყო უმშვენიერეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძართან შედარებით. იმ ქალაქს, რომელსაც ერთი ოქროს წნელით ნაქსოვი ხახულის ღვთისმშობლის ხატი სახატეზე ესვენა, სხვა ქალაქებზე ნაკლებად ვერ ჩავთვლითო, — დაასრულა სახეგაწითლებულმა აკაკიმ.

აი, როგორ უყვარდა აკაკი ბელიაშვილს ქუთაისი და როგორ მოსწონდა კიდეც.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ მეც ქუთაისელი კაცი ვარ. ვინც გულმართლად ფიქრობს და წერს, დამეთანხმება ერთ რამეში: პატარაობიდან ყოველი ადამიანი ფიქრობს დედ-მამას უყვარდეს, და-ძმებს უყვარდეს, თავის სოფელს თუ ქალაქს

არ ეჯავრებოდეს. ადამიანი, რომელიც ფიქრობს თავისი ცხოვრება ხალხის სასარგებლოდ წარმართოს, ყოველთვის ელოლიავება და ეტრფის თავისი ხალხის აზრს, უფრთხილდება მის სიყვარულს.

როცა პირველი სტრიქონები დავსტამბე, იმ ღამეს არ მიძინია. დავიარებოდი, ყველას სახეზე ვაჩერდებოდი, მინდოდა გამეგო, კმაყოფილნი იყვნენ თუ არა ჩემი მეზობლები, ქალაქის მცხოვრებლები.

ბედნიერია სიმონ ხეჩინაშვილი. ქუთაისს ნამდვილად უხარია, რომ მის მიწაზე დაბადებულმა და გაზრდილმა ახალგაზრდა კაცმა ამდენის გაკეთება შეძლო, რომ პროფესორი სიმონ ხეჩინაშვილი, რომელიც ამჟამად საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტია და ლენინური პრემიის ლაურეატი, მომავალში კიდევ მეტს გაუკეთებს თავის ქვეყანას, თავის მამულს, თავის ქალაქს. ამის თავდებია მისი ასაკი და დიდი მეცნიერული ალღო.

ლევან გოგნაძე სულ ერთი კვირის წინ წავიდა თავის სოფელ საზანოში. ახლა ის დაბალ ხმაზე ლაპარაკობს, სიტყვას გასაგებად მარცვლავს. სოფელში რომ ჩასულა, თავისი ბიჭი ამრეზილი შეხვედრია. ლევანს ხომ ეს მარცხი ორი წლის წინ მოუვიდა, მაშინ მისი ბიჭი ძუძუს ეკიდა. ახლა იგი უკვე ოთხი წლისაა, ლაპარაკიც იცის და ყვირილიც. როგორც ჩანს, ბავშვსშინ და გარეთ სულ ესმოდა, — მამა ავად არის, ხმა აღარა აქვს, ვეღარ ლაპარაკობს, დამუნჯებულაო. მისი ჩვილი გონება, ეტყობა, მამის ასეთი მდგომარეობით ჩაფიქრებული და შეწუხებული იყო. როცა სოფელში ჩავიდა, ბავშვმა ნახა, რომ იგი მშვენივრად ლაპარაკობს. ერთი ცივად აკოცა და აღრიალდა კიდეც:

— რატომ მომატყუეთ მამა მუნჯიაო, დედამაც მომატყუა, ბებიამაც, ყველამ რატომ მომატყუეთო!

ცხელ-ცხელი, ბავშვური ცრემლები ფართქალით სცვიოდა ბავშვს.

ჰე, რა იცის პატარა ბიჭუნამ, რომ ის დედამ და ბებიამ კი არა, პროფესორმა სიმონ ხეჩინაშვილმა „მოატყუა“.

ის ჯერ კიდევ პატარაა, მაგრამ როცა გაიზრდება, ისიც იტყვის: — შვილი ისე უნდა გავზარდო, რომ სიმონ ხეჩინაშვილის კვალზე იაროს, დე, მასავით ემსახუროს ჩვენს ხალხსო.

მე ვფიქრობ, თუ შთამომავლობა ასე იტყვის თქვენზე, პატივცემულო სიმონ, მაშინ ნადვილად ბედნიერი კაცი ყოფილხართ.

დიახ, ნამდვილად!

თბილისის ბალავერი და გუმბათი

თვითონ სქინავთ, ჩვენ კი გვალვიძებენ

თბილისის ბალავერი ვახტანგ გორგასალს კლდეზე გაუჭრია. მის დიდ ხელმწიფურ თვალს და ბრძნულ გონებას წინასწარ მიხვედრით გადმოუხედავს საუკუნეთა გადმოღმა, თავისი მამულის ბედის წყაროს თვალში მისი ხალხის უპირველესი სურვილი — ფეხქვეშ მტკიცე ნიადაგის მოპოვება ამოუკითხავს და ქალაქის ფესვი ისე ჩაუშენებია. მართლაც, ქართველი კაცი ძველთაგან ცდილობდა მის სახლ-კარს, მის სოფელს, მის ქალაქს საფუძვლად მტკიცე ნიადაგი ჰქონოდა. ქართველი კაცის სულიერ გაშლილ ფრთებს ყოველთვის სიმტკიცე, სიმყარე და ფუძეურყევი ბალავერი სჭირდებოდა. ამიტომ შეჩერებულა ჩვენი მამა-პაპის თვალი კავკასიონის კლდოვან კალთებზე დასასახლებლად. დარუბანდიდან ვიდრე ნაკოპსიამდე მთელი ჩვენი მამული კლდის ძარღვიან ნიადაგზეა დაქვიტკირებული.

თბილისი ძალიან ჰგავს მთელს ჩვენ სამყოფელ-სამშობლოს. თუმცა ამ სამყაროზე ყველგან ასეა. ყოველი სატახტო ქალაქი თითქმის და უთუოდ გამოხატავს მისი მამულის გეოგრაფიულ თუ სხვა თვისებებს.

რასაკვირველია, თბილისიც ასეა. სხვა ჩვენი ქართული ქალაქებიც განა ასე კლდეზე არ არის დაშენებული?! ქუთაისი თუ მცხეთა, თელავი თუ ჭიათურა, სიღნაღი თუ ზუგდიდი, მახარაძე თუ ცხაკაია. ახლახან გათხრილი ვანის ნაქალაქარიც, რომლის დაბადების თარიღი, საერთოდ, ჩვენი წელთაღრიცხვის სათვლელ მიჯნას ძალზე შორეულად სცილდება, კავკასიონის სამხრეთის კალთის მუხლისთავზე ყოფილა დაბალავრებული.

ჩვენი ზღვისპირა ბოღაზ-ქალაქებიც ხომ კავკასიონის კლდოვან ტოტებზე არიან გაშენებულნი? გონიოს, ბათუმის თუ ფოთის ციხე-სიმაგრეთა ბალავართან თავდება კავკასიონის მწვერვალთა ფესვი. ის კი არა, კოლხეთის ოდესღაც გაუვალ ჭაობიან დაბლობსაც კი, რომლის ფართობი ერთი ბეღურას გადაფრენის ოდენი თუ იქნება, შლამისაგან თუ გადაფხიკავთ, ქვევით უთუოდ კლდის ძარღვს იპოვნით. ასე რომ, კლდე და ქართველი კაცი ქვეყნის დასაბამიდან თანშეზრდილნი არიან. ამ ურყევი ნიადაგის გარეშე ცხოვრება ჩვენი ქვეყნის შვილს ვერ წარმოუდგენია.

ქართველი კაცი კლდეზე სახლობდა, კლდის წყალს სვამდა (მტკვარი, რიონი, ალაზანი, თერგი, ცხენისწყალი, ენგური, ტეხური, სულორი, განა კლდის კაჟოვან ძარღვზე არ არიან გათხრილი?!) და შეიძლება ამიტომაც თითონაც კლდესავით მაგარი და მტკიცე იყო. ამიტომ იყო ვახტანგ გორგასალი მართალი, რომ თბილისი სწორედ ამ ადგილზე დააფუძნა.

იმიტომ უყვარს ქართველ კაცს თბილისი, რომ ის ასე ჰგავს მთლიან ჩვენს ქვეყანას. ეს ქალაქი ქართველი კაცისათვის პურიც არის და ღვინოც. იგი მისი ჯანღონის საზომია, მისი სულიერი ცხოვრების გუმბათის თავანია.

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ პურის და ღვინის შელბობით თითქოს ადამიანის განწმენდის წამალი მონახა.

მთაწმინდის კალთაზე გატეხილი შოთი პური და ტუჩდახრილი დოქიდან ჭიქაში გადმოღვრილი ყურძნის ნამი ყოველთვის ძალღონეს მატებდა ქართველ კაცს და სიწმინდის შარავანდედით მოსავდა მის სულიერ ცხოვრებას.

ასე იყო და ასე იქნება.

თბილისში ჩამოსული ქართველი კაცი დაადგამს თუ არა ფეხს მის მიწას, თითქოს მზეს სინათლე ემატება, თითქოს ბედნიერების ფერები მრავლდება, რაღაცნაირი ძალა ჩაუდგება ძარღვებში, ღონე გაუასკეცდება, ძვალი გაუმაგრდება, სისხლი უფრო გაუთბება და, ღმერთო შენით, გონებაც თითქოს უფრო გაუნათლდება. ერთი სიტყვით, ახლად იბადება. ქვეყნის თვალის გახელას ვინც გათენების ჟამს ოქროყანასთან ან

მტკვარში ჩატეხილ მეტეხის შაბისფერ კლდის თავთან დახვედრია, მან იცის თბილისის გაღვიძების ბედნიერება.

არსად ისე არ თენდება, როგორც თბილისში.

ნაშუაღამევს მთელი ქალაქი დაღლილი ისვენებს, ყრუ ღამე წევს ნარიყალას კალთებიდან ვიდრე მცხეთის სანახებამდე, მერმე, ცისკრის ჟამს, სადღაც შუქის ერთი შულო ჯერ ხოხბის ფრთასავით თითქოს შიშით და სიჩუმით გაირხევა ქვეყნის გუმბათზე, მერე ძალას მოიკრებს სინათლე, ტანზე ხოხბისავე ყელ-კისერის ფერებს გაიმრავლებს და ცას შეაფეთქდება; თანდათან ათასი ფერებით გაცისკროვნებული აინთება, ფარშევანგის კუდივით გაიშლება და გეგონებათ მისი ცის მაღალ ლურჯ გუმბათზე ათი ათასი სალამური დაუკრესო! ცის გახსნისას მტკვარს ზემოდან მეორე მდინარესავით თეთრი ნისლი ადგია. თუ კარგად არ დაუკვირდით, მტკვარი ორსართულიანი გეგონებათ: ქვედა მდინარე მიდის, ზემოთ მყოფი კი ობობას ქსელივით ერთ ადგილას ირხევა. ამ დროს თბილისის იისფერით გაგრილებული დილის ნიავი ირემივით მოგაწყურებს სუნთქვას.

დიახ, მეტად კარგია ასეთ დროს თბილისი.

მთელი ღამე დევის გახელილი ცალი თვალივით შენათებული ნარიყალა გათენებისას დახუჭავს წამწამებს. აი, ამ თხელ და გრილ ნისლში თანდათან მაღლდება მთაწმინდა, შეიშმუშნება, ცის მტრედისფერ მაღალ სივრცეში შეცურდება, მერმე ნელა დაიწმინდება და მზის თვალწარმტაც შუქთა უთვლელ ფერებით სავსე ლივლივა ფარდებში ეხვევა. ამიერიდან უკვე იშლება ზღვარი მზიურობასა და თბილისს შორის. მთაწმინდა კი მაინც საოცრებაა. ციდან გადმოკიდებულ ღმერთთა საგალობელ წალკოტსა ჰგავს.

ამ უწმინდესი მიწის ნაფხვენი დღითა და ღამით მოუშორებელ ფიქრად იგრძნობა ყოველი ქართველი კაცის მკერდზე. ამიტომ, მართალია, ჩვენი ახალგაზრდობა, როცა საშუალო სკოლის დამთავრებისას დიდი შოთას ძეგლთან გავლით მთაწმინდაზე ადის, იქ ჩვენი მიწის საამაყო ადამიანების საფლავებთან ჩაიმუხლებენ და ამით თითქოს ფიცს სდებენ — თქვენი ნათელი გზით ვივლით ამქვეყნადო. დიახ, იციან ჩვენმა ახალგაზრდებმა, რომ მთაწმინდის საოცნებო მწვანე წალკოტის

კლდოვან ფლატეებზე ჩვენი ერის ტიტანები ჩამუხლებულან, ამ ცისკენ ამაღლებულ ბაღნარში წყნარად მიწოლილან და მშვიდად სძინავთ, სძინავთ უშფოთველად, უკვდავთა მარადი, ნათელი ძილით. მათი შრომით და სიბრძნით დამძიმებული ძვლები მხოლოდ მაშინ გაირხევიან თურმე ქვეყნის შეუმჩნევლად, მამულის ცაზე თუ რაიმე ხიფათი იგრძნეს! მაშინ ისინი შეიღვიძებენ და შეირხევიან. გააკრჭოლებს მდინარეებს და სოფლებს, ქალაქებსა და მწვერვალებს. გააკრჭოლებს ხესა და მიწას და ქართლის სამყოფელიც შეზრიალდება. ასეთ დროს, ალბათ, მიწის გულშიაც შეკანკალდება ჩვენი მამულის ფესვი.

მათი გარხევა იდუმალ გადაეცემა ერის სუნთქვას და მის სასიცოცხლო ნატამალს.

და მაშინ მთელი ერი უკლებლივ და ერთგულად მიდის მათ ნაჩვენებ გზაზე.

ჩვენი ქვეყანა კლდეზე დაშენებული იმიტომაც არის, რომ დიდი მიწიერი შერყევების დროს ქვეყანას ბალავერი მტკიცე უნდა ჰქონდეს, იგი არ უნდა გაიბზაროს, გაუტეხლად შეინახოს; ყოველ ქვეყნის აღრევის ჟამს მტკიცე და კლდის ძარღვივით მაგარი დარჩეს. ამიტომ სძინავთ მთაწმინდაზე ამ დიდ გოლიათებს უკვდავების მუდმივ შუქის ქვეშ მშვიდად.

მათ სძინავთ და ჩვენ კი გვაღვიძებენ. გვაღვიძებენ მამულის სიყვარულისათვის, გონიერებისათვის, სიბრძნისა და გმირობისათვის.

ისინი თვალმოუშორებლივ გადმოგვყურებენ უკვდავების საზღვარგადაღმიდან. ერს თვალის შუქს უმატებენ, მის სიწმინდეს, მის ჯანსა და დიდებას დარაჯობენ. მის მომავალს ჩაუქრობელი ლამპარით გზას უკვლევენ.

მათ მშვიდად სძინავთ მთაწმინდის კლდოვან ფლატეზე და წყნარად გაჰყურებენ კავკასიონის მაღალ მწვერვალებს. მუდამ ყინულით მოსილ, ცად ასულ ამ მწვერვალთა ფესვი ქართლის ფესვს შეჰკირვია, შედეულებია, შესისხლხორცებია. მათი თეთრი, მაღალი მწვერვალები კი ცის უსაზღვრო ლურჯ გუმბათს შეტოტებია. მის მაღალ თავანს, სამყაროს თავანს, ტიტანურ სვეტებივით შებჯენია. ამბობენ, კოსმიური შერყევების დროს ისინი ცას ამაგრებენ, ებჯინებიან. ამით ისინი ქართლის მიწაწყალს უბედურ ფათერაკისგან იცავენ.

ამიტომ სძინავთ ჩვენი მამულის ტიტანებს უკვდავების შუქმფინარ ნისლებში თურმე მშვიდად.

მათ იციან, საქართველოს ბალავერი კლდის ძარღვზეა დაქვიტკირებული, ამიტომ იგი მტკიცეა და ურყევი. ცის გუმბათიც კავკასიონის უმტკიცეს კლდოვან მაღალ მწვერვალებზეა გადახურული. იგი არასდროს არც შეიბღალება და არც გაიბზარება. როგორც ამბობენ, ისეთი ლაჟვარდოვანი და წმინდაა, არასდროს ჭუჭყი არ მიეკარება. აი, რატომ ყოფილან კავკასიონის მწვერვალები ასე მაღალნი და ცის თავანზე ასე მტკიცედ მიბჯენილნი, რატომ ყოფილან ასეთი მტკიცე და შეურყეველნი, ძარღვდაუფხვნელი და გამძლე!

სწორედ ამიტომ სძინავთ მთაწმინდაზე ქართველის გოლიათებს მშვიდად და უშფოთველად.

მათ კარგად იციან თავისი ქვეყნის ბალავრის სიმტკიცე და ცის უბზარობა, მათი გაუტეხელობა და სიმტკიცე, სისუფთავე და სიწმინდე. ამიტომ წყნარად ჩამუხლებულან და უკვდავების მუდმივ სინათლეში სძინავთ.

თვითონ სძინავთ, ჩვენ კი გვაღვიძებენ!

ლომს ბრჭყალი არ დაუცვდება

დიახ, ჩვენი ერის ამ ტიტანებს თვითონ სძინავთ და ჩვენ გვაღვიძებენ. ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში ამ დალოცვილებს თითქოს ხელისგულზე ეწერათ ჩვენი მამულის ბედი და მომავალი. ახლაც გვაოცებს ვაჟას წინასწარმეტყველური, მეტად ბასრად თქმული სტრიქონები. ვის დაავიწყდება მისი დიდი შოთასადმი მიძღვნილი ბწკარები:

„მართლდება შენი ნათქვამი
ათასზე, განა ერთზედა?!
თავისუფლდება მონები,
შენ გულს რომ გჭირდა წყლულადა,
ნეხვთა და ეარდთაც ლამის რომ
მზე მოეფინოს სწორადა“.

ამას რევოლუციის წინა წლებში წინასწარმეტყველებდა ჩვენი კლდეძარღვიანი მიწის პოეტი. მისმა გონებამ და დიდმა

ინტუიციამ რევოლუციის მოახლოება იგრძნო და ეს ხალხთა დიდი მომავალი თავის მამას, ჩვენი ერის დიდი და ნათელი აზრების შეუცვლელ ტიტანს შოთას, როგორც მხედრები იტყვიან, უპატაჟა.

აბა, ვინ იყო შოთას შემცვლელი, ვისთვისაც ვაჟა-ფშაველას თავისი სიხარული უნდა გაენდო?! რასაკვირველია, არავინ. იგრძნო რა ეს დიდი მომავალი მან, დიდ შოთას გაუმხილა თავისი დიდი სიხარული. ვაჟა თვითონვე ჩვენი მიწის ნიადაგისგან, მისი კლდე-ძარღვისაგან ქსოვდა სტრიქონებს. და, როცა მთაწმინდის უკვდავთა სავანეში თვითონაც კლდეზე მიწოლილა და თავსასთუმლად კლდის ნაპობი უდევს, იგი ისევ გვახსენებს თავის თავს და თვითონ მშვიდად მიძინებული ისევ გვაღვიძებს:

„რა ტურფა სანახავია
ქვეყანა ჰკვათა მყოფელი,
ერთის ფიქრით და გრძნობითა
გამტკიცებული სოფელი".

თითქოს დღევანდელ დღეს მთელი ძალღონით ესიტყვება ვაჟას ეს სტრიქონები! ვაჟას პოეზია არის კავკასიონის მწვერვალების შეუდარებელი ჰიმნი. მისი ლექსის ბალავერი ქართული ნიადაგისაგან, მისი მიწის წებოსგან, მისი კლდის კაჟისგან არის ნაქსოვი. როცა ვაჟას ვკითხულობ, მგონია კავკასიონის მაღალი, თეთრად შენათებული მწვერვალები მზის ახლოს ღმერთებთან საგალობლად თუ სამწირველოდ აბრიალებული კერასხებია. ვაჟას ლექსი კი სწორედ ის საგალობელია, რომელიც, ლილესი არ იყოს, მხოლოდ და მხოლოდ ამ მწვერვალების კალთებზე თუ დაიწერებოდა! და განა მარტო ვაჟა აღვიძებდა თავის მამულს?

სიცოცხლეშივე მიგვიძღოდა დიდი ილია თავისი ტიტანური გმირული სულისკვეთებით გამარჯვებისკენ.

რვა საუკუნის მანძილზე დაღლილი, დათენთილი და მიძინებული მამული გაარხია და გააღვიძა მისმა კალამმა და სიბრძნემ. მისი ნაბიჯი ლომის ნაბიჯი იყო, მისი ფიქრი და აზრი არწივთა ფრთების სიღონივრით მოქნეული ერის გასაფრენი ძალა გახლდათ.

მან, მხოლოდ მან შეძლო თითქმის ნახევარი საუკუნის მან-

ძილზე შემოეკრიბა მთელი ჩვენი ერი თავისი მაღალი და ჭეშმარიტად ბრძნული აზრების გარშემო. მის გვერდით დადგა ქართული ლექსის უდიდესი ჯადოქარი და ღმერთკაცი დიდი აკაკი. აკაკიმ, ისე როგორც ილიამ, თავისი სიცოცხლის მზედ და მთვარედ თავისი მამულის ბედის შემობრუნება გაიხადა. ამ ორმა ადამიანმა უხმლოდ, მაგრამ ხმალზე უფრო ძლიერად დარაზმა ქართველი ხალხი თავისი სამშობლოს დიდი სიყვარულის გარშემო. მათ ისევ აანთეს ის დიდი ნაპერწკალი თავისი ერის გულში, რომელიც ერთ დროს ადამიანთა შორის ამირანის მიერ მოტანილმა ცეცხლმა ააგიზგიზა.

მათ დააარსეს გაზეთი, დაბეჭდეს წიგნი, შექმნეს მომავლის ძლიერი ფილოსოფია, შემოიკრიბეს მაშინდელი ინტელიგენცია, განამტკიცეს ჩვენს ხალხში მამულის მტკიცე და შეურყვნელი სიყვარული, აღამაღლეს თავისუფლების დიადი რწმენა.

მთაწმინდაზე წვანან მათი თანამოკალმენი და თანამებრძოლნი. მათი შუბლი დიდი სინათლით არის განათებული.

მათ სძინავთ უკვდავთა მშვიდი ძილით. მათ სძინავთ და ჩვენ კი გვაღვიძებენ.

აბა, ვის არ ააფორიაქებს და არ მოიხმობს გალაკტიონის ლექსები? „დროშები ჩქარა, დროშები ჩქარა“-ო დაიგრგვინა მისმა დიდმა ხმამ ოქტომბრის დღეებში რევოლუციისავე მშობელ ქალაქში. დაიგრგვინა და მაღალთა შორის ერთმა უპირველესმა შეჰღაღადა მსოფლიოს ახალი სამყაროს დაბადება:

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ ცხოვრებას ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ პოეტები საქართველოსი“.

ამის თქმის უფლება ორ კაცს ჰქონდა იმ დროს — ამერიკელ ჯონ რიდს და თბილისიდან ჩასულ ჯერ კიდევ თითქმის უწვერულვაშო ქართველ ვაჟკაცს გალაკტიონ ტაბიძეს.

სწორედ მთაწმინდის მუდამ მღვიძარე სიბრძნემ ათქმევინა გალაკტიონს ეს სათქმელი. მის დღევანდელ დღეს წინ მიუძღოდა ვაჟა, აკაკი, ილია, ბარათაშვილი და ბრძენთა შორის უბრძნესი შოთას შუბლის სინათლე, რომლის საფლავი ოვითეული

ქართველის გულია, თვითეული ქართველის შუბლია. მისი ფიქრი და დიდი ხელოვნებით ნათქვამი ლექსი ყოველმა ქართველმა ზეპირად იცის.

რუსთაველის ქუჩა

თბილისის რუსთაველის ქუჩა ქართველი ერის ქუჩაა. არსად ისე ქართველ კაცს არ უხარია გავლა და გახედ-გამოხედვა, როგორც ამ ქუჩაზე. მშვენივრად ნაგები სახლები და სასახლეები, თეატრები და კინოდარბაზები, მწვანე ფოთლოვანი ბაღები, მუდამ გრილი, სულის ამოსათქმელი ხეივნები, თუ დასასვენებლად ჩასამუსლებელი სკვერები, დიდებული ტროტუარები და ეუეუნა წვიმით ოდნავ შენამული, ქუჩაზე უმშვენიერესად გაფენილი, თითქოს შავი ყაითნით ნაქსოვი ნოხი — ასფალტი. აი, რა აჯადოებს და ხიბლავს ამ ქუჩაზე ყველა ერის კაცს. ამ ბოლო წლებში ხომ იგი კიდევ მეტად გამდიდრდა და დამშვენდა. საოპერო თეატრის ეზოს მეტად გემოვნებით გალამაზებამ, ქაშვეთის წინ ჩასამუხლებელმა, ძეწნის ქოლგის ქვეშ შეფარებულმა, უმშვენიერესმა ხეივანმა, მის ვადმოღმა მდგარმა ილიამ და აკაკიმ დიდებულება შემატა მთელ თბილისს. და მაინც, რასაკვირველია, „იმელი“-ს შენობა უსათუოდ რუსთაველის ქუჩის სიამაყეა. ეს შენობა რევოლუციის მონაპოვარია. მე ვიტყოდი, ამ შენობის კედლების ცად ამაღლებული სვეტებით და შუბლით საოცრად იგრძნობა რევოლუციის მკერდგაშლილი სუნთქვა და დიდებულება. არქიტექტორი შჩუსევი და თამარ აბაკელია — აი, ამ შენობის ორი შემქმნელი. თამარ აბაკელია უდიდესი და უნიჭიერესი მოვლენაა ქართველ ქალთა შორის. და განა მარტო ქართველ ქალთა შორის?! მისი საოცრად სიცოცხლით სავსე ხორცსავსე ქანდაკებანი, დავით სასუნცის ილუსტრირება თუ იმელის შუბლზე ქვით ნაქარგი ჩვენი ხალხის ისტორია თაობიდან თაობას გადაეცემა.

თამარ აბაკელია, როგორც მხატვარი და მოქანდაკე, ჩვენი მამულის სასიქადულო ქალია. მისი ფერები თალხში დაბუდრებული ვაჟკაცური დიდებულებაა! მისი ხაზები გმირული და თანაც სულის ამაღლებული ჰიმნია. მისი შემოქმედება პირმშოა

რევოლუციისაგან განთავისუფლებული და ამაღლებული ქალისა.

მეტად ლამაზია ეს ქუჩა, როცა ჭადრების ტოტებს შუა მზის სხივები ჩამოიპარება. მაშინ ასფალტზე ჩრდილები და მზის ოქროსფერი ნაფლეთები ერთმანეთს წაეპაექრებიან. იქითაქეთ სასახლეთა ფიქალი კედლების სხვადასხვა ფერები ზემოდან გადმოერევათ და ამ დროს რუსთაველის ქუჩა გადასახტომად გამზადებულ ვეფხვის ზურგსა ჰგავს. ჭეშმარიტად, რომ რუსთაველის პროსპექტია!

თუ კეცხოველის ქუჩიდან ამოსულხართ და ვეფხისფერ ქვით ნაშენებ მთავრობის სასახლის ცად ატყორცნილ სვეტებს შუა მთაწმინდისკენ გაგიხედიათ, განა არ გიფიქრიათ, რომ ეს კიბეები ცისკენ მიმავალ კიბეებს გვანან?!

დიახ, მეტად კარგი გამოვიდა ეს მართლაც მშვენიერი სასახლე. მისმა კედლებმა ნამდვილად დაამშვენეს და დიდებულება შემატეს რუსთაველის ულამაზეს პროსპექტს.

რუსთაველის პროსპექტი ჩრდილოეთიდან ლენინის ქუჩით იწყება და სამხრეთით ლენინისვე დიდი მოედნით მთავრდება. ეს მოედანი ჩვენი სატახტო ქალაქის მთავარი მოედანია.

ამ მოედანზე აღმართულია ლენინის დიდი მონუმენტი. მალე, სულ მალე, ცეკავშირის ყოფილი შენობის ნაცვლად, არქიტექტორ გივი მელქაძის პროექტით, მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთით ააშენებენ მაღალ მრავალსართულიან შენობას, ეს უსათოდ კიდევ მეტად გაამდიდრებს ამ მოედანს. აქვე, არქიტექტორ რეზო ბარათაშვილის პროექტით, აშენდება დიდი უნივერსალური სავაჭრო სახლი. ამ სახლის მშენებლობის უფროსი და დირექტორი გიორგი ხვინგია მეტად მდიდრულად გვიხატავს ამ მომავალ სავაჭრო შენობას. მისი აზრით. ამიერკავკასიაში ეს სახლი იქნება ერთ-ერთი მეტად დიდი და თანამედროვე სავაჭრო საქმის ტექნიკური მიღწევებით გამდიდრებული შენობა. სავაჭრო სახლის ქვემოთ იქნება მეტროს სადგური. რუსთაველის პროსპექტზევე, ვერის დაღმართის დასაწყისში აღიმართა თბილისის პირველი ცათამხვეპი, სასტუმრო „ივერიის“ ოცსართულიანი შენობა. იგი დააპროექტა არქიტექტორმა კალანდარაშვილმა. გარედან მისი კედლების ფერი შაბიამნის ფერისაა და

ყარგად ესიტყვება მტკვარზე შემონათებულ დილას. ასეთი სიმაღლის შენობები ჯერ ჩვენს ქალაქში არ ყოფილა. ჩვენს დროში კი ქალაქის კულტურას და გემოვნებას ხშირად ასეთი ცათამხვეჭების სიმრავლითა და დამკვიდრებით განსაზღვრავენ. უახლოეს დროში ასეთი მაღალი ოცსართულიანი შენობები გათვალისწინებულია ერთი ჯორჯიაშვილის ქუჩის და საინჟინერო ქუჩის შესაყარზე, მეორე კი სპორტის სასახლის წინ. ორივე ეს ცათამხვეჭი სასტუმროებად არის გათვალისწინებული და თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით უსათუოდ გამდიდრებენ და გაამრავალფეროვნებენ თბილისის მიწას.

ჩვენი ქალაქის მთავარმა და მეტად ნიჭიერმა არქიტექტორმა ივანე ჩხენკელმა დააპროექტა მელიქიშვილის და ლენინის ქუჩის შესაყარზე კინო-საკონცერტო დარბაზი. ეს შენობა სადაცაა დამთავრდება და ახლავე მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ყოველ თბილისელ მოქალაქეზე. რასაკვირველია, წინასწარ თქმა არც ისე ადვილია, მაგრამ მისი გარეთა ხედი უთუოდ საინტერესოდ მოჩანს. დაინტერესებული თბილისელები გულის ფანცქალით მოელიან ამ შენობის დასრულებას. ასე რომ, რუსთაველის პროსპექტი კიდევ უფრო გალამაზდება და დამშვენდება, კიდევ მეტად გამდიდრდება და სასიამოვნო გახდება.

საღამო ხანს რუსთაველის პროსპექტი ხალხით ივსება. დღესავით განათებული ქუჩა მაღალი გემოვნებით ჩაცმული ადამიანებით ივსება. მათი სახეები ბედნიერია, მათი ყოფაქცევა დახვეწილია და გონიერი. ისინი მიიჩქარიან თეატრებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, კინოებში. ამ ქუჩით მიდიან ისინი ბაღებში, სპორტულ დარბაზებში და მტკვრის სანაპირო ხეივნებში.

ეს ქუჩა თითქოს საქართველოს გულის მთავარი არტერიაა, მისი მთავარი ქუჩაა.

ამიტომ უყვარს იგი ყოველ ქართველს.

თბილისში მზიანი დღე ბიბლიურ სამოთხის დღესა ჰგავს. ასეთ დროს ქვაც და მიწაც შემოგხარის, ყველაფერი გალობს, ცას შეჰღაღადებს. გაზაფხული უცებ შემოვარდება ქალაქში, თან მოიტანს ყოჩივარდს და ენძელას, სურნელებით გამაბრუებელ ...ის პაწაწა კონებს, ციდან გადმოკიდებულ მთაწმინდის

ფერდობზე ერთბაშად აბრიალდებიან და ჭიაკოკონებივით აინთებიან ტყემლის, ატმის და ნუშის ხეები. ისინი ინთებიან თბილისელების სულშიც. მზით ივსება ჩვენი სახლკარი, ქუჩები, მოედნები. მიწა ისე უცებ თბება, თითქოს მეორე მზე ქვესკნელიდან ათბობდეს მას. თბილისის ცა იწმინდება, ლურჯი გუმბათი უფრო მაღალი და ლაჟვარდოვანი ხდება. შიგდაშიგ ასეთ ლაჟვარდებში თითქოს მუსიკის საოცარი ჟრუანტელმომგვრელი აკორდები გადაიგრიალებენ ხოლმე. ასეთ დროს მთაწმინდაზე ასვლა და გადმოხედვა ლაჟვარდებში გაფრენას ჰგავს. ახლად ნაწვიმარი ჩვენი ქალაქი ახლად დაბადებულივით უცოდველად და უმანკოდ იყურება.

თბილისის ზაფხულის დღე ცხელია, ძვალისა და რბილის გამთბობია. ამ ბოლო წლებში თითქოს ცოტა უფრო აგრილდა, წინათ უფრო ცხელოდა. ზაფხულში მსხვილწვეთებიანი წვიმა წამოუშენს შავი ღრუბლებიდან. ისინი კალმახთა ლიფსიტებივით მოქშუიან ჰაერში და თავპირზე დაშხაპუნების დროს თითქოს ფართქალებენ კიდეც.

ასეთ დროს მიყვარს ვაკის თავში ყოფნა, სწორედ იქ, სადაც ახლად დატევრებულ ვაკის ბაღის აშვებული შადრევნები ცას შეფრქვეულნი ჰაერშივე თეთრად სდუღან და კელაპტრობენ. ციდანაც წყალი მოდის შხაპუნით და მიწიდან ღრუბლებამდე თითქოს წყლის სვეტები ამაღლებულან. ყველაფერი სველია გარშემო, ყველაფერი წყლიანია. დასველებული წყნეთელი თუ კიკეთელი გლეხი ავტობუსიდან ცალყბად იყურება და იღიმება. მას ქვეყნის სინედლე ახარებს.

არცთუ იშვიათად ხოშკაკალი თუ სეტყვა აგრიალდება ქალაქში. ასეთ დროს მეჩვენება, კავკასიონზე დაჯახებულ ჯიხვების რქების ცივი ნაპერწკალი აქეთ სცვივა-მეთქი.

მეტად საყვარელი პარკია ვაკის პარკი. იგი სულ ახლახანს აშენდა, მაგრამ ხეები მაღლა აიყარნენ, ტყედ იქცნენ, ალაგ-ალაგ გაუვალი ტევრებით ჩაღამებულან. მისი ბილიკები კუს ტბისკენ მაღლდებიან და მთაწმინდის კალთებს უერთდებიან, აქედან კი ნარიყალას გადმოსახედებთან ბოტანიკური ბაღის ფართე და ლამაზი ხეივნები უხვევენ. ასე რომ, თბილისი დასავლეთ-სამხრეთის კედლიდან თვალსანეტარო მწვანე ტყე-ბაღებით არის შემორაგული.

თბილისში ქარი ნაკლებად იცის. მაგრამ როცა შემოვარდება იგი, ძუ მგელივით ღრენით ეცემა ადამიანების ძვალ-რბილსაც და სულსაც. ყველაზე ძლიერად საბურთალოს ახალგაშენებულ ქუჩებსა და სახლებს უტევს ქარი. თან მიაქვს კირის, ცემენტისა და ცხელი ასფალტის სუნი. ჯერ კიდევ აგურგაუმშრალი რვასართულიანი ბინების შუა ქშუილით დათარეშობს იგი და სარგებლობს იმით, რომ იმ მხარეზე ნარგავების სიმცირეა. საბურთალოს ქარი და ახალი ბინები ღვიძლებივით გვანან ერთმანეთს. როგორც ერთი ქუჩის ქარს ვერ გაარჩევ მეორისაგან, ისე ერთი ქუჩის ბინას ვერ განასხვავებ მეორისაგან. ქარი აზროვნებას ართმევს ადამიანს. ამიტომ არ მიყვარს იგი.

თბილისში სამაგიეროდ კარგია შემოდგომა. იგი, როგორც იტყვიან, ნეტარების დროა ჩვენს ქალაქში. მზე უფრო ოქროსფერი და ალერსიანი ხდება, დილა ცინცხალია და ხალისით სავსე, საღამო შუბლგახსნილია და გრილი. თონეებთან ახალი პურის სუნი დაგზაფრავთ. სავაჭროებიდან ყურძნის და ატმის სურნელება გაგაბრუებთ.

ადამიანები უფრო ჯანღონით სავსენი იყურებიან. ბაღებსა და სანაპირო ხეივნებში ხეთა მწიფე ფოთლები ღვივის.

სპორტის სასახლესთან მოედანი დიდია. ერთი მხრით თითონ სასახლე დგას, რომლის გუმბათი და შიგა საჯდომები უთუოდ უნიკალურია და სახარბიელოდ გაკეთებული. როცა იქ ზიხარ, გეჩვენება სადღაც კავკასიონის მწვანე კლდეფერდზე ხარ ჩამომჯდარი. მოედნის გადმოღმა ბრწყინვალე სრა-სასახლეებია — პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობები, აკადემიის საცხოვრებელი სახლი.

საერთოდ, ეს მოედანი უთუოდ ულამაზესი და სისხლსავსე მოედანია.

მე მეტად მომწონს საბურთალოდან ვაკის გასასვლელთან კლდეზე გაჭრილი გზა. აი ქუჩა, რომელიც სამაგალითოა ყველა ქუჩის მშენებლისათვის. როდესაც საბურთალოდან ვაკისკენ ამოვდივარ, მგონია ცისკენ ამართულ გზას მივყვები. შუაში მშვენიერი ხეივნები, აქეთ-იქით ვეფხისფერი კლდის ჩამოკვეთილი ბუნებრივი კედლები.

მითხრეს, აქ გათვალისწინებულია იმავე კლდეშივე გამოიკვეთოს ვაჟასა და ყაზბეგის პორტრეტებიო.

მართლაც, რომ მშვენიერი და ორიგინალური იქნება ამ ჩანაფიქრის განხორციელება. ქალაქი თანდათან მშვენიერდება. ესეც ერთი ულამაზესი კუთხეა ჩვენი ახალი თბილისის.

ყოველი თბილისელის თვალს ახარებს და აამაყებს ბარათაშვილის ხიდის მიდამოების ესოდენ გემოვნებით გადაკეთება. გადაკეთება კი არა, ახლად აშენება. მეტად ორიგინალური ხიდის გადასასვლელებს უხდება ფართოდ გაშლილი, თითქოს თეატრალურ-დეკორატიული სილამაზით დახატული, ერთმანეთში გეგმიანად გადახლართული გზები და ტროტუარები.

ბარათაშვილის აღმართზე მუდამ სველი კლდის ნაჟური წყალი ჩაღურღულებს მტკვარს. ხიდიც და გზის კიდეებიც კლდისფერი ქვით არის მოპირკეთებული, ამიტომ მთელი ეს ნიდამო ერთ მთლიან ქვაში ამოკვეთილსა ჰგავს.

ახლა მთავარია ლენინის მოედანთან მისასვლელების სრული რეკონსტრუქცია.

მეტეხის ქვემოთ მიდამო უკანასკნელ ორ-სამ წელში სრულიად გამოიცვალა. მარჯვენა სანაპირო ქუჩის გაშლამ და გამოძერწვამ, ბალნეოლოგიური სამკურნალო ქალაქის გაშენებამ, მტკვრის დაწმენდილ მოციმციმე სილურჯეში თუ ცის ლაჟვარდებში გადმოკიდებულ სამასი არაგველის კლდე-ძეგლის აღმართვამ, ქალაქის ამ ნაწილს სულ სხვა იერი და სილამაზე მისცა.

სულ ახლო ხანში აქვე აღიმართა მაჩაბლის კედელი. ეს ის პირველი ქართველი ხელოვანი — მსახიობია, რომელიც, გადმოცემით, ერეკლეს სასახლის თეატრს ხელმძღვანელობდა და ბრძოლებში გასამხნევებლად მიუძღოდა აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ქართველთა ლაშქარს. იგი თითქოს სწორედ ამ ადგილებში დაეცა ბრძოლის ველზე. ახლა მადლიერი ხალხი დიდი რევოლუციის 50 წლისთავზე უკვდავების კედელს უგებს მას. დე, გაიგონ ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა, როგორი წინაპარი ჰყავდა ლადო მესხიშვილს, რომელიც თითონაც ბარიკადებზე, თოფით ხელში ებრძოდა შავრაზმელთა ხროვას.

აი საიდან მოდის კოტე მარჯანიშვილის, ალექსანდრე ახმეტელის, ალექსანდრე იმედაშვილის, უშანგი ჩხეიძის, შალვა ღამბაშიძისა და გიორგი შავგულიძის მემკვიდრეობის სინათლე. ეს სწორედ პირველი თბილისელი მსახიობია, რომლის სი-

ცოცხლე ასე წმინდა კელაპტარივით აინთო კრწანისის მისასვლელებთან.

ფირუზისფრად შებოლილ მეტეხის კლდეფერდსა და მთელ თბილისს გადმოსცქერის მისი ბალავერის გამჭრელი, ვახტანგ მგელ-ლომ მუზარადიანი გორგასალი. ეს ბრძენი მეფე, ელგუჯა ამაშუკელის ხელით ქვაში ჩათქმული და ქვის ცხენზევე შემართული, უკვდავებიდან გადმოვიდა და ჩვენ თვალგასახარად აქ დაბრძანდა. დიახ, დიდი ოქტომბრის რევოლუცია უდიდეს პატივსა სცემს ყოველ შემოქმედს. იგი არ ანსხვავებს არავის და, მზის არ იყოს, ყველას ერთნაირად ათბობს, მხოლოდ იგი ადამიანი იყოს, შემოქმედი იყოს, შუბლი ადამიანთა სიკეთეზე ნაფიქრალი ღარებით ჰქონდეს დანაოჭებული და ხელიც სუფთა ჰქონდეს. სწორედ ამიტომ დადგა ჩვენმა ხელისუფლებამ ორი მეფის ძეგლი: მოსკოვში — იური დოლგორუკისა, თბილისში — მეტეხის გადმოსახედზე — ვახტანგ გორგასალისა. რევოლუცია ებრძოდა მეფის ტახტს, რომელიც მილიონების კისერზე იყო შედგმული და არა დიდ შემოქმედებას და ადამიანთა სიყვარულს. რევოლუცია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა სიყვარულსა თუ ძმობას ნიშნავს და კიდევ, ღვაწლმოსილ ადამიანთა ამაღლებას...

დღევანდელ თბილისს საჰაერო გზებიც ამშვენებს და მიწისქვეშა ულამაზესი მეტროც.

ჰაერში დაკიდებული ვაგონები, ერთი წყვილი მთაწმინდის მაღლობისკენ და მეორე კუს ტბისკენ, ფერადი ბუშტებივით მიფრინავენ. ჩვენი ქალაქის მთავარ შემოქმედს, თბილისელ მშრომელ კაცს საშუალება აქვს თავისი ოჯახი სიცხიან დღეს გრილ ადგილებში აიყვანოს და ისიამოვნოს, მას უფლება აქვს დაისვენოს და სწორედ ამ მიზნით დაფრინავენ ეს ფერადი ვაგონებიც.

ქართველი ხალხის სიამაყე კი მაინც მეტროა. მიწისქვეშა რკინიგზა, მტკვრის ქვეშ მასზე გაფრენილი ელვა-ვაგონები, მისი უმშვენიერესი სადგურები თუ მოედნები, მათი ფერადი მარმარილოთი ნაქსოვი კედლები, ერის დიდ სიყვარულს ამტკიცებს და მის სულიერ გუმბათს სწევს მაღლა.

ამ მიწის პირზე უდიდესი ქვეყნების უმთავრეს ქალაქებსაც კი ვერ შეუქმნია მიწისქვეშა ასეთი ტრანსპორტი. პირვე-

ლად თბილისელმა კაცმა თითქოს არც კი დაიჯერა ეს. წინათ სულ მცირე საქმეზეც კი ისეთი ხმაური ატყდებოდა, რომ კვამლის კორიანტელი დგებოდა. ახლა კი ასეთი დიდი და ძვირფასი საქმე უხმაუროდ, მოკრძალებით და მართლაც რომ კომუნისტური სინდისითა და გემოვნებით გაკეთდა.

ჩვენი მამულის გაოცებული მშრომელები ჩამოდიოდნენ სოფლებიდან, ქალაქებიდან, საკურორტო დასახლებებიდან და მიწისქვეშა მოედნები ივსებოდა ადამიანებით, იქმნებოდა უსაშველო რიგები. ადამიანებს უნდოდათ ენახათ ეს ფერადი ზღაპარივით ნაქსოვი მტკვრისქვეშა გვირაბები. ნახეს და დიდად გაიხარეს კიდეც, ნამდვილად დიდად შეიყვარეს. მართლაც, არ შეიძლება რუსთაველის თუ მარჯანიშვილის მეტროს სადგურებზე თვალშევლებულმა კაცმა სიყვარულით არ გაიხსენოს ვინც ასე მდიდრულად, სიმშვენიერით და ერის დიდი სიყვარულით გამოძერწა თბილისის მეტროპოლიტენი, ვინც ის ჩაიფიქრა და ასე ლამაზად განახორციელა. ადამიანები ილტვიან სილამაზისა და სიმშვენიერის შესაქმნელად. ცხოვრება დღეს კატეგორიულად მოითხოვს მის გარშემო ყველა ნივთი თუ მოვლენა, რომელიც ადამიანის ხელითა და ადამიანისათვის კეთდება, იყოს გონიერი და მშვენიერი.

ამიტომ ერთნაირად ფასდებიან და საზოგადოების თვალში პატივისცემით მაღლდებიან გვირაბგამყვანი ობოლაძეები თუ სკულპტორული ნიჭით დაჯილდოებული ამაშუკელები. ამიტომ ანიჭებს ჩვენი ხალხი ერთს სოციალისტური გმირის სახელს და მეორეს — დიდი შოთას პრემიის ლაურეატობას.

შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა — აი, ჩვენი ხალხის და დროის უპირველესი ლოზუნგთაგანი.

რევოლუციამ ადამიანთა ნიჭსა და შემოქმედებას ფართოდ გაშლილი გზა გაუხსნა.

სწორედ ამ გარემოებამ გაამდიდრა და დიდებული სახე მისცა ჩვენს დროს, ჩვენს ცხოვრებას. რომ ეს არა, აბა, საქართველოს ელექტროფიკაცია ვით დაეწეოდა საფრანგეთის ელექტროფიკაციას, ან ქართველი კაცის სასკოლო-საერთო განათლება ასეთი ნაბიჯებით წინ რით გაუსწრებდა ევროპის ბევრ მოწინავე სახელმწიფოთა დონეს?!

რევოლუციამ და მხოლოდ რევოლუციამ შეძლო ჩვენი ერის შემობრუნება, წელში გამართვა, აღდგენა და ამაღლება.

აი, რა არ უნდა დაივიწყოს ქართველმა კაცმა.

მიწის პირზე ამ უკანასკნელ ათეულ წლებში ყველაზე შესანიშნავი მაინც ის ხდება, რომ მეცნიერება იპყრობს სოფლებს, ქალაქებს, სახელმწიფოებს. მეცნიერება და მხოლოდ მეცნიერება არის ადამიანთა წინსვლის უტყუარი და აუცილებელი მეგზური. იგია ყველგან, ყველა დარგში, ყველა გზაჯვარედინთა გადასასვლელებზე. ფიზიკა და ქიმია, კიბერნეტიკა და ავტომატიკა, ტელეხედვა და რადიოტექნიკა, ბიოლოგიის ურთულესი ხვრელების დაპყრობა და ადამიანის ტვინის სტრუქტურის თუ მოქმედებების მექანიზმებში გადატანა, კოსმიურ სამყაროს უჩვეულო ტემპით დაპყრობა და სრულიად ახალი მეცნიერული აღმოჩენები.

კაცობრიობას არ ახსოვს აქამდე მეცნიერების დაპყრობისა და გამოყენების ესოდენ დიდი ლტოლვა.

ადამიანები, ქალაქები, სახელმწიფოები დიდი ჟინით, მონდომებით და მტკიცე სურვილით მიიჩქარიან ახალახალი მეცნიერული სიმაღლეებისკენ. სულ ორ-სამ ათეულ წლებში იმდენი გაკეთდა ამ მხრივ, რომ მანამდე ამისი მსგავსი საუკუნეებს არ შეუქმნია.

ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ თუ რესპუბლიკად ის ითვლება, ვინც მეცნიერების მაღალი მწვერვალები დაიპყრო და გამოიყენა იგი თავისი ერის საკეთილდღეოდ. შენდება მეცნიერების უდიდესი საკვლევი ინსტიტუტები, შენდება მეცნიერების დიდი ქალაქები.

სოციალიზმმა კი უფრო დააჩქარა ხალხის ნებასურვილისამებრ მეცნიერების გამოყენება. თბილისიც ამ მხრივ დიდი ნაბიჯებით მიდის წინ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის პრეზიდიუმის შენობა სოლოლაკში მდებარეობს, ქართული მიწის ყველა კუთხეში შლის და აფართოებს თავის ქსელს.

ჩვენი სოფლის მეურნეობის, ქალაქის მრეწველობის თუ ცალკე მეცნიერებათა მიღწევები ჩვენი საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერების თვალთახედვის ქვეშ ვითარდება.

თბილისური სამეცნიერო სკოლის არაერთი დარგი არის

მთელ მიწის პირზე ცნობილი და სახელგანთქმული, ქართველი მეცნიერების საერთაშორისო ავტორიტეტი და დიდება უფრო მაღლდება და მტკიცდება მსოფლიოს დიდ და გამოჩენილ მოაზროვნეთა თვალში. ამას ყველაფერს, რასაკვირველია, მტკიცე და ძლიერი მეცნიერული ბაზა სჭირდება.

ჩვენი საკვლევი-სამეცნიერო ინსტიტუტები და სამეცნიერო ლაბორატორიები უთუოდ მეცნიერების დიდი აღმავლობის გამომხატველია. კიბერნეტიკის თუ ავტომატიკის ინსიტუტები, მათემატიკის თბილისური სკოლის საქვეყნოდ აღიარება, ბიოლოგიის ქართველ მეცნიერთა უდიდესი მიღწევები, ჩვენი ენათმეცნიერების, ჩვენი ფსიქოლოგების, ფიზიკოსებისა და ქიმიაში მოღვაწე მეცნიერების მონაპოვარნი უთუოდ ამაღლებს და აამაყებს ქართველ ხალხს. მთავარი და საცნაური ისაა, რომ ყველაფერი ეს შედეგია იმ ნახევარი საუკუნისა, რომლის თარიღი სწორედ რევოლუციიდან დაიწყო.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ჩელუსკინელთა ხიდის ხელმარჯვნივ საკმაოდ დიდი და ვრცელი გორაკი ე. წ. „მეცნიერების ქალაქს“ ეკუთვნის. უზარმაზარ, ნათელ და მაღალი გემოვნებით აშენებულ სასახლეებში მოთავსებულია ჩვენი მეცნიერების სხვადასხვა ინსტიტუტები, საკვლევი ლაბორატორიები, სამეცნიერო დაწესებულებები. საბედნიეროდ, აღარც ეს გორაკი ეყო ამ ქალაქს! მან ფართოდ, მთელ ქართულ მიწაზე გაშალა ფრთები. იგი გადავიდა ველზე და ბაღებში, მინდვრებში და საბალახოებზე. იგი გადავიდა ქარხნებში და მრეწველობის სხვა დარგებში. მთელი ჩვენი ცხოვრება თითქმის სავსებით მოექცა მეცნიერების ყოვლისშემძლე და მაღალი თაღების თვალყურის ქვეშ. ქართულ მიწას ახლა ნიადაგიც მეცნიერული აქვს და ცაც მისი სინათლით განათებული ახურავს. სხვანაირად არც შეიძლება. სხვაგვარად ერი წინ ვერ წაიწევს. ამიტომაა, რომ ნიკო მუსხელიშვილის წლებით დატვირთული გონება და შუბლი არ იღლება და არ ბერდება, რომ მისი ესოდენ ნაყოფიერი მეცნიერულ-შემოქმედებითი ცეცხლი ისევ ძლიერად გიზგიზებს და მედგრად, ახალგაზრდული სიჩაუქით მიუძღვის ქართველ მეცნიერთა მოაზროვნე-მებრძოლ ვაჟკაცებს. ამიტომაა, რომ ივანე ბერიტაშვილის დიდი და ნათელი გონების შუქი ისევ ძლიერად მოჩანს მსოფლიოს მეცნიერთა ნათელ სამ-

ყაროში. ასეა, მამულის დიდი სიყვარული უსათუოდ ახალგრძლივებს სიცოცხლეს, ამრავლებს მეცნიერულ ენერგიას, ჯანღონეს უორკეცებს სამშობლოსათვის თავდადებულ ამ უანგარო მოღვაწეებს. სწორედ ასეთ მეცნიერთა მეთაურობით იზრდებიან დღევანდელი ქართველი ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერები.

თითქმის ნახევარი საუკუნეა თბილისის უნივერსიტეტის მაღალი, თეთრი და წმინდა კედლები ათასობით უნიჭიერეს ახალგაზრდას უზრდის საბჭოთა საქართველოს. თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერები და სტუდენტები უსათუოდ ის ფესვია, რომლითაც საზრდოობს და ძალას იკრებს ჩვენი მამული. ჩვენს უნივერსიტეტს გვერდით უდგანან და სიკეთით ეპაექრებიან ჩვენი ინსტიტუტები, რომლებშიც ათასობით ქართველი ახალგაზრდა იზრდება და იკვლევს ცხოვრებაში გზას.

უნივერსიტეტს და ინსტიტუტებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი, საქვეყნოდ განთქმული მეცნიერები და ორგანიზატორები. ზოგიერთი მათგანი უკვე ათეული წლების მანძილზე, როგორც მჭედელი ამირანი ღვთიურ ცეცხლზე, სჭედს და კვერავს ჩვენი მამულის ხვალინდელ დღეს. ისინი სიყვარულით და კეთილშობილებით იღვწიან ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისათვის. ჩვენი უნივერსიტეტის თუ ინსტიტუტთა მეცნიერები და ხელმძღვანელები უთუოდ ჩვენი სამშობლოს უდიდესი მოღვაწენი არიან. მათი შუბლის სიწმინდესა და სინათლეზეა დამოკიდებული ჩვენი მამულის მომავალი. თბილისის მეცნიერები თუ პედაგოგები არავის ტოლს არ უგდებენ და, მართლაც, ამის საუკეთესო მაგალითი მოგვცა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა მათემატიკოსმა, ნათელმა ვაჟკაცმა ილია ვეკუამ. იგი ხომ წლების მანძილზე ასე სასახელოდ ხელმძღვანელობდა რუსეთის მეცნიერების ერთ-ერთ უდიდეს კერას?! და ახლა თბილისის უნივერსიტეტს უდგას სათავეში. ვის არ ეამაყება ის ამბავი, რომ პროფესორი იოსებ ბუაჩიძე ამდენი ხანი ასე უზადოდ, დიდი ნიჭითა და მამულიშვილური სისპეტაკით უძღვება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ურთულეს და უდიდეს ინსტიტუტს. ჩვენ გვყვანან უმაღლესი სკოლების მეტად გამოცდილი და მეცნიერულ-ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ადა-

მიანები, რომელთა სახელები თბილისის სიამაყეა და მისი ინ-ტელიგენციის ავტორიტეტს ამაღლებს და ალამაზებს.

ეს უხარია ჩვენს სამშობლოს, ეს ეამაყება ჩვენს ხალხს.

რასაკვირველია, ამას საფუძველს აძლევს ჩვენი საშუალო სკოლა, რომელთა დიდი სიკეთეების თავდები ჩვენი შესანიშ-ნავი მასწავლებლებია. საქვეყნოდ ცნობილია მასწავლებლის როლი სახელმწიფოში. თბილისის მასწავლებლები უთუოდ მეტად განათლებულ, ნიჭიერ და მამულისათვის თავდადებულ ადამიანთა აღმზრდელები არიან. ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი მეტად შესანიშნავი მაგალითი.

როგორც ცნობილია, თბილისელმა ჭაბუკმა თეიმურაზ ვეფხ-ვაძემ ბრწყინვალედ ამოხსნა უდიდესი ფრანგი მათემატიკოსის ლიუვილის განზრახ სხვებისთვის ამოსახსნელად დატოვებული ფორმულები. ამ დიდმა მეცნიერმა შექმნა რა ეს მეტად რთუ-ლი, მეცნიერულად საინტერესო მათემატიკური ფორმულები, რომელნიც მეცნიერებაში „ლიუვილის გამოცანით" არის ცნო-ბილი, დაიბარა „ვისაც სურს, დაე თავად სცადოს გამოყვანაო". ასი წელი ვერავინ შეძლო ამ გამოცანის ამოხსნა. ათასობით მა-თემატიკოსების ხელი და გონება შეეხო ამ ასი წლის მანძილზე ლიუვილის ამ ფორმულებს და მაინც ვერ მოხერხდა მისი ამოხ-სნა. და აი, თბილისელმა საშუალო სკოლის მოსწავლემ შეძლო ეს. როცა თეიმურაზ ვეფხვაძეს ჰკითხეს, თუ რატომ დაინტე-რესდა ის ასე ღრმად მათემატიკით, მან უპასუხა, რომ მათემა-ტიკისადმი ესოდენ დიდი სიყვარული შთაუნერგა მისმა მას-წავლებელმა შოთა იაშვილმა.

„მე ძალიან გატაცებული ვიყავი ფეხბურთით, სიმართლე უნდა ითქვას, უკვე საკმაო მიღწევებიც მქონდა სპორტის ამ დარგში, მაგრამ შოთა იაშვილს სწამდა, რომ ამ ქვეყნად არ არსებობს მათემატიკაზე მშვენიერი მეცნიერება, თვითონ მას ღრმად სჯეროდა ეს და ჩვენც ამაში ძლიერად და ღრმად დაგ-ვარწმუნა. ჩვენ თანდათან ჩაგვითრია სხვადასხვა მათემატი-კურ უცნობ ამოცანების ამოხსნებში, შეგვაყვარა ეს საგანი და ბოლოსდაბოლოს გვაზიარა ამ მეცნიერებას, მართლაც, დიდი ძალღონითა და სიმშვენიერით. ჩვენც ყველაფერს მათემატიკა ვამჯობინეთ, ყველაზე უფრო ის შევიყვარეთ".

თეიმურაზ ვეფხვაძემ, მართლაც, დიდებულად ახსნა აქ

მასწავლებლის ძალღონე და სიყვარული. აი, როგორი სასწაულები შეუძლიათ მასწავლებლებს. მართლაც, შოთა იაშვილის მათემატიკის სახელმძღვანელოები ორი ათეული წელი შეუცვლელად ემსახურება ჩვენს სკოლას. ამ ნათელმა მოღვაწემ ჭეშმარიტად დიდი სიყვარულით შეაყვარა ხალხისთვის ესოდენ უძვირფასესი მეცნიერება თავის აღსაზრდელებს. სწორედ ამის შესახებ წერდნენ რუსეთის ცნობილი ჟურნალისტები და ქვეყანას ამცნობდნენ შოთა იაშვილის პედაგოგიურ ძალაზე და ნიჭიერებაზე. იმაზე, რომ თბილისის სკოლებს ჰყავს ისეთი მასწავლებლები, რომელთაც შეუძლიათ ახალგაზრდა ადამიანებს ძლიერად, ვიმეორებ, ძალიან ღრმად და ძლიერად შეაყვარონ ის, რაც თვითონ ასე სწამთ და უყვართ. მე მწამს, რომ შოთა იაშვილი ნამდვილად მართალია. იმ საგნებიდან, რომელნიც ხელოვნებას თითქოს დღემდე არ მიეკუთვნებოდნენ, მათემატიკა ყველაზე მეტად ემსახურება მშვენიერებას. ამას ამტკიცებდა დიდი ლეონარდო, რომ მათემატიკური გამოანგარიშებებით აღწევდა ამა თუ იმ უმაღლეს სიმშვენიერეთა გამოძერწვას. ეს დაამტკიცა თანამედროვე მათემატიკამ, რომელთა გამოთვლებმა ისეთი ულამაზესი მშვენიერებანი შექმნეს, რომლის შესახებ უდიდეს ესთეტებსაც კი წარმოდგენა არ ჰქონდათ დღემდე.

დიახ, თბილისის სკოლებს ჰყავს შესანიშნავი მასწავლებლები და თბილისის აკადემიას ჰყავს საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები. ყოველი ქვეყანა, როგორი დიდიც არ უნდა იყოს, უსათუოდ იამაყებდა ჩვენი მეცნიერების არა ერთი და ორი ნაშრომით. იამაყებდა ჩვენი მასიური სკოლის მასწავლებლებით, მათი დიდი მამულიშვილური სიყვარულით.

სანაპიროს მოგვანე სინათლეები

ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში ლენინგრადში პირველად მოვხვდი. პირველად ვნახე გრანიტით ამოქობილი უზარმაზარი ნევის კალაპოტი. ლამპიონებით განათებულმა მისმა ქვით ნაძერწმა არხებმა, ნევის ნაპირზე ჩასასვლელმა გრანიტისავე კიბეებმა მომხიბლა და გამახარა. მის ნახვამდე ჩემთვის

წარმოუდგენელი გახლდათ მდინარის სანაპიროს ასეთი სილამაზე. მაშინ მტკვრისა და რიონის ნაპირებზე მუდამ აშმორებული გაუვალი ტალახი იყო. მეთულუხეები, მეეტლეები, მედროგეები ყოველთვის ირეოდნენ სანაპიროზე და ზამთარზაფხულ, წვიმაში თუ დარში მდინარეების ახლომახლო ყველაფერი ყარდა. ამის მნახველი, რასაკვირველია, ლენინგრადმა და მისმა მეფურმა ნევის სანაპირომ გამაოცა.

ამასთან ნევის ნაპირები მაშინ ჩვენთვის სხვა რომანტიკა იყო. აქედან ხომ „ავრორამ" პირველად ამცნო ადამიანებს სამყაროს წაღმართად დაბრუნების წუთები. სწორედ მის ნაპირებთან მოინახა დედამიწის საყრდნობი წერტილი!.. ლენინგრადში პირველად ჩასულებს ჯერ კიდევ ყურებში ამ გასროლის ეხო გვესმოდა და გუგუნებდა. რატომღაც, როცა მტკვრის დღევანდელ სანაპიროზე პირველად გავიარე და მისი სილამაზე შევიგრძენ, მომეჩვენა, რომ ავრორაზე გასროლის ხმამ მტკვარს ახლა აგრძნობინა მისი სიძლიერე და სილამაზე. ღმერთო შენით და მაშინაც ნევის ნაპირზე ერთი რამე ვიფიქრე: ნუთუ მტკვარსა და რიონს ოდესმე ასე ქვით ტანჩაცმულს ვიხილავ-მეთქი?!

მე, რასაკვირველია, ვიცოდი, რომ პეტრე პირველმა ჩააცვა ეს გრანიტის პერანგი ნევას, მაგრამ მე რატომღაც ეს სიმშვენიერე რევოლუციას მივაკუთვნე. გაგიტყდებით და იმასაც გაგიმხელთ, რომ გასულ წელს მტკვრის კალაპოტში პიონერებით სავსე პატარა გემი დავინახე, და მომეჩვენა, თითქოს მტკვრის ტალღებზე ავრორას ლანდი ქანაობდა. შეიძლება იმიტომ, რომ მაშინ ეს გემი ზამთრის სასახლის ახლოს იდგა და, როგორც რევოლუციის ცოცხალ მოწმეს, პიონერების ასეულები ეხვეოდნენ.

მაშინ გული დამწყდა და მეტკინა კიდეც, რომ მტკვრისა და რიონის ნაპირები ასე უპატრონოდ მიტოვებული და ულმობელი სანახავი გახლდათ. ახლა კი დილითაც დავხედავ მოდუდუნე მტკვარს და საღამოსაც მის ნაპირზე ვსეირნობ. პატარაობიდან წყალი მიყვარდა, მისი გიჟი ვიყავი. ახლაც მისი ნახვა თვალს ახარებს, ფიქრს მიამებს! და როცა ღამით დღესავით განათებულ მტკვარსა და მის თვალწარმტაც სანაპიროს დავცქერი, ჯანი და ღონე მემატება, მისი კლდისფერით ამოქვიტკი-

რებული ნაპირები, ჭადრების ხეივნები და მდინარეში ჩადგმული ხიდების ვეფხვის ბრწყალიანით მოხუჭული უთოები სიამაყეს მმატებს. მიყვარს და მიხარია!

დიდუბის ახალი ხიდიდან ვიდრე ორთაჭალის ბაღამდე სანაპირო მიყვება მტკვრის ნაპირს.

მიჰქრიან საბარგო ავტოები თუ ავტობუსები, მსუბუქი მანქანები თუ მოტოროლები, მიჰქრიან და კიდევ მეტ ტემპერამენტს უმატებენ ქალაქს. სანაპირო უსათუოდ ერთ-ერთი ულამაზესი და უმშვენიერესი ადგილია თბილისის მიდამოებისა.

თბილისს საოცრად ლამაზი სანახები აქვს. ვინც დაკვირვებია ისანის თუ სვანეთის უბნების ცხოვრებას, ვაკისა თუ სოლოლაკის გამშვენიერებულ ქუჩებს, ბაღებს და ეზოებს, ვინც ფეხით აყოლია შავნაბადას გორაკს და იქიდან გადმოუხედავს თბილისისათვის, ვისაც დიღმისკენ გაუვლია და თბილისის ჩრდილოეთის კარებთან ზვრებსა და ბაღებს დაკვირვებია, ვინც თბილისის ზღვაზე ერთხელ მაინც საბანაოდ ასულა და ახლად გაშლილ ულამაზეს ფართო გზიდან ატევრებულ ბაღ-ვენახებისთვის თვალი შეუვლია, მან იცის ამ სანახების სილამაზე, სიმშვენიერე და დიდებულება. ვის არ მონდომებია ამ ადგილებში გადმოხტომა, მუხლზე დაცემა და ცისა და მიწისთვის შეღაღადება, რომ თბილისის ნიადაგი და სამყარო თავისი კიდეგანითა და გუმბათით ასე აბიბინებულია, ასე თვალწარმტაცია და ლამაზი.

და ყველაფერი ეს ქართველი კაცის შრომითა და ოფლით არის შექმნილი. ყველაფერი ეს რევოლუციის იმ დიდი და ნათელი დღის შედეგია, თორემ რვა საუკუნე ქართველმა კაცმა ყვავილი ვერ გაახსნევინა მის მიწაზე ვერც ერთ ნერგს, ჩეხდნენ და სწვავდნენ ზვრებსა და ვენახებს, სჭრიდნენ და ჰყიდნენ ძელქვასა და კაკალს, იმონებდნენ და ყლეტდნენ ქართველ მოსახლეობას, რუსეთთან შეერთების წინა დღეებში ნახევარ მილიონზე დავიდა ერთ დროს მიწის პირზე სახელგანთქმული ქართველი ერი. ამიტომ და სწორედ ამიტომ იყო ის, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ქართველი კაცი დღე და ღამე ილტოდა ყოველივე რევოლუციონერობისადმი, ყოველივე პროგრესულობისადმი, ყოველივე სიახლისადმი, იბრძოდა ადამიანთა ყოველი მტრობისა და მტარვალობის წინააღ-

მდეგ. დიდი რუსეთის ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი კეთილშობილური ფაქტი, რომ ქართველ კაცს მონაწილეობა არ მიეღოს, თავისი ვაჟკაცური სიტყვა არ ეთქვას, ნათელ საქმეში მარჯვენა არ მოექნიოს.

ლომსა და არწივს ბნკალი არ დაუცვდება

გურიის ჯანყიდან ვიდრე ოქტომბრის დიდ დღეებამდე ქართველი კაცი რუსეთის მოწინავე და ნათელ ინტელიგენციასთან ერთად იბრძოდა ადამიანთა დიდი სინათლისათვის, მისი დიდი მომავლისათვის. საოცარია, ამ პატარა ერმა რამდენი გმირი მისცა ქვეყანას, რამდენი ლეგენდარული ვაჟკაცი აღუზარდა მამულს. უთუოდ ესეც იყო ერთი მიზეზი, რომ ჯერ კიდევ ადრე რუსეთის დიდი მოაზროვნეების თვალი საქართველოსკენ, თბილისისკენ იყო მიპყრობილი, მათი მახვილი ყური ჩვენკენ იყო მოყურადებული. პუშკინი თუ ლერმონტოვი, ტოლსტოი თუ ჩაიკოვსკი ქართულ მიწაზე ჰპოვებდნენ ხშირად მას, რასაც სხვაგან ვერ პოულობდნენ. მათ, რასაკვირველია, არა მარტო ქართული მიწის სილამაზე იზიდავდა აქეთკენ. მათ იცოდნენ და სწამდათ, რომ ქართველი კაცის გული ვაჟკაცურია და პატიოსნებით აღსავსეა. იცოდნენ და სწამდათ, რომ ქართველი ვაჟკაცი გონიერი და სულით მდიდარია, მკლავმაგარია, გამტანია, უღალატოა. მათ ღრმად სწამდათ, რომ ქართველ ნათელ ვაჟკაცებს გულწრფელად უყვარდათ რუსი გმირი ხალხის სისხლით მორწყული დიდი რუსეთის მიწაწყალი, რომ არაერთ ქართველ ვაჟკაცს თავისი ნათელი სულით და გულით მტკიცედ დაუცავს ვაჟკაცთაგან დასაცავი რუსული მიწაწყალი. დაუცავთ და სიცოცხლეც უანგაროდ შეუწირავთ. ბაგრატიონები თუ ფანჩულიძეები, კალანდარიშვილები და კიკვიძეები ყოველთვის გულწრფელი სიყვარულით და მამულიშვილური პატიოსნებით ეცემოდნენ რუსეთის მტრებთან ბრძოლებში, რადგან მათ გულწრფელად სწამდათ ამ ხალხის დიდი მომავალი.

რუსეთის რომანოვების სამასწლიანი ტახტის ფუძე და საყრდენი მეოცე საუკუნის დასაწყისში შეირყა. თითქოს ზედიზედ

წაეწყო ისტორიული ამბები. იაპონიის ომი, ცხრაას ხუთის უდიდესი არეულობანი, ლენის სისხლიანი დღეები, მსოფლიოს პირველი ომი და ბოლოს რომანოვების ტახტის მომსპობი თებერვლის რევოლუცია. ამ ისტორიულ გადასასვლელებზე და გზაჯვარედინებზე ქართველი კაცი ყოველთვის რუსეთის ნათელგონებიან ადამიანებთან იდგა, მისი მოწინავე ინტელიგენციის მხარდამხარ მიდიოდა.

გულწრფელად უნდა ითქვას, რომ კაცობრიობის ისტორიას ნაკლებად ახსოვს ისეთი დიდი და გონებამაღალი პარტია, როგორიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო. ამ პარტიაში და განსაკუთრებით მის საქვეყნოდ განთქმულ ბოლშევიკურ ნაწილში საქართველოს წარგზავნილები დიდი ლენინის ფიქრთან და აზრთან განუშორებლად და მხარდამხარ იდგნენ. მისი სიტყვის კვალზე რაზმავდნენ თავის ხალხსა და ყველა ადამიანს მოუწოდებდნენ დიდი საქმის გასაკვალავად. თბილისის პროლეტარიატი და მისი მეთაური პარტია ყოველ წამსა და ყოველ წუთს მზად იყო დაეცვა ლენინის აზრი და ფიქრი. რევოლუციის 50 წლისთავზე თბილისის მოსახლეობა და მისი ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაცია ამაყად და დიდებით წარსდგა. მისი წითელი დროშა წმინდაა, მისი შუბლი ნათელია და მაღალი. დაუთვლელი ფაქტებიაღადებენ ამ უტყუარ ჭეშმარიტებას. მე მხოლოდ ორიოდე მინდა გავიხსენო.

პირველი: თებერვლის რევოლუცია მოხდა. დამკვიდრდა ბურჟუაზიული ხელისუფლება. ლენინი შვეიცარიიდან ამხანაგების თანხლებით, რომელთა შორის საქვეყნოდ ცნობილი ჩვენი პარტიის მესამე ყრილობის გამხსნელი და თავმჯდომარე მიხა ცხაკაიაც იყო, რუსეთში ჩამოდის. რასაკვირველია, ლენინი კერენსკის და მილიუკოვის დასახმარებლად არ ჩამოსულა. ეს იცოდნენ ბურჟუაზიული მთავრობის წევრებმა, ეს იცოდა რუსეთის პროლეტარიატმა და მისმა მეთაურმა ბოლშევიკურმა პარტიამ.

დროებითი მთავრობა ყოველგვარ ბინძურ ხერხებს მიმართავს, რათა ვლადიმერ ლენინის უწმინდესი სახელი შეურაცხყოს, ტალახში ამოსვაროს, რუსეთის მოღალატედ გამოაცხადოს, ყველა აუკრძალავ თუ აკრძალულ მეთოდს ხმარობს და აი, მოითხოვეს სასამართლო. იცოდნენ რა ლენინის უმწიკვლო

პატიოსნებისა და უშიშარი ხასიათის შესახებ, იფიქრეს, ლენინი სასამართლოზე გამოცხადდებაო.

მართლაც, ზოგიერთებმა მოითხოვეს კიდეც ვლადიმერ ილიას ძის დანებება და სასამართლოზე გამოცხადება. რასაკვირველია, ეს უდიდესი შეცდომა იქნებოდა. ბურჟუაზიას და მის მეთაურებს უთუოდ გადაწყვეტილი ჰქონდათ მათთვის ამ ყველაზე საშიშ კაცთან გასწორება. უნდა ვიფიქროთ, რომ მათ უკვე ხელის გულები ექაღებოდათ ჩახმახის გამოსაკრავად.

მაშინ ქართველმა კომუნისტებმა ლენინის თანამოაზრეებთან ერთად ცენტრალურ კომიტეტში ერთხმად და დაჟინებით მოითხოვეს ლენინის გადამალვა, მისი პეტროგრადიდან დროებით გარიდება. დღეს ყველამ იცის, თუ რას ნიშნავდა ეს ჩვენი პარტიისათვის! ერთი მცდარი ნაბიჯი და შეიძლება პარტიას ლენინი დაეკარგა.

მეორე: თბილისელი კომუნისტების მიერ ვ. ლენინის ასე დაჟინებით დაცვა შემთხვევითი და რომელიმე ცალკე ქართველი კომუნისტის ინდივიდუალური სურვილი როდი იყო?! იგი იყო თბილისის ორგანიზაციის საერთო სურვილი და ინტერესი. ეს იყო თბილისის მუშათა კლასის ნათელი გონების ნაყოფი. მე ვიტყოდი, ეს იყო რევოლუციონური ხილვის საოცარი დაუვიწყარი ისტორიული აქტი.

გავიხსენოთ ფაქტები: 1917 წლის 7 ივლისს კერენსკის მთავრობამ ბრძანა ლენინის დაპატიმრება (სხვათაშორის დიდძალი თანხა აღუთქვეს ლენინის გამცემებსაც).

არ დაგვავიწყდეს, რომ მაშინ საქართველოში მენშევიკური მთავრობაა. რუსეთიდან ცნობები ძნელად და ძუნწად მოდის. მით უმეტეს ლენინის შესახებ. და მაინც, ცხრა ივლისს, თბილისის მუშათა კლასი (შვიდიდან ცხრამდე ხომ ერთი დღეა) ალექსანდროვის ბაღში აწყობს გრანდიოზულ-მიტინგს. ამ მიტინგზე გამოდიან მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები და გამოაქვთ რეზოლუცია, სადაც ნათქვამია შემდეგი:

„კონტრრევოლუცია დგამს გაზიმილ ნაბიჯს. ამ დატუსაღებას მოყვება სხვაც, რათა მიაღწიონ თავიანთ მიზანს, უმეთაუროდ დატოვონ პროლეტარიატი.“

ეს რეზოლუცია იმავე წლის თერთმეტ ივლისს დაისტამბა „კავკაზსკი რაბოჩი“-ში. ერთი თვის წინ კი ამავე გაზეთმა გა-

მოაქვეყნა ლენინის ვრცელი ბიოგრაფია. ეს იმ დროს, როცა რუსეთის ბურჟუაზიული პრესა ათასნაირი პროვოკაციული ცილისწამებით ხვდებოდა ლენინის ხსენებას.

თერთმეტ ივლისს ცენტრალური კომიტეტის დავალებით ვლ. ილიას ძე ლენინი ჩუმად გადაყვანილ იქნა ნ. ა. ემელიანოვის ბინაში რაზლივზე, პეტროგრადიდან ოცდაათი კილომეტრის დაშორებით, ფინეთის რკინიგზის ხაზზე.

ისტორიამ ისიც იცის, თუ რა როლი ითამაშეს რაზლივზე ლენინის გადაყვანაში თბილისელმა კომუნისტებმა.

იმავე წლის ოქტომბრის დასაწყისში თბილისში იხსნება კავკასიის ბოლშევიკების სამხარეო ყრილობა. ყრილობამ გასაოცარი წინასწარმეტყველური პოლიტიკური ალღოთი აღნიშნა ოქტომბრის დიდი დღეების მოახლოების თარიღი და გამოთქვა მტკიცე რწმენა, „რომ უახლოეს მომავალში რუსეთის მუშათა კლასი და რევოლუციონური გლეხობა თავიანთი ახალი რევოლუციით დაამხობენ მილიუკოვებისა და მათი ლაქიების, კერენსკების ბატონობას და შექმნიან შესაძლებლობას აძხ. ლენინისათვის, გამოვიდეს იატაკქვეშეთიდან და აშკარად დაიკავოს თავისი პოსტი ჩვენი პარტიის ბელადისა, რუსეთის რევოლუციის ბელადისა“.

თამამად შეიძლება ითქვას ეს უპრეცენდენტო ფაქტი.

აქ არა მარტო მოახლოებული რევოლუციის თავდადებული სიყვარული ჩანს, აქ აშკარად და განუზომელი სიმაღლით ჩანს რევოლუციის ბელადისადმი თავდადება და ერთგულება. ეს იმ დროს, როცა ჩვენი პარტიის ბევრი მანამდე გამოჩენილი ადამიანი დაიბნა, გაშტრეიკბრეხერდა, პარტიის გენერალური ხაზიდან გადავიდა. ერთი სიტყვით, პარტიის მოღალატე გახდა. თბილისის ორგანიზაცია და მისი დაზრდილი არწივები კი ბრწყალგაუცვეთლად იცავდნენ რევოლუციას და მის ბრძენ ბელადს, ლომების საბრძოლო ყიჟინით ესხმოდნენ თავს პროლეტარიატის საერთაშორისო მტრებს და რევოლუციის ბალავერის ჩაყრის საქმეში საპატიო როლს ასრულებდნენ.

* * *

თბილისის მუშათა კლასს ყოველთვის გვერდით ედგა მისი მშრომელი ინტელიგენცია და ხელოვნების მოღვაწენი. მათ

ღრმად სწამდათ რა რევოლუციის დიდი მომავალი, სწამდათ მისი დიდი სიკეთეების, თბილისელ მუშათა კლასთან ერთად ებმებოდნენ ამ დიდ მოძრაობაში. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ რევოლუციის პირველ დღესვე, ავრორას პირველი გასროლისთანავე, გალაკტიონი მოითხოვდა „დროშები ჩქარაო". ეს იყო მიზეზი, რომ კოტე მარჯანიშვილი სამოქალაქო ომში მიმავალ წითელარმიელებს „ფუენტე ოვეხუნა"-ს აჩვენებდა და რევოლუციურ ცეცხლს კიდევ უფრო მეტად უღვივებდა მათ. ეს იყო ის, რასაც „სულიკო"-ს დიდი ავტორი ეძებდა ერთ დროს და იროდიონ ევდოშვილის „მეგობრებო, წინ, წინ გასწით" მოითხოვდა. ქართველი ინტელიგენციის უკეთესი ნაწილი დადგა იქ, სადაც ქარიშხალი მძვინვარებდა და სისხლიანი ანგელოსი იდგა.

საბჭოთა მთავრობამაც პირველ დღეებშივე ხელი გაუწოდა ქართველ ინტელიგენციას. მან სრული ნდობითა და სიყვარულით გადასცა მაჩაბლის ბრწყინვალე სასახლე მათ გამგებლობაში.

ეს იყო იმის ნიშანი, რომ საქართველოში დაიწყო სრულიად ახალი ხანა, ხელოვნება და ხალხი დაძმობილდა, ღვიძლი გახდა. ამიტომ იყო, რომ პოეზია, რომელიც წინათ ბევრს მხოლოდ რჩეულთა კუთვნილებად მიაჩნდა, დინჯად და მოუბრუნებლად შემოტრიალდა ხალხისკენ. ეს იყო ინტელიგენციის მზისკენ მობრუნება, საყრდნობი წერტილის მინიშნება. მართლაც, მაჩაბლის ქუჩის ამ სახლში საოცარი ენერგიით და ენებით გაჩაღდა ხელოვნების სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემებზე მსჯელობანი და პაექრობანი. სწორედ ამ სასახლეში ჩაეყარა საფუძველი ქართული ხელოვნების დიად ერთიანობას, მის მონოლითობას. იგი წარიმართა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით: უანგარო სამსახური გაეწია თავისი მამულისათვის, დიდი ნიჭით და სიყვარულით შეექმნათ დიდი სახალხო ხელოვნება. აი, რა დასახა მიზნად მაშინ ქართულმა ხელოვნებამ. და მართლაც, ქართულმა მწერლობამ უდიდესი როლი შეასრულა ამ საამაყო და მამულიშვილურ საქმეში. გ. ტაბიძე და მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი და ტიციანი, ნიკო ლორთქიფანიძე თუ გერონტი ქიქოძე, გ. ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი, გ. ქუჩიშვილი და ალ. აბაშელი, მართალია, სხვადა-

სხვა უნარითა და ნიჭით, მაგრამ თავისი ხალხისადმი უზადო სიყვარულით შეუდგნენ ამ საშვილიშვილო, საამაყო საქმეს. ბევრი რამ შეძლეს მათ, ბევრი გააკეთეს, ბევრი ახალი ნაწარმოებით გაამდიდრეს ქართული ხელოვნების საგანძური, არა ერთი და ორი შედევრი დაუტოვეს თავის ხალხს.

რევოლუციის პირველი წლებიდანვე განსაკუთრებული როლი დაეკისრა თეატრს, რომელსაც სათავეში დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ჩაუდგა. საინტერესო ის არის, რომ მარჯანიშვილმა ხელი მოჰკიდა ამ საქმეს ახალგაზრდობასთან ერთად. მან დიდი შერჩევითა და სიყვარულით შემოიკრიბა ეს ახალგაზრდობა და ჭეშმარიტად ქართული თეატრის ისტორიის ბრწყინვალე ფურცლები ცნობილი „ცხვრის წყარო"-თი გახსნა.

დაიწყო ქართული თეატრის დიდი აღმავლობა. შეიქმნა ქართული ძლიერი დრამატურგია. თეატრი ნამდვილად გადაიქცა დიდი მხატვრული აზროვნების სახალხო ტრიბუნად.

კოტე მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის მხატვრული აზროვნების სიდიდემ მთელი ქართველი ხალხი თეატრისკენ შემოაბრუნა და თითქმის უკლებლივ მის გარშემო შემოკრიბა.

კოტე მარჯანიშვილი იყო ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლო თეატრი სამყაროს ყოველ კუნჭულში გაემართა და დიდი სპექტაკლები შეექმნა. მას ჰქონდა უნარი და საოცრად აღზევებული ნიჭი სცენაზე ნამდვილი თეატრალური, უდიდესი სანახაობანი შეექმნა. შეექმნა დიდი გემოვნებით, დიდი კულტურით, გასაოცარი მაღალი ნიჭიერებით. მისთვის თითქმის სულ ერთი იყო სად ხდებოდა ეს. მისთვის გეოგრაფიას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მას შეეძლო მარსზეც კი დაედგა სპექტაკლი, ოღონდ თეატრი მიგეცათ მისთვის.

ალ. ახმეტელს კი, პირიქით, არ შეეძლო ქართული მიწის გარეშე მხატვრულად ეაზროვნა. იგი სისხლით და ხორცით დაკავშირებული იყო თავის ერთან, ხალხთან, მამულთან. მას აღაფრთოვანებდა და ძალას აძლევდა ნაციონალური ელემენტები, მისი გეოგრაფია და ეროვნული სული, იგი ყველგან და ყველაფერში სწორედ ამას ეძებდა და ნახულობდა კიდეც. ორივენი მუდამ მღვიძარე რევოლუციის უნიჭიერესი დიდი თეატრალური მოღვაწეები გახდნენ.

დღესაც ჩვენი თეატრები პატიოსნად და სინდისიერად ემსახურებიან ჩვენს მამულს; რუსთაველის თუ მარჯანიშვილის თეატრების ახალმა დადგმებმა ცოტა ნიჭი და უნარი როდი აჩვენა თბილისის მეტად მაღალი გემოვნების მაყურებელს. ჩვენი ახალგაზრდობა მოდის ძლიერად და შეუპოვრად. მისი ნიჭი, გემოვნება და მაღალი კულტურა უთუოდ ამის თავდებია.

ჩვენს თეატრებს ჰყვანან მეტად ნიჭიერი ქალ-ვაჟნი, რომელთაც უნდა ვენდოთ და დავინახოთ მათი სიკეთეები. ჩვენს ქართულ სამყაროს დღეს ჰყავს ისეთი ახალგაზრდები, რომლითაც უსათუოდ იამაყებს ჩვენი ხალხი, რომლებიც კიდევ უფრო მაღლა ასწევენ მამულის ესოდენ წმინდა გუმბათს.

ქართულ მწერლობას თუ თეატრს ხალხი მეტი სიყვარულით, მაგრამ მეტი კრიტიკული თვალითაც უყურებს.

ჩვენი მამულის ახალგაზრდა მოღვაწეებს, ქართული პოეტური სიტყვის თუ თეატრალური კულტურის ოსტატებს ეს უნდა ახსოვდეთ ყოველთვის.

* * *

უკვე კარგა ხანია, რაც ქართული მუსიკალური კომედიის თეატრს ახალი შენობა აუგეს. თბილისისათვის ამ თეატრის შენობა უსათუოდ ერთ-ერთი შენაძენია. იგი აშენებულია თანამედროვე სტილით და გემოვნებით, მისი ფოიეები და საყურებელი დარბაზი მშვენიერია და აკუსტიკურადაც დამაკმაყოფილებელია. ახალი შენობის აგებამ ბუნებრივად გამოიწვია თეატრის შემადგენლობის შემოქმედებითი დონის დიდად ამაღლება.

ქართველმა ნიჭიერმა კომპოზიტორებმა თუ დირიჟორებმა თავი მოიყარეს ამ თეატრის გარშემო და ჩაებნენ მის მუშაობაში.

განსაკუთრებით სასიამოვნოა ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობების გამოჩენა. თბილისის მუსკომედიის თეატრმა არა ერთი შესანიშნავი სპექტაკლი უჩვენა თბილისის მაყურებელს.

თანდათან მდიდრდება ქართული სახვითი ხელოვნების თუ ქანდაკების მოღვაწეთა არმია. დღეს საქართველოს ჰყავს უაღრესად საინტერესო ახალგაზრდები. ჩვენი ფერწერა, ქანდაკება, ლითონთა ჭედვა და გრაფიკა საამაყოდ წავიდა წინ, ამაღლ-

და, ფრთები გაშალა. დღეს ათეულობით უბრწყინვალეს ოსტატებს ითვლის ხელოვნების ეს დარგები. ხანდახან ძნელი ხდება მათი დიდი სიკეთეების შეფასებაც კი. თბილისისათვის და თბილისელებისათვის ეს მეტად საამაყოა და გასახარი.

თბილისის ფალავნები

ორი სტადიონი აშენდა თბილისში, ერთი ე. წ. „დინამოს" სტადიონი, მეორე ვაკეში. მართლაც ლამაზი სტადიონებია. ჩვენი ახალგაზრდობის ჯანღონის და სიჩაუქის გამოსაძერწი მშვენიერი ადგილებია.

სპორტი ადამიანთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილად არის გადაქცეული. იგი მისი ჯანღონეც არის და მშვენიერებაც.

ბერძნების თუ რომის სახელმწიფოთა სიმძლავრე უსათუოდ მათი ახალგაზრდობის სპორტულ წრთვნაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ სცემდნენ ესოდენ დიდ პატივს ისინი სპორტსა და სპორტსმენებს. მათი სტადიონების ნანგრევებმა შემოგვინახეს ის გრანდიოზულობა, რომელიც მაშინდელ სპორტულ სამყაროში სუფევდა. ოლიმპიელების პატივისცემა და სიყვარული თითქმის გაღმერთებამდე მიდიოდა. და განა რომელ ხელოვანზე, მწერალზე ან ფილოსოფოსზე ნაკლებ პატივსა სცემდნენ ბერძნები თეზეოსსა და ჰერკულესს, რომელთა მითიური სახეები პირველყოვლისა მათ სპორტულ ცხოვრებაზე ღაღადებენ.

ან რატომ აუგეს რომაელებმა ძეგლი კარგი ცხენოსნობისათვის კოლხთა მეფეს თავის პირველი მოედნის საპატიო ადგილას?!

რევოლუციამ სპორტი სახალხო საკუთრებად აქცია. ჩვენი სპორტდარბაზები, მოედნები და ბრწყინვალე სასახლეები იმ დიდ სიყვარულზე ღაღადებს, რომლითაც სპორტი სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს უბრწყინვალესი სპორტსმენები ჰყავს. ჭადრაკის მსოფლიო დედოფალი ნონა გაფრინდაშვილი უთუოდ ჩვენი ხალხის სიამაყეა. მისი საზრიანობა, მისი სპორტული სიჩაუქე და ნათელი გონება მთელი ქვეყნის პირზე არის განთქმული. აბა, განა გასახარელი არ არის, როცა მისმა უმცროსმა ამხანაგმა მეტად ნიჭიერმა ქალიშვილმა ნანა ალექსანდრიამ

ქალთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა?! ხოლო პატარა გოგონამ ციური კობაიძემ ჩვენი დიდი ქვეყნის, საბჭოთა კავშირის გოგონათა შორის უძლეველობის თასი აიღო. ეს უსათუოდ სპორტის თბილისური სკოლაა.

სპორტის თბილისური სკოლის ბრწყინვალე ვაჟკაცები არიან თორნიკე სანებლიძე და ნიკოლოზ თაყაიშვილი, რომელთა დიდმა ნიჭმა და ვაჟკაცობამ ინდოეთის ხალხთა სპორტული ტანვარჯიშის გუმბათი აღამაღლა.

ქართული სპორტის ისტორიაში უსათუოდ საამაყოა ის მოვლენა, რომ ინდოეთის ქალთა ტანვარჯიშის პირველი უძლეველი ქალიშვილი ნანა თაყაიშვილი გახლავთ. მანვე უმეთაურა და გამოზარდა პირველი ინდოელი ტანმოვარჯიშე ქალიშვილები, რომლებიც დიდი სიყვარულით იხსენიებენ ამ სამი ადამიანის სახელს.

მთელ მსოფლიოში სახელი გაითქვა ქართულმა ჭიდაობამ, ხტომამ, კალათბურთმა თუ ფეხბურთმა.

ჩვენი გოლიათებია: ა. მეკოკიშვილი, გ. კარტოზია, ვ. ბალავაძე, დ. ციმაკურიძე, რ. აბაშიძე, გ. საღარაძე და სხვები. რომლებიც წლების მანძილზე მთელი ჩვენი სამყაროს საჭიდაო ხალიჩაზე შერკინების უძლეველ და მრისხანე გმირებს წარმოადგენენ.

ვინ დაივიწყებს კალათბურთის მსოფლიო ვაჟკაცის ოთარ ქორქიას სპორტულ სიჩაუქეს?! ახლაც ჯანღონით სავსეა, თავისი მოღვაწეობით ისევ გვახარებს ორი ვაჟკაცის მამა და ოთხი შვილიშვილის პაპა, კაცი — ლეგენდა ბორის პაიჭაძე. მიუხედავად იმისა, რომ ის უშუალოდ ფეხბურთისათვის უკვე შეჭარმაგდა, მისი უსაყვარლესი საქმისთვის მაინც მოუღლელად, პატიოსნად და შუბლნათლად იღვწის.

დიდია მათი ღვაწლი ქართული სპორტის ამაღლების საქმეში და დიდია მათი სიყვარულიც ქართველ ახალგაზრდობაში.

დიახ, ეს სპორტის თბილისური სკოლაა.

მთელ ქართველ ახალგაზრდობას ახარებს და აამაყებს ა. მეტრეველის ვაჟკაცური გამარჯვებები მსოფლიოს ჩოგბურთის უცხო ქვეყნების მოედნებზე. ახარებს და აამაყებს იმიტომ, რომ მდიდრდება თბილისის სასპორტო საერთაშორისო სახელი და სკოლის ავტორიტეტი.

საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში მთამსვლელებს დიდი და მაღალი ადგილი მიეკუთვნება. ჩვენი ქართველი მთამსვლელები, როგორც მათ უწოდებენ „მთის ვეფხები“, მსოფლიოს ყველა კუთხეში არიან ცნობილნი. კავკასიონის მწვერვალთა დამპყრობნი, რომელთა აკვანი გიორგი ნიკოლაძის ვაჟკაცური მკლავით დაირწა, პამირის დაუპყრობ მწვერვალთა ბინადარნიც შეიქმნენ. თბილისურ ალპინისტურ სკოლას დღეს ყველა სხვა ეროვნებების მთამსვლელები სცემენ პატივს. ეს ცოტა როდია. მარტო ალექსანდრა ჯაფარიძის სახელი რადა ღირს?! ამ შესანიშნავმა ქართველმა ქალმა თავისი წმინდა თეთრი მანდილი უშბას თუ კავკასიონის სხვა თეთრსავე მწვერვალებს შემოახვია. მანამდე რომ თეთრი არ ყოფილიყო ეს მწვერვალები, ალბათ, ლეგენდა შეითხზებოდა — ალექსანდრას თეთრმა წმინდა მანდილმა ამ მწვერვალთა წვერებიც შეათეთრაო.

ამ ქალის ოჯახმა ხომ ყველაზე დიდი შესაწირი შესწირა საბჭოთა ალპინიზმს. ალიოშა ჯაფარიძის საფლავი თხუთმეტი წელი ხომ ყინულეთის ციესა და მდუმარე სამყაროში იყო ჩაჩეხილი. დღეს კი მისი საფლავი მტკვრის მაღალი ბექობიდან გადაჰყურებს თბილისს. მისი სხეული და სული მუდამ მაღალი მწვერვალებისკენ ილტვოდა. იგი იქ ჩაიჩეხა უფსკრულებში და შემდეგ თბილისის მიწაზე უკვდავების მწვერვალზე ამაღლდა.

ასეა, სამშობლოს უყვარს მწვერვალებზე მოსიარულენი!

* * *

თბილისის ახალგაზრდობა დღეს არა მარტო ჯანით და ღონით სავსეა, იგი მეტად ლამაზია, მშვენიერია, რაც მთავარია, მეტად განათლებულია და კულტურული. ეს გასაგებიცაა. რევოლუციამ ყველაფერი გააკეთა ახალი თაობის აღზრდის კულტურის ასამაღლებლად. არც ერთ ქვეყანაში არ იხარჯება იმდენი ძალღონე და მატერიალური დოვლათი ახალგაზრდობის აღზრდისათვის, როგორც ჩვენთან. და მართლაც, ვისაც ჩვენს დღესასწაულებზე საზეიმოდ გამოსული ჩვენი ახალგაზრდობა უნახავს, მან იცის, როგორები არიან ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები. იშვიათად ნახავთ ისეთი გემოვნებით ჩაცმულს, ვაჟკაცურსა და სახემშვე-

ნიერ ახალგაზრდობას, როგორიც თბილისშია. საამაყო და გასახარელი ისაა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა დაწაფებულია მეცნიერებას, დიდი ვნებით ილტვის მისკენ და საოცარი ენინით იპყრობს მის მაღალ მწვერვალებს. ამის მაგალითები, ჩვენი ქვეყნის სასიხარულოდ და საამაყოდ, ერთი და ორი როდია, მაგრამ აქ მე მხოლოდ ორიოდეს გაგახსენებთ.

ამას წინათ საკავშირო აკადემიის წევრთა ასარჩევ სიაში რუსეთიდან წარდგენილი გახლდათ გ. ნ. თავხელიძე. მე ძალიან დავინტერესდი. მით უმეტეს, მის მამას, ოცდაათიანი წლების ახალგაზრდა კომუნისტს, კარგად ვიცნობდით ქართველი მწერლები, რადგან იგი იმ ხანებში ბაღდადის აღმასკომის თავმჯდომარე გახლდათ. ვლ. მაიაკოვსკის დღეებთან დაკავშირებით ჩვენ იქ ყოველ წელს ჩავდიოდით და მასპინძელიც ნიკიფორე თავხელიძე გახლდათ. იგი იყო მეტად წმინდა, პატიოსნებით აღსავსე ვაჟკაცი. და, აი, მისი ვაჟი, ახალგაზრდა მეცნიერი ასეთი სიმაღლეების დამპყრობი გამხდარა.

ან კიდევ რევაზ გამყრელიძის შესანიშნავი მაგალითი, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერი არაერთხელ იქნა ამერიკის ინსტიტუტებში და სამეცნიერო წრეებში თავისი მეცნიერული ავტორიტეტისათვის მიწვეული.

ვინ არ გაახარა ახალგაზრდა მეცნიერების თამაზ გამყრელიძის და გივი მაჭავარიანის უსათუოდ დიდმა მეცნიერულმა შრომამ ენათმეცნიერებაში. ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე გიორგი წერეთელი ამ წიგნის წინასიტყვაობაში დიდ მეცნიერულ შეფასებას აძლევს ამ ახალგაზრდა ვაჟკაცების ნაშრომს.

შეგრძანდით თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში და თქვენ იქ ნახავთ ახალგაზრდების უდიდეს რიგებს, რომლებიც ასეთივე ვნებით ილტვიან მეცნიერების დასაპყრობად. და მარტო საჯარო ბიბლიოთეკაშია ასეთი რიგები?! სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხელთნაწერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, ჩვენი უამრავი ინსტიტუტების ბიბლიოთეკებში ათასობით ნახავთ ჯერ კიდევ ახლად ულვაშაბიბინებულ ვაჟკაცებს და ახლად დაქალებულ უმშვენიერეს ქალწულებს.

ვინ იცის, რამდენი ასეთი ბიბლიოთეკა გვაქვს ახლა ჩვენ?! უნებლიეთ გახსენდება აღა მაჰმად ხანის ველური ურდოების

ვანდალიზმი, რომლებმაც 1795 წელს, გადასწვეს რა თბილისი, მიწასთან გაასწორეს თბილელი მიტროპოლიტის იოსებ სააკაძის მიერ მეთექვსმეტე საუკუნეში აშენებული შესანიშნავი წიგნთსაცავი. ვინ იცის, რაოდენი განძი წარიტაცა ველურთა ამ ხანძარმა. ხომ შეიძლება მათ შორის შოთას „ვეფხისტყაოსანიც“ ყოფილიყო?! ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ქართველმა მოაზროვნემ და მოღვაწემ სოლომონ დოდაშვილმა თავისი ხელით ძლივს დააგროვა ექვსასამდე წიგნი და გადასცა ახლად დაარსებულ ბიბლიოთეკას.

ახლა კი ჩვენი ხელთნაწერების საცავები, ბიბლიოთეკები და წიგნთსაცავები სავსეა ქართულ, რუსულ, უკრაინულ, სომხურ და სხვა მოძმე ერთა წიგნებით, სავსეა უცხო ენებზე დაწერილი მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურული შრომებით.

ჩვენი გონიერი ახალგაზრდებიც სხედან და ცოდნას იმდიდრებენ. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მამა-პაპათა ნათელ კვალს ასცდეს, ისინი დიდი სიყვარულითა და მამა-პაპათა ჩვეული ვაჟკაცობით, მაგრამ, მე ვიტყოდი, უფრო მაღლა აწეული ცის გუმბათით და ფართო ჰორიზონტით მიაბიჯებენ მეცნიერების დიდ რევოლუციურ გზაზე. მათ იციან, რომ სოციალური რევოლუციები მჭიდროდაა დაკავშირებული მეცნიერულ რევოლუციებთან, რომ ახლა საბჭოთა ახალგაზრდობამ კიდევ უფრო მაღლა უნდა ასწიოს მეცნიერების გამარჯვების დროშა.

ისინი ამას დიდი ინტერესით ასრულებენ.

მე გავიცანი ერთი ახალგაზრდა ასპირანტი, ნუგზარ ნოზაძე. იგი ტექნოლოგია და კრასნოდარის თამბაქოს საკვლევ ინსტიტუტში მუშაობს.

მისი გაცნობით დავინტერესდი შემდეგი გარემოების გამო: ერთი წიგნი წავიკითხე ყირიმის ქართველ პარტიზანებზე. მათი ავტორები ლადო გოძიშვილი და სანდრო ჩაჩხიანი სამამულო ომის გმირი ვაჟკაცები არიან. მათ არა ერთი და ორი საგმირო-საბრძოლო საქმეებით ისახელეს თავი და ასახელეს თავისი მამული, იმ წიგნში, რომელსაც სათაურად „ყირიმის მთებში“ აწერია, ნათქვამია, რომ იქ, ყირიმში, სახელგანთქმული მხედართმთავრის ა. კულიკოვსკის მეთაურობით ას ორ-

მოცდაათი ქართველი იბრძოდა. ამათში ერია კომუნისტი ირაკლი ნოზაძეც. მან ისე, როგორც მისმა მეგობრებმა, წლების მანძილზე არაერთი სამაგალითო საქმე ჩაიდინა.

ახლა ირაკლი ნოზაძე თბილისში მუშაობს. ნუგზარი მისი ერთადერთი ვაჟია. იგი ბრწყინვალედ სწავლობდა საშუალო სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში. მასზე გაზეთებში არაერთხელ დაწერილა, როგორც მეტად ნიჭიერ და ენერგიულ ყმაწვილ კაცზე. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა სიდინჯით და გონიერებით. მამის თანამებრძოლებმა, გმირული წლების მეომრებმა დააპირეს თავისი პარტიზანული სამყაროს ისევ დათვალიერება, გახსენება იმ მწარე, მაგრამ ვაჟკაცური და ნათელი დღეებისა, რომლებიც მათ იქ გაატარეს. ირაკლი ნოზაძე მაშინ შეუძლოდ გახლდათ, მაშინ მისმა ვაჟმა — ნუგზარ ნოზაძემ სთხოვა მამას, მის მეგობრებს წაეყვანათ მათ გმირულ ნაკვალევზე. და აი, ახალგაზრდა ინჟინერი და მომავალი მეცნიერი მამის მეგობრებთან ერთად მიემგზავრება იმ ადგილებში, სადაც მისი საყვარელი მამა იბრძოდა. იგი ახლო ეცნობა იმ ადგილებს, სადაც მამამისი შეუდრეკლად და ვაჟკაცურად ებრძოდა ფაშისტ ვერაგებს, ეცნობა მამის მეგობრებს, მათი სულიერი ცხოვრების მაღალ აზრს და მისთვის თანდათან ნათელი და ახლობელი ხდება სახელოვანი მამის და მისი მეგობრების საამაყო გზა.

ახლა ნუგზარი მალე დაამთავრებს ასპირანტურას. იგი ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდაა თავის მეგობრებს შორის. მას ასე კარგად და ნათლად ეცოდინება მამის გმირული და ვაჟკაცური გზა, რომელიც უთუოდ ჩვენი მამულის საამაყო გზაა. ასე რომ, ჩვენი ახალგაზრდობა არა მარტო ძალღონით სავსეა, ლამაზი და გონიერია, იგი აღსავსეა რევოლუციური ნათელი სულით.

ეს უთუოდ თბილისური სულია.

ისევაც მაღლა მიფრინავს არწივი მძლავრი ფრთებითა

1966 წლის 25 ნოემბერს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში უმშვენიერესმა, შესანიშნავმა ქართველმა მოღვაწე ქალმა ვიქტორია სირაძემ საბჭოთა ქვეყნის ორ უდიდეს, გამო-

ჩენილ მწერალს და მოღვაწეს ნიკოლოზ ტიხონოვსა და მიკოლა ბაჟანს გადასცა რუსთაველის პრემია. საზოგადოებათა და ერთა ბიოგრაფიაში არის ისეთი განსაკუთრებული დღეები, როცა ეს დღე დაუვიწყარი, ისტორიაში საზეიმოდ ჩასაწერია. და მართლაც, სულ ახლახანს დაარსებული ჩვენი დიდი პოეტის და მოაზროვნის შოთას პრემია, რომელიც ჯერჯერობით ქართველ მოღვაწეთაგან მხოლოდ ოთხ პიროვნებას ხვდა ბედნიერ წილად, მეორედ ნ. ტიხონოვსა და მ. ბაჟანს ერგო.

რატომ მოხდა ასე, რა დაიმსახურეს ამ თავის რესპუბლიკაში გამოჩენილმა მოაზროვნეებმა ისეთი ჩვენი ხალხის წინაშე? ახალგაზრდობის მთაზე აღმართულ ძეგლს, ქართველ დედას ერთ ხელში სასტუმრო-სამეგობრო თასი უჭირავს, მეორეში — სამტრო მახვილი. მტერი ხარ — მახვილით უნდა დაგხვდეთ, მოყვარე ხარ — ქართლის მიწის ნაკურთხი ნაჟური შესვიო — ამბობს ეს ქანდაკება.

ამ ორმა ნათელმა მოღვაწემ დიდი და ნათელი საქმეები გაუკეთა ჩვენს მამულს. ნიკოლოზ ტიხონოვი საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი დიდი მოღვაწე კაცია. მას იცნობენ სამყაროს ყველა კუთხეში, მისი ვაჟკაცური, გონიერი და მეტად ნიჭიერი ნაწარმოებები გზას იკვლევს ყველა ერის კაცის სულსა და გულში. იგი საბჭოთა დიდი რუსეთის უნიჭიერესი და უკულტურესი დესპანია ყველგან. მისი მშვიდობისმოყვარული გული და აზრი, მისი ადამიანთა ბედნიერებისთვის მუდამ სიკეთეების მთესველი შემოქმედება ახლობელია და სასიყვარულოა ყოველი მშრომელი კაცისათვის.

მისმა ჭეშმარიტმა გონიერმა რუსულმა ვაჟკაცურმა გულმა ნამდვილად შეიყვარა საქართველოს მიწაწყალი. მისი მაღალმხატვრული ბრწყინვალე ლექსები კახეთზე უთუოდ ამის დიდი დასტურია.

მისი თავგამოდებული და ძმური ნათელი დახმარება და დიდზე დიდი ღვაწლი შოთას საქვეყნოდ ცნობის საქმეში მართლაც რომ დაუფასებელი გახლდათ.

მიკოლა ბაჟანი კი, ეს უკრაინის დიდი ხალხის გონებითა და ნიჭიერებით აღსავსე შვილი, წლობით შრომობდა შოთას თარგმნისათვის თავის მშობლიურ ენაზე. უნდა ვიცოდეთ, რომ, ლინგვისტთა აზრით, უკრაინული ენა ევროპულ ენათა

შორის ერთი ულამაზესი და უმშვენიერესი ენაა. და აი ამ ენაზე მან ბრწყინვალედ თარგმნა ჩვენი რესპუბლიკის სიამაყე, დიდი შოთა.

ამიტომ, სწორედ ამ კეთილი ძმობისათვის, ძმობისათვის და სიყვარულისათვის მათ მიენიჭათ ეს დიდი ჯილდო.

ქართველ კაცს არასოდეს არ დაავიწყდება ის სითბო და სიყვარული, რომელიც ჩვენმა მოძმე ერებმა რუსეთის საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეების მეთაურობით ჩვენი რესპუბლიკისადმი გამოიჩინეს, როდესაც მოსკოვში, რევოლუციის დიდ დედაქალაქში დიდი პოეტის და მოაზროვნის ძეგლი გახსნეს. ამით ერთხელ კიდევ თავისი ლენინური სიტყვა. უთხრეს ჩვენს ერს და მთელს ქვეყანას. მსოფლიოს ვინც დღეს ყურადღებით უსმენს და ხალხის სიყვარული თან ახლავს, მან იცის, რომ მოსკოვი დღეს არა მარტო რევოლუციური აზრისა და ფიქრის ცენტრია, იგი ჰუმანურობის, ადამიანთა კაცთმოყვარეობის, ქვეყნის დიდი ფიქრის და აზრის ცენტრიც არის.

შოთა რუსთაველიც ხომ კაცთმოყვარეობის, სიბრძნის და სილამაზის ბრწყინვალე გენია გახლდათ!

მისი სახელი თანდათან გადის მსოფლიოს დიდ გზებზე. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის დიდი მონდომებით და თხოვნით საკავშირო მთავრობამ იერუსალიმში წარგზავნა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მოღვაწეები, მეცნიერები — აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. მათ ჩვენმა ხალხმა პატივისცემით „იერუსალიმელებიც" კი შეარქვა. ამ ადამიანებმა ისევ აღმოაჩინეს დაკარგული შოთას სურათი და ამით უაღრესად გამოაცოცხლეს ჩვენი ერის ცხოვრება. ყოველ ერს ჰყავს თავისი უსაყვარლესი ადამიანები. ეს ადამიანები იბრძოდნენ თავიანთი ხალხის დიდი სიკეთეებისათვის. შოთას დიდი ღვაწლი იმაშია, რომ მან ასეული წლებით ადრე იქადაგა და აღამაღლა ადამიანის თავისუფლების და კაცთმოყვარეობის მეტად საპატიო იდეალები. მან დიდი სიბრძნე დიდ მუსიკალურ ფორმებში ჩაატია.

მან იმღერა ისე, რომ ასე ძლიერად და ლამაზად მხოლოდ ცოტას უმღერია ამ სამყაროში.

დღეს ქართველი ხალხი სწრაფად მიდის წინ, მისი აზროვნება და გონება მაღლდება, მისი მატერიალური დოვლათი ყოველდღიურად მდიდრდება. ჩვენ რესპუბლიკას აქვს შესანიშნავი გაზეთები, ჟურნალები, სამეცნიერო გამომცემლობები.

დაარსდა ჩვენი ერისათვის მეტად საჭირო და საამაყო ორგანო ქართული ენციკლოპედია, რომლის გარშემო თავი მოიყარა ჩვენმა ქართულმა შემოქმედმა ინტელიგენციამ.

ეს დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა.

ყოველი ქართველი კაცი გულისფანცქალით ელის მის პირველ ტომს.

ყოველ თბილისელს სჯერა, რომ ეს დიდი საქმეც კეთილად დაგვირგვინდება.

სხვანაირად არც შეიძლება.

თბილისის ბალავერი ხომ კლდეზეა გაჭრილი?!

მისი ნიადაგი მთელი ჩვენი მამულის ნიადაგივით მტკიცეა და ურყევი.

მისი ცის გუმბათი მაღალია და ურღვევი. მის სიმტკიცეს და სიმაგრეს კავკასიონის ალმასივით დაუფხვნელი თეთრი მწვერვალები შებჯენია. ამიტომ მისი ცაც გაუბზარავია, გაუტეხელია, წმინდაა და შეურყეველი.

ამიტომაა თბილისის ბალავერიც და ცის გუმბათიც მტკიცე და წმინდა, მაგარი და გაუბზარავი. ამიტომ უთქვამს ხალხს:

„ისევაც მაღლა მიფრინავს
ორწივი მძლავრი ფრთებითა“.

შეხვედრები გალაკტიონთან

ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების ქუთაისი მეტად თავისებურ და საინტერესო ცხოვრებას ეწეოდა. სწორედ ამ წლებში დაიწყო და აშენდა რიონჰესი, დასრულდა ბარიტის ქარხანა, აბრეშუმის კომბინატი, ლიტოპონის ქარხანა, გუმბრინის და ბარიტის უხვად ამოღებასა თუ გამოზიდვასაც სწორედ ამ წლებში ჩაეყარა საფუძველი. ოცდაათიან წლებშივე აშენდა ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა და საკონსერვო ქარხანა. ასე რომ, სულ მოკლე ხნის მანძილზე ქუთაისი გადაიქცა ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. გამრავლდა მუშათა კლასი, გაიზარდა შრომისადმი პატივისცემა, სახე შეიცვალა ადამიანთა ურთიერთობამ. არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ისტორიული ფაქტიც, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქუთაისისა და, საერთოდ, საქართველოს მრეწველობის ისტორიაში. ეს გახლავთ ის, რომ ჯერ კიდევ ვლადიმერ ლენინის სიცოცხლეში, მისივე ინიციატივით მოსკოვის პროლეტარიატმა ქუთაისის მუშებს გამოუგზავნა საჩუქრად მაუდის საქსოვი ფაბრიკის პირველი დაზგები და დანადგარები. სწორედ მაუდის საქსოვი ფაბრიკა იყო ქუთაისის ინდუსტრიის პირველი პიონერი, რომელმაც შემდეგ გამოიწვია სხვადასხვა წარმოებების მშენებლობის დაწყება. ყოველივე ამან სულ შეცვალა ამ ქალაქის სახე. გაძლიერდა მისი სამრეწველო-საქალაქო მეურნეობა. გაიზარდა მისი ქუჩები, გამშვენიერდა მისი ცხოვრება. რასაკვირველია, ქართული მწერლობა ეხმაურებოდა თავისი საყვარელი ქალაქის დიდ ცვლილებებს. თითქმის არ იყო არც ერთი დღე რომ ქუთაისში არ ჩამოსულიყვნენ ჩვენი მწერლობის გამოჩენილი

მოღვაწენი. ისინი ჩამოდიოდნენ მშენებლობებზე, ეცნობოდ-ნენ ახალდამთავრებულ ფაბრიკა-ქარხნებს. მის ახალგაზრდა პროლეტარიატს. აწყობდნენ ლიტერატურულ საღამოებსა და დისკუსიებს, გამოდიოდნენ მუშების წინაშე და კითხულობდნენ თავიანთ ნაწარმოებებს. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ წლებში ქუთაისში გამოდიოდა მეტად საინტერესო ლიტერატურული გაზეთი „სიტყვა და საქმე", რომლის გარშემო შემოკრებილი იყო მთელი ქართული მწერლობა. ამავე დროს ქუთაისში გამოდიოდა ლიტერატურული ჟურნალიც. რასაკვირველია, მაშინდელი ქუთაისის ცხოვრებაში უსათუოდ დიდ როლს თამაშობდა კოტე მარჯანიშვილის თეატრი. როგორც ცნობილია, სწორედ ამ წლებში მოუხდა ამ თეატრს იქ მუშაობა, რომლის ქარიშხლიანმა სეზონებმა დიდი როლი ითამაშა საბჭოთა საქართველოს ხელოვნების ისტორიაში. ასე რომ, მაშინდელი ქუთაისი მეტად მჩქეფარე და საინტერესო ცხოვრებას ეწეოდა. სხვათა შორის ოცდაათიან წლებში ქუთაისი იყო საოლქო ქალაქი. მის ფარგლებში მთლიანად მოქცეული იყო არა მარტო იმერეთი, მასში მთლიანად შედიოდა სამეგრელო, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი. ქუთაისს მაშინ ჰყავდა ისეთი პარტიული მუშაკები, რომლებიც წარმოადგენდნენ საქართველოს მეტად განათლებული ინტელიგენციის მოწინავე რაზმს. საოლქო კომიტეტის მდივანი იყო ახალგაზრდა, მაგრამ მეტად ნიჭიერი, განათლებული და დარბაისელი კომუნისტი ვასო დარახველიძე.

საოლქო კომიტეტის მთელი შემადგენლობა მეტად აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის ლიტერატურულ ცხოვრებაში. მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო საბჭოს სხდომებზე მუშებთან, მწერლებთან, ინტელიგენციასთან ერთად ესწრებოდნენ არა მარტო საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელები, აქ ხშირად ვხედავდით საქართველოს რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა მეთაურებს. ისინი, როგორც თითოეული სამხატვრო საბჭოს წევრი, ისე იღებდნენ მონაწილეობას სპექტაკლების წინასწარ თუ შემდგომ განხილვასა და შეფასებაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი გამოჩენილი მწერლების ახალი და თვალსაჩინო ნაწარმოებების დასტამბისთანავე ქუ-

თაისის თეატრში ეწყობოდა ლიტერატურული დისკუსიები, მათი განხილვა-შეფასებანი. ყოველ ქართველ მწერალს სურდა და მეტად აინტერესებდა ქუთაისელთა აზრი მის ნაწარმოებებზე. თითქმის ყოველ კვირას ამ მიზნით ჩამოდიოდნენ: მიხეილ ჯავახიშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე, შალვა დადიანი და გიორგი ქუჩიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სიმონ ჩიქოვანი და ბესო ჟღენტი, გალაკტიონ ტაბიძე და ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ქუთათელი, პოლიკარპე კაკაბაძე, სიმონ ხუნდაძე და ბენიტო ბუაჩიძე, სერგო ამაღლობელი და შურა დუდუჩავა (ცარლო -კალაძე მაშინ მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი და გაზეთ „სიტყვა და საქმის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, ამიტომ ქუთაისშივე ცხოვრობდა). მართლაც, ყველაფერი ეს მეტად აცოცხლებდა ქალაქს და სწორად წარმართავდა ახალგაზრდობის აზრსა და გონებას; ამაღლებდა მისი კულტურის დონეს, ანვითარებდა მის ლიტერატურულ გემოვნებას.

რასაკვირველია, გალაკტიონიც მეტად ხშირი სტუმარი იყო იმდროინდელი ქუთაისისა. იგი ყოველთვის დაბინავდებოდა სასტუმრო „გრანდ ოტელში", დაურეკავდა ნაცნობებს და პირველყოვლისა ბაგრატის მთაზე ავიდოდა.

— აქედან, გენაცვალე, რიონჰესსაც ვუყურებ და გელათსაც. ძველი ქუთაისიც აქ არის და ახალიც აქედან იხედება. ბაგრატის მთაზე, ძმებო, მიწაც სხვანაირია და ცაც სხვაფრივ მეჩვენებაო, — იტყოდა ხოლმე.

მახსოვს, ერთხელ გიორგი ქუჩიშვილი და გალაკტიონი ჩამოვიდნენ. აწ განსვენებული ჯაჯუ ჯორჯიკია ქუთაისის სამეურნეო სკოლას ხელმძღვანელობდა. ბინაც იქვე ჰქონდა. ჯაჯუმ ორივენი სახლში მიიწვია. მათთან ერთად დია ჩიანელი (დავით ჩხეიძე), გრიშა გაბუნია, კოტე დემეტრაძე და ამ სტრიქონების ავტორი მოიპატიჟა (გრიშა გაბუნია მაშინ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი იყო. კოტე დემეტრაძე კი ქალაქის კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას ხელმძღვანელობდა).

სადილის შემდეგ გალაკტიონი და გიორგი ლექსებს კითხულობდნენ. როგორც ცნობილია, გალაკტიონი კითხვის

დროს ცოტა ჩქარობდა. გეგონებოდათ, ეშინია სტრიქონები არ დამავიწყდეს, ხელიდან არ გამიფრინდეს, არ დამეკარგოსო.

გიორგი კი უფრო დინჯად, ხმამაღლა და მკვეთრად ამბობდა თითოეულ სტრიქონს.

— ხომ ხედავთ, რა კარგად კითხულობს ლექსებს, — თქვა გალაკტიონმა, — იმიტომ მიყვარს მე ჩემი გიორგი. გიორგი ხომ პროზასაც წერს, მე კი მოთხრობის წერა არ მეხერხება. ეს ოხერი ყველაფერი ყელზე ბოლქვა-ბოლქვად მადგება. რასაც მოვიფიქრებ, ლექსად უცებ უნდა ვთქვა, თორემ დავიხრჩობი ან გავგიჟდები.

სადილის შემდეგ გრიშა გაბუნიამ რიონჰესის საგუბრისკენ წაგვიყვანა. ჯაჯუს ბინიდან საგუბარი არც ისე შორს იყო და ფეხით წავედით. ყველამ იცის, თუ როგორი ლამაზია ჭომა, გალაკტიონი და გიორგი ბავშვებივით გახარებულნი იყვნენ.

— გენაცვალე, ძამიკო, ჭომაში რამდენი ხანია არ ვყოფილვარ. ასეთი მშვენიერი ადგილი ქვეყნად მეორე არ არის! — ეუბნებოდა გალაკტიონი გიორგი ქუჩიშვილს.

ჭომიდან გაღმა მწვანეყვავილა მოჩანს. მისი კორტოხიდან პატარა თეთრი ეკლესია და ძველი კოშკის ნანგრევი გადმოყურებს რიონის ტალღებს. მწვანეყვავილას რიონის კლდოვან კიდეზე ბილიკივით მიყვება ვიწრო გზა. ეს გელათის ძველი გზაა. ეს გზა კიბულის წყაროსთვალს გაუვლის და ზემოთ მიემართება. გამოღმაც ბაგრატის მთის ქვემო კალთაზეც ხომ წყარო გადმოჩქეფს!

— შეხედე, ძამიკო გიორგი, გაღმა კლდე არის, გამოღმაც კლდეა. გაღმაც წყარო გადმოჩქეფს, გამოღმაც წყარო. გაღმაც ყვავილები და მწვანე ბაღები, გამოღმაც ყვავილები და მწვანედ აშოლტილი ხეები. მათ შუა-თითქოს კაცის ხელით ამოთლილ ვეება კლდის კალაპოტზე ჩვენი რიონი ქარიშხალივით ბობოქრობს. ამაზე მშვენიერს, სად ნახავ რასმეს?! ახლა ბაგრატის ნანგრევებს დაუკვირდით! ყვავ-ყორნებისაგან დაკორტნილ ამირანის გულს არა ჰგავს?! მკერდი შემოხევია, გუმბათი ჩანქშევია, კედლები დაჰფლეთია და მაინც საკვირველებასავით დგას. ისე დგას, თითქოს ცას შეჰღაღადებდეს

ჩვენი ქვეყნის მტრების ველურობას, მათ სისხლმოყვარეობას, თავდამსხმელთა ყაჩაღობას! — გატაცებით ლაპარაკობდა გალაკტიონი, გიორგი კი გარინდებული უსმენდა და ნელა მიაბიჯებდა ჭომის გზაზე, ხანდახან ბეჭებს შეათამაშებდა, გელათისაკენ გაიხედავდა და იმედიანად ამოიოხრებდა.

კაშხალთან მუშები შემოგვესიენ. ცოტა ხანს შევჩერდით, კაშხალზე გადავლით კიბულისკენ გავედით, ახლადგაჭრილ გვირაბში შეეედით და გავუყევით. მაშინ რიონჰესის სამუშაოებზე ირაკლი ობოლაძის ახალგაზრდული ბრიგადა გრგვინავდა. ბიჭები კლდეებს ანგრევდნენ, ლაღუმებით აფეთქებდნენ ძარღვიან ქანებს.

კარგა ხანს ვიარეთ. უკვე გოდოგნის მინდვრების გამოღმა ფერდობზე გავედით. იქვე, ქვემოთ, მდინარე წყალწითელაა თავისი ცნობილი უძველესი ხიდით. გვირაბინ ბოლოზე რიონჰესის მმართველი ვალოდია ჯიქია და ინჟინერი გიორგი მიქელაძე დაგვხვდნენ, თან ახალგაზრდა ინჟინრები: გ. ხერხეულიძე, გოგი ჩოგოვაძე, ბორის ლომიძე, დავით გუნია, პეტრე წულუკიძე, მიხეილ ჩაჩავა და სხვები წამოეყვანათ. ისინი მაშინ იწყებდნენ თავიანთ საინტერესო ცხოვრებას. იმ დღეებში იქ დიდი ამბავი მოხდა. პროექტის მიხედვით, გვირაბიდან გამოსვლის შემდეგ წყალი საფიჩხიის ფერდობს უნდა გაყოლოდა არხის საშუალებით და ტურბინებამდე უნდა ეევლო. ამ ადგილებში ნიადაგი მცოცავი აღმოჩნდა, როდესაც ჭაშნიკად გაშვებულმა წყალმა არხში გაირბინა, ისედაც რბილი მიწა დაალბო, დაშალა და მთელი არხი -ქვემოთ, წყალწითელასკენ, დაცურდა. რასაკვირველია, ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ ზარალი კი დიდზე დიდი იყო. სწორედ ამ დღეს ეს საინჟინრო ჯგუფი წყვეტდა იმას, თუ რა ღონე უნდა ეხმარათ ამ უბედურების ასაცდენად.

ვალოდია ჯიქიას არა მარტო დიდი რევოლუციური გამოცდილება ჰქონდა, იგი საბჭოთა კავშირის ახლადდაწყებულ ჰიდრომშენებელთა იმ თაობის მოწინავე ადამიანებს ეკუთვნოდა, რომლებმაც პირველებმა დაიწყეს ვოლჰოვის გესის და დნეპრის დიდი მშენებლობა. იგი პირველი მეთაური იყო ამ საქმის. ამიტომ დიდი გამოცდილების მქონე ადამიანი გახლდათ. სწორედ მისი მეთაურობით გადაწყდა იმ ად-

გილზე ისევ გვირაბი გაეყვანათ და პირველი გვირაბი მეორეთი გაეგრძელებინათ, რაც მიღებულ და შესრულებულ იქნა კიდეც. როცა ვ. ჯიქიამ გ. ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი დაინახა, რომელთა გამოჩენას იმ დროს არ ელოდა, მეტად გაოცდა.

—აი, ძმაო, გენიოსები მოსულხართ! ალბათ, ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი დასახმარებლად, — იხუმრა ვალოდიამ და განაგრძო: — ამაზე მეტი გაჭირვება არ შეიძლება, თუ მიშველით და რასმეს მეტყვით, თქვენ იცით.

მაშინ გალაკტიონს წვერი არ ჰქონდა, მაგრამ ნიკაპზე ხელის მოკიდება და ჩაფიქრება იცოდა (შემდეგში კი ჩაფიქრების დროს წვერს დაუწყებდა ხოლმე ხელით წვალებას და თამაშს). მაშინაც ხელი ნიკაპზე მიიდო და ღიმილით თქვა:

—გენაცვალე, ლექსებით რომ რიონჰესის აშენება შეიძლებოდეს, ჩვენი აკაკის ლექსები ას ჰიდროსადგურს ეყოფოდა. ეს თქვენი საქმეა, ინჟინრების საქმე. თუ რაიმეში თქვენ შეცდით, ჩვენ რა შუაში ვართ. ახლა, ჩემო ვალოდია, თქვენს ცოდვებს ჩვენ ნუ გადმოგვაბრალებთ.

კარგა ხანს გავჩერდით იქ და მერმე ვალოდია ჯიქიასთან და გიორგი მიქელაძესთან ერთად გავუყევით რიონის სადგურის მიმართულებით იმ ადგილისკენ, სადაც წყალს ტურბინები უნდა აემუშავებინა. მუხნარის ტყესთან, იქ, სადაც ახლა გვირაბები თავდება და არხი იწყება, მოულოდნელად მსახიობებს წავაწყდით. უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, ივლიტა ჯორჯაძე და მაშინ პარტიის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე თედო კორსაველი რიონჰესის დასათვალიერებლად მოსულიყვნენ.

იმ ადგილებში ქარი იშვიათი როდია. ყველგან რომ სიწყნარე იყოს, იქ ყოველთვის ჰქრის ნიავი. იმ დღესაც, გვირაბიდან გამოვედით თუ არა, ქარი მოგვეძალა. შალვა ღამბაშიძე მიესალმა რა ყველას, გალაკტიონს მოეხვია და მისი ლექსი „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“... წაიკითხა.

გალაკტიონი გაოცდა:

— უყურეთ შალვას, ეს ლექსი მე ისე მახსოვს, მგონი, არც კი დამიბეჭდავს. საიდან ისწავლეთ ასე უცებ, რას ნიშნავს ნიჭიერი მსახიობი. მარა, გენაცვალე, მართალი რომ

გითხრა, ახლა გელათიდან მოქრის ეს ქარი და არა წყალტუბოდან, ეს ზენა ქარია, წყალტუბო კი ქვემოთაა...

გიორგი ქუჩიშვილს რატომღაც არ მოეწონა გალაკტიონის ეს ხუმრობა:

— აი, ასე იცის გალაკტიონმა, თუ მისი ლექსი დაისწავლე, ნიჭიერიც ხარ და გენიოსიც, თუ არადა, ყველაფერი წყალში უნდა გადაყაროს.

შალვა ღამბაშიძემ საოცარი სიცილი იცოდა. ეს მეტად გულწრფელი, უშუალო და მაღალი ნიჭის მსახიობი სიცილს თუ აიტეხავდა, ძნელად გააჩერებდით. მაშინ, მახსოვს, ისეთი სიცილი აუტყდა, რომ სულ ცრემლები ღვარა. პირველად ყველა ღიმილით უყურებდა შალვას, მერმე კი ყველას გადაედო მისი სიცილი და ყველამ ხარხარი ატეხა. არ იცინოდა მხოლოდ გალაკტიონი. ის ცოტა განზე გადგა, ნიკაპზე ხელს იფათურებდა და ისე შეჰყურებდა ყველას.

ივლიტამ იეშმაკა, ალბათ, იაზრა გალაკტიონს გული არ მოუვიდესო და მასთან ახლოს მივიდა. დაუყვავა, მოეფერა. ამან გალაკტიონი გაახარა, გაიბადრა და ბოლოს თითონაც გაიღიმა.

ვალოდია ჯიქია არ მოგვეშვა. თავისი მძღოლი გაგზავნა, ჩვენთვის მანქანები მოაყვანინა და რიონჰესის მეოთხე უბანზე, ტურბინებთან მიგვიყვანა. იქ ყველაფერი აგვიხსნა, დეტალურად დაგვათვალიერებინა.

არ დამავიწყდება, პირველი საბჭოთა ექსკავატორი სამუშაოზე მაშინ ვნახე პირველად.

გიორგი ქუჩიშვილი თავისი ფართო თვალებით გაოცებით შეცქეროდა ამ საოცარი მანქანის შრომას.

მანქანაზე ახალგაზრდა ქართველი მემანქანე იჯდა და საჭეს მართავდა.

გიორგი ზევით, კოშკურაში ავიდა ახალგაზრდასთან. გვარი ჰკითხა და გახარებული ჩამოვიდა.

გალაკტიონი დაბლიდან უტრიალებდა ფოლადის სპილოს ვეება ხორთუმს. იმ წელს საქართველოს ახალგაზრდობამ ითავა ამ მშენებლობაზე მუშახელის გამოგზავნა. ამ უბანზე სხვებთან ერთად სამასი წალკელი ჭაბუკი თავგამოდებით შრომობდა. უნდა ითქვას რომ მაშინდელი ჩვენი ეკონომი-

ცა მეტად ღარიბი იყო. სოციალისტური ინდუსტრია ახლად იდგამდა ფეხს. პურის პრობლემა მეტად მწვავედ იდგა. ახალგაზრდებს ძალზე უჭირდათ. თბილი ტანსაცმელი არც ისე ჭარბად იყო. საგებ-სახურავით მდიდრები როდი იყვნენ?! გაციება და ფილტვების ანთება მეტად ხშირი მოვლენა გახლდათ, ციებ-ცხელება კი პირდაპირ მუსრს ავლებდა ბიჭებს. მოგეხსენებათ, მაშინ წამლებითაც არ ვიყავით განებივრებულნი. მიუხედავად ამისა, ბიჭები მთელი დღე მუშაობდნენ და საღამოობით მცირე მცოდნეთა. სკოლებში დადიოდნენ. ეს სკოლები იქვე, ბარაკებშივე, იყო მოწყობილი. არ ყოფილა ზემთხვევა, რომ რომელიმე ახალგაზრდას სამუშაოდან წასვლაზე ეფიქროს. სკოლას კი ,აბა ვინ გააცდენდა. ეს იყო საოცრად რევოლუციურად, ვიტყოდი (და მე მგონი, არ შევცდები) ფანატიკურად განწყობილი ახალგაზრდობა, რომელსაც სწამდა ხვალინდელი დღის, თავგანწირვით უყვარდა იგი და ღიმილით ებრძოდა ყოველ გაჭირვებას. ბევრი მათგანი დღეს ინჟინერია, გამოჩენილი საბჭოთა მოქალაქეა, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანია.

რადგან დასვენების დღე იყო, ვალოდია ჯიქიას თაოსნობით ახალგაზრდების საერთო საცხოვრებელში შევედით. სახელდახელოდ შევირბინეთ ერთ მოზრდილ ბარაკში. ბიჭებს მწერლების მისვლა მეტად გაუხარდათ. შემოერაგვენ გარშემო გალაკტიონს, გიორგისა და ჯაჯუს. გიორგის ლექსები ბევრმა ზეპირად იცოდა. უცბად, ყოველგვარი ოფიციალური შესავალის გარეშე დაიწყო ლექსებისა და ნოველების კითხვა. პირველად დიამ დაიწყო კითხვა, მერე ჯაჯუმ, ერთი ორჯერ მეც წავიკითხე. ბოლოს გიორგი და გალაკტიონი გამოვიდნენ. ორივენი მეტად კარგ განწყობილებაზე იყვნენ. გიორგი პირდაპირ გვრგვინავდა. გალაკტიონი ქარიშხალივით ბობოქრობდა. ბევრზე ბევრი ლექსები წაიკითხეს. მკითხველები თუ მაყურებლები დაჟინებით მოითხოვდნენ მათგან ლექსების კითხვას. ისინიც არ იღლებოდნენ. გაბადრულნი და გახარებულნი კითხულობდნენ თავიანთ ნაწარმოებებს.

უკვე საღამთ ხანი იყო, ქალაქისკენ რომ წამოვედით. ვალოდია ჯიქიას მეოხებით ისევ ჭომისკენ მოგვიხდა წასვლა.

იქ მაშინ, რიონის საგუბართან, „ალავიძის დუქანი“ იყო. სწორედ იქით წაგვიყვანა ვალოდიამ.

მახსოვს ერთი მეტად საინტერესო ამბავი. ყველამ იცის, ზედ ბაგრატის მთის კალთასთან როგორი შესანიშნავი წყარო გადმოჩქეფს. იგი, როგორც ჩანს, ოდესღაც საოცრად შენიღბული გვირაბით უერთდებოდა რიონს; ალბათ, იმიტომ, რომ მტერს არ შეენიშნა ციხეში წყლის არსებობა. დროთა მანძილზე გვირაბის ბოლო ნაწილი ჩამოენგრიათ და წყარო მეტად მოუვლელი იყო. იგი გაფანტულად მოჩქეფდა ზემოდან. თან მისი მისასვლელი მეტად დანგრეული იყო. როცა იმ წყაროს პირზე შევისვენეთ, გალაკტიონი ვალოდიას მიუბრუნდა:

— გენაცვალე, ვალოდია, შენისთანა კაცს ეს არ ეპატიება, ამ წყაროს სულ ორი ტომარა ცემენტი და ასი ცალი აგური დაჭირდება, ქართველი კაცი გაივლის, დაირწყულებს და დაგლოცავს. გააკეთე, ძამია, გააკეთე!

ვალოდია შეჰპირდა მისი სურვილის შესრულებას. მართლაც, ერთი კვირის შემდეგ მან ამოაშენებინა და [redacted] ამ წყაროს თვალი. ახლაც ყველა გამვლელი, როცა იქ წყაროს დაეწაფება, მადლობელი რჩება. მათ, რასაკვირველია, არც კი იციან, რომ მისი მოპირკეთების აზრი გალაკტიონს ეკუთვნის და მისი პატივისცემით ვ. ჯიქიამ ეს დაპირება შეასრულა.

იმ საღამოს უშანგი ჩხეიძე თეატრში ჩენჩის როლს თამაშობდა. რასაკვირველია, მას იმ საღამოს ერთი წვეთი ღვინო არ დაულევია. არც საჭმელი უჭამია, მაინცდამაინც სტომაქს ვერ დავიტვირთავო ამბობდა. შალვა ხუმრობდა, წარმოდგენის წინ მე კარგად მიყვარს დაპურება, მღვდლის შვილი ვარ, ეს კი სპექტაკლის წინ, თითქოს ზიარებაზე მიდიოდეს, ევლოგიასავით თუ შეცუცქნის რამესო.

საოცარი კაცი კი იყო უშანგი ჩხეიძე. ძალ-ღონით მეტად ძლიერი ვაჟკაცი, საჭიროებისას სცენაზე ქარიშხალივით ბობოქარი, ადამიანებთან მეტად მოკრძალებული და თვინიერი გახლდათ. ლექსის თუ მონოლოგის წაკითხვისას ცხრა ამირანი ჩაებუდრებოდა სხეულში. ისე კი წყნარად იჯდა და

მის ქართულ ულაპარაკეს სახეს მოკრძალებული ღიმილი დასთამაშებდა.

მაგრამ მე მგონი, მისი უდიდესი სამსახიობო ნიჭის გვირგვინი მაინც მისი თვალები და ხმა იყო. მეტად სასიხარულოა, რომ მისი ხმა ფირებზე დარჩა, მაგრამ მე მეჩვენება, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, სამწუხაროდ, მაინც მთავარი რაღაც აკლია მას. შეიძლება იმიტომ მოხდა ეს, რომ ის ფირები მისი ავადმყოფობის დროს უნდა იყოს ჩაწერილი. რაც შეეხება მის თვალებს, მე პირადად არ მინახავს არავინ ქვეყანაზე, რომლის გამოხედვას ასე გამოეხატოს ადამიანის სათქმელი. უშანგის შეეძლო თავისი შეუდარებელი ნიჭით მაყურებელში ხან წყნარი, უღრუბლო, მოწმენდილი ცის სიმშვიდე დაემკვიდრებია, ხან კი ჯოჯოხეთური ქარიშხალი აღეგზნო.

იმ ღამესაც ასე მოხდა. გრიმს, მგონი, თვითონ იკეთებდა, ამიტომ ის ადრე წამოვიდა.

ჩვენ ცოტა დაგვაგვიანდა. გალაკტიონს და გიორგის ჯერ კიდევ არ ენახათ ეს წარმოდგენა. კოტე პარტერის მეექვსე რიგში ელოდებოდა ჩვენთვის სკამები შეენახათ.

მეტად მწყრალად შემოგვხვდა. თქმით კი არაფერი უთქვამს. რასაკვირველია, გალაკტიონმა და ვ. ჯიქიამ გვიშველეს, თორემ ასეთ რამეს კოტე ღმერთს თუ აპატიებდა. უხეშად მოგვესალმა. ჩვენც ფეხაკრეფით დავსხედით. ორიოდე წამში ჩვენ სულ გამოვეთიშეთ დღევანდელ დღეს და სპექტაკლის ცხოვრებაში შევცურდით. არა, კი არ შევცურდით, სპექტაკლის განუყოფელ ნაწილად გარდავიქმენით, მისი სუნთქვით დავიწყეთ სუნთქვა. მსახიობებსა და ჩვენს შორის ის განსხვავება იყო, რომ ისინი, ალბათ, მხოლოდ თავიანთ როლებს განიცდიდნენ, ჩვენ კი ყოველ მათგანს ისე ვგრძნობდით, თითქოს ჩვენ ვთამაშობდით თითოეულ მათ როლს.

კოტე მარჯანიშვილის ნიჭის ერთი თავისებურება ისიც იყო, რომ იგი სცენაზე ყოველ „წვრილმანს“ ხედავდა და ყოველ მსახიობს ისე გარდაქმნიდა, აღამაღლებდა, ვერც კი იტყოდით, ვინ იყო დიდი და პატარა მსახიობი. ის იყო დადგმების არა-ცალკეული დეტალების ოსტატი, არამედ მთელი სპექტაკლის შეუდარებლად ამამაღლებელი, მთელი წარმოდგენის მწვერვალზე აყვანის ჯადოქარი და დიდი დირიჟორი.

უშანგი იმ ღამეს შეუდარებელი იყო. მე არ ვიტყვი, რომ უშანგის ჩენჩი მისი სამსახიობო ხელოვნების მწვერვალს წარმოადგენდეს, მაგრამ ეს როლი თავისი მეფისტოფელური ქმედობით, ჯოჯოხეთური სულით, არაადამიანურად დესპოტური სიველურით მეტად ფართო გასაქანს აძლევდა დიდ მსახიობს მისი ნიჭის გამოსამჟღავნებლად. მე ხანდახან ვფიქრობ, რომ სწორედ ჩენჩზე მუშაობამ გაწყვიტა უშანგის პირველი ნერვი, რომელმაც შემდეგ მისი დაავადება გამოიწვია.

ეს ურთულესი როლი უსათუოდ ნერვებს უგლეჯდა მაყურებელს, მით უმეტეს მის შემსრულებელს.

— ეს ვინ გვყოლია, გენაცვალე, — ჩურჩულებდა გალაკტიონი, — ძამიკო, ჩვენი უშანგი დღეს ედმონდ კინს სჯობია!

გიორგი კი ფერდაკარგული, ფართე თვალებით შესჩერებოდა სცენაზე უშანგის. ხოლო, როცა საწოლში მწოლი ჩენჩი მსახურებს უბრძანებს — ბეატრიჩე მომგვარეთო, გიორგიმ ვეღარ გაუძლო ამ სულგარყვნილი ადამიანის უშანგისეულ წარმოსახვას, ერთი შეიკურთხა და ფოიეში გავარდა.

იმ ღამეს გიორგი სასტუმროს არ მიჰკარებია. დილით მოსულიყო და ეთქვა: წუხელი რომ უშანგი მენახა, მოვკლავდიო. მთელი ღამე ახლო მეგობართან—ფოტოგრაფ დავით მხეიძესთან გაეტარებინა დრო და მის სახლში მოესვენებინათ კიდეც.

წარმოდგენა დასრულდა თუ არა, გალაკტიონი კოტეს მოეხვია. მერმე უშანგისთან წავიდა სცენაზე. მე არაფრის თავი არ მქონდა. არ გავყოლივარ. როცა დაბრუნდა, ხალხი თეატრში აღარ იყო. ჩვენ მას ფოიეში ვუცდიდით. იგი ისევ აღელვებული ჩანდა. აღარ გვივახშმია. ყველანი გაოგნებულნი და გაჩუმებულნი ვიყავით.

ამ სპექტაკლში უშანგისთან ერთად მეტად დიდი და განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა თამარ ჭავჭავაძემ (ბეატრიჩე).

სასტუმროში, როდესაც გალაკტიონს გამოვემშვიდობე, იგი იუზას (ზარდალიშვილმა თეატრიდან ჩვენთან ერთად გამოაცილა გალაკტიონი) მიუბრუნდა:

— იუზა, მართალი სთქვი, ხომ მოგწონს თამარი და უშანგი. ხომ ორივენი შეუდარებელნი არიან ამ როლებში?!

იუზა ცოტა ხანს შეჩერდა, გაიღიმა და წყნარად თქვა:

— მე მგონია, მაინც მესამე ადამიანია მაგ სპექტაკლში მთავარი. ჩემს თაობას რომ ასეთი რეჟისორი ჰყოლოდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

მეორე საღამოს გალაკტიონი და გიორგი ზუგდიდისაკენ გაემგზავრნენ. ჩვენ რიონამდე ჩავაცილეთ ისინი.

გალაკტიონი ძალიან დაახლოებული იყო მსახიობ იუზა ზარდალიშვილთან და მეტად ნიჭიერ და განათლებულ ადამიანთან ნიკო ქუთათელაძესთან. ეს უკანასკნელი (ალ. ქუთათელაძის უფროსი ძმა) საოცარი კაცი იყო. იგი დიდი მცოდნე იყო რუსული თუ მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის. ამავე დროს იგი გახლდათ ბრწყინვალე მსროლელი და მონადირე. მახსოვს, ერთხელ ქუთაისში სტუმრად ჩამოვიდა ცნობილი საბჭოთა მხედართმთავარი მაშინ ა/კ ჯარების სარდალი ლევანდოვსკი. მას თან საბჭოთა ოფიცრების ჯგუფი ახლდა. დამხვდურთა შორის იყო გიორგი ქუთათელაძე. გიორგი არა მარტო მეტად ლამაზი ვაჟკაცი იყო, იგი ბრწყინვალედ იცნობდა ლიტერატურას, ფილოსოფიას და მუსიკას (მას კონსერვატორიაც ჰქონდა დამთავრებული). ეს დიდი ბუნების ქართველი საბჭოთა მხედართმთავარი, რასაკვირველია, უბადლო მსროლელიც იყო. გიორგიმ იმ დღეს სხვებთან ერთად თავისი უფროსი ძმა ნიკოც მიიპატიჟა. სადილის შემდეგ სასროლო „ტირში" მოეწყო დახურული შეჯიბრი. ისროდნენ: ლევანდოვსკი, გიორგი ქუთათელაძე, ნიკოლოზ ბლუაშვილი, პარტიის სამაზრო კომიტეტის მდივანი, მაშინ ცნობილი ბოლშევიკი ამბერკი ურუშაძე და სხვები. რასაკვირველია, ყველა ისინი სროლის შეუდარებელი ოსტატები იყვნენ. საბოლოო ანგარიშში ნიკო ქუთათელაძემ დაჯაბნა ყველა. აი, ასეთი კაცი იყო ნიკო ქუთათელაძე. ლევანდოვსკი იცინოდა: ა/კ ჯარების სარდლობა ნიკოს უნდა გადავცეო.

გალაკტიონი ჩამოვიდოდა თუ არა პირველად ნიკოს და იუზას მოიკითხავდა.

ეს იმიტომ გავიხსენე, რომ მინდა კიდევ ერთი ამბავი მოვიგონო გალაკტიონის ცხოვრებიდან. მე მაშინ ქუთაისში ვმუშაობდი პოლიტგანის უფროსად.

თეიმურაზ ჭუმბურიძე განათლების განყოფილებას ხელმძღვანელობდა და ანტიური ისტორიის დიდი მცოდნე და საზოგადო მოღვაწე გახლდათ.

პოლიტგანის სამუშაო ორბიტში შედიოდა: თეატრები, კინოხელოვნება, რადიო, წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციის საკითხი (მაშინ ეს ძირითადი იყო ჩვენი სახალხო განათლების საქმეში) და პარტიულ-პოლიტიკურ განათლებასაც აღმასკომის ეს განყოფილება ხელმძღვანელობდა.

ერთ დღეს თეიმურაზ ჭუმბურიძემ დამირეკა, რიონის სადგურზე გალაკტიონი ჩამოსულა და შენ გეძახისო. იმ წელს მეტად ცუდი მარტისთვე იდგა. თითქმის მთელი ეს თვე თოვლჭყაპში გავატარეთ. იმ დილითაც ცუდი დარი იყო. მაშინ მანქანები არც ისე ბლომად გვქონდა. ქალაქში მხოლოდ სამი მანქანა თუ იყო. ერთი ვასო დარახველიძეს ჰქონდა, მეორე ერასტი ღვამიჩავას (ოლქის აღმასკომის თავმჯდომარეს) და მესამე ვალოდია ჯიქიას. სულ რამდენიმე თვის წინ ერასტი ღვამიჩავას შესანიშნავი ეტლი ჰქონდა, რომელიც პოლიტგანს — ჩვენ გადმოგვცეს. ფართო ორკუზიან ეტლში შესანიშნავი ჯიშის შავი ცხენები იყო შებმული. მეც დავჯექი და რიონის სადგურისაკენ გავქანდი. მაშინ ჩვენი მრეწველობა ახლად იწყებდა გაფურჩქვნას. ჩვენი მაშინდელი ტანსაცმელი ვერ იყო ისეთი, რომ თვალი დაგრჩენოდათ. ისეთი სქელი და უხეში პალტოები გვეცვა („ბობრიკი"), რომ ტყვია ვერ გაატანდა. სხვა ქსოვილი მაშინ არ იყო. რასაკვირველია, როგორც ყველას, მეც ასეთი პალტო მეცვა. მეტად მძიმე იყო. თუ დასველდებოდა, მისი წონა ერთიხუთად იმატებდა და მის ჩაცმას მაშინ გაძრობა სჯობდა.

ჩავედი რიონის სადგურზე. შევედი დარბაზში და ვხედავ გალაკტიონი მაგიდას მიჯდომია, ერთი ბოთლი ღვინო დაუდგამს, ცოტა მოუსვამს და კარებისკენ იცქირება. შემხედა თუ არა, იმერულად მომიქცია:

— მობრძანდი, გენაცვალე, ჩემო მამია, რაფერ გელოდი, კაცო, რაფერ?! უბედურება შემემთხვა, შენს გარდა ვერავინ მიშველის!

მე გავოცდი, ცოტა შემეშინდა კიდეც. ვაკვირდები, გალაკტიონი კარგად იყურება, ჯანღონით ფეთქავს, კოსტუმი კარგი აცვია, მეტად მიმზიდველი ლამაზი სახე სუფთად აქვს გაპარსული. მხოლოდ ახოვანი ბეჭები ოდნავ მობუზული ჩანს. კიდევ უფრო დავაკვირდი და მაინც ვერაფერს ვერ მივხვდი.

— ვერ მიხვდი, გენაცვალე, ხომ?! ბიჭო, გამძარცვეს, შენს გალაკტიონს პალტო მოპარეს. წარმოგიდგენია, გალაკტიონს საქართველოში პალტო უნდა მოპარონ (ეს ეკადრება გალაკტიონს!). ალბათ, გენაცვალე, ჩემო მამია, უცხო ტომის ჯიბგირები იქნებოდნენ. აბა ქართველი კაცი ამას როგორ იზამდა?! თავის პოეტების მეფეს ახლა პალტოს მოპარავენ ამ ყინვაში და თოშში?!

მე გავვოცდი. პირველად ვიფიქრე, ხუმრობს-მეთქი. მივიხედ-მოვიხედე და, მართლაც მისი პალტო ვერსად შევნიშნე. გარეთ კი ისევ თოვლქუაპია. ხანდახან ხელისგულის სიფართის სველი თოვლის ფიფქს. გამოურევს ხოლმე ცივ წვიმის შხეფებს. დავფიქრდი და დავრწმუნდი მომხდარ ამბავში. რაღა უნდა მექნა. ჩემი პალტო მოვახურე, ორივენი გადმოხურული ეტლის სახურავის ქვეშ შევიყუჟეთ და ქუთაისისკენ გამოვწიეთ.

ვინც ქუთაისის მიდამოებს კარგად იცნობს, მას არ დააკვიწყდება წინაველის და ბროწეულას ქარი. ქვეყნად რომ მშვენიერი დარია, იმ ადგილებში მაინც უქიქინებს გრილი თუ ცივი ნიავი. ცუდ დარში ხომ ნაბდიანი კაცი ვერ გაივლის წაუქცევლად. ეტლში გრიგალივით შემოაბუქებდა გათოშილი ქარი და ძვალ-რბილში მატანდა. სანამ მუხნარის ტყეში შევიდოდით, კინაღამ გავიგუდე კოსტუმის ამარა. იქ კი ქარი ცოტა მიწყნარდა. მეც სული მოვითქვი. ჩემს კითხვაზე გალაკტიონმა მიპასუხა:

— ბათუმის მატარებლით ჩამოვედით, გენაცვალე, რბილ

ვაგონში პალტო დაკიდებული მქონდა. ავდექი და აღარ დამ-ხვდა. თქმის შემრცხვა, ვერ გავამხილე. გამყოლსაც ვერ ვუთხარი. ახლა სად უნდა წავსულიყავი, დავრეკე, შენ არ იყავი დაწესებულებაში. მერმე ჩემი თეიმურაზი გამახსენდა და მას ვთხოვე მოენახა შენი თავი. ის კი არა, კაცო, დიაც არ გამახსენდა, ჩვენი დია ჩიანელი.

მე დავაშოშმინე. თან ვფიქრობ, სად ვუშოვო ახლა ასე უცებ პალტო?! ჩემი პალტო ბეჭებზე არ წვდება. არცთუ საგალაკტიონო ქსოვილისაგან არის შეკერილი. რა ექნა, არ ვიცი. იმ დროს ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის დირექტო-რად მუშაობდა ჩვენი ცნობილი პოეტის კოლაუ ნადირაძის სიძე ვალოდია შენგელია. ის, როგორც მოწინავე და ნი-ჭიერი დირექტორი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დე-პუტატიც იყო. ეს გამახსენდა, იგი ჩემი სიყრმის მეგობარი გახლდათ და ჩამოსვლისთანვე დავურეკე.

— ხომ არ გადირიე, მამია, გალაკტიონის შესაფერი სა-პალტოვე ქსოვილი სად გვეშოვება. „ბობრიკის“ პალტოს ხომ არ ჩავაცმევ ამხელა პოეტსო — მიპასუხა ნაღვლი-ანად.

ცეცხლი მომეკიდა. გალაკტიონი სასტუმროში მიცდის. გზა-ზე მან გამაფრთხილა, დღეს თუ არა, ხვალ წყალტუბოში უნ-და ჩავიდე. იქ ჩემი მეგობარი რუსი კინომსახიობი ქალი არის, იუზა უნდა წავიყვანო თან და იმერეთი ვაჩვენოო.

პირდაპირ მდუღარეში მედგა ფეხი. გამოუვალ მდგომა-რეობაში ვიყავი. იღბლად რაღაც საქმეზე ქალაქკომის მდი-ვანმა გრიშა გაბუნიამ დამირეკა, მეც არც ვაცხელე, არც ვა-ციე და ჩემი გაჭირვება ვუთხარი. ისიც შეფიქრდა. მერე მითხრა: გიორგი ქუთათელაძეს ან ნიკოლოზ ბლუაშვილს დაურეკე. მათ, როგორც ვიცი, უცხოური საპალტოვე ქსო-ვილები აქვთ და, თუ არ შეუკერავთ, უარს არ გეტყვიანო.

მეც ავდექი და ორივეს იმწუთშივე დავურეკე. გიორგიმ მი-თხრა: მე, ძმაო, უკვე შევიკერე, შენს იღბალზე კოლიას არ შე-უკერია და შენ და მაგ იცოდეთო.

კოლიამ არამც თუ უარი არ მითხრა, იმწუთშივე ვანიონ დარასელის ხელით გამოგზავნა ძვირფასი ქსოვილი. ვანიონმა

რომ შემომიტანა ქსოვილი, ელდა მეცა. იგი, მართალია, მეტად ძვირფასი, მაგრამ ნაცრისფერი აღმოჩნდა. ამ ფერს კი გალაკტიონი, ვიცოდი, დამიწუნებდა. ამ დროს ქუთაისში თეთრ ხიდთან სამღებრო ჰქონდა ამ საქმის ბრწყინვალე ოსტატს მიხაკო ხინგავას. მასთან მივედი და ვთხოვე.

— შეღებვით კარგად ვღებავ, მაგრამ მაგის გაშრობას ორი დღე მაინც უნდაო, — გამაფრთხილა, — იცი, — მირჩია მან, — მაუდის ფაბრიკაში საშრობი ცეხია, ერთ საათში გაგიშრობენ.

მართლაც, საღამომდე უკვე მშრალი ქსოვილი სამკერვალო ფაბრიკაში გამომჭრელების წინ იდო. საღამოს ვალოდია შენგელია თვითონ მოვიდა და მოხელეები მოიყვანა.

— ჰო, როგორ ააფორიაქა მამიამ მთელი ქუთაისი, — ნაღვლობდა გალაკტიონი.—მაპატიეთ, გენაცვალე, სულ მამიას ბრალია. მე, აბა, თქვენ შეწუხებას როგორ გავბედავდი!

იქვე მჯდარი ნიკო ქუთათელაძე და იუზა ჩუმ-ჩუმად იღიმებოდნენ. გალაკტიონმა ეს შენიშნა და, როგორც ეტყობა, არ ესიამოვნა. იუზას უბრალო „პლაშჩი" ეცვა. თურმე შიგნიდან შესანიშნავი ფერის წავის თუ მელის ტყავით ყოფილა გამოფენილი (სხვათაშორის მას დიდხანს გაყვა ძველი უცხო ქსოვილების კოსტუმები და ფრაკები). მე ათასჯერ მინახავს ამ სამოსში იუზა, მაგრამ არ შემინიშნავს ეს ძვირფასი საფენი. გალაკტიონს თურმე არ გამოპარვია ეს და იუზას მიმართა:

— იუზა, გენაცვალე, მეცოდები, თხელი „პლაშჩი" გაცვია, თორემ მაგ ძვირფას საფენს გამოვაძრობდი და ჩემს პალტოს გამოვაფენდი!

იუზა შეკრთა, ნამდვილად შეშინდა. ალბათ, იფიქრა მართლაც არ დამიქინოს ეს თხოვნაო. ნიკოს ხარხარი აუვარდა.

ვალოდიამ მთელი ღამე ამუშავა რამდენიმე მკერავი. დილით საუზმეც არ გვქონდა დამთავრებული, რომ პალტო მოიტანეს. ბრწყინვალედ იყო შეკერილი. სხვათაშორის იძალა და საუზმის ფულიც (საუზმეზე იუზას და ნიკოს გარდა

დია ჩიანელი, პეტრე ბახტურიძე და ვანიონ დარასელიც იყვნენ) ვალოდია შენგელიამ გადაიხადა.

ეტლს გამოვუძახე. ის იყო ვსხდებოდით კიდეც, განათლების განყოფილების შიკრიკმა წერილი მომაწოდა. იწერებოდა რიონის სადგურის უფროსი ვასილ ჩხეიძე (იგი ძმა იყო დია ჩიანელის და მამა აწ გარდაცვალებული ნიჭიერი პედაგოგის დათუნა ჩხეიძის): „ვიღაცამ პალტო გამოგზავნა წერილით. იწერება, გალაკტიონის პალტო ყოფილა. შენი ჭირიმე თბილისში გადაუგზავნეთო“.

ეტყობოდა, ვასილ ჩხეიძემ არ იცოდა გალაკტიონის ქუთაისში ყოფნა. მან, ალბათ, იფიქრა ქუთაისის მწერლებს გავუგზავნი წერილს და პალტოს წაიღებენო. იმ წუთშივე გავაგზავნე ეტლი და ერთ საათში გალაკტიონის პალტო უკვე ჩვენთან მოიტანეს. უნდა გულწრფელად ვთქვა, რომ ძვირფასი პალტო იყო, მაგრამ ახალ პალტოსთან მისი შედარება არ შეიძლებოდა.

— რაღა ვქნათ ახლა, — გაასავსავა ხელი გალაკტიონმა, — რა უყოთ, გენაცვალე, იმ ჩვენ უფროსს. სირცხვილი ხომ არ იქნება უკან მისთვის ახალი პალტოს დაბრუნება (იგი სიტყვა „უფროსში“ ნ. ბლუაშვილს გულისხმობდა).

მე, მართლაც, დავურეკე ნიკოლოზ ბლუაშვილს. მას გაეცინა:

— რას ბრძანებთ! ეს პალტო ჩემი საჩუქარი იყოს. გალაკტიონზე ყველაფერი ალალია. გადაეცით ჩემს მაგივრად, ოღონდ მისებურად კიდევ დაგვიწეროს ლექსები და ამ დღეებში ჩრდილო კავკასიაში ვაპირებ წასვლას და იქიდან თეთრ ნაბადს ჩამოვუტანო.

დარჩა გალაკტიონი ორი პალტოთი. იმ საღამოს იქ გაათია. დილით, როცა სასტუმროში მე და იუზა მივედით, იგი უკვე ამდგარი დაგვხვდა. მაშინ ქუთაისში ჩვენი თეატრის გვერდით ე. წ. „აზიური“ სასადილო იყო. ამ სასადილოში მხოლოდ და მხოლოდ ქართული საჭმელები კეთდებოდა. ნიკოს, დავურეკეთ და იქ ჩამოვიყვანეთ. ნიკოს სახლში ბადრიჯნის საცივი თავის ხელით გაეკეთებინა. მისი ბინა იქვე იყო, კლასიკური გიმნაზიის ძველ შენობაში (სასტუმროს წინ). გაზეთგადაფარებული ერთი სავსე საინი თან ჩამოიტანა.

— აბა, ვნახოთ, — თქვა მან, — ამ სასადილოს მზარეული უბადლოდ ითვლება, ახლა მას ბადრიჯანი არ ექნება, მე კი ჩემებურად შევინახე და მოგართვითო.

სხვათა შორის ნიკო ქუთათელაძე ქართული სამზარეულოს დიდი მცოდნეც იყო.

მართლაც, გალაკტიონს ძალზე გაეხარდა.

— ეს რა გაგვახარე, გენაცვალე, დედაჩემის გაკეთებულსა ჰგავს. მას შემდეგ ასეთი სიამოვნება არ მიგრძვნიაო, — ამბობდა იგი და, მართლაც, მადიანად შეექცეოდა ბროწეულით და ნიგვზის ბაჟით შეკაზმულ ბადრიჯნის საცივს. საუზმე გაგვიგრძელდა. ცოტაც დავლიეთ.

ჩვენი სუფრა პატარა აუზის ნაპირას იყო მიდგმული. აუზს ქვის გვიმი ჰქონდა შემოვლებული. აუზში თევზები ირეოდნენ. მზარეული, როცა დასჭირდებოდა, ხელს ჩაჰყოფდა, თევზებს დაიჭერდა და ჯერ კიდევ ცოცხალს გაფატრავდა, სანამ ისინი მოკვდებოდნენ, ტაფაზე შეაგდებდა. შენიშნა ეს თუ არა, უცებ გალაკტიონს თვალები გაუფართოვდა, თითქოს ფერი წაუვიდა კიდეც. სწრაფად წამოდგა და მოგვაძახა:

— აბა, წავიდეთ, აქ ველურები ყოფილან, ჩვენც არ დაგვხოცონ ამ უღვთოებმა, აქ სად მომიყვანეთო.

ფული უცებ გადავიხადეთ და გამოვედით. იგი დიდხანს იყო ჩუმად და ისე მოდიოდა. ნიკომ ინსტიტუტში ლექციები მოიმიზეზა და დაგვშორდა. ჩვენ კი დიდხანს დავყვებოდით ქუჩებში. ისევ თქორავდა. გიმნაზიის ეზოში მაინც შეგვიყვანა. ჭადარს რამდენჯერმე შემოუარა, მერე ქუჩაში გამოვიდა და ცნობილი ფოტოხელოვანის დავით მხეიძის ატელიესთან გაგვაჩერა.

— აქ, გენაცვალე, ჩემი დათიკო იქნება, ისეთ სურათებს ქვეყანაზე ვერავინ იღებს. მოდით ერთი ჩვენ სამმა სურათი გადავიღოთ.

დავითი, მართლაც, ატელიეში დაგვხვდა. გალაკტიონი ძმასავით მოეხვია. ზევით, შუშაბანდით დახურულ სხვენზე ავედით. ღრუბლის გამო ცუდი სინათლე იყო. გალაკტიონი მე მომიბრუნდა:

— მამია გენაცვალე, პალტო გაიძვრე, შენ სურათი ისე

გადაიღე. როცა დახედავ, გაგახსენდება რიონის სადგურიდან უპალტოოდ რომ წამოგიყვანე.

ძალით გამაძრო პალტო და ისე გადავიღეთ სურათი.

იმ საღამოსვე წყალტუბოში წავიყვანეთ. იუზა ორი დღით იქ დარჩა, მერმე კი ქუთაისში ჩამოვიდა. გალაკტიონმა ათი დღის შემდეგ დამირეკა. მეც ეტლი გავუგზავნე. საღამოს სასტუმროში ვნახე. მეტად გახარებული იყო.

— ვალიკო იაშვილმა (წყალტუბოს დირექტორი იყო, რომელსაც გალაკტიონი დიდი მოწიწებით ჩავაბარეთ) დიდი პატივი მცა, ერთი დღე ჩემს სოფელშიაც გამიშვა მანქანით, ჩვენები მოვინახულე, დიდად გამახარა, დიდად გამახარაო. — იმეორებდა.

მაშინ სასტუმროში ცხოვრობდა პარტიის საოლქო კომიტეტის დიდი უმრავლესობა. უცებ ჩვენთან შემოვიდა სასტუმროს დირექტორი და გვითხრა გიორგი ყურულაშვილი (მაშინ, მგონი, ცეკას ერთ-ერთი მდივანი იყო და თუ არ ვცდები ჟურნალ „მნათობის" რედაქტორიც) ჩამოვიდა და გთხოვთო. შევედით. მთელი საოლქო კომიტეტის შემადგენლობაც იქ იყო. ყველანი გახარებულნი შემოეხვივნენ გალაკტიონს. პალტოს ამბავიც (ალბათ, გრიშა გაბუნიამ მოუყვათ) გაეგოთ.

გრიშა გაბუნიამ გვიამბო: პალტო რკინიგზის მცველებს უნახავთ სადგურის რესტორანში მიგდებული. შეკეცილ საყელოში წერილი იდო: „პალტო პოეტი გალაკტიონ ტაბიძის აღმოჩნდა. პატრონს გაუგზავნეთ, მას ჩვენ აუცილებლად წერილს მივწერთო". როცა ძებნა დაუწყიათ, გაუგიათ, გალაკტიონი ამა და ამ დღეს რიონის სადგურზე ყოფილა და ამიტომ ჩვენთვის გამოუგზავნიათ პალტო.

შემდეგში გალაკტიონს გაახსენდა, რომ პალტოს ჯიბეში რუსი მსახიობი ქალის მიერ გამოგზავნილი დეპეშა ყოფილა მისი სახელით და მისამართით. ალბათ, პალტოს ქურდებმაც აქედან გაიგეს პატრონის ვინაობა.

დიდი რეჟისორი

კოტე მარჯანიშვილის ჩამოსვლას ქუთაისის მთელი ახალგაზრდობა გულისფანცქალით შეხვდა.

წინა წლებში ქუთაისის თეატრს ცნობილი რეჟისორი მიხეილ ქორელი ხელმძღვანელობდა. ამ შესანიშნავ რეჟისორს დიდ პატივს სცემდა ქუთაისის საზოგადოება.

დასიც ღონიერი ჰყავდა ქუთაისს. მარტო ნინო ჩხეიძე რად ღირდა?! ახლაც, როცა დიდ ქართველ ქალებზე სადმე კარგ რამეს წავიკითხავ, ან გავიგონებ, იმ წუთშივე ნინო ჩხეიძე დამიდგება თვალწინ. ჩემს გონებაში და ფიქრში ნინო ჩხეიძე არამცთუ მაშინდელი ქართველი დიდად ღვაწლმოსილი ქალის სრულყოფილი განსახიერება იყო, იგი დღესაც ჩემთვის ყოველმხრივ იდეალურ ადამიანს წარმოადგენს.

როგორც ადვნიშნეთ, მიხეილ ქორელის დასი სიყვარულით სარგებლობდა ქუთაისის მაშინდელ თეატრის მაყურებლებში.

მოულოდნელად ხმა გავარდა, რომ კოტე მარჯანიშვილი თავს ანებებს რუსთაველის თეატრს და ქუთაისში გადმოდისო. ამ ამბავმა მთელი ქალაქი ააფორიაქა.

მართალია, ჩვენ გვესმოდა მაშინდელ რუსთაველის სახელობის თეატრში არსებულ „ბრძოლების“ შესახებ, მაგრამ ქუთაისში კოტეს ჩამოსვლას არ ველოდით. შეიქნა ჩურჩული, მითქმა-მოთქმა, მღელვარება გავიდა ხანი, დასიც ჩამოვიდა. ქუთაისისათვის, მისი ახალგაზრდობისათვის ეს იყო დიდი დღესასწაული.

— ვერიკო, უშანგი, შალვა, — უთითებდნენ ახალგაზრდები ქუჩაში მიმავალ მსახიობებზე.

ჩამოყალიბდა თეატრის სამხატვრო საბჭო, სტუდია. რამ-

დენიმე ახალგაზრდა შეიყვანეს სამხატვრო საბჭოს წევრად. სხვებთან ერთად (შურა მესხი, გრ. სვანიძე და სხვ.) მეც მოვხვდი.

სხვათა შორის საბჭოში ბევრი მოწინავე მუშა შეიყვანეს, უმთავრესად რიონჰესის და მაუდის საქსოვი ფაბრიკის მუშები.

დაიწყო წარმოდგენები.

ქართულ დღესასწაულებს დავსწრებივარ, ვყოფილვარ მცხეთობაზე, ალავერდობაზე. გადაუჭარბებლად ვიტყვი, თითეული ახალი წარმოდგენა არანაკლები დღესასწაული იყო. თბილისიდან უამრავი ხალხი ჩამოდიოდა დადგმებზე დასასწრებად, ბილეთები სალაროში არ იშოვებოდა, სტუმრებით ავსებული იყო მთელი ქალაქი.

პირადად გავეცანი უშანგის, შალვას, ალექსანდრე ყორეოლიანს, შაქრო გომელაურს, დოდო ანთაძეს, გრ. სულიაშვილს, ვახტანგ აბაშიძეს. გავეცანი ვერიკოს და თამარ ჭავჭავაძეს, მერი დავითაშვილს. გიორგი შავგულიძე, სერგო ზაქარიაძე, აკაკი კვანტალიანი, საშა გომელაური და ჭიჭიკო ბეგალიშვილი მაშინ ახალგაზრდები იყვნენ.

სერგოს ოჯახს ბავშვობიდან ვიცნობდი. არასდროს არ მიფიქრია, თუ სერგო მსახიობი გახდებოდა. მისი ცხოვრებიდან ბევრი რამ მახსოვს, მაგრამ ყველაზე მეტად ერთი რამ ჩამრჩა ხსოვნაში: ტოლერის ცნობილი პიესის — „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ" — გენერალურ რეპეტიციაზე მიგვიწვიეს. სერგო პატარა როლს, სიკვდილმისჯილი პატიმრის როლს ასრულებდა. სცენაზე საპატიმროს ოთახში რკინის ტახტზე წვანან პატიმრები. თუ არ ვცდები, სერგოს მხოლოდ ორიოდე სიტყვა ჰქონდა სათქმელი.

ციხის დარაჯი შემოდის და კითხულობს — ვინ მოითხოვა მღვდელი? მსჯავრდადებული რევოლუციონერი პატიმრები გაოცებულნი არიან — ნუთუ ჩვენს შორის ღვთისმორწმუნეა? კითხულობენ მათი სახეები და ერთმანეთს აცქერდებიან.

უცებ ტახტზე ერთი პატიმარი შეირხა, გადმობრუნდა და გვერდი ისევ იცვალა. სცენაზე ოდნავი სიბნელეა, პროექტორის მოძრავი სხივების ერთი კონა ანათებდა მის რკინის

ლოგინს. სინათლემ მხოლოდ რამდენიმე წუთით დახედა მას.

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება მისი ხმა, თითქოს ახლაც მესმის:

— ნუ გამკიცხავთ, ამხანაგებო, ჯერ კიდევ თექვსმეტი წლისამ უარვყავი ღმერთი. ახლა სიკვდილის წინ შიშმა შემიპყრო, ნუ გამკიცხავთ!—ეს ხმა გლოვის ფერხულივით გაისმა საპატიმრო ოთახში.

ახლა მისი სახე, მისი მარჯვენა ხელის მტევნის საოცარი თრთოლა!

ეს იყო ცივ კედლებში მომწყვდეული, განაწამები ახალგაზრდა პატიმარი მუშის ტანჯული სახე — შთამბეჭდავი, ბევრის მთქმელი და გულში ჩამწვდომი; პატიმრის, რომელსაც სიკვდილის წინ ნებისყოფამ უღალატა, ადამიანის, რომელმაც სიკვდილისჯამდე ვაჟკაცობა გამოიჩინა, უკანასკნელად კი დასუსტდა, შეღონდა, გატყდა.

კოტე რეპეტიციების დროს ყოველთვის პარტერის მეხუთე-მეექვსე რიგში დაჯდებოდა ხოლმე, წინ პატარა მაგიდას დაიდგამდა და პაპიროსს პაპიროსზე სწევდა. არა, კი არ სწევდა, პირდაპირ სჭამდა. როცა მსახიობის თამაში მოეწონებოდა, ჩვენსკენ მობრუნდებოდა და თვალებში ჩაგვხედავდა — ნახეთ, როგორი კარგი მსახიობები მყავსო. თუ რაიმე არ მოეწონებოდა — წყეელა-გინებით აიკლებდა იქაურობას, ღელავდა, ბობოქრობდა.

სერგოს მიერ ამ როლის შესრულება მოეწონა, სიხარულისაგან აფორიაქდა, ჩვენ შემოგვხედა. პაპიროსის ღერი ბოლომდე პირში ეკავა, სისველის გამო გადატყდა, ზედ ტუჩზე დაეცა, იგი შეწუხებული წამოვარდა. მახსოვს, სწორედ მის უკან სავარძელში ერთი ახალგაზრდა ჩვენი მეგობარი იჯდა, სერგოს მიერ ამ როლის ძლიერად შესრულებამ დაავიწყა, რომ წინ კოტე იჯდა და, როცა ამ დაჭიმული ფსიქიური მდგომარეობის დროს წინ ვიღაც წამოვარდა, — დაჯექი ამხანაგო, — დაუყვირა.

აბა, წარმოგიდგენიათ, კოტეს ვინ ეტყოდა ხმამაღლა სიტყვას, ისიც რეპეტიციის დროს!

კოტე შემობრუნდა, გაოცებით შეხედა. მერე მიხვდა, გა-

ილიმა და სავარძელში მორჩილად ჩაჯდა. დამწვარ ტუჩზე კიხელს ისვამდა.

შესვენების დროს ჩვენ ამხანაგს ეუსაყვედურეთ, კოტე მოვიდა და მოეფერა.

— ზაქარიაძის ბრალია, ისე კარგად შეასრულა ეს როლი, რომ პაპიროსიც დამავიწყდა და ისიც, რომ ჩემს უკან ადამიანები ისხდნენო, — ღიმილით ამბობდა იგი.

ამ პიესის დადგმის დროს თბილისიდან მთელი ეშელონი ჩამოვიდა. სხვებთან ერთად ქუთაისს ეწვიენ: სიმონ ჩიქოვანი, ბესარიონ ჟღენტი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, დემნა შენგელაია, ბენიტო ბუაჩიძე და სხვები. კარლო კალაძე მაშინ ამ თეატრის დირექტორი იყო და ქუთაისში იმყოფებოდა. ეს ჯგუფი კოტეს დიდი პატივისმცემელი იყო. ქალაქში ამ დროს ერთი ცნობილი მეეტლე „შაფათა“ ცხენებს აქირავებდა და ამით შემოსავალს იმატებდა. აი, ჩვენმა მწერლებმაც დაიქირავეს ცხენები და შეზარხოშებულებმა ქუთაისის ქუჩებში მარულა გამართეს.

—ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!—გაჰყვიროდნენ ისინი ხალხით გაჭედილ ქუჩებში. ხალხიც საოცარი სიყვარულით და ენთუზიაზმით ხვდებოდა ახალგაზრდა მწერლების ასეთ ორიგინალურ მარულა-რეკლამას.

ტოლერის პიესა მეტად კარგად მიიღო მაყურებელმა. იგი რევოლუციური ხასიათისა და ტემპერამენტიანი პიესა იყო.

კარლის როლს უშანგი თამაშობდა. ერთი სცენა ელექტროსვეტის ქვეშ მიდიოდა. კარგა გრძელი მონოლოგი ჰქონდა სათქმელი. ქარიშხალი დატრიალდებოდა ხოლმე სცენაზეც და დარბაზშიც.

როგორც კომკავშირის მუშაკს, საღამოობით უჯრედებში მიხდებოდა სიარული, არაერთხელ მინახავს კრების დაწყებამდე ახალგაზრდები მონახავდნენ ელექტროსვეტს და მის ქვეშ უშანგის მიბაძვით მონოლოგებს აღელვებით ამბობდნენ.

მოგეხსენებათ, ქუთაისის მაშინდელი თეატრის დარბაზი მეტად ვიწრო და პატარა იყო. ზედა „ბალკონი“ თითქმის სცენამდე მოდიოდა. კოტემ ამ პიესაში (კაფეს სცენა) ცეკვა გამოიყენა. მახსოვს „ბალკონზე“ სამი თუ ხუთი წრე მიამაგრებინა და საცეკვაო მოედნები გააკეთა. კოტეს დიდ რეჟისორულ ბუ-

ნებას პატარა სცენა არ ეყო და დარბაზიც სცენად გადააქცია. ვისაც ეს დადგმა უნახავს, მან იცის, თუ რა გასაოცარი ხელოვნებით იყო გამოყენებული ამ წარმოდგენაში სინათლეთა ფერების თამაში, მუსიკა და ცეკვა.

მახსოვს, გენერალურ რეპეტიციაზე უბედურება კინაღამ მოხდა. ბალკონზე მიმაგრებულ ვიწრო წრიულ საცეკვაო მოედნებზე წყვილ-წყვილად ცეკვავდნენ ახალგაზრდები. ერთ წრეზე გ. შავგულიძე იყო თავისი მოცეკვავე ქალით, მეორეზე— ჭიჭიკო ბეგალიშვილი. დიდი შავი ხუჭუჭი თმებით და ფართე თვალებით ჭიჭიკო ანტიკურ ბერძენ ვაჟკაცს მოგაგონებდათ. რაც შეეხება ახალგაზრდა გიორგი შავგულიძეს, ის ნამდვილად ყრმა თეზეოსის ატლეტური განსახიერება გახლდათ. და აი, იწყება ცეკვა, კაფეში ერრიამულია, მუსიკა, სინათლეების სადღესასწაულო ზეიმი და უცებ ჭიჭიკოს ფეხი დაუცდა, პარტერის თავზე ცალი ხელ-ფეხით დაეკიდა. წამი და მოსალოდნელი იყო დიდი უბედურება. იგი ზურგით დაეცემოდა სკამების თავებს. ვინ იცის, რა მოხდებოდა?!

დარბაზი გაყინა, გაისუსა. მხოლოდ დამსწრეთა გულისცემა ისმოდა.

— ჰე, ბიჭო, ჭიჭიკო, შენი ჭირიმე, დამაგრდი! — ყვირის ჟორა შავგულიძე.

კოტე ვეფხვიკით მოვარდა.

— აბა, შენ იცი, შვილო! — მუდარით დაუყვირა ბეგალიშვილს, — აბა, არ შემარცხვინო, დამაგრდი და ტანი აიტანე! — თითქოს უბრძანა კიდეც.

მართლაც, საოცარი არაადამიანური ძალით აიტანა მაშინ ტანი ჭიჭიკომ. აიტანა და ამოვისუნთქეთ კიდეც. როცა განათდა და შევხედეთ, კოტეს შუბლი კამკამა ოფლის ცვრით იყო დანამული. მეორე დღისთვის კოტემ ცოტა გააფართოებინა ეს საცეკვაო წრე-მოედნები.

კოტე ძალიან დარდობდა, რომ თეატრი პატარა იყო და მის სურვილებს ვერ იტევდა.

უშანგი ჩხეიძე, სერგო ზაქარიაძე და არჩილ ჩხარტიშვილი კათოლიკების ყოფილ ტაძართან — კოკოჩაშვილების ოჯახში ცხოვრობდნენ. იმავე სახლში ცხოვრობდა საშა მიქელაძე, რო-

მელიც მაშინ მუშა-ახალგაზრდობის თეატრს ხელმძღვანელობდა და, თუ არ ვცდები, უშანგი იმ სახლში მდგმურად სწორედ მან მიიყვანა. მე ხშირად დავიარებოდი მათთან.

უშანგი „ურიელს“ ამზადებდა. იმავე სახლში ცხოვრობდა იმ დროს ქუთაისის ერთ-ერთი ულამაზესი გოგონა, არც ერთი გულგრილად არ ვიყავით მისადმი, ის ისეთი ლამაზი ქალიშვილი იყო, რომ ახალგაზრდობა კისერს იმტვრევდა მისთვის. ეს გოგონა მეტად ანცი, ამაყი და ნიჭიერი ქალი იყო. ხანდახან უცნაურ რამეებს გამოიგონებდა ჩვენს გასაჯავრებლად.

ეზოში ტყემლები და ალუბლები იდგა. უშანგის ოთახის ერთი ფანჯარა ეზოში გადიოდა. იმ ქალიშვილს ლამაზი ამხანაგებიც ჰყავდა. რასაკვირველია, უშანგი მათი ღმერთი იყო. საერთოდ უშანგი მეტად მოკრძალებული, თავდაჭერილი და დარბაისელი კაცი იყო. ერთ დღეს, როცა იგი გამწარებული იზეპირებდა ურიელის როლს, გოგონებს კვირტიდან ახლად გამოსული ლორთქი ტყემლის კაკლები დაეგროვებინათ და ფანჯრიდან უშანგისათვის სროლა დაეწყოთ. ეს იყო ახალგაზრდული ანცობა, მაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ უშანგის როლი დაუსწავლელი რჩებოდა. იმ დროს შევედი. უშანგი აპილპილებული დამხვდა:

— კოტე მომკლავს, როლი ვერ დავისწავლე ამ გოგონების გადამკიდე, სად დავიმალო, არ ვიცი?! — თვითონ კი ვერ გაებედნა და გარეთ ვერ გამოსულიყო სირცხვილისაგან.

მე გავედი და გოგონებს დავუტატანე, თან ავუხსენი, ახლა ანცობა არ გამოდგება-მეთქი. როცა გაიგეს თავიანთი ხუმრობის მოსალოდნელი შედეგი, ჩაჩუმდნენ.

როცა ურიელი დაიდგა, არ დამავიწყდება კოტეს აღფრთოვანება. იგი ხელების ფშვნეტით შეჰყურებდა სცენაზე ვერიკოს, უშანგის და შალვას პაექრობას. იღიმებოდა, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა.

შესვენების დროს ლოჟაში განსვენებული კაპიტონ ჯანჯღავა შემოვიდა. იგი მეტად ნიჭიერი, განათლებული და საყვარელი კაცი იყო. არ უყვარდა პირფერობა და ლაქუცი. მაშინ ის საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

— კოტე, ეს რაღაც სასწაული გამოვიდა, ვერიკო და უშან-

გი მაგიჟებენ პირდაპირ, ასეთი სიამოვნება ჩემს ცხოვრებაში არ განმიცდია!

კოტე გადაეხვია, გადაკოცნა, მადლობა უთხრა. მე მაშინ ქალიშვილების, ტყემლებისა და უშანგის ამბავი მოვუყევი მათ.

კოტეს ხარხარი აუტყდა.

— აი, თურმე ვის უშველია ჩემთვის, ალბათ, იმ ქალიშვილების სილამაზის ძალამ იმოქმედა უშანგიზე, თორემ მაგაზე სხვა ძალა არ მოქმედებსო, — ხუმრობდა სიცილით.

იმ წუთშივე კულისებისაკენ გაიქცა.

იცოცხლეთ მეორე დღეს მე უშანგისაგან ლოცვა-კურთხევა მივიღე.

— რატომ სთქვი, რატომ?! კოტე აწი მოსვენებას არ მომცემს, ყოველ ბანკეტზე წამომძახებსო.

ღმერთო შენით და შემდეგ არასდროს ეს ამბავი კოტეს არ გაუხსენებია. შეიძლება იმიტომ, რომ უშანგის იგი მეტად დიდ პატივს სცემდა, მის წყენას ერიდებოდა.

ერთ დღეს სამხატვრო საბჭოზე მიგვიხმეს. იდგმებოდა პანტომიმა „ხანძარი“.

საოცარი რამ მოხდა. გენერალური რეპეტიცია ყოვლად უგემურად და უღიმღამოდ წავიდა. არც ერთი დეტალი, არც ერთი მიზანსცენა არ იდგა თავის სიმაღლეზე. ჩვენ გაოცებულნი ვიყავით. კოტეს მადლიანი ხელი არ ჩანდა. აშკარად იგრძნობოდა, რომ წარმოდგენა ჩავარდა.

რეპეტიციის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. სამხატვრო საბჭოს კაპიტონ ჯანჯღავა ხელმძღვანელობდა. ვის უნდა სიტყვის თქმაო, როცა თქვა, კაცმა ხმა არ ამოიღო.

კოტე, რასაკვირველია, მიხვდა რაშიც იყო საქმე და გული მოუვიდა.

კაპიტონმა გვანიშნა, თქვენი აზრი გამოთქვითო. სხვა გზა არ იყო, ავდექი. წარმოდგენას უარყოფითი შეფასება მივეცი, როგორც შემეძლო, ჩემი აზრი დავასაბუთე. მთელმა საბჭომ მხარი დამიჭირა. ერთმა ახალგაზრდამ თავისი აზრი ზუსტად ვერ გამოთქვა და სიტყვა „ხალტურა“ უადგილოდ იხმარა.

ამან კოტე ძალიან გააბრაზა:

— თქვენ არაფერი არ იცით, თეატრში თხა და გიგოსავით ხართ და სხვისი არ გჯერათო.

კაპიტონმა ბევრი აწყნარა, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. ჟენჭი უყარეს და წარმოდგენა არ მიიღეს. გაცეცხლებული კოტე წამოვარდა.

— ხვალვე ცენტრალური კომიტეტის მდივანს ჩამოვიყვან, დე, იმან განსაჯოს ეს საქმეო.

მართლაც, მეორე დილით საოლქო კომიტეტში დამიბარეს.

— ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჩამოვიდა. ამაღამ რეპეტიცია უნდა ნახოს, თქვენი აზრი უნდა დაასაბუთოთ, არ შეგვარცხვინოთო.

აბა, რა ხასიათზე დავდგებოდი. თუმცა ვგრძნობდი ჩემს სიმართლეს, მაგრამ მაინც ძალიან ვღელავდი. ფაცხაფუცხით სახლში გავიქეცი, რაც კი რაიმე წიგნი მქონდა თეატრალურ ხელოვნებაზე, ყველაფერი გამოვქექე, ჩავუჯექი, რაღაც თეორიული საფუძველი ხომ უნდა ჰქონოდა ჩემს სიტყვას?!

წიგნი არ მქონდა გაშლილი, მთელი სამხატვრო საბჭოს წევრების ჯგუფი თავზე დამადგა:

— რა ვქნათ, რაღა გვეშველება, რა ვთქვათო.

მე გულმოსული ვიყავი იმ ამხანაგზე, რომელმაც სიტყვა „ხალტურა“ იხმარა და კოტე ასე გააბრაზა, ამიტომ ძალიან მკაცრად ვუსაყვედურე. საწყალს ისე შეეშინდა, იმ ღამეს არც მოვიდა რეპეტიციაზე. ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლევან ღოღობერიძეს ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ამხანაგებიც — კოტე გორდელაძე და ერიკა ბედია ახლდნენ თან.

რეპეტიცია დამთავრდა. კაპიტონმა პირველი სიტყვა მე მომცა.

არ მახსოვს რა და როგორ ვილაპარაკე, მაგრამ, როცა დავჯექი, მუხლები მაშინ ამიკანკალდა. კოტეს თვალებს რომ წავაწყდი, მივხვდი, მისი თვალები აღარ მიყურებდა სიყვარულით. ადგნენ სხვებიც და მხარი დამიჭირეს, შემდეგ კაპიტონმა თქვა სიტყვა. მეტად მშვერმეტყველი და ნათელი გონების ახალგაზრდა კომუნისტი იყო, მან საფუძვლიანად და დამაჯერებლად ილაპარაკა, რასაკვირველია, სამხატვრო საბჭოს წინაღამის აზრი დაიცვა და დაასაბუთა.

ყველანი ცენტრლური კომიტეტის მდივანს შევცქერით, რან იტყვის ახლა იგი. ვაითუ მართლა ვცდებით, ხომ არ გადავაჭარბეთ და ვავნეთ საქმეს?!

აი, ეს აზრი გვაწვალებდა ყველას.

ჩვენ ვიცოდით ისიც, რომ კოტეს დიდ პატივს სცემდა და შეიძლება მორიდებოდა კიდეც; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან დაიცვა ჩვენი აზრი. რასაკვირველია, უფრო საბუთიანად და მტკიცე არგუმენტებით.

კოტე გაბრაზდა, მაგრამ შეყოყმანდა. მოითხოვა — ხვალამდე მაცალეთ და ხვალ საღამოს რეპეტიციას დაესწარით. თუ არ მოგეწონებათ, მაშინ მისაყვედურეთო. ჩვენ გავვოცდით. ხვალამდე რა უნდა გაკეთდეს, რა უნდა შეიცვალოს?!— ვფიქრობდით ყველანი.

არ აწყენინეს. დათანხმდნენ და დავიშალენით. სანამ ხალხი ადგებოდა, კოტე დასს მიუბრუნდა:

— არავინ ამაღამ სახლში არ წავა. მთელი ღამე უნდა ვიმუშაოთ და ჩვენი საქმე ვაკეთოთ.

მივდიოდით სახლში და ყველანი დარწმუნებული ვიყავით, არაფრის შეცვლა ერთი ღამის მანძილზე არ შეიძლებოდა. მართალია, ჩვენ გვწამდა, რომ კოტეს სახით საქმე გექონდა დიდ რეჟისორთან, მაგრამ, რასაკვირველია, არა სასწაულმოქმედთან.

მეორე დღეს საღამოს რვა საათზე შევიკრიბენით. ყველანი მოვიდნენ. წარმოდგენის დაწყებამდე გავიგეთ, რომ მთელი ღამე ემუშავნათ, კაცი არ გაეშვა სახლში. რამდენიმე მოქმედი პირი ჩაემატებია კიდეც. თუ არ ვცდები, კოტე ანდრონიკაშვილი მაშინ ადმინისტრატორად მუშაობდა თეატრში და ისიც კი ათამაშა ამ წარმოდგენაში.

რეპეტიცია დაიწყო.

პატარაობის ჟამს ბევრი რელიგიური წიგნები წამიკითხავს სასწაულმოქმედთა შესახებ, მაგრამ ცხოვრებაში ასეთი არაფერი მინახავს. არც ერთი დეტალი, არც ერთი მიზანსცენა არ ჰგავდა წინაღამის წარმოდგენას. ყველაფერი ძირფესვიანად შეცვლილი და გადასხვაფერებული იყო. ეს უსიტყვო პიესა (როგორც ზემოთ ვთქვით, იგი პანტომიმა იყო) მეტყველ და მხატვრულად ძლიერ წარმოდგენად გადაიქცა. მედეა ქორელი,

რომელიც მთავარ როლს ასრულებდა, არ ჰგავდა წინაღამინ მსახიობს. იგი სრულიად სხვანაირად მოჩანდა და მისი ტანის რხევაც კი სულ სხვა იყო. ერთი სიტყვით, ჩვენ ახლა ვნახეთ ის, რასაც არ ველოდით. ვნახეთ მხატვრულად გამართული, ნათელი და ძლიერი წარმოდგენა. რა გვეთქმოდა, მადლობის მეტი. კოტე ღიმილით და კმაყოფილებით გვიყურებდა ახლა. როცა ჩვენი აზრი ვუთხარით, იგი წამოდგა და თქვა:

— მართალი გითხრათ, კომკავშირელები ახლა ძალზე მომეხმარნენო.

ყველას ხელი ჩამოგვართვა და მოგვეფერა; შემდეგ გავიგეთ, რომ ამ წარმოდგენისათვის მას იმ ღამემდე ხელი აუკრძალია. როცა ხელი მოჰკიდა, თავისი მადლიანი დაღიც დაასვა ამ მართლაც დიდმა ადამიანმა.

ახლა რომ გავიხსენებ ამ ამბებს, დიდ სიამაყეს ვგრძნობ. მართლაც ბედნიერებაა ასეთ ადამიანებთან ცხოვრება.

პაოლო იაშვილი

იგი პირველად ვნახე ქუთაისში კოტე მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო საბჭოს სხდომაზე. იდგმებოდა ალ. ქუთათელის „შუაღამემ გადაიარა". პიესამ და დადგმამ დიდი კამათი გამოიწვია. შესანიშნავად თამაშობდნენ მსახიობები. განსაკუთრებით კარგები იყვნენ: ვერიკო ანჯაფარიძე, ცეცილია წუწუნავა, სანდრო ჟორჟოლიანი, შალვა ღამბაშიძე. ახლაც ყურებში მიბრუნავს განსვენებული დიდად ნიჭიერი ქალის ცეცილიას ნათქვამი:

„გეიწიე ბესარიონ, გეიწიე იქეთ საცხა,
ხალხი მიდის იქეთ-აქეთ, ეგონება ვინცხას რაცხა"...

ეს იყო იმერული კილოკავის ისეთი დაღმაჭული და დაგრეხილი გამოთქმა, რომ სკოლებში მეორე დღიდან მასწავლებლები და მოსწავლეები დიდი დაკვირვებით ეკიდებოდნენ იმერულ გამოთქმებს. უფრთხილდებოდნენ: ჩვენც ასე არ გავაფუჭოთ ქართული ენაო.

წარმოდგენის დროს ჩემს უკან შევნიშნე არაჩვეულებრივად ახოვანი, ლამაზი, შავგვრემანი ვაჟკაცი. მისმა გულწრფელმა, ხმამაღალმა ბუხუნმა გამაოცა. მისი სიცილი არავისას არ ჰგავდა, არც არავის ერიდებოდა, თავსაც კი ვერ იჭერდა, დიდი თვალებიდან სიხარულის ცრემლები კენჭებივით სცვიოდა.

კოტემ შემოუბღვირა.

— Паоло мешает работать!

—პირიქით, ჩემო კოტე, მსახიობებს შენ უშლი, ასე რომ უბღვერ მათ. მე განვიცდი და თავს ვერ ვიმაგრებ. ჩვენები ამ გულწრფელობას გრძნობენ და, მე მგონია, ჩემს ოხრეოხს მაპა-

ტიებენო. თქვენთანაც ბოდიშს ვიხდი, ბატონებო!—მოგვიბრუნდა ჩვენც. ეს ისე უშუალოდ, სწრაფად და გაბედულად უპასუხა, გავოცდით... გავოცდით იმიტომ, რომ კოტეს მუშაობის დროს ამდენი ლაპარაკი არ უყვარდა. მეგონა, კოტე ქვეყანას დააქცევდა, მოხდა პირიქით, კოტეს ღიმილი მოერია.

სიტყვა „პაოლომ" მიმახვედრა, ვინც იყო იგი. გულმა რეჩხი მიყო. მისი ლექსების ტრფიალი ვიყავი, თითქმის ყველა ზეპირად ვიცოდი, თვითონ კი არ მენახა. როცა მოქმედება დასრულდა და განათდა, იგი წამოდგა. მისი ფართო ბეჭები თითქოს ქუთაისის მაშინდელი თეატრის პატარა პარტერში არ ეტეოდა, მაგრამ შესახედავად მსხვილი კაცი როდი იყო. ხმის ტემბრი ჟღერადი და მიმზიდველი ჰქონდა. იდგა ეს ახოვანი ვაჟკაცი და თითქოს ახლადდაკიდებულ დიდ ჭაღზე უფრო თვითონ სხივოსნობდა, თვითონ ანათებდა. ყველანი პაოლოს გარშემო შემოიკრიბნენ. ზოგი ეხვეოდა და კოცნიდა, ზოგი თვალებგაბრწყინებული ხელს ართმევდა. თვითონაც ყოველ მათგანს საოცარი სითბოთი და სიდარბაისლით ხვდებოდა, ეფერებოდა, ბეჭზე ხელს უთათუნებდა. კოტე შორიახლო იდგა და გაღიმებული შეჰყურებდა პაოლოს.

ადამიანები სხვადასხვანაირი არიან ერთმანეთთან დამოკიდებულებაში. პაოლო მეტად გულღია, საოცრად თბილი და დარბაისელი კაცი გახლდათ. მას ჰქონდა ისეთი თვისება, რომელიც მე არასდროს მინახავს სხვა ადამიანებში.

გაგეცნობოდა თუ არა, იმ წუთშივე მის მახლობლად, მის მეგობრად, მის ნათესავად იგრძნობდით თავს. ამავე დროს თქვენ მისდამი მოკრძალებით და პატივისცემით განიმსჭვალებოდით. რაც უფრო დაუახლოვდებოდით, მით უფრო ახლობელი და ძვირფასი ადამიანი ხდებოდა თქვენთვის.

შემდეგი მოქმედების დროს მოხდა რაღაც სასწაულის მსგავსი. პიესის შინაარსი ასეთი იყო: ინტელიგენტი კაცი (მსახიობი ს. ჟორჟოლიანი) შეყვარებულია ახალგაზრდა ულამაზეს ქალიშვილზე (მსახიობი ვ. ანჯაფარიძე). იგი ქალიშვილს სიყვარულს ეფიცება.

კოტემ მთელ სცენაზე პეპელას ფრთასავით ნაზი თეთრი მარლა გასჭიმა, მარლის ზემოდან კინოს საშუალებით ფერადი ყვავილების თაიგულები სცვიოდა. მარლის მიღმა, სცენის

სილრმეში ცოცხალი ქალი—ქანდაკება იდგა, რომლის წინ სანდრო ჟორჟოლიანი დაჩოქილი ეევედრებოდა და შეჰღაღადებდა თავის შეყვარებულს. მას თვალთაგან ფართქალით (კინო ეკრანზე) სცვიოდა ცრემლები. მარლა ამავე დროს კინოეკრანიც იყო და ცისფერ თუ ზღვისფერში გამოხატავდა ცრუ ინტელიგენტის სიყვარულის რომანტიულობას.

ჟორჟოლიანის ცრემლები ნელი-ნელ იქცეოდა შხეფებიდან მთის ნაკადულებად, მერე მდინარეებად და ბოლოს აღელვებულ, აბობოქრებულ ზღვად. ეს ისე იყო გაკეთებული, რომ სასწაულებრივ და განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. აქ საოცარი ზომიერებით იყო თავმოყრილი კინო, სინათლეები და მუსიკის შთამბეჭდავი საშუალებანი. ეს იყო არა რეჟისორული ნამუშევარი — იგი იყო გენიალური კომპოზიტორის შემოქმედებითი შედეგი.

პაოლო ბავშვივით ტოკავდა, ბუხუნებდა, მარჯანიშვილს და ალ. ქუთათელს ეხვეოდა. სიხარულისაგან ცრემლებს ვერ იკავებდა. მსახიობებს ეალერსებოდა.

შემდეგ არაერთხელ შევხვედრივარ პაოლოს, ბევრი რამ მახსოვს, რასაც, ალბათ, ოდესმე დავწერ. ერთი რამ მაინც არ შეიძლება არ ვთქვათ. არავინ მინახავს ქვეყნად ისეთი ადამიანი, რომელიც ლექსებით ისე ცოცხლობდეს და აზროვნებდეს, როგორც პაოლო. ამ შემთხვევაში მხოლოდ გალაკტიონი და ის ჰგავდნენ ერთიმეორეს.

იმავე ქუთაისის თეატრში 1917 წლის თებერვლის დღეებში წარმოდგენის დროს პაოლოს დაუქუხებია: — ამხანაგებო, რევოლუცია მოხდა. ნიკოლოზ რომანოვი ტახტიდან ჩამოაგდეს, გაუმარჯოს მშრომელი კაცის თავისუფლებასო.

როგორც თვითონ მოგვიყვა, ქუთაისის მაშინდელი მეთაურები თურმე ხალხს უმალავდნენ რევოლუციის მოხდენას. პაოლოს ეს გაუგია, თეატრში შესულა და რევოლუციის პირველი მაცნის როლი შეუსრულებია. შემდეგ ხალხს ქალაქისთავი ჩიქოვანი გუბერნატორთან გაუგზავნია, მასაც შეშინებია, ეს ფაქტი ვერ დაუმალავს და გახარებულ ხალხს პაოლო ხელში აუტაცნია, ბაღის კიდეზე გაუყვანია და პირველი საზეიმო დემონსტრაცია გაუმართავს.

ოცდაათიან წლებში დიდმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ საზლ-

ვარგარეთიდან ცხობილი რუსი მწერალი—კრიტიკოსი დავით მირსკი მოიწვია. ეს ადამიანი დიდად განათლებული პიროვნება გახლდათ — კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი და ბრიტანეთის დიდი ენციკლოპედიის უახლოესი თანამშრომელი იყო. თავისი მამის წარსულით იგი მეტად რეაქციულ წრეს ეკუთვნოდა. მოგეხსენებათ მაშინდელი ბრიტანეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციისა და მისი ბრძენი ბელადის ლენინის მიმართ.

ბრიტანეთის ენციკლოპედიას დავით მირსკისთვის, როგორც ნიჭიერი კაცისთვის, შეუკვეთია ლენინის შესახებ წერილი. ისიც გულდაგულ ჩაჯდომია ლენინის ცხოვრების და ნააზრევის შესწავლას. ჩაჯდომია და მსოფლიო რეაქციის იმედი გაუცრუებია. მას ისე შეუსწავლია ლენინის ცხოვრება, რომ მისი აზრების მონა გამხდარა, მის გენიას მოუხიბლავს და ბრწყინვალე წერილიც დაუწერია.

— წერილი ისე მოეწონათ, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, უცვლელად დაბეჭდესო,—გვითხრა მაშინ დავით მირსკიმ. ამ წერილმა მსოფლიო რეაქციულ მოაზროვნეთა ქარიშხალი გამოიწვია. დავით მირსკი ლენინის ჯაშუშად მონათლეს. საქმე იქამდე მისულა, რომ ეს ამბავი საერთაშორისო სასამართლოს მსჯელობის საგანი გამხდარა.

აი, სწორედ ეს დავით მირსკი ჩამოიყვანეს პაოლომ და კონსტანტინე ლორთქიფანიძემ იმერეთში. ზესტაფონიდან დამირეკეს და მეც ჩავედი. კონსტანტინეს მისი მეუღლე მერი ნიჟარაძე თან ახლდა.

ზესტაფონში დიდი შეხვედრა მოაწყვეს. პაოლო და კონსტანტინე ლექსებს კითხულობდნენ. დავითმა ბრწყინვალე სიტყვა თქვა, რომელსაც პაოლო ხელდახელ თარგმნიდა. ორი დღე დავრჩით ზესტაფონში. ფეროს მშენებლებს და კოლმეურნეობებს გავეცანით. მეორე საღამოს ქუთაისისაკენ წამოვედით. ზესტაფონში ქუთაისამდე რბილი ვაგონის ბილეთები არ იყიდებოდა, ამიტომ მაგარი ვაგონის ბილეთები მოგვცეს. ორივენი—დავითი და პაოლოც უმაღლესი საბჭოს დეპუტატები იყვნენ (დ. მირსკი კავშირის საბჭოსი, პაოლო კი ამიერკავკასიის საბჭოსი).

რბილ ვაგონში შევედით. ზედა საწოლზე ვიღაც უცნაური

კაცი იწვა. იგი მეტად უხეში გამოდგა და პაოლოს შეუტია:

— ვინ მოგცათ აქ შემოსვლის უფლება?!—აყვირდა იგი.

— კაცო, ჩვენ პოეტები ვართ, საპატიო სტუმრებს ვახლავართ, სადგურ რიონში ჩავალთ, შენ არაფერს დაგიშავებთ,— იბოდიშებდა პაოლო.

უცნობი გინებაზე გადავიდა. მე და მერი ლორთქიფანიძე ქვედა საწოლზე ჩამოვჯექით, დავითი და კონსტანტინე კარებთან იდგნენ. პაოლო კი ამ გახელებული კაცის წინ იდგა და აშოშმინებდა. ეს კაცი არ იქნა და არ დაწყნარდა. ბოლოს კატეგორიულად მოგვთხოვა — აქედან გაეთრიეთო. პაოლო გაცეცხლდა, წინ წამოიწია და საკმაოდ ხმამაღლა უთხრა: შენ, ძმაო, ვინ-ეშმაკი ხარ, რას გადაგვეკიდეო.

ამის თქმა და ამ უცნობმა რევოლვერი იძრო და ლულა პაოლოს გულზე მიაბჯინა. ყველანი დავიბენით. რადგან ქვემო საწოლზე ვიჯექი, რევოლვერი პირდაპირ ჩემი თავის ზემოთ იყო გამართული პაოლოს გულმკერდისაკენ. არც ვაციე, არც ვაცხელე, ორივე ხელით ჩამოვკარი და რევოლვერიც ხელებში შემრჩა. ამ კაცს, ალბათ, ეგონა მომკლავენო და აყვირდა:—მიშველეთ, ავაზაკები დამესხნენო. მე რევოლვერი სწრაფად გამოვიტანე და მეორე კუპეში მყოფ სამხედრო კაცს გვარად მაისურაძეს ჩავაბარე. ამ უკანასკნელს დიდი ჩინი ჰქონდა (სამი რომბი ეკერა საყელოზე). ვთხოვე მას, შემოსულიყო და ამ გიჟისაგან დავეხსენით. როგორც შეხედა ამხელა თანაძდებობის პირს, ეს ალიაქოთის ამტეხი კაცი მტრედივით გახდა. მაისურაძემ იგი სადგურ რიონში ჩაიყვანა და ოქმი შეუდგინა. როგორც მახსოვს, ამხანაგი მაისურაძე მაშინ ა/კ არმიის რევტრიბუნალის თავმჯდომარე აღმოჩნდა.

ჩვენ რიონში ჩამოვედით. დავით მირსკი იღიმებოდა. ლაპარაკით არავის აწუხებდა, მხოლოდ—ჰმ, ჰმ, იძახოდა გაოცებით. ქუთაისში რომ ჩამოვედით, მაშინ იხუმრა:

— ჩემი ბებია ორბელიანის ქალი იყო, კიდევ კარგი, რომ ხმალი არ მეკიდა, თორემ შეიძლება იმ ხულიგნისათვის თავი წამეჭრაო.

სამი დღე დავრჩით ქუთაისში. პაოლო მეტად გახარებული იყო, ლექსებს ამბობდა. სახელდახელოდ საოცარ ექსპრომტებს თხზავდა, თამადობდა და თავისებური სიდარბაისლით ყველას გვივლიდა და გვეფერებოდა.

დია ჩიანელი

ქუთაისში, რიონის მარცხენა ნაპირზე, სოლომონ მეფის ცნობილი დიდი ჭადრის ხიდან ოცდაოდე ნაბიჯის დაშორებით, ზედ თეთრი ხიდის თავში დგას მაგნოლია. ქუთათელები ამ მაგნოლიის ხეს ახლაც „დიას მაგნოლიას“ ეძახიან. მართლაც, სწორედ ამ მაგნოლიის გვერდით იდგა თავის დროის შესანიშნავი მოღვაწის დავით ჩხეიძის (დია ჩიანელის) სახლი. ოცდაათიანი წლების ქართული ინტელიგენციის გამოჩენილი ადამიანები ხშირად იკრიბებოდნენ მის ოჯახში. აქ, ამ სახლის აივანზე, რომელიც რიონის აბობოქრებულ ტალღებს გადასცქეროდა, იმართებოდა იმ დროისათვის მეტად საჭირბოროტო საკითხებზე სჯა-ბაასი, შეპაექრებანი, ლიტერატურული დისკუსიები. ამ ოჯახის მეთაური დია ჩიანელი ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი გახლდათ. იგი ყოველთვის შუბლგაშლილი და მუდამ მღიმარე სახით უმასპინძლდებოდა სტუმრებს. ვის არ ნახავდით მის ოჯახში? იქ თქვენ ხშირად შეხვდებოდით ჩვენი დროის უდიდეს პოეტს გალაკტიონს, კოტე მარჯანიშვილს თუ უშანგი ჩხეიძეს, დემნა შენგელაიას და კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, შალვა დადიანსა და სიმონ ჩიქოვანს, სერგო კლდიაშვილსა და რაჟდენ გვეტაძეს, პაოლოსა და ტიციანს, ვანიონ დარასელსა და პეტრე ბახტურიძეს, ლადო ასათიანსა და ილია ხოშტარიას, მიხეილ ალავიძეს და დავით თაქთაქიშვილს, ვიქტორ გაბესკირიას და ბონდო კეშელავას, პარმენ შელეგიას და ნიკა აგიაშვილს, ლადო ბზვანელს და ჯაჯუ ჯორჯიკიას, დავით მესხსა და გიორგი სამხარაძეს, ევგენი ფურცხვანიძეს და სევერიან ისიანს, ვლადიმერ იამანიძეს და გიორგი ნაფეტვარიძეს და კიდევ მრავალ სხვას, რომელთა გახსენება ახლა არც თუ ისე ადვილია. იგი თავის

მშვენიერ მეუღლესთან ფაცია გოგოძის ქალთან ერთად საოცარი სტუმართმოყვარეობით ხვდებოდა ამ ადამიანებს. იქ, მის ოჯახში, რიონის მშფოთვარე ტალღების ხმაურში, გალაკტიონს არაერთხელ გაუმხელია დიასათვის (თუ თითონ რიონისთვის) თავისი ჯერ კიდევ დაუსტამბავი ლექსები. ამ ხალვათ აივანზე კოტეს არაერთხელ გაუნდვია დავით ჩხეიძისათვის თავისი ჩანაფიქრი ამა თუ იმ თეატრალურ დადგმებზე. ამ ოჯახში არაერთხელ უთქვამს უშანგის თავისი განუმეორებელი ხმით სვანეთის კლდეკარებში მომწყვდეული რიონივით გულგამჭოლავი მღელვარე მონოლოგები. აქ, ამ აივნის რიკულიდან არაერთხელ გადაშვებულა მუდამ რიონზე შეყვარებული ახალგაზრდა გიორგი შავგულიძე მის გაავებულ ჩქერებში; ბუნებისგან საოცრად გამოკვეთილი მისი ვაჟკაცური ტანი ძველ ბერძნულ ფრესკასავით ცოცხლდებოდა მის ტალღებში. აქ არაერთხელ წაუკითხავს თავისი პირველი ლექსები ლადო ასათიანს, რომლის ფართოდ გახელილ და საოცრად მეტყველ თვალებში სამყაროს უკიდეგანო სიყვარული გამოსჭვიოდა. დიახ აქ, სწორედ ამ მაგნოლიის ტოტებქვეშ დია ჩიანელი არაერთხელ დაგვხმარებია ჩვენ, მაშინ ყმაწვილ კაცებს, ყველაფრით, რითაც კი ჯარგი და დიდბუნებოვანი ადამიანები ეხმარებიან თავიანთ უმცროს მეგობრებს.

დღისით და ღამით მისი სახლის კარები მუდამ ღია იყო მწერლებისთვის, თეატრის მოღვაწეთათვის, ხელოვნების მუშაკებისათვის. იგი გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით ეკიდებოდა ყველას, ვინც მის მამულს, ჩვენს საბჭოთა ქვეყანას ცოტაოდენ რასმეს მაინც უკეთებდა.

რასაკვირველია, იმ დროის რუსეთის გამოჩენილი მოღვაწენი და მწერლები თუკი ქუთაისს ეწვეოდნენ, უსათუოდ მათი გულითადი მასპინძელი დია ჩიანელი გახლდათ. იგი იყო მათი მიმღები და გამსტუმრებელი. 1926 წელს პაოლომ და ტიციანმა ბათუმის გავლით საფრანგეთში მიმავალი ილია ერენბურგი გააცილეს; დია რიონის სადგურზე დახვდა მათ, დიდი სუფრა გაუშალა, პატივი სცა და ისე გაამგზავრა გამოჩენილი რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ოცდაათიან წლებში ქუთაისში თავისი მეუღლით ჩამოსული პავლე ანტოკოლსკი უეცრად ავად გახდა. იგი სასტუმროში იყო. არც დია და არც

შე მის ლოგინს არ მოვცილებივართ. დია დიდი სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდა მას და ყოველგვარ მეგობრულ დახმარებას უწევდა. ორ კვირაზე მეტხანს იავადმყოფა ანტოკოლსკიმ. ვიდრე კარგად არ გამოჯანმრთელდა, დიამ არ გაუშვა. ასეთი იყო დია ჩიანელი. ამიტომაც ყველა პატივსა სცემდა, ყველას უყვარდა. აკი.ერთხელ ნიკო ლორთქიფანიძემ საქვეყნოდ განაცხადა: „უმისოდ ქუთაისი ვერ წარმომიდგენიაო". დიახ, ოცდაათიანი წლების ქუთაისის ნამდვილი მასპინძელი დია ჩიანელი გახლდათ. თვითონ ქუთაისსაც განსაკუთრებულად უყვარდა დავით ჩხეიძე. სხვანაირად არც შეიძლებოდა. შესანიშნავი მწერალი, ადამიანი და მოქალაქე, ბრწყინვალე პედაგოგი და უანგარო მოღვაწე, საოცრად ნაზი სულის პატრონი, ამასთანავე ავი საქმეების დაუნდობელი მტერი — აი, როგორი გახლდათ დია ჩიანელი.

ვისაც ის უნახავს, ან მისი ნაწერები გულდასმით წაუკითხავს, ვერც მის მშვენიერ სახეს და ვერც მის ნაწარმოებთა საოცრად თავისებურ სტილს და ენას ვერ დაივიწყებს. სამწუხაროდ, მისი ცხოვრება არც ისე ხანგრძლივი იყო, ორმოცდახუთი წლის კაცი წავიდა ჩვენგან...

დია ჩიანელი ქუთაისში ცხოვრობდა და მუშაობდა. ცხოვრობდა წყნარად, უმწიკვლოდ, მამულიშვილის დიდი სინდისით და სიყვარულით. შრომობდა, როგორც ნამდვილი საბჭოთა ქართველი მოწინავე ინტელიგენტი. უვლიდა თავის შესანიშნავ სამ ქალ-ვაჟს და მეუღლეს (მისი ერთადერთი ვაჟი, რეზო, ახლა საქვეყნოდ განთქმული კინორეჟისორია), უვლიდა მეგობრებს და ნათესავებს, თავს ევლებოდა თავის ხალხსა და მიწაწყალს. შრომობდა საბჭოთა ადამიანის ნათელი და პატიოსანი შრომით. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი მარტო ლიტერატურული შრომით როდი კმაყოფილდებოდა, აქტიურად იღვწოდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. დია ჩიანელი მთელი თავისი ღრმა ცოდნით და ნათელი გონებით მოღვაწეობდა მამულის ასაყვავებლად, რომელიც სწორედ იმ წლებში იწყებდა ეკონომიურ და კულტურულ დიდ აღორძინებას. ამ დროისათვის დია ჩიანელს უკვე დაბეჭდილი ჰქონდა მრავალი ნოველა და მოთხრობა. მისი სახელი მთელმა ქართველმა კულტურულმა მოსახლეობამ იცოდა, იგი ქართული ლიტერატურული სამ-

ყაროს განუყრელი წევრი გახლდათ. დია ჩიანელი მონაწილე იყო ყველა იმ ლიტერატურული პაექრობისა, რომელიც მაშინ საქართველოში მიმდინარეობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ჯერ კიდევ ხარკოვში, სტუდენტობის დროს, მეტად აქტიურად ჩაება ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დია ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ იყო და მთელი მაშინდელი უკრაინელი და ქართველი სტუდენტების ჭირ-ვარამის უშუალო მონაწილე. ჭირ-ვარამი კი მაშინ უკრაინელ და ქართველ ახალგაზრდა ინტელიგენციას ცოტა როდი ჰქონდა?! რევოლუციის მძაფრმა და ბობოქარმა წლებმა კიდევ უფრო მეტად დააკავშირა უკრაინელი და ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობა, ერთ-ერთი მაჯგანი იყო დია ჩიანელი—დავით ჩხეიძე. ხარკოვის უნივერსიტეტის დასრულებისთანავე იგი ქუთაისში ჩამოვიდა და აქტიურად ჩაება ლიტერატურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. მისი პირველი ნოველების წიგნი „შემოდგომის ცრემლები" ამისი უშუალო დამამტკიცებელია. ბუნებრივია, რომ მასში ჯერ კიდევ არ ჩანს აზრის ის სიმყარე და სიმტკიცე, რომელიც ჩვენ შემდგომ მის ნაწარმოებებში გვხვდება, მაგრამ ამ წიგნით მან უსათუოდ დაამტკიცა თავის გემოვნების სიმაღლე და სიტყვის ოსტატის სახელი. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში იგი თავის შემოქმედებას კიდევ უფრო ამაღლებს და ზრდის. მისი ნაწერები უკვე თითქმის რესპუბლიკის (და მის გარეთაც) ყველა ჟურნალ-გაზეთში გვხვდება. იგი ნამდვილად ხდება მაშინდელი საქართველოს დიდი ცხოვრების აქტიური მონაწილე.

საქვეყნოდ ცნობილია მშენებლობის ის ტემპები, რომლითაც ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლები ხასიათდება. დია ჩიანელსაც ხომ სწორედ ამ ხანებში უხდებოდა მუშაობა. დამახასიათებელია, რომ ქუთაისში მშენებლობის ეს ტემპები განსაკუთრებული რელიეფურობით ხასიათდებოდა. ყველამ იცის, ეს ქალაქი მანამდე უმთავრესად ლხინის, დროს ტარების და ვარდ-ყვავილების ქალაქი იყო. ამ სახელოვან ოცდაათიან წლებში კი თითქოს მიწის გულიდან ამოგრიგალდა მძლავრი რევოლუციური სული. ამოგრიგალდა და ქვეყანას დაანახვა რევოლუციის ძალა ადამიანებზე. ამიერიდან ქუთაისი

ხდება საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის მეორე ქალაქად. ადამიანები სრულიად გარდაიქმნენ. მათი ენერგია, აზრი და შემოქმედებითი სული გამოხატულებას რევოლუციური მშენებლობის დიდ მასშტაბებში პოულობს. ამ ქალაქის მცხოვრებთა ვაჟკაცობა ამაღლდა, საოცრად ენერგიული და შემტევი გახდა. დაიწყო გუმბრინის ბარიტის, მიშიაკის წიაღისეულთა მომპოვებელი წარმოებების შექმნა და აღორძინება, აშენდა მაუდის საქსოვი და აბრეშუმის ძაფსაქსოვი ფაბრიკა-ქარხნები. აშენდა აბრეშუმის საგრენაჟო წარმოება და, რაც ყველაზე მთავარია, დაიწყო მაშინ უდიდესი ელსადგურის რიონჰესის მშენებლობა. ამ მშენებლობაზე თავი მოიყარეს ახალგაზრდა ქართველმა საინჟინერო ძალებმა. ისინი აქ დავაჟკაცდნენ, მიიღეს უაღრესად დიდი და საჭირო გამოცდილება. შემდგომში სწორედ ამ ძალებმა თავის კისერზე გადაიტანეს საქართველოში სოციალიზმის დიდი და გაუბზარავი კედლების ამაღლების ყველა სიძნელე. რასაკვირველია, ზაგეს-მა პირველი ნათლობა მიაღებინა ამ სასახელო საქმეში ქართველ ხალხს. და მაინც რიონჰესი სულ სხვა იყო. ეს, რასაკვირველია, უფრო დიდი მშენებლობა იყო და ქართველი ხალხის, როგორც სოციალიზმის მშენებელი ერის დამწიფების, დავაჟკაცების და ამაღლების დიდი სკოლა გახლდათ. ყოველივე ამან ძალზე გამოცვალა ამ ქალაქის ინტელიგენციის სახე, მისი აზროვნების მიმართულება. თუ მანამდე ამ ქალაქის ინტელიგენცია უფრო ზერელე კამათით, ორატორული ნიჭის გამოჩენით იყო გატაცებული, ახლა იგი მთელი მონდომებით ჩაება ქვეყნის დიდ სასარგებლო საქმეში. იგი მთელ ხალხთან ერთად სოციალიზმის ტიტანური მშენებლობის აქტიური შემოქმედი გახდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იმ დროის ქუთაისის ინტელიგენცია, მეტად დიდი განათლების მქონე და შემოქმედებითად აღსავსე, ნამდვილად ერის მოწინავე ინტელიგენცია იყო. ჯერ კიდევ რევოლუციამდე და რევოლუციის პერიოდში, იოსებ ოცხელის მეთაურობით, ხალხის უანგარო სამსახურში ჩაყენებული ნიჭიერი ქართველი ინტელიგენცია თანდათან სულ უფრო და უფრო დაუკავშირდა მშრომელთა იდეალებს, მის ხვალინდელ დღეს და ამდენად ერის დიდ მოძავალს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაღალი დონის აზროვ-

ნების მქონე პედაგოგები. ამ პედაგოგთა შემოქმედებითი შრომები — შესანიშნავი სასკოლო სახელმძღვანელოები— მთელი საქართველოს სკოლების აღსაზრდელთა გონების საფუძველი გახლდათ. მათ შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს: ნიკო ქუთათელაძე, ნიკო მისაბიშვილი, ნიკო ნუცუბიძე, ნიკო მეფისაშვილი, პლატონ წულუკიძე, თეიმურაზ და იასონ ჭუმბურიძეები, ლეო და ვარლამ იმნაძეები, ძმები ოსიკო და გიორგი დევდარიანები, შესანიშნავი ჟურნალისტი და მოპაექრე ეროდიონ ხანთაძე, ტრიფონ, ნიკო და არჩილ ჯაფარიძეები; დიდი ერუდიციის მქონე მასწავლებელი-მათემატიკოსები: სიმონ ოცხელი, სიმონ შარაშენიძე, გედეონ წერეთელი, კოწია კანდელაკი, სპირდონ ჯორჯიკია, სიმონ ეზიკაშვილი, ტარასი აბზიანიძე და მრავალი სხვანი, რომელთა დასახელება შორს წაგვიყვანდა. მრავალი მათგანი ღრმა მოხუცებულობამდე ეწეოდა მასწავლებლის მძიმე და ნათელ შრომას. დიდია მათი ღვაწლი ოცდაათიანი წლების კულტურის განვითარების საქმეში. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისში ყოფილი რეალური სასწავლებლის მატერიალურ ბაზაზე შეიქმნა პედაგოგიური ინსტიტუტი. ინსტიტუტის დაარსებამ, რასაკვირველია, ძალზე გააფართოვა ქუთაისის ინტელიგენციის ჰორიზონტი და აღამაღლა მათი მოთხოვნილება. ქუთაისის ინსტიტუტს იმთავითვე სათავეში ჩაუდგა ლენინურ ტრადიციებზე აღზრდილი მეტად მაღალგონიერი, ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდობა. ინსტიტუტის რექტორებად პირველად დავით გვაზავა და შემდეგ ალექსანდრე პაპავა დანიშნეს. ორივენი ლენინური კომკავშირის იმ თაობას ეკუთვნოდნენ, რომელნიც ბორის ძნელაძესთან ერთად კომკავშირის ბალავერის ჩაყრის მონაწილენი გახდნენ. მათ ინსტიტუტში მიიწვიეს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი პროფესორ-მეცნიერები, რომელნიც შეუდგნენ საბჭოთა ახალგაზრდა თაობების აღზრდას. ქართული ლიტერატურის საბჭოთა პერიოდის ლექტორად დია ჩიანელი იქნა მიწვეული. შემდეგ იგი დაუსწრებელი ინსტიტუტის რექტორად დანიშნეს, მაგრამ მას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ლიტერატურული მუშაობა. ამ დროს ქუთაისში შეიქმნა ახალი ლიტერატურული გაზეთი „სიტყვა და საქმე". უნდა ითქვას, რომ ეს გაზეთი ნამდვილად გახდა ქართული მწერლო-

ბის ღირსეული ორგანო. გაზეთმა თავის გარშემო შემოიკრიბა მთელი ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწილი. მისმა რედაქციამ (პლ. ქიქოძე, კარლო კალაძე, ნიკო ცხაკაია, ნიკა აგიაშვილი, დია ჩიანელი, გიორგი ჯიბლაძე, პარმენ შელეგია და სხვა) დიდი ორგანიზაციული და შემოქმედებითი მუშაობა ჩაატარა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაზეთის შინაარსობლივი და მხატვრული კულტურის დონე. იმ დროს ქუთაისში თბილისიდან ძალზე ხშირად ჩადიოდენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები და მოღვაწეები. ქუთაისის სასტუმროში არცთუ იშვიათად ნახავდით: მიხეილ ჯავახიშვილს, სიმონ ხუნდაძეს, ვახტანგ. კოტეტიშვილს, შალვა დადიანს, კონსტანტინე გამსახურდიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, გერონტი ქიქოძეს, ბენიტო ბუაჩიძეს, სიმონ წვერავას, შალვა რადიანს, სიმონ ჩიქოვანს, სერგო ამაღლობელს და სხვებს. კვირაში ერთხელ მაინც იმართებოდა სასიცოცხლო საკითხებზე ლიტერატურული დისკუსიები. ოცდაათიან წლებში ქუთაისმა თითქოს ისევ დაიბრუნა თავისი ლიტერატურული ცხოვრების ის წლები, როცა „ცისფერი ყანწების“ ხელოვნურად დეკადენტურ გზაზე დამდგარი, მაგრამ მეტად ნიჭიერი ახალგაზრდობა დიდი ლიტერატურული კულტურისათვის იწყებდა ბრძოლას, სწორედ ამ ახალგაზრდებს შემდგომში დიდი როლი დააკისრა და გადააწყვეტინა საბჭოთა ლიტერატურის ისტორიამ (პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე, ვ. გაფრინდაშვილი, შ. კარმელი, სანდრო ცირეკიძე და სხვები).

რევოლუციური შერყევებით აღტკინებული და აღრეული მემარცხენე განწყობილების ფუტურისტული სულით აფორიაქებული ახალგაზრდობა სააფიშო დარაბებს ეპოტინებოდა და ბაღის ყოველი კიდიდან ზაუმური ლექსებით აოცებდა ქუთაისის მცხოვრებთ. შემდგომში სწორედ ამ ახალგაზრდებმა საკმაოდ სასახელო გზა განვლეს საბჭოთა ლიტერატურის დიად ისტორიაში (ბ. ჟღენტი, ს. ჩიქოვანი, ნ. ჩაჩავა, აკაკი ბელიაშვილი, ბ. გორდეზიანი და სხვ.).

დიახ, ქუთაისმა ამ დროს თითქოს ისევ დაიბრუნა ის წლები, როცა გამარჯვებულმა პროლეტარიატმა სიხარულით აღტყინებული ახალგაზრდა პოეზიის მეტად ნიჭიერი თაობა

შემოიკრიბა და ბრძოლა გამოუცხადა ყველაფერ მას, რაც საბჭოთა ლიტერატურის ზრდას შეუშლიდა ხელს.

დიახ, ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრება ამ წლებში უსათუოდ რელიეფური და საინტერესო გახდა. ლიტერატურულ გაზეთთან ერთად გამოდიოდა ჟურნალიც, საოლქო პოლიტიკური გაზეთიც დიდ ადგილს უთმობდა ლიტერატურულ ცხოვრებას. რასაკვირველია, ამის შემდეგ ადვილი როდი იყო ამ ქალაქის ლიტერატურული ცხოვრების მეთაურობა. სწორედ ასეთ პერიოდში მოუხდა დია ჩიანელს ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრების ხელმძღვანელობა. იგი მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ იქნა არჩეული.

დია ჩიანელმა ჯერ კიდევ კოტე მარჯანიშვილის ქუთაისში ჩამოსვლამდე დაწერა მაშინდელ დროისათვის მეტად საინტერესო პიესები. ერთი მათგანი („ურაგანი") დადგა დიდად განათლებულმა ადამიანმა და ცნობილმა რეჟისორმა მიხეილ ქორელმა. მთავარი როლი ითამაშა გრ. კოსტავამ, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა. ეს დრამატული ნაწარმოები რევოლუციური სულის პიესა იყო და ამიტომ ქუთაისის ახალგაზრდობაში საკმაოდ დიდი როლი ითამაშა. შემდგომში შოთა მანაგაძის და ნიკო გოძიაშვილის ერთობლივი მუშაობით დაიდგა დავით ჩხეიძის „ბეთქილი". ეს პიესა სვანურ ლეგენდაზე იყო აგებული და უთუოდ ლამაზად გაკეთებული წარმოდგენა გახლდათ. ვერც იმას დავივიწყებთ, რომ დია ჩიანელმა ერთმა პირველთაგანმა მოჰკიდა სვანურ თემას ხელი და დიდი სიყვარულით და რომანტიკით დაგვიხატა საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის ცხოვრება. ყოველივე ამას დაემთხვა ქართული ხელოვნების ისტორიაში დიდი სიახლე. ეს გახლდათ კოტე მარჯანიშვილის ქუთაისში ჩამოსვლა. ეს წლები არა მარტო თეატრალურ ისტორიის, საერთოდ ჩვენი ერის ისტორიის ერთი ბრწყინვალე ოქროს ფურცელი გახლავთ. დია ჩიანელი იმ დროს ხელოვნების კავშირის თავმჯდომარეც იყო.

იგი გულმხურვალედ დაეხმარა კოტეს ახალგაზრდობის შერჩევის და თეატრში მიზიდვის საქმეში. კოტემ დიდი სიყვარულით დადგა შემდეგ დია ჩიანელის „ბაილი". დავით ჩხეიძე გეერდში ამოუდგა ამ დიდ რეჟისორს და დიდად უწყობდა ხელს მთელ მის კოლექტივს. ქუთაისი იმ დროს საოლქო ქა-

ლაქი გახლდათ. ეს კი ბეკრს ნიშნავდა. პარტიულ და ხელ-
მძღვანელ ორგანოებში რჩეული, ნიჭიერი და განათლებული
ადამიანები მუშაობდნენ. ყველა მათგანი დიდი სიყვარულით
და თავდადებით ეხმარებოდა ლიტერატურის და ხელოვნების
მოღვაწეებს. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ რიონჰესის
მშენებლობას საქართველოში კომუნისტური პარტიის ძველი
წევრი, რევოლუციის დიდ ქარიშხლებში გამოვლილი ადამია-
ნი კლიმენტი სულავა ხელმძღვანელობდა. რასაკვირველია, მისი
ადამიანური კეთილშობილი თვისებები და რევოლუციური გა-
მობრძმედილობა დადებითად მოქმედებდა ახალგაზრდა ინჟი-
ნერ-ტექნიკოსებზე. შემდგომში რიონჰესის მმართველად დაი-
ნიშნა ოქტომბრის ერთი გმირთაგანი, ვალოდია ჯიქია. ამ ადა-
მიანს ჰიდრომშენებლობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. მისი
მეთაურობით დასრულდა საბჭოთა კავშირში ცნობილი ვოლ-
ჰოსტროის ჰიდროკვანძის მშენებლობა და შემდეგ გადმოყვა-
ნილ იქნა ქუთაისში რიონჰესის მშენებლობაზე. ვალოდია
ჯიქია იყო დიდი დიაპაზონის ადამიანი. იგი არა მარტო უში-
შარი მშენებელი იყო, ამავე დროს თავისი ვაჟკაცური და
ალღოიანი მოქმედებით განსაკუთრებულ პატივისცემას იმსა-
ხურებდა ახალგაზრდა მშენებლებში. მან ხელი მოჰკიდა ქა-
ლაქის კეთილმოწყობას, ააშენა შესანიშნავი სასტუმრო „ქუ-
თაისი", დააგო პირველი ასფალტი რიონის სადგურამდე და
გაამშვენიერა ქალაქის ცენტრალური ქუჩები. იგი ყოველ-
მხრივ და დიდი მონდომებით ეხმარებოდა თეატრს, ლიტერა-
ტურულ გაზეთს და საერთოდ მწერლობას. მან პირველად გაა-
ნათებინა ბაგრატის ჩამონქმეული ნანგრევების კედლები, რა-
თა რიონჰესის უმშვენიერეს კაშხალთან ერთად ქართველ კაცს
ყოველთვის თვალის სინათლის შუქზე ჰყოლოდა თავისი დიდი
წარსულიც, მისი გუშინდელი საამაყო დღეც. იმ დროს რიონ-
ჰესის მშენებლობაზე შესანიშნავმა ინჟინრებმა და ადამიანებ-
მა მოიყარეს თავი. გიორგი მიქელაძე, დ. ერისთავი და გ. ხერ-
ხეულიძე თავიანთი საინჟინერო ნიჭით და დიდი გამოცდილე-
ბით არა მარტო რიონჰესის კედლებს აშენებდნენ, ისინი ამა-
ვე დროს ზრდიდნენ ახალგაზრდა ინჟინრებს, რომელთა და-

ვაჟკაცებაზე მოქმედებდა მათი ცხოვრება და შემოქმედება.

რიონჰესის მშენებლობაზე მუშაობდნენ კანდიდ ჩარკვიანი, გიორგი გიორგობიანი, კოტე გაბუნია, შურა მესხი, გ. ცინცაძე, ვ. ბოკერია და სხვები, რომელთა ადამიანობა, პატრიოტული სიმტკიცე და კულტურა უთუოდ სამაგალითო იყო საერთოდ ახალგაზრდობისათვის, ქალაქ ქუთაისის ყოველი მოქალაქისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მანამდე ეს ჩუმი და წყნარი ქალაქი, რომელსაც მოქეიფეთა ხრინწიანი ხმა და ეტლებში ჩადგმული არღნების ხავილი თუ გააღვიძებდა, ახლა ერთბაშად აივსო მანქანებით, ტრაქტორებით და სხვა სამშენებლო ინდუსტრიით. პირველი მიწის მბურღავი „ექსკავატორი" დაიდგა ე. წ. IV უბანზე. მთელი ქალაქი მოაწყდა სანახავად. მაშინ მიწის ასეთი მანქანით თხრა მეტად გასაოცარი იყო. მანამდე ადამიანები ორ კილოგრამ მიწის ბოლქვს ხელდახელ თუ მოაგლეჯდნენ რკინის ბარით დედამიწას, „ექსკავატორი" კი ერთბაშად ერთ კუბომეტრ მიწას და ხრეშს მოგლეჯდა და თან მანქანაზე დააყრიდა. დიახ, ასეთი მექანიზმები იმ დროს ოშვიათობა იყო და ადამიანებში გაოცებას იწვევდა. კარგად მახსოვს ეს „ექსკავატორი" მაშინ დიასა და ჩემი თანხლებით სხვებთან ერთად გალაკტიონმა და გიორგი ქუჩიშვილმაც ინახულეს.

აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ ბლუაშვილის წინადადებით ჯარში სამუშაოდ წავიდა ვანიონ დარასელი, რომ უს შემთხვევა არა, დღეს ქართულ დრამატურგიას „კიკვიძე" არ ექნებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ დია ჩიანელი ვანიონ დარასელის ჯარში სამუშაოდ გაგზავნის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო.

სწორედ ამ წლებში საოლქო კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა ე. წ. „ინტელიგენციის აქტივი", რომელიც უაღრესად დიდ და საინტერესო მუშაობას აწყობდა ოლქში. ამ ინტელიგენციის ერთი მეთაურთაგანი გახლდათ დია ჩიანელი. დია მთელი თავისი გულწრფელი სიყვარულით შეყვარებული იყო ქუთაისზე და მისი კულტურის დიდ ძეგლებზე. ისე, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ქართველისათვის, მისთვისაც ბაგრატის ნანგრევთა თვითეული ქვა დიდ ეროვნულ სიამაყეს და სულის ამაღლებას იწვევდა. იგი, რასაკვირველია, თვითონაც მაღლდებოდა და იწმინდებოდა მათი წმინდა,

ბმაღლებული სიყვარულით. გელათის ტაძარი და გეგუთის ციხე-სასახლის ნანგრევები, მთელი უქემერიონის მიმონქმეული ბალავერი მისთვის ისეთი ადგილი გახლდათ, სადაც ქართველ კაცს მუხლდაჩოქილი უნდა ელოცა. მართლაც, ეს ასეც იყო. მახსოვს, იმ წლებში საქართველოში ჩამოვიდა იმ დროს საქვეყნოდ სახელგანთქმული კრიტიკოსი და მოაზროვნე დავით მირსკი. თბილისიდან ქუთაისში ის წამოიყვანეს პაოლომ, კოსტანტინე ლორთქიფანიძემ და მერი ნიჟარაძემ (კონსტანტინეს მეუღლემ). იმ დროს მე ქუთაისში ვიყავი და პაოლოს და კონსტანტინეს დეპეშა მივიღე. რასაკვირველია, სტუმრებს ზესტაფონში შევხვდი. იმ დროს ზესტაფონში რაიკომის მდივნად იყო გრიშა გაბუნია, ძველი რევოლუციონერი, მეტად განათლებული ადამიანი. რომელსაც მე ვაცნობე სტუმრების ჩამოსვლა. გრიშამ დიდზე დიდი პატივი სცა სტუმრებს — ზესტაფონის რკინიგზის კლუბში ლიტერატურული საღამოც გაიმართა. პაოლო და კოწია მთელი ღამე საოცარი მგზნებარებით კითხულობდნენ თავიანთ ლექსებს. დიდი სიტყვა თქვა დავით მირსკიმაც. იგი მეტად საინტერესო პიროვნება გახლდათ. მისი ბებია (როგორც თვითონ ამბობდა) ორბელიანის ქალი ყოფილა, მამა კი რომანოვების ცნობილი მინისტრი კნიაზი სვიატოპოლკ-მირსკი. რევოლუციის დროს საზღვარგარეთ გაქცეულა. შვილიც თან წაუყვანია და დიდი განათლება მიუცია.

მან დიდხანს დაჰყო ინგლისში, იქ კომუნისტური პარტიის წევრი გახდა და მაქსიმ გორკის მოწვევით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა. აი, სწორედ ეს დავით მირსკი სტუმრად აღმოჩნდა ჯერ ზესტაფონში და მერმე ქუთაისში. მაღალი და ბრგე კაცი იყო. საუბარში არ გამოგყვებოდათ, ოფიციალური სიტყვა წარმოთქვა, მეტად ღრმა და ორატორულად ძლიერი. საქართველო აოცებდა. ღვინოს სიამოვნებით სვამდა და ამბობდა: ქართული ღვინო დედის რძესავით წემერგება, მეც ხომ ორბელიანის სისხლის, ქართველთა შთამომავალი ვარო. მისი ქართველობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ღვინოზე კი ნამდვილად სულ მოწყურებული იყო და არც კი ეტყობოდა ისე სვამდა. ქუთაისში მე და დია ვიყავით მასპინძლები. უნდა გაგახსენოთ, რომ პაოლო სულ სხვანაირი ადამიანი იყო. მე-

ტად ახოვანს და მომხიბლავ ყოფაქცევის ადამიანს საოცრად ვაჟკაცური ჟღერადი ხმა ჰქონდა. შეუდარებელი მოსაუბრე, რუსული და ევროპული პოეზიის ღრმა მცოდნე და საოცრად ეშხიანი მომლხენი და მესუფრე. ჯოჯოხეთში რომ შეგეყვანათ, უთუოდ სამოთხედ გადააქცევდა და ტირილის მაგივრად სიმღერას ათქმევინებდა მწუხარე ადამიანსაც კი. მის გვერდით ეშმაკიც სასიამოვნო ადამიანად იქცეოდა. იგი ლხინისთვის და ლექსის თქმისთვის დაბადებული კაცი იყო. შეეძლო საათობით სხვისი და თავისი ექსპრომტი ლექსებით შეუსვენებლივ და ლაღად ესაუბრა ამქვეყნად. კონსტანტინეც მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვაჟკაცი იყო. მასაც დღე-ღამე შეუსვენებლივ შეეძლო ლექსების ყელმოღერებული თქმა.

იმ საღამოს ქუთაისის რესტორანში „დიმში“ ვილხინეთ. დიასთან ერთად პეტრე ბახტურიძე და ვანიონ დარასელი იყვნენ. ნაშუაღამევს ბაგრატის ნანგრევებზე ავედით. რასაკვირველია, მერი ნიჟარაძე არ წავიყვანეთ, იგი თავისიანებში წავიდა. პეტრე ბახტურიძე ბაგრატის ტაძრის ახლო ცხოვრობდა, ამიტომ ის მასპინძლობდა. ტაძრის შუაგულში ლორთქ ბალახებში ჩაფლულ მონგრეულ სვეტის თავზე სუფრა გავაწყვეთ. პაოლომ გაბრიელა ბერს (ტაძრის დარაჯი იყო) ოცდაათი ღერი სანთელი გამოართვა და აანთო. თაფლის სანთლის ღვენთმა გამაბრუებელი სურნელება მოჰფინა ტაძრის შიგა ეზოს, აციმციმდა და შეირხა ვეება კედლები. პაოლომ სასმისი ასწია და დაიჩოქა. ყველამ ჩავიმუხლეთ. ცისკარი ცის კაბადონს ხსნიდა. ამ უზარმაზარ ტაძრის ნანგრევთა გარშემო დილის საოცარი სიწყნარე და სიგრილე სუფევდა.

პაოლომ თავისი ცნობილი ლექსი „პოეზია“ შეჰღაღადა ცას. კოწიამ თავისი ლექსები დაიბუხუნა, დავით მირსკიმ, პეტრემ, ვანიონმა და მეც, ყველამ, რაღაც-რაღაც ვიბურდღუნეთ. ლხინით გაბრუებულები ვიყავით. შეთეთრებულ ცისკარს ტოროლასავით აფეთქებდნენ სიტყვებს. გათენების ჟამს ჩვენს სუფრას იქვე მცხოვრები ვალოდია ორბელი და ჭაბუკი ლადო ასათიანი შემოემატნენ. ჯერ კიდევ ურმა ლადო პირველად ესწრებოდა პოეტების ასეთ სილაღეს.

- უცებ დიამ სიტყვა დაიწყო და ვეღარ დაამთავრა. ყელში გაეჩხირა სიტყვა და ცრემლი. იგი მერმე ყველას მოგვეხვია,

დაგვკოცნა და ხმამაღლა აქვითინდა. ამ შემთხვევის გამო ლადო ასათიანი შემდგომში სულ ხუმრობდა: „დია ჩემს პოეზიაში შემოსვლას ტირილით შეეგება ბაგრატზეო". თან უმატებდა: „კნიაზ მირსკი იცინოდა, „დვარიანინ" ჩხეიძე ტიროდა და პავლე პირველის მომსპობი იაშვილი ილხენდაო". რასაკვირველია, დიას ცხელი ცრემლები დიდი სიყვარულით გამოწვეული მდუღარე ცრემლები იყო. მართლაც, სად უნდა იცრემლოს ქართველმა კაცმა, თუ არა ბაგრატის ტაძრის ნამსხვრევების შემხედვარემ?! სხვათა შორის, იმ ღამით დ. მირსკიმ თქვა: „ევროპელებმა ომებით ერთმანეთი დაჭამეს, გაჟლიტეს, მაგრამ არც ერთი საგულისხმო ნაშენი არ დაუნგრევიათ, არ მოუსპიათ. ეს მსხვრევა თურქების ხელწერაა, მათი ვილურობის უტყუარი ნიშანიაო".

დიახ, სწორედ თურქების ამ ხელწერამ აატირა იმ საღამოს დავით ჩხეიძე. ასეთი იყო დია ჩიანელი!

ერთ ზაფხულს ანდრეი ბელი ჩამოვიდა ქუთაისში. დიამ იგი გელათში აიყვანა, გეგუთი ანახა, ბაგრატზე გადაახედა. გულაჩუყებული ანდრეი ბელი აქვითინებული ეხვეოდა ყელზე ჯაჯუ ჯორჯიკიას, დავით თაქთაქიშვილს და დია ჩიანელს.

ასევე უმასპინძლა 1927 წელს ბათუმში მიმავალ ბორის პასტერნაკს. ასე რომ, დია ჩიანელი კოლხეთის მთავარი ქალაქის ამ დიდ გზაჯვარედინზე თითქოს განგებით მოხვედრილი ადამიანი იყო, რათა ჯეროვანი პატივი ეცა მწერალთა და ხელოვანთათვის.

თვითონ მეტად წყნარი კაცი გახლდათ, ღვინოს ერიდებოდა, მაგრამ მხარეს აბმა იცოდა, ტოლს არ დაგიდებდა, თუ გინდა ქვეყნის კიდეში წაგყვებოდა. ყველა მწერალი უყვარდა, მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, პაოლო, სერგო კლდიაშვილი და კოლაუ ნადირაძე მისთვის მეტად ძვირფასი ადამიანები იყვნენ. (რასაკვირველია, დემნას ის ძმად თვლიდა, ისინი ქვისლები იყვნენ). მათ ხსენებაზე ყოველთვის სახე გაებადრებოდა და სიხარულით აუციმციმდებოდა თვალები.

ერთხელ ქუთაისში გალაკტიონი ჩამოვიდა. ამ დიდმა პოეტმა და ლოცარმა კაცმა დაჟინება იცოდა. მთელი საქარ-

თველო მოესურვილებოდა, მოგზაურობის ჟინი მოუვლიდა და ვეღარ გააჩერებდით.

— აბა, ბიჭებო, მოვინახულოთ ჩვენი საქართველოო, — გვითხრა ყველას. მე ვერ წავყევი. მაშინ ქუთაისის კომკავშირის გაზეთს ვხელმძღვანელობდი და არ შემეძლო წასვლა. დია ჩიანელმა ვანიონ დარასელი და დავით თაქთაქიშვილი წაიყვანა და ჯერ იმერეთი, მერე მთელი ოდიში მოიარეს. ზუგდიდიდან ცხენებით სოფელ ობუჯში ესტუმრნენ ლეო ქიაჩელს, რომელიც იმ დროს იქ აღმოჩნდა. იქ კარგა ხანს დაჰყვეს და მერმე უკანვე დაბრუნდნენ.

— გენაცვალე, დიასთანა კაცი ახლა სად არის?!. ის მხოლოდ ერთია ამ ქვეყანაზეო! — უქცევდა მისებურად ობუჯიდან დაბრუნებული და გახარებული გალაკტიონი.

დიას ძალზე უყვარდა თავისი სოფელი დიმი. უნდა მართალი მოგახსენოთ, რომ მართლაც მეტად ლამაზი, მდიდარი და ყოველმხრივ შემკული სოფელია. მდინარე ხანისწყალი იქვე ჩამოჩქრიალებს, აიაზმის წვეთებივით სუფთა და კრიალა წყალია, თევზით მდიდარია, ზემოთ (ბაღდადის ზემოთ) ხომ მეტად გემრიელი კალმახითაა სავსე. დიას იქ თავის ძმასთან ვასილ ჩხეიძესთან ერთად სახლკარი ჰქონდა. დიდი სტუმართმოყვარე ოჯახი გახლდათ. დიას ძმისშვილი დათუნა ჩვენი ტოლი ვაჟკაცი, ჩემი სიყრმის მეგობარი, მეტად ნიჭიერი კაცი, ლხინისათვის და სიმღერისათვის დაბადებული იყო. ჩვენ მის სოფელში არაერთხელ ვყოფილვართ. ირაკლი აბაშიძე თუ ლადო ანთაძე, ნიკო ალხაზიშვილი თუ რომან ლეჟავა, ალიო მირცხულავა და გიორგი სამხარაძე, კონტანტინე ლორთქიფანიძე და პეტრე ბახტურიძე, მიშა იაშვილი და ვალიკო თუმანიშვილი ხშირად ჩავსულვართ იქ და არამც თუ გვილხენია, გვითეეზავია კიდეც. იერუსალიმიდან დაბრუნებული ირაკლი ხუმრობდა: „იორდანე რომ ხანისწყალივით სუფთა იყოს, მაშინ, ალბათ, ისრაელებიც და არაბებიც დაიჯერებდნენ, რომ ის მდინარე, მართლაც, ღმერთებისათვის არის გაჩენილი და შეიძლება მოქცეულიყვნენ კიდეცო“.

დიახ, დიას მეტად უყვარდა თავისი სოფელი და თავისი ხანისწყალი. აკი მან არაერთი მოთხრობა, ნოველა და რომა-

ნიც კი უძღვნა მათ. საერთოდ, ბაღდადის ხსენება სიხარულის ჟრუანტელს გვრიდა ხოლმე და დიდად ამაყობდა კიდეც, რომ ის იქიდან იყო. შეიძლება ნაწილობრივ ამით აიხსნებოდა ისიც, რომ დია განსაკუთრებულ პატივს სცემდა მაიაკოვსკების მთელ ოჯახს. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მის დებთან: ოლიასთან და ლუდასთან. სწორედ დიამ გაგვაცნო ორივე დები თავის სახლში. შემდეგ ჩვენ გავაცილეთ ისინი ბაღდადში და მივიყვანეთ კუჭუხიძეების სახლში (ახლა ეს სახლი მუზეუმია), რომელშიაც ოდესღაც თითონ ცხოვრობდნენ. ისინი ვ. მაიაკოვსკის დაღუპვის შემდეგ უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ ბაღდადში. ქუთაისში უსათუოდ დიას მოინახულებდნენ და ისე გაემგზავრებოდნენ. რაც კი ვლ. მაიაკოვსკის სახელთანაა დაკავშირებული (მუზეუმის გახსნა და სხვა), ყველაფერი დიას უშუალო ინიციატივით კეთდებოდა.

როცა მაიაკოვსკის დაღუპვის დეპეშა მოვიდა ქუთაისში, დია რომელიღაც სოფელში იყო წასული კოლექტივიზაციის საქმეზე (მოგეხსენებათ 1930 წელი და სოფლის ამბები). ვ. მაიაკოვსკის ტრაგიკულად დაღუპვამ თავზარი დასცა ყველას. არავინ არ ელოდა ამქვეყნად იმას, რომ ასეთი პოეტი თავს მოიკლავდა. ს. ესენინის ტრაგედია, რასაკვირველია, უფრო გასაგები იყო, ვინემ ვ. მაიაკოვსკის ამბავი. კომკავშირულ ახალგაზრდობაზე ამან დიდად იმოქმედა. სულ რამდენიმე ხნის წინ იგი კრასნოპრესნაიას კომკავშირს თითქოს თავისი პოეტური ვაჟკაცობის ანგარიშს აბარებდა და უცებ ასეთი ამბავი! ნამდვილად ტრავმა დიდი იყო. ქუთაისის ქალაქკომმა გადაწყვიტა და დაგვავალა ამ საღამოსვე თეატრში მიტინგის მოწვევა. ვინ უნდა გააკეთოს მოხსენება? ან ვინ უნდა გახსნას მიტინგი?!

ჯაჯუ ჯორჯიკიამ განაცხადა: ჩემზე ისე იმოქმედა ამ ამბავმა, რომ ტრავმირებული ვარ. მთელი სხეული და აზროვნება გაოგნებული მაქვს, ენას ვერ ვძრავო. დია კი ქალაქში არ იყო. მივმართეთ თეიმურაზ ჭუმბურიძეს. თეიმურაზი მაშინ განათლების განყოფილების გამგე იყო. მას მთელი ქართველი ერი იცნობდა, როგორც დიდად განათლებულ ადამიანს, შესანიშნავ ისტორიკოსს და პოლიტიკურ მოღვაწეს. მისი სახელმძღვანელოები ანტიკური ისტორიის და საზოგა-

დოებრივი მეცნიერების საკითხებზე ჩვენს სკოლაში ისწავლებოდა. ამავე დროს ის მეტად გამოცდილი და ნიჭიერი ორატორიც იყო.

— მე რომელი ლიტერატორი, ან მწერალი ვარ, კაცო?! საერთოდ, ვლ. მაიაკოვსკიზე მოხსენების გაკეთება მეტად ძნელი რამ არის! — განაცხადა მან. მაგრამ უარი აღარ გაუვიდა და დათანხმდა.

საღამოსათვის დიაც გამოიძახეს სოფლიდან და კრების გახსნა დაავალეს. სიტყვა კი თეიმურაზმა თქვა.

მართალი გითხრათ, ერთმაც და მეორემაც გააოცა მთელი საზოგადოება. ეს იყო უთუოდ მეტად საინტერესო და ნიჭიერად თქმული სიტყვები.

დია ჩიანელი თავისი ბუნებით და ლიტერატურული გემოვნებით ძალზე შორს იდგა მაიაკოვსკის ლიტერატურული შემოქმედებისაგან, დია იყო მეტად ნაზი, მაგრამ „შემოდგომის ცრემლების“ ლიტერატურული სულის მქონე კაცი უცებ თითქოს შეიცვალა; ეტყობა, ვლ. მაიაკოვსკის დაღუპვამ ძლიერ იმოქმედა მასზე, დიდი ტკივილები აგრძნობინა. მან საოცრად კარგი შესავალი სიტყვა თქვა. თეიმურაზმაც გააოცა მსმენელები. მართალია, იგი მაშინდელი ინტელიგენციის ყოველმხრივ მოწინავე მოაზროვნე ადამიანი გახლდათ, მაგრამ იგი, საერთოდ, ყოველთვის ერიდებოდა ლიტერატურულ საკითხებზე გამოსვლებს და აი უცებ ასეთი სიტყვის თქმა!

ამ კრებას მაშინ ესწრებოდა მოსკოვიდან ახლად ჩამოსული ცნობილი თეატრმცოდნე და ბრწყინვალე ორატორი სერგო ამაღლობელი. მან თქვა: „არ ველოდი თუ თეიმურაზ ჭუმბურიძე და დია ჩიანელი ასეთ სიტყვებს იტყოდნენ დღეს“.

დიახ, ასეთი იყო დია ჩიანელი.

მიუხედავათ იმისა, რომ დავით ჩხეიძე — ჩიანელი ყოველთვის პროზაში და დრამატურგიაში მუშაობდა, იგი მაინც უფრო მეტად პოეტი იყო, ვიდრე პროზაიკოსი. დაკვირვებული თვალი ამას მისი ნაწარმოებების გაცნობისთანავე დაინახავს. დიას ნოველები, რომანი და დრამატული ნაწარმო-

ებნი უსათუოდ ნათელი პოეტური სულის მქონე ადამიანის ხელით არის დაწერილი.

მართალია, მას შედევრები არ შეუქმნია, არც თუ დიდი და ფართო სოციალური ტილოები დაუტოვებია თავისი შთამომავლობისათვის, მაგრამ მისი ნაწერები ყოველთვის გაუთბობს ქართველ კაცს სულსა და გულს, ყოველთვის ტკბილად გაახსენებს იმ ადამიანს, რომელმაც დაწერა მოკრძალებული, მაგრამ უთუოდ ლამაზი ნაწარმოებები, ყოველთვის ათქმევინებს მის წამკითხველს, რომ ამ სტრიქონების დამწერი უთუოდ სულით და გულით მწერალი იყოო.

ეს კი ცოტა როდია?!

ამიტომაც იყო, რომ ქართველმა მწერლებმა დია ჩიანელი 1934 წელს საკავშირო მწერალთა პირველ ყრილობაზე თავის წარგზავნილთა შორის აირჩიეს. იგი ამ ისტორიული ყრილობის ერთ-ერთი დელეგატი გახლდათ.

დიდი აღფრთოვანებითა და აღტაცებით დაბრუნდა დია მაშინ მოსკოვიდან. მართლაც, ეს ყრილობა იყო არა მარტო დიდი საბჭოთა მწერლობის დაფუძნების ყრილობა, იგი განსაკუთრებულად, ორმაგად მნიშვნელოვანი გახლდათ ქართული მწერლობისათვის. სწორედ ამ ყრილობაზე ამაღლდა პირველად ჩვენი დიდი მოაზროვნის და გენიოსი პოეტის შოთას სახელი. მის საქვეყნოდ ასე დიდებით ოლიმპზე ასვლას და შარავანდედით დაგვირგვინებას ამ ყრილობამ ჩაუყარა საფუძველი.

დია ჩიანელს უხაროდა, რომ იგი საბჭოთა დიდი მწერლობის მტკიცე ბალავერის ჩამყრელი ყრილობის ერთ-ერთი მონაწილე გახდა. ეშმარიტად, ეს დიდად საამაყო მოვლენა იყო. მართლაც, დიდზე დიდია საბჭოთა მწერლობის პირველი ყრილობის სიდიადე და გავლენა მსოფლიო ლიტერატურული აზროვნების სამყაროზე.

ვერავინ ვერ დაასახელებს მსგავს თავყრილობას, რომელსაც თავისი სიბრძნით და რეზონანსით მანამდე ასეთი გავლენა მოეხდინოს სამყაროს ლიტერატურის და, საერთოდ, მთელი ხელოვნების მსვლელობაზე. ამ ყრილობამ შეაშფოთა ადამიანთა მტრები, შეამჭიდროვა ადამიანთა მეგობრები.

ამიტომ დია ჩიანელი, რასაკვირველია, ჭეშმარიტად მარ-
თალი იყო, თავისი იქ ყოფნით რომ ამაყობდა. იგი ჩამო-
სვლისთანავე აღფრთოვანებით და სიყვარულით შეუდგა შე-
მოქმედებით შრომას. მან რამდენიმე მოთხრობა დაწერა თა-
ნამედროვე თემაზე. ეს მოთხრობები მისი შემოქმედების
უკეთესი ნაწარმოებებია. დია ჩიანელს უხაროდა ცხოვრება
და შრომა, უყვარდა მეგობრები და ამხანაგები, ცოცხლობ-
და მამულისა და ხალხის სიყვარულით.

სარჩევი

ლეგენდები

გეგუთის ძელქვები	7
არწივები ცაში აფრენილი კვდებიან	29
მიაგულის სიყვარული	50
აფხაზური თქმულება	60
თქმულება ქუთაისზე	105
სვანური თქმულება	117
ხე სიკეთისა და ხე ბოროტებისა	136
ხალდეს ყვავილები	186

მწერლის ჩანაწერები

დიდ ჭადართან	221
ყურძნის მტევნები	238
გელათის ქრონიკები	270
რუსთაველის ქვათა ღაღადი	286
დურგალი და პროფესორი	303
თბილისის ბალავერი და გუმბათი	349
შეხვედრები გალაკტიონთან	387
დიდი რეჟისორი	406
პაოლო იაშვილი	416
დია ჩიანელი	421

Асатиани Мамиа Васильевич

Гегутские дзелквы

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1968

რედაქტორი ნ. ინასარიძე

მხატვარი ი. უთურაშვილი

მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე

ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე

კორექტორი ც. ნიკურაძე

გადაეცა წარმოებას 2/X 67 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/V 68 წ.
ქაღ. ზომა 84×108 1/32. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 23,05.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 20,09.
უე 01667. ტირაჟი 30.000. შეკვ. № 11136.

ფასი 78 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 5,
ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 11.

Типография № 5 Главполиграфпрома Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по печати,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, № 11.